

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა



85.715
3

საქართველოს ისტორია

ტომი I

ქვეყნის რეგიონი XIX საუკუნის დასაწყისი

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორია

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
1950

ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია

9(2922)
8-571

საქართველოს ისტორია

ნაწილი I


უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე

ს. ჯანაშიას რედაქციით

სახელმძღვანელო
საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის

მეორე, შესწორებულ-შეცვნილი, გამოცემა

მოწონებულია საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს მიერ



საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა

თბილისი — 1950

B-6.604

F85.715
3



ქართული ხალხური ორნამენტი ზეზე (ბუზრის თავი, თრიალეთიდან.
სიციცხლის ხის, მთვარის, მზისა და ცხოველების გამოსახულებით).
ლაზი ოსტატის ნახელები.

საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილება

შ ე ს ა გ ა ლ ი

§ 1. პირველყოფილი საზოგადოება საქართველოს ტერიტორიაზე

მრავალი მილიონი წლის წინათ ეხლანდელი კავკასია თითქმის მთლიანად ზღვით იყო დაფარული. მაგრამ ნელინელ, უთვალავი საუკუნეების განმავლობაში, წყალი ხმელეთს უთმობდა ადგილს. ზღვიდან ამოიწია კავკასიონმა და სხვა მთაგრეხილებმა. დასასრულ, კასპიის ზღვა მოსწყდა შავს და მათ შორის კავკასიის ყელი გაჩნდა.

მაღალი ქედების წარმოშობას შემდეგში გამყინვარება ზედ დაერთო. ერთ დროს მყინვარები მთის კალთებზედაც ჩამოდიოდა, ზოგან მთების ძირიდან. შემდეგში ისინი მწვერვალებსდა შემორჩნენ. ხმელეთის გაჩენასთან ერთად თანდათან მოშენდა და მომრავლდა მცენარეულობა და ცხოველები.

ბოლოს აქ გაჩნდა ადამიანიც. საქართველოში რამდენიმე ადგილას არის ნაპოვნი ამ პირველყოფილი ადამიანის კვალი: ზემო იმერეთში, ქვემო იმერეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში, თრიალეთში. სოხუმის რაიონში ნაპოვნი იმდროინდელი ზოგი ნაშთი ყველაზე ძველთაგანია საბჭოთა კავშირში. ამ უძველესი ადამიანის სადგომებს ზოგჯერ გამოქვაბულებში ვხვდებით. მაშინდელი ადამიანი სიცივე-აგდრისაგან თუ საშიში მხეცებისაგან თავს ხშირად გამოქვაბულში იცავდა.

მაშინდელი ბუნება განირჩეოდა ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ბუნებისაგან. ტყეები იყო ბევრად უფრო მეტი და ხშირი, მდინარეებიც უფრო წყალმრავალი. მცენარეებშიაც და ცხოველებშიაც მას შემდეგ ბევრი რამე გამოიკვალა. ასე, მაგალითად, მაშინ ჩვენში იყო გამოქვაბულის დათვი, რომელიც ეხლა უკვე აღარ გვხვდება. გადაშენდა მას აქეთ ბევრი სხვა ცხოველიც. სამაგიეროდ, გაჩნდა ზოგიერთი ახალი ცხოველი და მცენარე.

პირველყოფილი ჯგუფი. უმწეო და განუვითარებელი იყო იმდროინდელი ადამიანი. მას არც მიწის დამუშავება შეეძლო. არც შინაური ცხოველი ჰყავდა. იგი თავს ირჩენდა მხოლოდ ტყის ნაყოფითა და ნადირის ხორციით. იარაღიც მას ისეთი ჰქონდა, რომ ბუნებასთან ბრძოლაში ბევრს ვერაფერს გახდებოდა — კაქისა და ობსიდიანის (ვულკანური მინაა) ნამტვრევები, წვეტიანი ძვალი, ხის კეტი. ქვასა და ძვალს ადამიანი ტყეცავდა და ჩორკნიდა ისევ ქვით, მოსახმარ ფორმას აძლევდა მათ და ასე ამზადებდა საჭრისებს, საფხეკებს, სახერცებს. აკეთებდა ის აგრეთვე ხელის ცულს. ასეთი ტლანქად დამუშავებული იარაღის ნაშთები ბლომად არის ნაპოვნი დამავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით გამოქვაბულებში, მაგალითად — გამოქვაბულ დევის-ხერელში, ხარაგოულის მახლობლად.

ცხოვრობდნენ მაშინ პატარ-პატარა ჯგუფებად. ეს ჯგუფები ერთად მიდიოდნენ სანადიროდ, რაკი იარაღი ისეთი სუსტი ჰქონდათ, რომ მართლზეა კაცი ვერასგზით დიდ ნადირს ვერ მოერეოდა. ყოველგვარ სხვა სამუშაოსაც ადამიანები მაშინ შეტყილად საერთო ძალით ასრულებდნენ.


ტანის დასათარავად მაშინ ჩვეულებრივად ნადირის ტყავს ხმარობდნენ.

თიხის ჭურჭლის გაკეთება ჯერ არ იცოდნენ. იმდროინდელი ადამიანის ენაც განუვითარებელი იყო. ტომები ჯერ კიდევ არ არსებობდნენ. ტომები გაჩნდნენ დიდი ხნის შემდეგ.

ეს პირველყოფილი ადამიანი საქართველოშიაც, ისევე როგორც სხვაგან, იცნობდა და ხმარობდა უკვე ცეცხლს.



ამ ხანას „ძველი ქვის“ ანუ „პალეოლითის“ ხანას ეძახიან. თანდათან ადამიანმა გააუმჯობესა თავისი იარაღები, თავისი მეურნეობა. კულტურა ახალ საფეხურზე ავიდა. ეს იყო უკვე „ახალი ქვის“ ანუ „ნეოლითის“ ხანა.

გვარისა და ტომის წარმოშობა. პალეოლითის ხანაში თანდათან გაჩნდნენ გვარები — სისხლით მონათესავე ადამიანების უფრო დიდი და მკვიდრი ჯგუფები. მაგრამ ეს გვარები და მათი მეურნეობა უფრო გაძლიერდა, როცა, მრავალი ათასწლეულის შემდეგ, ადამიანი პალეოლითისაგან ნეოლითზე გადავიდა. ნელინელ ადამიანმა ისწავლა ქვის ხეხვა,



პალეოლითური იარაღი დან. საქართველოდან.

საგ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილება.



ნეოლითური იარაღი სოფ. ოდიშეიდან (სამეგრელო) თეთრამიწიდან (ქუთაისთან).

ზატ. მუზეუმის ატკ. განყოფილება.

ხერხეა და გაკრიალება. კაეზე უფრო რბილი ქვისაგან ის ეხლა აკობი-
ტებდა დიდ ცულებს, რომელსაც ყურს უკეთებდა ხის ტარისათვის. აკე-
ტებდა ის აგრეთვე სატეხებს, ხერხებსა და ბევრს სხვა იარაღს. ეხლა
მშვილდ-ისარი იქცა ადამიანის მთავარ საბრძოლ-სანადირო იარაღად.
ისარს უკეთებდნენ მაგარ წვერს, მეტწილად კაეისაგან, აგრეთვე
ძვლისაგან.

გაჩნდნენ იარაღის ოსტატები და მათი სახელოსნოები, რადგანაც ამ-
გვარი იარაღის გაკეთებისათვის დახელოვნება იყო საჭირო.

ქვის ცულით, ხერხითა და სატეხით ადამიანი უფრო კარგად ამუშა-
ვებდა ხესაც. ხისას აკეთებდნენ საოჯახო ჭურჭელს, მარხილებს, ნავებს,
ძელურ (ჯარგვალა) სახლებს. ადამიანმა ნეოლითის ხანაში ისწავლა
კალათების წვნა, ქსოვილების ქსოვა, თიხის ჭურჭლის კეთება.

ეხლა ადამიანი უფრო ძლიერი იყო ბუნებასთან ბრძოლაში, ვიდრე
პალეოლითის დროს. ის ნადირსაც უფრო ადვილად ერეოდა და უსულო
ბუნებასაც.

მონადირეობის წყალობით ადამიანმა თანდათან მოაშინაურა ცხოვე-
ლები, ყველაზე ადრე — ძაღლი, შემდეგ — ირემი, თხა და ცხვარი, ლო-
რი, ძროხა. შინაურ საქონელს ადამიანი ხმარობდა თავდაპირველად
ხორცად (საჭმელად) და შესაბამელად (ძაღლი, ირემი, ძროხა). შემდეგში
წველაც ისწავლეს.

თანდათან შეითვისა ადამიანმა მიწათმოქმედებაც. წვეტიანი ჯოხისა
და სადა თოხის საშუალებით ამუშავებდნენ მიწას და სთესდნენ ქერს,
ფეტვს, ხორბალს.

ნეოლითური იარაღები ნაპოვნია იმერეთში, სამეგრელოში, რაჭა-
ლეჩხუმში, აფხაზეთში. სამეგრელოში, სოფელ ოდიშში, აღმოჩენილია
ნეოლითური ხანის სადგომ-სახელოსნოს ნაშთი.

ნეოლითური ხანის მეურნეობის წყალობით ადამიანი უფრო ადვილად
იკვებავდა თავს და უფრო ადვილადაც მრავლდებოდა. მოსახლეობა გაზ-
ვირდა და ერთ ადგილას დაბინავდა. ხალხი ეხლა სოფლებად ცხოვრობდა.
ჩამოყალიბდნენ ტომები — გვართა კავშირები. თითოეულ ტომს საკუ-
თარი ენა ჰქონდა. ნეოლითურ ხანაში ადამიანთა საზოგადოების პირველ-
ყოფილ-თემურმა წყობილებამ განვითარებული სახე მიიღო.

§ 2. პირველყოფილ-თემური წყობილება პართველ ტომებში

პირველყოფილ-თემური წყობილება გამოვლილი აქვს მსოფლიოს
ყველა ხალხს, მათ შორის ქართველებსაც.

პართველობა. ქართველი ერი სხვადასხვა მოძმე ტომისაგან არის
შემდგარი. მთავარი ქართველი ტომები არიან: ქართვები, მეგრელები-
ქანები და სვანები. ეს ტომებიც თავის მხრივ ცალკე თემებად იყოფოდნენ. ქარ-

თების თემები იყვნენ ქართლელები, კახელები, ფშავ-ხევსურები, სთი-
ულ-მოხევეები, იმერლები, გურულები, რაჭველები, ლეჩხუმლები, აჭარ-
ლები, მესხები, ჯავახები, შავშები, კლარჯები და სხვები.

ამ დაყოფის ნაშთები დღემდე არის შემონახული, მაგრამ ისინი თან-
დათან ქრებიან. ქართველი ტომები უკვე ძველადვე დაუახლოვდნენ
ერთმანეთს. ამ დაახლოებას საშუალო საუკუნეებში ხელი შეუწყო ქარ-
თველი ტომების გაერთიანებამ ერთ სახელმწიფოში და ქართული ენის
მიღებამ საერთო ეროვნულ სამწერლო ენად. მე-19 საუკუნეში, განსა-
კუთრებით მის მეორე ნახევარში, ქართველობა კიდევ უფრო მჭიდროდ
შეკავშირდა, რადგანაც საერთო სამეურნეო და კულტურული ცხოვრება
უფრო ცხოველი და ძალუმი გახდა. მაგრამ სამეურნეო, საზოგადოებრი-
ვი და კულტურული კავშირები ჩვენს ქვეყანაში არასოდეს არ ყოფილა
ისეთი ახლობელი და მტკიცე, როგორიც არის დღეს, საბჭოთა ხელისუფ-
ლების დროს. ამიტომაც რომ ლიტერატურული ენა ესლა უფრო სწრა-
ფად ვრცელდება და კუთხური კილოკავების ადგილს იჭერს. ქრება აგ-
რეთვე ძველი კუთხური დრომოკმული ზნე-ჩვეულება, რომელიც ად-
გილს უთმობს ახალს, სოციალისტურ ყოფას.

ი. სტალინი, ერის შესახებ თავისი ღრმა თეორიის დამუშავებისა და იმ ნიშნების
დადგენისას, რომელთა ერთობლიობა ყოველ ერს უნდა ახასიათებდეს („ერი—ესაა ისტო-
რიულად ჩამოყალიბებული მყარო ერთობა ენისა, ტერიტორიისა, ეკონომიური ცხოვ-
რებისა და ფსიქიკური წყობისა, რომელიც კულტურის ერთობაში იხატება“), ასახელებს
საქართველოს, როგორც ისტორიულ მაგალითს იმ დებულებისათვის, რომ ერის სხვა
ნიშანთა გარდა „საქარაო კიდევ შინაგანი ეკონომიური კავშირი, რომელიც ერის ცალ-
კეულ ნაწილებს ერთ მთელად აშეიძრობს“. XIX საუკუნის დამდეგს საქართველოს
ბჭონდა ერის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, გარდა ეკონომიურისა.

ამხანაგი სტალინის ეს მოძღვრება საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ ქართვე-
ლობის ერად ჩამოყალიბების ზანგრძლივი პროცესი. ქართველი ტომები უხსოვარი
დროიდანვე მთლიან მასად ესახლნენ საერთო მიწა-წყალზე და მათ აღრევე დაიწყეს
თავისი ეროვნულ-კულტურული ბირთვის, ქართლის გარშემო შეკავშირება. ამ ნია-
დაზე მათ აღრევე გაუჩნდათ ერთობის შეგნება, რომელიც მომდევნო ხანაში თანდა-
თან მტკიცდებოდა და ფართოვდებოდა. ასე მაგალითად, VI — VII ს. ს. გაჩაღებულ
ქართველთა აზროვნებაში ცნება „ქართლი“ აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად
დასავლეთსაც, ეგრისსაც მოიცავდა. IX—X საუკუნეებში შორეულ სინას მთაზე გაღ-
ხეწილი ქართველი ბერები ლოცულობდნენ „ყოველთა ძმთა და ყოველთა ქრისტიან-
თა და, უფროს ყოველთასა — ყოველთა ქართველთა“-თვის (864 წლის ხელნაწერის
შინაწერი) და „ქართლისა მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა, მეფეთა და მთავართა
დაწყნარებისა, მტერთა გარემოცევისა, ტყვეთა მოქცევისა“-თვის ევედრებოდნენ
ღმერთს...

ერთობის ასეთი შეგნება ემყარებოდა არა პოლიტიკურ საფუძველს — მაშინ საქარ-
თველო ზომ კიდევ უფრო დაქუცმაცებული იყო, ვიდრე VI — VII საუკუნეებში, —
არანედ ტომობრივსა და საეკლესიო-კულტურულ ნათესაობასა და კავშირებს. 951 წელს
ცნობილი ქართველი მწერალი გიორგი მერჩული წერდა, „ქართლად ფრიადი მშვეყანა
აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულთა ენითა ეამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი
აღუსრულების“-ო, და ამრიგად მას ფაქტიურად საქართველოს საზღვრები საკუთრივ

ქართლისაგან შორს გადაჰქონდა. საქართველოს სახელმწიფოებრივმა გაერთიანებამ და დიდა ქართული სამეფოს შექმნამ ძლიერ გააფართოვა ეროვნული გაერთიანების ამ პროცესში ჩაბმული ტომების წრე და ამასთანავე საეკლესიო-სარწმუნოებრივი ზღუდეებიც გადალახა. ეს გამოიხატა, სხვათა შორის, იმაშიც, თუ როგორ განსაზღვრავდნენ ამათი ისტორიული პიროვნების ეროვნულ კუთვნილებას. თამარ მეფის ცნობილ მხედართმთავრებს, ძმებს ზაქარია და ივანე მხარგრძელებს, რომელთაც ძველი ქართველი ისტორიკოსები წარმოშობით სპარსელებად სთვლიან, ხოლო ძველი სომეხი ისტორიკოსები კი ქურთებად, იგივე წყაროები და აგრეთვე მათი თანამედროვე ევროპელი მწერლები ეროვნებით ქართველებად მიიჩნევენ, თუმცა, ყოველივე ზემოთქმულის გარდა, ერთი ძმა მართლმადიდებელი იყო. მეორე კი — გრიგორიანი. მოსკოვის არქივში დაცულ ერთს, XVII საუკუნის დამღვევის საბუთში ვკითხულობთ, „ქენეის ფაშა ტომით ქართველთა... და ბასურმანიო“, ე. ი. განჯის ოლქის, თურქების მიერ დანიშნული, მმართველი ეროვნებით ქართველი ყოფილა, ხოლო სარწმუნოებით მუსლიმანი.

ასეთსავე ფარგლებში ესახებოდათ ქართული ეროვნულ-კულტურული ერთობლიობა უცხოელ დამპყრობებლებსაც. XI საუკუნის ბიზანტიელი მწერალი იოანე ცეცესი ამტკიცებს, იბერები, აბაზგები და ალანები ერთ ხალხს შეადგენენო; ხოლო XV საუკუნის სომეხი მემატიანე თომა მეწოფელი განუმარტავს მკითხველებს, რომ „ქართველთა სახლში“, ე. ი. ქართულ ეროვნულ-კულტურულ გაერთიანებაში, შედის 8 ტომი — ქართვენი („ერაცები“), იმერლები, მეგრელები, სვანები, აფხაზები, მესხები, დვანები და ოსები. ეროვნული ერთობის ეს შეგნება შენარჩუნებულ იქნა საქართველოს სამეფოს დამოღწევის შემდეგაც, იმ ხანაშიც კი, როცა ქვეყანა ყველაზე დიდს სამეურნეო და პოლიტიკურ დაქვეითებას განიცდიდა. XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, ფ. გორგიჯანიძე, 1555 წელს ირანსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულების შესახებ რომ მოგვითხრობს, შენიშნავს: „ხოთქარსან და ყანშან საქართველო შუა გაიყვეს: სამცხე და ქართლი და კახეთი — ყანსა, იმერეთი, ოდიში და აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა — ხონთქარს“ დარჩაო.

1790 წელს ქართველმა მეფეებმა და მთავრებმა დასდეს ერთობის „საუკუნო პირობა“, რომელშიც ვკითხულობთ: „ტრაქტატი, ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული, ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქს თბილისს, 1790 წელსა. ვინაიდგან ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთმორწმუნება, არიან ძენი ერთის კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მჭონებელნი, აქვსთ მავასხებლობითიცა (ე. ი. საერთოერთო) სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისთვის ჩვენ შემოხსენებულნი ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი... აღვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა“...

ქართველი ერის ჩამოყალიბების ეს მრავალსაუკუნოვანი პროცესი დაგვირგინდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ საქართველო მთლიან სამეურნეო ერთეულად შეაჯამებინა. ასეთივე გზა განელო მსოფლიოს ყველა კულტურულმა ხალხმა: „იგივე უნდა ითქვას სხვა ერებზედაც, რომელთაც ფეოდალიზმის სტადია გაიარეს და თავიანთ ქვეყნებში კაპიტალიზმი განავითარეს“, ამბობს ამხანაგი სტალინი.

ქართველი ერის, ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპის ზოგი სხვა ერის, წარმოქმნა სრულდება ეროვნული დამოუკიდებლობის უქონლობის პირობებში: „ასე ყალიბდებიან ერებად ჩეხები, პოლონელები და სხვ.—აესტრიაში; ხორვატელები და სხვ.—უნგრეთში; ლატვიელები, ლიტველები, უკრაინელები, ქართველები და სომხები და სხვ.—რუსეთში“ (ი. სტალინი).

ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს ეამტკიცოთ, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ჩადის, თითქოს ერის წარმოქმნის პროცესი საქართვე-

ლოში, ან საერთოდ კავკასიაში, უჩვეულოს რასზე წარმოადგენდა და XIX საუკუნის ფარგლებში მიმდინარეობდა, ამ ავტორებს უთუოდ ავიწყდებათ, რომ „ეროვნულიზმმა“ მხოლოდ ხანგრძლივი და რევლუციური ურთიერთ კავშირის შედეგად დადამინათა ერთად ცხოვრების შედეგად თაობიდან თაობამდე“ (ი. სტალინი).

მაგრამ ვიდრე დღევანდელ მდგომარეობას მოაღწევდა, ქართველობამ გრძელი ისტორიული გზა გამოიარა, რამდენიმე საზოგადოებრივი წეს-წყობილება გამოიცვალა. ქართველ ტომთა განვითარების ყველაზე ადრინდელი საფეხური სწორედ პირველყოფილ-თემური წყობილება იყო.

ჩვენი წინაპრების პირველყოფილ-თემურ წყობილებას ჩვენ ვსწავლობთ იმ ნაშთების მიხედვით, რომელიც ახალ დრომდე შემოინახა ენაში, ზოგი (უმთავრესად — მთის) თემის ზნე-ჩვეულებაში და ნივთიერი კულტურის ძეგლებში.

ენობრივი ნაშთები. ასე, მაგალითად, პირველყოფილ-თემური ტექნიკის ნაკვალევია ქართულ ენაში შენახული სიტყვა „მარგვლა“. „მარგვლა“ „მარგილით“ მუშაობას ნიშნავს, „მარგილი“ კიდეც წვერ-წამახულ, წაწვეტებულ ხის ნაჭერს ჰქვია. ასეთ იარაღს ხმარობდნენ მიწის დამუშავებისათვის (უმთავრესად — რგვისათვის, მებოსტნეობაში) ძალიან ძველად, ეხლა-კი — „მარგვლას“ სიმიდის (და აგრეთვე ზოგი სხვა პურეულის) პირველ გათხნას ეძახიან. მეგრულად „ბერგი“ თოხს ეწოდება, „ბარგუა“ — თოხნას. სევანურადაც „ლი-ბარგე“ თხრას ნიშნავს, „ლი-ბერგე“ — თოხნას. ეს იგივე სიტყვებია. ძველი ტერმინი ეხლა ახალ შინაარსს გამოხატავს.

იმ შორეულ დროში ქართველი ტომები ჯერ კიდევ დაშორებული არ იყვნენ ერთმანეთს. ქართული, მეგრულ-ჭანური და სევანური ენები ერთმანეთისაგან ჯერ კიდევ არ იყო გათიშული.

დედისა და მამის გვარის განვითარება. ცხოვრობდნენ მაშინ ქართველები ცალკე „სახლებად“. „სახლი“ (ქანურ-მეგრულად „ოხო-რი“, სევანურად „ლახორ“ ანუ „ლალხორ“) ერთი დიდი ოჯახი იყო, რომელიც მხოლოდ ნათესავეებისაგან (დედით ნათესავეებისაგან) შესდგებოდა და ერთ ჭერ ქვეშ, ერთ სახლში ცხოვრობდა. სახლების კრებული შეადგენდა ცალკე თემს, თემთა კრებული-კი — „ნათესავს“ ანუ ტომს. ეს სახლები უკვე ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ. მათი მეურნეობის მთავარი დარგი მიწათმოქმედება იყო, ჯერ უბირატესად — მებოსტნეობა, შემდეგ — მემინდვრობაც. ასეთ მეურნეობას ქალები უძღვებოდნენ, და სახლის სათავეშიაც უფროსი ქალი იდგა, რომელიც „დიასახლისად“ იწოდებოდა. დიასახლისი განაგებდა სახლის ყველა საქმეს. დედის გვარის წყობამ ანუ მატრიარქატმა ძალიან გაიდგა ფესვები ქართველ ტომებში და ზალხის მერმინდელ შეგნებასა და ზნე-ჩვეულებაშიაც ღრმა კვალი დასტოვა. იმდროინდელი წესწყობილების ნაშთია, მაგალითად, ის ტერმინი, რომელიც დღესაც იხმარება ქართულ ენაში — „გუთნის-



სოფლის ყრილობის მოწვევა ბუკით ძველად სვანეთში.

საქ. მუზეუმის ფონ. განუყოფილება.

დგდა“. ეს ტერმინი იმაზე მიუთითებს, რომ თავის დროზე უპირატესობა ხენა-თესვის საქმეში დედაკაცს ეკუთვნოდა. შემდეგ, მესაქონლეობისა და სამხედრო საქმის განვითარებასთან ერთად, მეთაურობა მამაკაცების ხელში გადავიდა და დიასახლისის ადგილი „მამასახლისმა“ დაიკირა. ტომსაც ჰყავდა ამორჩეული მმართველები, სატომო საბჭო, ტომის წინამძღოლები, ცალკე — სამხედრო საქმისათვის, ცალკე — სამოქალაქოსათვის, და სხვები.

კერძო საკუთრება მაშინ არ არსებობდა. მიწა საზოგადო საკუთრებას შეადგენდა და მას საზოგადო ძალით ამუშავებდნენ.

არც ცალკე ჯარი არსებობდა მაშინ. თვითონ ხალხი იყო ჯარი. ამიტომაც რომ ძველ-ქართულად სიტყვა „ერი“ ხალხსაც ნიშნავდა და ჯარსაც.

ერისშვილები საცესებით თანასწორი იყვნენ და მათ ერთმანეთშიაც დიდი ერთობა ჰქონდათ.

თემური წყობილების გადმონათობი ქართველ მთიელეზ-ში. თემური წყობილების ნაშთებმა ჩვენს მთიელებში მე-19 — მე-20 საუკუნემდისაც მოაღწია. დიდმა ქართველმა მწერლებმა ვაჟა-ფშაველამ და ყაზბეგმა მხატვრულად აგვიწერეს ხევსურული, ფშაური, მოხეუ-



სვანური სახალხო დროშა „ლემ“ — ლომი (იბერება ქარისაგან
მედროშე მხედრის მოძრაობის დროს).

საქ. მუხეშის ეთნ. განყოფილება.

რი თემი. თემის „რჯული“ და ყრილობა, სისხლის აღება, უფროს-უმცროსობა, სტუმარ-მასპინძლობა, რასაც ჩვენ გვიხატავენ ვაჟა და ყაზბეგი, სწორედ თემური წყობილების ნაშთებია.

სვანეთშიაც, ე. წ. თავისუფალ ანუ უბატონო სვანეთში, რომელსაც მდ. ინგურის სათავეები ეჭირა, თემური წყობილების ნაშთები კარგად იყო შემონახული წარსული საუკუნის დამლევამდე. აქ რამდენიმე სოფლის კავშირი შეადგენდა თემს. თემს სათემო ყრილობა ანუ, სვანურად, „ლუ-ზორ“, „ლუხორ“ განაგებდა. სათემო ყრილობა შესდგებოდა თემის ყველა მამაკაცისაგან, ოცი წლის ასაკიდან მოკიდებული. თუ კომლში სრულწლოვანი ვაჟკაცი არ იყო, მაშინ სათემო ყრილობაში კომლის სახელით ქალი მონაწილეობდა. სათემო ყრილობა განაგებდა თემის ყველა საქმეს და თავისი მოქმედებისათვის ანგარიშს არავის აძლევდა. სამართალიც მის ხელში იყო. სათემო ყრილობა არჩევდა ისეთ საქმეებს, როგორიც იყო: მეზობელ ტომებთან ზავის დადება თუ ომის დაწყება, კავშირის შეკვრა სხვა თემებთან, სასჯელი ქურდობისათვის და მამა-პაპური ადათების დარღვევისათვის, კომლებზე გადასახადების გაწერა, როცა ტყვედ ჩავარდნილი თემის შვილი იყო დასახსნელი, ანდა თემის წევრის მიერ მოკლული მტრის სისხლი უნდა ეზღოთ. დანაშაულისათვის სათემო ყრილობას შეეძლო ერთი ან რამდენიმე კომლი აეყარა თავისი ადგილიდან, ამოეწვა მათი კარ-შიდამო, გაეძევებინა საზოგადოებიდან მათგან პირები და სიკვდილითაც-კი დაესაჯნა ისინი. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად ითვლებოდა „თემის გატეხა“, „ქვეყნის ღალატი“ — ესე იგი, თუ ვინმე ეცდებოდა, რომ თავისი თემი მეზობელი თავადისათვის ან უცხო ტომებისათვის დაემორჩილებინა, და, აგრეთვე, ღვთის გმობა. სიკვდილით თემი მაინც იშვიათად სჯიდა. უდიდესი სასჯელი თემიდან გაძევება იყო, — ასეთი გაძევებული ადამიანი მიუსაფა-

რი იყო, მას მოსაჩილე აღარავინ ჰყავდა. სამაგიეროდ, ბოროტმოქმედებაც იშვიათად ზღებოდა თემში, წესრიგის შეგნება და სათანადო აღათები ზალხს ძვალ-რბილში ჰქონდა გამგდარი.

საქართველოს
საზოგადოებრივი

თემის სათავეში „მახვში“ იღბა, რაც სევანურად უფროსს ნიშნავს. მახვში იყო სათემო ყრილობის თავმჯდომარე და თემის უმაღლესი მოხელე. მახვშის უვადოდ ირჩევდნენ და თუ ის ღირსეული აღმოჩნდებოდა, ღრმა მოხუცებამდე უძღვებოდა თავის თანამდებობას, თუ არა და—ზალხს ყოველთვის შეეძლო მახვში გადაეყენებინა. მახვშის თანამდებობაზე ირჩევდნენ ხანში შესულს, გამოცდილს, გონიერს, გულადს, პატიოსანსა და თემის ერთგულ კაცს. მახვშის არჩევნებში მონაწილეობდა თემის ყველა სრულწლოვანი წევრი, მათ შორის—ქალებიც. როგორც არჩევნებისათვის, ისე თემის ყრილობისათვის საზოგადოდ ერთი მოედანი იყო განკუთვნილი. ზალხს ყრილობაზე გრძელი სპილენძის ბუკის დახლით ჰკრეფდნენ. მახვში ყრილობის დაუკითხავად არაფერს აკეთებდა, მაგრამ მას დიდი გავლენა და პატივისცემა ჰქონდა მოხვეჭილი. ვიდრე ყრილობაში საქმეს გამოიტანდა, მახვში ჯერ გამოცდილსა და სანდო პირებს დაეთათბირებოდა. ყრილობას შეეძლო მახვშის აზრი მიეღო ან არ მიეღო, როგორც საჭიროდ დაინახავდა.



ქართული ზალხური (მეგრული) ორნამენტი
ხეზე (ყარი).

ხატ. მუზეუმის ეთნ. განკ.

მახვშის გარდა თემს მოსამართლეებიც, „მორვარები“, ჰყავდა არჩეული. სასამართლოშიაც მთავარი როლი მახვშის ჰქონდა დაკისრებული. სასამართლოს განაჩენს მომჩივანიცა და მოპასუხეც სიტყვის შეუბრუნებლად ემორჩილებოდნენ.

თემთა კავშირი შეადგენდა „ხევს“ ანუ „ხეობას“. ძველად მას სვანეთში „სვანეთის ერთობილ ხევს“ ან „სვანეთის ბედნიერ ხევს“ ეძახდნენ. ხევსაც ჰქონდა თავისი ყრილობა. ხევის თავყრილობა ცალკე თემების მახვშებისა და „ჩენილებისაგან“ ანუ წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა. განსაკუთრებულ შემთხვევებში-კი თემის თავყრილობას ყველა კომლის წარმომადგენელი ესწრებოდა. ასე მოხდა 1875 წელს, როცა სვანებმა აჯანყების დროშა ააფრიალეს რუსეთის მეფის მთავრობის წინააღმდეგ.

საერთო წესწყობილებას შეეფერებოდა თემის წევრების უფლებამოვალეობაც. ყოველი სვანი მოვალე იყო თავისი თემის სახელი და ღირსება დაეცვა და საერთო მტრისათვის პასუხი გაეცა. სამაგიეროდ, თვითონაც თემისაგან ყოველნაირ შემწეობას იღებდა. გადამწვარს, მაგალითად, თემი ეხმარებოდა. თითოეული მოსახლე მას თავისი მოსავლის ნაწილს უთმობდა. სახლის შენებისას საშენებელი მასალა მოჰქონდათ და სხვა მხრივაც ეშველებოდნენ. უპატრონო მოხუცებს, ავადმყოფებსა და ღატაკებს თემი უვლიდა. გაჭირვებული კაცის სათხოვარს თემი მაშინაც თანაგრძნობით ეკიდებოდა, როცა ეს კაცი სხვისი თემისა იყო, ხოლო თავის თემის კაცს უცხოის წინააღმდეგ თემის კაცი მაშინაც უნდა დახმარებოდა, როცა ამათ შორის მტრობა იყო.

თემის კაცის, თავისუფალი სოფლის მეურნის ნათქვამია ეს ხალხური ლექსი:

არც არავის ყმა ვყოფილვარ,
არც არავინ ყმად მყოლია,
ძველი პური, ძველი ღვინო
წლით-წლობამდე გამყოლა.

მაგრამ სვანებმა ამ თემებში უკვე იყო კერძო საკუთრების შესამჩნევო ჩანასახი შემოპარული. სათემო წესწყობილება ყველგან ირღვეოდა და მის ადგილს უფრო მოწინავე წყობილება იჭერდა. მათში ის მხოლოდ უფრო გვიან დაემხო.

სვანებისა და სხვა ქართველი მთიელების თემები იმის ნიმუშია, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საერთოდ თავის დროზე, ძალიან ძველად, საზოგადოებრივი წყობილება ყველა ქართველ ტომში, ვიდრე მათში კლასები და სახელმწიფო გაჩნდებოდა.

§ 3. პირველყოფილ-თემური წარმოშობის დაკლვება.
საზოგადოებრივი კლასებისა და სახელმწიფოს
წარმოშობა



ლითონის იარაღის შემოსვლა. თანდათან გამოიცვალა ჩვენი წინაპრების პირველყოფილ-თემური ცხოვრება. შემოვიდა ლითონის იარაღი, ჯერ სპილენძის, შემდეგ — ბრინჯაოსი (სპილენძისა და კალის შენადნობი) და, ბოლოს, რკინისაც. ქართველმა ტომებმა ადრე ისწავლეს ლითონის დამუშავება. ამიტომ ქართველი ტომების ისტორიაში ლითონის იარაღის გავლენაც უფრო ადრე გამოჩნდა.

ბრინჯაოს და, განსაკუთრებით, რკინის იარაღმა ადამიანის შრომა უფრო ნაყოფიერი გახადა. ვისაც ეხლა ხელში ასეთი იარაღი ექირა, ის მუნებასთან ბრძოლაშიაც უფრო ღონიერი იყო, ვიდრე ძველად — ქვისა და ხის იარაღების დროს. ამიტომ ხალხი უფრო შემძლებელი და მდიდარი გახდა და უფრო ადვილადაც მრავლდებოდა.

კერძო საქუთრების ჩანასახი. თანდათან ჩნდებოდა კერძო საკუთრებაც. ყველაზე ადრე კერძო საკუთრების საგნად იარაღი იქცა. იარაღს ადამიანი იმიტომ იჩემებდა ძველად, რომ უფრო ხშირად თვითონ აკეთებდა მას, მუდმივ თან ატარებდა და ხმარობდა.

იარაღს ძველ-ქართულად „ჭურჭელი“ ერქვა. ძველი ქართველის კერძო ქონება და სიმდიდრე სწორედ „ჭურჭელი“ იყო. ამიტომაც რომ შემდეგშიც „საჭურჭლეს“ ეძახდნენ იმ საგანძურს, სადაც კერძო პირები და მეფეები თავის სიმდიდრეს ინახავდნენ ხოლმე.

შრომის განაწილება და აღებ-მიცემა. ლითონის იარაღის გავრცელება ყველას არ შეეძლო. ზოგი გულდაგულ სწავლობდა მკვდლობას და შემდეგ თავს ამ ხელობით იჩენდა. ვისაც იარაღი სჭიროდა, მაგრამ მისი გაკეთება არ შეეძლო, ის მკვდელთან მიდიოდა, იარაღსა სთხოვდა და სამაგიეროს აძლევდა, რაც თვითონ ებოძა, — შინაურ პირუტყვს, პირნახულს ან სხვა რამე საგანს. გარდა ამისა, გაჩნდა ბევრი სხვა ხელობაც. ზოგი წისქვილის ქვის კეთებაში დაოსტატდა, ზოგი — თიხის ჭურჭლისაში. სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირი ბუნება იყო და ამ ბუნებასთან შეგუებით — საქმიანობაც სხვადასხვანაირი. ზოგან ლითონის მაღანს სთხრიდნენ, ზოგან ქვა-მარილს იღებდნენ. ერთგან მესაქონლეობა უფრო ხელსაყრელი იყო, კარგი საძოვრებში წყალობით. მეორეგან მიწათმოქმედებას უფრო ადვილად უძღვებოდნენ. ნოყიერი ნიადაგის გამო. მაგრამ მეჯოგეს პური აკლდა ხოლმე; ლითონი იქაც სჭიროდათ, სადაც მისი მალაროები არ მოიპოვებოდა; უმარილოდ ზომ ხალხს გაძლება არ შეეძლო. ამიტომ ესენიც ერთმანეთში გაცვლა-გამოცვლას აწარმოებდნენ. ასე გაჩნდა აღებ-მიცემა. უკვე უძველეს დროში ქართველ ტომებს აღებ-მიცემა ჰქონიათ შორეულ ქვეყნებთანაც.

პირველყოფილი ფული. ვაჭრობდნენ ჯერ უბრალო გაცვლის სახით, შემდეგ გაჩნდა „ფული“. ფული სხვადასხვანაირი იყო. ასე, მაგალითად, ფულად იყენებდნენ ძველად შინაურ რქოსან პირუტყვს, „ზროხას“. გამოითვლიდნენ რამდენ „ზროხას“ უდრიდა ორივე გასაცვლელი საგანი და ისე სცვლიდნენ. თუ ერთ მხარეს სათვალავში აკლდებოდა, იგი „სართს“ აძლევდა, უმატებდა. ძროხებით ანგარიშობდნენ ხევსურები მე-19 საუკუნეშიაც. ჯოგი მაშინ დიდ სიმდიდრედ ითვლებოდა და ისიც კერძო ქონების საცავად გადაიქცა.

მონობის გაჩენა. რაგი ვაჭრობას სარგებელი მოჰქონდა, ამიტომ ვისაც შეეძლო, ცდილობდა მეტი პროდუქტი დაემზადებინა გასასყიდად, მაგალითად — მეტი სპილენძის მადანი და ქვა-მარილი ამოეღო, ან მეტი პური მოეყვანა. მეტი პროდუქტის დამზადებას მეტი მუშა სჭიროდა. თუ სახლში ბევრი მუშახელი იყო, ხომ კარგი, თუ არა და იგი სადმე სხვაგან უნდა ეშონათ. შეიძლებოდა, ძალა დაეტანებინათ და მუჭოდ ემუშავებინათ უცხო კაცი, თუ-კი იგი ხელში მოხვდებოდათ. ასეთი უცხო კაცი იყო ტყვე.

მაშინ ომიანობა ხშირი იყო. მეზობელი ტომები თავს ესხმოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა მიზეზით, უფრო ხშირად-კი სიმდიდრის მოტაცების გულისათვის. ასეთს მოტაცებულ სიმდიდრეს შეადგენდა „ტყვეც“, ცოცხალი ადამიანი. ვისაც სახლში ზედმეტი საქმე ჰქონდა გასაცემებელი, ის ამ ტყვეს ამუშავებდა პირუტყვსავით. ამგვარ მუშა ტყვეს „მონა“ დაერქვა. ასე გაჩნდა მონობა.

საზოგადოებრივი უთანასწორობის განვითარება. მონობას მოჰყვა უთანასწორობა ადამიანებს შორის. მონების პატრონი, მონათმფლობელი, მონას უყურებდა როგორც პირუტყვს: თუ მოისურვებდა, გაჰყიდა მონას ან მოჰკლავდა კიდეცაც, პასუხს მას ვერავინ მოსთხოვდა. მონათმფლობელის მეზობლები, ვისაც მონები არა ჰყავდა და არც სიმდიდრე ჰქონდა დაგროვებული, მონათმფლობელებთან შედარებით დაჩივდნენ და დაუძლურდნენ. თანდათან მონობა მოედო ტომის თავისუფალ წევრებსაც, ერისშვილებს. ღარიბი მდიდრისაგან სესხად პურს აიღებდა და თავდებობისათვის დროებით მონად დაუდგებოდა. ასეთს დროებით მონას მანამ უნდა ემუშავნა მასესხებლის სასარგებლოდ, სანამ თავის ვალს არ გაისტუმრებდა. ხშირად ხდებოდა, რომ დროებითი მონა ვალიდან ველარ ამოდიოდა და სამუდამო მონად იქცეოდა.

სახელმწიფოს წარმოშობა. მდიდრებმა თანდათან იარაღსა და მონებს გარდა ჯოგები, ცალკე მიწის ნაკვეთები და სხვა ქონებაც დაისაკუთრეს. გაჩნდა მტრობა და სიძულვილი მონათმფლობელებსა და მონებს შორის, მდიდრებსა და ღარიბებს შორის. მონათმფლობელებისა და მდიდრების უსამართლობა და სისასტიკე ძნელი ასატანი იყო, და ხალხი მათ ხშირად შავ ღღეს აყენებდა ხოლმე. მონებიც ყოველთვის თავისუფლებაზე ფიქრობდნენ, თვალი გაქცევისაკენ ეჭირათ. ამიტომ მდიდარი

მონათმფლობელები ერთმანეთში შეკავშირდნენ, თვითონაც კარგად შეიარაღდნენ და ცალკე შეიარაღებული რაზმებიც გაიჩინეს, რომ ურჩობა ველარავის გაგებდნა და მონებსაც წინააღმდეგობა ველარ გაეწიათ. ხალხის არჩეული წინამძღოლების ადგილი თანდათან დაიჭირეს მთავრებმა და მეფეებმა, რომელნიც მემკვიდრეობით გადასცემდნენ ხოლმე თავის ხელისუფლებას. მთავრებმა და მეფეებმა ნელინელ ხალხური სამართალი მოშალეს და ხალხის მოხელეები მოსპეს, მათ ადგილას-კი საკუთარი მოხელეები და სასამართლო გაიჩინეს და საპყრობილეები მოაწყვეს. ამ საპყრობილეებში იმათ ამწყვდევენ, ვინც მეფე-მთავრებს ეურჩებოდა. თავისი პირადი შეიარაღებული მცველების გარდა, მეფე-მთავრებმა ხალხისაგან გამოყოფილი ცალკე ჯარიც შეადგინეს. კარგად შეიარაღებული, გაწვრთნილი ჯარი საჭირო იყო გარშემოხვეული მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგაც, საკუთარი მიწა-წყლისა და სარჩო-საბადებლის დასაცავად, ან სხვისი მიწა-წყლის დასაპყრობად. ასე გაჩნდა სახელმწიფო.

უძველესი სახელმწიფოები მონათმფლობელური სახელმწიფოები იყო. ეს სახელმწიფოები ჯერ პატარა იყო და სუსტი, მაგრამ შემდეგში ისინი თანდათანობით გაიზარდნენ.

§ 4. ქართველ ტომთა წარმოშობა. ხეთურ-იბერული გვარტომობის ხალხები

ქართველები წარმოშობით წინა აზიის ძველს მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან.

უძველეს ხანაში, ამ ხუთი-ექვსი ათასი წლის წინათ, ხ ე თ უ რ ი ბ ე რ უ ლ ი გვარტომობის, ერთმანეთის მონათესავე, ხალხებს ვრცელი მიწა-წყალი ეჭირათ წინა აზიაში და, აქედან დასავლეთისაკენ გავრცელების შედეგად, აგრეთვე აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე და სამხრეთ ევროპაში.

ევროპაში ამ გვარტომობის ხალხები წინ უსწრებდნენ შემდეგ მოსულ ინდოევროპელებს, რომელთაც დამხვდური მოსახლეობისა და მისი განვითარებული კულტურის ძლიერი გავლენა განიცადეს.

ასე იყო პ ი რ ე ნ ე ს ანუ ი ბ ე რ ი ძ ნახევარკუნძულზე, სადაც ძველი ი ბ ე რ უ ლ ი მოსახლეობის შთამომავალნი, ბ ა ს კ ე ბ ა დ წოდებულნი, დღემდე არიან შემორჩენილნი; ასევე მოხდა ა პ ე ნ ი ნ ი ს ნახევარკუნძულზე, სადაც ე ტ რ უ ს კ ე ბ მ ა შექმნეს იტალიის უძველესი ცივილიზაცია, რომელმაც შემდგომ მძლავრი ზემოქმედება იქონია რომის კულტურაზე. დასასრულ, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გვიან მოსულს ინდოევროპელ ბერძნებსაც პ ე ლ ა ზ გ ე ბ ი ს პირვანდელი დაწინაურებული მოსახლეობა დახვდათ.

ამ ხალხთა მიერ შექმნილ მაღალი კულტურის კერათაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად წინააზიური კერები უნდა ჩაითვალოს. წინა აზიაში ადრე განვითარდა სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა და ხელოვნება; ადრე ჩაისახა სახელმწიფოებრიობა. ეფრატისა და ტიგროსის აუზთა ქვემო ნაწილში ს უ მ ე რ ე ბ მ ა ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულში განავითარეს საქალაქო ცხოვრება, საფუძველი ჩაუყარეს სახელმწიფოს და გამოიგონეს მსოფლიოში უძველესი დამწერლობა — ჯერ იეროგლიფური, ხოლო შემდეგ ლურსმული.

წინა აზიამ უდიდესი როლი ითამაშა კულტურის ისტორიაში. აკადემიკოსი ტ უ რ ა ე ვ ი, გამოჩენილი რუსი მეცნიერი და ერთი უდიდესი სპეციალისტთაგანი ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა — ამ, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, „კაცობრიობის ისტორიის პირველი თავისა“ — ამბობს: „სრულიად უეჭველია ხმელთაშუა ზღვის სამყაროს აღმოსავლეთ კუთხეში განვითარებულ ცივილიზაციათა უზარმაზარი გავლენა მთელს მეზობელ რაიონზე და ისტორიის მთელ მიმდინარეობაზე, ვიდრე დღევანდლამდე“.

წინა აზიის მოსახლეობის სიმდიდრე ძველი დროიდანვე იზიდავდა უცხოელ ველურ ტომებს. ამ მეჯოგე ტომების შემოსევების წყალობით თანდათან შეიზღუდა მკვიდრი, ძველი მოსახლეობის სამფლობელო. მე-2 ათასწლეულის დამდეგს, ძველი წელთაღრიცხვით, წინა აზიის მკვიდრი ხალხებიდან ცნობილი იყვნენ ხ ე თ ე ბ ი და ს უ ბ ა რ ე ბ ი. ხეთები და სუბარები ქართველების წინაპრები არიან.

ხალხთა ამ გვარტომობას ჩვენ ხ ე თ უ რ ი ბ ე რ უ ლ ს ვუწოდებთ, ვინაიდან მისი მთავარი წარმომადგენლებია: მცირე აზიაში — ხ ე თ ე ბ ი, ევროპაში — ი ბ ე რ ე ბ ა და მესოპოტამიიდან კავკასიამდე — ი ბ ე რ ს უ ბ ა რ ე ბ ი.

მეცნაერებაში ჯერ კიდევ არაა მიღწეული სრული ერთსულოვნება ხალხთა ამ გვარტომობის სახელწოდების გარშემო. გამოჩენილი საბჭოთა ენათმეცნიერი, აკადემიკოსი ნ ი კო მ ა რ ი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ გვარტომობის შესწავლის საქმეში, მას ი ა ფ ე ტ უ რ ს უწოდებდა; მაგრამ შემდეგში იგი მცდარ გზას დაადგა და განაცხადა, რომ განვითარების გარკვეულს, ძველ საფეხურზე მსოფლიოს ყველა ენა იაფეტურა იყო. თანამედროვე დიასკოლით ევროპის ორიენტალისტები ამ ხალხებს ა ზ ი ა ნ ი ე ტ უ რ ს უწოდებენ. ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა, ძველი აღმოსავლეთის მკვლევარმა ფ რ. ჰო მ ე ლ მ ა ამავე მიზნით ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს შემოიღო ტერმინი ა ლ ა რ დ ი უ ლ ი; იგივე ზოგჯერ იყენებდა აგრეთვე ტერმინებს ა ლ ა რ დ ი უ ლ ბ ე ლ ა ზ გ უ რ ი და ხ ე თ უ რ ა ე ლ ა ზ გ უ რ ი. აკად. ტ უ რ ა ე ვ ი ხ ა ნ ხ ე თ უ რ ს ხმარობს და ხ ა ნ, ჰომელის მიბაძვით, ა ლ ა რ დ ი უ ლ ს.

იმავე დროს მეცნიერულ ლიტერატურაში ხშირად შეგვხვდება გამოთქმა ი ბ ე რ უ ლ ი, როგორც, ერთი მხრით, ქართულისა და მისი მონათესავე ენების და, მეორე მხრით, ევროპის უძველესი მოსახლეობის აღსანიშნავი სახელწოდება. ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი სწერს ამ „იბერიული რასის“ შესახებ და ამბობს, რომ მისი „უკანასკნელი წარმომადგენლები (ევროპაში) ამჟამად ბასკები არიან“.

ხეთები და სუბარები. ხეთები მოსახლეობდნენ მცირე აზიაში. მა-

თი დედაქალაქი მე-3 ათასწლეულიდან იყო ხ ა ტ უ ს ი. დედაქალაქის მიხედვით თვით ხალხსაც ხატები ანუ ხეთები შეარქვეს. სუბარებს, რომელნიც ხეთების მეზობლები იყვნენ აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით, ეპირათ ტერიტორია ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოყოლებული კავკასიონამდე. სუბარების ქვეყნის სამხრეთ რაიონებს ჰ ა რ ი-ს ეძახდნენ.

ამ ხალხების სახელმწიფოებრიობასა და კულტურას ჯერ კიდევ მე-3 ათასწლეულში ჰქონდა მნიშვნელოვანი წარმატება მოპოვებული, მაგრამ უფრო კარგად ვიცნობთ ჩვენ მათ მე-2 ათასწლეულში, როცა ხეთები და სუბარები ერთმანეთს ეცილებიან პირ-

ველობისათვის აღმოსავლეთში. ამ მეტოქეობაში უპირატესობა ჯერ ხეთებს დარჩათ. მე-18 საუკუნეში ხეთის სამეფომ დიდ ძლიერებას მიაღწია, ხოლო იმავე საუკუნის დამლევს პირველი ადგილი სუბარებმა დაიჭირეს. სუბარებმა ამ დროს მთელი გადატრიალება მოახდინეს სამხედრო საქმეში: მათ შემოიღეს მსუბუქი ორთვალა საბრძოლო ეტლი, რომელშიაც ცხენს უბამდნენ; მათი ლითონის საჭურველი საუკეთესო იყო იმ დროის კვალობაზე და ნაწილობრივ უკვე შეიცავდა რკინის ფარას. რკინას იმ ხანაში მხოლოდ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მთიან რაიონებში ამუშავებდნენ. სუბართა რაზმები შორეულ ქვეყნებს აღწევდნენ. სუბარებმა დააარსეს მიტანის სახელმწიფო, თავის გავლენას დაუმორჩილეს მთელი აღმოსავლეთი და რამდენიმე საუკუნე მორჩილებაში ჰყავდათ თვით ასურეთიც. მიტანმა დაიპყრო სირია და წარმატებით ებრძოდა შორეულ ეგვიპტესაც. ცნობილია, რომ მე-2 ათასწლეულის პირველ ნახევარში ეგვიპტე დაიპყრო აზიიდან შესეულმა ხალხმა, რომელმაც შეიტანა ეგვიპტეში საომარი ეტლი. თვით ცხენიც ეგვიპტელებმა პირველად ამ დროს გაიცნეს. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ამ დიდი მოძრაობის სათავეც სუბარეთში უნდა ვეძიოთ.

მე-14 და მე-13 საუკუნეებში აღმოსავლეთის პოლიტიკურმა ცენტრმა კვლავ ხეთის სამეფოში გადაინაცვლა. ხეთებმაც დიდად გააფართოეს თავისი სამფლობელოს საზღვრები აღმოსავლეთისაკენ, მესოპოტამიაში, და სამხრეთისაკენ — სირიაში, სადაც ისინი იმავე ეგვიპტეს ეცილებიან



მამაკაცი-სფინქსი.

სუბარული ქანდაკება თელ-ჰალაფიდან, გოეტესს გამოცემით.

ბატონობას. მე-14 საუკუნის მიწურულისათვის ხეტებმა სძლიეს ეგვიპტელებს და სირია დაინარჩუნეს. ხეტები იყვნენ არა მარტო კარგი მებრძოლები, არამედ იმ დროის საუკეთესო დიპლომატებიც. ხანგრძლივ ბრძოლას ეგვიპტე-ხეთას შორის მსოფლიო პირველობისათვის ბოლო მოუღო ხეთის მეფემ ხატუშილ მესამემ, რომელმაც 1278 წელს ფარაონთან ხელშეკრულება დასდო სამუდამო მეგობრობის შესახებ. ეს შესანიშნავი დოკუმენტი მოღწეულია ჩვენამდე და საერთაშორისო სამართლის ფუძემდებელ ძეგლად ითვლება.

მე-13 საუკუნის დამლევს აღმოსავლეთში კვლავ დიდი ცვლილებები ხდებოდა, რაც ხალხთა მოძრაობითა და მძაფრი შეხლა-შემოხლით არის გამოწვეული. ამ ამბებში ხეთის სამეფო დაემხო. ხეთა-სუბარეთის მოსახლეობა მრავალ წვრილ სამთავროდ დაიქსაქსა.

კულტურა და იდეოლოგია. სახელმწიფოებრიობა. ხეთა-სუბარეთის ქვეყნებს იმ დროის კვალობაზე მოწინავე მეურნეობა ჰქონდათ. კულტურული მცენარეების გაშენებაში ამ ხალხებს დიდი ღვაწლი მიუძღვით კაცობრიობის წინაშე. კერძოდ — ხორბლის ერთი მთავარი საშობლო ხეთა-სუბარეთია. მევენახეობის ერთი ყველაზე უფრო აღრინდელი კერათაგანიც ეს ქვეყნებია. თავი ისახელეს ხეთურ-სუბარულმა ხალხებმა თავისი შინაური საქონლითაც.

აღრევე განვითარდა აქ ლითონის დამუშავების საქმე, ჯერ ბრინჯაოს და შემდეგ რკინის მეტალურგია. ხეთა-სუბარეთი მდიდარი იყო სპილენძის, რკინის, ვერცხლის და სხვა ლითონების მადნებით. ლითონები სხვა ქვეყნებში გაჰქონდათ დაუმუშავებელი სახითაც. ვაჭრობდნენ შორეულ ქვეყნებთან ბევრი სხვა საგნითაც. ეგვიპტეში, მაგალითად, სუბარეთიდან გაუტანიათ საბრძოლო ეტლების წარმოებისათვის საჭირო არყისა და იფნის ხე. ეს ხეები სუბარეთზე სამხრეთით აღარ იზრდება. ზოგი მეცნიერი ფიქრობს, რომ სუბარეთიდან ეგვიპტეში მზა ეტლებიც გაჰქონდათ.

ხეთურ-სუბარული ლითონის მადაროები უფრო მეტად ადგილობრივ ხელოსნებს აწვდიდა მასალას. ხელოსნური წარმოება მაღალ დონეზე იდგა. ხელოსნურ წარმოებასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხელოვნება.

ლითონის, თიხის, ხისა და სხვა ამგვარი მასალის ნახელავს სათანადო ჩუქურთმებითა და მოხატულობით ამკობდნენ. მოღწეულია ხეთურ-სუბარული ხელოვნების დამოუკიდებელი ძეგლებიც, მაგალითად, ქანდაკებები. ხეთურ-სუბარულ ხელოვნებაში უფრო ხშირად გამოსახულია ცხოველები (მაგ., ლომი) და ზღაპრული არსებები, რომელთა ტანი ადამიანისა და რომელიმე ცხოველისაგან, ან სხედასხვა ცხოველისაგან (ლომი და ხარი, ფრინველი, თევზი და მორიელი) არის შედგენილი. ზოგჯერ კიდევ ერთ ტანს რამდენიმე თავი აქვს გამოზმული; ხშირია აგრეთვე სიცოცხლის ხე, ფრთოსანი არსებები და, განსაკუთრებით, ფრთო-



ფრთოსანი მზის ღისკო ხელთ უჭირავთ ზღაპრულ არსებებს.


შუაში გამოსახულია თაყვანისმცემელი მამაკაცია.

სუბარული ქანდაკება თელ-ქალაფიდან, გოეტყეს გამოცემით.

სანი მზე. სუბარული მოხატული თიხის ქურქელი საუკეთესო იყო მთელს წინა აზიაში. ხეთურ-სუბარული სტილის შენობა, „ხილანი“, გავრცელდა მეზობელ ხალხებში თვით ამ სიტყვასთან ერთად, რომელიც ქართულ „ხულა“-ს მოგვაგონებს. სუბარულმა ხელოვნებამ დიდი გავლენა მოახდინა სხვა ხალხების ხელოვნებაზე და თვით საბერძნეთში შეიქრა.

ხშირად გამოსახავდნენ ხეთა-სუბარები თავიანთ ღმერთებსაც. უზენაეს ღვთაებად ითვლებოდა მზე, რომელიც ქალ-ღმერთი იყო. მზის მეუღლედ მიაჩნდათ ავღრიის ღმერთი, ვაჟი-ღვთაება. მათ ჰყავდათ მრავალი შვილი, რომელთაგანაც ხეთაში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა ნაყოფიერებისა და მცენარეების ღმერთი ტელეფინუ. თაყვანს სცემდნენ აგრეთვე სხვადასხვა ბუნებრივ მოვლენას, მთას, წყაროს, ყვავილებს. ხეთურ ხელოვნებაში ღმერთები ჩვეულებრივ გამოსახული არიან, როგორც წმინდა ცხოველებზე — ვეფხეზე, ხარზე — და მალღობებზე მდგომარენი.

ღმერთების თაყვანისცემასთან დაკავშირებული იყო სხვადასხვა სარწმუნოებრივი თქმულება. თქმულებაში ტელეფინუს შესახებ მოთხრობილი იყო, თუ როგორ გაუჩინარდა ეს ნაყოფიერებისა და მცენარეების



„გმირთ-ნაკვეთის“ კარი. სოფ. ჩოლაუი, მდ. ქციის (ხრამის) ხეობა.

ლ. მელიქსეთ-ბეგის გამოცემით.

ღეთაება, როგორ მოკვდა და დაიშრიტა ამის გამო სიცოცხლე მთელ ბუნებაში, შეწუხდნენ ადამიანები და ღმერთები უნაყოფობითა და უქმელ-უსმელობით და, დასასრულ, როგორ ეძებდნენ ღმერთები და მორწმუნენი დაკარგულ ტელეფინუს.

მეორე თქმულება მოუთხრობდა ავდრის ღმერთის ბრძოლის შესახებ გველეშაპის წინააღმდეგ.

ხეთა-სუბარებს ჰქონდათ ორგვარი დამწერლობა: ერთი — ლურსმული, მეორე — ხატოვანი (პიეროგლიფური). ლიტერატურული დარგებიდან განსაკუთრებით განვითარებული იყო ისტორიული და იურიდიკული მწერლობა. მხატვრული მწერლობიდან გაერცელებული ყოფილა მსოფლიოს უძველესი ეპოსი გილგამეშის, რომელიც წინა აზიის ორიგინალური კულტურის ნიადაგზე წარმოიშვა ძალიან ძველად. ეს არის დიდი პოემა ღმერთ-კაც გილგამეშზე, რომელიც აკეთებს მრავალ საგმირო საქმეს, რათა უძლეველი გახადოს თავისი ქვეყანა და მოიხვეჭოს სამარადისო სახელი და უკვდავება. გილგამეში დაუძმობილდა მხეც-კაც ენკიდუს. განუყრელმა მეგობრებმა საერთო ძალითაც ახალი გმირობანი ჩაიდინეს, ებრძოდნენ უდაბნოს ლომებს და სძლიეს მათ და, დასასრულ, შეასრულეს უდიდესი ღვაწლი — დაამარცხეს უძლეველი ხუმბაბა, რომელიც იცავდა სიყვარულის ქალ-ღმერთს შეუვალ ტყეში.

ხეთა-სუბარების სამეფოები მონათმფლობელთა სახელმწიფოები იყო. მაგრამ აქ ძლიერი იყო აგრეთვე ძველი, განსაკუთრებით — მატრიარქა-

ლური, ტრადიციები. ხეთის მეფე ითვლებოდა ქალ-ღმერთ მზის, ხეთის სამეფოს „უზენაესი დედოფლის“, მსახურად და, ამავე დროს, მის პირველ ქურუმად. თავის მხრივ, სხვა მფლობელების მიმართ ხეთის მეფეები უზენაესობას იჩემებდნენ და „დიდი მეფის“ ტიტულს ატარებდნენ. გარდა ამისა, ხეთის მეფე თავის თავს „ჩემ მზე“ უწოდებდა: „ჩემმა მზემ ესა და ეს გავაკეთე“-ო, წერენ ხეთის მეფეები თავის დოკუმენტებში. საყურადღებოა, რომ გამოთქმა „ჩემმა მზემ“ დღემდე არის შემონახული სასაუბრო ქართულში.

მეფე არ იყო დესპოტი: მის ხელისუფლებას შეტნაკლებად სამეფო საბჭო განსაზღვრავდა. დიდი გავლენით სარგებლობდა და მეფეს გვერდში ედგა მისი ცოლი, ხეთის დედოფალი. საერთოდ, ქალებს ხეთის საზოგადოებაში საბატიო ადგილი ექირათ.

მრავალრიცხოვან ქურუმებსა და ტაძრებს, რომელნიც ვრცელი მამულებისა და მდიდარი განძების მფლობელი იყვნენ, დიდი ძალა და გავლენა ჰქონდათ.

საყურადღებოა, რომ ხეთური სამართალი უფრო ჰუმანური იყო, ვიდრე სხვა აღმოსავლელი ხალხებისა. სიკვდილით დასჯა დაწესებული იყო მხოლოდ უმძიმესი დანაშაულისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ხეთური სამართალი განასხვავებდა წინასწარ განზრახულ ბოროტმოქმედებას უნებლიეთისაგან.

ხეთური კანონები და სხვა ძეგლებიც ამტკიცებენ, რომ მონების რიცხვი ხეთაში დიდი იყო.

თავი I

საქართველო-კავკასია გრინჯაოსა და ადრინდელ კინის ხანაში

§ 5. გრინჯაოს ხანა საქართველოში

ხეთა-მიტანის სამეფოების ხანაში კავკასიის მიწა-წყალი ხეთურ-სუბარული მოდგმის მოსახლეობას უჭირავს. ეს მოსახლეობა თავისი იარაღ-სათვის ძირითადად უკვე ბრინჯაოს ხმარობდა. ხეთურ-სუბარული მოდგმის ხალხების უმთავრესი კულტურული ცენტრები მაშინ, როგორც ვიცით, სამხრეთით მდებარეობდა. მაგრამ აქ, კავკასიაშიაც, განსაკუთრებით — დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, კულტურა ვითარდებოდა საკმაოდ სწრაფად, იმ დროის კვალობაზე. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება უკვე მეორე ათასწლეულის დამლევის, ძველი წელთაღრიცხვით.



ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი კულტურის შესახებ ჩვენ არქეოლოგიური მასალის საშუალებით ვმსჯელობთ. საქართველოს ნიადაგში აუარებელი ძეგლი და ნივთია ჩამარხული, ჩვენი წინაპრების ნახელავი და ნაკვალევი. ზოგი მათგანი საფლავში ჩაუტანებიათ, ზოგი განძად შეუნახავთ, ზოგიც სხვა შემთხვევის გამო არის გადარჩენილი. ამ მიწაში ჩამარხული ისტორიული ძეგლების მეცნიერული შესწავლა ეხლაზან დაიწყო. მხოლოდ საბჭოთა მთავრობის დახმარებით მოახერხეს არქეოლოგებმა ფართო და წესიერი გათხრების მოწყობა საქართველოში. დიდმა გათხრებმა მცხეთაში, გათხრებმა კოლხეთის დაბლობში, თრიალეთში, ჩვენ უმდიდრესი მასალა შეგვძინა. ნივთიერი კულტურის ეს ნაშთები წარსულის უტყუარი მოწმეა.

თრიალეთში, 1936 — 1939 წლების გათხრების დროს, გახსნილ იქნა სხვადასხვა დროის მრავალი სამარხი. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ყორღანული (ამობორცვილი) სამარხები მეორე ათასწლეულის უკანასკნელი საუკუნეებისა, ძვ. წ. ამ უზარმაზარ საფლავებში (ზოგჯერ — 100 — 175 კვადრატული მეტრის ფართობისა) იმდროინდელი წარჩინებული ხალხია დაკრძალული, შესაძლოა — მთავ-

რები და მათი ოჯახის წევრები. ერთ სამარეში აღმოჩნდა ოთხთვლიანობის ეტლი, რომლითაც, ჩანს, მიცვალებულის ნეშტი იყო საფლავში ჩასვენებული. მიცვალებულთათვის თან ჩაუტანებიათ უძვირფასესი ნივთები: ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს ჭურჭელი, იარაღი და სამკაული, თიხის მოხატული ჭურჭელი და სხვა. ლითონისაგან გაკეთებული ნივთები შემკულია ნაირი ორნამენტით, ფერადი თვლებით (ფირუზით, სარდლიონით და სხვ.) და რელიეფურად შესრულებული სურათებით, რომლებშიაც ადამიანები, სხვადასხვა ცხოველი და მცენარეა გამოსახული. თრიალეთში ნაპოვნი როგორც ოქრომჭედლობის ნივთები, ისე თიხის ჭურჭელი ხელოსნობისა და ხელოვნების განსაცვიფრებელი ძეგლებია. ისინი თვალსაჩინოდ ამჟღავნებენ საქართველოს იმდროინდელი მოსახლეობის განვითარების მაღალ დონეს, კერძოდ — ხელოსანთა და ხელოვანთა დახვეწილ ოსტატობას.

პირველი ათასწლეულის დასაწყის საუკუნეებში, ძვ. წ., საქართველოს ტერიტორიაზე კულტურის ორი წრე ჩამოყალიბდა — დასავლური და აღმოსავლური. ეს ბრინჯაოს კულტურა იყო, — იარაღის მასალად აქ უპირატესად ბრინჯაო იხმარებოდა. ეს ორი კულტურული წრე ქართველი ტომების ორ გაერთიანებას შეესაბამება — დასავლურ-ქართულსა და აღმოსავლურ-ქართულს.

დასავლური კულტურის წრე შეიცავდა მთელს დასავლეთ საქართველოს, ჩრდილოეთ-კავკასიის მთიანეთს მდ. თერგის დასავლეთით, მდინარე კოროხის ხეობასა და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროსაც. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც შემდეგში კოლხეთად იწოდებოდა.

ეს ძველი კოლხური ბრინჯაოს კულტურა განვითარების მაღალ დონეზე იდგა. ნაპოვნი არის იმდროინდელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი — თოხი და წაღდი (ისეთი ფორმისა, დღესაც რომ დასავლეთ საქართველოში ხმარობენ), ნაშაღი, მეცხოველეობის იარაღი (ცხენის აკანჭელოების ნაწილები, ლაგამი და სხვა) და სახელოსნო ხელსაწყო — განსაკუთრებით ხის დამუშავებისათვის სახმარი (საჭრეთლები, სატეხები და სხვა).

ბევრია აღმოჩენილი იმდროინდელი საბრძოლო იარაღი: სატევარი, შუბისა და ისრის პირები, ლახტისთავეები, განსაკუთრებით-კი — საომარი ცული. ეს ძველი კოლხური საომარი ცული ძალიან ნიშანდობლივია ამ კულტურისათვის.

კოლხური ბრინჯაო უმთავრესად იმ სპილენძისაგან კეთდებოდა, რომლის მადნები დღესაც არსებობს კოროხის ხეობაში.

აღმოსავლური კულტურის წრე შეიცავდა აღმოსავლეთ საქართველოს ალაზნის გაღმა მხარით, სევანის ტბის მხარესა და არაქსის ხეობაშიაც ჩადიოდა.

დღევანდელი ქართლი, ჩანს, მაშინაც ისეთი ცენტრალური თემი იყო, სადაც ერთმანეთს ზედებოდა და თავის გამოცდილებას უზიარებდა დასავ-



შეიარაღებული მეომრის ორმო-სამარხი ბრინჯაოს ხანისა, სამთავრო.
მცხეთის არქ. ექსპედიცია.


ლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა. აქ პოულობენ ხოლმე როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური კულტურის ძეგლებს.

ამ აღმოსავლური კულტურისათვის ნიშანდობლივია წვერკვეთილი მახვილები, ჩუგლუგები ნახევრად მრგვალი პირით, ბრტყელი ისრის პირები, გრძელი შუბის პირები. იმდროინდელი საომარი იარაღიდან გვხვდება აგრეთვე ფარი. მაშინდელი მშვილდი კაცზე უფრო მაღალი ყოფილა.

ნაპოვნია აქ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო იარაღი და შინამოსაქმეობის ხელსაწყო: კეერი, სხვადასხვანაირი ცული, ნამგალი, დანა, ნემსი, სადგისი, კვირისტავე; სამოსელთან დაკავშირებული საგნები: სარტყლები, მათი ბალთები, აბზინდები, ღილები, შესაბნევეები და სხვა.


დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ჭურჭლეულობაც, უძველეს ხანაში — მეტწილად თიხისა და ნაწილობრივ — ბრინჯაოსი, ვერცხლისა, ოქროსი.

როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ამ ქველს, ბრინჯაოს ხანის სამარხებში დიდი რაოდენობით გვხვდება სხვადასხვა სამკაულები: ბეჭდები, რაც ჩვენს წინაპრებს განსაკუთრებით ჰყვარებიათ,




ქოლხური ბრინჯაოს იარაღი დას. საქართველოს სხვადასხვა ადგილიდან.
ქვემოთ — ბრინჯაოს ცული ბრინჯაოსავე ტარით. სატერის პირები და ცული
დაპატარავებულია უფრო პეტად.

ქუთაისისა და სოხუმის მუზეუმები.



ბრინჯაოს მახვილები და სატევარი სამთავროდან
(მახვილები დაპატარავებულია სატევარზე შეტად).

მცხეთის არტ. ექსპედიცია.



ცხენის ეტლის გამოსახულება ბრინჯაოს სარტყელზე. ახტალიდან.

დე-მორგანის გამოცემით.

საყურეები, სამაჯურები, ათასნაირი მძივები, სარტყლის შემსკულ-მო-
ჩუქურთმებული ბალთები.

მუსიკალური ინსტრუმენტებიდან სამთავროში ნაპოვნია ძვლის სალა-
მური.


განვითარების ღონე. იმ ხანაში, რომლის ნივთიერი ნაშთები ჩვენ
ზემოთ გავიყანით, საქართველოს მოსახლეობა უკვე ძირითადად მიწათ-
მოქმედებას მისდევდა. მოჰყავდათ სხვადასხვა პურეული — ხორბალი,
ქერი, ფეტვი. იმდროინდელი ხორბლეულის ნაშთები ნაპოვნია ჩვენს
ნიადაგში.

მისდევდნენ მევენახეობასაც — განათხარ მასალებში ყურძნის კურ-
კაც არის აღმოჩენილი.

ფართოდ იყო განვითარებული მესაქონლეობაც. შინაური პირუტყვი-
დან ჰყავდათ ცხვარი, ძროხა, ღორი, ცხენი, ძაღლი.

მაღალ დონეზე იდგა ხელოსნობა. უკვე იყვნენ კარგად გაწაფული
ოსტატები, რომელნიც აკეთებდნენ მშვენიერს, ზოგჯერ საუცხოოდ მო-
ხატულს, თიხის ჭურჭელს, საუკეთესო ბრინჯაოს იარაღს, ლამაზი ორ-
ნამენტი შეგკულს, მატყლისა და სელის ქსოვილებს. ხმარობდნენ ოთხ-
თვალა და ორთვალა ურმებსა და ეტლებს. ორთვალა ეტლი, რომელშიაც
ცხენს უბამდნენ, საომარი საშუალება იყო.

განვითარებული ყოფილა იმდროინდელ საქართველოში ხელოვნებაც.
თითქმის ყველა ნივთს, განსაკუთრებით-კი—სამაჯულებს, ჭურჭლეულო-
ბას, იარაღს, საყოფაცხოვრებო საგნებს (მაგ., სარტყლის ბალთებს) ალა-
მაზებდნენ, რთავდნენ ჩუქურთმით, ადამიანის, შინაური და გარეული



აღმოსავლურ-ქართული საომარი ცული, შუბის პარი და ისრის პირები
სამთავროს ბრინჯაოს ხანის სამარხებიდან.

მცხეთის არქ. ექსპედიცია.

ცხოველების, მცენარეების გამოსახულებით. ნივთების ეს მორთულობა და მოხატულობა მოწმობს იმდროინდელ ხელოვანთა დაოსტატების და გემოვნების დონეს. ამასვე ამჟღავნებს თვით ნივთების ნაკეთობაც.



თიხის შავი ჭურჭელი სამთავროს
ბრინჯაოს ხანის სამარხიდან.



თიხის ჭურჭელი სამთავროს
ბრინჯაოს ხანის სამარხიდან.




თიხის ლეგა ჭურჭელი სამთავროს
ბრინჯაოს ხანის სამარხიდან.



თიხის შავი ჭურჭელი სამთავროს
ბრინჯაოს ხანის სამარხიდან.

ზეზუნის არტ. ექსპედიცია.

ხუროთმოძღვრების ყველაზე ძველი ძეგლები ჩვენს ქვეყანაში მეგალითები ა. „მეგალითი“ ბერძნული სიტყვაა და „დიდი ქვა“ ნიშნავს.
3. საქართველოს ისტორია.



დოლმენი. მდ. კოდორის ხეობა.

ასეთი ძეგლები დიდი ლოდებისაგან არის აგებული, მაგრამ უკიროდ და უდულაბოდ. საქართველოში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, ბლომად მოიპოვება მეგალითური ციხე-დარბაზები, ნაქალაქარები, დოლმენები (ჩვეულებრივად ხუთი ლოდისაგან გაკეთებული „ბინა“, მეტწილად — მიცვალებულისათვის; გვხვდება აფხაზეთში), მენპირები (მიწაში ჩასმული მაღალი ქვის სვეტები) და „ვეშაპები“ (მიწაში ჩასმული უზარმაზარი სალოცავი თევზის გამოსახულებანი).

მეგალითურ ძეგლებს ციკლოპურ საცემად ეძახიან, როგორც ვითომც ზღაპრული არსებების, ციკლოპების, მიერ აშენებულთ. ჩვენში ხალხი მათ გმირთ-ნაკვეთებს, დევთ-ანასახლარებს, ქვაკაცებს უწოდებს.

ეს მეგალითები ადრინდელი ბრინჯაოს ხანის ძეგლები უნდა იყოს.

ბრინჯაოს ხანაში ჩვენს წინაპრებს ალებ-მიცემა უწარმოებიათ საკმაოდ შორეულ მხარეებთან — ხმელთაშუა ზღვის, მცირე აზიის, მესოპოტამიის ქვეყნებთან და ეგვიპტესთანაც. ფულად ბრინჯაოს რგოლებიც გამოუყენებიათ.

უკვე იმ დროს ბარის მოსახლეობაში მდიდარი ხალხი განირჩეოდა ღარიბებისაგან. საზოგადოებრივი უთანასწორობაც უკვე გაჩენილი იყო. ჰყავდათ მონები. არსებობდნენ მთავრებიც.

მაგრამ სიმდიდრე და სიღარიბე, დიდკაცობა და სიბეჩავე-უუფლებობა განსაკუთრებით გაძლიერდა და გავრცელდა მას შემდეგ, რაც რკინა გაჩნდა.



მეორე ათასწლეულის დამლევისათვის წინა აზიაში ასურეთი გაბატონდა, ხოლო ხეთურ-სუბარული მოსახლეობა მრავალ წერილ სამთავროდ დაიქსაქსა. ეს სამთავროები შეუბოვრად ებრძოდნენ ასურეთის მეფეებს, რომელნიც ცდილობდნენ მათ დამორჩილებას. მე-11 საუკუნის ასურული წარწერები იხსენიებენ „სუბართი“-ს, ესე იგი — სუბარების ქვეყანას და „მის ამაცსა და ურჩ ხალხს“. ამ დროს ხეთურ-სუბარული ტომებიდან უფრო ძლიერი ყოფილან მუ ს კ ე ბ ი, მერმინდელი მესხები, რომელნიც ზოგჯერ თვითონ ესხმოდნენ თავს ასურეთს და მის თემებს იპყრობდნენ. მე-9 საუკუნეში-კი ასურეთის მეფეები ყველაზე ხშირად თუ ბ ა ლ ე ბ თ ა ნ ბრძოლის შესახებ მოგვითხრობენ.


თუბალები. თუბალი ეფრატის დასავლეთით მდებარე ვრცელი ქვეყანა იყო, რომელიც 24 სამეფოსა თუ სამთავროსაგან შესდგებოდა. თუბალის მრავალრიცხოვან ქალაქთა შორის ერთი უმთავრესთაგანი იყო მე-ლითი, იმავე სახელწოდების ოლქის ცენტრი, შემდეგში მელიტენად წოდებული. ასურეთის მეფეები განუწყვეტელსა და მძიმე ბრძოლებს ეწეოდნენ თუბალების წინააღმდეგ, მაგრამ ამასთან ერთად არც მშვიდობიან კავშირებსა და თუბალების მეფეებთან მოყვრობას ერიდებოდნენ. თუბალისაკენ ასურელებს ამ ქვეყნის სიმდიდრე იზიდავდა — ოქრო, ვერცხლი და სხვა ლითონი, საუკეთესო ჯიშის ცხენები. თუბალები კარგად იყვნენ ცნობილნი უფრო შორსაც, მაგალითად, სირია-პალესტინაში. ებრაელების წიგნში „ბიბლიაში“ ანუ „დაბადებაში“, რომელშიაც ძალიან ძველი ისტორიული გადმოცემებია დაცული, თუბალი თუ ბ ა ლ - კ ა ი ნ ა დ იწოდება და მის შესახებ ნათქვამია: „ესე იყო კვერით ხუროი, მჭედელი რვალისა და რკინისა“-ო.



ბრინჯაოს ნივთი ადამიანის თავის გამოსახულებებით სამთავროდან. მცხეთის არქ. ექსპედიცია.

„კაინი“ მჭედელს ნიშნავს. ამრიგად, ეს სუბარული ტომი მჭედელ, მეტალურგ ხალხად იყო მიჩნეული და სახელდებული. იგი განთქმული ყოფილა თავისი ლითონის, კერძოდ — რკინის, ნახელავით.

ჩვენ ვიცით, რომ რკინა სუბარულმა ტომებმა ხმარებაში შემოიღეს უკვე მეორე ათასწლეულის შუა ხანებში. მაგრამ იმ დროს რკინა ჯერ



კოლხური ბრინჯაოს ცული სამთავროდან და მისი მოხატულობა
(ნაწევნებია სხვადასხვა მხრიდან).

მცხეთის არქ. ექსპედიცია.

ოშეიათი ლითონი იყო, იარაღს კიდევ დიდხანს ჩვეულებრივად ბრინჯაოსაგან აკეთებდნენ. მხოლოდ პირველი ათასწლეულის პირველ საუკუნეებში გავრცელდა უფრო მეტად რკინის იარაღი, თუმცა ამასთან ერთად ბრინჯაოც არ გამოსულა ხმარებიდან. რკინის მეტალურგიის ერთი უმთავრესი კერათაგანი ისევ სუბარეთი იყო.

ამ სამეურნეო და ტექნიკურმა წარმატებამ მე-9—მე-8 საუკუნეებში ხელი შეუწყო იმას, რომ ხეთურ-სუბარულმა ტომებმა ახალი ძლიერი სახელმწიფო შექმნეს. ეს იყო უ რ ა რ ტ უ.

ურარტუ. მე-9 საუკუნეში იმ ხეთურ-სუბარული სამთავროებიდან, რომელთაც ეჭირათ მდინარე ტიგროსისა და ეფრატის სათავეები, ვანის ტბის ოლქი და მისი მეზობელი თემები, თავისი ძლიერებით ბ ი ა ი ნ ა და მ ა ნ ა გამოირჩეოდნენ.

ბიაინას ვანის ტბის მიდამოები ეჭირა, მანა მის მეზობლად მდებარეობდა. მე-9 საუკუნის დამლევს პირველობა დარჩა ბიაინას, რომელმაც გააერთიანა ეს სამთავროები. ამ გაერთიანებულ სამეფოს ურარტუს ეძახდნენ, მის ხალხს-კი ხ ა ლ დ ე ბ ს უწოდებენ. განსაკუთრებით გაძლიერდა ურარტუ მე-9 საუკუნის დასასრულს და მისი შვილის ა რ გ ი შ ტ ი ს მეფობაში (მე-8 საუკუნის პირველი ნახევარი).

არგიშტიმ შორს გადასწია თავისი სამფლობელოს საზღვრები მცირე აზიასა და კავკასიაში. მან მრავალრიცხოვანი ძლევამოსილი ლაშქრობა ჩაატარა ასურეთის წინააღმდეგ და დაიბყრო ასურეთის თემები ტიგროსისა და ეფრატის ზემო წელზე. ურარტუ წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა.



მეფე მენუას ხალდური წარწერა.

გ. შერეტლის გამოცემით.

ასეთი მღვდმარეობა ხალდებმა შეინარჩუნეს, ცვალებადი წარმატებით, არგიშტის უახლოესი მეგვიდრეების მეფობაშიაც. მაგრამ მე-მ საუკუნის დამლევდიდან იწყება ურარტუს დაქვეითება, ერთი მხრით, ასურელების მუდმივი თავდასხმების გამო, მეორე მხრით, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ახალი უცხო ტომების, უმთავრესად-კი მერტელების ანუ გიმიტებისა და სკვითების შემოსევების წყალობით.

ურარტუს კულტურა. ურარტუს სამეფო თავისი კულტურით ხეთურ-სუბარული სამყაროს ნაწილს შეადგენდა. ხალდებიც ლურსმულ დამწერლობას ხმარობდნენ და საკმაოდ ბევრი წარწერა დაგვიტოვეს. განსაკუთრებით თავი ისახელეს ხალდებმა რკინის დამუშავებით. რკინის იარაღით ხალდები კლდეში შესანიშნავ ციხე-დარბაზებს ჰკვეთდნენ. ამ რიგის ხუროთმოძღვრების ნიმუშია საქართველოში კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე (გორის მახლობლად, მტკვრის ნაპირას).

714 წელს ასურელებმა ურარტუ დალაშქრეს და მისი ერთი სამთაფროთაგანი, მანა-ც, დაარბიეს. ასურეთის მეფე სარგონი, რომელიც თვითონ ხელმძღვანელობდა ამ ლაშქრობას და დაწვრილებით მოგვითხრობს მის ამბავს, დიდად გაკვირვებული დარჩა აქაური ხალხის კულტუროსნობითა და დოვლათიანობით.

მანას ქვეყანა დაფარული ყოფილა დიდი და პატარა არხებით, რომელიც რწყავდნენ ნოყიერ მიწებებს. აღმართებში არხებიდან წყალი აჰყავდათ ბორბლებით, რომლებსაც აქლემები ატრიალებდნენ. ხორბალი, ქერი და სხვა პურეული იმდენი მოჰყავდათ, რომ ძველი მოსავლის მარცვლითა და ფქვილით ბედლები გატენილი ჰქონდათ. სთესდნენ ცხენის



ხალღური ბრინჯაოს სფინქსი.

ეომიტაყი. პიოტროვსკის გამოცემით.

საკვებ ბალახსაც-კი, აშენებდნენ ტყეებს, მაგალითად — ქადრის ხეებისას, და დეკორატიულ მცენარეებსაც, მაგალითად, კვიპაროშებს. მთელი ქვეყანა მოფენილი იყო ხეხილის ბაღებითა და ვენახებით, რომელნიც, სარგონის თქმით, „წვიმასავით უხვ ხილსა და ყურძენს“ ისხამდნენ. სარგონის ჯარისკაცებს გული უჯერებიათ კეთილი ღვინით აქაურ მარნებში, რომლებიც სავსე ყოფილა ღვინიანი გუდებით.

მრავლად ჰყოლიათ მანაელებს შინაური საქონელი — მსხვილი რქოსანი პირუტყვი, ცხვარი, ცხენი. განსაკუთრებით განთქმული ყოფილან ისინი თავისი მეცხენეობით, — აქაურ მცხოვრებთ მეცხენეობა-ცხენოსნობაში მეტოქე არა ჰყავთ მთელ ურარტუშიო, ამბობს სარგონი. ცხენებს უშვებდნენ ველზე ჯოგებად და თავლაშიაც დაბმული ჰყავდათ. ცხენებს ხედნიდნენ უმთავრესად ეტლებში შესაბამელად (აქ უფრო საომარი ეტლები იგულისხმება). ამ მხრივ მანაელების ოსტატობა აოცებდა ასურელებს: ისე ჰყავთ ცხენები გაწვრთნილი, რომ არასდროს არ გასტეხენ ეტლის ხელნასო. ურარტუს სამეფო ჯარს აქედან მისდიოდა ცხენები.

მოსახლეობა მჭიდრო ყოფილა: აქაური ციხე-ქალაქები ურიცხვია, როგორც ვარსკვლავნი ცისანიო, ამბობს სარგონი. თვითონ შენობებიც ხელოვნურად და მტკიცედ ყოფილა ნაგები, ქვისა და აგურის კედლებით და დიდი კვიპაროშის თავხეებით (კოჭებით). ქალაქები გარშემორტყ-

მული ყოფილა მეტად განიერი, მაგარი კედლებით, ბურჯებითა და ღრმა თხრილებით.

თავის შრომას ხალხი თურმე „მზიარული სიმღერებით“ ახალისებდა, როგორც ამბობს სარგონი, მაგრამ ასურელებმა მათ ცეცხლი და მახვილი მოუტანეს. ხალხი მტერს არც ერთ მტკაველს არ უთმობდა უბრძოლველად. მანაელებს მთის მწვერვალებზე სვეტები ჰქონიათ აღმართული, რომლებზედაც ასურელების მიახლოებისას ცეცხლს ანთებდნენ და შორეულ თემებს ატყობინებდნენ: გაფრთხილდით და მოემზადეთ, მტერი შემოგვესიაო. გააფრთხილები ბრძოლა გაუმართეს ასურელებს მანაელებმა, მაგრამ მტერი ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი იყო და გამარჯვებაც მას დარჩა. ქვეყანა აოხრდა, ხალხი-კი ზოგიერთი თემიდან მთლიანად აიყარა და ჩრდილოეთისაკენ გადაიხვეწა. ასე ხდებოდა ხოლმე ზშირად მოსახლეობის გადასვლა ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში.

აი, როგორ ასწერს სარგონი თავის მოქმედებას მანას ერთ-ერთ თემში: „ასურის ჯარებით მე კალიასავით დავფარე მათი ქალაქები... მე დავწვი მათი მშვენიერი სადგომები... ქერისა და ხორბლის უშველებელი ხეაგები, რომელსაც ისინი მრავალი დღის განმავლობაში აწყობდნენ თავის ბელლებში ქვეყნისა და ხალხის შესანახავად, მე დავატვირთვინე ჩემ ჯარებს ცხენებსა, ჯორებსა, აქლემებსა და ვირებზე და დავაწყობინე ჩემ ბანაკში, როგორც მთები. ჩემ კაცებს ვაჭამე უხვი საჭმელი, რამდენიც შეეძლოთ. მათ შეაგროვეს სანოვავის უხვი მარაგი უკან ასურეთში წასაღებადაც. მე ავიჩხე მათი დიდებული ხეხილის ბაღები და მათი ურიცხვი ვენახები, მე ბოლო მოვუღე მთელს მათ სასმელს. მე ავიჩხე მათი დიდი ტყეები, რომლებიც ლელიანივით ზშირი იყო, უდაბნოდ ვაქციე ეს ქვეყანა და დავწვი მოჭრილი ხეები... 146 ქალაქი იათ მიდამოში მე დავწვი, როგორც ბუჩქნარი და, როგორც გრიგალმა, კვამლით დავფარე ბირი ზეცისა“-ო. ასე იკვეხის ეს ბარბაროსი.

სარგონის სიტყვით, თვითონ მანაელები თავის ქვეყანას სუბი-ს ეძახდნენ. ეს იგივე ძველი სახელი სუბარი უნდა იყოს.

ხალდების ენისა და კულტურის შესწავლამ, სათანადო წყაროთა უსრულობა-სიმწირის მიუხედავად, ბოლო ხანებში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. დადგენილია, რომ ხალდური ენის აგებულებას არაფერი აქვს საერთო არც ინდო-ევროპულ, არც სემიტურ და არც ურალურ-ალტაურ (კერძოდ—თურქულ) ენებთან და რომ იგი ხეთურ-იბერული ენებისა და, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენის აგებულებას ემთხვევა. აღმოჩნდა, რომ ხალდების ნითთიერი და სულიერი კულტურა სუმერულ-ხეთურ-სუბარული ცივილიზაციის ორგანული ნაწილი ყოფილა.

ახალ სამყაროსთან ურარტუს კავშირების შესახებ მნიშვნელოვან მითითებებს გვაძლევს გეოგრაფიული და სატომო სახელები. თუ გამოვყევით ერთ-ერთს მთავარ გზას, რომელიც ხალდების სახელმწიფოს ისტორიულ საქართველოსთან აერთებდა, შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ისეთი გეოგრაფიული სახელწოდებანი, როგორიცაა: ბიანის ანუ ვანი (ურარტუს ცენტრი; ტბა) და მანასკერტი (ამჟამად მელიაზგერდი; ხალდური ეპოქის ქალაქი, რომელმაც საშუალო საუკუნეთა მანძილზე და თვით ახალ ხა-

ნამდევ შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა, ბანა და ფანასკერტი (სამხრეთ საქართველოს დიდბრძოლი ცენტრები ფეოდალურ ხანაში), ვანი (ანტიკური საქართველოს თვალსაჩინო ცენტრი, ამჟამად დაბა ქუთაისის სამხრეთ-დასავლეთით). „მანასკერტი“ და „ფანასკერტი“-ს სახელწოდებაში ირანული, კავკასიურ ენათა მიერ შეთვისებული სიტყვა „კერტი“ (რაც „ქმნილს“, „გავეთხებულს“ ნიშნავს) ქართული დაბოლოების „ს“-ს (-ის“) მეშვეობით არის ფუძესთან დაკავშირებული.

ამჟვარზე მნიშვნელობა აქვს „ხალდი“ ტერმინს, რომელიც მეცნიერებაში მიღებულია ურარტუს ერთ-ერთი ძირითადი ტომის სახელის აღსანიშნავად. ზოგი მკვლევარი საბოლოოდ ამჯობინებს ტერმინს „ურარტი“ და ამას იმიტომ ასაბუთებს, რომ თავი ურარტები თავის თავს არსად და არასოდეს ხალდებს არ ეძახდნენ. ეს საბუთი უნდა უკუვაგდოთ, როგორც სრულიად უსაფუძვლო: ჩვენ ვიცით, რომ ამ ხალხს არც ურარტები უწოდებია ოდესმე თავისი თავისათვის. სახელწოდება „ურარტუ“ მხოლოდ ასურულს ლურსმულ წარწერებში გვხვდება.

მეორე სახელწოდება კი ცნობილია ბერძნული წყაროებიდან, რამდენიმე დიალექტურ ფორმის სახით: „ხალიბი“, „ხალდი“, „გორდი“ და სხვა... უძველესი ბერძენ ავტორთა შორის, რომელნიც ძველი აღმოსავლეთის ამ ქვეყნის შესახებ მოგვითხრობენ, ჰეკატე მელეტელი (ძვ. წ. VI საუკ.) სწერს, რომ არმენების ჩრდილო მეზობლები (იმ ხანაში, როდესაც არმენები ჯერ კიდევ შეჭრილი არ იყვნენ ურარტუს ტერიტორიაზე) ხალიბები არიან. მომდევნო საუკუნის მიწურულში, ამ აღვლილბას პირადად დამვლელის, მწერლისა და მხედართმთავრის, ქსენოფონტეს ცნობით, არმენებს ხალიბები უკვე შეეწირებოდათ ჰყოლიათ და სამხრეთ ურარტუს ვაკეები თვითონ სჭერიათ. მაგრამ ამასთანავე ქსენოფონტე აღწერს მთებში მცხოვრებ ხალდებს, როგორც დამოუკიდებელს, ძლიერსა და მეომარ ხალხს, რომელიც არ ურიგდება თავისი მიწა-წყლის დაკარგვას და მედგრად განაგრძობს ბრძოლას მის დასაბრუნებლად. რომ ხალდები იგივე ხალიბები არიან, ეს იცის უკვე სტრაბონმა, რომელიც გვეუბნება, რომ „ხალიბი“ ძველი სახელწოდებაა, ხოლო „ხალდი“ — უფრო ახალი. მართლაც, ორსავე სახელწოდებას ერთიდაიგივე ფუძე აქვს; ისინი მხოლოდ დაბოლოებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუმცა ორივე დაბოლოება წმინდა ქართულია. შემდგომ ხანაში ხალიბ-ხალდების ერთმა ნაწილმა დიდხანს და მტკიცედ გასძლო (მანამდე, ვიდრე ოსმალთა თურქები ააოხრებდნენ იქაურობას) საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე — შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე და მდინარე ეფრატისა და ჭოროხის სათავეებში. ბიზანტიის იმპერიის ხანაში ხალდების რაიონებისაგან იქმნება (ახ. წ. VIII საუკუნე) დანი თემი ხალდიი, რომლის ცენტრად ქ. ტრაპეზუნტი იქცა და რომელშიაც შედიოდნენ აგრეთვე ქალაქები ერზინჯანი, ბაიბურთი და სხვა. 1404 წელს ეს თემი გზად გაუღვია ესპანეთის ელჩს კლაუდიო სოს, რომელიც აგვიწერს ტრაპეზუნტის სამეფოს ხალდიის პროვინციას — გიუმუშხანეს, კელკითისა და ბაიბურთის ფარგლებში.

ხალიბ-ხალდებს ანტიკურ ხანაში ჯერ კიდევ მოსდგამთ ისეთი ეროვნულ-კულტურული თვისებანი, რომელნიც უადრესად მჭიდროდ ანათესავებენ მათ ურარტუსთან.

ასე, მაგალითად, ანტიკურ სამყაროში ხალიბებს რკინის დნობა-ჩამოსხმის საუკეთესო ოსტატებისა და ფოლადის გამოიმგონებლების სახელი ჰქონდათ მოგვეცილი. ხოლო სტრაბონის ცნობით, გორდიები „ითვლებოდნენ საუცხოო ხუროთმოძღვრებად და ცოხის სააღყო იარაღების დახელოვნებულ ოსტატებად, რის გამოც მათ ამჟვარ სამუშაოებზე იწვევდა ხოლმე ტერანი“ (იგულისხმება სომხების ცნობილი მეფე, ძვ. წ. I საუკუნეში რომ ცხოვრობდა).

ხალდების ეთნიკური ენაობა სრულიად უძველია: ისინი ქართველი ხალხის ერთ ნაწილს შეადგენდნენ. რიგი ძველ-სომხური წყაროები მოწმობენ, რომ ხალდები იგივე ქანებია, ე. ი. ის ცნობილი, ქართული მოდგმის ტომი, რომელმაც დღემდე შემოინახა თავი თურქეთში, სასტიკი დევნისა და შეეწირვების მიუხედავად.

თავი II

ანტიკური ხანის მონათმფლობელური სახელმწიფოები საქართველოში

§ 7. საქართველოს მეზობელი ქვეყნები მე-7 და მე-6 საუკუნეებში, ძველი წელთაღრიცხვით

მიდია და სპარსეთი. მე-7 — მე-6 საუკუნეებში საქართველოს მეზობელ ქვეყნებში დიდი ცვლილებები მოხდა. მოიშალა და დაემხო ძველი სახელმწიფოები, მათ ადგილას-კი ახალი აღმოცენდა. ბევრმა ტომმა გამოიცვალა თავისი ადგილსამყოფელი, ახალი მიწა-წყალი დაიპყრო და დაპყრობილი ტერიტორიის მოსახლეობა ან გააძევა, ან შეიერთა, ან მოსპო. მოსულებისა და დამხდურების შეერთებით საფუძველი ჩაეყარა ახალ ხალხებსაც.

ურარტუს სამეფოს მიდიელებმა მოუღეს ბოლო მეშვიდე საუკუნის დამლევს. მათვე შემუსრეს აგრეთვე ასურეთი, რომელიც მეშვიდე საუკუნეში წინა აზიის ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იყო.

მაგრამ არც მიდიელების ბატონობა გამოდგა ხანგრძლივი. მალე პირველობა სპარსელების ხელში გადავიდა. სპარსელების მეფემ კიროსმა ჯერ (550 წელს) მიდიის სამეფო დაიპყრო, შემდეგ ხმელთაშუა ზღვისაკენ გაიკავა გზა, ბოლოს ბაბილონიც დაიმორჩილა. ასე წარმოიშვა სპარსეთის უზარმაზარი სახელმწიფო, რომელსაც აქემენიდების სამეფოსაც ეძახიან, იმიტომ რომ კიროსი და მისი მემკვიდრეები აქემენიდების საგვარეულოს ეკუთვნოდნენ.

იონიელი ბერძნები. მე-7—მე-6 საუკუნეებში მცირე აზიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ ზღვისპირა ბერძნულ ქალაქებს. ბერძენი ტომები აქ საბერძნეთიდან მოვიდნენ, დიდი ხნის წინათ, და ეგეოსის ზღვისპირას დამკვიდრდნენ. ბერძენ ტომთაგან აქ განსაკუთრებით ძლიერი იყვნენ იონიელები, რომლებმაც მთელი რიგი ქალაქები დააარსეს, მათ შორის — მილეთი. მილეთი მცირეაზიელი ბერძნებისა და, საერთოდ, წინა აზიის უმნიშვნელოვანესი ქალაქთაგანი



იყო. მილეთის ნავთსადგურში თავდებოდა ძველი ქვეყნის ყველაზე დიდი საგაქრო გზა, რომელიც შორეულ ინდოეთში იწყებოდა. როცა ბერძნები პირველად მოვიდნენ მცირე აზიაში, აქ ჯერ კიდევ ძლიერი იყო ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობის — ხეთა-სუბარების — კულტურა. ბერძნებმა შეითვისეს იგი. აქაურ ქალაქებში, განსაკუთრებით — მილეთში, ჩაისახა და განვითარდა ბერძნული სამეცნიერო და პოეტური მწერლობა, ბერძნული ხელოვნება.

მე-6 საუკუნის დამლევს მცირეაზიელმა ბერძნებმაც სპარსელების ბატონობა აღიარეს.

სკვითები და სარმატები. კავკასიონისა და შავი ზღვის ჩრდილოეთით მე-7—მე-6 საუკუნეებში სკვითები და სავრომატები ანუ სარმატები პირველობდნენ. სკვითებს ეჭირათ ტერიტორია მდ. დუნაიდან მდ. დონამდე, დონიდან აღმოსავლეთით-კი უკვე სარმატების მიწა-წყალი იწყებოდა. „სკვითიკა“ და „სარმატიკა“ კრებითი სახელები იყო და მრავალს სხვადასხვა მოდგმის ტომს აღნიშნავდა. სარმატებად სთვლიდნენ, მაგალითად, ქართველების მონათესავე ზოგიერთს ჩრდილო-კავკასიელ ტომსაც — ჩერქეზებს, ქისტებსა და სხვებს.

მე-7 — მე-6 საუკუნეებში განსაკუთრებით ძლიერი იყვნენ სკვითები. სპარსელების მეფემ დარიოსმა, რომელიც დარწმუნებული იყო, დედა-მიწის ზურგზე ჩემი სწორი არავეინ არისო, სკვითების დამორჩილება სცადა. იგი უზარმაზარი ლაშქრით შეესია სკვითეთს, მაგრამ მწარე დამარცხება იწვნია.



ნადირობის გამოსახულება ბრინჯაოს სარტყელზე სოფ. სანთიდან (თრიალეთი, დაპატარავებულია).

ბ. კულტინის გამოცემით.



ცხენოსანთა ნადირობა, გამოსახულება ბრინჯაოს სარტყელზე სამთავროდან (დაპატარავებულია).

ჯეხეთის არტ. გესპედიცია.

§ 8. ბერძნული ახალშენები შავი ზღვის სანაპიროზე

ძველთაძველი დროიდანვე კავკასია-საქართველოს ხალხებს აღებ-მიცემა ჰქონდათ ეგეოსის ზღვის ხალხებთან. ამ გაცვალულ გზებს შემდეგში ბერძნებიც მიჰყვნენ. მე-7 საუკუნეში ეს ვაჭრობა ისე გაფართოვდა და გაცხოველდა, რომ ბერძნებმა საჭიროდ დაინახეს შავი ზღვის სანაპიროზე მუდმივი ბინა გაეჩინათ. ისინი შეუდგნენ აქ ახალშენების დაარსებას.

ყველაზე მეტი ახალშენი შავი ზღვის სანაპიროზე მილეთმა გაიჩინა.

საქართველოში ბერძნული ახალშენები იყო ფასიდი (ანუ ფაზისი), დიოსკურია, პიტიუნტი. ეს იყო სანაღესადგურო ქალაქები. ფასიდი დღევანდელი ფოთის ადგილას მდებარეობდა, დიოსკურია — სოხუმის ადგილას ან მის მახლობლად, პიტიუნტი, რომელსაც ძველი ქართველები ბიჭვინტას ეძახდნენ, მდინარე ბზიფის შესართავის ახლო იყო აშენებული.



იმავე სარტყლის ნაწილი (უფრო დიდი ზომით).

ბერძნებს ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტად ვაჭრობა აინტერესებდათ. აქ და, საერთოდ, კავკასიაში ბერძნებს ბევრი თავისთვის საჭირო საქონელი ეგულებოდათ. ბერძნებს აქედან გაჰქონდათ სელი და სელის ქსოვილები, ბეწვეული, ტყავები, ძვირფასი ხის, მაგალითად — ბზის, მასალა, საშენებელი ხე-ტყე, ოქრო და სხვა ლითონები. შემოჰქონდათ კიდევ თავისი ხელოსნების ნაწარმოები: ქსოვილები, სამკაულები, ჭურჭლეულობა და კვების ზოგი პროდუქტიც (მაგ., ზეთი).

მაგრამ კავკასიაში დამკვიდრებულ ბერძნებს პრაქტიკულმა ინტერესებმა თანდათან ცნობისმოყვარეობა გაუცხოველა — რა ხალხები ცხოვრობენ შავი ზღვის სანაპიროზე, როგორია მათი ზნე-ჩვეულება, მეურ-

ნეობა, გზები, საზოგადოებრივი წყობილება და ისტორია, როგორც აქაური ბუნებაო. ამგვარ ცნობებს ჯერ ვაჭრები, მეზღვაურები და სამხედრო პირები ჰკრებდნენ, შემდეგ იმდროინდელი მეცნიერები ამუშავებდნენ.

§ 9. ძველი ბერძნული ცნობები საქართველოს შესახებ

ამრიგად, თუ ჩვენი ქვეყნის ისტორიას მეშვიდე-მეექვსე საუკუნემდე, ძვ. წ., უმთავრესად არქეოლოგიური მასალის საშუალებით ვსწავლობთ, ამ დროიდან მოყოლებული უკვე წერილობით ცნობებსაც ვიყენებთ. ძველ ბერძნულ მწერლობაში დაცულია ჩვენი ქვეყნის ბუნების, მოსახლეობისა და მისი კულტურის სახელმწიფო საზღვრებისა და ისტორიის აღწერილობა. თავდაპირველად ეს ცნობები მცირე იყო, მაგრამ ისინი თანდათან გამრავლდა და გამდიდრდა.

ქართველ ტომთა დასავლურ გაერთიანებას ბერძნები თავიდანვე კოლხებს ეძახდნენ, აღმოსავლურს-კი ჯერ სასპერებს (რაც „სასუბარო“-დან უნდა იყოს წარმომდგარი), ხოლო შემდეგში, მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული, ძველი წელთაღრიცხვით, იბერებს.


აღწერილობითი ცნობები. უკვე უძველესი ბერძნული ცნობები (მე-6 — მე-4 სს., ძვ. წ.) საქართველოს მცენარეულობით, ცხოველებითა და მინერალური ნედლეულით მდიდარ ქვეყნად გვიხატავენ. კულტურული მცენარეებიდან დასახელებულია ვაზი და აღნიშნულია, რომ აყენებდნენ ღვინოს, მოხსენებულია კაკალი და წაბლი. აღნიშნულია, რომ წაბლის ნაყოფს დიდი რაოდენობით ხმარობდნენ, ან მოხარშულს, ან პურის სახით გამომცხვარს. შავი ზღვისპირა ქვეყნების და, მაშასადამე, საქართველოს შესახებაც ნათქვამია, რომ აქ აშენებენ ყოველნაირი ჯიშისა და კარგი ხარისხის მსხალსა და ვაშლს დიდი რაოდენობით, ბლომად ხარობს აქ აგრეთვე ლეღვი და ბროწეულიო. ზოგი ხეხილი აქედან შემდეგში სხვა ქვეყნებშიაც გავრცელდა. მაგალითად, კოლხეთის ქალაქ კერასუნტიდან რომაელებმა პირველად შეიტანეს ევროპაში ბალი, რომლის სახელი ევროპულ ენებში კერასუნტის სახელთანაა დაკავშირებული. პურეულიდან დასახელებულია ხორბალი, ასლი და ქერი. პური ზოგიერთ რაიონში ისეთი რაოდენობით მოჰყავდათ თურმე, რომ ახალი მოსავლის აღების შემდეგაც წინა წლის მოსავლიდან დიდი მარაგი რჩებოდათ. ტექნიკური (სართავი) მცენარეებიდან უკვე მეხუთე საუკუნეში, ძვ. წ., განთქმული იყო კოლხური სელი და მისი ქსოვილი, რომელიც საზღვარგარეთ გაჰქონდათ, ჩანს, მნიშვნელოვანი რაოდენობით. ფასიანური (ე. ი. მღ. ფასიდის ანუ რიონის რაიონის) თხელი სელი საუკეთესო მასალად იყო მიჩნეული აგრეთვე ბადეებისათვის. იხსენიება სხვადასხვა ბოსტნეულიც.

ცნობილი იყო აგრეთვე შავი ზღვისპირის ფუტკარი, ხშირი და მდიდარი ღალა იცისო, და აქაური „თეთრი და სქელი თაფლი“. დასავლეთ საქარ-

თველოს ამგვარ თაფლს, რომელსაც ქართულად „კრიბუკი“ ჰქვია, შემდეგშიაც ყოველთვის ძალიან აქებდნენ უცხოელები. მისდევდნენ შინაურ მეფუტკრეობას (ფუტკარი სკებში ჰყავდათ), და აგრეთვე ტყის ფუტკარის თაფლსაც აგროვებდნენ. შინაური ოთხფეხიდან დასახელებულია ძროხა, ცხვარი, ღორი, თხა, ცხენი, ვირი. დიდი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე წერს: „ფასილზე არის პატარა ძროხები, რომელთაგანაც თითოეული ბევრ რძეს იძლევა“-ო. ეს ქართული ჯიშის ძროხა, პატარა ტანისა, მაგრამ კარგი მეწველი, ღლემდე არის ჩვენში შემონახული (მაგალითად, ხევსურეთში).

ძველი ბერძნები საქართველოს ლითონებით მდიდარ ქვეყანად სთვლიდნენ, ამ ქვეყანაში ბევრია ოქრო, ვერცხლი და რკინაო. მოუთხრობდნენ, რომ კოლხეთის ერთმა უძველესმა მეფემ თავის სახელმწიფოში, განსაკუთრებით — სვანეთში, აუარებელი ოქრო და ვერცხლი მოიპოვაო. იუწყებიან აგრეთვე სხვა მინერალების შესახებაც. მაგალითად, როგორც კოლხეთში, ისე იბერიაში ძველთაგანვე წარმოებდა სინგურის მოპოვება (ამ მინერალიდან, რომელიც ვერცხლისწყლისა და გოგირდის შენაერთია, წითელ საღებავს ამზადებენ).

კიდევ უფრო დიდი აზრისა იყვნენ ბერძნები აქაური მეტალურგების შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრი ცნობა დაგვიტოვეს მათ სამხრეთის ტომების — ხალიბებისა და მოსინიკების — შესახებ. ხალიბების ქვეყანაში მდინარეებს რკინის ქვიშა ჩამოაქვს. ხალიბები ამ ქვიშას რამდენიმეჯერ რეცხავენ და აღნობენ ეგრეთწოდებულ „ცეცხლგამძლე ქვასთან“ ერთად, რომელიც ბევრია მათ ქვეყანაში. ასე ამზადებენ ხალიბები რკინას, რომელიც ბევრად სჯობია სხვა რკინას და ვერცხლში ძნელი გამოსარჩევია. მხოლოდ ამგვარ რკინას არ ეკიდება ქანგიო. აქ აღწერილია მაღალი ხარისხის ფოლადის დამზადება. ამიტომაც რომ ფოლადის ბერძნული სახელი, „ხალიფს“, ხალიბების სახელწოდებისაგანაა ნაწარმოები და ხალიბურ ლითონს აღნიშნავს. ასეთივე ნახელავით ცნობილი იყვნენ ტიბარენებიც, ხალიბების მეზობლები. ხალიბების სხვა მეზობლები, მოსინიკები, განთქმული იყვნენ თავისი მაღალხარისხოვანი თითბერით. მოსინიკების სპილენძი კაშკაშა ელვარება და მეტისმეტად თეთრი; სპილენძს მოსინიკები კალას კი არ ურევენ. არამედ ერთგვარს იქაურ მიწას, რომელსაც სპილენძთან ერთად აღნო-



ბრინჯაოს ლაგმები სვირიდან და
ლაილაშიდან.

ქუთაისის მუზეუმი.

ბენო. თითბერის სახელიც ზოგიერთს ევროპულ ენაში (მაგ., გერმანულში „მესინგ“) მოსინიკების სახელისგან არის წარმომდგარი, ხალხების, მოსინიკებისა და ტიბარენების ტერიტორია, რომელიც ჰორონი აუზზე და ტრაპიზონ-გირესუნ-ორდუს საზღვრებში მოდის, განსაკუთრებით ამ ტერიტორიის მთიანეთი მართლაც მეტად მდიდარია ლითონის მადნებით.

ეს სიმდიდრე იზიდავდა ბერძნებს კავკასია-საქართველოსაკენ. როგორ აგვიწერს ერთი ძველი ბერძენი მწერალი საზოგადოდ შავი ზღვისპირა ქვეყნებს: „პონტოში ბევრი რამ არის სხვა ხალხების ცხოვრებისათვის სასარგებლო... პონტოს გარშემო მდებარე ქვეყნები გვაწვდიან, აუცილებელი სასიცოცხლო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, პირუტყვს და უეჭველად საუკეთესო მონებს უდიდესი რაოდენობით. ხოლო ფუფუნების საგნებიდან-კი უხვად გვაძლევენ თაფლს, ცვილს (თაფლის სანთელს) და დამარილებულ თევზს. ხოლო იმ ნაწარმოებიდან, რითაც მდიდარია ჩვენი ქვეყნები, იღებენ ზეთსა და ყოველგვარ ლეინოს. პურითაც აღებ-მიცემობენ ჩვენთან, ხან გვაწვდიან საქაროების დროს, ხან იღებენ“.

ასეთი აღწერილობითი ცნობების გარდა ძველმა ბერძნულმა მწერლობამ შეინახა ბევრი თქმულებაც საქართველოს შესახებ.



კოლხური ბრინჯაოს ცულებისა და ცულ-ნამგალას (ქვემოთ) კოლექცია ლენჩხუმიდან.

საქ. მუზეუმის არქეოლოგიის განკ.

თქმულება პრომეთეზე. განსაკუთრებით ცნობილია თქმულებები პრომეთესა და არგონავტების შესახებ. პრომეთე ეს იგივე ქართული ამირანია. პრომეთეს თქმულება ხიბლავდა როგორც ძველი, ისე ახალი დროის მწერლობასაც, იმიტომ რომ ამ თქმულებაში გამოხატული იყო თავისუფლებისმოყვარე ადამიანების ბრძოლა ბუნებისა და საზოგადოების ბნელ ძალებთან და კაცობრიობის პირველი, მნიშვნელოვანი ნაბიჯი კულტურის გზაზე. ბევრმა პოეტმა გამოიყენა ამიტომ პრომეთეს თქმულება თავისი ნაწარმოების არაკად-

თქმულების შინაარსი ასეთია. ტიტანების შთამომავალმა, პრომეთე იაფეტის ძემ, მოსტაცა ზეციდან ღმერთების მეუფეს, ზევსს ცეცხლი და მოუტანა იგი ადამიანებს. ცეცხლის საშუალებით ადამიანებმა თავი დააღწიეს ცხოველურ მდგომარეობას, აზროვნების უნარი შეითვისეს და ყოველგვარი ხელოვნება გამოიგონეს. ცეცხლის საშუალებით შესძლეს მათ ლითონის დამუშავებაც. განრისხებულმა ზევსმა მძიმე ჯაშუვით შებორკა გმირი პრომეთე და დააბა იგი კავკასიონის ქედზე. ზევსისავე ბრძანებით ფრთაგარქელი ორბი უკორტნის პრომეთეს უკვდავ ღვიძლს, რომელიც დამდამობით კვლავ მთელდება. ადამიანები პრომეთეს მზარეზე არიან: კოლხეთის ასულნიც, რომელნიც ომში უშიშარი არიან, კავკასიონის მახლობლად აღმართული მაღალი ციხის მრისხანე ლაშქარიც და სკვითების მრავალრიცხოვანი ტომები, ყველანი თანაუგრძნობენ პრომეთეს ტანჯვას. თვით პრომეთე უდრეკია და ამაყი. იგი მზადაა აიტანოს ყოველგვარი ტანჯვა, ოღონდ ზევსს არაფერი დაუთმოს. პრომეთე თავის თავს ზევსზე უფრო ძლიერ არსებადაც კი გრძნობს, იმიტომ რომ პრომეთემ იცის საიდუმლოება, რომელიც დაფარულია ყველა სხვისაგან, თვით ზევსისაგან. ეს არის საიდუმლოება იმ მიზეზის შესახებ, რომელიც ოდესმე დაამხოვს ზევსსა და მის ძალა-უფლებას. ბოლოს გმირი ჰერაკლე მართლაც მოჰკლავს მტარვალ ორბსა და გაათავისუფლებს პრომეთეს.

თქმულება არგონავტებზე. არანაკლებ ცნობილია მეორე ბერძნული თქმულება არგონავტების შესახებ. კოლხეთში მეფობს აიეტის, პელიოსმზის შვილი. აიეტს ჰყავს ასული, მშვენიერი მედეა. ყოველგვარ სხვა სიმდიდრის გარდა, აიეტი მფლობელია „ოქროს საწმისისა“, ანუ ვერძის ოქროს ტყავისა. თქმულებამ, რომ კოლხეთში „ოქროს საწმისი“ დაცული, სურვილი აღუძრა საბერძნეთის გმირებს, იასონის მეთაურობით, წასულიყვნენ კოლხეთში ამ ძვირფასი განძის მოსაპოვებლად. იასონმა და მისმა რაზმმა პირველად შეასრულეს ისტორიაში ასეთი შორეული საზღვაო მგზავრობა. მათს ზომალდს სახელად ერქვა „არგო“, და ამიტომ იასონსა და მის მხლებლებსაც „არგონავტები“ ეწოდათ.

არგონავტები მოვიდნენ კოლხეთში და მდინარე ფასიდით ავიდნენ კოლხეთის დედაქალაქ აიაში. სიმდიდრითა და სილამაზით ბრწყინავდა აია: მაღალი სასახლეები, ფართო კარები და სვეტების მწყობრი რიგი კედლების გარშემო, სპილენძით გამაგრებული ბურჯები, ფოთლომწვანე, მდიდრულად დაბურული ვაზები, დაუშრობელი წყაროები, რომელთაც რძე, ღვინო, სურნელოვანი ზეთი და წყალი სდიოდათ. აქ ცხოვრობდა კოლხეთის მეფე, საშინელი ხმისა და უზარმაზარი ღონის მქონე, აიეტი. იასონი წარუდგა აიეტს და სთხოვა მას ოქროს საწმისი, სამაგიეროდ შენი მტრების, სარმატების წინააღმდეგ დაგეხმარებო. აიეტი პი-

რობას უდებს იასონს, მოგცემ საწმისს, თუ ისეთ საგმირო საქმეს შე-
სრულებ, მე რომ გიჩვენებო.

კოლხეთის მეფემ მოიყვანა სპილენძის ჩლიქებიანი ხარები, რომელ-
თაც სპილენძისავე პირიდან ცეცხლი ამოსდიოდათ. აიეტმა მარტო
დაადგა ხარებს ულელი და შეაბა ისინი ფოლადისაგან გაჭედილ სახე-
ნელში. თავისი სახენელით სწორე კვლები გაავლო აიეტმა და ერთ-
მხარის სიღრმეზე მოხნა მიწა. ხარები-კი სპილენძის ჩლიქებით აფშენე-
დნენ ბელტებს.

იასონი ვერასოდეს ვერ შეასრულებდა ამ საქმეს, მაგრამ მას დაეხმარა
კოლხეთის მეფის ასული, რომელსაც შეუყვარდა ბერძენი ვაჟკაცი. მედე-
გრძნეული იყო და პრომეთეს წამლის კეთება იცოდა. როცა ორბმა პრი-
მეთეს სქელი სისხლი დაღვარა მიწაზე, იმ ადგილას ამოვიდა უცხო ყუ-



რკინის მახვილის ბრინჯაოს
ტარი სამთავროდან.
მცხეთის არქ. მუსეუმი.

ვილი, რომლის წვენიდანაც დაუ-
ნა მედეამ თავისი წამალი. ვინც ამ წა-
მალს ტანზე დაიცხებდა, მას ვერაფერ-
აკლებდა ხმალი და ცეცხლი და ძალ-
ღონეც ემატებოდა. ეს წამალი გადას-
ცა იასონს მედეამ. იასონმა შეასრუ-
ლა, ამ გზით, აიეტის პირობა.

შემდეგ იასონმა, ისევ მედეას დახ-
მარებით, მოჰკლა უშველებელი გე-
ლეშაბი, რომელიც კავკასიის მიწის-
გან იყო ნაშობი და რომელიც სდა-
რაჯობდა არეოსის ტყეში მუხის წვერ-
ზე დაკიდულს ოქროს საწმისს. არგო-
ნავთებმა დაისაკუთრეს ეს ძვირფე-
სი განძი, მოიტაცეს თვით მედეაც და
მალულად გაეშურნენ შინისაკენ. გა-
ძარცულმა აიეტმა მდევარი გამოუყე-
ნა არგონავტებს, მაგრამ კოლხების
ცდამ ფუჭად ჩაიარა, ხოლო აიეტის
ვაჟი, აფსირტი, დაიღუპა ამ დევ-
ნაში.

არგონავტების თქმულებაც ბევრმა
პოეტმა გალექსა.

**თქმულებები კავკასიის ხალხთა და სახელმწიფოთა წარ-
მოშობის შესახებ.** ძველ ბერძნულ მწერლობაში ეპოულობთ აგ-
რეთვე თქმულებებსა და გადმოცემებს იმის შესახებ, თუ როდის ან საი-
დან წარმოიშვნენ კავკასიის ხალხები და მათი სახელმწიფოები. ყველა-
ზე გავრცელებული ამ თქმულებათა შორის იმავე იასონთანაა დაკავ-
შირებული.



უფლისციხე.


ოქროს ვერძის მოტაცების შემდეგ იასონი და მედეა ისევ დაბრუნდნენ კოლხეთში. აქ იასონმა დიდი დახმარება აღმოუჩინა თავის სიმამრს, მეფე აიეტს, რომელიც მტრებისგან შევიწროებული იყო. იასონმა დალაშქრა მეზობელი ქვეყნები და დიდი მიწა-წყალი დაიპყრო. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი გადაიხადა იასონმა სასპერ-იბერების ქვეყანაში, მაგალითად, კალაპოტი გაუჭრა და ზღვისაკენ გზა მისცა მდინარე არაქსს, რომელიც ბარში ტბად დამდგარიყო. იბერები სთვლიდნენ იასონს თავის მამამთავრად, სალოცავებს აგებდნენ მის სახელზე და თავიანთ სცემდნენ მას, როგორც ღმერთს. იასონის ერთმა თანამგზავრმა, არმენმა, დააარსა არმენიის სახელმწიფო და თავისი სახელი მისცა მას. ასევე, მედეამ და მისმა შვილმა მედმა დააარსეს მედიის ანუ მიდიის სახელმწიფო და თავისი სახელი მისცეს მას. იასონის სხვა ამხანაგებმა დააარსეს რიგი ქალაქები და სახელმწიფოები.

კიდევ ბევრი სხვა თქმულება და ამბავი დადიოდა ბერძნებში საქართველოს შესახებ. ეს თქმულებები ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ცხოვრებისა და ბუნების ანარეკლები აშენებული, მხოლოდ აქ კემმარიტება შეფერადებულ-გაზღაპრებულია.

ბერძნული ცნობებისა და თქმულებების მნიშვნელობა.
ბერძნული ცნობები და ამბები საქართველოს შესახებ დამატებით შუქს ჰფენენ ჩვენი ქვეყნის ნიადაგიდან ამოღებულს არქეოლოგიურ მასალაზე.

4. საქართველოს ისტორია.

ლას. თუ ამას ზედ დავურთავთ იმ დასკვნებსაც, რომელსაც გვაწვდის მეცნიერება კულტურული მცენარეების, შინაური ცხოველების, სამთა მადნო საქმისა და მეტალურგიის, ტექნიკის ისტორიისათვის საქართველოში, მივიღებთ უფრო სრულ სურათს განვითარების იმ დონის შესახებ, რომელზედაც იდგა საქართველოს მოსახლეობა მეექვსე-მეხუთე საუკუნეებში, ძვ. წ.



უფლისციხე. კლდეში ნაკვეთი ქუჩა.

უკვე ძველადვე ფიქრობდნენ, არგონავტების თქმულება დაკავშირებულია კოლხეთში ოქროს მოპოვებასთანო. განთქმული ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი მოგვითხრობს, რომ კოლხებისა და სვანების ქვეყანაში „წყლის ნაკადებს ჩამოაქვთ ოქრო და ბარბაროსები აგროვებენ მას დაჩვრეტილი როფებისა და ბანჯგვლიანი ტყავების საშუალებით. ამბობენ, რომ აქედან წარმოიშვა ზღაპარი ოქროს საწმისის შესახებ“-ო. მეორე მწერალი, ზარაქს პერგამელი-კი ამტკიცებს, რომ „ოქროს საწმისი არის მხოლოდ ოქროს მოპოვების წესი, რომელიც დაწერილი იყო ტყავებზე, ამ ღირსშესანიშნავი წესის გულისათვის იყო სწორედ ლაშქრობა მოწყობილი ხომალდ არგონავტი“-ო.

ოქრო ნამდვილად არის საქართველოს მდინარეებში და მისი მოპოვებაც წარმოებს ეხლა.

ოქროს გარდა, როგორც ვნახეთ, ისტორიული საქართველოს ნიადაგიდან იღებდნენ და ამუშავებდნენ რკინას, სპილენძს, ვერცხლსა და სხვა ლითონებს; ეს ძველი ხელობა ქართველმა სახალხო მჭედლებმა ჩვენ ღრომდე შემოინახეს. რაჭაში, მაგალითად, იყო მთელი რაიონი, „სარკინეთად“ წოდებული (ჯეჯგორისა და ქვედრულას ხეობები), სადაც „რკინის კაცები“, მჭედლები, ამხანაგობებად გაერთიანებულნი, აწარმოებდნენ ადგილობრივ რკინის მადნეულის მოპოვებას, მადნეულის რკინად დაწურვისა და დაყენებას, საჭედური რკინიდან „ხელადის“ (სხვადასხვა იარაღისა და ნივთის) დამზადებას. რაჭველი მჭედლები, მაღალი ხარისხის ლი-

თონის მიღების მიზნით, მადნეულს რთული, მრავალსაფეხურიანი წესით ამუშავებდნენ და მასში „სადულებს“ ურევდნენ — „ფაშას“, „სადულ მისას“ და სხვას. „ფაშას“ რაჰველი მკედლები შეეკვას ანუ მარგანეცს უწოდებდნენ. ამრიგად „ტანმოქნილ“ რკინას შემდეგ სხვადასხვაგვარი წრთობის საშუალებით „ფხასას“ და „კბილს“ აძლევდნენ.

ოქროს ვერძის ლეგენდა შესაძლებელია მიუთითებდეს აგრეთვე ადგილობრივ ცხვარზე, რომელსაც კარგი მატყლი ჰქონდა. ძველი ქართული ჯიშის ცხვარი შენახულია დღემდის და „იმერულ ცხვარ“—ად იწოდება. იგი ცნობილია თავისი ნაზი ბეწვით. ეს არის უდუმო კუდიანი ცხვარი, როგორსაც ხეთაში აშენებდნენ.

ფოლადის სახენელი, სპილენძის ჩლიქებიანი ხარი, ღრმა და სწორე ხნული იმის გამოძახილია, რომ, ბერძნების ცნობით, ძველი კოლხები ხელოვანი მიწათმოქმედნი იყვნენ და ლითონის გაუმჯობესებული იარაღით სარგებლობდნენ.

მართლაც, მიწათმოქმედებას, კერძოდ — მემინდვრეობას, საქართველოში ძალიან ძველი ისტორია აქვს. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ ხორბალი, კაცობრიობის ძირითადი საკვები პროდუქტის მცენარე. მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ კულტურული ხორბლის მთავარი სამშობლო ამიერკავკასიასა და წინა აზიაში უნდა ვეძიოთ. ამსტანავე დადგენილია, რომ საქართველოში, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით, დაცულია ხორბლის კულტურულ სახეობათა ყველაზე დიდი რაოდენობა (12 სახეობა და 130 სახესხვაობა). კულტურული ხორბლის ორი სახეობა, მახა და ზანდური, საქართველოს გარეთ არსად არ გვხვდება. ზოგი მეცნიერის აზრით, მახა ის ხორბალია, რომელიც პირველად გააშინაურა (გარეული სახიდან კულტურულ სახედ აქცია) ადამიანმა. იგი ამჟამად მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში მოჰყავთ და მის ასაღებად ხმარობენ ნამგალსა და ცელს კი არა, არამედ თავისებურ იარაღს, რომელსაც შნაკვი ეწოდება.



ბრინჯაოს თოხი ჩხარის რაიონიდან.

კუთხისის მუზეუმი.

მეცნიერთა ამ მოსაზრებებსა და ძველი წყაროების ცნობებს არქეოლოგიური მასალაც ემთხვევა. ზუგდიდის რაიონში ერთი ყურღანის გათხრის დროს აღმოჩენილ იქნა წაბლი, წიწიბო (წიფლის ნაყოფი), რკო და თხილი, რომელიც საკვებად უხმარიათ, და, რაც უფრო საყურადღებოა, მახა ხორბლის, ქერის, ფეტვისა და ქვრიმას ნაშთები. ამრიგად დადასტურდა, რომ სამი ათასი წლის წინათ საქართველოს მოსახლეობა უძველესი აშენებდა ამ პურეულ მცენარეებს.


დაწინაურებული მიწათმოქმედებისათვის შესაფერისი ტექნიკა საჭირო. ამ მხრივაც დადასტურებულია, რომ საქართველოში შემონახულია ძველი სახენელი იარაღის მეტად მნიშვნელოვანი სახეები, კერძოდ — რაჭული სახენელი. რაჭული სახენელი ერთი ყველაზე უფრო გაუმჯობესებული იარაღია თანამედროვე საქარხნო გუთნების წინა მორბედთა შორის.

მედვას გრძნული წამალი ხალხური სამკურნალო საქმის განვითარებაზე მიუთითებს. ქართველ ხალხში ეხლაც ზოგი სასარგებლო წამლის დამზადება იციან.

ტყავზე დაწერილი წესი ოქროს მოპოვებისა დამწერლობის არსებობას გულისხმობს. მესამე საუკუნის (ძველი წელთაღრიცხვით) ბერძენი მწერლები ამასაც ამტკიცებდნენ: კოლხებს ეხლაც შენახული აქვთ ფიცრები, რომლებზედაც მათი მამა-პაპის მიერ წარწერებია გაკეთებული და მოგზაურობისათვის ნაჩვენებია ყველა გზა და წყლისა და ჰმელეთის საზღვრები. ასეთი ფიცრები გეოგრაფიული რუკები უნდა ყოფილიყო.

§ 10. იზმირისა და კოლხეთის სამეფოების წარმოშობა

ზემოთ განხილული ცნობებიდან ჩანს, რომ მეექვსე საუკუნის დამდეგს, ძვ. წ., სუბარეთის ჩრდილოეთ რაიონების, კერძოდ — დღევანდელი საქართველოს მოსახლეობა და მისი მეურნეობა იმდენად იყო დაწინაურებული, რომ სახელმწიფო ორგანიზაციისათვის აქ საჭირო ნიადაგი უკვე არსებობდა. ამიტომაც რომ, როცა ურარტუს სამეფო დაემხო და მისი ცენტრი ვანის ტბისპირას მოცხოვრება არ მოშლილა, სახელმწიფოებრივი ცხოვრება არ მოშლილა. სახელმწიფოებრივმა ცენტრებმა უფრო ჩრდილოეთისაკენ გადმოინაცვლა მხოლოდ.




კოლხური ბრინჯაოს
საჭრეთელი.
ქუთ. მუზეუმი.




ნიშანი ქვევრზე სოფ. დაბლა-გომიდან, მსგავსი
ასომთავრული ასო დონისა.

დაბლა-გომის არქ. ექსპედიცია.



ოქროს ნივთები ახალგორის განძიდან: ზემოთ და ქვემოთ მარცხნივ — ცხენის
აკაზმულობის ნაწილები; ქვემოთ მარჯვნივ — სამკაული შეკაზმული ცხენის
ქანდაკური გამოსახულებით; შუაში — საყურე.

ი. სმირნოვის გამოცემით...



სუფრის ჰურპელი, ვერცხლისა, ახალგორის განძიდან.

ი. სმირნოვის გამოცემა.

ამიერკავკასიის პოლიტიკური მდგომარეობა მეექვსე საუკუნეში, ძვ.წ. აღწერილია სახელგანთქმული ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს მიერ. მეოთხდის ტბიდან (ე. ი. აზოვის ზღვიდან) კოლხების ქვეყანამდე და მდინარე ფასიდამდე ოცდაათი დღის გზაა მარჯვე ქვეითისათვის. კოლხეთიდან მიდიამდე უკვე შორს აღარ არის, ამ ორ ქვეყანას შორის მხოლოდ ერთი ხალხი ცხოვრობს — სასპერები. კოლხები ცხოვრობენ ჩრდილოეთის ზღვასთან (ე. ი. შავ ზღვასთან), რომელსაც მდინარე ფასიდი ერთვის, მათ ქვემოთ ცხოვრობენ სასპერები, სასპერებს ქვემოთ — მიდიელები, მიდიელებს ქვემოთ-კი სპარსები ცხოვრობენ ვიდრე სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც „წითელი“ ეწოდება (ე. ი. სპარსეთის ყურე). ეს ოთხი ხალხი ცხოვრობს ზღვიდან ზღვამდეო, გვიამბობს ჰეროდოტე.

სასპერებს ვრცელი ტერიტორია ეჭირათ: კავკასიონიდან მოყოლებული ტავრის ქედამდე, კოლხეთიდან — იმ მიუზამდე, რომელნიც დასავლეთით ზღუდავენ ძველ ადარბადაგანს (ჩრდილოეთ ირანს). ამრიგად, ეს ტერიტორია თითქმის მთლიანად შეიცავდა ურარტუს სამეფოს მიწა-წყალს.

თუ როგორი იყო კულტურული მდგომარეობა იმ დროს დღევანდელ ქართლის ტერიტორიაზე, ამას თვალსაჩინოდ გვიჩვენებს ცნობილი „ახალგორის განძი“, ქსნის ხეობაში ნაპოვნი ძვირფასი, მაღალმხატვრული ნაკეთობის ნივთები, რომელნიც, უეჭველია, წარჩინებულსა და მდიდარ პირებს ეკუთვნოდა.

დასავლეთ საქართველოს ძველად, როგორც ნათქვამია, ბერძნები კოლხეთს უწოდებდნენ. ადგილობრივ მას ეგრისი ერქვა. ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით, თუ როდის დაარსდა კოლხეთის სამეფო. ამ სამეფოს შესახებ მე-ნ საუკუნიდან, ძველი წელთაღრიცხვით, ბერძენი მწერლები გვიამბობენ.


ძველი კოლხეთის სამეფოც ვრცელ მიწა-წყალს შეიცავდა, აფხაზეთიდან მოყოლებული შორს სამხრეთისაკენ შავი ზღვის გასწვრივ. სახელგანთქმული ქალაქები ტრაპიზონი (ეხლანდელი ტრაპზონი) და კერასუნტი (ეხლანდელი გირესუნი) კოლხეთს ეკუთვნოდა. ჩრდილოეთ კოლხეთის ქალაქები იყო ფასიდი, დიოსკურია და პიტიუნტი. კოლხეთის დედაქალაქი იყო აია, რომელიც მდ. ფასიდზე მდებარეობდა. მდინარე ფასიდს ეძახდნენ მაშინ რიონს მდ. ყვირილას შესართავამდე და ამის შემოთ თვით ყვირილასაც.

ბერძნული ახალშენები დიდ სარგებელს პოულობდნენ კოლხებთან ვაჭრობაში. გაიზარდა და გამდიდრდა ეს ქალაქები. მარმარილოსაგან ნაკეთები შენობებით, კარგი ნავთსადგურებით, არხებითა და წყალსადენებით, მტკიცე ქალაქის კედლებით შეიმკო და გამაგრდა პიტიუნტი და დიოსკურია, ფასიდი და ტრაპიზონი. უცხოელი ვაჭრებისაგან დარჩენილს სხვადასხვა ქვეყნის ფულს ღღესაც პოულობენ დასავლეთ საქართველოს ნიადაგში.



კოლხური თეთრი (ნახევარ-დრაქმა და დიდრაქმა).

ეს ვაჭრობა სასარგებლო იყო კოლხებისათვისაც. ერთმანეთშია ცოლხებმა ისეთი ალბ-მიცემა გააჩადეს, რომ მათ უკვე უცხოეთიდან შემოტანილი ფული აღარ ჰყოფნიდათ. მე-5 საუკუნიდან კოლხეთის მეფეებმა საკუთარი ფულის ჭრა დაიწყეს. ეს ვერცხლის ფული იყო, რომელზედაც, ჩვეულებრივ, ერთ მხარეს ხარის თავი იყო გამოსახული, მეორე მხარეს კი — კოლხების ქალ-ღმერთი. ფულს სხვადასხვა ზომისა სჭრიდნენ. კოლხურ ფულს ეხლაც ბლომად პოულობენ დასავლეთ



ბრინჯაოს სარტყლის ბალთა სოფ. ღებიდან.

ღების არქ. ექსპედიცია.

საქართველოში. სამკაულები იცოდნენ ოქროსი, ვერცხლისა, ბრინჯაოსი — საყურე, ბეჭედი, ქინძისთაფები, სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებანი. უყვარდათ ბრინჯაოს ფართო ქამრის თაფები ანუ ბალთები. რომლებზედაც გამოსახული იყო სხვადასხვა ცხოველი. უყვარდათ სხვადასხვა მძივისაგან გაკეთებული ყელსაბამებიც. მიცვალებულებს ხშირად ასაფლავებდნენ თიხის კუბოებში ან ქვევრებში.

მკვდრებს სამარეში, ფულის გარდა, ყოველგვარ იარაღს, ჭურჭლეულობასა და სამკაულებსაც აყოლებდნენ.

როცა იმდროინდელ საფლავებს ვსინჯავთ, ვხედავთ, რომ ზოგ სამარეში მდიდარი კაცია დამარხული, ზოგში-კი — ღარიბი. ზოგისთვის ბევრი ოქრო-ვერცხლი, იარაღი და ფული ჩაუტანებიათ, სხვებისთვის — ცოტა. აშკარაა, საქართველოს მოსახლეობაში იმ დროს ქონებრივი უთანასწორობა უკვე იყო ფეხგადგმული.

§ 11. იზირია-კოლხეთი და აქამენიდების სამეფო

აქემენიდების დიდმა სახელმწიფომ თავისი გავლენა კავკასიასაც გაუშუქვდინა. სპარსელებმა სხვებზე აღრე იქ ქართული თემები დაიმორჩილეს, რომელნიც ახლანდელ ამიერკავკასიაზე სამხრეთით მდებარეობდნენ. მე-5 საუკუნის პირველ ნახევარში სპარსეთის სამეფოს ორი ჩრდილოეთით მდებარე ოლქი ამ დამორჩილებული თემებისაგან შედგებოდა. მე-18 ოლქში, რომელიც მდ. არაქსის ხეობასა, მდ. ეფრატის

და ტიგროსის სათავეებსა და ვანის ტბის გარშემო იდო, შედიოდნენ მატეინები, სასპერები და ალაროდიები, როგორც ამას ჰეროდოტე მოგვითხრობს. მე-19 ოლქში-კი, რომელიც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს ემზრობოდა, შედიოდნენ მესხები, ტიბარენები, მოსინიკები და სხვები. ეს ოლქები სპარსეთის მეფეს მძიმე ხარკს უხდიდნენ.

შემდეგ სპარსელები ამიერკავკასიაშიც შემოჭრილან. კოლხებმა და მათმა მეზობლებმა სპარსეთის მეფის სასარგებლოდ ძღვენი იკისრეს. რომ სპარსელების შემოსევებისაგან თავი დაეხსნათ. დროგამოშვებით ისინი სპარსეთის მეფეს ტყვეებს უგზავნიდნენ.


ხარკზე არანაკლებ სამძიმო დამორჩილებულთათვის იყო მოვალეობა, რომ მათ მონაწილეობა უნდა მიეღოთ სპარსელების ყველა ლაშქრობაში, თუ-კი ამას მეფე მოითხოვდა. როცა, მაგალითად, სპარსელები საბერძნეთს შეესივნენ, მათს ჯარში ქართველი მეზობლებიც ბლომად იყვნენ.

400 წელს, ძველი წელთაღრიცხვით, ბერძენმა სპარდალმა და მწერალმა ქსენოფონტემ თავისი თვალით ნახა და დაწვრილებით ასწერა სამხრეთ-ქართული თემების, ხალიბების, მოსინიკების, ტაოხებისა და სხვების, ყოფა-ცხოვრება.

მიუხედავად იმისა, რომ ავბედობის წყალობით, ეს თემები იმხანად დასუსტებული იყვნენ, ქსენოფონტე მათს სოფლებში ყველგან დიდ სანოვაგესა და შინაურ საქონელსაც ბლომად პოულობდა.

ვაჭრობაც ამ თემებში გავრცელებული ყოფილა და მათ საკუთარი ქალაქებიც ჰქონიათ. ზღვისპირისაგან დაშორებით, მაგალითად, იყო გუმნიადი, დიდი და მდიდარი ქალაქი. როცა ბერძნებთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ, ეს თემები მათ თავის ბაზრებს უხსნიდნენ.

აქაური ჩვეულებრივი საომარი იარაღი ყოფილა: ნაირ-ნაირი შუბები, დაწნული და ხარის-ტყავ-გადაკრული ფარები, სარტყელზე დაკიდული ხანჯლები და რკინის ცულები. თავს იცავდნენ ხის ან ტყავის მუზარადით, ტანს-კი — სელის ჯავშანით. ატარებდნენ აგრეთვე ნაბდებს.



ბრინჯაოს სარტყლის ბალთა სოფ. ღორეშიდან (ორჯონიკიძის რ.).

ქუთაისის მუზეუმი.

ზღვისპირელები ლითონის დამუშავებას მისდევდნენ; მაგალითად, პიზონის დასავლეთით მცხოვრები ხალიბების უმრავლესობა თავს მხოლოდ ლითონის დამუშავებით ირიჩნდა. მოსინიკები ზღვარსწრაფი გაწაფული ყოფილან.

ქონებრივი უთანასწორობა აქ კაცს თვალში ეცემოდა. მდიდარი მშობლების ბავშვები ძალიან გამოირჩეოდნენ ღარიბებისაგან, რადგან ისინი თურმე განსაკუთრებულად იზრდებოდნენ და იკვებებოდნენ. ამ თემებს თავისი მთავრები ჰყავდათ. მთავრები განსაკუთრებულ კოშკებში ცხოვრობდნენ, მცველებით გარშემორტყმულნი თავისი ქვეშევრდომების ხარჯზე.

ხალხი გულადი, ამაყი და დამოუკიდებლობის მოყვარული იყო. ქსენოფონტე გაკვირვებით გვიამბობს მათი გმირობისა და თავისუფლების სიყვარულის ამბებს. როცა ქსენოფონტე და მისი ბერძენი მეომრები ტაოხების სოფლებს მიაღწენ, ტაოხებმა მათ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს: მთელი ხალხი, ქალი და კაცი, ციხე-სიმაგრეებში ჩაიკეტა და ისე ებრძოდა ბერძნებს. როცა მტერმა დიდი გაპირვებით ბოლოს მაინც მოახერხა ტაოხების ციხეების აღება, მას საშინელი სურათი წარმოუდგა თვალწინ: ქალები ჯერ თავის ბავშვებს ისროდნენ კლდეებიდან და შემდეგ თვითონაც ცვიოდნენ უფსკრულში. ასევე იქცეოდნენ მამაკაცებიც: ტაოხებს არ სურდათ ბერძნებს ცოცხლად ხელში ჩავარდნოდნენ, მონობას ისევ სიკვდილი სჯობდაო. ერთი ბერძენი დახარბდა ერთი ტაოხის ლამაზ ტანისამოსს და სცადა ტაოხის დაჭერა, როცა იგი უფსკრულში გადავარდნას აპირებდა. მაგრამ ტაოხმა აჯობა, ბერძენიც თან გადაიყოლა და ორივენი დაიღუპნენ.

მოსინიკებშიაც ასე მოხდა. როცა ბერძნებმა მოსინიკები დაამარცხეს, ისინი დაემუქრნენ მოსინიკების მთავრებს, გამოდიოთ თქვენი კოშკებიდან, თორემ დაგწვავთო. მთავრებმა დამამცირებელ ტყვეობას ცეცხლში ცოცხლად სიკვდილი ირჩიეს, ბერძნებს მორჩილებაზე უარი უთხრეს და დაიღუპნენ.

ქსენოფონტეს მიერ აღწერილი თემები შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, — ტრაპიზონის, კერასუნტისა და კოტიორას (ეხლანდელი ორდუ რაიონში, — და ეფრატის ზემო წელზე მდებარეობდა. ამ თემების უმეტესობა ამ დროს სპარსეთის მეფეს უკვე აღარ ემორჩილებოდა, მაგრამ მათ ერთმანეთშიაც მჭიდრო ერთობა არ ჰქონიათ.

§ 12. სპარსელო და მისი მეზობლები ელინისტურ ხანაში

ალექსანდრე მაკედონელი. აქემენიდების სამეფომ მხოლოდ ორი საუკუნე გასძლო. მე-4 საუკუნის დამლევს მას ბოლო მოუღეს ბერძნებმა ალექსანდრე მაკედონელის წინამძღოლობით.

მაგრამ თვითონ ალექსანდრე მაკედონელის ახალი უზარმაზარი სახელმწიფო კიდევ უფრო დღემოკლე აღმოჩნდა. 323 წელს ალექსანდრე გარდაიცვალა და მალე მისი სამფლობელოც დაიშალა. ალექსანდრეს სარდლებმა, რომელთაც, როგორც მეფისნაცვლებს, საგამგეოდ ჩაბარებული ჰქონდათ მსხვადასხვა ქვეყნები, თავისი თავი ადგილობრივ მეფეებად გამოაცხადეს. აზია წილად ხვდა სელევკსა და მის შთამომავლობას (სელევკიდებს).

ბაქტრიის, პართიისა და პონტოს სამეფოები. მალე სელევკიდების სამფლობელოს ახალი სამეფოები გამოეყო. მე-3 საუკუნის შუა წლებში სელევკიდებს გადაუდგნენ და დამოუკიდებელ სამეფოებად ჩამოყალიბდნენ ბაქტრია და პართია. ბაქტრია კასპიის გაღმა მხარეში მდებარეობდა, პართიას-კი ეკირა კასპიის ზღვის სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ქვეყნები. პართიის სამეფო საგვარეულოს არშაკიდებს უწოდებენ. პართიის ანუ არშაკიდების სამეფომ, რომელმაც თითქმის ხუთი საუკუნე გასძლო (250 წლიდან, ძველი წელთაღრიცხვით,—226 წლამდე, ახალი წელთაღრიცხვით), შემდეგში დიდი როლი ითამაშა ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიაში.

აღრევე გამოეყო სელევკიდების სამეფოს პონტოს სამეფოც, რომელმაც ასეთი სახელწოდება მიიღო იმიტომ, რომ შავი ზღვის ანუ პონტოს სამხრეთ სანაპიროზე მდებარეობდა. პონტოს მთავარი ქალაქები იყო სინოპი და ამისი (ეხლანდელი სამსუნი).

პონტოს სამეფოს მოსახლეობა უმეტეს წილად ქართული იყო, ოღონდ სამეფოს გაბატონებული საზოგადოებრივი ზედაფენა ელინიზმის ძლიერი კულტურული ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ძველი ბერძენი გეოგრაფები და ისტორიკოსები უკვე ძვ. წ. VI საუკუნიდან მოყოლებული მოწმობენ, რომ პონტოს მოსახლეობა შედგებოდა ტიბარელების, ხალიბების, სანების (ჰანების) და კოლხებისაგან — ე. ი. ქართველი ტომებისაგან, რომელთაც ახალ ხანაში შემოინახეს დედა-ენა და თავისი მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი. სტრაბონით, ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ახ. წ., მთელი მხარე კოლხეთის დასავლეთით მდ. დალისის შესართავამდე იწოდებოდა ტიბარანია და დასახლებული იყო ტიბარანული ტომებით. ბიზანტიური, ძველქართული და ძველსომხური ცნობებით კი ვიცით, რომ ამ მიწა-წყალს შუა საუკუნეების მთელ მანძილზე ეწოდებოდა კოლხიდა, ლაზიკა (ლაზეთი), ხალდია და (დასავლეთ განაპირას) ჰანიკი ანუ ჯანიკი. ე. გ. პალგრევი, რომელიც დიდხანს იყო აქ ინგლისის ელჩად და რომელმაც კარგად შეისწავლა ეს ადგილები, წერს, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებში ტრაპეზუნტის ვილაიეთი (გუბერნია), რომელიც რუსეთის საზღვრებიდან მდ. ყიზილ-ირმაყამდე (ძველ დალი-სამდე) იყო გადაჭიმული, თურქებს დაყოფილი ჰქონდათ ოთხ სანჯაყად (ოლქად): ლაზიკი, ტრაპეზუნტის სანჯაყი, გიუმრუშანეს სანჯაყი და ჯანიკი. ეს უკანასკნელი ქალ. ორდუდან ყიზილ-ირმაყის (დალისის) ნაპირებამდე აღწევდა. მისი ცენტრი იყო ქალ. სამსუნი. ამრიგად, თურქულმა ოფიციალურმა ნომენკლატურამ ჯერ კიდევ XX საუკუნემდე შემოინახა ქვეყნის ძველი სახელწოდებანი. პალგრევი ამასთანავე ამტკიცებს, რომ ტრაპეზუნტის ვილაიეთის მაჰმადიანი მოსახლეობა „წარბოსდებოდა უმთავრესად ლაზებისაგან—ამ მშენიერი, კარგი მხენელ-მთესველებისა და მარჯვე მე-

ზღუდრების რასისაგან“-ო. ლაზები კი ცნობილი ქართველი ტომია, რომელიც XVI საუკუნეებიდან თურქების ბატონობის უღელქვეშ არის მოქცეული.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ მითრიდატ დიდის ერთ ვაჟს მახარე ეწოდებოდა. ეს წმინდა ქართული და საქართველოში ფართოდ გავრცელებული სახელია.

ელინიზმი და საქართველო. ალექსანდრესა და მისი სარდლების მიერ დაარსებულმა სამეფოებმა თვალსაჩინო კვალი დაამჩნიეს აზერბაიჯანის ხალხების ცხოვრებას. დიდად გავრცელდა ბერძნული ანუ ელინური კულტურა. ამ კულტურის ცენტრებად გადაიქცა ძველი და ახალი (თვით ალექსანდრესა და მისი მემკვიდრეების მიერ დაარსებული) მრავალრიცხოვანი ქალაქები, რომლებსაც ერთმანეთში ცხოველურთიერთობა ჰქონდათ.

ბერძნული ანუ ელინური კულტურის ასეთი გავრცელების გამო აღმოცენდა საეკლესიო, ალექსანდრესა და მისი მემკვიდრეების სამეფოების ხანა (მე-4 საუკუნის დამლევიდან პირველ საუკუნემდე, ძვ. წ.) ელინისტური ხანას ანუ ელინიზმის ხანას ეძახიან.

ელინიზმმა თვალსაჩინო გავლენა მოახდინა საქართველოზედაც. საქართველოს აღებ-მიცემა გარეშე ქვეყნებთან ესლა უფრო ცხოველი გახდა. ვაჭრობას კიდევ თან სდევდა კულტურულ მონაპოვართა და გამოცდილების გაზიარება. უფრო, ვიდრე ეს მანამდე იყო, გავრცელდა ჩვენი ბერძნული ენა და ბერძნული მწერლობა. მცხეთაში ნაპოვნი ბერძნული წარწერები, რომელნიც ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგს ეკუთვნიან, ცხადყოფს, თუ როგორ კარგად იცოდნენ ჩვენში ეს ენა.

დიდი ცვლილებები მოხდა პოლიტიკურ სფეროშიაც.

სომეხებისა და სომეხური სამეფოების წარმოშობა. ქართველ ხალხის უახლოესი მეზობლები მრავალი საუკუნის მანძილზე იყვნენ და დღესაც არიან სომეხები.

სომეხები, რომლებსაც „სომეხს“ მხოლოდ ქართველები უწოდებენ, თვითონ თავის თავს „ჰაი“-ს ეძახიან. ისინი ელინისტური ხანაში თანდათანობით მოდიან სამხრეთიდან ურარტუს ტერიტორიაზე და ნელ-ნელა მოიწვევენ წინ. ურარტუს მკვიდრ მოსახლეობასთან შერევის გამო, ჰაიების ენა ძალიან შეიცვალა და კავკასიის ენებს, განსაკუთრებით-კი — ქართველურ ენებს დაუახლოვდა.

მე-6 საუკუნის დამლევიდან სომეხებიც სპარსეთის მეფეს ემორჩილებოდნენ. სპარსეთის დამხობის შემდეგ, სომეხები ალექსანდრესა და სელევკიდების სამეფოს ქვეშევრდომები იყვნენ. მაგრამ როცა 190 წელს, ძვ. წ. სელევკიდების სამეფომ სასტიკი დამარცხება განიცადა რომაელებისაგან, მას გადაუდგნენ მისი მმართველები სომხეთში, რომლებმაც ორი სამეფო დააარსეს.

ეს სამეფოები თავდაპირველად პატარა იყო, მაგრამ მალე ისინი გაფართოვდნენ მეზობელი ქვეყნების ხარჯზე. კოლხეთისა და იბერიისათვის ჩრდილოეთ სომეხურ სამეფოს ხუთი ოლქი ჩამოუჭრია.

იბერიამ ამ დროს დაჰკარგა სამი დიდი ოლქი — პარიადრის მთიანეთი, ხორძენა და გოგარენა, რომელთაგანაც ყველაზე შორს სამხრეთ-დასავლეთისაკენ მდებარეობდა პარიადრის მთიანეთი. ამ მთიან ოლქს ეჭირა მდ. ლალისის (ყიზილ-ირმაკის) სათავეები, დღევანდელი სივასის ოლქის აღმოსავლეთი სექტორი, რომელიც ძველი ხეთის სამეფოს ტერიტორიის ნაწილს შეადგენდა. იბერიისა და კოლხეთის საზღვარზე მდებარე ხალიბებისა და მოსინიკების თემებმა დაჰკარგეს კარინითი და დერქსენა. დერქსენა ეხლანდელი დერჯანია, კარინითი — კარნუ ქალაქის ანუ ერზერუმის ოლქი.

ამის შემდეგ იბერიისა და სომხეთის საზღვრად მდ. არაქსი დაწესდა. **მცხეთა — იბერიის (ქართლის) სამეფოს დედაქალაქი.** ელინისტური ხანიდან მოკიდებული ბერძნები აღმოსავლურ ქართულ სახელმწიფოს უკვე იბერიას ეძახიან, მის მცხოვრებლებს — იბერებს. ხალხის სახელი, განსაკუთრებით — უცხოელების პირში, ხშირად იცვლება ხოლმე სხვადასხვა მიზეზით. მაგალითად, რუსები ქართველებს ჯერ ივერებს (ე. ი. იბერებს) და ოზეზებს ეძახდნენ, შემდეგ — გურზინებს, ეხლა-კი გრუზინებს უწოდებენ.

შესაძლებელია ამ სახელთა ცვლილების ერთი მიზეზი ის იყო, რომ სწორედ ელინისტურ ხანაში სასპერ-იბერების სამეფომ დიდი მიწა-წყალი დაჰკარგა სამხრეთისაკენ და, ბოლოს, ამიერკავკასიის საზღვრებში მოემწყვდა.

სამხრეთის რაიონების დაკარგვას ის მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა, რომ სახელმწიფოებრივმა და კულტურულმა ცენტრებმა ერთხელ კიდევ გადმოინაცვლეს თავისი ადგილი ჩრდილოეთისაკენ, მტკვრის აუზში. იბერიის ანუ ქართლის სამეფოს დედაქალაქად მცხეთა გადაიქცა.

ძველი ქართული ისტორიული გადმოცემით, მცხეთა სატახტო ქალაქად აქცია აზოზი, რომელიც არიან-ქართველთა მეფის შვილი იყო. აზო მოვიდა ამიერკავკასიის ქართლში თავისი მამის სამფლობელოდან, არიან-ქართლიდან, რომელიც ამიერკავკასიის სამხრეთით მდებარეობდა, და მცხეთაში დაჯდა. ქართლის შემდეგდროინდელი მეფეები აზოს შთამომავლნი არიანო.

არიან-ქართლი ჰარის ქვეყანას უნდა გულისხმობდეს. ასე ეწოდებოდა, როგორც ვიცით, ძველი სუბარეთის სამხრეთ რაიონებს. აზო იგივე იასონია, რომელსაც ბერძნები იბერების მამამთავრად სთვლიდნენ. ამრიგად, გადმოცემაში დაცულია მოგონება იმის შესახებ, თუ როგორ გადმოვიდა აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს ცენტრი სამხრეთიდან ჩრდილოეთში.

ამის შემდეგ ვიდრე მეექვსე საუკუნემდე, აზ. წ., აღმოსავლეთ საქართველოს დედაქალაქი მცხეთა იყო.

არაქსოლოგიური გათხრები მცხეთაში. 1937 წლიდან მცხეთაში დიდი გათხრები წარმოებს. ამ გათხრებმა ჩვენი ძველი ისტორიის




მცხეთა. 1906 წლის ფოტოგრაფია.

ძვირფასი ძეგლები შეგვცდინა. მათი საშუალებით შეიძლება შევისწავლოთ ჩვენი წინაპრების ცხოვრება თითქმის ორი ათასი წლის სიგრძეზე, მეორე ათასწლეულის დამლევებიდან, ძვ. წ., ვიდრე ადრინდელ ფეოდალურ ხანამდე.

ჯერ კიდევ პირველ ათასწლეულის დამდეგს, ძველი წელთაღრიცხვით, ბრინჯაოს ხანაში, მცხეთა მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა. მაშინდელი მცხეთელები მეომარი ხალხი იყო, რომელიც უმთავრესად სოფლის მეურნეობას მისდევდა. იმდროინდელი საფლავები ბლომად არის აღმოჩენილი მცხეთის გარეუბან სამთავროში. მაშინ მკვდარს ღრმა ორმოს ფსკერზე ასაფლავებდნენ.

ელისისტურ ხანაში მცხეთა ქალაქად გადაიქცა. ძველი მეომარი მიწათმოქმედი მცხეთელებიც უფრო მშვიდობიანი მოქალაქეები გახდნენ. გამოიცვალა რამდენიმეჯერ დამარხვის წესიც: პირველი ათასწლეულის დამლეგს, ძველი წელთაღრიცხვით, მიცვალებულებს მეტწილად ქვევრებში სდებდნენ, ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგს-კი მკვდრები უკვე ჯერ კრამიტითა და აგურით ამოყვანილ ყუთებში უმარხავთ, შემდეგ — ქვეყუთებში. მცხეთის მოსახლეობა იმდენად მრავალრიცხოვანი ყოფილა ყოველთვის, ისტორიულ ხანაში, რომ სამთავროს სასაფლაოს დიდი ტერიტორიაც მისთვის საკმარისი არ აღმოჩენილა. სხვადასხვა ღროს საფლავები ერთმანეთის თავზე უკეთებიან. ამ სამარხებში დიდძალი სხვადასხვა ნივთია ჩატანებული — იარაღი, ჭურჭელი, სამკაული, ფული.



მცხეთა. სამთავროს ვათხრების უბანი (ტაძარსა და გზატკეცილს შორის).

მცხეთის არტ. ექსპედიცია.

კიდევე უფრო მდიდარი და მნიშვნელოვანი საფლავები აღმოჩნდა მცხეთის მეორე გარეუბანში, არმაზისხევთან. აქ უკვე ქართლის მეფის დიდი მოხელეები, ერისთავები და მათი ოჯახის წევრები არიან დასაფლავებულნი.

კოლხეთი და პონტო. მე-2 საუკუნის დამლევს, ძვ. წ., კოლხეთი კიდევე უფრო დასუსტებულია. ამ დროს სამეფო დანაწილებული ყოფილა ცალკე საგამგეო ოლქებად, რომელნიც, როგორც ჩანს, ნაკლებად ემორჩილებოდნენ კოლხეთის მეფეს.


ამავე დროს, სწრაფად ძლიერდებოდა მეზობელი პონტო, რომელმაც თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია მითრიდატ მეოთხის, ევპატორად და, აგრეთვე, დიდად წოდებულის, მეფობაში (120—63 წ. წ., ძვ. წ.). მითრიდატ IV ძველი აღმოსავლეთის ერთი ყველაზე უფრო შესანიშნავი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე იყო. ტიბარანიასზე დაყრდნობით, მითრიდატ დიდმა დაიმორჩილა ყირიმი, ზოგი სარმატული ტომი, აზოვის ზღვის სანაპიროზე მცხოვრებნი, სინდიკა (ტამანის ნახევარკუნძული და ანაპის მხარე), კოლხეთი, მცირე-არმენია და ზოგი მცირე-აზიური ოლქი, ხოლო იბერიას, საკუთრივ სომხეთს და მიდიას სამეგობრო ხელშეკრულებები დაუდო.

კოლხეთის მმართველად მან ჯერ თავისი შვილი დანიშნა; მაგრამ ახალგაზრდა ბატონიშვილმა, რომელიც კოლხეთის ძველ დიდებაზე ოცნებით

იყო გატაცებული, მოიწადინა კოლხეთის დამოუკიდებელი მეფე გამხდარიყო, და ამიტომ მამამ იგი სიკვდილით დასაჯა. შემდეგ მითრიდატი მშველად და მეფისნაცვლად კოლხეთში ერთ-ერთს თავის მეგობარ დიდებულთაგანს ჰგზავნიდა ხოლმე. კოლხეთიდან იღებდა მითრიდატი უმნიშვნელოვანეს შემწეობას თავის საზღვაო ძალებისათვის, ხომალდების საშენ ხე-ტყესა და თვით მეზღვაურებსაც.

§ 13 *კახ.* რომის ღაპაროებითი ომები აღმოსავლეთში

მე-3 საუკუნის დამლევებიდან, ძვ წ., რომი იწყებს ფართო დაპყრობით პოლიტიკის წარმოებას, ხოლო მე-2 საუკუნის დასაწყისიდან იგი აზიისში იჭრება. მე-2 საუკუნის დამლევს რომაელებს უკვე თავისი სამფლობელო



არმაზი. ერისთავთა საგვარეულო სასაფლაო. სამარხები №№ 6 და 7.

მცხეთის არქ. გუგუშვილია.

ჰქონდათ მცირე აზიისში. რომის მიერ აქ დამყარებული წესები, დიდძალი გადასახადები, მოხელეების ძალმომრეობა სულს ხდიდა რომის ქვეშევრდომებს და წინააღმდეგობის ცეცხლს აღვივებდა მათში. ამ განწყობილებით ისარგებლა მითრიდატ პონტოელმა, რომელსაც არაფრად ეპიტნაებოდა რომის ასეთი გაძლიერება თავის მახლობლად, და რომელმაც რომს სამკედრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა. მან ბრძოლაში ჩააბა მრავალი ზალხი და ჩაგრული ადამიანების, მეტწილად — მონების, დიდი მასები: ხმელთაშუა ზღვაში დიდად გაძლიერებული „მეკობრეები“, რომელნიც იმავე საზოგადოებრივი წრეებიდან იყვნენ გამოსულნი, და მონობიდან

თავდახსნილები მითრიდატში თავის ბელადს ხედავდნენ; რომიდან გამოქცეული დემოკრატები მითრიდატის კარზე და ჯარში პოულობდნენ თავშესაფარს და ერთგულად ემსახურებოდნენ პონტოს მეფეს. ეს იყო ერთადერთად უფრო დიდი ეროვნული და სოციალური მოძრაობათაგანი, რომელიც ოდესმე ყოფილა რომაელ მონათმფლობელთა წინააღმდეგ მიმართული.

მთელი მეოთხედი საუკუნე (88 — 63 წწ.) გაგრძელდა ეს ომები ცვალებადი წარმატებითა და სიძლიერით. იყო დრო, როცა მითრიდატის სარდლები წარმატებით ეომებოდნენ რომაელებს საყოველთაო სახალხო აჯანყებით მოცულ საბერძნეთშიაქცი, და რომი საძირკვლამდე შერყეული ჩანდა. მაგრამ შემდეგ უკვე ომის ბედი რომის მხარეს გადავიდა. რომაელებმა რიგრიგობით დაამარცხეს მითრიდატი და მისი მოკავშირეები.

პონტოს მეფის მოკავშირეები უკანასკნელ ომში რომაელების წინააღმდეგ იყვნენ არმენიის, ალბანიისა და იბერიის მეფეები.

არმენია ანუ სომხეთი, პირველი საუკუნის პირველ ნახევარში, ძვ. წ., ვრცელი და ძლიერი სახელმწიფო იყო. იქ მეფობდა ამ დროს ტიგრან მეორე.

ალბანია. ალბანია თანამედროვე საბჭოთა აზერბაიჯანის ძველი სახელმწიფოა. უძველეს ხანაში ალბანიის ტერიტორიაზე ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობდა, რომელნიც კავკასიურ მოდგმას ეკუთვნოდნენ. იმ ხანაში, რომელზედაც ჩვენ ეხლა ვსაუბრობთ, ეს ტომები გაერთიანდნენ და სამეფო დააარსეს.

ალბანიის სამეფო მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან საუკუნეების მანძილზე, როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად. შემდეგში უკვე, ფეოდალურ ხანაში, ძველ ალბანელებს შემოერივნენ სხვა, უმთავრესად — თურქული, მოდგმის ტომები და ასე წარმოსდგნენ ქართველების თანამედროვე მეზობლები, აზერბაიჯანელები.

პომპეუსის ლაშქრობა სომხეთსა და ალბანიაში. 66 წელს, ძვ. წ., რომაელების ახალმა სარდალმა, პომპეუსმა, სასტიკად დაამარცხა მითრიდატ პონტოელი. მითრიდატმა თავს გაქცევით უშველა, იგი ჯერ კოლხეთში გადაიხვეწა, სადაც ის ზამთარი ქალაქ დიოსკურიაში გაატარა, ხოლო აქედან ჩრდილოეთისაკენ წავიდა ახალი ჯარის შესაგროვებლად.


პომპეუსი ამის შემდეგ მითრიდატის მოკავშირეებს მისდგა. ჯერ სომხეთში შეიჭრა, დაიმორჩილა ტიგრანი და ზავის მძიმე პირობები მოახვია



მითრიდატ პონტოელი.

რეინაკის გამოცემით.

მას თავზე. შემდეგ რომაელებმა ალბანიისა და იბერიისაკენ გაილაშქრეს, ალბანელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ დამარცხდნენ და იძულებული გახდნენ ზავი ეთხოვათ რომაელებისათვის.



არმაზი. ქალის სამარხი № 6, ოქროსა და ვერცხლის ნივთებით, გახსნის შემდეგ.

მცხეთის არქ. ექსპედიცია.

§ 14. რომაელები საქართველოში

ქართლში ამ დროს მეფედ არტაგი იყო. არტაგმა საჭირო წინდხედულება გამოიჩინა: ზავის შესახებ რომაელებთან მოლაპარაკება გამართა, ფარულად-კი სამხედრო სამზადისს მიჰყო ხელი. რომაელებმა არტაგს ხერხი გაუგეს, დაასწრეს და ქართლი დალაშქრეს.

არამაზის ციხე რომაელებმა შედარებით ადვილად ჩაიგდეს ხელში, მოულოდნელი თავდასხმის წყალობით. არტაგი მტკვრის გაღმა გავიდა და ხიდი დასწვა. შემდეგ არტაგმა კიდევ უფრო შორს გაიწია. რომაელები მას ფეხდაფეხ მისდევდნენ სასტიკი ბრძოლით.

ხალხი სამშობლოს ადვილად არ სთმობდა. ქართველი ჯარი თავგამებრებით განაგრძობდა ომს, თუმცა მეფე მტერთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. ქართველი მეომრები, ვინც წინა ბრძოლებში გადაარჩა, გარშემომდებარე ტყეებში დაიფანტნენ, მაღალ ხეებზე ავიდნენ და იქიდან უშენდნენ რამდენიმე დღე რომაელებს ისრებს. რომაელები იძულებული გახდნენ ტყე გაეჩეხათ. ქართველი მებრძოლენი დაიღუპნენ, მტერს-კი არ დანებდნენ.

რომაელებთან ბრძოლებში ქართველებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს: ცხრა ათასი კაცი მარტო მოკლული იყო.

ბოლოს არტაგი შეურიგდა თავის მარცხს და პომპეუსთან ზაფხულის დასდო. არტაგმა რომაელებს მძევლად თავისი შვილები მისცა, პომპეუსს-კი მდიდარი ძღვენი მიართვა: ოქროს ტახტი, ოქროს სარეცელი და ოქროსავე მაგიდა.

ეს ამბავი მოხდა 65 წელს, ძვ. წ.

ქართლიდან პომპეუსი თავისი ჯარით კოლხეთში გადავიდა, მითრიდატის ხელში ჩასაგდებად. კოლხეთში რომაელებს ისეთი ძლიერი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ, როგორც ქართლში.

რომაელებმა კოლხეთი დაპყრობილ ქვეყნებს მიათვალეს და აქ თავისი მმართველი დააყენეს.

საბოლოოდ იმედდაკარგულმა მითრიდატმა თავი მოიკლა ყირიმში (63 წ., ძვ. წ.).

აჯალაი ცნობების გაჩენა საშარტველოს უმსახეზ და-საგლეშის მფარლობაში. პომპეუსის ჯარში იყვნენ ისეთი ბერძნებიც, რომელნიც მწერლობას მისდევდნენ. ისინი სწერდნენ პომპეუსის ლაშქრობის ისტორიას და თან იმ ქვეყნებსაც ასწერდნენ ნოლმე, სადაც პომპეუსი გაივლიდა. ამ მწერლებმა საქართველოც ასწერეს.

მათი აღწერილობა, უფრო ძველი ბერძენი მწერლების ცნობებთან ერთად, შეტყობა და გამოაქვეყნა განთქმულმა ბერძენმა გეოგრაფმა სტრაბონმა, რომელიც პირველ საუკუნეში ცხოვრობდა.


პომპეუსის თანამგზავრთა ცნობებიდან ჩვენ ვიტყობთ, თუ როგორი



ბრინჯაოს სურა სოფ.

ნიჩბისიდან.

საქ. მუზეუმის ისტორიის განყ.



უფლისციხე. კლდეში ნაკვეთი ერთი დარბაზთაგანი.

დიუბუას გამოცემით.

იყო საქართველოს ვითარება პირველი საუკუნის დამდეგს, ძველი წელთაღრიცხვით.

§ 15. საქართველოს სამეურნეო მდგომარეობა პირველი საუკუნის დამდეგს, ძვ. წ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხე ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა თავისი მეურნეობით. დიდი იყო განსხვავება მთასა და ბარს შორის. ხალხი და მისი კულტურა ბარში უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე მთაში. ბარში მისვლა-მოსვლა უფრო ადვილი იყო კარგი გზების გამო, და ბუნებაც უფრო ემორჩილებოდა ადამიანს. რაც უფრო მაღლა მდებარეობდა მთაში ადამიანთა საცხოვრისი, მით უფრო მკაცრად იყო ბუნება და მით უფრო ძნელი იყო ცალკე სოფლების დაკავშირება ერთმანეთთანაც და ბარის დაწინაურებულ თემებთანაც.

მისვლა-მოსვლის საშუალებანი. ბარში ხმელეთის გზებს გარდა მისვლა-მოსვლისათვის მდინარეებსაც იყენებდნენ. ნაევებით დადიოდნენ რიონზე, ყვირილაზე შორაპნამდე, მტკვარზე, ალაზანზე. ბლომად და კარგად უშენებიათ ჩვენს წინაპრებს ხიდებიც, რომ მიმოსვლა არ შეფერხებულყო. მარტო მდ. ფასიდზე შორაპანს ზემოთ, სადაც ნაევები ვეღარ დადიოდა, 120 ხიდი ყოფილა აგებული. ხიდები იყო მტკვარზე, მაგალითად, მცხეთასთან, სადაც მტკვარი საკმაოდ განიერი, და სხვა მდინარეებზედაც. მთიელები-კი ასე ადვილად ვერ მოძრაობდნენ. ვინც

ძალიან მაღლა ცხოვრობდა მთაში, როგორც სევანები, ისინი ზამთარში მთლად მოწყვეტილი იყვნენ გარეშე ქვეყანას; ზაფხულობითაც მათ უქირდათ ხშირად ბარში ჩამოსვლა.

სოფლის მეურნეობა. ამიტომ ვინც ყველაზე მაღლა ცხოვრობდა, ყველაზე ღარიბიც იყო. სევანები და მათი მეზობლები თავს თურმე უფრო მესაქონლეობითა და ნადირობით ირიყენდნენ. უფრო დაბლა, მთის კალთებზე, მოსახლენი უკვე მიწასაც ხნავდნენ და პურს სთესდნენ, მაგრამ უმთავრესად მესაქონლეობას მისდევდნენ და ჯოგებს აშენებდნენ.

სულ სხვა იყო ბარში. აქ მთავარი მნიშვნელობა მიწათმოქმედებას ჰქონდა. კოლხეთი განთქმული იყო თავისი ხილით, სელით, კანაფით, ცვილით (თაფლის სანთელით), ფისით, ხომალდების საშენებელი ხე-ტყით. ასევე იყო ქართლშიაც. მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ფეტვი და სხვა პურეული, ძველთაგანვე აშენებდნენ ვაზსა და აყენებდნენ ღვინოს. ბლომად ჰყავდათ შინაური პირუტყვი. იცოდნენ სხვადასხვანაირი ხე-ლოსნობა და საუცხოო ოსტატეობაც იყვნენ.


ვაჭრობა. ვაჭრობაც განვითარებული ყოფილა. კავკასიონის ყველაზე მაღალი ადგილების მცხოვრებნიც იძულებულნი იყვნენ ბარში ჩამოსულიყვნენ, მაგალითად, მარილის საყიდლად. თვითონ ბარელები ხომ უფრო მეტს ვაჭრობდნენ. საშინაო ვაჭრობის გარდა, იმდროინდელ საქართველოს საგარეო ვაჭრობაც შორს ჰქონია გაბმული. ინდოეთიდან, კერძოდ, საქონელი მოჰქონდათ კასპიის ზღვამდე, შემდეგ კასპიის ზღვაზე გამოატარებდნენ და მტკვარზე ნავით ამოიტანდნენ ქართლში. აქედან, სადაც უკვე ნაოსნობა აღარ შეიძლებოდა, ხმელეთის გზით გადაჰქონდათ ყვირილას ხეობაში, შორაპნამდე, შორაპნიდან-კი ისევ ხავებით ჩაჰქონდათ შავ ზღვამდე ქალაქ ფასიდში, საიდანაც საქონელი უკვე ზღვით იგზავნებოდა დასავლეთისაკენ.

საქალაქო ცხოვრება. სტრაბონი ამბობს იმდროინდელ საქართველოზე: „... ეს მდიდარი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია ძალიან ხშირი მოსახლეობა ჰყავდეს. და მართლაც, იბერია მეტწილად მშვენიერადაა დასახლებული — მოფენილი ქალაქებითა და დაბეებით, ისე რომ აქ გვხვდე-



მცხეთა — სამთავრო. სახურავი კრამიტი, ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგისა.

მცხეთის არქ. ექსპედიცია.



არმაზი. ქალის სამკაული ოჭროსი (ყელსაბამი, სამაჯურები, ბეჭდები, საყურეები და სხვა) ერისთავთა საგვარეულო სასაფლაოს № 6 სამარხიდან.

მცხეთის არტ. ფესხედია.

ბა კრამიტის სახურავებიც და არქიტექტურული ხელოვნების წესების თანახმად აშენებული ბინები და საბაზრო ადგილები და სხვა საზოგადოებრივი შენობები“.

საქართველოს იმდროინდელს ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქთა რიცხვში ბერძნულ-რომაული წყაროები ასახელებენ: ფსიდს, დიოსკურიას, პიტინტსა და შორაპანს — კოლხეთში, მცხეთა-არმაზს — იბერიაში. ეს იყო მსხვილი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები, რომელნიც აღმოცენებული იყვნენ ადგილობრივი და საერთაშორისო ვაჭრობის მთავარ გზებზე და საკანძო პუნქტებში.


კულტურა. ნივთიერი ნაშთები საეხებით ადასტურებენ სტრაბონის ცნობებს ძველი საქართველოს საქალაქო კულტურის შესახებ. ასე, მცხეთაში, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, მდ. არაგვის შესართავთან, აღმოჩენილია საქართველოს უძველესი დედაქალაქის შიდა-ციხის ანუ აკროპოლისის გრანდიოზული ზღუდეებისა და სასახლის ტიპის შენობათა კედლები, აგრეთვე ქალაქის წყალსადენი და სხვა ნაგებობანი. მცხეთის ეს შიდა-ციხე, რომელიც არმაზის ციხედ იწოდებოდა, ცნობილია ბერძენ-რომაელი მწერლებისათვის უკვე I საუკუნიდან. აქ ჰქონდათ რეზიდენცია (ადგილსამყოფელი) ძველი ქართლის მეფეებს.

წარმართული ტაძრისა (თუ სასახლის) და დიდი აბანოს ნანგრევები გათხრილ იქნა აგრეთვე არმაზისხევთან, პიტიახშების სასაფლაოს ველზე. ძველი მცხეთის ტერიტორიაზე მოპოვებულია დიდი რაოდენობით იმდროინდელი საამშენებლო მასალა—მშენებრივად გათლილი და მოჩუქურთმებული ქვის ლოდები, კარგად გამომწვარი და შეღებილი კრამიტი სწორი ფორმისა. სხვადასხვა ზომისა და ნაირ-ნაირად დამუშავებული აგური.

სამთავროში კიდევ იპოვნეს საფლავის ქვა წარწერით, რომელშიაც მოხსენებულია „მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი აქოლი“. ეს მცხეთის მთავარი არქიტექტორი უნდა ყოფილიყო.

დიდებულ ნაგებობათა ნაშთების გარდა, მოღწეულია ცალკეული საგნებიც, რომელნიც ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყის ხანას ეკუთვნიან და აღმოჩენილი არიან ამავე მცხეთის ფარგლებში სამთავროს საერთო-საქალაქო სასაფლაოზე და პიტიახშების საგვარეულო აკლდამებში არმაზის ხევთან, სოფლების ბორის, კლდეეთისა და სარგვეშის ტერიტორიაზე (შორაპანისა და ხარაგაულის არეში) და ურეკში (მდ. სუფსის შესართავთან).

ამ ნაპოვნ საგნებს შორის ჩვენ ვხედავთ: ძვირფასი თვლებითა და მინაქრით მორთულს ოქროს სამკაულებს (ბეჭდებს, სამაჯურებს, საყურეებს, ყელსაბამებს) და იარაღს, მოჩუქურთმებულსა და ნაჭედს ვერცხლის ჭურჭელს, საუცხოო სარტყლებს, ოქროსა და ვერცხლის ფულებს. ამ ძეგლების მნიშვნელოვანი წილი დიდი ხელოვნებით არის შესრულებული და ეროვნული მხატვრული სტილითაა აღბეჭდილი, ისინი ადგილობრივი ოსტატების ნახელავია.



არმაზი. ოჭროს ნივთები (მათ შორის, მარჯვნივ ქვემოთ, უძვირფასესა ყელსაბამი)
ერისთავთა საგვარეულო სასაფლაოს № 7 სამარხიდან.

მცხეთის არქ. ექსპედიცია.

ამკარა ხდება, რომ ხელოვნებანი, რომელთა არსებობა საქართველოში უკვე მეორე ათასწლეულში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დადასტურებულია თრიალეთის ძეგლებით, მომდევნო ათასწლეულში წლის სიგრძეზე განვითარებულან და დაწინაურებულან მშობლიურ ნიადაგზე და, ამასთანავე უცხოური კულტურული ელემენტებითაც გამდიდრებულან. ბორის, კლდეეთისა და ურეკის ძეგლები კიდევ ერთს, მეტად მნიშვნელოვან, მოვლენაზე მიუთითებენ: მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთსა და აღმოსავლეთს საქართველოს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ საერთო სახელმწიფოებრიობა, კულტურის სფეროში ასინი უკვე იმ დროს საკმაოდ მჭიდრო კავშირებით ყოფილან დაახლოებულნი.

როგორც იყო მეურნეობა და ცხოვრების წესი, საარსებო სახსრის მოპოვების წესი იმდროინდელ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ისეთივე იყო ამ კუთხეში საზოგადოებრივი წყობილება.

პირველყოფილი თემური წყობილება მთაში. მთიელებს უფრო ჩამორჩენილი საზოგადოებრივი წყობა ჰქონდათ. მთაში ბუნება ძალიან მკაცრი იყო; მიწის დამუშავება იქ ძნელი ხდებოდა, რაკი შრომის იარაღებიც პრიმიტიული იყო. სიმდიდრის დაგროვებაც იქ ძნელი იყო. საარსებო სახსრის მოსაპოვებლად ხალხს ერთად უნდა ებრძოლა გარემო ბუნების წინააღმდეგ. ამიტომ ერთი გვარისა და თემის შვილები მეტნაკლებად თანასწორი იყვნენ, როგორც ქონებრივად, ისე უფლებრივად.

სევანებს თუმცა მთავარი ჰყავდათ, მაგრამ მას როდი ჰქონდა თავის ნებაზე მართვის უფლება. ხალხის სათავეში საბჭო იდგა, 300 კაცისაგან შემდგარი. ეს 300 კაცი ცალკე სევანური გვარების თუ თემების წარმომადგენლები იყვნენ. მათ ყველას თანასწორი ხმა ჰქონდათ საბჭოში. ცალკე გამოყოფილი ჯარი სევანებს არ ჰყავდათ, — როცა სევანებს სამხედრო გასაჭირი დაადგებოდა, მთავარი და საბჭო ქუდზე კაცს დაუძახებდნენ. ყველა ხალისით გადიოდა ბრძოლის ველზე, რადგანაც ყველა საერთო სახალხო საქმისათვის იბრძოდა. ხალხი და ჯარი ერთი იყო, იარაღიც თითქმის ყველას ერთნაირი ჰქონდა. ასეთივე წყობა ჰქონდათ იმ დროს სხვა ქართველ ტომებსაც, ვინც სევანებსავე მალა მთაში ცხოვრობდა.


საზოგადოებრივი წყობილება ბარში. ბარში საზოგადოებრივი თანასწორობა აღარ არსებობდა. აღარ არსებობდა საზოგადო საკუთრებაც. ან რა ტოლები იქნებოდნენ მდიდრები და ღარიბები, თავისუფალი და არათავისუფალი ადამიანები, მონათმფლობელები და მონები. სტრაბონი მოგვითხრობს, და სხვა ცნობებითაც ვიცით, რომ იმ დროს ქართლში ხალხი ოთხ წოდებად იყოფოდა.

პირველი წოდებიდან მეფეები გამოდიოდნენ. მეფის ამ საგვარეულოს „სეფე“ ეწოდებოდა, მის წევრებს „სეფე-წულები“, ხოლო მეთაურს — „მეფე“. მეფე იყო სახელმწიფოს მეთაური. სეფე-სახლს, ე. ი. სამეფო საგვარეულოს, საკუთარი მამულები ჰქონდა, რომელსაც სეფე-მეფე ან ეწოდებოდა.



ერისთავი ზევახი და მისი მეუღლე
კარპაკი. არმაზის ერისთავთა სა-
გვარეულო სასაფლაოდან.

ნსტოლის არქ. ექსპედიცია.



არმაზი. ოჭროს ნივთები ასპარუგ ერისთავის სამარხიდან. მარჯვენა კილის ასწე-
რივ — საერისთავო სარტყლის ოჭროს ბაღთები, შუაში — საერისთავო სატევრის
ქარქაშის სამკაული ოჭროსი.

მცხეთის არტ. ექსპედიცია.

მეორე წოდებას ქუ რ უ მ ე ბ ი შეადგენდნენ, რომელნიც ტაძრებს ემსახურებოდნენ და ამავე დროს მეზობელ ხალხებთან სადავო საქმეებსაც განაგებდნენ. ტაძრებს იმ დროს ქართლში დიდი მამულები და განძები ჰქონდათ. მესხეთში, მაგალითად, იყო ლეკეთე ას ტაძარი, ისეთი მდიდარი, რომ მეზობელი ქვეყნების მეფეები მას გასაძარცვად თავს ესხმოდნენ ხოლმე.

მესამე წოდებაში თავისუფალი ხალხი შედიოდა, ისინი მიწასაც ამუშავებდნენ და ომშიაც გამოდიოდნენ, როცა მეფე დაუძახებდა. ამ წოდებას ძველებურად „ერი“ ერქვა, მაგრამ ეხლა უკვე ამ ერს ის ძალა აღარ ჰქონდა, რაც პირველყოფილ-თემური წყობილების დროს.

მეოთხე წოდებაში მდ ა ბ ი ო ხ ა ლ ხ ი შედიოდა. ისინი სეფე-სახლს ანუ სამეფო საგვარეულოს ემსახურებოდნენ ყმურად. ამ მდ ა ბ ი ო ხ ა ლ ხ ს მაშინ „გ ლ ე ხ ე ბ ს“ ეძახდნენ. „გლეხები“ მაშინ მხოლოდ სეფე-სახლს ჰყავდა. ამიტომ ისინი „მ ე ს ე ფ ე გ ლ ე ხ ე ბ ა ლ“ იწოდებოდნენ. იმ ბეგარასაც, რომელსაც გლეხები სეფე-სახლს უხდიდნენ, „სეფეობა“ ერქვა. მესეფე გლეხები მიწისმუშა სოფლელები იყვნენ, პირად თავისუფლებას მოკლებულნი, და ს ე ფ ე-ქ ვ ე ყ ა ნ ა ს ამუშავებდნენ.

ბლომად იყვნენ მაშინ საქართველოში მონებიც, მაგრამ მონებს საზოგადოების წევრებად არ სთელიდნენ. მონები ჰყავდათ მეფის საგვარეულოს, ქურუმებს, სხვა მდიდარ ხალხსაც. მონებს სხვადასხვა საქმეზე ამუშავებდნენ, საშენებელ ქვას ათლევინებდნენ, თიხას აწეწებდნენ, მადანს ათხრევინებდნენ. მონებს ხმარობდნენ აგრეთვე როგორც მენიჩხეებს (მეზოფეებს) მდინარეებში ნაოსნობის დროს. ვისაც ყველაზე მეტი მონა ჰყავდა, ყველაზე მდიდარიც ის იყო. უდიდესი მონათმფლობელები მეფე და ქურუმები იყვნენ. ქვეყნის ბატონ-პატრონობაც მეფესა და ქურუმებს ეკუთვნოდათ. ამიტომ ვამბობთ, რომ იმდროინდელი ქართლი მონათმფლობელური სახელმწიფო იყო.

ასეთივე იყო საზოგადოებრივი წყობილება კოლხეთის ბარშიაც.

ბარში რომ მონათმფლობელობა იყო გაბატონებული, მთაში, როგორც ვნახეთ, თემურ წყობილებას ჯერ კიდევ ფესვები მაგრად ჰქონდა გადგმული. მაგრამ თემური წყობილების ნაშთები ბარშიაც ხვდებოდა კაცს, მდ ა ბ ი ო ხ ა ლ ხ შ ი. ეს არც გასაკვირველია. ძველად განვითარება ნელა ხდებოდა ძალიან, ახალი წესწყობილება და ზნე-ჩვეულება გაჭირვებით იკვლევდა გზას, ძველი ადათი და ჩვეულება-კი მაგრად ებღალჭებოდა ცხოვრებას.

სახელმწიფო წყობილება. ძველი საქართველოს სახელმწიფო წყობილებას ჩვენ უფრო კარგად ვიცნობთ ქართლის სამეფოს მაგალითზე. ამ



ასპარუჯ ერისთავი. არმაზის ერისთავთა საგვარეულო სასაფლაოდან.

მცხეთის არქ. ექსპ.

ორი ათასი წლის წინათ ქართლის სამეფო ძლიერი სახელმწიფო მთელი ქვეყნის ბატონ-პატრონად მეფე ითვლებოდა. მეფის წოდებ-
ლება ასეთი იყო: „ქართველთა მეფე, დიდი მეფე“. მეფეს ბევრი მოხელე
ჰყავდა, რომელთა საშუალებითაც იგი ქვეყანას მართავდა. „ქართველთა
მეფის“ უფროსი მოხელეები იყვნენ დიდი და მცირე ერისთავები, ეზოს-
მოძღვარი და სხვები. მეორე პირად სამეფოში ითვლებოდა და დიდი გავ-
ლენით სარგებლობდა ტახტის მემკვიდრე.

ასეთივე მონათმფლობელური სახელმწიფო იყო აგრეთვე კოლხეთიც.

§ 17. სამართავლო-რომის ურთიერთობა

ქართლის სამეფოს ვალდებულება რომის წინაშე. კოლხეთში
რომაელებმა, როგორც ვიცით, თავისი მმართველი დააყენეს. ქართლში-კი
რომაელებს მეფისათვის ხელი არ უხლიათ, ქართლს მათ რომის „მეგობ-
რობა“ დააქირეს. შემდეგშიაც რომაელები იბერებს კეისრისა და რომის
„მეგობრებად“ აცხადებდნენ, მაგრამ ქართლისათვის ეს „მეგობრობა“
არც სასურველი ყოფილა და არც სასიამოვნო. რომაელები იძულებული
ყოფილან დროდადრო ახალ-ახალი ჯარები გამოეგზავნათ ქართლში და
შერყეული „მეგობრობა“ აღედგინათ.

რას მოითხოვდნენ რომაელები ქართლისაგან?—თითქმის მხოლოდ სამ-
ხედრო დახმარებას. რომაელებს ამ დროს ზმირი ომები ჰქონდათ აღმო-
სავლეთში და მამაცი კავკასიელი ხალხების ჯარი მათთვის ძალიან გამოსა-
დგეი იყო. განსაკუთრებით-კი რომაელებს სურდათ ადგილობრივი ხალხ-
ების საშუალებით გაემაგრებინათ კავკასიონის გასასვლელები, სადაც ჩრდი-
ლოეთიდან სამხრეთისაკენ გზები გადმოდიოდა. ასეთს გასასვლელებს
ძველად ყველა ენაზე „კარებს“ ეძახდნენ. ჩვენი წინაპრებიც მათ კარებს
უწოდებდნენ.

სამართავლო საზღვარგარეთ გზები. კავკასიონის ყველაზე
მოხერხებული საუღელტეხილო გზები საქართველოს ტერიტორიაზე მო-
დიოდა. ასეთი იყო ქლუხორის გზა აფხაზეთში, მამისონისა — რაჭაში, და-
რიალისა — ქართლში და სხვები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა
მათ შორის დარიალს. დარიალანი სპარსული სახელია და ალანების კარს
ნიშნავს. ძველ-ქართულად მას არაგვის კარი ან ოვსთა კარი ერქვა, ბერძენ-
რომაელები კიდეც კასპიის ან კავკასიის კარებს ეძახდნენ. დარიალის
გზა მდინარე არაგვს მიჰყვებოდა მისი სათავეებისაკენ და შემდეგ მდინარე
თერგის ხეობაში გადადიოდა. მდ. თერგის ხეობა, — საქართველოს რეს-
პუბლიკის დღევანდელ საზღვრის მახლობლად, მის სამხრეთით, — რომე-
ლიც კავკასიონის დიდი ქედის გადაღმა გადის, მეტად საჭიროა და ამიტომ
ადვილად ჩასაკეტი. სწორედ ამ ვიწრო, ღრმა ხეობას ეწოდება დარიალ-
როცა რომაელები პირველად მოვიდნენ საქართველოში, მათ უკვე დარია-
ლა იბერიის სამეფოს ხელში დახვდათ. ქართველებს ეს ხეობა მიუღდგომე-

ლი კედლით ჰქონდათ გამაგრებული. თუ რა მიზანი ჰქონდა ამ სიმაგრეს, გვიამბობს ერთი იმდროინდელი რომაელი მწერალი: „კავკასიის კარები უზარმაზარი ქმნილებია ბუნებისა, მთების უცარი გაპობის შედეგი. თვით გასასვლელი მოზღუდულია რკინით შემოჭედილი დირეებით... მდინარის გამოღმა აგებულია კუმანიად წოდებული სიმაგრე, აშენებული იმ მიზნით, რათა დააბრკოლონ მრავალრიცხოვანი ტომების გადმოსვლა“.

ჩრდილოეთ კავკასიის მეჯოგე

ტომები. ჩრდილოეთ კავკასიის მინჯვრებში და მეზობელ მხარეებში, სადაც კარგი საზაფხულო და საზამთრო საძოვრები იყო, ძველთაგანვე მართლაც მრავალრიცხოვან ტომებს (სარმატებს, ალანებს, ჰუნებს და სხვებს) უცხოვრია. ეს იყვნენ მეჯოგე ტომები, რომელნიც გადადიოდნენ ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში თავისი ჯოგებისათვის საკვების საძებრად.

მესაქონლეობის გარდა ეს ტომები მძარცველობასაც ხელს არ აკლებდნენ, როცა საამისო პირობა ჰქონდათ. თუ კავკასიონის კარები ღია ხდებოდათ, ეს ტომები თავს ესხმოდნენ სამხრეთის კულტურულ ქვეყნებს საშოვარისათვის. ვისაც თავისი კარები მაგრად დაკეტილი ჰქონდა, ზოლო განძი და ფული საკმაოდ ებადა, იმას შეეძლო ჩრდილოეთის ეს მოხეტიალე ტომები დაეჭირავენინა და თავისი მტრებისათვის მიეისია. ეს მეჯოგეები, რომელნიც კარგი ცხენოსნები და გულადი მეომრები იყვნენ, ქირის გულისათვის ხალისით მიდიოდნენ ომში ყველა მხარეს.

ამიტომ იყო საჭირო კავკასიონის კარების გამაგრება, საქართველოში — განსაკუთრებით დარიალისა.

რომაელების ინტერესები კავკასიაში.

ვისაც ეს გზები ხელში ეჭირა, იმას მათი სავაჭროდ გამოყენებაც სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებს, რომელსაც კარგი სარგებელი მოჰქონდა.



მცხეთა — სამთავრო. შუშის სურათი კრამიტის სამარხიდან.

მცხეთის არქ. ექსპედიცია.

შეეძლო. უძველესი დროიდანვე შორის ალებ-მიცემა არსებობდა,

რომაელებს ბევრი სხვადასხვა საქონელი ჰქონდათ სასყიდლი და გამსაყიდო, მაგრამ ყველაფერზე მეტად მათ მონები აინტერესებდათ, იმიტომ რომ რომი მონათმფლობელური ქვეყანა იყო. რომაელებისათვის საჭირო იყო მონების ან იაფად ყიდვა, ან მუქთად შეძენა ტყვეების სახით. კავკასიაში-კი, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში, ბევრ ტყვე და მონა იშოვებოდა. აქაური ტომები ერთმანეთს თავს ესხმოდნენ, დიდძალ ხალხს ატყვევებდნენ და შემდეგ ამ ტყვეებს ჰყიდდნენ ან სცვლიდნენ მათთვის საჭირო საგნებში. ტყვის მოსატაცებლად ჩრდილოეთ კავკასიაში სამხრეთიდან, კერძოდ — საქართველოდანაც, გადადიოდნენ.

აი, რა აინტერესებდათ რომაელებს საქართველოსა და კავკასიაში. ქართლის მეფეს რომაელებმა ამიტომ დააკისრეს დარიალისა და სხვა საუღელტეხილო გზების გამაგრება და დაცვა. გარდა ამისა რომაელებს აინტერესებდათ ის დიდი სავაჭრო გზაც, რომელიც ძველთაგანვე რიონისა და მტკვრის ხეობით საქართველოზე გადიოდა და დასავლეთის ქვეყნებს აკავშირებდა აღმოსავლეთთან.

საქართველოს შემომტყიცება რომაელებს იმისათვისაც სჭიროდათ, რათა ხომხეთში თავი უშიშრად ეგრძნოთ. სომხეთის გამო ისინი განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდნენ პართელებთან.

§ 18 ბრძოლა რომაელების წინააღმდეგ კოლხეთში

რომაელთა ძალადობა კოლხეთში. იქ, სადაც რომაელებს ხელი კარგად მიუწვდებოდათ, ისინი არავის ინდობდნენ. მისაწვდომი იყო ზღვის პირად მდებარე კოლხეთიც, რომელსაც ისინი ხომალდებით ადვილად უკავშირდებოდნენ, ამიტომ ძალადობას და შევიწროებას რომაელებისაგან ხალხი დასავლეთ საქართველოში უფრო განიცდიდა. რომაელები მოხელეები საშუალებას არ ზოგავდნენ, რომ დამორჩილებული ქვეყნების მოსახლეობისგან რაც შეიძლება მეტი ქონება დაეციცლათ. ცხოვრება გამწარებული ჰქონდა ხალხს ტყვის მტაცებელთაგან, რომელთაც მონათმფლობელი რომაელები მფარველობდნენ. ასეთი მეკობრეები თავის ნაგებობით დღე და ღამე დაძრწოდნენ სანაპიროზე, მოხერხებულ დროს ხალხს თავს ესხმოდნენ და აღამიანებს ტყვედ იტაცებდნენ. შემდეგ ნათესავენს შეუთვლიდნენ, თქვენი კაცი დაიხსენითო. მაგრამ ყველა ვერ ახერხებდა თავისი ტყვედ წაყვანილი ნათესავის გამოხსნას, რადგანაც ყაჩაღები დიდ საფასურს მოითხოვდნენ. ზოგი იმის გაგებასაც ვერ ახერხებდა, თუ სად იყო მათი ტყვე გადაკარგული. თავდაუხსნელი ტყვეები ამ მეკობრეებს მახლობელ რომაულ ქალაქებში მიჰყავდათ, სადაც მათ რომაელები ყიდულობდნენ.

ანიკეიტის აჯანყება. ხალხი არასოდეს არ შერიგებია ამ მტარვლებს და მხნედ იცავდა თავს. მოძალადეებს იგი იაზრალით უმასპინძლებოდა. განსაკუთრებით დიდი აჯანყება რომაელების წინააღმდეგ მოხდა იმპერატორ ვესპასიანეს (69 წ.—79 წ. ახ. წ.) მეფობაში. ერთმა ადგილობ-

რეგმა მკვიდრმა, სახელად ანიკეტმა, შეაკავშირა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ძველ კოლხეთში, მცხოვრები ტომები. ანიკეტი ყოფილი მონა იყო და მან მონაც ბევრი გადაიყვანა თავის მხარეზე. მონები პირად თავისუფლებას ეძებდნენ, ტომები-კი სახალხო დამოუკიდებლობას. ანიკეტმა აიღო ქალაქი ტრაპიზონი და იქ მდგომი რომაული რაზმი ამოეღო. ერთ ხანს მთელი ძველი კოლხეთის ტერიტორია აჯანყებულთა ხელში იყო. მაგრამ იმპერატორმა ახალი ჯარები გამოგზავნა და რომაელებმა ბოლოს და ბოლოს დაამარცხეს აჯანყებულები. ანიკეტმა და მისმა მიმდევრებმა თავი შეაფარეს დღევანდელ სამეგრელოში, სადაც მათ მოკავშირედ ჰყავდათ ადგილობრივი მეფე. ეს მეფე ჯერ ეხმარებოდა ანიკეტს, მაგრამ შემდეგ, რომაელების შიშით და თავისი პირადი ინტერესის გაულისათვის, მან უღალატა ანიკეტს და გასცა იგი.

მიუხედავად ანიკეტის დაღუპვისა, კოლხეთის ხალხი შემდეგშიაც მდგრად განაგრძობდა ბრძოლას და თანდათან აფართოებდა თავის დამოუკიდებლობას.

§ 19. ქართლის (იბერიის) სამეფოს გაძლიერება პირველსა და მეორე საუკუნეებში, ახ. წ.

ქართლის მეფეების პოლიტიკა. აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა ამ დროს სხვაგვარი იყო. ქართლი თავისთავადაც ძლიერი სამეფო იყო და რომიდანაც მეტად დაშორებული. ამიტომ აქ რომაელებს ისეთი დიდი გასაქანი არ ჰქონდათ, და მათი მოთხოვნილებაც მცირე იყო — ოღონდ ქართლს სამხედრო კავშირზე უარი არ ეთქვა. განსაკუთრებით სჭიროდათ ქართველების დახმარება რომაელებს პართელების წინააღმდეგ.

ამიტომ იყო, რომ რომაელები შემდეგშიაც სულ იბერიასთან „მეგობრობაზე“ ლაპარაკობდნენ. ქართლის მეფეებს კარგად ჰქონდათ შეგნებული რომაელების მდგომარეობა აღმოსავლეთში. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ქართლის მეფეები ისეთ მოხერხებულ პოლიტიკას აწარმოებდნენ, რომ ამ „მეგობრობიდან“ თვითონ უფრო მეტ სარგებლობას ღებულობდნენ. ამ ხანებში ქართლის სამეფო კიდევ უფრო გაძლიერდა და გაიზარდა.

მეფე ფარსმან პირველი. 35 წელს სომხეთს პართელები შეესივნენ და დაეპატრონენ. რომაელებს ძალა არ ეყოთ მართლ გამკლავებოდნენ პართელებს. ამიტომ იმპერატორმა გადასწყვიტა, სომხეთის საქმეებისათვის ქართველების საშუალებით მოეწვლა. მაშინ ქართლში ფარსმანი მეფობდა. იმპერატორმა ფარსმანს სომხეთი შესთავაზა — მეც დაგეხმარებით და პართელებს თუ გააძევებთ, სომხეთის მეფედ შენი ძმა მითრიდატი დასვიო. მართლაც, ქართველები შეესივნენ სომხეთს დიდი ჯარებით და სომხეთის დედაქალაქი დაიჭირეს. პართელების მეფემ მაშინ სომხეთში თავისი შვილი გამოგზავნა ახალი ლაშქრით და გარდა ამისა კაცები

აფრინა დაქირავებული ჯარისკ შესაყრებად. მაგრამ ქართლის მეფის ფარსმანმა დაასწრო: დარიალის კარი გააღო და ჩრდილოეთიდან სარმ-ტების ჯარი გადმოიყვანა, თანაც ალბანელები მოიშველია. შემდეგ ფარსმანმა მტერს აღარ დააცალა და თვითონ დაესხა თავს პართელებს. პართელების ძალა იყო ცხენოსანი ჯარი, რომელიც მთელ მსოფლიოში იყო განთქმული. პართელებს-კი ცხენოსნებიც ჰყავდათ და ქვეითი ჯარითაც ძლიერნი იყვნენ. რომაელები ამბობდნენ, იბერები და ალბანელები მთის ხალხებია და უფრო შეჩვეული არიან მკაცრ ცხოვრებასა და ამტანობას. ასეთს მთიელ ვაჟეკაცს აქებს ხალხური ლექსი:

მთაში გაზრდილო ვაჟეკო,
ხმაღს როდი მოვიშვიდება,
ომში შეხვალ და გამობვალ,
გული არ შევიშინდება!

ასე ამხნევებდა ფარსმან მეფეც თავის მეომრებს ამ დიდი ომის წინ (პართელები ხომ ძალიან საშიშარნი იყვნენ, მათი სახელმწიფო იმ დროს ერთი უძლიერესთაგანი იყო მთელს მსოფლიოში): რაც უფრო მეტს მოვიწოდებთ, მით უფრო დიდ სახელს მოვიხვეჭთ, და თუ მტერს ზურგს ვუჩვენებთ, თავსაც შევირცხვენთ და ხიფათსაც გავიმრავლებთ. დახეთ ჩვენების მრისხანე წყობას და პართელების ოქროთი მოკაზმულ ურდოს: აქ ვაჟეკაცები არიან და იქ-კი — საშოვარიო!

საშინელ ომში, როცა პართელები და ალბანელები უკვე სჯობნიდნენ პართელებს, ფარსმანმა პართელების მეფის შვილს მუშარადი გაუბო და დასჭრა. ამ ამბავმა საბოლოოდ გასტეხა მტერი. პართელები გაიქცნენ, ბრძოლის ველი პართელებს დარჩა.

პართელების მეფემ ეხლა მთელი თავისი ჯარით გამოილაშქრა, მაგრამ პართელები აქაურ ადგილებს უფრო კარგად იცნობდნენ და მაინც სჯობნიდნენ. ბოლოს და ბოლოს, პართელებმა სომხეთი პართელებს დაანებეს. სომხეთის სამეფო ტახტზე ფარსმანმა თავისი ძმა მითრიდატი დასვა.

მითრიდატმა თითქმის თხუთმეტი წელი იმეფა სომხეთში, მაგრამ 51 წელს დაიღუპა თავისივე ძმის ვერაგობის გამო. ფარსმანს შვილი ჰყავდა, სახელად რადამისტი, ტანადი, არაჩვეულებრივი ღონის მქონე და ძალიან სახელგანთქმული მეზობლებში. რადამისტი თურმე ხშირად ამბობდა, მამაჩემი დაბერდა და ქართლის განდიდებას ხელს ვერ უმართავსო. ფარსმანი შეშინდა, შვილმა ტახტი არ წამართვასო, და რადამისტს ჩააგონა, წადი სომხეთში, ბიძაშენი ტახტიდან ჩამოაგდე და თვითონ გამეფდით. მართლაც რადამისტმა ფარულად სომეხი დიდებულები თავის მხარეს გადმოიბირა და შემდეგ მამა-შვილმა მითრიდატს ომი აუტეხეს. ბოლოს, მითრიდატიც მოჰკლეს. სომხეთში რადამისტი გამეფდა.


ასეთი მდგომარეობა არც პართელებს მოსწონდათ და არც რომაელებს. თვითონ რადამისტიც სასტიკი მმართველი გამოდგა. სომეხებმა მოთმინება დაკარგეს და რადამისტი თავისი ქვეყნიდან გააძევეს.

ფარსმან, ქართლის მეფე, განაგრძობდა ბრძოლას. 58 წელს მან სომხეთს მესხები შეუსია.

შემდეგ ფარსმანმა რომაელებს დიდი ღახმარება გაუწია აღმოსავლეთში, სანაცვლოდ, რომაელებმა სომხეთს რამდენიმე ოლქი ჩამოაჭრეს და ფარსმანს მისცეს.

ქართლი მითრიდატ ფარსმანის ძის მიფოზაში. პირველი საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ქართლში ფარსმან პირველის შვილი მითრიდატი მეფობდა, რომაელები კელაენდებურად ცდილობდნენ ქართლის მეფისა და ხალხის გულის მონადირებას. 75 წელს იმპერატორ ვესპასიანეს არმანის გალავანი გაუმაგრებია და წარწერაც ამოუჭრევინებია ეს წარწერა ჩვენ დრომდე არის შემონახული. მასში ნათქვამია, რომ იმპერატორმა და რომის მთავრობამ „ფარსმან მეფის ძეს, იბერთა მეფეს მითრიდატს... კეისრისა და რომაელების მეგობარს, და ხალხს ეს ციხე გაუმაგრეს“-ო.

ქართლი მეორე საუკუნის პირველ ნახევარში. ფარსმან მეორე. მე-2 საუკუნეში ქართლი კიდევ უფრო ძლიერი სამეფო იყო და ქართლის მეფეებს თავი უფრო დამოუკიდებლად ექირათ. რომაელები



არმაზი. ვერცხლის აზარფეში ერისთავთა საგვარეულო სასაფლაოდან.

მცხეთის არქ. გვსპედიცია.

ეხლაც მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ ეს სამეფო მათ მოკავშირედ ჰყოლოდათ. ტრაიანე კეისარს (98 წ.—117 წ.) განუახლებია ხელშეკრულებანი იბერებთან და კოლხებთან. განსაკუთრებით მეგობრული განწყობილება ჰქონია ტრაიანეს ქართლის მეფესთან, კეისარი უხვ საჩუქრებს უგზავნიდა თურმე მას. ადრიანე კეისარიც (117 წ.—138 წ.) ასევე იქცეოდა: რომელი ისტორიკოსები გვიაშობენ, რომ ადრიანეს „უდიდესი მეგობრობა ჰქონდა იბერებსა და ალბანელებთან... იგი იძულებული იყო სიუხვითა და საჩუქრებით მოეღბო მათი მეფეების გული, როცა მათ ზიზღით უარი სთქვეს მასთან მისვლაზე“-ო.

6. საქართველოს ისტორია.

მაინც არც ერთ მეფეს არ უგზავნიდა ადრიაწე თურმე იმდენ საჩუქრებს, რამდენსაც ქართლის მეფეს ფარსმან მეორეს. როცა, კეისრის მეფევეთ, მეფე ფარსმანი რომში ჩასულა თავისი ცოლ-შვილითა და სხვა ამალით, ფარსმანს იმპერატორისათვის ძვირფასი ძღვენი ჩაუტანია, სხვათა შორის ოქროთი შემკული წამოსასხმებიც. სამაგიეროდ, მას კეისრისგან კიდევ უფრო მდიდრული საჩუქრები მიუღია, მათ შორის — სპილენძი 500 მეომარი. გარდა ამისა, კეისარმა ახალი მიწა-წყალი აჩუქა ფარსმანს და ნება მისცა მას რომის ტაძარ კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა, რაც უცხოელის დიდ პატივისცემად ითვლებოდა. ფარსმან მეფემ მისმა შვილმა და სხვა წარჩინებულმა ქართველებმა უჩვენეს რომაელებს ეროვნული სამხედრო ვარჯიშობა ცხენზე, მძიმე აბჯარში, რითაც მას პინძლებს ძალიან თავი მოაწონეს. იმპერატორის ბრძანებით, ცხენზე მჯდომარე ქართველი მეფის ქანდაკება გააკეთეს და მარსის მოედანზე დადგეს რომში.

ფარსმან მეფეს მეგობრობა ჰქონია აგრეთვე ადრიაწეს მეგვიდრესთანაც და მასაც სწევდია სტუმრად რომში.

§ 20. კოლხეთი მეორე საუკუნეში, ახ. წ.


კოლხეთის ხალხის შეუწელებელმა ბრძოლამ რომაელების წინააღმდეგ ის ნაყოფი მოიტანა, რომ ძველი კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე, პირველი საუკუნის დამლევს, უკვე რამდენიმე წვრილი სამთავრო არსებობდა. ძველი კოლხეთის სახელმწიფო სუსტდებოდა მონათმფლობელური წყობილების დაცემასთან ერთად. ბოლო მას პონტოელებმა და რომაელებმა მოუღეს. ახალი სახელმწიფოს მშენებლობა კოლხეთის ტომებმა უკვე ახალ წესზე დაიწყეს.

მეორე საუკუნის დამდეგს კოლხეთში ასეთი მდგომარეობა ყოფილა. ტრაპიზონის ოლქის მცხოვრებლებს ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონიათ ძველი სახელი, კოლხები. მათი უფრო შორეული მეზობლები-კი უკვე სხვა სახელებს ატარებდნენ. კოლხების მომიჯნავე სანები ანუ ჭანები მეომარი ხალხი იყო. სანებს წინათ ხარკი ეღოთ რომის სასარგებლოდ, მაგრამ ეს-ლა ისინი ამ მოვალეობას აბუჩად იგდებდნენ. სანებს მთავრები არ ჰყავდათ, მათ თემური წყობილება ჰქონდათ.

სანების მეზობლად, აღმოსავლეთისაკენ, ერთ სამთავროს შეადგენდა ორი ტომი — მაკრონები და ჰენიოხები. ამათი მეზობლები იყვნენ, აღმოსავლეთისაკენ, ზიდრიტები, რომელთაც თავისი მთავარი ჰყავდათ. ეს ხუთი ტომი, საკუთრივ კოლხები, სანები ანუ ჭანები, მაკრონები, ჰენიოხები და ზიდრიტები სამხრეთ კოლხეთში ცხოვრობდნენ, მდ. კოროხის სამხრეთით.

ჩრდილოეთ კოლხეთში-კი ამ დროს მოსახლეობდნენ ზანები ანუ ლაზები, რიონისა და ენგურის ხეობაში, აფშილები, ლაზების ჩრდილოეთით, და შემდეგ, კიდევ უფრო ჩრდილოეთით, აბასგები და სანიგები. ამთ ყველას თავ-თავისი მთავრები ჰყავდათ, რომელთაც კეისრისაგან ჰქონდათ

ძალაუფლება დამტკიცებული. როცა რომაელები ამ მთავრების არსებობას ურიგდებოდნენ, ეს იყო დათმობა მათი მხრივ კოლხეთის ხალხის მიმართ. ზღვისპირა ქალაქებში, მაგ., ტრაპიზონში, ფასილში და სემურში ვასტოპოლისში რომაელებს თავისი ციხის ჯარი ჰყავდათ ჩაყენებული. სევესტოპოლისი ამ დროს ძველ დიოსკურიას ეწოდებოდა. ეს გამაგრებული ქალაქები იყო რომაელების მთავარი იმედი, კოლხეთის შუაგულ ადგილებში-კი რომაელებს აღარავინ ებუებოდა.




არმაზი. ვერცხლის ლანგარი საერისთავო სასაფლაოს მე-2 სამარხიდან.
მცხეთის არქ. ექსპედიცია.

§ 21. ახალი სპარსული სამეფოს წარმოშობა. ბრძოლა რომაელებსა და სპარსელებს შორის

224 — 226 წელს პართიიში დიდი ცვლილებები მოხდა. ძველი არშაკიდების დინასტია დაემხო და მისი ადგილი ახალმა, სასანიდების სპარსულმა საგვარეულომ დაიჭირა. სასანიდებმა აღადგინეს ძველი სპარსული სარწმუნოება, მაზდეიანობა, და ყოველნაირად ცდილობდნენ ამ სარწმუნოების გავრცელებას. სასანიანთა სამეფო უფრო ძლიერი იყო, ვიდრე პართია, და ამიტომ უფრო საშიშარი მეტოქეც გამოდგა რომისათვის.

ბრძოლა რომსა და სპარსეთს შორის ეხლა უფრო სასტიკი გახდა. ეს ორი დიდი სახელმწიფო ერთმანეთს ამიერკავკასიისათვისაც ეომებოდა. ამიერკავკასიის ქვეყნებიდან ამ ბრძოლაში ყველაზე მეტად სომხეთი იჩაგრებოდა, სომხეთი უფრო მისაწყდომი იყო მტრებისათვის. უფრო დაცული იყო ქართლი. სანამ რომაელები და სპარსელები ერთმანეთს


ასუსტებდნენ გაუთავებელი ომიანობით, ქართლი მშვიდობიანად ეზიდებოდა და იზრდებოდა. ამრიგად, თუმცა 298 წელს ქალაქ ნიზიბინში რომი და სპარსეთი შეთანხმდნენ, — ქართლის მეფემ სამეფო ნიშნები რომაელებისაგან მიიღოსო, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ ამ



არშინის შიდაციხის ნაშთები.



არშინის შიდაციხის ბურჯის ნაშთები.



არშინის შიდაციხის ზღუდის ნაშთები.

შახეთის არქ. ექსპედიცია.

ქართლის მეფეები რომის იმპერატორების ვასალებად იყვნენ უკვე გადატყვევდნენ. საამისო ძალა რომაელებს აღმოსავლეთში არ გააჩნდათ. ამიტომ ნიზიბინის შეთანხმება მხოლოდ იმას გულისხმობდა, რომ ქართლი ძველებურად „კავშირში“ იმყოფებოდა რომთან.

ადრინდელ-ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში

§ 22. ფეოდალური წყობილების წარმოშობა

საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებშიც, მონათმფლობელობა ფეოდალიზმით შეიცვალა. ფეოდალური წყობილება ხელს უწყობდა ქვეყნის შემდგომ განვითარებას და ამიტომ სჯობნიდა იგი მონათმფლობელობას. მაგრამ ეს ცვლილება ერთბაშად კი არ მომხდარა, არამედ ნელინელ.

ცვლილებები წარმოშობის წესში. რკინის დამუშავება, რომელიც დიდი ხნით ადრე შემოვიდა ქართველ ტომებში, თანდათან გაუმჯობესდა. ეხლა რკინისაგან აკეთებდნენ უფრო რთულს სასოფლო-სამეურნეო და საომარ იარაღს. გაუმჯობესდა და გავრცელდა რკინის სახნისი, რასაც თან მოჰყვა მიწათმოქმედების შემდგომი განვითარება. ეხლა უფრო მეტი პურეული მოჰყავდათ. განვითარდა მებოსტნეობა და მეხალეობაც. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში მევენახეობის შემდგომ განვითარებას.

ვაზის გაშენება და ღვინის დაყენება უძველესი დროიდან იცოდნენ ქართველებმა. საქართველო მევენახეობის განვითარების ერთ-ერთ მთავარ კერად არის მიჩნეული. აქ ცნობილია ორასზე მეტი ადგილობრივი ვაზის ჯიში, რომელთაგანაც უმრავლესობა საღვინე ჯიშებია, ბევრი — საკმელი ყურძნისა, ზოგიც — საჩამიჩე, სამურაბე და საწნილე. ჯიშები კარგად არის შერჩეული და საგანგებოდ შეგუებული ამა თუ იმ რაიონის ჰავასა და ნიადაგთან. ასეთებია: კახეთში რქაწითელი და საფერავი, ქართლში — ჩინური, იმერეთში — ცოლიკაური და ციცქა, გურიასა და ქვემო იმერეთში — ჩხავერი, სამეგრელოში — „ზარდაგის“ ვაზი, ოჯალეში და სხვა.

ზოგიერთი ქართული ვაზის ჯიში იმდენად სახელმძოვებელია, რომ საქართველოს გარეთაც გავრცელდა. ასეთია, მაგალითად, საფერავი, რომელსაც ევროპელი მეცნიერებიც საუკეთესო ჯიშად სთვლიან წითელი ღვინის დასაყენებლად.

ჯერ ელინისტურ ხანაში, ხოლო შემდეგ მომდევნო საუკუნეებში, როცა ვაჭრობა ჩვენში სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა და ღვინოსაც უფრო მეტი მყიდველი გაუჩნდა, მევენახეობა-მელვინეობის საქმეც დაწინაურდა და გაუმჯობესდა. ეხლა ცდილობდნენ ღვინო მეტი დაემზადებინათ გასასყიდად.

ასეთ პირობებში ვისაც დამატებითი მუშახელი სჭიროდა თავის მეურნეობაში, ის ამჩნევდა, რომ მონა-უკვე აღარ იყო გამოსადეგი. მონა ძალიან უგულოდ ეკიდებოდა თავის საქმეს, არ იყო დანტერესებული მეტი გაეკეთებინა, რადგანაც მას, სულ ერთია, თავის ნაშრომ-ნაამგარიღან არაფერი ხდებოდა. მონა ამტკრევდა და აფუჭებდა შრომის იარაღს. საჭირო იყო ისეთი მუშა, რომელიც უფრო გულით მოეკიდებოდა შრომას, უფრო ნაყოფიერად იმუშავებდა და საკუთარ თაოსნობასაც გამოიჩენდა. მონასთან შედარებით ამგვარი მუშა იყო ყმა. ასეთი ყმები, „გლეხები“, ყველაზე ადრე, როგორც ვიცით, მეფის გვარმა გაიჩინა. ყმას საკუთარი კარ-მიდამო, საკუთარი სახენელი, თოხი, ბარი და სხვა იარაღი ჰქონდა. ჰყავდა საკუთარი საქონელი. მართალია, ისიც დამოკიდებული იყო ბატონზე, მაგრამ მშინც უფრო თავისუფალი იყო, ვიდრე მონა. თუ ყმა ბატონის მიწაზე მოსავალს მოიწევდა, ამ მოსავალს ბატონი მას მთლად კი არ ართმევდა, არამედ ნაწილს მასვე უტოვებდა.

ცვლილებები საზოგადოებაში ურთიერთობაში. როცა მეურნეობა ამგვარად იცვლებოდა, თანდათან იცვლებოდა თვითონ საზოგადოებაც. ქართლში, როგორც ვიცით, ძველად მონათმფლობელები, ქურუმები და მეფის გვარი ბატონობდნენ. სხვა თავისუფალი ხალხი, „ერო“, მიწის დამუშავებას მისდევდა და ომში გამოდიოდა, როცა მეფე მოითხოვდა. ძველად ერისშვილები მეტნაკლებად თანასწორი იყვნენ ქონებრივადაც და უფლებრივადაც. მაგრამ თანდათანობით მდგომარეობა შეიცვალა. ერის ზოგი ოჯახი გამდიდრდა. ასეთ ოჯახებს უფრო მეტი და კარგი მიწები ექირათ და უფრო ვრცელი მეურნეობა ჰქონდათ. დიდ მეურნეობაში მეტი მუშახელი იყო საჭირო. ამიტომ ასეთ მეურნეობაში მისი ბატონი თავდაპირველად მონებს ამუშავებდა, შემდეგ-კი თანდათანობით ყმების შრომის გამოყენებაზე გადავიდა. შეიძლებოდა მონაც გადაეცეულიყო ყმად, მონათმფლობელის ნებით: აი, თქვენ ეს მიწის ნაჭრები, შეიძლება აქ ქოხები ააშენოთ და ცოლ-შვილიც გაიჩინოთ, ეს მიწა მოხნათ და დათესოთ, რასაც მოიწევთ, ერთი წილი თქვენ და დანარჩენი მეო. მონისათვის ასეთი ყოფა უფრო სარფიანი იყო და ის ეხლა უფრო ხალისით მუშაობდა. შეიძლებოდა ტყვე-კაციც დაესვათ მიწაზე და ყმად ექციათ. ბოლოს, ერისშვილებიც, წინათ რომ თავისუფალი იყვნენ, შეიძლებოდა ყმა გამხდარიყვნენ, გაღარიბების, ვალში ჩავარდნის, უსახსრობისა და მიმძლავრების წყალობით.

იარაღის განვითარება. მდიდარ ხალხს სხვა ის უპირატესობაც ჰქონდა, რომ საუკეთესო იარაღის შეძენა შეეძლო. მას შემდეგ, რაც ლითონი შემოვიდა, იარაღი ძვირი გახდა. რაც უფრო გულდაგულ და კარგად

იყო, მაგალითად, რკინის იარაღი გაკეთებული, ვთქვათ — სახნისი, ის მით უფრო ძვირი იყო. ცხადია, ლარიბებს ასეთ იარაღზე ხელი არ მიუწვდებოდათ, მდიდრები-კი მათ იძენდნენ და თავის მეურნეობას ამით უფრო დევე უფრო აძლიერებდნენ.

თანდათან გაძვირდა საომარი იარაღიც. როცა კაჟისწვერიან ისარსა და შუბს ხმარობდნენ, მაშინ ყველას ერთნაირი იარაღი ჰქონდა. ახლა-კი იარაღს უკვე მთლიანად ლითონისაგან აკეთებდნენ, განსაკუთრებით — რკინისაგან. გარდა ამისა, შემოიღეს ლითონის საბურავი და ჩასაცმელი — მუზარადი, ჯაჭვის ან ლითონის ფირფიტების პერანგი, სამხრეები და საბარკულები. ლითონის სამოსი კარგად იცავდა ადამიანს მტრის ხმლიდან და ისრისაგან. მაგრამ ასეთი ლითონის აბჯარი — იარაღი და სამოსი — ძალიან ძვირი იყო, მისი ყიდვა მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ. ვინც განსაკუთრებით მდიდარი იყო, ის თავის ცხენსაც ჯავშანს აცმევდა. შეჯავშნული მხედარი შეჯავშნულ ცხენზე ბევრად სჯობნიდა ძველებური მშვილდ-ისრით შეიარაღებულ მეომარს. რაკი მდიდრებმა ასეთი იარაღი ხელში ჩაიგდეს, ისინი კიდევ უფრო გაძლიერდნენ. საზოგადოებაში ისინი ეხლა განსაკუთრებულ ადგილს იჩემებდნენ, მეტ უფლებას მოითხოვდნენ. მათი ლარიბი და სუსტი მეზობლები ამ ადგილს უნებლიეთ უთმობდნენ კიდევაც მდიდრებს. ასე გაჩნდა თავისუფალ ერისშვილებს შორის წარჩინებულის ხალხი.

წარჩინებულთა დაწინაურება. წარჩინებულნი მეფისათვისაც უფრო სანდო და ახლობელი იყვნენ. როცა მეფეს უნდოდა თემებში თავისი მოხელე დაენიშნა, ის ამ მოხელეს წარჩინებულთა წრეში ირჩევდა.

წარჩინებულთაგან ირჩევდა მეფე თავის სარდლებსაც. ეს იმიტომ, რომ ამ მდიდარ ხალხს, რომელსაც საუკეთესო იარაღი ჰქონდა და რომელიც მიწას თვითონ კი არ ამუშავებდა, არამედ სხვას ამუშავებინებდა, შეეძლო თავისი დრო მთლად სამხედრო საქმისათვის მოენდომებინა — ესწავლა კარგი იარაღის ხმარება, კარგი ცხენზე ჯდომა. ასე გაჩნდნენ თემში ერისთავები, ერის თავი-კაცები. ისინი თემსაც მართავდნენ ეხლა, მეფის სახელით, და სათემო ჯარსაც სარდლობდნენ, როცა მეფე მოითხოვდა. ვინც არც წარჩინებული იყო და არც ერისთავი, იმათ ეხლა მდიდარი და ძლიერი ხალხი ნამდვილ ერად უკვე აღარ სთვლიდა, მათ ეხლა უკვე წვრილ ერს ეძახდნენ, ესე იგი, წვრილფეხა ხალხს.

წარჩინებულები, რომელნიც მეფის სამსახურში დაწინაურდებოდნენ, ერისთავებად იქცეოდნენ, ამით კიდევ უფრო ძლიერდებოდნენ, მდიდრდებოდნენ. მეფე ამნაირ ხალხს სამსახურისათვის მამულსა და ქონებას უწყალობებდა.

ასეთ მეზობლობაში, როცა, ერთი მხრით, მდიდარი, კარგად შეიარაღებული, სამხედრო საქმეში გართული, მეფესთან გამოსული კაცი ცხოვრობდა, ხოლო, მეორე მხრით — უცნობი, ლარიბი მიწისმუშა, რომელიც დღე-ნიადაგ მიწას ჩაჰკირკიტებდა, ლარიბებს აბა რა ხიერი დაეყრებო-

დათ. წარჩინებულნი სულ უფრო და უფრო მეტ სიმდიდრესა და გავლენას იხვეჭდნენ. მას შემდეგ, რაც წარჩინებული კაცი სამეფო სამსახურს დაწინაურდებოდა, ის ამ ახალშეძენილ ძალასაც თავისი სუსტი მხედრობის წინააღმდეგ ხმარობდა.

რადგანაც ამ დროს კერძო საკუთრება უკვე გაჩენილი იყო, წარჩინებული ხალხი ცდილობდა საშვილო



ქართული ხალხური ორნამენტის ნიმუში
თრიალეთიდან. სახლის ჭერის სამკაული.
ლაზი ოსტატის ნახელავი.

საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილება.

ლი ხალხი ცდილობდა საშვილო შვილოდ შეენახა და სამეფოდ რეოდ გადაეცა შეძენილი სიმდიდრე და გავლენა. მართლაც გაჩნდა ისეთი ოჯახები, რომლებშიც სიმდიდრე და წარჩინებულება თაობიდან თაობაში გადადიოდა და იზრდებოდა კიდევაც.

თუ ამნაირ ერისშვილებს ჯერ წარჩინებულებს ეძახდნენ, შემდეგ მათ აზნაურები შეერქვათ. „აზნაური“ თავდაპირველად „თავისუფალს“ ნიშნავდა. „უაზნო“ — „არათავისუფალს“. შემდეგში აზნაური ეწოდებოდა ისეთს თავისუფალ კაცს, რომელსაც თავისთვის დაჩემებულადგლი ჰქონდა და რომელიც ამ

მიწას ყმების საშუალებით ამუშავებდა, თვითონ-კი მეტწილად ომობდა, თარეშობდა, ნადირობდა.

ახალი წესწყობილება თვალსაჩინო გახდა ქართლში უკვე მე-4 საუკუნის დამდეგს. ამ დროს წარჩინებულნი, აზნაურები, საკმაოდ მომძღვრებულნი იყვნენ ქართლში. მაგრამ ფეოდალური წყობილების საბოლოო გამარჯვება ჩვენში მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ მოხდა.

§ 23. ქრისტიანობის გავრცელება სახელმწიფო სარწმუნოებად ქართლში

მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში ქართლში მეფობდა მირიანი. მირიან მეფემ უარყო ქართველების ძველი სარწმუნოება და მიიღო ქრისტიანობა. მირიანი ფიქრობდა, რომ ქრისტიანობის საშუალებით ის უფრო კარგად შეინარჩუნებდა თავის მეფობასა და დამოუკიდებლობას.

რომთან კავშირი სპარსელების წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით თუ როგორი იყო ქართლის კავშირი რომთან პირველს, მეორესა და მესამე საუკუნეებში. ქართლის მეფეები ამ კავშირს თავის სასარგებლოდ იყენებდნენ სულ უფრო და უფრო მეტად. სხვანაირი მდგომარეობა მოჰქონდათ სპარსელებს, რომელნიც მე-3 საუკუნიდან, როგორც ვიცით,

ძალიან გაძლიერდნენ. სპარსელების ახალი ძლიერების სუსხი მალე მოსწვდა ამიერკავკასიის ქვეყნებსაც, პირველ რიგში — სომხეთს. სპარსელები სპობდნენ მეფობას დაპყრობილ ქვეყნებში და ხალხსაც უზომოდ აწუხებდნენ. ასე იქცეოდნენ ისინი, მაგალითად, სომხეთში.

სომხეთის მაგალითი თვალწინ ედგათ ქართველებს. ქართლის მეფემ მირიანმა გადასწყვიტა, ისევ რომაელებთან შეჩვეული კავშირი სჯობს სპარსელების ძალადობასო. ამ დროს რომის სახელმწიფოში ქრისტიანობა უკვე გაბატონებული სარწმუნოება იყო, და მირიანმაც, რომაელებთან კავშირის შესანარჩუნებლად, ამ სარწმუნოების მიღება არჩია.

ბრძოლა მეფესა და მურუმებს შორის. ქრისტიანობა იმიტომაც გამოსადეგი იყო მეფისათვის, რომ მას უთანხმოება ჰქონდა ქურუმებთან. წარმართული ტაძრები დიდი მამულების მფლობელნი იყვნენ, და ამ მიწებს თუ ემატებოდა, თორემ არ აკლდებოდა. სარგებელი ამ მამულებიდან ქურუმებს მისდიოდათ. მეფეს შურდა ტაძრებისა და ქურუმების ეს სიმდიდრე. მეფის საგვარეულოს, სეფე-სახლსაც, ჰქონდა დიდი მამულები, მაგრამ „სეფე ქვეყანა“ თანდათან ილეოდა, იმიტომ რომ მეფე ერისთავებსა და სხვა მოხელეებს სამსახურისათვის მიწას აძლევდა ხოლმე. ამიტომ მეფეს უნდოდა წაერთმია ტაძრებისა და ქურუმებისათვის მათი მამულები და სხვა სიმდიდრეც, და ამიტომვე იყო რომ მეფე ქურუმების ძველი სარწმუნოების მაგიერ ახალ სარწმუნოებას უპერდა მხარს. ახალი სარწმუნოება მეფის მორჩილებას ჯადაგებდა.

აზნაურები. ქრისტიანობას მიემხრნენ აგრეთვე წარჩინებულნი, აზნაურები. აზნაურებიც მტრობდნენ ქურუმებს და მათთვისაც ახალი რელიგია ზელსაყრელი იყო. ქრისტიანობა აზნაურთა სასარგებლოდ ასეთ აზრებსაც ჯადაგებდა: გლახაკნი და დაჩაგრულნი ნუგეშს საიქიოში იპოვნით, აქ-კი წესრიგი და მორჩილებაა საჭიროო.

ნინო კაბადოკიელი. ქართველი და უცხოელი საეკლესიო (მათ შორის IV საუკუნის ბერძენი და რომაელი) მწერლები მოგვითხრობენ, რომ ქართლის მოქცევაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა ქრისტიანმა ქალმა, რომელიც, ჩვენი ეროვნული გადმოცემის თანახმად, **ქ ა ბ ა დო კ ი ე ლ ი** ყოფილა, სახელად **ნინო**. მან სახელი გაითქვა მკურნალობის ხელოვნებით, მეფის კარს მიადწია, მოარჩინა სნეული **ნ ა ნ ა** ღედოფალი და გააქრისტიანა იგი. ნინო ცდილობდა მეფეც მოექცია ახალ რჯულზე, მაგრამ მირიანი ყოყმანობდა, ვიდრე ნადირობის დროს მომხდარმა შემთხვევამ ბოლო არ მოუღო მის გაუბედაობას: მზის დაბნელება იყო, წყვდიადით მოცულ მეფესა და მის მსლებლებს მთაში, ტყეში, გზა დაეკარგათ; შეძრწუნებული მირიანი ამაოდ ევედრებოდა თავის ღმერთებს, მხოლოდ ნინოს ღმერთმა იხსნა იგი თითქოს ამ გასაჭირისაგან. ღედაქალაქში დაბრუნებულმა მირიანმა თვითონაც მიიღო ქრისტიანობა და შემდეგ მცხეთელებიც მონათლათ.

ხალხის მონათვლა. შემდეგ მეფემ თავის სამეფოში მქადაგებლები გაგზავნა და თან ერისთავებიც გააყოლა, რადგანაც ეწინოდა, აქა-იქ

ხალხმა შეიძლება ახალი სარწმუნოება არ მიიღოსო. მართლაც, წვერი, სოფლის მუშა ხალხი, ახალი რელიგიის ქადაგებას მტრულად შეხედდა. მთის ხალხს, რომელსაც ჯერ ფეოდალიზმი არც-კი შეხებოდა, ხალხი გასაგონადაც არ უნდოდა ქრისტიანობა. ძველი მემკვიდრეობა, რომელიც ნინომ არაგვის ხეობის მთიულებს ქრისტიანობა უქადაგა, მათ კბილთა ღრუკენა დაიწყეს და ზურგი შეაქციესო. ერისთავმა მაშინ მახვილი დაატრიალა, რომ ურჩებისათვის ჭკუა ესწავლებინა. მემკვიდრეობა, მთიულებმა ველარ გაუძლეს მეფის ჯარს და „შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დაღუწად“-ო.

ამის შემდეგ კახეთის მოსახლეობა მოაქციეს. მაგრამ შემდეგშიც დიდხანს იყო ისეთი კუთხეები ჩვენში, სადაც ქრისტიანობას არ სცნობდნენ.

მირიან მეფის მონათვლა და ქართლის მოქცევა, ესე იგი, გაქრისტიანება, მოხდა 337 წლის მახლობლად.

ნინო კაბადოკიელი ეკლესიამ წმინდანთა შორის შერაცხა და საქართველოს განმანათლებლად მიიჩნია. თბილისის სიონის ტაძარში დღესაც ინახება საქართველოს ეკლესიის უდიდესი ეროვნული სალოცავთაგანი—ვაზის ჯვარი, რომელიც, გადმოცემით, თვით ნინოს თმებით არის შეკრული.

ქართლის გაქრისტიანების მნიშვნელობა. ქრისტიანობა ემსახურებოდა ჩვენში მონობის გაუქმებასა და ფეოდალური ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას, ფეოდალიზმი-კი მონათმფლობელობასთან შედარებით პროგრესული წესწყობილება იყო. ქრისტიანობა აგრეთვე, გარდა იმისა, რომ წარმართობასთან შედარებით უფრო პროგრესული იდეოლოგია იყო, ხელს უწყობდა საქართველოს კულტურული კავშირების დაცვასა და განვითარებას ევროპის ქვეყნებთან.

ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად მიღება ქართლში უკვე მე-4 საუკუნეში ჩვენი ქვეყნის აღრინდელი დაწინაურების მაჩვენებელია საზოგადოებრივი და კულტურული მხრივ.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ქრისტიანობამ მოსპო ძველი ქართული წარმართული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები, კერძოდ — ძველი წარმართული მწერლობა.

ქართლის მკლესია. ქრისტიანულ ორგანიზაციას, ქრისტიანების კრებულს, ბერძნული სიტყვით, „ეკლესიით“ აღნიშნავდნენ. შემდეგში ქართულად „ეკლესია“ დაერქვა იმ შენობასაც, სადაც ქრისტიანების კრებული თავს იყრიდა ლოცვისათვის. რაკი ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად აღიქვა, ქართლის ეკლესიამაც ისეთივე წყობილება მიიღო, როგორიც ჰქონდა თვითონ ქართლის სამეფოს. ასე ზღებოდა სხვა ქვეყნებშიც. ცალკე საერისთავოების საეკლესიო საქმეებს განაგებდნენ ეპისკოპოსები, რომელნიც ემორჩილებოდნენ ქართლის ანუ მცხეთის მთავარ-ეპისკოპოსს. ეპისკოპოსებს ექვემდებარებოდნენ ხუცეები ანუ მღვდლები. მალე ქრისტიანული სამღვდლოება ქართლში მრავ

ეკლერიცხოვანი გახდა და ისევე გამდიდრდა, როგორც ძველი ქუთუმები. ქრისტიანული ტაძრებიც დიდ მამულებს იძენდნენ, ზოგჯერ — შემოწირულების მიღებით, ზოგჯერ — ყიდვით თუ სხვა გზით. ამ მამულებს მთავარ-ეპისკოპოსი და ეპისკოპოსები განაგებდნენ. ეპისკოპოსებს ემორჩილებოდა ის ხალხიც, რომელიც ტაძრების მამულებს ამუშავებდა. ქრისტიანულმა ეკლესიამ ქართლშიაც ადრევე მიიღო ფეოდალური ორგანიზაციის ხასიათი.

§ 24. ქართული მწიგნობრობა

ქართული ანბანის წარმოშობა. მწიგნობრობა ანბანს (ანუ დამწერლობას) და მწერლობას ჰქვია. ქართული ანბანი ანუ დამწერლობა უფრო ძველია, ვიდრე ქართული მწერლობა. ეს იმიტომ რომ ქართული მწერლობის ყველაზე ძველი, ჩვენ დრომდე მოღწეული, ძეგლები ქრისტიანულ ხანას ეკუთვნის და საეკლესიო ხასიათისაა, ქართული ანბანი-კი ქრისტიანობაზე ადრეც არსებობდა. როცა ქრისტიანობა ჩვენში გაბატონდა, მან ძველი ქართული წარმართული მწერლობა მოსპო, მაგრამ ძველი ქართული ანბანი მიიღო და თავისი საჭიროებისათვის გამოიყენა.

ხუცური და მხედრული დამწერლობა. ქართველებს ორი ანბანი აქვთ: ერთი — უფრო ძველი, ხ უ ც უ რ ი, მეორე — უფრო ახალი, მ ხ ე დ რ უ ლ ი. ასე ამ ანბანებს იმიტომ ეძახიან, რომ როცა ახალი ანბანი გაჩნდა, მას ერისკაცები, „მხედრობა“, ხმარობდნენ საერო წიგნებისათვის, ძველი ანბანი-კი ეკლესიამ შეინარჩუნა, მას სამღვდელოება („ხუცები“) ხმარობდა თავისი საჭიროებისათვის. ხუცური და მხედრული იმდენად განსხვავდება ერთმანეთში, რომ ხუცურს ცალკე შესწავლა სჭირია.

მხედრული წარმოიშვა და განვითარდა ხუცურისაგან თანდათან დღევანდელ ქართულ დამწერლობამდე. თვითონ ხუცურსაც სხვადასხვა ხანაში სხვადასხვა სახე ჰქონდა. დამწერლობა ასე იცვლებოდა ცხოვრების განვითარების გამო. ცხოვრების პრაქტიკულმა საჭიროებამ დაბადა ერთოდ მწიგნობრობა, ეს საჭიროება-კი თანდათან ფართოვდებოდა; მეტი ხალხი ხმარობდა დამწერლობას ყოველდღიურ საქმიანობაში თუ საერო მწერლობაში. ამიტომ ახალ დროს უფრო სწრაფი და მარჯვე წერა სჭიროდა. საწერი მასალაც (ჩვეულებრივად — ტყავი) მაშინ ძალიან ძვირი იყო და რაკი მას ეხლა მეტს ხმარობდნენ, ამიტომ ადგილის დაზოგვასა და მომჭირნეობას ცდილობდნენ. ასე იცვლებოდა ანბანიც.

ასომთავრული და ნუსხა-ხუცური. ხუცურ დამწერლობათა შორის ყველაზე ძველია ასომთავრული. ასომთავრული ანბანი ქართველებს შეთვისებული აქვთ უძველეს ხანაში, ქრისტიანული წელთაღრიცხვის დამდგამდე. ყველაზე ძველი თარიღიანი ქართული ასომთავრული წარწერა აღმოჩნდა 1937 წელს ბოლნისში. ეს წარწერა ამოჭრილია 492 — 493 წელს. ასომთავრულიც დროთა მსვლელობაში იცვლე-

ზოდა. დაახლოებით მე-7—მე-8 საუკუნიდან, ახ. წ., შემოვიდა ნუსხა-ხუცური. ნუსხური იგივე ასომთავრულია, მხოლოდ გაჭრული ხელით დაწერილი და ასოების წაგრძელებული კიდურებით — თავები და კუდებით.

მდივან-მწიგნობრული ნუსხური. მხედრული. ნუსხა-ხუცური უფრო სწრაფი დამწერლობა იყო და ნაკლებს საწერ მასალას მოითხოვდა, ვიდრე ასომთავრული. მაგრამ შემდეგ საჭირო გახდა კიდევ უფრო სწრაფი წერა. ნუსხურის კუთხოვანი ასოები მომრგვალდა და ერთმანეთს გადაება. რომ წერის დროს ხელი ხაზს ხშირად არ მოსცილებოდა. ასე გაჩნდა მდივან-მწიგნობრული ნუსხური, რომელიც იხმარებოდა ჩვენს მე-11 — მე-12 საუკუნეებში, განსაკუთრებით მეფის კანცელარიაში და კერძო პირების მიერ. რუსთაველის ხანიდან მოყოლებული, მდივან-მწიგნობრული ნუსხური უკვე თვალსაჩინოდ უახლოვდებოდა მხედრულს. მხედრული დამწერლობა მე-14 საუკუნისათვის უკვე ჩამოყალიბებულია. მას ჩვენ დღესაც ვხმარობთ, თუმცა ზოგი ასო რამდენადმე შეცვლილია. ასეთია ქართული ანბანისა და დამწერლობის ისტორია.

ძველი ქართული ისტორიკოსი **ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი** ქართული ანბანის გამოგონებას მიაწერს ქართლის მეფეს **ფარნაგაზს**, ალექსანდრე მაკედონელი ს უმცროს თანამედროვეს. მაგრამ მროველის მტკიცებას სხვა ისტორიკოს მოწმობანი მხარს არ უჭერენ და ამიტომ მისი მიღება შეუძლებელია.

ზოგი ძველი სომეხი მწერალი, მროველის წინააღმდეგ, სომხური, ქართული და აღბანური ანბანების გამოგონებას **V საუკუნის** ერთი სომეხი მოღვაწის დამსახურებად სთვლის. ამ მოღვაწეს ზოგი **მესროპს** უწოდებს, ზოგი კიდევ — **მამათოს**. მოგეითბობენ, რომ ვინმე სირიელმა ეპისკოპოსმა **დანიელმა** მესროპზე აღრე შეუღწინა სომხებს ანბანი, მაგრამ ეს უკანასკნელი ნაკლული აღმოჩნდა: ერთი ცნობით მას 7 ასო ჰკლებოდა, მეორე ცნობით — 12 თუ 14. მესროპის ცხოვრების აღწერაში ვითხოვლობთ, რომ დანიელის ანბანს არ შეეძლო გამოეხატა სომხური ენის „სილამპები“ (მარცვლები) და „კაჟშირები“, ე. ი. როგორც ჩანს, მას აკლდა ასოები სომეხი ბგერებისათვის. მესროპმა მთელი რიგი ქვეყნები მოგლო ამ ხარვეზის შეჭრების მიზნით. მაგრამ საქმეს არა ეშველა რა, ვიდრე ერთხელ ქალაქ **სამოსატში** მესროპს სიზმრად ღვთაებრივი ხელი არ ეჩვენა, რომელმაც მას საჭირო ნიშნები გამოუჩაბა. ამ მასალთ აღმურვილი მესროპი გამოცხადდა სწავლულ ბერძენთან, ვინმე **როფანოსთან**. რომელმაც ზეგარდმო ნაბოძებ ნიშნებს ასოების საბოლოო სახე მისცა. ამის შემდეგ მესროპი კვლავ სირიას გაემგზავრა, იქაური სწავლულებისაგან ახალი ასოების დასტური მიიღო და შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში.

ამრიგად ყოფილა შექმნილი, ერთი წყაროს განმარტებით, სომხური ანბანის ასოები ხმოვანი ბგერებისა (**ა, ე, ი, ო, გ, ო**) და ერთი ნახევარხმოვანის გამოხატაგად.

თუ დავუშვებთ, რომ მესროპს შეეძლო კიდევ ორი ანბანის შედგენის მძიმე ამოცანა ეკისრა, ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ მას მეზობელი ხალხებისათვის უკვე მზა-მზარეული სომხური დამწერლობა შეეთავაზებინა. მაგრამ თურმე ასე კი არ მომხდარა. არამედ მესროპს თითქმის ორი საუკუნით ახალი სრული ანბანი შეუქმნია და თანაც ისე, რომ მას აღარც რამე გასჭირებია და აღარც ზებუნებრივი ძალები დახმარებია.

ამ მოთხოვნის არა-რეალური, ხელოვნური ხასიათი აშკარაა. იგი ჩვენ გვიანი, სპარსული პერიოდის ტენდენციის ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ. **ლ ა ზ ა რ ე ფ ა რ პ ე ლ ი**. რომელიც ყველაზე უფრო სანდოა უძველეს სომეხ ისტორიკოსთა შორის, ძალიან და-

წერილებით მოგვითხრობს მამოთ-მესროპის ბიოგრაფიას, მაგრამ კრისტსაც კი არსადა სძრავს საქართველოში ან ალბანეთში მისი რაიმე მოღვაწეობის შესახებ. ამრიგად, თხრობის პირვანდელ რედაქციაში ქართული და ალბანური ანბანის გამოგონების შესახებ სრულიადაც არ ყოფილა საუბარი.

ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთს საიმედო საშუალებას ისტორიული მეცნიერების დამხმარე დისციპლინა — პალეოგრაფია გვაძლევს. ეს არის ასოთა მოყვანილობის, ნათი განვითარების, მათი საანბნო რივისა და სხვა ერთა დამწერლობასთან მათი დამოკიდებულების შედარებით-კრიტიკული შესწავლის გზა. ამ გზით კიდევაც მოხერხდა იმის დადგენა, რომ ქართული ანბანის ასო-ნიშნები ეისიმე ნასიბრძნის კი არაა, არამედ გენეტიკურ ნათესაობაში იმყოფება ახლო აღმოსავლეთის უძველეს ფონეტიკურ ანბანებთან. ქართული და სომხური დამწერლობა იმდენად განირჩევა ერთიმეორისაგან, რომ ისინი შეუძლებელია ერთსადაიმევე ხანაში იყვნენ შექმნილი. ქართულ ანბანს შემოუნახავს, გარდა ასოთა ძველებური მოყვანილობისა, აგრეთვე მათი ძალიან ძველი თანმიმდევრობა და ამ მხრივ იგი მკვეთრად განსხვავდება სომხურისაგან. ამ ფაქტების სპეციალურმა შესწავლამ მკვლევარები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ქართული ანბანი წარმოშობილი უნდა იყოს არა უგვიანეს VII საუკუნისა ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

საერთო ისტორიული პირობების მიხედვითაც თუ ემსჯელებთ, დაახლოებით სწორედ ამ დროს უნდა მიეტოვებინათ ქართველებს თავისი ძველი, იეროგლიფური და ლერს-მული, დამწერლობა და ფონეტიკურ დამწერლობაზე გადასულიყვნენ.



ბოლნისი, ქართული წარწერა 492-3 წლისა.

§ 25. ძველი ქართული წარმართული სარწმუნოება და თქმულებები

მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად იქცა, მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ძველს წარმართულ კულტურას. სადაც-კი ახერხებდა, ქრისტიანობა პირწმინდად სპობდა წარმართული კულტურის ყოველგვარ ძეგლსა და კვალს. ასე, როგორც ვიცით, ქრისტიანობამ სრულიად გაანადგურა ჩვენში ძველი წარმართული მწერლობა და ამით წაგვართვა საშუალება შეგვესწავლა ქართველთა უძველესი სარწმუნოებრივი შეხედულებანი მათი პირვანდელი და უცვლელი სახით. მაგრამ, მეორე მხრით, ხალხი ჯიუტად იცავდა მამა-პაპურ რწმენებს და ქრისტიანობაც ხშირად იძულებული იყო შეგუებოდა მათ, რის გამოც ძველი შინაარსი ახალი ფორმით იმოსებოდა. ასე მოხდა რომ ძველი წარმართული ღმერთები ნაწილობრივ ქრისტიანულ ღმერთად და წმინდანებად იქცნენ, ნაწილობრივაც ხალხურ ყოფა-ცხოვრებასა და შეგნებაში ჩაირჩნენ. ამგვარი გადმონაშთებით ვსწავლობთ ჩვენ ქართულს წარმართულ სჯულს.

რწმუნები. ქართველების უძველესი რწმენით, მთელი ბუნება განს-
ლიერებული და განპიროვნებული იყო. ბუნების მოვლენებს, მცენარეებს,
ცხოველებს შეგნებული არსების, ადამიანის თვისებები მიეწერებოდა.
სჯეროდათ, რომ ბუნების ძალებსა და მოვლენებს შეეძლოთ თავის ნებ-
ზე კეთილიც ექნათ ადამიანებისათვის და ავიც. ამიტომ მიაჩნდათ საყ-
როდ მათი თაყვანისცემა, მსხვერპლისა და ძღვენის მირთმევა და ლო-
ვის შეწირვა, იქნებ ღმერთებმა ჩვენსკენ კარგი თვალით მოიხედონო.

ერთი ღვთაება უფროსად იყო მიჩნეული, ის იყო უზენაესი „ღმერთი“
(მეგრულად — ღორთითი, ლაზურად ანუ ჭანურად — ღორმოთი, სვანუ-
რად — ღერმეთ), „გამჩენი“ და „მორიგე“ ღმერთი, რომელმაც გააჩინა
დაბადა მთელი სამყარო და რომელიც წესრიგს აძლევდა თავის ქმნილე-
ბას. მის გარდა იყვნენ უფრო დაბალი რიგის ღვთაებები, ხატები, „ღვთის-
შვილები“. „თავისი წილი“ ღმერთი ჰყავდათ ცალკე თემებსა და საგვ-
არეულობებს, მთას, ხევს, მინდორსა და მინდვრის ყვავილებს, ხეებს, სახლ-
სა და ფუძეს. ტყის ნადირთა მფარველი ღვთაება, „ნადირთ მწყემსი“ იყო
ოჩოპინტრე ან დალი (დალის სახელი ეხლაც ისმის ხალხურ სიმღერებ-
ში — „ოვ, დილაჲ, დელი, დელა“). ამა თუ იმ ადგილის მფარველის სუ-
ლი „ადგილის დედად“ იწოდებოდა. სწამდათ აგრეთვე „ცა-ღრუბლის
წინამძღვარის“ არსებობა, და სხვაც ბევრი.

ყველაზე დიდ პატივსა და თაყვანს ჩვენი წი-
ნაპრები მაინც ცის მნათობებს სცემდნენ — მზეს,
მთვარესა და ხუთ ცთომილს.

მნათობთა კულტის (თაყვანისცემის) კვალი დღემდე არის შენახული
კვირეულის დღის სახელებში. ასე, კვირას მეგრულად ეაშხა ჰქვიან, სვ-
ანურად — მიშლადელ, ძველ-ქართულად — მზისა. ეს მზის დღეს ნიშნავს,
კვირა მზისათვის განკუთვნილი დღე იყო. ორშაბათს მეგრულად თუთაშ-
ხას ეძახიან, სვანურად — დოშდინშ, ძველ-ქართულად მას მთოვარისა
ერქვა. ორშაბათი მთვარის დღე იყო. სამშაბათი მეგრულად იწოდება თა-
ხაშხა, ლაზურად — ტიკინაჩხა, სვანურად — თახაშ. სამშაბათი ომიანობის
ღმერთის დღე იყო. მართლაც, ხეთურ-სუბარულ სამყაროში ომიანობის
ღმერთს ტარკულს ანუ ტარხონს-ს ეძახდნენ.

მზე ქალად ჰყავდათ წარმოდგენილი, მთვ-
არე — ვაჟად. ქართულ ხალხურ ლექსში მზე ასე ამბობს მთვარეზე:

მე და ვარ და ის მმა არის,
რად ვსძულდებით ერთმანეთსა.

მეგრულ ლექსში-კი ნათქვამია:

მზე დედა ჩემი,
მთვარე — მამა ჩემი,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი
და და მამა ჩემი.

გაღმერთებულ მნათობთა შორის პირველი ადგილი მზეს ეჭირა. ეს ბუნებრივია იმიტომ, რომ ქართველ ტომთა მეურნეობის მთავარს, წამყვან დარგს მიწათმოქმედება შეადგენდა მაშინ, როცა ქართველი ტომები ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ, ფართო სამოქალაქო კავშირები შეჰკრეს და თავისი სარწმუნოებრივი შეხედულებები სისტემად ჩამოაყალიბეს. მიწათმოქმედი მეურნეობისათვის ცის მნათობთა შორის მთავარი მნიშვნელობა, ცხადია, მზესა აქვს. მზე ესახებოდა მიწათმოქმედ მეურნეს მცენარეების, ნაყოფიერების, სიცოცხლის უმთავრეს წყაროდ, მზეს შესთხოვდა იგი წყალობასა და შემწეობას.

იმ შორეულ ხანაში ქართველ ტომთა საზოგადოებრივი ცხოვრების სათავეში დედაკაცი, ქალი იდგა. ამიტომ დაისახა მზის ღვთაება როგორც ქალი ღმერთი, ხოლო როცა ღმერთების უფროს-უმცროსობაც ჩამოყალიბდა, მზის ქალ-ღმერთი მიჩნეულ იქნა დიდ დედად, სხვა ღმერთების დედად, ღვთისმშობლად.

მზეს, როგორც ღმერთს, ქართველი მთიელები თავყანს სცემდნენ სულ უკანასკნელ დრომდე, მეოცე საუკუნეშიაც. თითქმის ყველა თავის ლოცვა-სავედრებელს ხევსური და ფშაველი ხუცები დაახლოებით ასე იწყებდნენ: „დიდება ღმერთსა, დღეს დღესინდელსა, მზესა და მზისმყოლთ ანგელოზთა“-ო, აქ მზე პირდაპირ ისახელება, როგორც ღმერთი და ისიც — მთავარი, რადგანაც მას ანგელოზები ჰყავს. მაგრამ, გარდა ამისა, „დღეც“ ამ სალოცავში მზეს ნიშნავს, იმიტომ რომ „დღე“ მზის უძველესი სახელია.

ზოგიერთი ცნობა ანტიკური საქართველოს ღმერთების შესახებ შემოგვინანეს ბერძენმა მწერლებმა, რომელნიც მათ თავის სახელებს არკმევდნენ. ასე, მესხების თემში (ე. ი. სამცხეში) უკვე ჩვენს წელთაღრიცხვამდე აღნიშნულია ქალ-ღმერთ ლევკოთეას ტაძარი, რომელიც დიდად სახელმწიფოებრივი იყო მეზობელ ქვეყნებში თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობითა და სიმდიდრით. ამ ტაძარში, რომელსაც ცნობილი სამისნოც ჰქონია, ვერძის შეწირვა მსხვერპლად აკრძალული ყოფილა. ეს სიყვარულისა და ნაყოფიერების ქალ-ღმერთი იყო. როგორც ჩანს, ლევკოთეას ტაძრის ადგილას ააშენეს გაქრისტიანების შემდეგ განთქმული აწყურის ტაძარი ღვთისმშობლის სახელობაზე.

ქალაქ ფასიდში მეორე საუკუნეში, ახ. წ., ადგილობრივი ქალ-ღმერთის ქანდაკება იდგა. ქალ-ღმერთი ტახტზე იჯდა, ხელთ მას კიშბალი (ერთგვარი მუსიკალური საკრავია) ეჭირა, ფერხთით-კი ლომები ეწვა. ბერძნები ამბობდნენ, ეს ქალ-ღმერთი ყველაზე მეტად რეას ჰგავსო, რეაკი, ანუ სხვანაირად — კუბელე, მცირე აზიის მთავარი ქალ-ღმერთი იყო, რომელიც „დიდი დედის“, „დედოფლისა“ და „ღვთისმშობლის“ წოდებულებას ატარებდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ორივე შემთხვევაში ბერძნული ცნობები მზის ქალ-ღმერთის თავყანისცემას გულისხმობს.

მზის კულტის არსებობას ანტიკურ საქართველოში არქეოლოგიური მასალაც ემოწმება. არმაზში და ბორში (შორაბანთან) ნაპოვნ ნივთებზე

გამოსახულია სარწმუნოებრივი სცენა — სამსხვერპლოსთან მდგომი ცხენი. ცხენს-კი მსხვერპლად მზეს სწირავდნენ ზოლმე. კლდეებში არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნ ნაშთთა შორის, ჩანს, მსხვერპლზე შეწირული ცხენების ნაშთებიცაა.

სხვა ხალხებთან ურთიერთობის წყალობით ანტიკურ საქართველოში უცხო რელიგიების ნაკადებიც იყო შემოსული. შესამჩნევი იყო ბერძენთა სარწმუნოების ერთგვარი გავლენა. მაგრამ განსაკუთრებით საგრძნობი იყო, აღმოსავლეთ საქართველოში, ირანული რწმენების ზეგავლენა. მას შემდეგ, რაც აქემენიდებმა ქართველი ტომებიც მეტნაკლებად დაუქვემდებარეს თავის ზელისუფლებას, აქ მითრას კულტი შემოდის. მითრას მზის ღვთაება იყო, რომელიც წინა აზიის უძველესი, მკვიდრი მოსახლეობისაგან შეითვისეს სპარსელებმა და თავის ოფიციალურ ღმერთად აქციეს. მითრას კულტის გავრცელების ქართველ ტომებში ნიადაგი მომზადებული ჰქონდა საკუთარი მზის კულტის წყალობით. შემდეგში საქართველოში მაზდეანობის გავლენაც შემოიჭრა.

ქრისტიანობამ მნათობთა თაყვანისცემას სახე შეუცვალა და თავის ღმერთსა და წმინდანებს შეუღუა: ქალ-ღმერთი მზის კულტი ქრისტეს დედისა და ზოგი სხვა წმინდანი ქალის (მაგ., ბარბალეს) თაყვანისცემას დაუკავშირა, ვაჟი-ღმერთი მთვარის კულტი-კი — წმინდა გიორგის თაყვანისცემას. ისევე, როგორც წარმართობის დროს მზე აღიარებული იყო ხალხის უზენაეს დედოფლად, ღვთისმშობელიც (ასე ეძახდნენ ქრისტეს დედას) მიჩნეულ იქნა ქვეყნის მფარველად, დედოფლად. ამ ნიადაგზე გაჩნდა ალბათ თქმულება, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილ-ხედო-მილი ქვეყანა არისო.

არიშალი (წმს-ჩვეულებანი) და სარწმუნოებრივი გადმოცემა-თქმულებები. რელიგიურ რწმენებთან დაკავშირებული იყო სხვადასხვა წეს-ჩვეულება და თქმულებები ღმერთებისა და ღმერთ-კაცების შესახებ. ეს წესები და გადმოცემებიც ხალხმა ნაწილობრივ უკანასკნელ დრომდე შემოინახა, განსაკუთრებით—მთიანსა და მიჯარდნილ რაიონებში, დღეობა-სალოცავების, საგალობლების, წარსათქმელებისა და თვით თქმულებების სახით. ზოგჯერ ხალხი ათასი წლების მანძილზე იცავდა ძველ რწმენებსა და ადათებს. მაგალითად, სვანეთში ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში ასრულებდნენ მურყვამობის წარმართულ დღეობა-სალოცავს, რომელიც რვა ნაწილისაგან შედგებოდა. ჯერ ორპირად ჩაბმული ფერხული წმინდა საგალობელს ამბობდა, რომელიც ასე იწყებოდა: „დარეკილა წაგვივიდა და მოგვივიდა“. შემდეგ ცალკე გუნდი სხვა წესს ასრულებდა და ხალხისათვის გაუგებარ სიტყვებს იძახოდა: „მელია ტელეფია, იოჰ, იოჰ, იოჰ!“. შემდეგ კვრიოა ღმერთის საგალობელი მოსდევდა, დასასრულ ფერხული და სხვადასხვა სიმღერა სრულდებოდა.

მ უ რ ყ ვ ა მ ო ბ ი ს დ ღ ე ო ბ ა -ს ა ლ ო ც ა ვ ი ძ ვ ე ლ ი ხ ე თ უ რ ი ღ მ ე რ თ ი ს ტ ე ლ ე ფ ი ნ უ ს თ ა ყ ვ ა ნ ი ს ც ე მ ი ს ნ ა შ თ ი ა. ამგვარი ნაშთები სხვაც ბევრი იყო დარჩენილი ხალხში.

უძველესი თქმულებებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა თქმულება ამირანის შესახებ.

გადმოცემით, ამირანის დედა მონადირეობის ქალ-ღმერთი დალი იყო. ამირანის მამა მონადირე სულა-კალმახი ყოფილა. ამრიგად, დაბადებით ამირანი ღმერთ-კაცი იყო. როცა გაიზარდა, ამირანი გოლიათი ტანის კაცი დადგა: მას საცრისოდენი თვალები ჰქონდა, მგლის მუხლი და დაქანებული ზეგვის სიმარდე, თორმეტი უღელი ხარ-კამეჩის ღონე. მიწას უმძიმდა ამირანის ტარება. განრისხებული ამირანი საავდროდ გამზადებულს შავ ღრუბელსა ჰგავდა. იარაღიც ამირანს თავის შესაფერი ჰქონდა. მისი ხმალი, რომლის აწევა არავის შეეძლო, საგანგებოდ იყო გაჭედილი. თქმულებაში ამირანი ამბობს:

„როს ჩემი ხმალი წრთებოდა,
ცა ჰქედა, მიწა გრგვინავდა, სამეფლო ექანებოდა,
მეფელო, მემეფედურები ერთმანეთს ეფარებოდა“.

ამირანს ერთგული ძაღლი ჰყავდა, სახელად ყურშა, პატრონსავით უჩვეულო არსება. ყურშა ორბის ლეკვი იყო, მას ბეჭებზე ორბის ფრთები ჰქონდა გამოსხმული, ორ ნახტომზე ჯიხვს ეწეოდა.

ამირანი ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლი გმირია. მას უნდა ხალხს მოაშოროს მისი მჩაგვრელი მოძალადეები, ავი სულები, მდეგები, გველუშაბები, რათა ადამიანმა უსისხლო პური ჰკამოს.

ხალხის მტრებთან, ავ სულებთან ბრძოლაში ამირანმა დიდი გმირობა ჩაიდინა, ბევრი ბოროტი არსება გასწყვიტა. ერთხელ ამირანი შავ გველუშაპს შეებრძოლა, რომელიც მზეს ჩაყლაპავს ხოლმე, რის გამოც მზის დაბნელება ხდება. გველუშაპმა ამირანიც ჩაყლაპა, მაგრამ ამირანმა მას ალმასის დანით მუცელი გაუჭრა და გარეთ გამოვიდა.

შემდეგ ამირანი ღრუბელთ ბატონს მიუხტა. ღრუბელთ ბატონს მზეთუნახავი ასული ჰყავდა, სახელად კამარი, რომელიც ცაზე ჯაჭვით ჩამოკიდებულ კოშკში ცხოვრობდა. ამირანმა ჯაჭვი გაწყვიტა, კოშკი მიწაზე ჩამოაგდო და მშვენიერი კამარი მოიტაცა.

ბოლოს ამირანმა ბრძოლა გამოუცხადა თვით ღმერთს. ამ ბრძოლაში ამირანი დამარცხდა, იგი კავკასიონზე რკინის პალოს ჯაჭვით მიიბეს და თავზე თოვლიან-ყინულიანი მთა დაახურეს. ამირანმა ორჯერ გაწყვიტა ჯაჭვი, მაგრამ მესამედ ღმერთმა ის კიდევ უფრო მაგრად შებოროკა. ფრთოსანი ყურშა, რომელიც ამირანს თან ახლავს, და ამირანი წლის განმავლობაში ეწევიან პალოს და ის-ისაა, უნდა ამოაძრონ, რომ ამ ღროს ამირანის მტრები დაჰკრავენ კვერს და პალო ისევ ძირამდე ჩაჯდება. ასე ხდება ყოველ წელს.

ხალხს ამირანი უკვდავად მიაჩნდა და ისე ღრმად იყო მის არსებობაში დარწმუნებული, რომ მთელ საქართველოში დიდ ხუთშაბათს (აღდგომის წინ) მჭედლები ამირანს იგონებდნენ, გრდემლზე კვერს ურტყამდნენ და სანთელს ანთებდნენ.

7. საქართველოს ისტორია.

ამირანის თქმულება ძალიან ძველი თქმულებაა. უკვე მეორე-მესამე საუკუნის ბერძენი მწერლები ადასტურებენ, რომ ეს თქმულება საქართველოში დიდად გავრცელებული იყო. ერთი მათგანი, ფილოსტრატე, მსგავსი, მოუთხრობს: ადგილობრივ „ბარბაროსებს“ (ასე ეძახდნენ ბერძნები ყველა არაბერძნული მოდგმის ხალხს) აქვთ გადმოცემა ისეთივე, როგორც ბერძენ პოეტებს, რომ კავკასიონის მთაზე თავისი კაცთმოყვარეობისათვის პრომეთეა მიჯაჭვული. ზოგი ამბობს, რომ ის გამოქვამულშია მიჯაჭვული, ზოგი-კი მთის ორთავიან მწვერვალზე (იგულისხმებს იალბუზი) მიუთითებს. კავკასიონის მცხოვრებნი არწივს მტრობენ, იმდენად არიან დაწმუნებულნი გადმოცემის სინამდვილეში, და შურს იძიებენ პრომეთესათვის. ამბობენ აგრეთვე, რომ ჰერაკლემ ვერ აიტანა პრომეთეს ტანჯვა და ისრით მოჰკლა არწივიო.

ამირანის თქმულებაში ქართველმა ხალხმა გამოხატა თავისი მრავალსაუკუნოვანი ოცნება იმ კაცთმოყვარე გმირზე, რომელიც დაამარცხებს ხალხის მტრებს, და თავისუფლებასა და „უსისხლო პურს“, ესე იგი ბედნიერ ცხოვრებას მოუტანს ქვეყანას.

§ 26. ლაზიკის სამეფოს წარმოშობა


ლაზიკის სამთავრო. კოლხეთის ტომებმა მე-2 — მე-3 საუკუნეების განმავლობაში უფრო თავისუფალ ცხოვრებას მიაღწიეს. შეუწელებელი ბრძოლით მათ რომაული ჯარები თანდათან გააძევეს თავისი ტერიტორიიდან. ეხლა კოლხეთის ტომებს სხვა არაფერი ევალეზოდათ რომის ნიმართ, გარდა სამხედრო დახმარებისა. კოლხეთის სატომო სამთავროებს შორის ყველაზე ძლიერი ზანების ანუ ლაზების, დღევანდელი მეგრელების წინაპრების, სამთავრო იყო. ამ სამთავროს ეკუთვნოდა რიონის დაბლობი, რომელიც უმდიდრესი რაიონი იყო კოლხეთში და რომელსაც მუხურის სიხე ეძახდნენ. მუხურის სამოქალაქო ეწოდებოდა, იმიტომ რომ აქ ბევრი ქალაქი იყო გაშენებული, მათ შორის — განთქმული ვარდციხე ანუ როდოპოლისი. მუხურის უკავშირდებოდა აგრეთვე ქალაქი ფოთი, ძველი ფასიდი, მნიშვნელოვანი ნავთსადგური.

ლაზიკის სამთავრო ამტიანებს დასავლეთ საქართველოს. ლაზების ანუ ზანების მთავარმა მე-4 საუკუნეში ძალიან გააფართოვა თავისი სამფლობელო. აფშილების, აბაზგებისა და სხვა წერილი ტომების მთავრები ეხლა ლაზების მთავრის ვასალებად გადაიქცნენ. მე-4 საუკუნის დამლევს ლაზების მთავარმა სვანების მთავარიც დაიმორჩილა. ასე წარმოიშვა ახალი სამეფო, რომელსაც რომაელები ლაზიკას ეძახდნენ, ლაზების სახელის მიხედვით, ქართულად-კი მას ძველებურად ისევ ეგრისი ეწოდებოდა.

ლაზიკის ანუ ეგრისის სამეფო იწყებოდა კავკასიონის ქედიდან და მდ. ბზიფის ხეობიდან (აფხაზეთში) და ვრცელდებოდა აჭარამდე — სამხრე-

თით. აღმოსავლეთით ეგრისის სამეფოს საზღვარი გადიოდა შორაპანსა და სკანდაზე, რომლებიც ეგრისის ციხე-ქალაქები იყო. შორაპანსა და სკანდას აღმოსავლეთით უკვე ქართლი იწყებოდა.


ეგრისის დედაქალაქი იყო ციხე-გოჯი, რომელსაც ბერძენ-რომაელები არქეოპოლისს ანუ „ძველ ქალაქს“ ეძახდნენ. იგი მდ. ტეხურის პირას მდებარეობდა. მისი დიდებული ნანგრევები დღემდე არის შემონახული. ამ ადგილს ეხლა „ნაქალაქევს“ უწოდებენ.



წარჩინებულის (შეიძლება — ერასთავის) გამოსახულება კლდეებიდან.


კლდეების არქ. გვსამედიცია.

ლაზიკა საკმაოდ დიდი და ძლიერი სამეფო იყო და რომაელებთან მას თავი ღირსეულად ეჭირა. ეგრისის მეფე მხოლოდ ისეთსავე სამსახურს უწევდა რომის იმპერატორს, როგორც ძველი ქართლის მეფე — იგი კავკასიონის საუღელტეხილო გზებს ამაგრებდა. სამაგიეროდ, ლაზები რომაელებთან თავისთვის საჭირო და სასარგებლო ვაჭრობას ეწეოდნენ. ერთი იმპროინდელი რომაელი ისტორიკოსი ამბობს, რომ ლაზები „არც ხარკს იზდიდნენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ რომაელებს, გარდა იმისა, რომ როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდა, რომაელთა მეფე უგზავ-



ოქროს ნივთები კლდეეთიდან.

ნიდა ძალაუფლების ნიშნებს სამეფო ტახტის მემკვიდრეს“-ო. მეორე რომელი ისტორიკოსიც ამბობს ლაზების შესახებ: „იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც



ოქროს ნივთები ურეკიდან.

ერთი სხვა, ასე სახელგანთქმული და მორკმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწა-წყლის სიქარბითა და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიციქით... ლაზები დაცურავენ ნავეებით, რამდენადაც შესაძლებელია, და ვაჭრობაშიაც პოულობენ დიდ სარგებლობას. ისინი უკვე არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ, რომაელებთან კავშირის წყალობით, ლაზებს თავისი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონიერი სახე მიუტყიათ“-ო. უცხო ქვეყნებთან კავშირს დიდი

მნიშვნელობა ჰქონდა ლაზების, ისევე როგორც სხვა ხალხების, დაწინაურებისათვის, მაგრამ რომელიმე მწერალი, ცხადია, ტრაბახობს, როცა დაწინაურების ერთადერთ მიზეზად რომაელებსა სთვლის.

ეგრისისა და რომის ურთიერთობა. ამრიგად, ეგრისის სამეფო მე-4 — მე-5 საუკუნეებში რომთან კავშირში იმყოფებოდა მხოლოდ, როცა რომაელები თავის თავს ზედმეტ ნებას მისცემდნენ, ისინი ლაზების მხრივ სასტიკ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ. მე-5 საუკუნის შუა წლებში რომაელებსა და ლაზებს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა, რომელიც მალე ომდაც გადაქცეულა. ეგრისელები ამ ომს დიდი მოხერხებით აწარმოებდნენ. ასე, მაგალითად, ისინი სთხრიდნენ თურმე ღრმა ორმოებს და შიგ შუბებს არკობდნენ. ზემოდან ამ ორმოებს ჩელტებს აფარებდნენ, მიწას აყრიდნენ და პურს სთესდნენ. შემოტყუებული მტერი ორმოებში ცვიოდა და იღუპებოდა. ასე გაუქცევიათ ლაზებს რომაელები 456 წელს. რომაელების ჯარი კვლავ მოვიდა ეგრისში, მაგრამ ისევ ისე დამარცხდა. მაშინ რომის მთავრობამ გადასწყვიტა, მოეკრიბა მთელი თავისი ძალები და თან დიდხანს იმაზე თათბირობდა, რა გზით ჯობს რომ ლაზიკაში შევიქრათო. რომაელებს ლაზები თურმე იმდენად საშიშ მტრად მიაჩნდათ, რომ სპარსეთის მეფეს მიმართეს დახმარებისათვის. ლაზებმაც ასეთივე წინადადებით მიმართეს სპარსელებს, მაგრამ სპარსელები მაშინ სხვა ომში იყვნენ გართულნი და აქაური ამბებისათვის არ ეცალათ. ბოლოს მაინც რომაელები და ლაზები ერთმანეთში მორიგდნენ. ეგრისის მეფემ გუბაშმა სამეფო ტახტი თავის შვილს დაუთმო, თვითონ 465 წელს კონსტანტინოპოლში წავიდა და იქ კეისარი და მისი კარისკაცები თავისი მჭევრმეტყველებით სრულიად მოხიბლა.

§ 27. ქართლი და სპარსეთი მე-4 საუკუნის დამლევსა და მე-5 საუკუნის დამდგს

რომაელების დასუსტება და სპარსელების გაძლიერება აღმოსავლეთში. მე-4 საუკუნეში ირანის მბრძანებლები სულ უფრო და უფრო მეტი ღაცინებით მოიწევდნენ ამიერკავკასიისაკენ, რომაელები-ც აღმოსავლეთში სულ უფრო და უფრო სუსტდებოდნენ და სპარსელებს წინააღმდეგობას ვეღარ უწევდნენ. აღმოსავლეთში რომაელები თავის იმედებს უმთავრესად ქართველებსა და სომხებზე ამყარებდნენ. რომაელი ისტორიკოსი გვიამბობს, რომ 361 წელს რომაელებმა, რაკი ძალიან გაუჭირდათ, სცადეს მრავალფეროვანი საჩუქრებით მოექრთამათ ქართლის მეფე მირიანი და სომხეთის მეფე არშაკი, რადგანაც მათ შეეძლოთ დიდი ვნება მიეყენებინათ რომაელებისათვის, სპარსელების მხარეზე რომ გადასულიყვნენო.

ქართლი სპარსეთსა და რომს შუა. 368 წელს სპარსეთის მეფე შაბური შემოესია ქართლს, ქართლის მეფე საურმაგი, რომელსაც რომა-

ელეზის მხარე ეჭირა, განდევნა და ქართლის მეფედ საურმაგის ნათესავი, ვარაზ-ბაქური, დასვა. ბოლოს და ბოლოს საურმაგი და ვარაზ-ბაქური შეთანხმდნენ და ქართლი გაიყვეს: მტკვრის მარცხნივ მდებარე ნაწილში საურმაგი მეფობდა, მტკვრის მარჯვნივ მდებარე ნაწილში-კი — ვარაზ-ბაქური.

მე-4 საუკუნის მიწურულში და მე-5 საუკუნის დასაწყისში რომაელები და სპარსელები ისევ ებრძოდნენ ერთმანეთს იმისათვის, თუ ვის მხარეს უნდა ყოფილიყო ქართლის სამეფო. თვითონ ქართლის მეფეები-კი თავის საქმეზე ფიქრობდნენ და ხან რომაელებს ეომებოდნენ, ხან სპარსელებს. მე-5 საუკუნის პირველ წლებში ქართლის მეფემ ფარსმანმა რომის სახელმწიფოს თურმე ჰუნები შეუსია. სხვანაირად მოიქცა ფარსმანის მომდევნო მეფე ბუზმარი: როცა სპარსელებმა მას თავი მოაბეზრეს თხოვნით, შენი ვაჟი მძევლად მოგვეციო, ბუზმარმა შვილი ჯერ მთაში დამალა, შემდეგ-კი იმპერატორს გაუგზავნა. ქართველი ბატონიშვილი კონსტანტინოპოლში იზრდებოდა მეფურად და სახელგანთქმული მოღვაწე გახდა. იგი ისტორიაში პეტრე იბერის სახელით არის ცნობილი.

ქართლის მეფე — სპარსეთის ვასალი. ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა და სპარსეთმა მაინც მოახერხა ქართლი თავისი გავლენის ქვეშ მოექცია. ეხლა ქართლის მეფე უკვე სპარსეთის მეფის ვასალად იყო გამოცხადებული. რომ გული უფრო მშვიდად ჰქონოდა, სპარსეთის მეფემ ქართლში თავისი მოხელე გაუგზავნა. ამ მოხელეს პიტიახში ის თანამდებობა ეჭირა, პიტიახში სპარსული სიტყვაა, „ქვეყნის უფროსს“ ნიშნავს და ქართულ „ერისთავს“ უდრის. ქართლის მეფეებსაც ჰყავდათ თავისი საკუთარი პიტიახშები ანუ ერისთავები. ეს ახალი პიტიახში ქართლში უკვე სპარსეთის მეფის წარმომადგენელი იყო. შაჰის პიტიახშებს ქართლის მეფეებისათვის თვალყური უნდა ედევნებინათ. თუ ქართლის მეფის საჯდომი ამ დროს მცხეთა იყო, პიტიახშის საჯდომად სპარსელებმა თბილისი აირჩიეს.

თბილისი. თბილისზე გადიოდა დიდი გზა, რომელიც ქართლს სპარსეთთან აკავშირებდა. თბილისის გამაგრებაც ადვილი იყო, იმიტომ რომ თბილისის შემოსავალი კარები ვიწრო ხეობაში მდებარეობდა. თბილისიდან პიტიახშს კარგად შეეძლო მცხეთისათვის ყური ეგდო.

თბილისში ძველი დროიდანვე იყო მოსახლეობა. თბილისის ზრდას ხელი შეუწყო მისმა მდებარეობამაც. აქ სხვა მნიშვნელოვანი გზებიც გადიოდა. თბილისში ძველთაგანვე იყო ხიდი მტკვარზე იმ ადგილას, სადაც ეხლა მეტეხის ანუ ავლაბრის ხილია და სადაც მტკვრის კალაპოტი ძალიან ვიწროა და მთლიანად კლდოვანი. ამის გამო ხიდის აშენება აქ ადვილი იყო. მე-4 — მე-5 საუკუნეებში თბილისი უკვე ქართლის მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა ყოფილიყო, მე-6 საუკუნეში-კი თბილისმა საბოლოოდ წაართვა პირველობა მცხეთას და ქართლის დედაქალაქად იქცა.

ძველი თბილისი იმ ადგილას მდებარეობდა, რომელსაც ეხლა „აბანოს უბანს“ ეძახიან და სადაც თბილი ვოგირდის წყაროები ამოდის. სახელიც

ქალაქმა სწორედ ამ თბილი წყაროებისაგან მიიღო. ძველად თბილისის მაგიერ „ტფილისს“ ამბობდნენ, იმიტომ რომ „თბილისი“ ნაცვლად „ტფილი“ ითქმოდა.

§ 28. ქართლი მე-5 საუკუნეში

ქართლი — სპარსეთის მოსარკმე. მე-5 საუკუნეში სპარსელებმა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდნენ ამიერკავკასიაში. ყველაზე ადრე სპარსელებმა ფეხი სომხეთში მოიკიდეს, ხოლო შემდეგ ალბანიასა და ქართლს მოუჭირეს ხელი. ეხლა უკვე სპარსელებმა ამ ქვეყნების მოსახლეობას ხარკიც დააკისრეს. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ქართლის სამეფო მტერს ხარკს აძლევდა. ქართლის მეფესაც სპარსელები ეხლა უფრო ავიწროებდნენ, მაგრამ განსაკუთრებით იტანჯებოდა ხალხი — ხარკის გადამხდელი ის იყო. წარჩინებულებთან, აზნაურებთან-კი სპარსელებმა საერთო ენა მონახეს.

საზოგადოებრივი წყობილება. მე-5 საუკუნის ქართლი სულ უკვე პირველი საუკუნისას, როცა ქართლში პირველად მოვიდნენ რომაელები. ამ ხუთასი წლის განმავლობაში ბევრმა კოკა წყალმა ჩაიარა, ბევრი ახალი ამბავი დატრიალდა, ხალხის ცხოვრებაც გამოიცვალა და თვითონ საზოგადოებაც. ეხლა ყველაზე ძლიერნი საზოგადოებაში აზნაურები იყვნენ. აზნაურები გამრავლდნენ და გამდიდრდნენ, მაგრამ აზნაური აზნაურს არა ჰგავდა, ზოგი უფრო მდიდარი და ძლიერი იყო, ზოგი — ნაკლები. გაჩნდნენ დიდი აზნაურები და მცირენიც. დიდ-დიდ აზნაურთაგან ზოგი მთავარი გახდა — მთავარს აზნაურობის გარდა რამე დიდი თანამდებობაც ეჭირა, ხშირად — მეგვიდრეობით. ძალიან გამრავლდნენ აგრეთვე სეფე-წულეები, სეფე-სახლის ანუ სამეფო გვარის წევრები. უმეტესობა მთავრები სწორედ სეფე-წულეები იყვნენ შთამომავლობით. აზნაურის ოჯახის შვილებს კიდევ ზეპულებს ეძახდნენ. აზნაურებს ქვემოთ წვრილი ერი იდგა, წვრილ ერს ქვემოთ უაზნოები მოდიოდნენ. ყველაზე ბეჩავი და უუფლებო მონები და მხევლები (მონა-ქალები) იყვნენ. ცალკე იყვნენ კიდევ მსახურნი — ის ხალხი, რომელიც მეფესა და დიდ აზნაურებს ემსახურებოდა. ძალიან გაღრმავდა ხალხში უთანასწორობა. აზნაურები უაზნოებს არაფრად აგდებდნენ, მთა და ბარს რა გაასწორობსო, ეძახდნენ. დიდი აზნაურები-კი, განსაკუთრებით — მთავრები, მეფესაც აღარ ებუებოდნენ.

მემისა და აზნაურების ურთიერთობა. ქართლში მეფობა ხომ ძველ დროს გაჩნდა, როცა აქ მონათმფლობელობა იყო. თანდათან, როცა მეფობა განმტკიცდა, ძველი ქართლის მეფე თვითმპყრობელობას იჩემებდა, სრულ მორჩილებას მოითხოვდა, მე ლეთისაგან ვარ დანიშნულიო.

როცა ქართლში წარჩინებულები ანუ აზნაურები მომძლავრდნენ, მეფემ ისინი დაიახლოვა, როგორც ვიცით. ჯარში და ქვეყნის მართვა-გამე-

გეობაში აზნაურები მეფეს ძალიან სკიროდნენ. ყველაზე წარჩინებულ აზნაურები და ერისთავები მეფემ კიდევ უფრო ახლოს შეითვისა — ისინი მეფის პალატ-ბანაკს შეადგენდნენ, ხშირად იყვნენ მეფის სასახლეში და თანაც მიჰყვებოდნენ, თუ მეფე სადმე გაემგზავრებოდა. შეთანხმებით მოქმედებდნენ, როგორც ვიცით, მეფე და აზნაურები ქურუმების წინააღმდეგ, როცა ქრისტიანობა შემოჰქონდათ ქართლში. შემდეგ მეფესა და დიდ აზნაურებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა.

როცა ზოგი აზნაური გამდიდრდა და გაძლიერდა, მას უკვე მეფის მორჩილება აღარ სურდა. გარდა ამისა, აზნაურებს მეფისაგან მამულები ჰქონდათ მიღებული სამსახურის პირობით. მეფე ამ მამულებს თავის საკუთრებად სთვლიდა, აზნაურებს-კი მათი დათმობა ენანებოდათ და საბოლოოდ მიჩემება სურდათ. გაჩაღდა ბრძოლა მეფესა და დიდ აზნაურ-მთავრებს შორის. ამით ისარგებლეს სპარსელებმა, მეფის უკმაყოფილო აზნაურებთან კავშირი გააბეს და ისინი თავის მხარეზე გადაიბირეს.

§ 29. სპარსელების სარწმუნოებრივი პოლიტიკა ქართლში

სპარსელები ცდილობდნენ მაზდეიანობის გავრცელებას. სპარსეთის მბრძანებელნი, სასანიდები, დაპყრობილი ქვეყნების შემოსამტკიცებლად სარწმუნოების გამოყენებასაც ცდილობდნენ, ერთმორწმუნეობას მეტი ერთგულებაც მოსდევსო. შაჰების ნატვრა და წადილი ის იყო, დამორჩილებულ ხალხებში როგორმე თავისი ეროვნული სარწმუნოება, ცეცხლისმსახურება ანუ მაზდეიანობა, ჩაენერგათ და ამის გულისათვის საშუალებას არ ზოგავდნენ. ამასთან ერთად, სპარსეთის მეფეებმა ქრისტიანობის დევნაც დაიწყეს, იმიტომ რომ მე-4 საუკუნიდან, როგორც ვიცით, ქრისტიანობა რომის სახელმწიფო სარწმუნოებად იქცა და რომაელებიც ამ რელიგიას თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებდნენ. შაჰმა იეზდიგერდმა (438 წ. — 457 წ.) ქართლიდან, სომხეთიდან და ალბანიიდან დაიბარა ყველაზე წარჩინებული საგვარეულოების თავი-კაცები და გამოუცხადა მათ: ან ქრისტიანობას თავი დაანებეთ და მაზდეიანობა მიიღეთ, ან არა და დედა-ბუდიანად მოგსპობთო. კავკასიელმა აზნაურებმა ცოტა იყოყმანეს, მაგრამ შემდეგ შაჰის ნებას დაჰყვნენ. სიმტკიცისათვის იეზდიგერდმა ზოგი მათგანი თავისთან დაიტოვა, მათ შორის ქართლის პიტიახში არშუშა, სხვებს-კი შინ მოგვები (მაზდეიანობის ქურუმები) გააყოლა ცეცხლისმსახურების გასაერცელებლად.

ქრისტიანობა ამ დროს ამიერკავკასიაში დიდი ხნის შეთვისებული იყო და მისი ასე ადვილად ამოგდება არ შეიძლებოდა. იმ აზნაურებშიაც-კი, რომელნიც მზად იყვნენ თავისი ქვეყნისათვის ელაღატნათ და სპარსელების მხარეზე გადასულიყვნენ, ბევრი ჯიუტობდა და ქრისტიანობას თავს არ ანებებდა. მხოლოდ ზოგ კუთხეში, რომელიც უფრო დასამხრობი იყო სპარსელებისათვის და უფრო დამოკიდებულიც მათზე, ახერხებდნენ მო-

გვები თავისი მიმდევრების შოვნას, ასეთი იყო ქართლში, მაგალითად, ს ა პ ი ტ ი ა ხ შ ო .

ქართლის საპიტიახშო. თავდაპირველად ირანის შაჰები ქართლში პიტიახშებად სპარსელებს გზავნიდნენ. შემდეგ, როცა სპარსეთის მთავრობამ ქართლის დიდ აზნაურებში მომხრეები გაიჩინა, შაჰები ქართლის პიტიახშად უკვე ქართველს ნიშნავდნენ, ვინმეს დიდ აზნაურთაგანს. ბოლოს, პიტიახშობა შთამომავლობით დაიმკვიდრეს ქვემო ქართლის მთავრებმა. იმ არშუშას სახლიდან, რომელსაც იეზდიგერდმა მაზდეიანობა მიაღებინა. ასე ჩამოყალიბდა ქართლის ს ა პ ი ტ ი ა ხ შ ო , რომელიც ვრცელი სამთავრო იყო, თრიალეთიდან სომხეთამდე გადაჭიმული. ქართლის საპიტიახშო ქართლის სამეფოში შედიოდა, მაგრამ პიტიახშები სპარსელების წაქეზებით ქართლის მეფეს ეურჩებოდნენ. მე-5 საუკუნეში საპიტიახშო სპარსელების ბუდე გახდა ქართლში.

სპარსელები მხარს უზიარებდნენ მონოფიზიტობას. რაკი ქრისტიანობის მოსპობა და მაზდეიანობის საყოველთაოდ გავრცელება სპარსელებმა ვერ მოახერხეს, მათ პოლიტიკა გამოიყენეს.

იმ დროს ქრისტიანები სხვადასხვა მიმართულებად იყვნენ დაყოფილნი, რომელნიც ერთმანეთს ებრძოდნენ. ეს ბრძოლა საზოგადოებრივსა და ეროვნულ ნიადაგზე იყო წარმომდგარი, მაგრამ გარეგნულად იგი სარწმუნოებრივი საკითხების გარშემო წარმოებდა. დიოფიზიტები ანუ „ორბუნებიანები“ ქრისტეს ღმერთადაც სთვლიდნენ და კაცადაც, მონოფიზიტები-კი („ერთბუნებიანები“) ქრისტეში მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას აღიარებდნენ. იყო აგრეთვე სხვა მიმართულებებიც.

რადგანაც რომის მთავრობას ქრისტიანობა იმისათვის სჭიროდა, რომ თავისი უფლება განემტკიცებინა და უზარმაზარი სახელმწიფოს მთლიანობა დაეცვა, ამიტომ იგი, ცხადია, ებრძოდა ყველას, ვინც გაბატონებულ საეკლესიო შეხედულებას არ იზიარებდა. საბოლოოდ, რომის სახელმწიფოში დიოფიზიტობამ გაიმარჯვა. დიოფიზიტობას უჭერდა მხარს რომის მთავრობა.

ამ გარემოებას ჩაებლაუქა ეხლა სპარსეთის მთავრობა, რომელსაც უნდოდა ესარგებლა ქრისტიანების შინაური შფოთითა და ბრძოლით თავისი საკუთარი ინტერესებისათვის. ეხლა სპარსეთის მთავრობა მხარს უჭერდა ისეთ ქრისტიანობას, რომელსაც ებრძოდა სპარსეთის მტერი — რომის მთავრობა. თუ ქრისტიანობის დათმობა არ გასურთ, მაშინ ისეთი ქრისტიანობა მაინც უნდა მიიღოთ, რომელიც რომის მეფის სარწმუნოებისაგან განსხვავდებოდა, — ასე მოითხოვდა ეხლა სპარსეთის შაჰი თავისი ქრისტიანი ქვეშევრდომებისაგან.

უმაღლესი სამღვდელთა და დიდი აზნაურები სპარსელების მხარეში. ამ ხერხით სპარსელებმა თავის მხარეზე გადაიყვანეს უმაღლესი სამღვდელოება და დიდი აზნაურები სომხეთში, ქართლში და აღხანიაში. ეპისკოპოსებად ამ დროს უკვე წარჩინებულებს, აზნაურებს ვხე-



უჯარმა. ციხე-გალაენის კედელი.

დავთ. ამ ეპისკოპოსებს ეხლა თავისი მეფე ისევე მოძულებული ჰყავდათ, როგორც მთავრებსა და სხვა დიდ აზნაურებს. ეკლესიას მე-5 საუკუნეში უკვე დიდი მამულები ჰქონდა. ამ მამულების გამო ქართლის მეფესა და სამღვდელოებას შორის ისეთივე ბრძოლა გაჩაღდა, როგორიც მეფესა და სხვა დიდ აზნაურებს შორის იყო. ამიტომ დაუახლოვდნენ ერთმანეთს სპარსელები და ქართლის სამღვდელოება. თანდათან ქართლის მთავარ-ეპისკოპოსი და ეპისკოპოსების უმრავლესობა სპარსელების მხარეს გადავიდა ისევე, როგორც მეზობელ სომხეთში. სამაგიეროდ სპარსელები თავის მომხრე ეპისკოპოსებს უხვად აჯილდოებდნენ. იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ქართლის მთავარ-ეპისკოპოსი ერისთავადაც-კი იყო დანიშნული სპარსელების მიერ.

ასე დაიწყო ქართლის მთავრებისა და ეპისკოპოსების ბრძოლა, სპარსელებთან ხელისხელ ჩაკიდებით, ქართლის მეფის წინააღმდეგ.

§ 30. ვახტანგ გორგასალი. ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ

მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში ქართლში ვახტანგ გორგასალი მეფობდა, შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე და სარდალი. ვახტანგი გოლიათური ტანის პატრონი, ძლიერი და გულადი კაცი იყო. სპარსელებმა ვახტანგს „გორგასალი“, ესე იგი „მგელ-თავა“ დაარქვეს (სპარსულად

„გორგ“ მგელსა ნიშნავს, „სარ“—თავს), იმიტომ რომ ვახტანგი/ომში თავზე მუზარადს იხურავდა, რომელზედაც მგელი იყო გამოსახული. ძველი ისტორიკოსი მოგვითხრობს: როცა ომში ვახტანგი გამოჩნდებოდა, სპარსელები ყიფინას დასცემდნენ—„ერიდეთ გორგასალს“-ო. ვახტანგმა ამიერკავკასიის ქვეყნებიდან სპარსელების გაძევება მოიწადინა და ამ მიზანს შეაღია მთელი თავისი ძალ-ლონე.

ქართველ ხალხს თავი მობეზრებული ჰქონდა სპარსელების ძალადობა-სა და მესარკეობისაგან. გამწარებული ჰქონდათ ცხოვრება სპარსელები-საგან სომხებსაც. ამიტომ ვახტანგი სპარსელების წინააღმდეგ მებრძო-ლებს აგროვებდა საიდუმლოდ არა მარტო ქართლში, არამედ მეზობელ სომხეთშიაც. იმდროინდელი სომეხი ისტორიკოსი ლაზარე ფარპლი გვიამბობს, რომ გორგასალმა ალექსანდრე მაკედონელის სამხედრო ზე-რებით გამოიყენა გულგატეხილი და უიმედო ადამიანების გასამხნეებლად და ამ დიდ ბრძოლაში ჩასაბმელად. ძველი ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი აგრეთვე საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ვახტანგის განუ-თარებელი სამხედრო ტაქტიკის შესახებ. როცა მტრის ძლიერ გამაგრე-ბული პოზიციები იყო ასაღები, ვახტანგი ასე აწყობდა თავის ჯარს: წინ მიდიოდნენ თოროსნები, მძიმე კავალერია (შეჯავშნული მხედრები შე-ჯავშნულ ცხენებზე). მათ კვალდაკვალ მისდევდა ქვეითი ჯარი, რომე-ლიც იკავებდა თოროსნების მიერ გარღვეულ პოზიციებს. ქვეითობას მიჰყ-ვებოდა მსუბუქი კავალერია, რომელიც უკანდახეულ მტერს სდევნიდა. რჩეული ცხენოსანი ჯარი-კი შეადგენდა მთავარსარდლის რეზერვს. ამ რჩეული კავალერიით თვით ვახტანგი ელვისებურად ხან მარჯვენა ფრთა-ზე გაჩნდებოდა, ხან მარცხენაზე, სადაც გასაჭირს შეატყობდა.

ვახტანგს უმთავრესად ხალხის იმედი ჰქონდა. ხალხი, ერთი მხრით, სპარსელებისაგან იტანჯებოდა, მეორე მხრით — სპარსელების მოკავში-რე ქართველი მთავრებისა და დიდი აზნაურებისაგან. ეს მთავრები და დიდი აზნაურები, რომელნიც სპარსელების დახმარებით ქართლის მე-ფეს ებრძოდნენ, იმავე დროს ხალხის, „წვრილი ერის“, გაძარცვასა და დამონებას ცდილობდნენ. ამიტომ იყო რომ ხალხს ვახტანგ მეფე თავის მხსნელად მიაჩნდა გარეშე და შინაური მტრისაგან. ამიტომევეა რომ ხალხში დღემდე დარჩა სიმღერა, რომელიც ვახტანგს აქებს და აღიღებს:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,

ციდან ჩამოესმა რეკა;

იალბუზე ფეხი შესდგა,

დიდმა მთებმა შექმნეს ღრეკა.

სამაგიეროდ ეპისკოპოსები და მთავრები ვახტანგ მეფეს ხელს უშლი-დნენ, ან პირდაპირ ღალატობდნენ კიდევაც. ქართლის ეკლესიის მეთა-ურს, მიქაელ მთავარ-ეპისკოპოსს, რომელსაც გაგებული ჰქონია, ვახტან-გი სპარსელების წინააღმდეგ აჯანყებას ამზადებსო, დაუწყევლია მეფე და მისი ჯარი. ვახტანგს გულზნეობი მღვდელმთავრის შემორიგება უც-

* დია და თვითონ მისულა მასთან. მაგრამ მიქაელი იმდენად გაბოროტებული ყოფილა ვახტანგის წინააღმდეგ, რომ დიდი შეურაცხყოფა მიუყენებია მეფისათვის—ფეხი ჩაუცია მისთვის. ვახტანგმა განდევნა მიქაელი და კათალიკოსობა დააწესა: ქართლის ეკლესიის სათავეში მთავარ-ეპისკოპოსის მაგიერ კათალიკოსი დააყენა. პირველ კათალიკოსად ვახტანგმა დიოფიზიტობის მომხრე პირი დანიშნა და ამით „სპარსულ“ ქრისტიანობას, მონოფიზიტობას, აშკარა ბრძოლა გამოუცხადა.

სპარსეთის მომხრე აზნაურების მეთაური მაშინ ქართლში ვარსქენ პიტიახში იყო, იმ არშულმა პიტიახშის შვილი, რომელმაც სპარსეთის მეფის მოთხოვნით მაზღედთანობა მიიღო. ვარსქენიც, სპარსეთის მეფის გულის მოსაგებად, ქრისტიანობას გადაუდგა. ქართლში დაბრუნებულმა პიტიახშმა გამაზღედთანება დაუპირა თავის ცოლს, შუშანიკსაც. რადგანაც შუშანიკი ქმრის ნებას არ დაჰყვა, იგი ვარსქენმა აწამა. ეს ამბავი აღწერილი აქვს იაკობს.

ვახტანგმა შუშანიკის წამება მოიმიზეზა და ვარსქენი მოაკვლევინა 484 წელს. ამით ვახტანგ მეფემ თავიდან მოიშორა სპარსელების მომხრე აზნაურთა მეთაური. იმავე წელს ვახტანგმა ომი დაიწყო სპარსელების წინააღმდეგ. ვახტანგმა დიდი ცდით თავის მხარეზე გადაიყვანა და სპარსელების წინააღმდეგ აამხედრა სომხებიც, რომელთაც მაშინ სარდალი ვაჰან მამიკონიანი მეთაურობდა. ვახტანგის საქმე ჯერ კარგად მიდიოდა, მაგრამ მალე მოღალატეები გამოჩნდნენ, უმთავრესად აზნაურების წრიდან. ეს მოღალატეები მტრის მხარეს გადავიდნენ და თავისიანები დაამარცხეს. ქართველებისა და სომხების დამარცხებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მოკავშირეებს არ მოუვიდათ პუნების მეშველი ჯარი, რომელსაც ისინი ჩრდილოეთ კავკასიიდან ელოდნენ. ვახტანგი დროებით ეგრისში გაიხიზნა.

შემდეგ ვახტანგი დაბრუნდა ქართლში და კვლავ მტერს ბრძოლა დაუწყო. ერთ-ერთ ომში სპარსელების წინააღმდეგ ვახტანგი დაიღუპა, ისევ ღალატის წყალობით: ვახტანგის ყოფილმა მონამ მიპარვით ისარი ჩასცა, მოხერხებულ ადგილას, მებრძოლ მეფეს. ვახტანგი გარდაიცვალა ციხე-ქალაქ უჯარმაში, რომელიც იმ დროს კახეთის ცენტრი იყო. გმირი მეფე მცხეთაში დაკრძალეს, სვეტი-ცხოვლის ტაძარში, და მისი საფლავის ლოდზე ვახტანგის გოლიათური ფიგურა გამოსახეს. ვახტანგის აბჯარი და სამოსელიც საუკუნეების განმავლობაში იყო შენახული საქართველოს სამეფო საგანძურში, როგორც ძვირფასი ისტორიული ნაშთი.

ვახტანგ გორგასლის სიკვდილის შემდეგ ქართლის სამეფოს საქმე უკან წავიდა. 523 წელს ქართლში ისევ აჯანყება მოხდა სპარსელების წინააღმდეგ, რადგანაც სპარსელებს ახალი ბრძანება გამოეცათ — ყველამ მაზღედთანური წესები შეასრულეთ, მკვდრები მიწაში არ დამარხოთო. ქართლის მეფე გურგენი, რომელსაც კავშირი ჰქონდა გაბმული კეისართან და კეისრისაგან ჯარსაც ელოდა, სპარსელებს გადაუდგა. მაგრამ რომაელე-

ბის მეშველი ჯარი რიცხვ-მცირე გამოდგა, გურგენი სპარსელებს გაუმკლავდა და იძულებული შეიქნა მთელი ოჯახითა და თავისი მონაწილე დარბაისლებით ეგრისს შეჰფარებოდა. ქართლში მეფობა მოსპობა სპარსელების მმართველობა დამყარდა.

§ 31. ქართლი სპარსელების გაბატონების შემდეგ

იმდროინდელი რომელი ისტორიკოსი გვიამბობს, რომ გურგენ მეფის აჯანყების შემდეგ „არც სპარსელები აძლევდნენ ქართველებს ნებას თავისი მეფე ჰყოლოდათ, არც ქართველები ემორჩილებოდნენ სპარსელებს ნებაყოფლობით. სპარსელები და ქართველები დიდი ეჭვითა და უნდობლობით უყურებდნენ ერთმანეთს“-ო. ქართველი ხალხი იძულებული გახდა დროებით დამორჩილებოდა უხეშ ძალას, მაგრამ ელოდა ხელსაყრელ დროს, რომ ქედიდან მონობის უღელი გადაეგდო.

ქართლის მთავრები და დიდი აზნაურები-კი თავს კარგად გრძნობდნენ მეფობის მოსპობა ქართლში ხომ უმთავრესად მათი საქმე იყო. ძველი ქართველი მემკვიდრე ამტკიცებს, რომ მას შემდეგ, რაც ვახტანგის შთამომავლობას მეფის უფლება წაართვეს, ქართლში უკვე აზნაურები გაბატონდნენო. მართლაც, დიდი აზნაურები ადვილად შეუხმობილდნენ სპარსელებს და ეხმარებოდნენ მათ ქვეყნის მართვა-გამგეობაში. სამაგიეროდ, სპარსელებიც მათ თავის წყალობას არ აკლებდნენ, მსხვილ თანამდებობებსა და ჯილდოებს ურიგებდნენ და ზოგჯერ მემკვიდრეობითაც უმტკიცებდნენ მიცემულ მოხელეობას.

იმ თანამდებობათაგან, რომლებიც სპარსელებმა ადგილობრივ აზნაურებს დაუმტკიცეს, ყველაზე დიდი იყო „ქართლის მამასახლისის“ და „ქართლის პიტიახშის“ თანამდებობანი. ამ მთავრებს გარდა იყვნენ აგრეთვე ცალკე თემების ერისთავებიც.

ქვეყნის სათავეში სპარსელებს თავისი მოხელე ეყენათ, რომელიც მარზპანის წოდებას ატარებდა. მარზპანი სპარსული სიტყვაა და „ოლქის მმართველს“ ნიშნავს. მარზპანს დიდი უფლება ჰქონდა. მას შეეძლო ქართლის ყოველი მცხოვრების გასამართლება და სიკვდილით დასჯაც-კი. მარზპანივე კრებდა ხარკს ქართველ მთავრებისა და ერისთავების სამუშაოებით.

დიდი ქალაქების, მაგალითად, თბილისისა და მცხეთის, ციხეებში სპარსელების ჯარი იდგა.

მოსახლეობას სპარსელებმა, ხარკის გარდა, სამხედრო სამსახურიც დააკისრეს. ეს სპარსული ხარკი, ბეგარა და უსამართლობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და აღვივებდა ხალხში სიძულვილს დამპყრობლებისადმი. ქართველი ხალხის წინააღმდეგობის გამო სპარსელებმა დიდხანს ვეღარ იბოგინეს ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ სანამ აქ იყვნენ, მათ დიდი ვნება მიაყენეს არა მარტო აღმოსავლეთს, არამედ დასავლეთ საქართველოსაც.

სპარსეთის ზრახვები ეგრისის მიმართ. როცა სპარსელებმა ქართლი მთლიანად დაიმორჩილეს, აღმოსავლეთ რომის მთავრობა საგონებელში ჩაეარდა, ვაი თუ სპარსელები ეგრისსაც გადმოსწვდნენო. სპარსელები არც მალავდნენ თავისს ასეთ განზრახვას, მით უმეტეს, რომ ეგრისის მეფე თვითონაც ცდილობდა სპარსელები გამოეყენებინა რომაელების წინააღმდეგ. სპარსელებს უნდოდათ, ჯერ ერთი, ეგრისის ხელში ჩაგდებათ გული საგულეს ჰქონოდათ ქართლშიაც. ქართლსა და ეგრისს შორის მკიდრო კავშირი არსებობდა ძველთაგანვე, არა ერთხელ დახმარებიან ისინი ერთმანეთს გაჭირვებაში, და თავშესაფარიც არა ერთხელ უშოვნიათ ეგრისში ქართლიდან გახიზნულ სახელმწიფო მოღვაწეებს. ის კი არა და, სპარსელების მტარვლობისაგან გამოქცეული სომხებიც საბიზარს ეგრისში პოულობდნენ. ამიტომ სურდათ სპარსელებს მოეშალათ ეს ბუდე, სადაც ირანის ურჩი ქვეშევრდომები ახალ ძალებს აგროვებდნენ და თავისი ქვეყნის განთავისუფლების გეგმებს ამუშავებდნენ. გარდა ამისა, ეგრისში დამკვიდრებით სპარსელებს უნდოდათ შავი ზღვისაგან გზა გაეკაფათ, რომ თავისი მოსისხლე მტრისათვის, რომაელებისათვის, ზღვიდანაც დაეკრათ.

518 — 523 წლებში ირანის ელჩი უმტკიცებდა რომაელების წარმომადგენლებს, რომ „კოლხიდა, რომელსაც ეხლა ლაზიკა ეწოდება, ძველთაგანვე სპარსელთა ქვეშევრდომი იყო და იგი რომაელებს ძალით უჭირავთ, უსამართლოდ“-ო. რომაელები აღშფოთებით უარყოფდნენ სპარსელების მოთხოვნას.

უთანხმოება ეგრისელებსა და რომაელებს შორის. ქართლის საზღვარზე ეგრისს ორი ძლიერი ციხე-სიმაგრე ჰქონდა — შორაპანი და სკანდა. ძველთაგანვე ამ ციხეებს თვითონ ეგრისელები იცავდნენ და კარგადაც. ახლა კი რომაელები ჩიოდნენ, ლაზებს არ სურთ თავისი ქვეყნის ჩვენთან ერთად დაცვაო. მართლაც, როცა ეგრისელებმა შეატყვეს, რომაელებს თვითონ უნდათ ჩვენი ქვეყანა ხელთ ჩაიგდონო, ციხეების მაგრებაზე გული აიყარეს — ხალხს სამშობლო თავისთვის უნდოდა და არა სხვებისათვის.

კეისარმა გადასწყვიტა ჯარის გაგზავნა ეგრისში. დიდი ხანი იყო უკვე გასული, რაც რომაელების ჯარები ეგრისში არ მდგარიყო და მათი გამოჩენა ხალხმა ძალიან იუცხოვა. რომაელებმა გამოიყვანეს შორაპნისა და სკანდის ციხეებიდან ადგილობრივი მეციხოვნენი და მათ მაგიერ თვითონ ჩადგნენ შიგ, მაგრამ დიდხანს ვერ გასძლეს. სურსათის ამოტანა რომაელებს აქ თვითონ არ შეეძლოთ, ეს მათ ლაზებს დააეღლეს. ლაზებმა ანუ ეგრისელებმა ერთი პირობა კი უზიდეს რომაელებს სურსათ-

სანოვანე, მაგრამ შემდეგ ამ სამსახურზე უარი თქვეს. რომაელები
 ლეებული გახდნენ ციხეები დაეცალათ და სკანდა-შორაპანი სპარსელები
 ჩაიგდეს ხელში სულ გაურჯელად.

საქართველო
 2024-2025



ოქროს ღერძები, ფერადი ქვებით, არმაზის ერისთავთა
 საგვარეულო სასაფლაოდან.

მცხეთის არქ. ექსპედიცია.

რომაელები ამაგრებენ ეგრისს. ეგრისის მფუის მონათლა.

ესლა კეისარი კიდევ უფრო შეფიქრიანდა და ეგრისის გამაგრებისათვის
 მეტ ზრუნვას შეუდგა. რაკი ქვეყნის შიგნით მდებარე ციხეების დაც-
 მათ არ შეეძლოთ, ამიტომ რომაელებმა ზღვისა და დიდი მდინარეების ნა-
 პირების მაგრება დაიწყეს. უფრო მისაწვდომ ადგილებში რომაელთა ცი-
 ხის ჯარი ჩადგა.

გარდა ამისა, კეისარმა საჭიროდ იცნო სხვაგვარიც შემოემტკიცებინა
 ეგრისი. ეგრისში ამ დროს ის-ის იყო მეფე გარდაცვლილიყო და მისი
 მემკვიდრე, წათე, ტახტზე ასვლას აპირებდა. კეისარმა წათე კონსტანტი-
 ნოპოლში დაიბარა და პირობა დაუდო, თუ ეგრისის მეფობა გასურს,
 ქრისტიანობა უნდა მიიღო. იმდროინდელ გარემოებაში წათეს სხვა რა
 ღონე ჰქონდა, თვითონაც მოინათლა და თავისი შვილიც მონათლა. ამის
 შემდეგ კეისარმა წათე ეგრისის მეფედ დაამტკიცა და დიდი ღირებო-
 სამშობლოში გაისტუმრა. ეს ამბავი მოხდა 523 წელს.

ეგრისში ქრისტიანობა, დიდი ხნიდანვე იყო შემოსული. ზღვისპირა ქა-
 ლაქებში უკვე მე-4 საუკუნის დამდეგს ეპისკოპოსები ისხდნენ. მაგრამ
 ეგრისის მეფეებს არ სურდათ რომაელების სარწმუნოების მიღება, რად-
 განაც რომაელები არაფრად ეპიტნავენოდათ და იმასაც-კი ცდილობდნენ,
 რომ რომაელებისათვის სპარსელები დაეპირისპირებინათ, როცა რომაე-
 ლებს თავს გაუდიოდათ ხოლმე. ესლა, როცა რომაელებმა სამხედრო
 მუხრუჭი მოუჭირეს დასავლეთ საქართველოს, ეგრისის მეფე იძულებუ-
 ლი გახდა სარწმუნოების საკითხში დაეთმო რომაელებისათვის. ასე გადა-
 იქცა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად ეგრისში.



სპარსელების შემკრა ეგრისში. წათეს ამბავი სპარსელებს ელდად ეცათ, და შაჰმა კეისარი საყვედურით აავსო. კეისრის ცბიერი პასუხი საკმაო არ აღმოჩნდა სპარსელების დასამშვიდებლად, და 528 წელს ისინი ეგრისს შეესივნენ. მეფე წათემ, რომაელების დახმარებით, სპარსელები თავის სამეფოდან განდევნა. სპარსელები ისევ-ისე შორაპანსა და სკანდაში დარჩნენ მხოლოდ. 532 წელს რომაელებმა და სპარსელებმა ერთმანეთში ზავი დასდეს, რომელსაც „საუკუნო“ უწოდეს, ვითომც იგი არასოდეს არ უნდა დარღვეულიყო. „საუკუნო ზავის“ პირობით რომაელებმა და სპარსელებმა ერთმანეთს დაპყრობილი ადგილები გაუცვალეს. სპარსელებმა სკანდა და შორაპანი დასთმეს. ამ ზავს უნდობლობა და ეჭვი მაინც არ მოუსპია; ორივე მხარე მერმისზე ფიქრობდა და ყოველი შემთხვევისათვის ემზადებოდა.

რომაელების ახალი ღონისძიებანი ეგრისის განსამაგრებლად. აღმოსავლეთ რომის იმპერიაში ამ დროს იუსტინიანე იყო კეისარად (527 წ.—565 წ.), ირანში-კი შაჰი ზოსრო ანუშირვანი ბრძანებლობდა (531 წ.—579 წ.). ორივემ მთელი თავისი ხანგრძლივი მეფობა მუდმივ ომიანობასა და ერთმანეთის მტრობაში გაატარეს. იუსტინიანემ გაამრავლა რომაული ჯარები ეგრისში. მეციხოვნე ჯარები ამ დროს ეგრისის ზღვისპირა ქალაქებში იდგა უმთავრესად — ფოთში ანუ ძველ ფასიდში, ცხუმში ანუ სევასტოპოლისში (ძვ. დიოსკურია), ბიჭვინტაში ანუ პიტიუნტში. ამ სიმაგრეებისათვის ადვილი იყო ზღვით მიწოდება როგორც სურსათის, ისე დამხმარე სამხედრო ძალისაც. გაამაგრებულ იქნა ეგრისის დედაქალაქი ციხე-გოჯი ანუ არქეოპოლისიც. ეგრისის სამხრეთ საზღვარზე, სადაც ეგრისის სამხრეთი გზა ეიწრო ზღვისპირა კარებში გადიოდა, იუსტინიანეს ბრძანებით აშენებულ იქნა ახალი ციხე-ქალაქი, სახელად პეტრა. პეტრას შიდა ციხე, რომელიც აშენებული იყო თვალშეუწყვედნ კლდეზე, ნაწილობრივ ეხლაც არის შენახული (ციხისძირში). ქალაქ პეტრაში დააყენა იუსტინიანემ რომაელების მთავარი გარნიზონი. აქვე იჯდა სტრატეგიც. სტრატეგი ეწოდებოდა იმ სარდალს, რომელსაც ემორჩილებოდნენ ეგრისში მდგარი რომაული რაზმები. ამავე დროს სტრატეგს კეისრისაგან ფარულად დავალებული ჰქონდა თვალყური ედევნებინა ეგრისის მეფისათვის.

რომაელი მეციხოვნეების გაჩენა ეგრისელებს თავისთავადაც არაფრად ეპრიანათ. მაგრამ ამას რომაელი მოხელეების ბოროტმოქმედებაც დაემატა. იმდროინდელი რომაელი მოხელეები საერთოდ ცნობილი იყვნენ თავისი სიხარბით, თადლითობითა და თვითნებობით. ქვეშევრდომების ყველგან საქმეში მათ ტოლი არ ჰყავდათ.

ასევე იქცეოდნენ რომაელები ეგრისშიაც. განსაკუთრებით შეაწუხა ხალხი სტრატეგმა ციხემ.

რომაელების სავაჭრო მონოპოლია ეგრისში. ციხემ ეგრისში თავისუფალი ვაჭრობა მოსპო. ვაჭრებს ნება არ ჰქონდათ თვითონ შემოეტანათ ეგრისში საქონელი, არც ეგრისელებს ჰქონდათ უფლება თავის ნებაზე გაეყიდათ საქონელი. როგორც შემოსატანს, ისე გასატან საქონელს ჯერ ციხეს ხელში უნდა გაევლო და ფასებსაც მათ თვითონ ციხე უწყესებდა. ეგრისელებს აიძულებდნენ ისეთი საგნებიც ეყიდნათ, რომლებიც მათ სრულებით არ სჭიროდათ. ხშირად კიდევ რომაელები ფულს არ აძლევდნენ იმ საქონელში, რასაც მათგან ყიდულობდნენ.

ეგრისის საზღავრო ვაჭრობა. ეგრისი ამ დროს ფართო ვაჭრობას აწარმოებდა. ბლომად გაჰქონდათ ეგრისიდან ტყავეულობა, ბეწვეული და სხვა ნედლეული, ბევრი გაჰყავდათ მონებიც. სამაგიეროდ, ეგრისელებს დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ მარილი, რომელიც ადგილობრივ არ იზოვებოდა. ამას გარდა, მეფე და წარჩინებული ხალხი ადგილობრივ პურსა და ღვინოზე მეტად უცხოურს ეტანებოდა. შემოჰქონდათ ძვირფასი ქსოვილები და იარაღიც, იმავე წარჩინებული ხალხისათვის.

ამ ვაჭრობას ეგრისელები უმთავრესად შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქვეყნებთან აწარმოებდნენ, პირველ რიგში — პონტოსა და ყირიმთან, — რომელნიც ამ დროს აგრეთვე რომაელებს ემორჩილებოდნენ. საქონელსაც ამიტომ ხომალდებით ზიდავდნენ და თვითონ ეგრისელებიც დახელოვნებული მეზღვაურები იყვნენ.

გარდა იმისა, რომ ზოგიერთი საგნის, მაგ., მარილის, შემოტანა აუცილებელი იყო, რადგანაც უმისოდ ხალხს გაძლება არ შეეძლო, — ამ ვაჭრობას დიდი სარგებლობა მოჰქონდა მისი მიმდევრებისათვის ეგრისში. ვაჭრობას უმთავრესად თვითონ მეფე და წარჩინებულები აწარმოებდნენ, ისინი ყიდულობდნენ საზღვარგარეთულ ძვირფას საქონელს და ისინივე იძლეოდნენ სამაგიერო საგნებსაც. მონების გამყიდველნიც მეფე და წარჩინებულნი იყვნენ. აქ მონებად მეტწილად ტყვეები იგულისხმებიან: თავს დაესხმოდნენ მეზობელ ტომებს — ჩვეულებრივად ჩრდილოეთ კავკასიაში, — მოიტაცებდნენ იქიდან ხალხს და შემდეგ რომაელებში ჰყიდიდნენ. ზოგიერთი უფრო სასტიკი მთავარი-კი, როგორც, მაგალითად, აბაზგების მთავრები, საკუთარი ქვეშევრდომების გაყიდვასაც არ თაკილობდა. ტყვის ყიდვა წარჩინებული ხალხის ხელობად იყო გადაქცეული.

ეგრისის მმართველი წყაფის ამხედრება რომაელების წინააღმდეგ. ამიტომ ციხეს მიერ შემოღებულმა სავაჭრო მონოპოლიამ ძალიან შეავიწროვა ეგრისის მეფე და დიდებულები. რაკი, ამასთან ერთად, რომაელები სხვა მხრივაც ძალზე აწუხებდნენ ეგრისელებს, ამიტომ ეგრისის მეფემ და დიდებულებმა გადასწყვიტეს რომაელების თავისი ქვეყნიდან განდევნა. დახმარების მისაღებად არჩიეს სპარსელებისათვის მიემართნათ.

ეგრისში ამ დროს მეფედ იყო გუბაში, რომელიც ცდილობდა მოზღვა-
ვებულს უცხო, მტრულ ძალებს შორის როგორმე დამოუკიდებლობა შეე-
ნარჩუნებინა.

მგრიისი ელჩები სპარსეთში. გუბაში ირანის მბრძანებელს, ხოს-
რო ანუშირვანს, ელჩები გაუგზავნა ფარულად. ეგრისის წარმომადგენ-
ლებმა ხოსროს უთხრეს: „უნდა ვთქვათ ზოგიერთი ბოროტების შესახებ,
რაც ჩვენს წინააღმდეგ წყევლმა რომაელებმა ჩაიდინეს. ჩვენს მეფეს
მეფობის მხოლოდ გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ძალა-უფლება საქ-
მეებში-კი თვითონ მიითვისეს. მეფე მოსამსახურეს დაემსგავსა, მას გან-
მკარგულებელი სტრატეგის ემინია. აუარებელი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგ-
რამ იმისთვის კი არა, რომ დაიცვან ჩვენი ქვეყანა შემწუხებლებისაგან, —
მოსაზღვრე ხალხებიდან ჩვენ ხომ სხვა არავინ გვაწუხებდა, რომაელების
გარდა; არამედ იმისთვის, რათა დავემწყვდიეთ ჩვენ, როგორც ციხეში,
და რათა ჩვენს ქონებას დაპატრონებოდნენ“-ო. ელჩებმა სთხოვეს ხოს-
როს დახმარებოდა ეგრისის ჯარით რომაელების განდევნაში. ელჩები უხა-
ტავდნენ ხოსროს იმ სარგებლობას, რომელიც სპარსეთისათვის ეგრისში
დამკვიდრებას უნდა მოეტანა: „სპარსელების ძალას თქვენ გაზრდით
უძველესი სამეფოთი (ე. ი. ეგრისით) და მისი საშუალებით განდიდდება
თქვენი ხელმწიფების ღირსებაც. ჩვენი ქვეყნის ზღვით-კი რომაელების
ზღვას დაუკავშირდებით... თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მო-
საზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელების მიწა-
წყალი... თქვენ ალბათ იცით, რომ ლაზების ქვეყანა დღემდე კავკასიის
მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა“-ო.

სპარსელების ზრახვები. ხოსრო ძალიან გაახარა ამ ამბავმა. იმ-
დროინდელი ისტორიკოსები ასე ასწერენ ხოსროს გულისნაღებს: „ხოს-
როს ღირსშესანიშნავ მონაბოვრად მიაჩნდა კოლხეთის მტკიცედ დასა-
კუთრება, რადგანაც, მისი აზრით, ირანის ძალა-უფლებას ეს დიდ სარ-
გებლობას მოუტანდა. იბერიაც ხომ მომავალში სავსებით მორჩილი იქ-
ნებოდა, რადგან იბერებს აღარ ეყოლებოდათ ის ხალხი, ვისთანაც ისინი,
განდგომის შემთხვევაში, თავს გადაიჩინდნენ... აგრეთვე ლაზიკის მე-
ზობლად მოსახლე ჰუნებიც სპარსელების სახელმწიფოს ვერასოდეს ვე-
ლარ დაარბევდნენ. თვითონ ხოსრო-კი ამ ჰუნებს გაცილებით უფრო აღ-
ვილად მიუსევდა რომაელების სახელმწიფოს, როცა ეს მისთვის სასურ-
ველი იქნებოდა: კავკასიაში მოსახლე ბარბაროსების წინააღმდეგ მხოლოდ
ლაზიკა არის ზღუდე... ლაზიკიდან შეტევით სპარსელები ადვილად შესძ-
ლებდნენ თავდასხმას ხმელეთითაც და ზღვითაც, აგრეთწოდებულ ეგქსი-
ნის პონტოს ნაპირებზე, და მოულოდნელად დაიპყრობდნენ ბიზანტიე-
ლებს... ამიტომ უნდოდა ხოსროს ლაზიკის შემოერთება“-ო. ეგრისის
ელჩებს ხოსრომ ცბიერი თანხმობა მისცა, ვითომც მხოლოდ დახმარებას
უპირებდა.

ხოსრო დიდი ჯარით უმოდის მგრისში. 542 წელს ხოსრო
უზარმაზარი ჯარით მოვიდა ქართლში და აქედან უეცრად გადავიდა ეგ-

რისში, რითაც დაარღვია „საუკუნო ზავი“. სპარსელების მეგობრები თვითონ ლაზები იყვნენ. ეგრისის საზღვრები უღრანი ტყეებით იყო დაფარული, და სპარსელები იძულებული იყვნენ გზა სახელდახელოდ გაეკაფათ. გუბაზ მეფე შეხვდა ხოსროს შუა კოლხეთში და ეგრისის ჯარებით სპარსელებს შეუერთდა. რადგანაც რომაელების მთავარი ძალა პეტრაში იყო დაბანაკებული, ამიტომ მოკავშირეები პირველად პეტრას იმუშენენ. სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ პეტრა აღებულ იქნა და შოგ სპარსელების გარნიზონი ჩადგა.

სამაგიეროს გადასახდელად რომაელები ირანს შეესივნენ. ამიტომ თვითონ ხოსრო იძულებული შეიქნა შინ დაბრუნებულიყო. 545-6 წელს სპარსელებმა და რომაელებმა დროებითი ზავი შეკერეს ხუთი წლის ვადით. ამ ზავის დროს ეგრისში ახალი ამბები დატრიალდა.

§ 35. სპარსელების ნამდვილი განზრახვის გამოკვარავება ომის გაფართოება

ხოსროს ფარული განზრახვა ის იყო, რომ მთლიანად აეყარა ეგრისის ხალხი და მის მიწა-წყალზე სპარსელები და სხვა, სანდო ტომები დაესახლებინა. ეხლა ხოსრო იმასაც ატყობდა, რომ ეგრისელები სპარსელების მაღლიერი სრულებით არ დარჩენილან. სპარსელების ლაზიაში დამკვიდრებამ შესწყვიტა ლაზების ვაჭრობა რომაელებთან, რის გამოც ეგრისის მეფე და წარჩინებული ხალხი ძალიან ზარალობდნენ. გარდა ამისა სპარსელები არც ქცევით სჯობდნენ რომაელებს. ეგრისის მეფე და ლიდებულები უკმაყოფილო იყვნენ.

ხოსრომ გადასწყვიტა, დროებითი ზავი შესაფერისი დროა, რომ ჩემი გეგმა შეეასრულო. მან ერთს თავის სარდალს დაავალა მოეკლა გუბაზ მეფე. სარდალმა თავისი მხრით ეს საქმე ერთს წარჩინებულ ლაზს, ფარსანსს, დააკისრა, რომელსაც გუბაზ მეფესთან მტრობა ჰქონდა. ამ დროს ეგრისშიაც აზნაურობა ისევე ფეხმოკიდებული იყო, როგორც ქართლში. დიდ-დიდი აზნაურები თავკერძობით სხვადასხვა მხარეს იწვევდნენ, როგორც ეს საერთოდ ფეოდალებს სჩვევიათ ხოლმე. თუმცა ეგრისში მეფესა და აზნაურებს ისეთი მტრობა არ ჰქონიათ, როგორც ქართლში, მაგრამ მეფის უკმაყოფილო ხალხი აქ მაინც იყო, წარჩინებულთა შორის. მათ რიცხვს ეკუთვნოდა ფარსანსიც.

მაგრამ ფარსანსმა ასეთს მუხანათურ საქმეში ხელი არ გაისვა. მან, პირიქით, ყველაფერი გუბაზ მეფეს შეატყობინა. სპარსელების ვერაგობით აღშფოთებულმა გუბაზმა კვლავ იუსტინიანე კეისარს მიმართა, თავისი წინანდელი საქციელი მოინანია და შესთავაზა — ისევ რომაელების მხარეზე გადმოვალთ, ოღონდ სპარსელები გადაგვარეკინეთ. იუსტინიანეს ეს ამბავი დიდად ეამა და ეგრისში ახალი ჯარები გამოგზავნა.

ეხლა ომი ახალი სიძლიერით ატყდა. ასეთი დიდი და გამანადგურებელი ომიანობა იშვიათად ყოფილა დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალ-



ბოლნისის სვეტისთავი.

გ. ჩუბინაშვილის გამოცემით.

ზე. ეგრისში მოთარეშე სპარსელებისა და რომაელების ერთადერთი მიზანი ამ ქვეყნის დაპყრობა იყო, და ამ მიზნისათვის ისინი არაერთარ საშუალებას არ თაკილობდნენ — არც მოსყიდვას, არც შეჩენილ კაცის მკვლელებს, არც ორპირობასა და ღალატს. ქვეყანასაც ისინი დაუნდობლად აოხრებდნენ.

გამარჯვების სასწორი რომაელებისა და ეგრისელებისაგან იხრებოდა. ეს უფრო ეგრისელების დამსახურება იყო: ისინი ჩინებული მეომრები იყვნენ, ადგილობრივ პირობებს ყველაზე უკეთ იცნობდნენ და სამშობლოსათვის გაალმასებით იბრძოდნენ. სპარსელებს ადრე გააძევებდნენ ეგრისიდან, რომ იმთავითვე ლაზებსა და რომაელებს შორის უთანხმოება არ ყოფილიყო. ეგრისელები თავისი ქვეყნის დასაცავად თავს არ ზოგავდნენ, რომელი სარდლები-კი, რომელთაც პირადი ინტერესის გარდა სხვა არაფერი ამოძრავებდათ, გულგრილობასა და უთაობას იჩენდნენ. ეს ახელებდა ეგრისელებს რომაელების წინააღმდეგ.

როცა ხოსრომ ეგრისის ამბები შეიტყო, ძალიან შეწყუხდა და ახალი დიდი ლაშქარი გამოგზავნა ეგრისში. სპარსელებმა სასტიკი დამარცხება იწვნის რიონის პირებში, მაგრამ პეტრა მაინც შეინარჩუნეს (549 წ.).

550 წელს ხოსრომ ეგრისში ახალი სარდალი გამოგზავნა უზარმაზარი ჯარით. ეს ლაშქარი მუხურისის თემში დაბანაკდა, მდინარე ცხენისწყლის ნაპირას. მტრის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ამხედრდნენ მეფე გუბაზი თავისი ჯარით და რომაელები. სამხედრო თათბირის შემდეგ გადასწყვი-

ტეს უეცარი იერში მიეტანათ სპარსელებზე. მაგრამ აქ თავი უთანხმოებამ მოკავშირეთა შორის. იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი გვიამბობს: „ლაზები შეუძლებლად სთვლიდნენ რომაელებთან ერთადარაზმულიყვნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ რომაელები ბრძოლა გასვლით არც სამშობლოსთვის იგდებენ თავს საფრთხეში, არც ნათესავებისათვის, მათ-კი, ლაზებს, საფრთხე მოელისთ შვილებისთვის, ცოლებისთვის და სამშობლო ქვეყნისთვის. ასე რომ ლაზებს თავისი ცოლები უნდა შერაცხვეს, თუ მტრისაგან დამარცხებული იქნებიან... ლაზებს ძალიან უნდოდათ, რომ პირველნი და მარტო დასძგერებოდნენ მტერს. რათა მათთვის საქმეში ხელი არ შეეშალათ რომაელებს, რომელნიც ლაზებსავით არ იყვნენ გატაცებულნი სახიფათო ბრძოლაში. ლაზები რომ ასე აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ, გუბაზს ძალიან გაეხარდა, მოუხმო მათ რომაელებისაგან ცოტა მოშორებით და ასე მიმართა: „მე არ ვეცი, ვაჟკაცობო, საჭიროა თუ არა კიდევ დარიგებით მოგმართოთ თქვენ გასამხნეებლად... არავითარი მოწოდება აღარ ესაჭიროება იმას, ვინც ჩვენსავით თვით გარემოებით არის უკვე აღფრთოვანებული. საფრთხე მოელის ზომ ჩვენს ცოლ-შვილს, სამშობლო ქვეყანას და, ერთი სიტყვით, ყველაფერს... ნუ გაქრება ლაზების სახელი! ძნელი არ არის, ვაჟკაცობო, სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენთვის, რომელთაც ხშირად გავუმარჯვნია მათზე ხელჩართულ ომში“...

მართლაც ეგრისის ცხენოსანი ჯარი პირველი ეძგერა მტერს. ატყდა დიცხელი ომი. ომი სპარსელების სასტიკი დამარცხებით დამთავრდა. სპარსელების სარდალმა და მეომრების უმრავლესობამ ბრძოლის ველზე დალიეს სული, სხვებმა გაქცევით თავს უშველეს, მოკავშირეებმა-კი სპარსელების მთელი ბანაკი ხელში ჩაიგდეს. ამის შემდეგ სპარსელების ჯარი მხოლოდ პეტრაში იყო დარჩენილი. ლაზები მოითხოვდნენ, პეტრასაც ეხლავე თავს დავესხათო, მაგრამ რომაელების სარდალი ამას ეწინააღმდეგებოდა. მაშინ ლაზებმა კეისართან იჩივლეს, შეიძლება თქვენი სტრატეგი სპარსელების მოსყიდული იყოს, ასე იქცევაო. იუსტინიანემ ეგრისში სხვა სტრატეგი გამოგზავნა. სპარსელებიც ეგრისში ახალი ჯარით შემოიჭრნენ. სპარსელებმა ეხლა ახალი ტაქტიკით დაიწყეს მოქმედება: მათ უმჯობესად დაინახეს ეგრისის ჩრდილოეთ ნაწილში, ეხლანდელ აფხაზეთში, გამაგრებულიყვნენ.

§ 36. მღვთმარეშობა აბაჯიში

დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, როგორც ვიცით, მაშინ სხვადასხვა ტომები ცხოვრობდნენ. მე-4 საუკუნისათვის, ახ. წ., ეს ტომები ეგრისის სამეფოში იყვნენ უკვე გაერთიანებულნი. მაგრამ შემდეგ აქ ცვლილება მოხდა. აფშილები ისევ ეგრისის მეფის ქვეშევრდომები დარჩნენ, აბაზგები-კი, რომელნიც აფშილებზე ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ,

გადაუდგნენ ეგრისის მეფეს და მე-6 საუკუნის დამდეგიდან უშუალოდ კეისრის ვასალებად ითვლებოდნენ.

აბაზგებს ძველთაგანვე ორი მთავარი ჰყავდათ, ერთი აბაზგიის დასავლეთ ნაწილში, მეორე-კი — აღმოსავლეთისაში. აბაზგები ძალიან შეწუხებული იყვნენ თავისი მთავრების მტარვალობისა და სიხარბის მიზეზით. როცა ეს მთავრები თავის ქვეშევრდომებში ლამაზ ბავშვებს დაინახავდნენ, წაართმევდნენ მათ მშობლებს და ჰყიდდნენ რომაელებში, ბავშვების მამებს-კი ხოცავდნენ, შური არ იძიონო. აბაზგებმა ველარ აიტანეს ეს უსამართლობა და ორივე მთავარი მოსპეს.

ამასთან ერთად, იუსტინიანეს მოთხოვნით, აბაზგებმა ქრისტიანობა მიიღეს. ქრისტიანობის საშუალებით იუსტინიანეს აბაზგების შემომტკიცება სურდა. კეისრის ძალა-უფლებას ამაგრებდნენ რომაელი მეციხოვნეებიც, რომელნიც ბიჭვინტაში და ცხუმში (სევასტოპოლისში) იდგნენ. როდესაც ხოსრო პირველად შეიჭრა ეგრისში, ამ პუნქტების რომაულმა გარნიზონებმა ძირამდე დაანგრის დასახლებული ციხეები, რადგანაც ეწინოდათ, რომ სპარსელებს ვერ გაუმკლავდებოდნენ. სპარსელებმა მაშინ აბაზგაში მაინც ფეხი ვერ მოიკიდეს.

მაგრამ შემდეგ სხვა ამბები მოხდა. რომაელმა მოხელეებმა და ჯარისკაცებმა, რომელნიც კვლავ გაჩნდნენ აქ, მოინდომეს აბაზგების სრული დაპყრობა და ისე შეაწუხეს ისინი თავისი ძალადობით, რომ აბაზგები გადაუდგნენ რომაელებს. რომაელივე ისტორიკოსი გამოტეხით ამბობს, აბაზგებს „ეწინოდათ რომ ამიერიდან რომაელების მონები არ გამხდარიყვნენ“-ო. როგორც სხვაგან საქართველოში, ხალხი აქაც გააფთრებით იცავდა თავის თავისუფლებას.

აბაზგებმა ახალი მთავრები დაიყენეს და ფარულად სპარსელებს მიმართეს დახმარებისათვის. მაგრამ რომაელებმა დაასწრეს და დიდი ჯარით მიადგნენ მათ როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდან. აბაზგები გამაგრდნენ ერთს მიუვალ ციხეში, რომელსაც მაშინ ტრაქეას ეძახდნენ, ეხლა-კი გაგრა ჰქვია. რომაელებმა ციხეს ალყა შემოარტყეს. ატყდა დაუნდობელი ომი. რომაელები რიცხვით ბევრად მეტნი იყვნენ და ბოლოს ციხეში შეიჭრნენ. აბაზგები ეხლა თავისი ცოლ-შვილით სახლებში ჩასაფრებულყვნენ. მტერმა მათ სხვა ვერაფერი მოუხერხა და ხის სახლებს ცეცხლი წაუკიდა. მხოლოდ აბაზგების მთავარმა მოახერხა რამდენიმე კაცით ციხიდან გასვლა, „დანარჩენები-კი ან ფერფლად იქცნენ გადამწვარ სახლებთან ერთად, ან მტრის ხელში ჩაივსივნენ. რომაელებმა დაატყვევეს მთავართა ცოლები მთელი მათი შთამომავლობით, ციხის გალავანი-კი მიწასთან გაასწორეს და მთელი მიწა-წყალი უღაბნოდ აქციეს“-ო, მოგვითხრობს რომაელი ისტორიკოსი. ცხადია, აბაზგებს რომაელები ეხლა თვალთ არ დაენახებოდათ. და როცა სპარსელების ახალმა სარდალმა მათ ქვეყანას მიაშურა, ისინი სპარსელების მხარეს გადავიდნენ. სპარსელებმა იცოდნენ, რომ აბაზგებს არც სპარსელები ეხატათ

გულზე და სიმტკიცისათვის მათ სამოცი ბავშვი გამოართვეს მძევლად.
წარჩინებულთა გვარებიდან.

ამავე დროს არეულობა მოხდა აფშილეთშიაც. ეგრისის მეფის ელჩი დიდმა მოხელემ, რომელიც აგრეთვე გუბაზის უკმაყოფილო აზნაურების რიცხვს ეკუთვნოდა, ღალატით გადასცა სპარსელებს აფშილების მეთაურ მაგარი ციხე წი ბ ი ლ ი (წ ე ბ ე ლ დ ა). მაგრამ სპარსელების საზღალშა შეურაცხყოფა მიაყენა ციხისთავის ცოლს, ტომით აფშილს. ქალს ღირსებას ხალხი ძვირად აფასებდა და აფშილებმა ამოვლიტეს წიბილის ციხეში შესული სპარსელები.

ამრიგად, აფშილეთში სპარსელები ვერ გამაგრდნენ. მათი მთავარი სიმაგრე მაინც პეტრა იყო. ამიტომ ლაზებსა და რომაელებს გულისყურით პეტრასკენ ჰქონდათ მიპყრობილი.

§ 37. პეტრას აღება მოკავშირეების მიერ. გუბაზ მეფის მოკვლა

550 წელს რომაელებმა კვლავ ალყა შემოარტყეს პეტრას. ზოსროს პეტრა ძალიან გამაგრებული ჰქონდა, მაგრამ რომაელები ორჯერ მტერი იყვნენ და სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ მათ მოახერხეს ციხის აღება.

ესლა ქართლიდან ეგრისში სპარსელების ახალი ჯარი გადმოვიდა. სპარსელებმა შეაკეთეს ქუთათისის (ეხლანდელი ქუთაისის) ძველი ციხე და აქ გამაგრდნენ. ამით სპარსელებმა გზა მოუჭრეს ეგრისს მის თემებთან — ლეჩხუმთან და სვანეთთან და აგრეთვე მნიშვნელოვან ციხესთან — უქიმერონთან.

552 წელს რომაელებმა და სპარსელებმა ისევ შეჭრეს ხუთწლიანი ზავი, რომლითაც სპარსელებმა კარგად ისარგებლეს თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად ეგრისში. ამავე დროს, ეგრისის აზნაურებში ისევ გაიზარდა მიდრეკილება სპარსელებისადმი. რომაელი ისტორიკოსი გეიამბოზს, რომ თუმცა გუბაზ მეფეს რომაელების მხარე ეჭირა, „დანარჩენი ლაზები, რომელნიც რომაელი ჯარისკაცებისაგან საშინლად იყვნენ შეწუხებულნი, განსაკუთრებით-კი ჯარის სარდლებისაგან იყვნენ შევიწროებულნი, მეტწილად სპარსელების მომხრეობას იჩენდნენ, არა იმიტომ რომ სპარსელობა მოსწონდათ, არამედ რომაელების ბატონობისაგან თავის დაღწევა სურდათ“-ო. ეგრისის ხალხი მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის იბრძოდა.

ერთმა ეგრისელმა აზნაურმა, სპარსელების მომხრემ, უქიმიერიონის ციხე სპარსელებს გადასცა. ეს ციხე სვანეთის გზაზე ბატონობდა და ამრიგად სპარსელებმა ესლა სვანეთ-ლეჩხუმის თემები უფრო კარგად დაიმორჩილეს. შორაპნის ციხეც სპარსელებს ეჭირათ მტკიცედ ხელში. გუბაზ მეფე და რომაელები ძალიან შევიწროებულ მდგომარეობაში ჩაევიდნენ, მაგრამ გუბაზს სპარსელებთან შერიგება მაინც არ სურდა და

წვრილ-წვრილი თავდასხმებით, პარტიზანული ომით, მათ მოსვენებას არ აძლევდა. 553 წელს გუბაზს რამდენიმე ბრძოლა ჰქონდა სპარსელებთან. ამ ბრძოლებში რომაელები სრულ უღარდელობასა და სილაჩრეს იჩენდნენ. გუბაზ მეფე მათზე ძალიან გაგულისებულ იყო და საჯაროდ ილანძღებოდა, რომაელი სარდლები უჭკუო, უქნარა და მშვიდარა ხალხი. ამიტომ 554 წელს რომაელმა სარდლებმა შეტყუებით მოკლეს გუბაზი, ვითომც სპარსელებთან კავშირის გამო.

§ 28. სახალხო კრება ეგრისში და გეოგრაფიკული საკითხის შესახებ

ლაზების განწყობილება. იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი ვალდემოკლემს, რომ გუბაზის ვერაგულად მოკლამ „ააღელვა ლაზების მთელი ჯარი. ლაზები ისე იყვნენ აღშფოთებულნი, რომ გადასწყვიტეს აღარ შეერთებოდნენ რომაელებს და აღარ ეომნათ მათთან ერთად. როცა ლაზებმა გუბაზი დასაფლავეს თავისი ჩვეულების თანახმად, მათ აღარ მიიღეს მონაწილეობა ბრძოლებში, რადგანაც თავს უკიდურესად შეურაცხყოფილად გრძნობდნენ და ფიქრობდნენ, ჩვენმა სამშობლომ დაკარგა თავისი სახელი და დიდება“.

თუ რას ნიშნავდა ლაზების ჯარის დახმარება, ეს რომაელებმა მალე დაინახეს ონოგურის ბრძოლაში. აქ სამი ათასმა სპარსელმა სპარტაკვინოდ დაამარცხა 50 000 რომაელი, რომელთაც ეგრისელები არ ეხმარებოდნენ.

სახალხო კრება. აიშტის აზრი. თვითონ ლაზები ამ დროს თავისი ქვეყნის შემდგომ ბედზე ფიქრობდნენ. ხალხის თავკაცებმა ერთ ხეობაში დიდი საერთო კრება მოიწვიეს. აქ ბევრი სხვადასხვანაირი აზრი გამოითქვა იმის შესახებ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ შემდეგში. კრების მეთაური აზნაურები ორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთი ჯგუფის სათავეში აიეტი იდგა, რომაელების ძველი მტერი და სპარსელების მომხრე.

აიეტი ამტკიცებდა, გუბაზის მოკლა მხოლოდ დასაწყისია და რომაელებს ჩვენი მოსპობა აქვთ განზრახული, სპარსელები კი უფრო სანდონი არიან. „გაქრა კოლხების ძველი ღმრისება, — ამბობდა აიეტი, — და დღეიდან უკვე ჩვენ სხვებზე ვეღარ ვიბატონებთ... ჩვენ რომ ეს ბოროტ მოქმედება უყურადღებოდ დავტოვოთ, რომაელები აღარ დაგვეხსნებიან და კიდევ უფრო მეტად გავგზახებენ ჩვენი უმოქმედობის წყალობით. რა თქმა უნდა, რომაელები იმათ კიდევ უფრო თავხედურად ექცევიან, ვინც მათ ემორჩილება, და, ჩვეულებრივად, ზევდიან ქვევით უყურებენ იმათ, ვინც მათ ემსახურება... მე მინდა, რომ კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს თავისი წინანდელი ძლიერება, რომ მას არ სჭიროდეს უცხოელების დახმარება გარეგან, რომ როგორც იმის, ისე მშვიდობის დროს იგი მხოლოდ თავის თავს ეყრდნობოდეს. მაგრამ როცა ჩვენ ყამთა ვითარების გამო ან ბედის უკუღმართობის წყალობით ანდა ორივე მიზეზით

ისე დაგუძლურდით, რომ სხვისი ხელქვეითი გავხდით, ისევ სჯობია იმდენ ზელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილისმსურველია, ვინც დაურღვეველად იცავს კეთილ განწყობილებას თავისიანებთან და მოკავშირეებთან. აიეტის სიტყვამ ისე აანთო ხალხი, რომ ერთხმად იგრიალეს, სპარსელებს მივემხროთო.

ფარტაქის აზრი. მაგრამ მოწინააღმდეგე პარტიის მეთაურმა, ფარტაქმა, რომელსაც დიდი პატივისცემა და გავლენა ჰქონდა კოლხებში მოხვეჭილი, შეაჩერა ხალხი. ფარტაქი ურჩევდა, საქვეყნო საქმის გულსათვის დავიფიქროთ ეს მწუხარება და წყენა და გონების ძალით საუკეთესო გზა ავირჩიოთო. გუბაზის მოკვლა სტრატეგების საქმეა და კეისარს აქ არაფერ შუაშიაო. რომაელები მაინც უფრო მისაღები არიან, რადგანაც სპარსელები ვერასოდეს ვერ შეურიგდებიან, ჩვენ რომ სხვადასხვა სარწმუნოება გვაქვსო. „სასოწარკვეთილებასა და გრძნობათა ღელეს კი არ უნდა აფეხეთ და მონებივით კი არ უნდა გავიქცეთ, არამედ უნდა გავიმსჭვალოთ კოლხის თავისუფლების შეგნებით, ვაჟკაცურად უნდა გადავიტანოთ უბედურება და არ ჩავიდინოთ არაფერი უღირსი და მამა-პაპური წესების შემბლაღველი“. შევატყობინოთ კეისარს, რაც მოხდა და ვნახოთ, რა პასუხს მოგვცემს. თუ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნა უარყოფილი იქნება, მაშინ ვიფიქროთ სპარსელებთან კავშირზეო.

ასე მსჯელობდა ფარტაქი.

იმდროინდელი რომაელი მოხელეების მიერ ჩაწერილი სახალხო წინამძღოლთა ეს სიტყვები მოწმობს ეგრისის ხელმძღვანელი წრეების დიდს სახელმწიფოებრივ გამოცდილებასა და მაღალ შეგნებას.

წათე მეორის გაიმეზება. ფარტაქის აზრმა გაიმარჯვა. შეატყობინეს იუსტინიანე კეისარს მომხდარი ამბავი, მოითხოვეს მკვლელების დასჯა და სთხოვეს ეგრისის მეფედ გუბაზის ძმის, წათეს, დამტკიცება, რომელიც ამ დროს კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა. იუსტინიანეს კარგად ჰქონდა აწონილ-დაწონილი ლაზების მნიშვნელობა იმდროინდელ გარემოებაში და რომ ეგრისის ხალხი მას არ გადასდგომოდა, სასწრაფოდ შეასრულა ლაზების ყველა მოთხოვნა. მკვლელები დაისაჯნენ, ზოლო მეფედ ნაკურთხი წათე მეორე დიდი ზემოთა და დიდებით ჩამოიყვანეს სამშობლოში. წათე შეუდგა ეგრისის მართვას მამა-პაპური წესების თანახმად.

§ 39. მისიმიელების აჯანყება. სპარსელების საგოლოო დამარცხება ეგრისში

მისიმიელები აფშილებს ზემოთ ცხოვრობდნენ, მდ. კოდორის სათავეებში და ქლუხორის ზეკართან. ისინი ეგრისის მეფის ქვეშევრდომები იყვნენ, თუმცა თავისი საკუთარი ენა და ადათები ჰქონდათ. 555 წელს მათს ქვეყანაში მოვიდა ერთი რომაელი სტრატეგი, რათა ყოველწლიური

ხარკი გადაეცა ალანებისათვის, რომელნიც კავკასიონის ქედს გადაღმა ცხოვრობდნენ და რომაელების მოკავშირეები იყვნენ.

სტრატეგის ქცევა მისიმიელებს არ მოეწონათ და ეპეიც გაუჩნდათ, ჩვენი ციხის გადაცემა ხომ არ უნდა ალანებისათვისო. ამიტომ მისიმიელებმა მას მოციქულები მიუგზავნეს და ასე შეუთვალეს: „უსამართლობას გვიპირებ, როგორც ჩანს, სტრატეგო. შენ არც სხვას უნდა მისცე ნება, რომ ჩვენი საკუთრება წაიღოს, არც თვითონ უნდა მოისურვო ასეთი რამ. თუ რომ მართლაც ამგვარი რამე გულში არ გიძევს, წაბარგდი ეხლავე აქედან, სხვაგან დადექ და სამყოფ სასმელ-საჭმელს ჩვენ მოგიტანთ“-ო.

სტრატეგმა ისეთი სიბრიყვე ჩაიდინა, რომ ელჩები ჯოხით აცემინა. მთიელი ხალხის აზრით ცემა ისეთი შეურაცხყოფაა, რომელიც სისხლით უნდა მორეცხოს. აქ კიდევ ხალხის ღირსება იყო გაქედილი, რაკი მის წარმომადგენლებს მოექცნენ ეგრე უდიერად. ამიტომ იმავე ღამეს მისიმიელებმა იერიში მიიტანეს რომაელებზე და მუსრი გაავლეს მათ, თვითონც სპარსელების მხარეს გადავიდნენ. როცა რომაელები კვლავ მოვიდნენ აქ, ისე გამხეცებული იყვნენ, რომ ბავშვებსაც არ ინდობდნენ — ზოგს კლდიდან ძირს ისროდნენ, ზოგს შუბის წვერზე აცემევდნენ. მაგრამ თავისუფლების სიყვარულმა იმდენი გააქეთა, რომ ამ პატარა ტომმა სამარცხენოდ გააქცია უფრო მრავალრიცხოვანი და ძლიერი რომაელები. ბოლოს საქმე შერიგებით გათავდა: მისიმიელებმა რომაელებს ზარალი აღწაღაურეს, სამაგიეროდ თანხმობა მიიღეს ეცხოვრათ თავის ნებაზე ძველებურად, მამა-პაპური ადათების მიხედვით.

ამავე 555 წელს სპარსელების სამოც-ათასიანმა ჯარმა იერიში მიიტანა რომაელებზე ციხე-გოჯის მიდამოებში. რომაელების საქმე შეიძლება ცუდად წასულიყო, მაგრამ ისინი ერთი ლაშის გმირობამ გადაარჩინა. ეს კაცი სპარსელებს დაექირათ, გზა გვიჩვენო. მეგზურმა იმდენი მოახერხა, რომ რომაელებს შეატყობინა მტრის მოძრაობა და სპარსელები ხაფანგში შეიტყუეს. რომაელებისა და მათი მოკავშირეების უცარი თავდასხმის გამო სპარსელები შედრკნენ და გაიქცნენ დიდად დაზარალებულნი. ამის შემდეგ სპარსელებმა ქალაქ ფასიდზე გაილაშქრეს, მაგრამ აქ კიდევ უფრო საშინელი დამარცხება განიცადეს, 12.000 კაცამდე დაკარგეს და სასწრაფოდ უკან დაიხიეს.

ეხლა შაჰმა ეგრისში თავისი საქმე წაგებულად ჩასთვალა და ჯერ ღრობებითი ზავი შესთავაზა რომაელებს, შემდეგ-კი, 562 წელს, ქალაქ დარაში უფრო ხანგრძლივი ხელშეკრულებაც დაუდო.

ზავის პირობები. სვანეთის საკითხი. ქალაქ დარაში დადებული ზავის პირობით სპარსელები უარს ამბობდნენ ეგრისზე, მაგრამ სადაოდ მიაჩნდათ სვანეთი, ეგ კუთხე ჩვენი იყო და ჩვენ უნდა დავგრიჩესო.

სვანებიც ძველთაგანვე ეგრისის მეფის ვასალები იყვნენ. ეგრისის მეფე ამტკიცებდა სვანეთის მთავარს თვით სვანების წრიდანვე. გარდა ამისა, ეგრისის მეფე სვანებისაგან ძღვნად იღებდა თაფლს, ცვილს, ტყავებსა და

სხვა ამგვარ საგნებს, თვითონ სამაგიეროდ პურს უგზავნიდა, რომელსაც სვანებს აკლდათ.

სპარსელებთან ომის დროს-კი მათ შორის უთანხმოება ჩამოვიდა. სვანები იმასაც აბრალებდნენ ეგრისელებს, რომ პური აღარ მოგვარდნო. ამიტომ სვანებიც ერთი პირობა სპარსელების მხარეს გადასულან. უეჭველია, რომ სვანებიც ამ შემთხვევაში თავის სახალხო თავისუფლებაზე ფიქრობდნენ და იმას არჩევდნენ, ვინც იმ არეულსა და შფოთილ დროში ნაკლებად სახიფათო მოკავშირე ჩანდა. ეხლა-კი სპარსელები სვანეთიდან დაძვრას აღარ აპირებდნენ. მართლაც, სვანეთის საუღელტეხილო გზებს მათთვის მნიშვნელობა ჰქონდა. შემდეგ, თუ ისინი სვანეთში გამაგრებას მოახერხებდნენ, ეგრისი მუდამ საფრთხის ქვეშ იქნებოდა. ამიტომ არც რომაელები სთმობდნენ სვანეთს.

ეს დავა დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე 575 წლის მაზლობლად რომაელები სვანეთში არ შეიჭრნენ და სვანეთის მთავარი ტყვედ არ წაიყვანეს. ამის შემდეგ სპარსელების გავლენა დასავლეთ საქართველოში ძირითადად ამოვარდა.

თავი IV *ქმ.*

ფეოდალიზმის გამაგრება საქართველოში

§ 40. ქართლის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

სახალხო მოძრაობის ზრდა სპარსელების წინააღმდეგ.

როგორც ვიცით, ქართლის ხალხი და სპარსელები თავიდანვე ეჭვითა და უნდობლობით უყურებდნენ ერთმანეთს. ჯერ კიდევ მე-ნ საუკუნის შუა წლებში რომაელები ირწმუნებოდნენ, რომ „იბერები ნებაყოფლობით არ ემორჩილებიან სპარსელებს... ცხადია, რომ იბერებს ილაჯი გაწყვეტილი აქვთ და ისინი აპირებენ აჯანყებას უახლოეს მომავალში, თუ მოხერხებულ დროს შეურჩევენ“-ო. ეს ნათქვამი ხალხს ეხება. ხალხი იყო რომ ყველაზე მეტად იტანჯებოდა სპარსელების ხარკისა და თავგასულობა-უსამართლობისაგან. დიდი აზნაურები თუმცა პირველად კავშირში იმყოფებოდნენ სპარსელებთან, მაგრამ თანდათან სპარსელებს აზნაურებიც გადაუდგნენ. ჯერ ერთი, სპარსული უღლის სიმძიმე ნელ-ნელა აზნაურობასაც სწვდებოდა. შემდეგ კიდევ, როცა დიდი სახალხო მოძრაობა დაიწყო სპარსელების წინააღმდეგ, აზნაურებიც ამ ბრძოლაში გაერივნენ და მის მეთაურობასაც იჩემებდნენ.



სპარსელების განდევნა ქართლიდან მე-ნ საუკუნის სამოციანი წლების დამლევებიდან იწყება. ამ დროს სპარსელების საქმე უკან იყო წასული მართო ეგრისში კი არა, სხვაგანაც. ქართლში კიდევ ძალა და შეძლება სპარსელებთან საბრძოლველად ბლომად მოიპოვებოდა.

ქართლის სამეურნეო დაწინაურება. მიუხედავად იმისა, რომ სპარსელების ბატონობა აფერხებდა ქვეყნის განვითარებას, ქართლი მაინც სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და ძლიერდებოდა. ამ დროს ქართლი მდიდარ ქვეყნად ითვლებოდა. იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი ამბობს ქართლზე და სომხეთზე, რომ „ეს ქვეყნები ძალიან ნაყოფიერი იყო და დიდ შემოსავალსაც იძლეოდა“-ო.

მართლაც, ქართლში ამ დროს კარგად განვითარებული იყო მიწათმოქმედება და, კერძოდ, მევენახეობაც. პური იმდენი მოჰყავდათ, რომ საზღვარგარეთაც-კი გაჰქონდათ. მეორე რომაელი მწერალი მოგვითხრობს მეს-



მცხეთის ჯვარი. საერთო ხედი დასავლეთიდან.

მცხეთის არქ. ვესპუდია.

ხების შესახებ, რომ „ისინი ძველთაგანვე იბერების ქვეშევრდომები არიან და მთებში ცხოვრობენ. მესხეთის მთები მწირი და უნაყოფო კი არ არის, არამედ სავსეა ყოველგვარი სიკეთით, იმიტომ რომ მესხები დახელოვნებული მიწათმოქმედნი არიან და მათ ვენახებიც აქვთ“-ო.

მიწათმოქმედებაში დახელოვნებას, ესე იგი ხანგრძლივს სახალხო-სამეურნეო გამოცდილებას, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეურნეობის განვითარებისათვის. ქართლის ბარის თემები ხომ უფრო დაწინაურებული იყო ამ დროს, ვიდრე მესხეთის მთები. მიწის დამუშავების საჭიროებისათვის ბარში დიდსა და გრძელ არხებსაც აკეთებდნენ უწყლო საყანეების მოსარწყავად. ამ დროისათვის უკვე გაკეთებული იყო, მაგალითად, რუსთავის არხი, თბილისს ქვემოთ.

განვითარებული იყო ქართლში ამ დროს ხელოსნობა, ვაჭრობა და ქალაქები. ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქები ქართლში, მე-ნ საუკუნეში, იყო ტფილისი, უჯარმა, ბოლნისი, მანგლისი, რუსთავი. ვაჭრობას ქართლი აწარმოებდა სომხეთთან, სპარსეთთან, სირიასთან, დასავლეთის ქვეყნებთან, ეგვიპტესთან და სხვებთან.

§ 41. ქართლის სამედიკინო დასავლეთი

ბაქოლა სპარსელების წინააღმდეგ. ქვეყნის შემდგომ ზრდას ბოქავდა სპარსელების ბატონობა, რომლის მოცილება ეხლა ხალხის მთავარი ნატვრა და სურვილი იყო. 572 წელს სპარსელების წინააღმდეგ აჯანყებამ

ერთდროულად იფეთქა ქართლსა და სომხეთში. ქართველების წინამძღო-
ლი ამ დროს გ უ რ გ ე ნ ი ყოფილა. შემდეგშიც, საერთო მტრის წი-
ნაღმდეგ ბრძოლაში კავკასიის ხალხები ზშირად ერთად იყვნენ და ერთ-
მანეთს ეხმარებოდნენ. 573 წელს, მაგალითად, სომხებს ეხმარებოდნენ
ლაზები, აბაზგები და ალანები.

576-7 წელს დაიწყო საზავო მოლაპარაკება რომაელებსა და სპარსელებს
შორის. სპარსელები დაჟინებით მოითხოვდნენ, რათა რომაელებს დაე-
ცალათ ქართლისა და სომხე-
თის ტერიტორია და აქაური
ლტოლვილები, რომელნიც რო-
მაელთა სამფლობელოში იყვნენ
შეხიზნულნი, გაეცათ. კეისარი
მზად იყო შეესრულებინა პირ-
ველი მოთხოვნა, რადგანაც
კარგად იცოდა, რომ სპარსე-
ლები არავითარ შემთხვევაში
ხელს არ აიღებდნენ ქართლსა და სომხეთზე, ამ ქვეყნების სიმდიდრის
გამო, მეორე მოთხოვნის შესრულებაზე-კი უარს ამბობდა.




სტეფანოზ ერისმთავრის ფული, ქართული
ასომთავრული წარწერით. VII ს. დასაწყისი.

მაშინ შაჰმა მისცა თანხმობა კეისარს, რომ ის ქართველები და სომხე-
ბი, რომელნიც არ მოისურვებდნენ სამშობლოში დაბრუნებას, დარჩე-
ნილიყვნენ რომის საზღვრებში. იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი
ამტკიცებს: „შაჰი ასე მოიქცა, რადგანაც იცოდა, რომ მცირეოდენი მმართველი
პირების გარდა, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ აჯანყებას, არც
ერთი პერს-არმენიელი და იბერი არ წავიდოდა უცხო ქვეყანაში სამშობ-
ლოსადმი სიყვარულის გამო, რომელიც ჩანერგილია ადამიანებში“. ესე
იგი, ხალხს იმდენად უყვარდა თავისი მშობლიური მიწა-წყალი, რომ
მისი სამუდამოდ მიტოვება არ შეეძლო.

სპარსელების საბოლოო დასუსტება ქართლში. საბოლოოდ
მანც შაჰი და კეისარი ვერ შეთანხმდნენ. ამავ დროს სპარსელების გავ-
ლენა ამიერკავკასიაში სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა, რასაც ხელს
უწყობდა შინაური შფოთი ირანის სამეფოში. ამ მდგომარეობით მოხერ-
ხებულად ისარგებლეს რომაელებმა და სპარსელებისაგან მიიღეს სომხე-
თის უმეტესი ნაწილი და ქართლი თბილისამდე. ეს მოხდა 591 წელს. ნამ-
დვილად, ქართლის დიდმა ნაწილმა მე-6 საუკუნის დამლევისათვის უკვე
გადაიგდო სპარსელების ბატონობის უღელი და იგი არც რომაელებს ემორ-
ჩილებოდა. სპარსელები ჯერ კიდევ მხოლოდ თბილისის ციხეში იდგნენ.

ერისმთავრობის დაწესება ქართლში. განთავისუფლებული
ქართლი ეხლა თავისი საკუთარი მართვა-გამგეობის წესზე ეწყობოდა.
უძველესი ქართული მსტიანე, „მოქცევაი ქართლისაი“, ამბობს ამ დრო-
ის შესახებ: „ნელად-რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუა-
რამ“-ო. ქაროლის მმართველობის სათავეში ერისმთავარი დააყენეს.
ეს ერისმთავარი თვითონაც დიდი აზნაური იყო და დიდი აზნაურების,



მცხეთის ჯვარი.

გ. ჩუბინაშვილის გამოცემით.


სეფე-წულებისა და მთავრების, წარმომადგენელიც, რომელთაც თუ აირჩიეს ქვეყნის მმართველად. მალე ქართლის ერისმთავრის ძალა-ფლება გაიზარდა და გაძლიერდა. ასე წარმოიშვა ქართლში ფეოდალურ-მართვა-გამგეობის ორგანიზაცია, ფეოდალური სახელმწიფო, რომელმაც ძველი მონათმფლობელური სახელმწიფოს ადგილი დაიკავა. ქართლის ერისმთავრებმა მალე საკუთარი ფულის მოქრაც დაიწყეს ქართული წარწერით. ასეთი მონეტა-ფული სახელმწიფოს დამახასიათებელი იქცეობდა.

— 267 —

§ 42. კულტურა და იდეოლოგია მეოთხე-მეექვსე საუკუნეებში

ისე როგორც სხვაგან, საქართველოშიაც თავდაპირველად კულტურა და იდეოლოგია უპირატესად სარწმუნოების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ეს გასაგებია, რადგანაც რაც უფრო უძველური იყო ადამიანი გარემო ბუნებასთან ბრძოლაში ტექნიკისა და მეცნიერების სუსტი განვითარების გამო, მით უფრო ცრუმორწმუნე იყო იგი.

მას შემდეგ, რაც ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად იქცა, კულტურასა და იდეოლოგიასაც საეკლესიო-ქრისტიანული ხელფარი ედო მეტ-ნაკლებად. ასეთი იყო, მაგალითად, მწერლობა. ქრისტიან-



მცხეთის ჯვარი. შინაგანი ხედი.

გ. ჩუბინაშვილის გამოცემით.

ნობამ ძველი ქართული წარმართული მწერლობა მოსპო, თვითონ-კი უმთავრესად თარგმანებით დაიწყო. როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, საქართველოშიაც უძველესი ნათარგმნი საქრისტიანო წიგნები სახარება და ღაბაღება იყო. სთარგმნიდნენ ბერძნული, სირიული და სომხური ენებიდან.

მალე ორიგინალური მწერლობაც გაიხდა, ჰაგიოგრაფიული ხასიათისა. ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში მოთხრობილი იყო ისეთი პირების ცხოვრება, რომლებმაც ღვაწლი დასდეს ქრისტიანობას, ან თავი-კი შესწირეს მას. უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებაა „შუშანიკის მარტვილობა“ ანუ წამება, დაწერილი იაკობის მიერ მე-5 საუკუნის სამოცდაათიან წლებში. აქ აღწერილია თუ როგორ აწამა ვარსკენ ქართლის პიტიახშმა თავისი ცოლი შუშანიკი იმის გამო, რომ შუშანიკმა არ შეასრულა ვარსკენის მოთხოვნა და ცეცხლისმსახურება არ მიიღო. დაწერილია ეს ძეგლი მოქნილი, მომჭირნე და მდიდარი მხატვ-
9. საქართველოს ისტორია.

რული ენით. იგი ამავე დროს ძვირფასია, როგორც ისტორიული წყარო იმიტომ რომ მასში კარგად არის ასახული ქართლის საზოგადოება და ისევე, როგორც სი ყოფა-ცხოვრება მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში. ასეთივე, როგორც ისტორიული წყაროა „ესტატე მცხეთელის წამება“, რომელიც უცნობ ავტორის დაუწერია მე-6 საუკუნის შუა წლებში და რომელშიაც აწერილია ქართლის ვითარება მარზპანობის დროს.

მწერლობა მაშინ სხვა მიზნებსაც ემსახურებოდა, როგორც, მაგალითად, სახელმწიფოებრივსა და კერძო სამოქალაქო საქმისწარმოებას. წარწერებს აკეთებდნენ ფულბეზედაც. შენახულია ერთი წარწერა, ახალციხის მხარის სოფ. წყისეში ნაპოვნი. ეს წარწერა მე-6 საუკუნის დამლევს თუ მე-7 საუკუნის დამდეგს ამოუჭრევენია ქვის ჯვარზე ეწივნე კონსტანტინის იმის ნიშნად, რომ მიწა, სადაც აღმართული იყო ეს ქვაჯვარი, ნაყიდი მამული იყო.

მწერლობას ხმარობდნენ აგრეთვე უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობის დროს. ეგრისის სამეფო არქივში ძალიან ძველი დოკუმენტებიც ჰქონდათ დაცული. ასევე იყო, რა თქმა უნდა, ქართლშიაც.

იმდროინდელი ქართული პოეტური და ფილოსოფიური მწერლობიდან თითქმის არაფერია ჩვენ დრომდე შემონახული, თუმცა ამ დარგის უცხო ლიტერატურას ჩვენში კარგად იცნობდნენ. მე-4 საუკუნეში ევრიხელეს თურმე არა ერთგზის უსახელებიათ თავი მშვეგრამეტყველებით ბერძნების სადღესასწაულო კრებებზე, ბერძნები კი ამ საქმის უდიდესი ოსტატები იყვნენ. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ რომის იმპერიაში კარგად ყოფილა ცნობილი თავისი ქვეით, განათლებითა და ფილოსოფიის სიყვარულით ქართველი სეფეწული ბაკური.

ცხადია, რომ ძველ იბერიასა და კოლხეთში გავრცელებული იყო ძველი ბერძნული განათლება, ძველი ბერძნული ფილოსოფიისა და პოეზიის ცოდნა. მართლაც, მე-4 საუკუნეში კოლხეთში, ფასიდის მახლობლად, არსებობდა ფილოსოფიური სკოლა, სადაც ფილოსოფიური განათლების მისაღებად ახალგაზრდებს გზავნიდნენ აღმოსავლეთ რომის იმპერიის სხვა, შორეული ადგილებიდან. კოლხეთის ფილოსოფიურ სკოლაში მიუღიათ თავისი განათლება იმდროინდელს გამოჩენილ კონსტანტინოპოლელ რიტორს ევგენისა და მის შვილს თემისტის. როგორც ქართლში, ისე ეგრისში, ჩანს, იცნობდნენ სპარსულ მწერლობასაც.

მწერლობა გამოყენებული იყო საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ბრძოლაშიც. როცა სპარსელები იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ მანდიანობის გავრცელებაზე ამიერკავკასიაში და, სამაგიეროდ, მონოფიზიტური ქრისტიანობის მფარველებად იქცნენ, მათ საეკლესიო მწერლობას დაავალეს, მონოფიზიტური იდეები და სპარსეთთან განუყრე კავშირის აუცილებლობა ექადაგნა. ამ მიზნით სპარსეთის მეფის აგენტებმა მწერლები, ვითომც ქრისტიანობა სომხეთსა, ქართლსა და ალბანიაში წაიყვანეს.

თი პირის მიერ არის დანერგული, ვითომც ქართული, სომხური და ალბანური ანბანები აგრეთვე ერთი პირის მიერ არის გამოგონებული და რომ ეს „განმანათლებელნი“ იმავე დროს ვითომც სპარსეთთან იყვნენ დაკავშირებული.

მონოფიზიტები შეუბრალებლად სობდნენ დიოფიზიტების ანუ ქალკედონიტების მწერლობას. დროგამოშვებით გავლენას იხვეჭდა სხვა მიმართულებებიც, მაგალითად, მანიქველობა, რომელიც განსაკუთრებული სარწმუნოებრივ-ფილოსოფიური მოძღვრება იყო და მესამე-მეოთხე საუკუნეებში საკმაოდ დიდი გავლენით სარგებლობდა აღმოსავლეთში. სპარსეთის მთავრობა აგრეთვე სხვა საშუალებებსაც მიმართავდა ამ იდეოლოგიური კავშირის განსამტკიცებლად. მას სურდა, მაგალითად, სომხეთის, ქართლისა და ალბანიის ეკლესიების გაერთიანება, რომ უფრო ადვილი ყოფილიყო მათი მართვა სპარსელი მოხელეებისათვის.

ამიტომ, მოჰკლეს თუ არა ვახტანგ გორგასალი, სპარსელების მთავარი მტერი და მოწინააღმდეგე ამიერკავკასიაში, მაშინვე, 506 წელს, სპარსელებმა სომხეთის დედაქალაქ დვინში მოიწვიეს სომხეთის, ქართლისა და ალბანიის ეკლესიების საერთო კრება. ამ კრებამ, სპარსელებისავე კარნახით, ერთდეროდ ქრისტიანობად მონოფიზიტური სარწმუნოება აღიარა. ამის შემდეგ ეკლესია სპარსელების მთავარი დასაყრდენი გახდა.

მაგრამ, როგორც-კი სპარსელების გავლენამ შესუსტება იწყო, მაშინვე თავი წამოყვეს ქალკედონიტებმა. მათ უკვე 574 წელს, გურგენის აჯანყებისთანავე, ძალა ჰქონიათ მოპოვებული ქართლში. მე-6 საუკუნის დამლევს-კი მონოფიზიტები აქ საბოლოოდ დამარცხებული იყვნენ. რადგანაც სომხეთში, რომელიც სპარსეთთან უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული, მონოფიზიტებმა მეტ ხანს გასძლეს, ამიტომ სომხეთისა და ქართლის ეკლესიებს შორის გაწვეთილება მოხდა (607 წ.). ეხლა ქალკედონიტებმა დაუწყეს მონოფიზიტებსა და მათ მწერლობას უწყალო დევნა. ამიტომ არის ძველი ქართული მწერლობა ასეთი დაზიანებული სახით ჩვენ დრომდე მოღწეული.

სულიერი კულტურის სფეროში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ამ დროს ქართლისა და ეგრისის თანდათან დაახლოება. არც მეგრულს, არც სვანურს, არც ფხაზურ ენაზე მწერლობა ძველად არ ყოფილა. როცა ქრისტიანობა შემოვიდა ეგრისში, იგი აქ ბერძნულ მწერლობას ხმარობდა. მაგრამ ბერძნული ენა გაუგებარი იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

ამავე დროს არგვეთიდან (დღევანდელი ზემო-იმერეთი), რომელიც ყოველთვის ქართლის სამეფოს საზღვრებში შედიოდა, ეგრისში მარჯვედ ვრცელდებოდა ქართული ენა, რომელიც უფრო ადვილად შესათვისებელი იყო მომხმე ქართველი ტომებისათვის. ქართულ ენასთან ერთად ვრცელდებოდა ქართული მწერლობაც. ქართულმა მწიგნობრობამ ადრე დაიჭირა ეგრისში ბერძნულის ადგილი. ქართული კულტურის ერთი ყველაზე უფ-



მცხეთის ჯვარი. ქანდაკება ასომთავრული წარწერით.

ფოტო ერეკლეშვილი.

რო მნიშვნელოვანი ცენტრთაგანი დასავლეთ საქართველოში იყო ქალაქი ქუთათისი (ქუთაისი). კულტურულ დაახლოებას თან მოსდევდა მოძმე ტომთა ერთობის შეგნების ზრდაც.

ნივთიერი კულტურის სფეროშიაც ამ ხანიდან მრავალი ძვირფასი ნივთი შეგნებად. უმეტეს წილად გადარჩენილია საეკლესიო ხუროთ-

მოძღვრების ძეგლები, უფრო მცირე რაოდენობით მოღწეულია საერო არქიტექტურის ნაშთებიც. საერო ხუროთმოძღვრების ძეგლია, მაგალითად, უჯარმის ციხე.

იმდროინდელი საეკლესიო არქიტექტურა ორი მთავარი რიგისაა. უფრო ადრინდელი შენობები ანტიკური ხანის არქიტექტურას უახლოვდება და ეგრეთწოდებულ „ბაზილიკა“-ს ანუ უგუმბათო ნაგებობას წარმოადგენს. ასეთია მეხუთე საუკუნის დიდებული ძეგლები — ბოლნისისა და ურბნისის ტაძრები და სხვები.

მე-6 საუკუნიდან გაბატონდა სხვა რიგის საეკლესიო ხუროთმოძღვრება, რომელიც თავისი წარმოშობით იმ ხანაზე უფრო ძველი იყო. ეს იყო ჯვრის ტიპის გუმბათიანი ნაგებობა, რომელიც უფრო შეეფერებოდა ფეოდალური ხანის მოთხოვნილებასა და გემოვნებას. ჯვრის ტიპის ტაძარია მცხეთის ჯვარის საყდარი, რომელიც არაგვის შესართავთან მალალ კლდეზეა აგებული მეექვსე საუკუნის მიწურულში.

მცხეთის „ჯვარი“ გენიალური არქიტექტორის უკვდავი ქმნილებაა და ქართული კულტურის საამაყო ძეგლი.


საერთოდ, „ჯვარის“ არქიტექტურული ტიპი დაიბადა და განვითარდა საქართველოში და აქვე მიაღწია მან თავის სრულყოფას. ეს ტიპი ძველი ეროვნული, ხალხური ხელოვნების ტრადიციების ნიადაგზე წარმოიშვა. მისი ხალხური წინამორბედი ქართული გლეხური სახლი, „დარბაზი“ ანუ „ერთობის სახლი“, რომელიც დღემდე არის შემონახული აღმოსავლეთ საქართველოში.

მე-5 — მე-6 საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების შესწავლა ამტკიცებს, რომ საამშენებლო ხელოვნება იმდროინდელ საქართველოში მალალ საფეხურზე იდგა.

ხელოვნების ისტორიისადმი მიძღვნილ ზოგ გამოცემაში შეიძლება შეხედეს საესეზო მდარს, ფაქტობრივ საფუძველს მოკლებულ დებულებას, თითქმის კავკასიის ხალხთა ქრისტიანული ხელოვნება წარმოადგენს ბიზანტიური ხელოვნების ადგილობრივს (ქართულს, სომხურს) შტოებს, ან არა და — იმავე ხელოვნების მხოლოდ ერთს ადგილობრივს („ქართულ-სომხურ“, „სომხურს“) ნაყდს. ნამდვილად კი საშუალო საუკუნეების საქართველოს და სომხეთის ხელოვნება (ალბანურის შესახებ ძნელია მსჯელობა, ვინაიდან მისი ძეგლების უმეტესობა დაღუპულია) წარმოადგენს ორ თავისთავადსა და დამოუკიდებელ ეროვნულ ხელოვნებას, რომელიც აქაც და იქაც ვითარდებოდა როგორც ერთმანეთთან, ისე სხვა ქვეყნების — მათ შორის აგრეთვე ბიზანტიის — ხელოვნებასთან ურთიერთობაში.

§ 43. ამიერკავკასიის მხურობელი ქვეყნები მე-7 საუკუნეში

საქართველოსა და ამიერკავკასიის გარშემო მდებარე ქვეყნებში განვლილ პერიოდში დიდი ცვლილებები მოხდა. გამოიცვალა საზოგადოებრივი ყოფა, სახელმწიფო წყობილება; ისტორიის სარბიელიდან ჩამოვიდა ზოგი ძველი ტომი, მათ ადგილას-კი ახალი ხალხები გამოვიდნენ.



ქართული გლეხური დარბაზი.

საქ. მუზეუმის ეთნ. განყოფილება.

ბიზანტია. დიდი ცვლილება გამოიარა რომის სახელმწიფომ. მე-4 საუკუნის დამლევს იგი ორ ნაწილად გაიყო. აღმოსავლეთი ნაწილის დედაქალაქად კონსტანტინოპოლი (ძველი ბიზანტიონი) იქცა. მე-5 საუკუნის დამლევს მოსპობილ იქნა დასავლეთ რომის იმპერია.

აღმოსავლეთ რომის იმპერია ამის შემდეგ მარტო განაგრძობს არსებობას. მე-7 საუკუნიდან ჩვენ მას ბიზანტიას ვუწოდებთ. თუ ძველი რომი მონათმფლობელური სახელმწიფო იყო, ბიზანტია უკვე ფეოდალური ქვეყანაა. გარდა ამისა, ბიზანტიაში ბერძნულმა ენამ საბოლოოდ განდევნა ლათინური.

ჰუნები და ხაზარები. ჩრდილოეთ კავკასიაშიაც ბევრი ახალი ამბავი მოხდა. მე-4 საუკუნიდან აქ ჰუნები ბატონობდნენ, რომელნიც განსაკუთრებით მე-5 — მე-6 საუკუნეებში მძლავრობდნენ. ჰუნები შესცვლეს ხაზარებმა, რომელთაც მე-6 საუკუნის დამლევებიდან მოიპოვეს გადალენა ჩრდილოეთ კავკასიაში. მალე აქ მათ ძლიერი სამეფო შექმნეს, რომელიც მდ. ვოლგიდან აზოვის ზღვამდე იყო გადაჭიმული. ხაზართა სამეფოს მეთაური ხაკანის ტიტულს ატარებდა.

არაბები. მაგრამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს ქვეყნისათვის არაბების გამოჩენას მსოფლიო ისტორიაში.

არაბების სამშობლო არაბეთის ნახევარკუნძულია. არაბეთის ნახევარკუნძულის მთავარი რაიონებია: 1) ნ ე ჯ დ ი, შუა რაიონი, 2) ჰ ი ჯ ა ზ ი, მეწამული ზღვის ნაპირზე მდებარე ზოლი და 3) ი ა მ ა ნ ი, რომელსაც ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო უჭირავს. ჰიჯაზში იყო მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქები—მ ა ქ ა და ი ა ს რ ი ბ ი. ჰ ი ჯ ა ზ ი ს ა და იამანის არაბები ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ და მიწათმოქმედებასა და ვაჭრობას მისდევდნენ. შინაგანი რაიონები—კ ი ბ ე დ უ ი ნ ე ბ ი ს სახელით ცნობილ მომთაბარე არაბებს ეჭირათ. მე-7 საუკუნის დამდეგს მოხდა არაბი ტომების გაერთიანება. ახალი სახელმწიფოს მეთაური იყო მ უ ჰ ა მ ა დ ი, რომელმაც იმავე დროს არაბებში ახალი სარწმუნოებაც გავრცელა. ახალ სარწმუნოებას „ი ს ლ ა მ ი“ ეწოდა, რაც „მინდობას“ ნიშნავს. ისლამის მიმდევარს „მ უ ს ლ ი მ ს“ („მინდობილს“) ეძახიან. მუსლიმებს მაჰმადიანებსაც უწოდებენ, მუჰამადის ანუ მაჰმადის სახელის მიხედვით. მუჰამადის ქადაგებანი ჩაწერილია ცალკე წიგნში, რომელიც „ყ უ რ ა ნ ი ს“ (არაბულად ნიშნავს „ს ა კ ი თ - ხ ა ე ს“) სახელით არის ცნობილი.

ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა ახალ არაბულ სახელმწიფოს. ამ სახელმწიფოს მეთაური შემდეგში იწოდება ხ ა ლ ი ფ ა დ, რაც ნიშნავს „მ ო - ა დ გ ი ლ ე ს“ (იგულისხმება მუჰამადის „მოადგილე“). ამიტომ თვით სახელმწიფოს ხ ა ლ ი ფ ა ტ ს ანუ ს ა ხ ა ლ ი ფ ო ს ეძახიან. ხალიფები სარწმუნოების მეთაურებადაც ითვლებოდნენ.

§ 44. სპარსეთში მე-7 საუკუნის პირველ ნახევარში

პირაქლეს ლაშქრობანი სპარსეთის წინააღმდეგ. მე-7 საუკუნის დამდეგს სპარსეთის ძველი სახელმწიფო განადგურების პირამდე მიიყვანა ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ. ამ ომში ჰერაკლე კეისრის ყველაზე მძლავრი მოკავშირეები და თანამოლაშქრეები იყვნენ ქართლები, ეგრისელები და აბაზგები. ქართველ მოკავშირეებს მაინც თავი დამოუკიდებლად ეჭირათ. ისინი თვითონ უკარნახებდნენ კეისარს ბრძოლის გეგმას და როცა ჰერაკლე ამ გეგმას არ ეთანხმებოდა, საერთოდ უარს ამბობდნენ ლაშქრობაზე.

ჰერაკლემ კავშირი გააბა ხაზარებთანაც, რომლებმაც დიდი ჯარი მისცეს ბიზანტიის მფლობელს.

თბილისის აღება ბიზანტიელების მიერ. ამ დროს ქართლის ერთი ნაწილი, უმთავრესად — საპიტიაზშო, ჯერ კიდევ სპარსელების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. თბილისშიც სპარსელების ჯარი იდგა. ბიზანტიელებმა და ხაზარებმა თბილისს ალყა შემოარტყეს, ბევრი ძალაც შეაღიეს, მაგრამ ვერას გახდნენ. მეციხოვნე ქართველებმა და სპარსელებმა ჰერაკლე კეისარი და ხაზარების ხაკანი მასხრად აიგდეს: ციხის გაღრმავებაზე გადმოდგებოდნენ ხოლმე და ბიზანტიელებს გასძახობდნენ — თქვენს მეფეს თხის წვერი ასხია და ვაცის კისერი აქვსო, ხაზარებს—კი

დიდ კვახს უჩვენებდნენ, რომელზედაც ადამიანის სახე იყო დატანილი. გამოსახული, და უყვიროდნენ, აი, თქვენი ჯიბლუ ხაყანით. კეისარი უნაზარები მძვინვარებდნენ ამ შეურაცხყოფის გამო, მაგრამ თბილისელებს მაინც ვერაფერი უყვეს და იძულებული შეიქნენ გასცლოდნენ ქართლის დედაქალაქს. მხოლოდ მეორე წელს, როცა კეისარმა სპარსელებს ირანის ახალი დამარცხება მიაყენა, ხაზარებმა კვლავ ალყა შემოარტყეს თბილისს და ორი თვის სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ძლივს აიღეს იგი (627 წ.).

ხაზარებმა ქალაქი ააოხრეს, მცხოვრებნი შეუბრალებლად გაუღიტინეს და თვითონ-კი უთვალავი სიმდიდრე ჩაიგდეს ხელში. ძველი აღბანელი ისტორიკოსი გვიამბობს, რომ როცა ხაზარებმა აიღეს „ნებიერი, მოვარე, სახელოვანი დიდი ქალაქი თბილისი“, მათ ხელი მიჰყვეს ქალაქის საგანძურების ძარცვასო. ოქრო-ვერცხლისა და თვალ-მარგალიტით შემკული ნივთების ისეთი ზვინები დაუდგეს თავის ბატონს ხაზარმა მეომრებმა, რომ თვალს წყალი ელეოდა მათს ცქერაშიო.

როგორც ვხედავთ, მე-7 საუკუნის დამდეგს თბილისი მდიდარი და დიდი სავაჭრო ქალაქი იყო.

საქართველოს ისტორიის მეცნიერების აქტიური და მომავალი მუშაობის პროგრესი

ასომთავრული ხელის ნიმუში, მე-10 ს. ხელნაწერიდან (ტექსტი: „კინი იგი ნინეველნი აღდგენ სამ/ჯელსა მას ნათესავისა ამის...“).

საქ. მუზ. ხელნაწერთა გან.

საქართველო ბიზანტიის გავლენის ქვეშ. ამ დროიდან მოყოლებული საკმაო ხნით (თითქმის ნახევარი საუკუნით) ამიერკავკასიაში ბიზანტიის გავლენა დამყარდა. ეს გავლენა სხვადასხვანაირი იყო აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში. ეგრისში ბიზანტიის მთავრობა თავს უფრო ლაღად გრძნობდა და სულ უფრო და უფრო ავიწროებდა ეგრისის მეფეს. მე-7 საუკუნის დამდეგს უკვე „ლაზიკის მეფის“ მაგიერ „ლაზიკის პატრიკიოზი“ იხსენიება. „პატრიკიოზი“ დიდი წოდებულება და პატივი იყო კეისრის კარზე, მაგრამ მეფის გადაქცევა პატრიკიოზად, რა თქმა უნდა, მეფის ჩამომცრობას ნიშნავდა.

ქართლში ამ დროს ერისმთავარი იჯდა, რომელიც აზნაურების მიერ არჩეული მთავარი იყო, და არა დამოუკიდებელი მფლობელი. კეისარმა ძალა მისცა ამ ერისმთავარებს, რომ აზნაურებისაგან უფრო დამოუკიდებელი გამხდარიყვნენ. ამით კეისარს ერისმთავრების გულის მოგება უნდოდა. კეისარი ერისმთავრებისაგან მხოლოდ ერთგულებასა და სამხედრო სამსახურს მოითხოვდა, მათს შინაურ საქმეებში-კი არ ერეოდა. ერისმთავრებსაც კეისარი იმავე ბიზანტიურ ტიტულებს აძლევდა, როგორიც იყო „პატრიკიონი“, „კუროპალატი“ და სხვა, მაგრამ ერისმთავრისათვის ასეთი მდგომარეობა უკვე გაძლიერებას მოასწავებდა.

კულტურული ვითარება. ცვლილება მოხდა საეკლესიო-სარწმუნოებრივ სფეროშიაც. უკვე მე-7 საუკუნის პირველ წლებში, როგორც ვიცით, ქართლში დიოფიზიტები ბატონობდნენ. ჰერაკლე კეისარმა, თბილისის აღების შემდეგ, დიოფიზიტები კიდევ უფრო გააძლიერა და ყველა „მწვალებელსა“ და ცეცხლისმსახურს მუსრი გააგლო. ქართლის უდიდესი ქალაქების, თბილისის, მცხეთისა და უჯარმის ეკლესიებში ჰერაკლეს დიდი სისხლი დაუდენია. ცხადია, ეკლესიებში იმდენად ცეცხლისმსახურნი არ იყვნენ შეფარებულნი, რამდენადაც ქრისტიანები, მხოლოდ სხვა (მონოფიზიტური) აღსარებისა. იმდროინდელი ქართველი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ ჰერაკლემ „განწმინდა შჯული ქრისტესი და წარვიდა“-ო. აღამიანების მოსპობის გარდა შეუდგნენ მათი კულტურული ნამოღვაწარის, კერძოდ — მწერლობის განადგურებასაც და აქაც ბევრი რამე „განწმიდეს“.

მე-7 საუკუნეში გაძლიერდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ერთმანეთთან დაახლოება. მჭიდრო ურთიერთობას ეხლა ხელს არ უშლიდა არც პოლიტიკური და არც საეკლესიო-სარწმუნოებრივი ზღუდეები. ამ დროს ქართულმა ენამ და მწერლობამ შემდგომი გავრცელება მოიპოვა დასავლეთ საქართველოში.

არაბოზა საქართველოში

§ 45. არაბების შემოსვლა საქართველოში

ხალიფებმა თავიდანვე დიდი დაპყრობითი ომები გააჩაღეს. უკვე მეორე ხალიფა ომარის დროს (634 წ. — 644 წ.) არაბებმა დაიპყრეს სირია, პალესტინა, ირანის მეტი ნაწილი. ამის შემდეგ მათ ვზა გახსნილი ჰქონდათ ამიერკავკასიისაკენაც. მართლაც, პირველი არაბული რაზმი სომხეთში უკვე 640 წელს გახსნა. მაგრამ ეს უფრო მარბიელი ჯარის თარეში იყო ვიდრე ქვეყნის დაპყრობა.



ქართლისა და არაბების შეთანხმება. ქართლსაც არაბები პირველად 642-3 წელს მოსდგომიან, მაგრამ ქართლელებს ისინი დაუმარცხებიათ და თავისი საზღვრებიდან გაუდევნიათ. თანდათანობით არაბები მომაგრდნენ. 654 წლის დამდეგს არაბებს უკვე მთელი სომხეთი ჰქონდათ დაპყრობილი. იმავე წელს არაბებმა აიღეს ქალ. თეოდოსიოპოლი, დღევანდელი ერზურუმი, ბიზანტიელების მთავარი სიმაგრე ამიერკავკასიაში, და ქართლისკენ გამოემართნენ.

ქართლის პატრიკიოზს, ესე იგი, ერისმთავარს, გადაუწყვეტია, არაბებთან ბრძოლა აღარ ღირსო, მათთვის თავისი ელჩი შეუგებებია საჩუქრებით და ზავი და მშვიდობა უთხოვნია. არაბთა სარდალს მოეწონა ქართლის ერისმთავრის საქციელი და მისცა მას ეგრეთწოდებული „დაცვის სიგელი“, რომელშიაც არაბ-ქართველთა ურთიერთობა იყო განსაზღვრული.

ამ პირობის მთავარი მუხლები ასეთი იყო: 1) არაბები ქართლის მოსახლეობის სარწმუნოებას ხელს არ ახლებდნენ, ხოლო თუ ვინმე ნებაყოფლობით ისლამს მიიღებდა, ის არაბების ძმად ჩაითვლებოდა, ესე იგი, ხარკს აღარ გადაიხდიდა; 2) ქართველები იხდიდნენ არაბების სასარგებლოდ ჯიზიათს, პირად გადასახადს, კომლზე თითო დინარს ანუ დრაჰმას (ოქროს ფული იყო, წონით ერთ მისხლამდე, რაც დაახლოებით ხუთ მანეთს უდრის ოქროთი); 3) ქართველებს არ უნდა შეეერთებინათ კომლები, გადასახადის შესამცირებლად, არაბებს კიდევ

არ უნდა დაეყოთ კომლები, გადასახადის გასადიდებლად; 4) ქართველებს ევალებოდათ არაბთა ჯარისა და, საერთოდ, მუსლიმებისათვის დაწმარება; 5) სამაგიეროდ, არაბები უშიშროებას პირდებოდნენ ქართლის მოსახლეობას.

ქართლის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ იმ ხანად ქართლში არაბებმა სულ ორიოდ წელიწადი თუ გასძლეს. ხალიფატში დიდი შინაური შფოთი იყო (657 წ. — 661 წ.) და არაბებს ამიერკავკასიისათვის არ ეცალათ.

შემდეგშიაც ქართლში მდგომარეობა ცვალებადი იყო. თუ არაბები გამოჩნდებოდნენ ხოლმე, მხოლოდ მოკლე ხნით. ხანდახან ბიზანტიაც თავს წამოყოფდა და თავის წილს მოითხოვდა. 686 წელს კეისარსა და ხალიფას ზავი შეუკრავთ, კვიპროსის კუნძულის, სომხეთისა და ქართლის ქვეყნებიდან შემოსული ხარკი შუაში გაეყოთო. მაგრამ ეს ცოცხალი დათვის გატყავებას ჰგავდა. ამიერკავკასიის ხალხები ერთნაირი შეუპოვრობით იბრძოდნენ თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად, როგორც არაბების, ისე ბიზანტიელების წინააღმდეგ.

ამავე ხანებში ქართლის ერისმთავარს ნ ერ ს ე ს სასტიკად დაუმარცხებია სომხეთში მდგარი არაბთა სარდალი, მისი ჯარი გაუფანტავს და გაუქცევია. მეორე მხრით, ჩვენი ხალხები არც ბიზანტიელებს უხრიდნენ ქედს: იმავე 686 წელს კეისარს ლაშქარი გამოუგზავნია სომხეთ-ქართლალბანიის დასამორჩილებლად, მაგრამ, ჩანს, ბევრს ევრაფერს გამხდარა.

მესამე მტერი, ხაზარების სახით, ჩრდილოეთიდან იყო მომდგარი. შფოთსა, თარეშებსა და ძარცვა-გლეჯაში ხაზარებსაც თავისი წილი ედოთ. 689 წელს ხაზარებს დაურბევიათ სომხეთი და ქართლისა და ალბანიის მთავრები დაუხოცავთ.

არაბთა გაძლიერება. არაბები გადადიან ებრისში. სამი მხრით ხმლის ქნევამ ხალხი, ცხადია, დაასუსტა, რითაც ყველაზე მეტად არაბებმა ისარგებლეს. მე-7 საუკუნის მიწურულში არაბებს ქართლში ფეხი შედარებით უფრო მკვიდრად ედგათ.

იმავე დროს დასავლეთ საქართველოშიაც ძველი ამბავი დატრიალდა: ერთი, უფრო საშიში და თავს წამომდგარი, მტრის წინააღმდეგ მეორე, ნაკლებ საშიში და უფრო შორეული, მტრის გამოყენება სცადეს. 697 წელს ეგრისის პატრიკიოზი სერგი ბიზანტიელების წინააღმდეგ აჯანყებულა და თავისი ქვეყანა არაბებისათვის გადაუცია. მე-8 საუკუნის დამდეგსაც არაბების მეციხოვნე ჯარი მდგარა ეგრისის დედაქალაქ ციხე-გოჯში და მდინარე კოდორის ხეობის ზოგიერთ ციხე-სიმაგრეშიაც. გაგულისებული კეისარი-კი ცდილობდა მოექართაშა ალანები, რათა ისინი შესეოდნენ აფხაზეთს, ეგრისსა და ქართლს და ბიზანტიის მიმართ ურჩობის გამო ეს ქვეყნები აეოხრებინათ.

ქართველებს არც ბიზანტიელები ეხატნენ გულზე და არც არაბები. საჭიროებისდა მიხედვით და ხელსაყრელ პირობებში ხალხი პირველთაც ებრძოდა და მეორეთაც.

მე-8 საუკუნის დამდეგიდან გაძლიერდა ბრძოლა არაბების წინააღმდეგ. რადგანაც არაბები სულ უფრო და უფრო ავიწროებდნენ დაპყრობილ ქვეყნებს. ამიტომ იყო რომ ქართლში აჯანყება აჯანყებას მოსდევდა, და არაბები იძულებული იყვნენ ქართველების ურჩობის გასატეხად სულ ახალ-ახალი ჯარები ეგზავნათ აქეთკენ.

მე-8 საუკუნის ოციან წლებში არაბებმა რამდენიმეჯერ დალაშქრეს ქართლი, ქვეყანა ააოხრეს და ხალხი ააწიოკეს, მაგრამ გულისწადილ მაინც ვერ ეწივნენ. ქართლი განაგრძობდა დამპყრობელების წინააღმდეგ ბრძოლას, და არაბები აქ ფეხს ვერ იკიდებდნენ. არაბების რისხვას საზღვარი აღარ ჰქონდა, და ქართველ ხალხს მათ სასტიკი სასჯელი გადაუწყვიტეს.

მართლაც, იშვიათად დასტყდომია საქართველოს თავზე ისეთი უბედურება, როგორიც 736-8 წლებში აქ არაბთა სარდალმა მურვანმა დაატრიალა. მურვანი ისედაც სასტიკი და გულქვა ადამიანი იყო, რის გამოც მას ქართველებმა „ყრუ“ შეარქვეს, ესლა კიდევ მას ქართველებს სამაგალითოდ დასჯა სურდა. იმდროინდელი ქართველი ისტორიკოსი ასე აგვიწერს ამ შემოსევას: მურვანმა მთელი კავკასია დაიპყრო, დარუბანდიდან აფხაზეთამდე, მაგრამ ეს არ იქმარა, არამედ, უმრავლესობა ქალაქები და ციხეები დაანგრია, მათ შორის ეგრისის სამ-გალავნიანი დედაქალაქი ციხე-გოჯი, აფშილეთის ქალაქი ცხუმი (სოხუმი) და სხვები. განსაკუთრებით მაინც აღმოსავლეთი ამიერკავკასია აოხრებულა — ქართლი, სომხეთი და ალბანია; აქ არც ნაშენები რამე დარჩა და არც კაცისა და პირუტყვის საშველიო. ქართლში მურვანმა დაანგრია ძველი დედაქალაქის ერთი უმნიშვნელოვანესი უბანთაგანი — არმაზი.

დასავლეთ საქართველოში არაბები მაინც ვერ გამაგრდნენ, ქართლი-კი მურვანის შემოსევამ კარგა ხნით წელში გასტეხა. ამ დროიდან იწყება არაბების ნამდვილი ბატონობა ქართლში.

§ 47. არაბთა ბატონობა ქართლში

მმართველობა და ხარკი. არაბებმა ქვეყნის სათავეში თავისი მოხელე დააყენეს, რომელიც ამირას წოდებულებას ატარებდა. ქართლის ამირა თბილისში იჯდა. ის სარდალიც იყო, ქვეყნის მმართველიცა და უზენაესი მსაჯულიც. არაბთა მთავარი რაზმი თბილისში იდგა, დანარჩენები — სხვა მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეებში.

ერისმთავრობა ქართლში არაბებს არ მოუსპიათ, მხოლოდ ერისმთავარი ამირას დაუმორჩილეს. ერისმთავარი ვალდებული იყო მოეკრიფა სა-არაბო ხარკი და ჯარი გამოეყვანა, როცა არაბები ამას მოითხოვდნენ.

არაბებს ხარკი და სამხედრო სამსახური აინტერესებდათ მხოლოდ.

ოქრახა ღეყირ ზირიჭოდს ყირი სოღახაქთა ზირი ღეყირი ჰადო ზეჟირი უღრირს ღესყირი რუჟ რუჟირს ზადოჟაქიყური ღირსი ღესოთხური ღადო ღეყირი

ნუსხა-ხუცური ხელის ნიმუში, მე-10 — მე-11 ს. ხელნაწერიდან.

საქ. მუზეუმის ხელნაწერთა განყ.

მე-8 საუკუნეში ქართლის მოსახლეობა არაბებს უხდიდა არა მარტო ჯ ი ზ ი ა თ ს, პირად გადასახადს, არამედ ხ ა რ ა ჯ ა ს ა ც. ხარაჯი საადგილმამულო გადასახადი იყო, რომელიც შეეფარდებოდა მხოლოდ სივრცეს მამულისას, და არა მის ავკარგიანობას, ნაყოფიერებას, ორივე გადასახადს ფულად ახდევინებდნენ.

არაბთა ბატონობის დამძიმება. თანდათან არაბული ხარკი სულ უფრო და უფრო მძიმე ხდებოდა. ეს იმიტომ, რომ ხალიფების სამფლობელო მეტისმეტად გაიზარდა, და მის მართვა-გამგეობას დიდი შემოსავალი სჭიროდა. ესლა დაპყრობითს ომებს ეს შემოსავალი უკვე აღარ მოჰქონდა, რადგანაც რისი დაპყრობაც შეეძლოთ, არაბებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ. ხალიფების დაცარიელებული ხაზინა მათსავე ქვეშევრდომებს უნდა შეეცნოთ.

ხარკისა და გადასახადის გადიდებას ქვეშევრდომების ურჩობა და ბრძოლა მოსდევდა. ამ ურჩობის დასათრგუნავად კიდევ დამატებითი ჯარები და ახალი მოხელეები იყო საჭირო, რაც აგრეთვე ახალ სახსრებს მოითხოვდა. განსაკუთრებით მძიმე შეიქნა არაბთა ბატონობა დაპყრობილ ქვეყნებში ხალიფების ახალი დინასტიის, ა ბ ა ს ი დ ე ბ ი ს დროს, რომელმაც ხელისუფლება მიიღო 749 წელს.

ქართლშიაც არაბების მტარვალობა და მყვლეფელობა მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში იყო განსაკუთრებით საგრძნობი. ამ საუკუნის დამლევის ქართველი მწერალი, ი ო ა ნ ე ს ა ბ ა ნ ი ს ძ ე, წერს არაბთა წესწყობილების შესახებ ქართლში: „ვართ მორწმუნენი მძლავრებასა ქვეშე დამონებულ და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქვეშე მათსა გვემულნი და ქენჯნილნი, ძვირძვირად ზღვეულნი“-ო, ესე იგი ჩვენ, ქართველები, არაბთა მძლავრობის ქვეშ მოქცეულნი, სიღარიბითა და შეუძლოებით ისე ვართ შეკრულნი, როგორც რკინით, რადგანაც საარაბო ხარკისაგან დატანჯული და დარბეული ვართო.

ბრძოლის განახლება არაბების წინააღმდეგ. გასაგებია ამა-

ტომ, რომ სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ხალხის გულისწყრომა და სიძულვილი უცხოელი დამპყრობელების წინააღმდეგ. ბრძოლა ხანგრძლივი და მსხვერპლით სავსე იყო, თუმცა ქართველებს ზოგი გარემოება ხელს უწყობდა.

ჯერ-ერთი, არაბების ძალა-უფლება უფრო ცენტრალურ თემებზე ვრცელდებოდა და მთიან რაიონებს ეგრე რიგად ვერა სწევდებოდა. ამით სარგებლობდა ხალხი, ხეობებსა და მთიანეთს თავს აფარებდა და იქიდან თავს ესხმოდა მტერსა.

სიცოცხლეს უმწარებდნენ არაბებს ხაზარებიც. ხაზარები ხშირად კავკასიონის სამხრეთითაც შემოჰქრას ახერხებდნენ და აოხრებდნენ არაბთა სამფლობელოს. 764 წელს ხაზარებს მოკლე ხნით თბილისიც დაუპყრიათ. ძველი ქართველი ისტორიკოსი გვიამბობს: ქართლის ერისმთავარს ჯუანშერს ჰყავდა და, შუშანი, სილამაზით განთქმული. ხაზართა ხაკანმა სთხოვა ჯუანშერს, შენი და ცოლად მომეც და არაბების წინააღმდეგ გიშველიო. შუშანი და მისი დედა ცივ უარზე იდგნენ, წარმართის ცოლობა როგორ იქნებაო. გაგულისებულმა ხაკანმა დააღაშქვრინა ქართლი და შუშანი და ჯუანშერი ტყვედ წააყვანინა, მაგრამ გულის წადილს მაინც ვერ ეწია: შუშანს ბექდის თვლის ქვეშ საწამლავი ჰქონდა, მოსწოვა ის და თავი მოიკლაო. დიდი მეფის არასასურველ ცოლობას ქართველმა ქალმა სიკვდილი არჩია.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე პროვინციელი არაბი ამირების ურჩობას ხალიფების მიმართ, რაც მე-9 საუკუნის დამდეგიდან იწყება. ბრძოლა ხალიფასა და ამირებს შორის ძალიან ხელს უწყობდა არაბების შინაგან დასუსტებას, რითაც დაპყრობილი ხალხები კარგად სარგებლობდნენ.

დიდი აჯანყების ცეცხლი, არაბების წინააღმდეგ, უფრო ადრე სომხეთში დაიწყო, იმიტომ რომ სომხეთში ხალხი კიდევ უფრო გაწამებული იყო. ქართველები ესმარებოდნენ სომხებს. დამარცხებული სომეხი მთავრები ქართლსა და ეგრისში პოულობდნენ თავშესაფარს. ეს გარემოება აღიზიანებდა არაბებს, რომელნიც ლტოლვილების გაცემას მოითხოვდნენ და მათს მასპინძლებს სასტიკად სჯიდნენ სოლმე.

იქნებ ასეთი მიზეზით დაისაჯა ქართლის ერისმთავარი ნეჩე, რომელიც 772-3 წელს ხალიფას თავის სატახტო ქალაქში, ბაღდადში, დაუბარებია და „ბოროტ კაცთა შესმენით“ საპყრობილეში ჩაუსვამს. ნერსე სამი წელიწადი მკლარა ბაღდადის საპატიმროში. შემდეგ ნერსე ისევ ერისმთავრად დაბრუნებულა ქართლში, მაგრამ, ჩანს, არაბებთან შეგუება მისთვის ძნელი იყო. ნერსე იძულებული გამხდარა თავისი ოჯახი და ქონება აფხაზეთში გაეგზავნა, თვითონ-კი დიდი ამალით გადავიდა ჯერ ხაზარეთში და შემდეგ აგრეთვე აფხაზეთში. ეს ამბები მე-8 საუკუნის ოთხმოცდანი წლების დამდეგს მოხდა.

ამ დროიდან მოყოლებული ქართლი, სომხეთი და ალბანია უკვე გამოქვეყნებული აჯანყების ალსა და კვამლში იყო გახვეული. ამბოხებული იყო მთელი ხალხი. მეტი წილი მთავრები, სეფეწულები და დიდი აზნაურებიც, რომელთაც ერთი ხანობა, დასაწყისში, არაბებთან თითქოს საერთო ენა ჰქონდათ გამოჩნხული, ესლა ცდილობდნენ ხალხს არ ჩამორჩენოდნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ხალიფები ჯარს ჯარზე გზავნიდნენ, ერთიმეორეზე უფრო სასტიკი ამირების მეთაურობით, და შეუბრალებლად უსწორდებოდნენ აჯანყებულებს, მაგრამ მოძრაობა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

ამ დიდ სახალხო მოძრაობას ქართლში თავისი მქადაგებლები და იდეოლოგები ჰყავდა. მათ შორის პირველი იყო იოანე საბანისძე. საბანისძემ ასწერა ერთი ქაბუკი არაბის, აბო ს, ცხოვრება. აბო ქართლის ერას-მთავრის ნერსეს მსახური იყო. მან ისლამს თავი დაანება და ქრისტიანობა მიიღო. ქართლის ამირამ აბო სიკვდილით დასაჯა (786 წ.), რადგანაც აბომ უარი თქვა ისევ ისლამს დაბრუნებოდა, რასაც მისგან არაბები მოითხოვდნენ.

საბანისძის ძაღვმბა. საბანისძემ გამოიყენა აბოს წამების ამბავი, რათა თავის თანამემამულეებში ეროვნული სიამაყის შეგნება გაეღვივებინა: აი, როგორია ჩვენი რჯული, ჩვენი წესი და ქვეყანა, რომ გაბატონებული ხალხის შვილი ჩვენკენ გადმოდის და თავსაც-კი სდებს ახალი სამშობლოსათვისო.

საბანისძე მიზნად ისახავდა გაემხნევებინა მერყეენი და სუსტნი, რომელნიც „შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“, არაბების ძალმომრეობის გამო. საბანისძეს სურდა კვლავ მშობლიურ კერას დაბრუნებოდნენ ისინი, ვინც არაბებმა უკვე „შეაცთუნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა“ დაშინებით, ვერაგობით, მოსყიდვით, „რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუებით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკვარებით“-ო. ლამის ჩვენი საკუთარი სახე დაგვეკარგოს და უცხო ხალხში გავითქვიფოთო, მრისხანე გულისწუხილით მოსთქვამდა საბანისძე: „აღვერიენით ერსა უცხოსა“-ო.

იოანე საბანისძისა და მისი მსგავსი მქადაგებლების მოწოდება ამტკიცებდა სახალხო თვითშეგნებას, აკაუბდა მებრძოლთა სულისკვეთებას ეროვნული განთავისუფლებისათვის.

მრისმთავრობის მოსვლა ქართლში. განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა დამპყრობელებსა და დაპყრობილებს შორის მე-8 საუკუნის მიწურულსა და მე-9 საუკუნის დამდეგს. ყველაზე დაუნდობელი იყო ეს ბრძოლა ქართლის შუაგულ თემებში და, საერთოდ, ბარის ცენტრალურ რაიონებში. მე-9 საუკუნის დამდეგს არაბებმა მოსპეს ქართლის ერის-მთავრობა და ძველი ქართველი არისტოკრატია, სეფეწულები და დიდ-დიდი აზნაურები, თითქმის მთლიანად გაელიტეს. ამ რაიონებში, განსა-

კუთრებით მტკვრის გაყოლება, საერთოდ მოსახლეობა ძალიან
 რაღდა. მაგრამ ბრძოლა მაინც გრძელდებოდა განაპირა თემებში,
 ქართველები, — როგორც ადგილობრივი მკვიდრნი, ისე სხვა
 დან შემოხიზნულნი, — ჩვეულებრივად მწარედ ამარცხებდნენ უცხოელ
 მოძალადეებს.



„არაბული“ ციფრები მე-10 ს. ქართულ ხელნაწერში (იკითხება
 მარჯვნიდან მარცხნივ).

ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის

§ 48. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოშობა საქართველოში

კახეთი. თუმცა არაბებმა საბოლოოდ მოსპეს ქართლის ერისმთავრობა, რომელმაც ორი საუკუნე იარსება, მაგრამ ხალხმა მაინც მოახერხა თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება ქართლის განაპირა თემებში. მათ შორის ყველაზე ადრე გაძლიერდა კახეთი, რომელიც არაგვიდან იწყებოდა.



აქ ივრისა და ალაზნის ნოყიერ ხეობებში, განსაკუთრებით ამ ხეობების ზემოთა ნაწილში, ხალხი თავს უფრო გულმშვიდად გრძნობდა, თავისუფლად ცხოვრობდა და შრომობდა. მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში კახეთში ხალხი ძალიან მომრავლებული და შეძლებულიც იყო. პისდედნენ კახელები მიწათმოქმედებას, კერძოდ — ქვევინახეობას, და მესაქონლეობას ფართოდ. კახელები საუცხოო ცხენსა და ცხვარს აშენებდნენ და მრავალრიცხოვანი ჯოგ-ფარების პატრონები იყვნენ. ხარბ ღამბურთელებს კახელების სიმდიდრე ძალიან იზიდავდა ხოლმე, მაგრამ საკმარისი იყო კახეთის ხეობებში არაბები გამოჩენილიყვნენ, რომ უშიშარი და ამაყი მთიელები მათ თავს ესხმოდნენ და მუსრს ავლებდნენ.

მე-8 საუკუნის შუა წლებიდან კახეთი აინუნშიაც არ ავდებდა არაბებს. არაბული ცნობებით, კახელები ამ დროს ყველაზე საშიში მტერი იყვნენ არაბებისათვის ამიერკავკასიაში. მართლაც, სისხლისმღვრელ ბრძოლებში, არაბებსა და კახელებს შორის რომ ხშირად ხდებოდა, გამარჯვება ჩვეულებრივად კახელებს რჩებოდათ. მე-8 საუკუნის მეორე ნახევარშივე კახელებმა უკვე თავისი მთავარიც გაიჩინეს და საკუთარი მართვა-გამგეობა მოაწყვეს.

აფხაზეთი. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ამ დროისათვის — საცლეთ საქართველოშიაც. როგორც ვიცით, მე-9 საუკუნის დამდეგიდან აბაზგების სამთავრო ეგრისის სამეფოდან გამოყოფილი იყო და ბიზანტიის კეისარს ემორჩილებოდა უშუალოდ. ეს მთავრები შემდეგში კეის-

რებმა თავის ერისთავებად აქციეს აფხაზეთში. მე-8 საუკუნეში აფხაზეთი უკვე მჭიდროდ დასახლებული, ღონიერი და მშვიდობიანობით მოსახლეობდა. გეგლე ქვეყანა იყო.

მე-8 საუკუნის დამლევს ბიზანტიაში დიდი შინაური შფოთი და არე-დარევა ატყდა. ამით ისარგებლა აფხაზთა ერისთავმა ლეონ მეორემ, მოიერთა ძალა ხაზართა მეფისაგან, რომლის ასულის შვილიც იგი იყო, და თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. ამ დროს ძველი ეგრისის სამეფო დაუძლურებული იყო. აფხაზთა ერისთავმაც ადვილად დაიპყრო ეგრისი და არგვეთი.

ლეონმა და მისმა მემკვიდრეებმა თავის სატახტო ქალაქად ქუთაისი, დღევანდელი ქუთაისი, აირჩიეს: ახალი სამთავროს ვრცელ ტერიტორიას ცენტრად ქუთაისი უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ძველი ციხე-გოჯი. გარდა ამისა, ქუთაისი მნიშვნელოვან გზებზე მდებარეობდა. ამის შემდეგ აფხაზთა ერისთავმა „მეფის“ წოდებულზეც მიიღო.

დინასტიის მიხედვით დასავლეთ საქართველოს ამ ახალ სამთავროსაც „აფხაზთა სამეფო“ ეწოდა. თვით მოსახლეობის შემადგენლობაში დიდი ცვლილებები არ მომხდარა. მე-9 — მე-10 საუკუნეებშიაც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ისევ საკუთრივ ქართველ ტომები — ქართვები, მეგრელები და სვანები შეადგენდნენ.

ბაღ-კლარჯიში. ყველაზე გვიან ახალი ქართული ფეოდალური სამთავრო სამხრეთ საქართველოში ჩამოყალიბდა. მისი დამაარსებელი აშოტ ბაგრატიონი იყო.

ბაგრატიონების განთქმული საგვარეულო წარმოშობით სპერის (ეხლანდელი ისპირის; ამჟამად თურქეთშია, ქალ. ბაიბურდის მისადგომებში) პროვინციიდან იყო, ამ ძველის-ძველი ქართული თემიდან. თავისი წინდახედული, მოქნილი მოქმედებით ბაგრატიონებმა დიდი გავლენა მოიპოვეს მე-6—მე-8 საუკუნეებში. ერთი მათი შტო სომხეთში დაწინაურდა, მეორე — ქართლში. ორივეგან ბაგრატიონებმა მთავრობასა და მეფობას მიაღწიეს, ხოლო საქართველოში სამეფო ხელისუფლება შეინარჩუნეს მე-19 საუკუნის დამდეგამდე.

ქართლის ბაგრატიონთა წარმომადგენელი, აშოტი, არაბთა სამსახურში ყოფილა თბილისში მე-9 საუკუნის დამდეგს. მაგრამ აშოტი ვერ შესწყობია არაბებს და თავისი ოჯახითა და ამალით ქოროხის ხეობაში, შავშეთისა და კლარჯეთის თემებში, გადასულა. რადგანაც ეს ხეობა მაშინ ბიზანტიის საზღვრებში ითვლებოდა, ამიტომ აშოტმა თავისი თავი კეისრის ვასალად აღიარა, კუჩაპალატის ტიტული მიიღო და სამთავროს ორგანიზაციას შეუდგა.

თავის მთავარ საჯდომად აშოტმა ძველი ციხე-ქალაქი არტანუჯი აირჩია, რომელიც თვითონვე განაახლა. აშოტის მიერ დაარსებულ სამთავროს ჩვეულებრივად ტაო-კლარჯეთის სამთავროს

ეძახიან, იმიტომ რომ მის ძირითად ოლქებს ტ ა ო დ ა კ ლ ა რ ჯ ე-
თ ი შეადგენდნენ.

აშოტ კურაპალატი მოჰკლეს 826 წელს.

§ 49. თბილისის ამირას განდგომა ხალიფასაგან და თბილისის საამიროს დაკნინება

მე-9 საუკუნის დამდეგიდან თბილისის ამირებმა, ისევე როგორც
სახალიფოს სხვა ადგილობრივმა მმართველებმა განაპირა ქვეყნებში, ხა-
ლიფების ურჩობა და განზე წევა დაიწყეს. ეს ამირები ყურს აღარ ათხო-
ვებდნენ ცენტრალური მთავრობის განკარგულებას და ქვეყნიდან მოკრე-
ფილ ხარკს ცენტრში კი არ გზავნიდნენ, არამედ თვითონ ითვისებდნენ.

ასეთივე მიდრეკილება გაუჩნდათ თბილისის ამირებსაც. უკვე მე-9
საუკუნის ოციან წლებში გადასდგომია ხალიფას თბილისის ამირა. მაგრამ
განსაკუთრებით ძლიერი აღმოჩნდა მომდევნო ამირა, ს ა ჰ ა კ ი, რო-
მელსაც კახელები უმაგრებდნენ ზურგს. საჰაკის ურჩობა თითქმის თხუთ-
მეტი წელი გაგრძელდა. გაგულისებულმა ხალიფამ საქართველოში 853
წელს დიდი ჯარი გამოგზავნა, ბ უ ლ ა თ უ რ კ ი ს მეთაურობით. ბუ-
ლამ, ზოგი ადგილობრივი მთავრის დახმარებით, დაამარცხა საჰაკი და მისი
მოკავშირეები, აგვისტოს თვეში აიღო თბილისი, დასწვა იგი და მცხოვ-
რებნი გაჟლიტა. სიკვდილით დასჯილ იქნა საჰაკიც. არაბული ცნობებით,
ამ ამბების დროს თბილისში 50.000 კაცი დაღუპულა. აქედან ჩანს, თუ
რამდენად დიდი ქალაქი ყოფილა მაშინ თბილისი.

ამის მიუხედავად, თბილისის ამირები მეცხრე საუკუნის დამლევიდან
უკვე ფაქტიურად აღარ ემორჩილებიან ხალიფას. მორჩილება გარეგნუ-
ლად მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ერთი ხანობა კიდევ თბილისის
ამირები ფულს ხალიფას სახელით სჰრიან.

უკანასკნელად ამიერკავკასიის დამორჩილება ხალიფამ მე-10 საუკუ-
ნის დამდეგს სცადა. 914 წელს აქ მოვიდა დიდი ჯარით ხალიფას სარდა-
ლი ა ბ უ ლ -კ ა ს ი მ ი. მან აიღო კახეთის ციხეები უ ჯ ა რ მ ა და
ბ ო ჭ ო რ მ ა და მოაოხრა ს ა მ ც ხ ე და ჯ ა ვ ა ხ ე თ ი. მიზანი
ამ შემოსევისა იგივე იყო: ურჩების დამორჩილება, ძველი და ახალი ხარ-
კის მოკრეფა. მაგრამ ვერც ამ ლაშქრობამ უშველა ხალიფებს და მათი
გავლენა ამიერკავკასიაში მე-10 საუკუნის შუა წლებიდან სრულიად მო-
ისპო. დარჩნენ მხოლოდ ადგილობრივი ამირები, როგორც, მაგალითად,
თბილისის ამირა, რომელნიც ესლა სხვა, ადგილობრივ დიდ ფეოდალებში
აღარ გამოირჩეოდნენ.

თბილისის საამიროს ამ დროს მეტად შემცირებული იყო. საამიროს
საზღვრები ვიწროვდებოდა ქართული სამთავროების — კახეთის, ტაო-
კლარჯეთისა და აფხაზეთის — შემოტევის წყალობით.



საზოგადოებრივი წყობილება. მე-7, მე-8 და მე-9 საუკუნეების სიგრძეზე საქართველოში ფეოდალური წყობილება კიდევ უფრო გაღლიერდა.

იმ დროისათვის აზნაურები, რომელნიც ეხლა სავსებით გაბატონებულ წოდებას შეადგენდნენ, სხვადასხვანაირი იყვნენ. ვისაც აზნაურობა მთავრობის მომავლობით, მამა-პაპით ჰქონდა მიღებული, იმას „ნათესავით აზნაურს“ ეძახდნენ. მაგრამ აზნაურობა შეიძლებოდა ზოგჯერ მეფის სამსახურითაც მოგზოვებინათ. ასეთი მსახურეული აზნაურები იწოდებოდნენ „მეფის აზნაურებად“. ყველაზე მდიდარსა და ძლიერ აზნაურებს დიდებულის აზნაურები ერქვათ.

აზნაურებზე დაბლა მსახურნი იდგნენ. ეს ისეთი თავისუფალი ადამიანები იყვნენ, რომელნიც მეფეების ან დიდი აზნაურების სამსახურში იმყოფებოდნენ. მეფის მსახურებს ტაძრეულებსაც ეძახდნენ.

ზოგი აზნაური სხვა, უფრო ძლიერ, აზნაურზე იყო დამოკიდებული და „წინაშე მდგომელი“ ან „საკუთარი“ იწოდებოდა.

მოსახლეობის უმრავლესობას სოფლის მიწის მუშები შეადგენდნენ, რომელთაც ჩვეულებრივად მდბიურებს ეძახდნენ. ისინი ამა თუ იმ მთავარსა და დიდ აზნაურს ემორჩილებოდნენ. ასეთი მთავარი და დიდი აზნაური მდბიურების „უფალი“ იყო. ამ უფალს ეკუთვნოდა დაბა, ესე იგი, სოფელი, მთელი თავისი მიწა-წყლით. მდბიურებზე უფრო დაბლა გლეხები იდგნენ, რომელნიც უფალთა სრულ საკუთრებას შეადგენდნენ.

მე-10 საუკუნის დამდეგს საქართველოს მოწინავე თემებში მიწების უდიდესი ნაწილი უკვე მთავრებსა და აზნაურებს ჰქონდათ დაჩემებული. მაგრამ ხალხის მიწა-წყლის მითვისება და ფეოდალურ მამულებად გადაქცევა უბრძოლველად არ მომხდარა.

ბრძოლა მიწისათვის. როცა მე-6 საუკუნეში საქართველოში ფეოდალური სახელმწიფო ჩამოყალიბდა, ესე იგი, როცა მთავრებმა და აზნაურებმა მთელი მართვა-გამგეობა ხელში ჩაიგდეს, მათ ეს ძალა ხალხისათვის ადგილ-მამულის წასართმევად გამოიყენეს. თუმცა ხალხი გაათრებით იცავდა თავის უფლებებს და მამაპაპეულ მიწა-წყალს უსისხლოდ არავის უთმობდა, მაგრამ უპირატესობა აზნაურების მხარეზე იყო, ისინი უკეთ იყვნენ შეიარაღებულნი და დარაზმულნი. ამიტომ ხალხმა თანდათანობით დაკარგა თავისი სათემო თუ კერძო-სამფლობელო ადგილ-მამული. აზნაურებმა ხალხს ჯერ სახნავ-სათესი მიწები წაართვეს, რომლებსაც ყველაზე მეტი შემოსავალი მოჰქონდა, შემდეგ — სათიბ-საძოვრები და, ბოლოს, ტყის მიწებმაც მოინდომეს.

ფეოდალურ ხანაში სიმდიდრის მთავარი წყარო სწორედ მიწა იყო. ვინაც ყველაზე დიდი მამული ჰქონდა, ყველაზე მდიდარი და ძლიერიც იყო. ამიტომ მიწის გულისათვის თვითონ აზნაურებიც ებრძოდნენ ერთმანეთს.

ბრძოლა წარმოებდა მთავრებსა და ეკლესიას შორისაც მამულების გულისათვის. ამ დროისათვის ქრისტიანულმა ეკლესიამაც დიდძალი ადგილ-მამული შეაგროვა. მე-7 საუკუნის დამდეგს ქართლის ერისმთავრებმა სცადეს წაერთმიათ ეკლესია-მონასტრებისათვის მათი მამულების ნაწილი, რასაც მწვავე ბრძოლა მოჰყვა.

დასასრულ, მან შემდეგ, რაც მე-8 საუკუნის დამლევსა და მე-9 საუკუნის დამდეგს საქართველოში ახალი ფეოდალური სამთავროები აღმოცენდა, ბრძოლა დაუწყეს ერთმანეთს ქართველმა მთავრებმაც. თითოეული მთავარი ცდილობდა საკუთარი ტერიტორიის, სამფლობელოს გაფართოებას მეზობელი მთავრის ხარჯზე. ეს ბრძოლა გაგრძელდა მთელი მე-9 საუკუნე და მე-10 საუკუნის მეტი ხანი და საქართველოს გაერთიანებით დამთავრდა. საქართველოს გაერთიანება უკვე მთელი ქვეყნის განვითარების საპირობას უზასუხებდა, და არა მარტო ცალკე მთავრების ინტერესებს.

§ 51. სამთავროების გაერთიანების აკონომიური პირობები

მე-9 — მე-10 საუკუნეებში ჩვენი ქვეყანა გაიზარდა და გაძლიერდა ეკონომიურად. მართალია, არაბთა შემოსევებმა მე-8 საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით, მურვან ყრუს ლაშქრობამ, შეამცირა მოსახლეობა და გაანადგურა მისი მეურნეობა ბარის ზოგიერთ რაიონში, მაგრამ ორასი წლის განმავლობაში ხალხმა აქაც შესძლო ხელახალი დამკვიდრება და მეურნეობის გაჩენა.

არაბებისაგან დაცული განაპირა რაიონები-კი წინ მიდიოდა უფრო სწრაფი ნაბიჯით. სიცოცხლისა და თავისუფლების სიყვარული, შრომის-მოყვარეობა და ძველისძველი კულტურული გამოცდილება იყო იმის მიზეზი, რომ ხალხი ამ განაპირა თემებში ახერხებდა თავისი მეურნეობის ფართოდ გაშლას, სამოქალაქო ცხოვრების გაჩაღებასა და მარჯვედ თავის დაცვასაც ხანდახან კარზე მომდგარი მტრისაგან.

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მე-9 — მე-10 საუკუნეებში, განსაკუთრებით მე-9 საუკუნის მეორე ნახევრიდან, დიდი ომები, როგორიც იყო, მაგალითად, ბულა თურქის შემოსევა, იშვიათი გახდა. ჩვეულებრივად იმდროინდელი ომები პატარა ცხენოსანი რაზმების ერთი შეტაკებით თავდებად ხოლმე. ამგვარი შეტაკება იშვიათად თუ გაგრძელდებოდა ერთ დღეზე დიდხანს. უეცრად შემოსული მტერი ასევე ქრებოდა, რადგანაც ყოველთვის მამაცი ხალხის შეუღრეკელ წინააღმდეგობას აწყდებოდა.


ამიტომ იყო რომ მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-10 საუკუნეში ეს ომები ეგრერივად ვეღარ აბრკოლებდნენ მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და მშენებლობას.

ამრიგად, კახეთი, ტაო-კლარჯეთი, აფხაზეთი გაიზარდნენ და გაშენდნენ მე-9 საუკუნისათვის. როცა, მე-9 საუკუნის დამდეგს, არაბებმა ზღვი დასდეს კახელებთან, კახელებმა არაბების მოთხოვნით ივისრეს მიეცათ მათთვის სამი ათასი ფაშატი ცხენი და ოცი ათასი ცხვარი. ეს მოწმობს თუ როგორი დიდი რაოდენობით აშენებდნენ კახელები იმ დროს საქონელს. შემდეგშიაც კახეთი განთქმული იყო თავისი ცხენებითა და თავისი ცხვრით. კახური ჯიშის ჩამომავალია ეხლანდელი საყოველთაოდ ცნობილი თუშური ცხვარი. კახეთის იმდროინდელი სიმდიდრის უტყუნაშთია ხუროთმოძღვრების ძვირფასი ძეგლები, რომლებითაც მოუწონია კახეთის მიწა-წყალი.

მე-9 — მე-10 საუკუნეებში აფხაზეთი ყველაზე მყუდროდ დაცული სამთავრო იყო. ზალხის გამრავლებასა და მის ცხოვრებას გარეშე მტერი ზელს არ უშლიდა. იმდროინდელი მატერიალური კულტურის ნაშთი მ ა რ ტ ვ ი ლ ი ს შესანიშნავი ტაძარი ქ ყ ო ნ დ ი დ შ ი, განახლებულ-გადაკეთებული აფხაზთა მეფის გ ი ო რ გ ი ს მიერ მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში, მ ო ქ ე ს დიდებული ტაძარი, აშენებული აფხაზთა მეფის ლ ე ო ნ ი ს მიერ მე-10 საუკუნის შუა წლებში, და სხვა ძეგლები.

აფხაზეთს წააცილებდა თავისი სიმდიდრით ტაო-კლარჯეთი. ერთი აქაურ ქართველ ტომთაგანი, მესხების სახელით ცნობილი, როგორც ვიცით, უძველეს დროშიაც განთქმული იყო თავისი მიწათმოქმედებით. პური, მაგალითად, მესხებს და ტაო-კლარჯეთის სხვა ქართველ ტომებს (კლარჯებს, შავშებს...) იმდენი მოჰყავდათ, რომ საზღვარგარეთაც გაჰქონდათ. მესხეებდნენ ისინი მევენახეობა-მეღვინეობასაც და ბლომად აშენებდნენ აგრეთვე შინაურ საქონელს.

იმდროინდელი ტაო-კლარჯეთის ქონებრივი შეძლებისა და კულტურული განვითარების ცოცხალი მოწმეა ისეთი შესანიშნავი ძეგლები არქიტექტურისა, როგორიცაა ო შ კ ი ს, ი შ ხ ა ნ ი ს, ბ ა ნ ა ს, ხ ა ხ უ ლ ი ს ტაძრები. რა სახსარი სჭიროდა ასეთი ტაძრების აშენებას, ეს კარგად ჩანს ოშკის ტაძრის წარწერიდან. ამ წარწერაში ნათქვამია, რომ კალატოზების, მუშებისა და მუშა-საქონლის ქირა ყოველწლიურად შეადგენდა ოცი ათას ღრამას. ღრამა ვერცხლის ფული იყო და უდრის დაახლოებით 20 — 25 კაპეიკს ოქროთი. 20.000 ღრამა 4.000 მანეთზე მეტია ოქროთი. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ იმ დროს ფული ბევრად უფრო ძვირი იყო, ვიდრე ახალ ხანაში. გარდა ამ ფულისა, ღვინო დაუხარჯავთ ყოველწლიურად ხუთი ათასი საწყაო, ხორბალი 250 გრივი (დაახლოებით — 10.000 კილოგრამი) და რკინა 50 ლიტრა (დაახლოებით — 20 კილოგრამი). შემდეგ წარწერა გვაუწყებს, რომ ტაძრის მშენებლობაზე



ოშკი, X ს. (ამჟამად თურქეთის საზღვრებში).


ფოტო ერიკოვიძის.

მუდმივად მუშაობდა 70 კალატოზი, ხურო და მკედელი, ქვისმზიდავი ხარი — 30, ჯორი და სხვა საკიდარი საქონელი — 30 და სხვა.

მოსახლეობის გამრავლება და მისი მეურნეობის გაფართოება იწვევდა სხვადასხვა კუთხეების დაახლოების საჭიროებას. ერთი კუთხე ერთი საქონლით იყო მდიდარი, მეორე — სხვა რამით. ზოგან საუკეთესო ჭურჭელს აკეთებდნენ, მეორე ადგილას კარგ შალის ქსოვილებს ქსოვდნენ.

მესამეგან — მადანს სთხრიდნენ და იარაღს სჭედდნენ, სხვები კიღეც სჭედდნენ მასალას ამზადებდნენ, წისქვილის ქეებს სთლიდნენ და მრავალ სხვა ხელობას მისდევდნენ. განვითარდა ხელოსნური წარმოება. მთიულეთში ბარში ჩადიოდნენ პურისა და ღვინისათვის და თან მათ თავისი მეურნეობის ნაყოფი ჩაჰქონდათ, მესაქონლეობაც ხელს უწყობდა მოძრაობას. ჯოგებს საზატხულო საძოვრები ერთ ადგილას ჰქონდათ, საზამთრო-მეორეგან. „ნინოს ცხოვრებაში“, რომელიც ამ დროს არის დაწერილი, აღწერილია თუ როგორ აძოვებენ ჯავახეთში თავის ჯოგებს არაგველი მწყემსები. ყოველივე ეს იწვევდა საქართველოს სხვადასხვა თემების ურთიერთობას, შინაგან გაცვლა-გამოცვლასა და ალებ-მიცემას.

ფართოდ იყო იმ დროს განვითარებული საგარეო ვაჭრობაც. ქართულ სამთავროებს მაშინ სავაჭრო კავშირი ჰქონდათ მრავალ უცხო ქვეყანასთან.



მუშის საათი (დოლისყანა, X ს.).

თან. ბიზანტიური ცნობით, მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში კლარჯეთის დედაქალაქი არტანუჯი ძალიან ძლიერი სიმაგრე და დიდი ქალაქი იყო. აქ მოაქვთ საქონელი ტრაპიზონიდან, იბერიიდან, აბაზგიიდან, მთელი სომხეთიდან და სირიიდან. არტანუჯი მეტად ფართო ვაჭრობას აწარმოებს ამ საქონლით; თვითონ კლარჯეთიც დიდი და უხვი ქვეყანაა და გასაღებია იბერიისა, აბაზგიისა და მესხეთისათვის.

თუ როგორ შორსმდებარე ქვეყნებთან ჰქონდათ ქართველებს კავშირი იმ დროს, გვიჩვენებს ის ფაქტი, რომ ქართული ფული, ტაო-კლარჯეთში მოჭრილი მე-10 საუკუნეში, ნაპოვნია რუსეთის ჩრდილოეთ რაიონებში და ბალტიკის ზღვის ნაპირებზე.

ასეთი გაცხოველებული საშინაო და საგარეო ურთიერთობისათვის დიდი დაბრკოლება იყო მრავალი სამთავროს არსებობა საქართველოში. ყოველ სამთავროს საკუთარი საზღვრები ჰქონდა, ყოველ მთავარს საკუთარი საბაჟო. ამიტომ ვაჭრებს ბაჟი რამდენიმე ადგილას უნდა გადაეხადათ, ისევე როგორც ხელოსნებსა და სოფლის მეურნეებს, რომლებსაც საქონელი, სხვისი თუ საკუთარი ნაწარმოები, ერთი კუთხიდან მეორეში გადაჰქონდათ. მეჯოგეებიც-კი, რომელნიც საქართველოს ერთი თემიდან მეორეში გადადიოდნენ საზაფხულო თუ საზამთრო საქმეების გულისათვის, ასეთსავე მდგომარეობაში იყვნენ.

ამიტომ იყო, რომ მრავალი სამთავროს არსებობა ხელს უშლიდა ჩვენი ქვეყნის განვითარებას და უკმაყოფილებას იწვევდა მოსახლეობაში. აუცილებელი იყო ერთიანი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც უფრო კარგად დაიცავდა ქვეყანას გარეშე მტრისაგან, მოსპობდა დაქსაქსულობას და შინაგანს მტკიცე წესრიგს დაამყარებდა.


§ 52. სამთავროების ბრძოლა პიკველოზისათვის

სამთავროების ბრძოლა უკვე მე-9 საუკუნის დამდეგიდანვე დაიწყო. ამ ბრძოლაში საკუთრივ ქართველ მთავრებს გარდა მონაწილეობდა თბილისის ამირაც, და ხშირად ერეოდნენ შიგ აგრეთვე სომეხი მთავრებიც. ჩვეულებრივად, მთავრები ჯგუფ-ჯგუფად ირაზმებოდნენ ხოლმე, მაგრამ გუშინდელი მოკავშირე შესაძლებელია ხვალ მტრად გადაქცეულიყო და პირ-უკუ.

დაიწყო ბრძოლა კახეთის მთავარმა, რომელმაც მე-9 საუკუნის დამდეგს ქართლის ერთი ნაწილი დაიპყრო. მაგრამ კლარჯეთის მფლობელმა აშოტ კურაპალატმა სძლია კახელებს და ქართლიც თვითონ დაიჩემა.

აშოტის სიკვდილის შემდეგ მისი მცირეწლოვანი შვილები არაბებმა დაჩაგრეს, ქართლიც წაართვეს მათ და კლარჯეთიც დახარკეს. მდგომარეობა გამოასწორა აშოტის მემკვიდრემ, ბაგრატ კურაპალატმა (826 წ. — 876 წ.), რომელიც ეხმარებოდა ხალიფას სარდლებს გამდგარი თბილისის ამირას წინააღმდეგ. ამ დახმარებისათვის არაბებმა ბაგრატს კვლავ მისცეს ქართლი. მარჯვედ იქცეოდა ბაგრატ კურაპალატის უმცროსი ძმა გვარამიც, რომელიც მამფალის ტიტულს ატარებდა და რომელსაც დაუპყრია ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტანი.

აშოტ კურაპალატის სიკვდილის შემდეგ აშოტის სამფლობელო ერთმანეთში გაიყვეს მისმა შვილებმა. მართალია, კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულოს ერთი წარმომადგენელი გვარის უფროსად ითვლებოდა და ჩვეულებრივად კურაპალატის წოდებულებას ატარებდა, მაგრამ საგვარეულოს სხვა შტოებიც სამთავრო უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი და სათანადო ტიტულებითაც შემკობილნი, — ზოგი მამფლად



კლდეკარის გასასვლელი.

აწოდებოდა, ზოგი ერისთავთ-ერისთავად, ზოგი მაგისტროსად.

მე-9 საუკუნის დამლევს აშოტის შთამომავლობაშიაც შინაური ბრძოლა გაიშალა ადგილ-მამულისა და ძალა-უფლებისათვის. თავდაპირველად ბრძოლა ატყდა თრიალეთის გამო. მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში თრიალეთში ჩამოსახლდა ერთი დიდი აზნაური, ლიპარიტი, ბაღვაშთა საგვარეულოს წარმომადგენელი, რომელსაც მამული ჰქონდა არგვეთში, კაცხში. ლიპარიტმა თრიალეთის ქედის უღელტეხილზე, სადაც შიდა ქართლიდან ჯავახეთისაკენ მნიშვნელოვანი გზა გადადიოდა კლდეში გაჭრილ კარებში, ეგრეთწოდებულ კლდე-კარში, ააშენა მაგარი ციხე და დააარსა შემდეგში კარგად ცნობილი კლდე-კარის საერისთავო. ლიპარიტმა თავის პატრონად გამოაცხადა ბაგრატ კურაპალატის შვილი, დავით კურაპალატი. ეს იწყინეს გვარამ მამფლის შვილებმა, რომელნიც თრიალეთს თავის მამულად სთვლიდნენ, და დავით კურაპალატი 881 წელს მოჰკლეს. ამ შფოთსა და არეულობაში, რომელმაც დაასუსტა კლარჯეთის სამთავრო სახლი, ამოწყდა გვარამ მამფლის შთამომავლობა.

მე-9 საუკუნის დამლევს საქართველოში ერთგვარი წონასწორობა დამყარდა. მოკლული დავით კურაპალატის შვილმა, ადარნასემ, 888 წელს ქართველთა მეფის წოდებულება მიიღო. ამრიგად კვლავ

ადღგენილ იქნა, თუმცა ახალი შინაარსით, ქართლის მეფეების უძველესი ტიტული.

ქართლისათვის ბრძოლა განაზღვრა მე-10 საუკუნის დამდეგს. ქართლს საქართველოს გული იყო, და საქართველოში გაბატონების მოსურნე ყველაზე ადრე სწორედ ქართლს უმიზნებდნენ. მე-10 საუკუნის პირველ წლებში ქართლი ჯერ აფხაზთა მეფემ კონსტანტინემ დაიპყრა.

თუმცა არაბების 914 წლის შემოსევამ აბულ-კასიმის მეთაურობით კონსტანტინე აფხაზთა მეფეს უკან დაახევინა მცირე ხნით, მაგრამ მალე იგი კვლავ შეუდგა ახალი ადგილების დაპყრობას. ეხლა კონსტანტინე კახეთის მთავრებს დაუკავშირდა, რომელნიც ამ დროს უკვე ქორეპისკოპოსის ტიტულს ატარებდნენ. მოკავშირეებმა ჰერეთი¹ და იპყრეს და გაინაწილეს.

განსაკუთრებით გაძლიერდა აფხაზთა სამეფო კონსტანტინეს შვილის გიორგის დროს. გიორგიმ კახეთის ნაწილი თავის გავლენას დაუმორჩილა. ჩრდილო-დასავლეთით კიდევ აფხაზთა მეფეს ჯიქეთი ეკუთვნოდა, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა. გიორგის თაოსნობით მიიღეს ქრისტიანობა აღანებმა. ამით გიორგი მეფეს თავისი გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაშიც გადაჰქონდა. ასევე ძლიერი იყო აფხაზთა სამეფო გიორგის შვილის ლეონის დროსაც. ლეონ მეფის გავლენა უკვე ჯავახეთსაც სწვდებოდა. მაგრამ ლეონის სიკვდილის შემდეგ მის შვილებს შორის დიდი უთანხმოება და შფოთი ჩამოვარდა. აფხაზთა სამეფო ეხლა ადგილს ტაო-კლარჯეთს უთმობს.


§ 53. მეფეთა-მეფე დავით მმსაგე, კურაპალატი

ტაო-კლარჯეთი მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში. როგორც ვნახეთ, ტაო-კლარჯეთის მფლობელები უკვე მე-9 საუკუნის შუა წლებიდან იყვნენ აფხაზთა მეფეების მთავარი მეტოქეები. მაგრამ განსაკუთრებით გაძლიერდა ტაო-კლარჯეთი მე-10 საუკუნეში. ამ საუკუნის პირველ ნახევარში ტაო-კლარჯეთის სამხრეთი, საზღვარი ვრცელდებოდა მდ. არაქსის ზემო წელამდე, სადაც ტაო ბიზანტიას ემიჯნებოდა. თუმცა ამ დროსაც ტაო-კლარჯეთის მფლობელები ღებულობდნენ კურაპალატი-სა და მაგისტროსის ტიტულებს ბიზანტიის იმპერატორებისაგან, მაგრამ ფაქტიურად ისინი სრულიად დამოუკიდებელი იყვნენ.

როცა კლარჯეთის ერთ-ერთმა ბაგრატიონმა, თავისი ნათესავების მტრობით, მე-10 საუკუნის ოციან წლებში ფარულად გადასცა ციხე არტანუჯი კეისარს, და კეისარის მოხელემ არტანუჯის კედელზე ბიზანტიის დროშა აღმართა, ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია დანარჩენ ბაგრატიონ-

¹ ჰერეთს ქართველები ძველი ალბანიის დასავლეთ ნაწილს ეძახდნენ.

ნებში, რომელნიც ციხეს თავის საგვარეულო საკუთრებად სთვლიდნენ. კეისარმა მაშინვე გადათქვა თავისი მონაწილეობა ამ საქმეში, ყველაფერი ჩემი ბრწყინვალე მოხელის ბრალიაო, და საჩქაროდ გაიყვანა თავისი რაზმი ციხიდან.



დავით III-ის ჯვარი.

ტაო-კლარჯეთის ქართველები ამ დროს დიდ როლს თამაშობდნენ თვითონ ბიზანტიის იმპერიაშიაც. ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი გელცერი ამბობს, რომ უკვე მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში ქართველები და სომხები „მსოფლიო-ისტორიული ვითარების ბატონ-პატრონე“



დავით III-ის ჯვრის ასომთავრული წარწერა: „ქრისტე, აღიდე დღევანდელთა დავით კურაპალატი“...

ბი იყვნენ. ამ ერების მამაცმა და ჭკვიანმა შვილებმა მიაღწიეს ხელმძღვანელ მდგომარეობას აღმოსავლეთ-რომის იმპერიის როგორც სარდლობაში, ისე მთავრობაში და ღირსეულადაც ეჭირათ იგი“-ო. მე-10 საუკუნის მეორე ნახევარში, იმავე გელცერის მტკიცებით, ბიზანტიის იმპერიაში „ყველა უმნიშვნელოვანესი სამხედრო თანამდებობა გამოუკლებლივ სომხებსა და ქართველებს ეჭირათ“. მართლაც ამ დროს, დავით კურაპალატის მეფობაში, ტაო-კლარჯეთი დიდი და ძლიერი სამეფო გახდა.

დავით მეფე. დავითი ჭკვიანი და მხნე კაცი იყო. მას დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი მთელ აღმოსავლეთში. დავითის თანამედროვე სომეხი მემკვიდრე სტეფანოს ტარონელი წერს: „დიდი კურაპალატი დავით ჩვენი დროის ყველა ხელმწიფეს აღემატებოდა თავისი

ლმობიერებითა და მშვიდობისმოყვარე გულით. დავითმა დაამყარა მშვიდობა და კეთილწყესიერება ყველა აღმოსავლეთის ქვეყანაში, განსაკუთრებით-კი — სომხეთსა და საქართველოში. მან შესწყვიტა ომები, რომლებიც გამუდმებით ჩნდებოდა ყოველი მხრიდან, და გაიმარჯვა ყველა გარშემო მცხოვრებ ხალხზე, ასე რომ ყველა ხელმწიფე ნებაყოფლობით დაემორჩილა დავითსა“-ო.

979 წელს დავითმა დიდი დახმარება გაუწია ბიზანტიის იმპერატორს ბასილს, რომელსაც სარდალი ბარდასკლიაროსი აუჯანყდა. სკლიაროსმა რამდენიმეჯერ დაამარცხა კეისარი და ტახტიდან ჩამოგდებაც უპირებდა მას. დავითმა სასომხდილ ბასილს, მისი თხოვნით, ჯარი მიაშველა. თორმეტმა ათასმა რჩეულმა ქართველმა ცხენოსანმა თორნიკე ერისთავის, რომელიც იმ დროს უკვე ბერად იყო შემდგარი, და ჯოჯიკის მეთაურობით გაანადგურეს სკლიაროსი და მისი ლაშქარი და იმპერატორს მისი სამფლობელო დაუბრუნეს. მაღლიერმა ბასილმა ამ დახმარების სანაცვლოდ დავითს დიდი მიწა-წყალი აჩუქა. კარინის ანუ ერზერუმის ოლქი, მეზობელი ბასიანის ოლქი (ამჟამად პასენი), ჰარქისა და აბაჰუნის ოლქები, მეტად მნიშვნელოვანი ციხე ხალდო-არიჭი და კლისურა (ზეკარი) მთავარ გზაზე ერზერუმიდან ტრაპიზონისაკენ და სხვა. ოთხმოციან წლებში დავითმა დაიპყრო ქალაქი მანასკერტი (ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით). 997 წელს დავითმა ალყა შემოარტყა ცნობილ საეპროქალაქს ხლათს (ვანის ტბის ნაპირზე). დავითის ასეთი გაძლიერებით დაშინებულმა აღარბადაგანის¹ ამირამ ომი აუტეხა მას. იმავე სომეხი მემატიანის ცნობით, მაჰმადიანების ლაშქარი ასიათასი მეომრისაგან შესდგებოდა, მაგრამ დავითმა მწარედ დაამარცხა მტერი და შორს განდევნა იგი. დაპყრობილ ქვეყნებში დავითი ასახლებდა თავის ყმებს — ქართველებსა და სომხებს.



დავით კურაპალატის ვერცხლის ფული.

დავითის ომები სამხრეთში ათავისუფლებდა ქართველსა და სომეხ მოსახლეობას არაბი მოძალადეებისაგან და მშვიდობიანობას ამყარებდა ამ ქვეყნებში. ამიტომაც რომ დავითს დიდი ქებით იხსენიებს ყველა ძველი სომეხი ისტორიკოსიც.

ამრიგად, მე-10 საუკუნის მეორე ნახევარში ტაო-კლარჯეთის სამეფო შეიკავდა მეტად ვრცელ ტერიტორიას, რომლის სამხრეთი საზღვარი ვანის ტბასა და ქალაქ ერზინკამდე (ერზინჯიანი) აღწევდა. მეტად

¹ აღარბადაგანი ეწოდებოდა ირანის ჩრდილოეთ ნაწილს, რომელიც სომხეთსა და კასპიის ზღვას შორის მდებარეობდა. უდრის ეხლანდელს ირანის აზერბაიჯანს.

დიდი იყო დავითის პირადი ძალა-უფლებაც. მან პირველმა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთაგან მიიღო „მეფეთა-მეფის“ წოდებულება. ეს წოდებულება კარგად გამოხატავდა ფაქტიურად არსებულ მდგომარეობას, როცა მრავალრიცხოვან წვრილ მფლობელთა შორის დავით III უფროდ სარგებლობდა უზენაესი მბრძანებლის უფლებებით.

იმავლე დროს დავითი თავის გავლენას ავრცელებდა ჩრდილოეთითაც საქართველოში. სამოცდაათიან წლებში, როცა აფხაზთა მეფეების ტახტზე უძლური თეოდოსი იჯდა, ძმის ვერაგობით თვალდამწუხარი დავითმა ისარგებლა აფხაზეთის შინაგანი აშლილობით და თავისი შეილობილი ბაგრატ ბაგრატიონი, თეოდოსის დისწული, მეფედ გამოაცხადა ქართლში (975 წ.), ხოლო შემდეგ აფხაზეთშიაც გადაიყვანა (978 წ.). ამ საქმეში დავითის თანამშრომელი იყო ქართლის ერისთავი იოანე მარუშისძე.

ამით საძირკველი ჩაეყარა საქართველოს გაერთიანებას.

§ 54. კულტურული ვითარება მე-8 — მე-10 საუკუნეებში

მე-8 — მე-10 საუკუნეებში ქართული სალიტერატურო ენის მნიშვნელობა ძალიან გაიზარდა. უკვე მე-9 საუკუნეში როგორც ქართლში, ისე ტაო-კლარჯეთში, კახეთში და აფხაზეთში ქართული ენა იყო მწერლობის, სახელმწიფო მართვა-გამგეობის, სამოქალაქო ურთიერთობისა და ეკლესიის ერთადერთი ენა. ქრისტიანობის საშუალებით ქართული ენა გავრცედა ჩრდილოეთ კავკასიაშიაც, პირველ რიგში — ჩერქეზეზსა და ალანებში. ქართულის ასეთმა გავრცელებამ და ქართული მწერლობის აყვავებამ იმდროინდელს ქართველ მოღვაწეებს ჩაუნერგა დედაენის დიდი ღირებულებისა და ღირსების შეგნება. მე-10 საუკუნის მწერალმა იოანე ზოსიმემ სპეციალური შესწმა, ოდა უძღვნა ქართულ ენას — „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. ამ ჰიმნში ავტორი ქართულ ენას განსაკუთრებულ როლს აკისრებს მსოფლიოს ენათა შორის.

მე-9 — მე-10 საუკუნეებშია დაწერილი ისეთი შესანიშნავი თხზულებები, როგორიცაა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ ბასილი ზარზმელისა და გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. ეს და სხვა მათი მსგავსი ბიოგრაფიული თხზულებები დიდმნიშვნელოვანი ისტორიული წყაროებია. მათი საშუალებით ჩვენ ვსწავლობთ იმდროინდელ საქართველოს ყოფა-ცხოვრებას, მეურნეობას, საზოგადოებრივ წყობასა და კულტურის დონეს. იმავე დროს ამ ძეგლებში მაღალ განვითარებას მიაღწია ქართულმა სალიტერატურო ენამ. ამ მხრივ პირველ ადგილას დგას მერჩულის ბრწყინვალე ლიტერატურული ნაწარმოები, დაწერილი 951 წ.

იმდროინდელი ქართული ორიგინალური მწერლობიდან ცალკე აღსანიშნავია სასულიერო პოეზია ანუ ჰიმნოგრაფია, რომლის მთავარი წარ-


მომადგენლები არიან მიქაელ მოღრეკილი, იოანე მინახი, იოანე მტბევარი და იოანე ზოსიმე. ეს მწერლები თავის ლექსებს სწერდნენ იამბიკოსა და შაირის საზომებით. შაირის საზომი, როგორც ცნობილია, შემდეგში მწვერვალამდე აიყვანა რუსთაველმა. საყურადღებოა ისიც, რომ ამ ლექსებს ზოგჯერ თან ახლავს მუსიკალური ნიშნები ანუ ნოტები; ეს იმდროინდელი მუსიკაა, სასულიერო პოეზიისათვის დაწერილი.

ორიგინალური მწერლობის გვერდით ვითარდებოდა თარგმნილი მწერლობაც. ამ ხანაში სთარგმნიან უკვე არაბული ენიდანაც.

თარგმნილი მწერლობა მეტად მრავალფეროვანი იყო თავისი შინაარსით. მთარგმნელობის განვითარებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ქართველებს ამ დროს თავისი საკუთარი საზღვარგარეთული კულტურული ცენტრები ჰქონდათ. უკვე მე-9 საუკუნეში ქართული ეკლესიები არსებობდა პალესტინაში, საბაწმინდის განთქმულ ლავრაში. ბევრი იყო ქართველი იმავე საუკუნეში შავ მთაზედაც, ანტიოქიის მახლობლად. მე-10 საუკუნეში დაარსდა განთქმული ქართული მონასტერი ათონის მთაზე, საბერძნეთში. თვითონ საქართველოშიაც სამონასტრო მოძრაობა დაიწყო მე-9 საუკუნეში, მაგრამ განსაკუთრებით გაიშალა იგი მე-8 საუკუნის დამლევებიდან. კერძოდ, ტაო-კლარჯეთში ამ ხანაში ჩნდება ისეთი მნიშვნელოვანი საეკლესიო-კულტურული ცენტრები, როგორიც იყო: ხანძთა, შატბერდი, ოპიზა, იშხანი, ოშკი, წყაროსთავი, ბანა (ამჟამად ყველა თურქეთის საზღვრებშია, არტანის, ართვინის, ოლთისისა და თორთუმ-ისპირის რაიონებში). შინაურ ცენტრებს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ საზღვარგარეთულ ცენტრებთან.

თარგმნილ მწერლობაში აღსანიშნავია მეცნიერულ-ფილოსოფიური თხზულებები, როგორც, მაგალითად, გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათვის“, რომელიც მოთავსებულია განთქმულს შატბერდის კრებულში მე-10 საუკუნისა. ფილოსოფიის ცოდნა იმ დროს უკვე სავალდებულოდ ითვლებოდა განათლებული კაცისათვის. მაგალითად, გრიგოლ ხანძთელს, რომელიც ცნობილი ნერსე ქართლის ერისთავის კარზე იზრდებოდა მე-8 საუკუნის სამოცდაათიან წლებში, ჯერ ზეპირი გზით შეუთვისებია ცოდნა („ხმითა სასწავლელი“ „ზეპირით მოიწვართნა“, ამბობს მისი ბიოგრაფი), შემდეგ ქართლის გარდა მრავალ სხვა ენაზედაც უსწავლია მწიგნობრობა და ამრიგად შეუძენია როგორც საეკლესიო, ისე საერო, კერძოდ — ფილოსოფიური, განათლება.

მაშინდელი მწერლები, დროის შესაფერისად, დიდად განათლებული ადამიანები იყვნენ. მოცემულ ხანაში წარმოიშვა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისეთი შესანიშნავი ნაწარმოები, როგორიცაა „სიბრძნე ბაღავარისა“. „ბაღავარის სიბრძნე“ არის ქართველი მწერლის მიერ დამუშავებული აღმოსავლური თქმულებები ბუდას შესახებ. ქართული „ბაღავარის სიბრძნე“ თავისი ღრმა აზრებისა და წარმტაცი მხატვ-



ხახული, X ს. სარკმელი ორბის ბარელიეფით (ამჟამად თურქეთის საზღვრებში).

ფოტო ერმაკოვისა.

რული თხრობის წყალობით ცნობილი გახდა მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის. განთქმულმა ქართველმა მოღვაწემ ექვთიმე ათონელმა მე-11 საუკუნეში ეს ნაწარმოები ბერძნულად გადაიღო, ხოლო ბერძნული ენიდან იგი იმავე მე-11 საუკუნის პირველსავე ნახევარში გადათარგმნილ იქნა ლათინურადაც და მთელ ევროპას მოედო.

ამავე დროს, საქართველოში, ჩანს, არსებობდა საერო მხატვრული მწერლობაც. კერძოდ — თარგმნილი პოეტური ძეგლები, მაგრამ მათგან მხოლოდ პატარა ნაწყვეტებია დარჩენილი. თვალსაჩინო გავლენა მოუხდენია ამ საერო ლიტერატურას საისტორიო და საეკლესიო მწერლობაზე.

შესანიშნავ განვითარებას მიაღწია ამ ხანაში ქართულმა ხელოვნებამაც, კერძოდ — არქიტექტურამ. იმდროინდელი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, როგორიცაა ოშკი, ხახული და მრავალი სხვა, ეხლაც აკვირვებს მნახველს თავისი სიდიადითა და სილამაზით.

ქართული საბჭოთავო სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

საამშენებლო ასომთავრული წარწერა და თარიღი არაბული ციფრებით (ქვემოთ)
ბაგრატის - ტაძარზე ქუთაისში. ტექსტი: „ქ. ოდეს გ(ა)ნმტყიცნა იატ(ა)ჲ
ქ(რონი)კ(ონი) იყო/223 (= 1003 წ.)“.

თავი VII

საქართველოს გაერთიანება

§ 55. ბაგრატ მესამის მეფობა

ბაგრატის გამეფების პირობები. როგორც ვიცით, 975 წელს დავით კურაპალატმა ქართლში თავისი შვილობილი, ბაგრატ მესამე, მეფედ დასვა. ამ დროს ბაგრāti ჯერ კიდევ სრულწლოვანი არ იყო, და დავითმა მას მზრუნველად მისივე მამა გურგენი დაუნიშნა.

დავით კურაპალატისა და იოანე მარუშისძის პოლიტიკური გეგმა იმაზე იყო დამყარებული, რომ ბაგრატ მესამე მამით ქართველთა მეფის შთამომავალი იყო, დედის მხრით-კი ის აფხაზთა მეფეების მემკვიდრედ ითვლებოდა. რაკი იმდროინდელ აფხაზთა მეფეს, უსინათლო თეოდოსის, შთამომავლობა არ ჰყავდა, კანონითაც აღმოსავლეთისა და დასავლეთი საქართველოს სამეფოების გაერთიანებაც მხოლოდ ბაგრატ მესამეს შეეძლო.

ბაგრატის საჯდომი ქალაქი ქართლში უფლისციხე იყო. როცა, 978 წელს, ბაგრāti აფხაზეთშიაც გამეფდა, მან თავისი უსინათლო ბიძა, თეოდოსი, დავით კურაპალატთან გაგზავნა, დედა-კი, აფხაზთა მეფის ასული გურანდუხტი, უფლისციხეში დასტოვა აღმოსავლეთ საქართველოს საქმეების გამგეობისათვის. მაგრამ მხოლოდ 980 წლის შემდეგ, უკვე სრულწლოვანს, ბაგრატს საშუალება ჰქონდა მეფის უფლება მთლიანად ხელში აეღო.

გრძელა დიდგვარიან აზნაურებთან. უკვე ბაგრატის მეფობის დასაწყისშივე თავი იჩინა უთანხმოებამ მეფესა და დიდგვარიან აზნაურებს შორის. დიდგვარიანებს არ სურდათ მეფის გაძლიერება, რადგანაც ეწინოდათ, რომ ამით თავის დამოუკიდებლობას დაკარგავდნენ. ბაგრატის

11. საქართველოს ისტორია.

კი არ მალავდა, რომ მას მიზნად ჰქონდა დასახული დიდგვარიანების თვითნებობა აელაგმა. ამის გამო, როდესაც ბაგრატ მესამემ საქმეების მოსაწესრიგებლად აფხაზეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში მოინდობა გადმოსვლა, ქართლის საზღვარზე მას დიდგვარიანები დაუხვდნენ და წაწაღმდეგობა გაუწიეს.

ბაგრატი დიდგვარიან აზნაურებს შეებრძოლა, დაამარცხა, ქართლში გადმოვიდა, ქალაქ უფლისციხიდან თავისი დედა გამოიყვანა და ქვეყნის მართვა-გამგეობას ქართლშიაც უკვე თვითონ შეუდგა.

ეხლა მეფეს ქართლში მხოლოდ კლდეკარის ერისთავთ-ერისთავი ეურჩებოდა, რომლის სამფლობელო თრიალეთის მთიანეთიდან მანგლისის ხეობამდე იყო გადაჭიმული. როცა მან ბაგრატ მეფისაგან მოსალოდნელი განსაცდელი იგრძნო, დავით დიდ კურაპალატს ჩააგონა, ვითომც ბაგრატი თავის მამობილთან საბრძოლველად ემზადებოდა. დავით კურაპალატმა ეს ამბავი დაიჯერა და თვითონაც ჯარშეყრილი ბაგრატის წინააღმდეგ დაიძრა იმ დროს, როდესაც ბაგრატი კლდეკარის ერისთავის დასამორჩილებლად მიდიოდა. ბაგრატმა მოახერხა და სისხლის ღვრა თავიდან აიცილა: ის მარტო წარუდგა დავით კურაპალატს და თავისი შეიარაღების მიზეზი მოახსენა. დავითმა შეილობილს დაუჯერა და ურჩი ფეოდალი მას მიაწება. ამგვარად, 989 წელს ბაგრატ მესამემ კლდეკარის ერისთავთ-ერისთავის დამორჩილებაც შესძლო.


დავით კურაპალატის მემკვიდრეობის საკითხი. 1001 წელს დავით კურაპალატი გარდაიცვალა. ბიზანტიის კეისარი ბასილი დავითის სიკვდილისთანავე მრავალრიცხოვანი ჯარით ტაოსაკენ წამოვიდა. ბაგრატი და მისი მამა გურგენ მეფეც ტაოსაკენ გაეშურნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ დავით კურაპალატის მემკვიდრეობას მიიღებდნენ, ამიტომაც ბიზანტიის კეისარს საზღვარზე დახვდნენ და მიესალმნენ.

თუმცა ბასილმა ორივენი პატივისცემით მიიღო, მაგრამ დავით კურაპალატის სამფლობელოს უდიდესი ნაწილი თავისთვის დაიჭირა. შემდეგში ამ მემკვიდრეობის გამო საქართველოსა და ბიზანტიას შორის კარგა ხნის განმავლობაში იყო ბრძოლა.

სამეფოს ტერიტორიის ზრდა. 1008 წელს ბაგრატის მამა, გურგენ მეფე, გარდაიცვალა და მის უშუალო გამგებლობაში მყოფი შავშეთ-კლარჯეთი, სამცხე და ჯავახეთი ამიერიდან ბაგრატ მესამის საბრძანებელს შემოუერთდა. ეხლა მხოლოდ კახეთი და ჰერეთი წარმოადგენდა ცალკე სამთავროს. 1010 წლის ახლო ხანებში ბაგრატი კახეთში გადავიდა და მისი მეფე დაიჭირა, თვით კახეთ-ჰერეთში-კი თავისი მოხელე აზნაურები ჩააყენა. ამგვარად, კახეთ-ჰერეთიც უკვე შემოერთებული იყო.

1011-12 წ. ბაგრატმა დაიჭირა თავისი ნათესავები, ბაგრატიონები, რომელნიც სამხრეთ საქართველოში მთავრობას ლამობდნენ, და მათ მამულები ჩამოართვა.

ამრიგად, საქართველოს გაერთიანება ძირითადად უკვე განხორციელებული



ნისანი (ამჟამად თურქეთის საზღვრებში), საკმელი ქართული ასომთავრული წარწერებით, XI ს.

ფოტო ერშაკოვისა

ბული იყო. მაგრამ განძის ამირა ფადლონი არ აძლევდა ქვეყანას მოსვენებას, დროგამოშვებით აღმოსავლეთ საქართველოს თავს ესხმოდა და აოხრებდა ხოლმე. ამიტომ ბაგრატ მესამემ მისი სამაგალითო დასჯა გადაწყვიტა. 1011-12 წელს ბაგრāti და მისი სომეხი მოკავშირეები ფადლონის სამფლობელოს, რანს, შეესივნენ, შამქორს მიაღწენ, ქალაქი აიღეს და თვით ფადლონი ისეთ მდგომარეობაში ჩაადგეს, რომ იძულებული იყო ზავი ეთხოვა. ფადლონმა მორჩილება და ყოველწლიური ხარკის ძლევა იკისრა.

რანი (ანუ არანი) შველი ალბანიის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი იყო, საქართველოს მოსაზღვრე. მის მთავარ ქალაქად ამ დროს განძა (ეხლანდელი კიროვანადი) ითვლებოდა.

ამგვარად, ბაგრატ მესამემ მთელი საქართველოს გაერთიანება მოახერხა თბილისის საამიროს გარდა. თბილისის საამირო მტრით გარშემორტყმულ ციხეს ჰგავდა და მისი საბოლოო ბედიც უკვე განწირული იყო.

36 წლის მეფობის შემდეგ, ამ ძლიერმა და მხნე მეფემ 1014 წელს თავისი დღენი ტაოში დალია. მისმა ერთგულმა თანამებრძოლმა, განთქმულმა სარდალმა ზვიად ერისთავმა ბაგრატ მესამის ნეშტი ბაგრატისგანვე აგებულის ბედიის ტაძარში მიაბარა მიწას.

§ 56. ომი ბიზანტიასთან

კახეთ-ჰერეთის განდგომა. ბაგრატ მესამის შემკვიდრე მისი შვილი გიორგი იყო. გიორგი პირველიც მცირეწლოვანი გამეფდა. ქართლ-კახეთის დიდგვარიანმა აზნაურებმა ამ გარემოებით ისარგებლეს: კახეთიდან გააძევეს ბაგრატ მესამის მოხელეები და თავისი წინანდელი მმართველი მიიწვიეს. ამგვარად, კახეთ-ჰერეთი გაერთიანებულ საქართველოს ისევ ჩამოშორდა.

ბრძოლა ბიზანტიასთან. გიორგი პირველმა თავისი ყურადღება სამხრეთ საქართველოსაკენ მიმართა. მან ისარგებლა შემთხვევით, რომ ბიზანტიის კეისარი ბასილი 1014 — 1016 წლებში ბულგარელებს ეომებოდა და, დავით კურაპალატის ყოფილი სამფლობელოს შემოსაერთებლად, ბიზანტიის საზღვარი გადალახა. ქართველებმა ტაო დაიპყრეს.

როცა კეისარმა მოიცალა, გიორგის ტაოს დაცლა მოსთხოვა. გიორგი მეფემ არამც თუ ეს წინადადება უარყო, არამედ მაჰმადიან მფლობელებთან საიდუმლო მოლაპარაკებაც-კი დაიწყო, რომ შეერთებული ძალით ბიზანტიის წინააღმდეგ გაელაშქრნათ. ბასილ კეისარს ეს არ გამოჰპარვია და 1021 წელს ის მრავალრიცხოვანი ჯარით უეცრად დაიძრა საქართველოსაკენ. გიორგიც იძულებული იყო მტრის წინააღმდეგ საჩქაროდ ამხედრებულიყო. ომი ბასიანში უნდა მომხდარიყო. მაგრამ ქართველებმა უბრძოლველად უკან დაიხიეს ჯერ ოლთისში, ხოლო იქიდან კოლას. ბიზანტიის ჯარი უკან მოსდევდა. სოფელ შირიმში დიდი ბრძოლა მოხდა, რომელშიც ბევრნი დაიხოცნენ, მათ შორის გამოჩენილი ქართველი სარდლები რატი ლიპარიტის ძე და ხურცი. ქართველები დამარცხდნენ.

გიორგიმ აქედანაც დაიხია, ჯერ არტაანში მოვიდა, შემდეგ სამცხეში. ბასილი ჯავახეთის გზით ცდილობდა დასწეოდა ქართველებს და გზადაგზა ქვეყანას აოხრებდა. გიორგი იძულებული იყო უკვე თრიალეთში გადასულიყო, სადაც მას მეშველი ჯარი დახვდა. ეხლა-კი ბიზანტიის კეისარმა უკან დახევა და შინ დაბრუნება გადასწყვიტა. საზამთროდ მან ქ. ტრაპიზონის მახლობლად დაიბანაკა და აფხაზეთში შესასევად ხომალდებს ამზადებდა.

ამავე დროს საზავო მოლაპარაკებაც წარმოებდა, მაგრამ გიორგი მეფე მოლაპარაკებას აკიანურებდა და ხელსაყრელ დროს არჩევდა, რომ ბი-



იშხანი, აღმოსავლეთის სარკმელი, XI ს.

ფოტო ფრეზკოვისა.

ზანტისათვის დაერტყა. მაშინ კეისარმა დაასწრო და კვლავ ომი ატყდა, რომელშიაც ქართველები ისევ დამარცხდნენ. 1023 წელს გიორგი პირველი იძულებული იყო მეტად მძიმე ზავის პირობებს დასთანხმებოდა: მას დავით კურაპალატის სამფლობელო ტაოს, კოლა-არტაანსა და ჯავახეთში კეისრისათვის უნდა დაებრუნებინა და ამას გარდა თავისი მცირეწლოვანი შვილი ბაგრატიც სამი წლით მძევლად მიეცა ბიზანტიის მთავრობისათვის.

გიორგი პირველი გარდაიცვალა 1027 წელს და მის მაგიერ სამეფო ტახტზე ავიდა მცირეწლოვანი ბაგრāti, რომელიც ბიზანტიიდან ახალდაბრუნებული იყო.

ღუკონი შანი სქმადიხა
 აძლევს შიშველს . თუ
 ოქროსი მთქმადიხა
 თნო ნაქიძე მუქმად
 თნო მთისი თქნი ყაქმ
 თნო მუქმადიხა თნო ყი
 ქაშის სქნე თნო
 თნო სქნე . მთი თუ ყ

A 1105.22.

გაქრული ნესხა-ხეცურის ნიმუში X — XI ს. ხელნაწერიდან.

საქ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება.

§ 57. ბაგრატ მმმმმმმმ მმმმმ

ბაგრატს შინაურობაში აწეწილ-დაწეწილი საქმეები და დამსარცხებუ-
 ლი ქვეყანა ერგო მემკვიდრეობად. ყველაზე მეტად მეფეს საქმეს ურთუ-
 ლებდა დიდგვარიან აზნაურთა ორჭოფული და ვერაგული მოქმედება.
 ტაოელი აზნაურები სახელმწიფო დალატსაც არ ერიდებოდნენ. 1027
 წელს ისინი ბიზანტიელთა მხარეზე გადავიდნენ და თავისი ყველა ციხე
 მტერს გადასცეს.

ურთიერთობა ბიზანტიასთან. 1028 წელს საქართველოს ბიზან-
 ტიის ჯარი შემოესია და ქვეყნის აოხრება დაიწყო. ასეთ დროსაც აზნაუ-
 რებმა თავისი ორჭოფული ქცევით ბიზანტიელებს საქმე გაუადვილეს.
 ქვეყანა დიდ განსაცდელში იყო ჩავარდნილი. მაგრამ მცირეწლოვან მე-
 ფეს ერთგული ხალხიც ჰყავდა. მათ შორის განსაკუთრებით თავი ისახე-
 ლა ეპისკოპოსმა საბა მტბევარმა, რომელმაც ტბეთში (შავშეთში) ციხე
 ააგო, მცხოვრებლებისაგან ჯარი შექმნა და მტერს მედგარდ დახვდა. მა-
 ლე შესაძლებელი გახდა სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყება, რომელ-
 საც საქართველოს მხრივ ბაგრატის დედა, მარიამ დედოფალი აწარმო-
 ებდა. ბიზანტიის კეისარმა ბაგრატ მეოთხეს თავისი ასული ელენე მიათ-
 ხოვა ცოლად და მებრძოლი ქვეყნები დაზავდნენ.

მალე ბიზანტიამ ისევ დაიწყო მტრული მოქმედება საქართველოს წი-
 ნაღმდევ. 1032 წელს ბიზანტიელები შეუწინდნენ ბაგრატის ნახევარძმას
 დემეტრეს; ისიც კეისართან გაიქცა და ანაკოფიის ციხე აფხაზეთში ბერ-
 ძნებს გადასცა. ბაგრატს ამ დროს თბილისის ამირას წინააღმდეგ ჰქონდა
 ბრძოლა დაწყებული და აფხაზეთისათვის არ ეცალა.

ბრძოლა თბილისის ამირასთან. 1032 წელს ქართლის დიდმა ფეოდალებმა, კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტ ლიპარიტის ძემ და ივანე აბაზას ძემ თბილისის ამირა ხელში ჩაიგდეს და მას ბირთვისის ციხეში წაართვეს. მაგრამ ლიპარიტის მოწინააღმდეგე დიდგვარიანთა ჩაგონებით მცირეწლოვანმა ბაგრატმა ამირა გაათავისუფლა. თბილისი ისევ ამირას დარჩა.

1037 წელს თბილისის დაპყრობა კვლავ საზრუნავი გახდა. ბაგრატ მეოთხემ, კახთა მეფის მეშველ ჯართან ერთად, თბილისს აღუა შემოარტყა. ეს გარემოცვა ორ წელს გაგრძელდა, რის გამოც ისეთი შიმშილობა მძვინვარებდა ქალაქში, რომ, იმდროინდელი ისტორიკოსის თქმით, მოქალაქეები ერთ ლიტრა¹ ვირის ხორცში ხუთას დრამას აძლევდნენ. თბილისის ამირამ უკვე გადასწყვიტა გაქცეულიყო, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ბაგრატმა მოულოდნელად, ლიპარიტისათვის შეუტყობინებლივ, 1039-40 წელს ზავი დასდო ამირასთან. ამ ამბავმა ლიპარიტის უკმაყოფილება გამოიწვია, მით უმეტეს, რომ ბაგრატ მეფის საქციელი ლიპარიტის მოწინააღმდეგე დიდგვარიან აზნაურთა ოინების შედეგი იყო.



ბაგრატ მეოთხის ფული („დრამა“).

უთანხმოება მღვდელსა და კლდეკარის მრისთავს შორის. დამოკიდებულება ბაგრატ მეფესა და ლიპარიტს შორის იმდენად გამწვავდა, რომ, თუმცა ამის შემდეგ ბაგრატმა კახეთში ძლევამოსილი ომი გადაიხადა, მაგრამ, შინაური ბრძოლის შიშით, მეფე იძულებული გახდა კახეთიდან უკან დაეხია. სწორედ ამ დროს, 1044-5 წელს, მათ შორის უკვე აშკარა ბრძოლა ატყდა.

ლიპარიტი ძლიერი პიროვნება და განთქმული სარდალი იყო, ცნობილი მთელს მახლობელ აღმოსავლეთში. ბიზანტიელებიც და მაჰმადიანი მმართველებიც მას დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. ბიზანტიის მთავრობა ცდილობდა, რომ ის საქართველოს მეფის წინააღმდეგ გამოეყენებინა და ამიტომ მის მხარეზე იყო.

ბაგრატ მეფე კარგად გრძნობდა ლიპარიტის ძალას, შეურიგდა მას და ქართლის ერისთავადი-კი დანიშნა. ამ დროიდან მცირე ხნით მაინც მშვიდობა დამყარდა.

ბაგრატ მეფე კარგად გრძნობდა ლიპარიტის ძალას, შეურიგდა მას და ქართლის ერისთავადი-კი დანიშნა. ამ დროიდან მცირე ხნით მაინც მშვიდობა დამყარდა.

ანისისა და თბილისის უამრავი მთავრის ცდა. 1045 წელს ქ. ანისის „ბერებმა“ (მოქალაქეთა უფროსებმა) ბაგრატს ანისი შესთავაზეს, ბაგრატმა სომხეთის სამეფოს ყოფილი დედაქალაქი ჩაიბარა და იქ თავისი მოხელეები ჩააყენა მეციხოვნე ჯარით.

1046 წელს, თბილისის ამირას გარდაცვალების გამო, თბილისის „ბე-

¹ ლიტრა — წონის ერთეული, უდრიდა 300 — 400 გრამს.

ირანს აღმოსავლეთიდან ოგუზთა მოდგმის თურქული ტომები შემოესი-
ნენ. მათ სათავეში სელჩუკის საგვარეულო ედგათ, და ამის გამო
ამ თურქებმა სელჩუკიანების სახელწოდება მიიღეს. მათ მალე
ირანი დაიპყრეს და სომხეთის უდიდესი ნაწილიც ხელში ჩაიგდეს. 1065
წელს თურქების სულტანი ალფარსლანი საქართველოს შემოესია, ქვეყ-
ნის აოხრება დაიწყო, შემდეგ ჯავახეთის ახალქალაქი აიღო, გაძარცვა
და დიდძალი ხალხი ამოხოცა. 1068 წელს სულტანი კვლავ შემოესია სა-
ქართველოს. თურქებმა ჯერ ქართლი ააოხრეს, შემდეგ არგვეთიც. თუმ-
ცა ზამთრის სიფიცხემ აიძულა სულტანი საქართველოდან გასულიყო.
მაგრამ წასვლის წინ თბილისი და რუსთავი მან განძის პატრონს ფად-
ლონს მისცა. გარდა ამისა, ბაგრატ მეფეს კახეთის შემოერთების საქ-
მეც ჩაეშალა.

ბაგრატის წარმატებული მიწოდების უკანასკნელ წლებში. მეფე
ბაგრატს გული არ გასტეხია. როგორც-კი სულტანი საქართველოს გარეთ
გაიგულა, ბაგრატ მეოთხემ სულტანის მიერ აქ დატოვებულ ფადლონსა
და მის ჯარს მუსრი გაავლო, შემდეგ თბილისიც აიღო. მეფემ ქალაქი და
სამირო გალასცა თბილისის ძველი ამირების მემკვიდრეს იმ პირობით,
რომ როგორც ყმადნაფიცს მას საქართველოს მეფისათვის წლიურად
44 000 დრაჰმანი უნდა ეძლია.

ბაგრატი 1072 წელს გარდაიცვალა.


ქა.
**§ 48. თურქების გაპლიმრება და მისი შედეგები
საქართველოსათვის**

ბაგრატ მეოთხის მაგიერ 1072 წელს მისი ქაბუკი ვაჟიშვილი, გიორგი
მეორე, გამეფდა. ის სუსტი ნებისყოფის ადამიანი იყო და არც სახელ-
მწიფოს მმართველად ვარგოდა: მას უფრო გართობა და ნადირობა იტა-
ცებდა, ვიდრე სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვა.

გიორგი მეორის ხასიათის სისუსტით ყველაზე ადრე საქართველოს
დიდგვარიანმა აზნაურებმა ისარგებლეს. უკვე 1073 წელს ნიანია ქვაბუ-
ლის ძე, ივანე ლიპარიტის ძე და ვარდან სვანთა ერისთავი გადაუდგნენ
მეფეს და ქვეყანა არიეს. ნიანიამ ქუთაისიც-კი დაიპყრო და სახელმწიფო
საქურტლე¹ ჩაიგდო ხელში. ვარდანმა სვანები ააჯანყა, მათთან ერთად
ეგრისს შეესია და მის რბევას შეუდგა. გიორგი თავის ურჩ ყმებთან სხვას
ვერაფერს განდა, გარდა იმისა, რომ მათ წყალობა და მამულები გაუშ-
რავლა.

დიდგვარიანთა ურჩობა და მოღალატეობა ამის შემდეგაც არ შეწყვე-
ტილა. განსაკუთრებით თავი ისახელა ამ მხრივ კლდეკარის ერისთავმა

¹ ს ა ქ უ რ ტ ლ ე — საგანძური, ხაზინა.



სამთავისის ტაძარი, 1030 წელი.

ივანემ, იმ ლიბარიტის შვილმა, რომელმაც სიცოცხლე გაუმწარა ბაგრატ მეოთხეს.

თუმცა მალე გიორგი მეფეს ბიზანტიის გამოჩენილმა მოხელემ დაცნობილმა ქართველმა მოღვაწემ, გრიგოლ ბაკურიანმა, ძვირფასი საჩუქარი უძღვნა — კარის (ყარსის) ციხე-ქალაქი მისი მიმდგომი ქვეყნით, მაგრამ თითქმის იმავე წელს ეს დიდი შენაძენი თურქებმა გააქარწყლეს.

ამ ხანაში მანკობელ აღმოსავლეთში დაიწყო თურქების დიდი გაძლიერება. 1074 წლის ხელშეკრულებით ბიზანტიელებმა აღმოსავლეთის ქვეყნების უდიდესი ნაწილი, რომელიც მათ მფლობელობაში იმყოფებოდა, თურქ სელჩუკიანებს დაუთმეს. ესლა საქართველო მარტო დარჩა თურქების ამ უდიდესი სამეფოს პირისპირ.

მართლაც, თურქებმა ჯერ კარის ციხე-ქალაქი ჩაიგდეს ხელში, შემდეგი საქართველოს შინაგანი თემების რბევა დაიწყეს.

1080 წელს „დიდი თურქობა“, თურქების დიდი შემოსევა დაიწყო. ამ დროს კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა, სამოქალაქო, არგვეთი და ქართლი დარბეულ და აოხრებულ იქნა. მტერთან ბრძოლაში დიდძალი ზალხი დაიხოცა, სოფლები და ქალაქები განადგურდა. გიორგი მეფემ გადასწყვიტა, დამორჩილების გარდა სხვა გზა არ არისო და თურქების სულთანთან წავიდა.

სულტანმა მელიქ-შაჰმა გიორგი მეფე ყოველწლიური ხარკის გადახდაზე დაითანხმა, სამაგიეროდ მას კახეთი და ჰერეთი მისცა, მშვიდობას

შეჰპირდა, სამშობლოში დიდებით გამოისტუმრა და თან ჯარიც გამოატანა კახეთის დასაპყრობად.

მტრისა და ქართველთა შეერთებული ჯარი კახეთს შეესია და ვეფინის ციხეს გარშემოადგა. მაგრამ სანამ ვეფინის ციხეს ებრძოდნენ, გიორგის მოაგონდა, აჯამეთში (იმერეთში) ნადირობის დრო დადგაო, ვეფინისა და კახეთის დარღი უკვე აღარ ჰქონდა, მტრის ჯარს საქმელად ივრისპირა კახეთი დაანება და თვითონ დასავლეთ საქართველოში გაეშურა.

კახეთის სამეფო ხომ დაუპყრობელი დარჩა, მაგრამ ივრისპირებიც ისე აუოხრებიათ მაშინ თურქებს, რომ ეს მხარე შემდეგშიაც დიდხანს ველარ გამოზრუნებულა.

შინაურსა და საგარეო უმწეო მდგომარეობას ზედ სტიქიური უბედურებაც დაერთო: 1088 წელს საქართველოში საშინელი მიწისძვრა დაიწყო, რომელიც მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და რომელმაც დიდძალი ციხე-ქალაქი და სოფელი იმსხვერპლა. მთლიანად დაინგრა განთქმული ქ. თმოგვი ციხით. მრავალი ხალხიც დაიღუპა და უსახლკაროდ დარჩა. ამას მკაცრი ზამთარი, გაზაფხულზე-კი საშინელი წყალდიდობა მოჰყვა. 1089 წელს გიორგი მეორე იძულებული გახდა ტახტიდან გადამდგარიყო.


გ. თ. მ.

§ 59. საქართველოს კულტურული ვითარება მე-11 საუკუნეში

სამონასტრო კულტურული ცენტრები. მე-11 საუკუნეში ჩვენი ქვეყნის კულტურული განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მონასტრებს, როგორც ადგილობრივს, ისე, განსაკუთრებით, საზღვარგარეთულს. სწავლა-განათლების კერა საზოგადოდ საშუალო საუკუნეებში ყველგან სამონასტრო დაწესებულებებში იყო მოთავსებული. უცხოეთში მყოფი მონასტრების წყალობით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული წარმატებისათვის თვალყური ედევნებინა.

ათონი. უცხოეთის ქართულ საეანეებს შორის ყველაზე დიდი ღვაწლი ამ ხანაში ათონის (საბერძნეთში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე) მონასტრის მიუძღვის. ეს მონასტერი მე-10 საუკუნის დამლევეს იოანე მთაწმიდელის მიერ იქნა დაარსებული. ათონის მონასტერში მოღვაწეობდა, სხვა პირებთან ერთად, იოანეს შვილი, სახელგანთქმული ექვთიმე მთაწმიდელი. ექვთიმემ ზედმიწევნით იცოდა ბერძნული ენა. ბერძნულ ენაზე მან ქართულიდან გადათარგმნა, „ბალავარის სიბრძნის“ გარდა აგრეთვე „აბუკურა“.

ექვთიმე მთაწმიდელი შესანიშნავი მწერალი და მოაზროვნე იყო. ბერძნულიდან ქართულად მან ასამდე წიგნი გადმოთარგმნა.



სამთავისი, 1030 წ. აღმოსავლეთის კედლის სამკაულის ნაწილი.

ძველი დროიდან მოყოლებული საქართველოს მონასტრებში ასეთი წესი იყო დამყარებული: მონასტრის მამასახლისი სამონასტრო დაწესებულებებში ყველა მოხელეს თვითონ ნიშნავდა, თვითონვე სიკვდილის წინ ასახელებდა იმ პირსაც, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ მონასტრის მამასახლისი უნდა გამხდარიყო.

თანდათან ეს წესი შეიცვალა. მონასტრის თანამდებობის პირთა დანიშვნის მაგიერ შათი არჩევა შემოვიდა. ჯერ სამ კანდიდატს დაასახელებდნენ, შემდეგ მათ კენჭს უყრიდნენ. ამ წესით მონასტრის ხელმძღვანელობა უფრო ღირსეული ადამიანების ხელში გადადიოდა.

ამ საფუძვლებზე მოწყობილს ათონის ქართველთა სავესტო მოღვაწეობდა მე-11 საუკუნის მეორე შესანიშნავი პიროვნება, გიორგი მთაწმიდელი, რომელიც ექვთიმე მთაწმიდელის საქმიანობის გამგრძელებელი იყო, როგორც სალიტერატურო, ისე სამონასტრო სარბიელზე.

გიორგიმაც ბევრი წიგნი გადმოთარგმნა ბერძნულიდან ქართულად, ბევრიც ძველად ნათარგმნი შეასწორა.

ბრძოლა ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ ეკლესიაში. გიორგი იმ დროის მოწინავე კაცი იყო; ის მზურვალე მონაწილეობას იღებდა თავის შორეულ სამშობლოს საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაშიაც. 1080 წელს გიორგი საქართველოში ჩამოვიდა. ამ დროს საქართველოში შიმშილობა მძვინვარებდა, შინაური ბრძოლაც მხოლოდ ოდნავ იყო მინელებული.



ორნამენტის ნიმუში სამთავისიდან, 1030 წ.

გიორგიმ გაბედულად დაუწყო მხილება დიდებულებსა და ეპისკოპოსებს მათი სიხარბისა და გულქვაობისათვის და აგრეთვე იმ უწყსოებისათვის, რომელიც მას საქართველოში დახვდა. მან ქადაგება დაიწყო, სამღვდელთა პირებად ღირსების მიხედვით უნდა ავირჩიოთ ხალხი და არა შთამომავლობის მიხედვით. ბაგრატ მეოთხის დახმარებით გიორგიმ ნაწილობრივ განასორციელა კიდეც თავისი მოთხოვნა: მან საეკლესიო თანამდებობებზე ბევრი უგვარო ხალხი დააწინაურა. მეფე ხელს უწყობდა გიორგის ამ საქმეში, იმიტომ რომ ამით ბაგრატი თავის შინაურ მტრებს, დიდგვარიან აზნაურებს ასუსტებდა.

ქართული კულტურული ცენტრები სირია-პალესტინაში.
ათონის საეპისკოპოსოს გარდა მე-11 საუკუნეში სხვა მნიშვნელოვანი საზღვარგარეთული კულტურული ცენტრებიც არსებობდა — სირიაში (შავ მთაზე), პალესტინაში, მანგანას აკადემიაში (კონსტანტინოპოლში), ბალკანეთში (პეტრიწონში). შავმთელი მოღვაწეებიდან განსაკუთრებით სახელგანთქმულია ეფრემ მცირე, დიდი მთარგმნელი და ფილოლოგი, რომელმაც 70-ამდე წიგნი გადმოიღო ქართულ ენაზე, მათ შორის ფილოსოფიური თხზულებებიც, და ორიგინალური ნაწარმოებებიც დაგვიტოვა — კერძოდ ისტორიული გამოკვლევები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პეტრიწონის მონასტერს (ამჟამად — ბაჩკოვო, ბულგარეთი). აქ, კერძოდ, დაარსებულ იქნა ქართული სემინარია, ერთადერთი დაწესებულება ამ სახისა ბიზანტიაში.



სვეტისთავი ბაგრატის ტაძრიდან ქუთაისში, XI ს. დასაწყისი.

ფოტო ერმაკოვისა.

საისტორიო მწერლობა. მე-11 საუკუნეში ქართული საისტორიო მწერლობა ძალიან დაწინაურდა. სწორედ ამ ხანაში არა ერთი საუცხოო საისტორიო თხზულება დაწერილი. მათ შორის აღსანიშნავია გიორგი მთაწმიდელს ნაშრომი, რომელიც ათონის საეპისკოპოსოს დაარსებისა და საქმიანობის ისტორიას მოგვითხრობს, აგრეთვე თვით გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფია, გიორგი ხუცეს-მონაზონის მიერ დაწერილი, ამავე ხანიდან გადარჩენილი საერო საისტორიო „მატიანე ქართლისაი“.

ფილოლოგია და სამართალი. მაშინდელი ქართული მეცნიერების დიდ წარმატებას მოწმობს ექვთიმე მთაწმიდელის ფილოლოგიური ნაშრომებიც, მეტადრე-კი მისი მოღვაწეობა სამართლის თეორიის დარგში. მას ეკუთვნის „მცირე სჯულის კანონი“, რომელიც საეკლესიო, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთგვარ ენციკლოპედიას წარმოადგენს. ბოლოში იქ ექვთიმეს ზოგადი მოძღვრება აქვს დართული ბოროტმოქმედების შესახებ. ეს საყურადღებო ძეგლი იმდროინდელი ქართული იურიდიული აზროვნების მაღალი დონისა და თვით ექვთიმეს დიდი ნიჭის ცხადი დამამტკიცებელია.

ხელოვნება. მე-10 საუკუნის დამლევს და მე-11 საუკუნეში შემდგომ წარმატებას მიაღწია ქართულმა ხელოვნებამაც.

ხუროთმოძღვრებაში ბატონდება ორი ძირითადი ტენდენცია: ერთი მხრით, გადიდებულ იქნას შენობის მოცულობა, ხოლო მეორე მხრით — მორთულ იქნას ნაგებობა, როგორც გარედან, ისე შიგნითაც, მხატვრული შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით. ამდროინდელი ქართველი ხუროთმოძღვრების ყურადღება შენობის გარეგანი სამკაულის, განსაკუთ-

რებით — ჩუქურთმისაკენ (ორნამენტი) არის მიქცეული. საეკლესიო
არქიტექტურაში სჭარბობს ისეთი ტაძრის ტიპი, რომელსაც წაგრძელებ-
ული ფორმა აქვს და შენობის შუა თავისუფლად მდგომარე სვეტებზე
დაყრდნობილი გუმბათი.

ამ ტიპის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებია სამი უდიდესი,
როგორც თავისი მნიშვნელობით, ისე თავისი ზომით, ძეგლი საშუალო
საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისა — ალ ა ვ ე რ დ ი ს ტაძარი
(კახეთში; აგებულია მე-11 ს. დასაწყისში), ბაგრატ III-ის ტაძარი ქუ-
თაისში (იატაკი დაგებულია 1003 წ.) და „ს ვ ე ტ ი ც ხ ვ ე ლ ი“ —
მცხეთის საპატრიარქო საჯდომი (დამთავრებულია 1029 წელს).

ეპოქის მრავალ სხვა არქიტექტურულ ძეგლთაგან განსაკუთრებით
ცნობილია აგრეთვე დიდებული ტაძრები სამთავისში (ქართლი,
1030 წ.), ბე დ ი ა შ ი (აშენებულია ბაგრატ III-ის მიერ), ნ ი კ ო რ-
წ მ ი ნ დ ა შ ი (რაჭა, მე-11 ს. პირველი ნახევარი), სამთავროში
(მცხეთა, მე-11 ს.).

ქუთაისის, სამთავისის, ნიკორწმინდისა და რიგი სხვა ტაძრები შემო-
ბილია საუცხოო ჩუქურთმით. ძველი ბრტყელი ორნამენტის გვერდით,
თანდათან ვითარდება და ვრცელდება ქვაზე ჭრის ახალი, რელიეფური
წესი, რომელიც სინათლისა და ჩრდილის მკვეთრი შეპირისპირებისათ-
ვისაა ნაგარაუდვეი. ორნამენტი სულ უფრო და უფრო მდიდრული ხდება
და კედლების სულ უფრო და უფრო დიდ ნაწილს ჰფარავს ხოლმე.

შენობათა შინაგანი შემკულობის აუცილებელ ელემენტად იქცევა
მხატვრობა, რომელიც კედლებს ავსებს სარწმუნოებრივი და ისტორიუ-
ლი სურათებითა და პორტრეტებით. ქართული კედლის მხატვრობის შე-
მონახული ძეგლები მე-10 საუკუნეზე ადრინდელ ხანას არ აღწევს.

საქართველოს სამეფოს გაპლიმარება

§160. საქართველოს საზოგადოებრივი წყობილება
მე-11 — მე-12 საუკუნეებში

მე-11

საქართველოს საზოგადოებრივ წყობილებას მე-11 — მე-12 საუკუნეებში უკვე განვითარებული ფეოდალიზმის სახე ჰქონდა. მთელი საქართველო პატრონებად და ყმებად იყო დაყოფილი. პატრონი ერთ-სადაიმევე დროს როგორც მზრუნველს, ისევე მფლობელსაც, კერძო მესაკუთრესაც, ნიშნავდა. ამასთანავე პატრონი მეფესაც ეწოდებოდა, ხოლო მის ქვეშევრდომებს ყმეები. ერქვათ, თუნდაც ისინი ძლიერი და მდიდარი ლიდგვარიანი აზნაურები ყოფილიყვნენ.



მეფის ამ ლიდგვარიან აზნაურ ყმებსაც თავისი ყმები ჰყავდათ, რომელთათვისაც ისინი პატრონი იყვნენ. ამ ყმებსაც თავის მხრით შესაძლებელია ჰყოლოდათ და ჩვეულებრივ ჰყავდათ კიდევ ყმები. ამრიგად მთელი ქვეყანა პატრონყმობის უღელში იყო შებმული.

ყმობა და პატრონყმობა სხვადასხვა ნიადაგზე იყო აღმოცენებული. მაგალითად, ტყვედ ჩაგარდნილი პირი შესაძლებელია ყმა გამხდარიყო. იყვნენ ნასყიდი ყმეებიც. ყმათა ერთ ჯგუფს ისინი შეადგენდნენ, რომელნიც, როგორც შეუძლებელი მოვალენი, სასამართლოსაგან ყმად იყვნენ მიცემულნი ვალის გადახდამდე. იყვნენ ყმები, რომელთა პატრონყმური ურთიერთობაც „ნებაყოფლობითს“ შეთანხმებაზე იყო დამყარებული. ასეთ ყმას ნებიერი ყმა ეწოდებოდა. ასეთი ყმობის მიზანს ძლიერი მფარველისა და საჭირო აღდილა-მამულის მოპოვება შეადგენდა. როდესაც შეთანხმება წერილობით საბუთშიაც იყო აღბეჭდილი, რომელსაც მაშინ სიგელი ეწოდებოდა, ყმას სიგელოსანი ერქვა. ისეთი ყმებიც იყვნენ, რომელნიც ბაღის აღწერის დავთრის შედგენის დროს თავის თავს

ამა თუ იმ პატრონის ყმად ჩააწერინებდნენ. ასეთ ყმას თავდაწერილი ეწოდებოდა. მთიან რაიონებში იყვნენ აგრეთვე თავისუფალი გლეხებიც.

ნებაყოფლობითი ყმების მდგომარეობა უკეთესი იყო, ვიდრე სხვა ყმებისა. ამ შემთხვევაში პატრონყმობა მოწესრიგებული იყო ან ზნე-ჩვეულებით, ანდა საბუთში საგანგებოდ აღნიშნული პირობებით. სიფ-ლოსნებსა და ნებიერებს გარკვეულ პირობებში პატრონისაგან წასვლის უფლება ჰქონდათ.

ყმობის საფუძველი საადგილმამულო დამოკიდებულება იყო. მიწა, რომელსაც ყმა ამუშავებდა, პატრონის საკუთრება იყო. საქართველოს მიწების საუკეთესო და უდიდესი ნაწილი უკვე დიდი ხნიდან ფეოდალ-ების კერძო საკუთრებას შეადგენდა.

მეამბულეს შეეძლო ყმის ყიდვა-გაყიდვა.

ზოგი ყმის მოვალეობას პატრონის ერთგული სამსახური და მასთან ერთად საბრძოლველად გასვლა შეადგენდა. ასეთი ვალდებულება აზნაუ-რებსა და თავისუფალ პირებს ჰქონდათ დაცისრებული. არათავისუფალი გლეხების მოვალეობა-კი საპატრონყმო გადასახადების გამოღება და სა-მუშაოდ გამოსვლა იყო. თითოეული ამ მოვალეობის სიდიდე და რაოდე-ნობა ყმობის პირობაზე იყო დამოკიდებული. ზოგ თავის ყმას მეფე შეუ-ვალაობას აძლევდა, ესე იგი ზოგიერთი სამეფო მოვალეობისა და გადასახადისაგან ათავისუფლებდა.

საქართველოს მოსახლეობა წოდებრივ ფენებადაც იყო და-ყოფილი. უმაღლესი წოდების წევრს აზნაური ეწოდებოდა. აზნა-ური იყვნენ ან მეამბულენი, ესე იგი — მემკვიდრეობით მქონე-ბელნი, ანდა მოსაკარგავნი, რომელთაც ეს წოდება სამსახურით ჰქონდათ მოპოვებული, — ციხიანი და უციხონი. ციხიანები უფრო გავლენიანსა და ძლიერ ჯგუფს წარმოადგენდნენ. ყველაზე ძლი-ერსა და მდიდარ აზნაურებს დიდებულებს ეძახდნენ.

მეორე წოდებრივი ფენა ვაჰრებისაგან შესდგებოდა.

მესამე ფენას მსახური წარმოადგენდნენ, მეოთხე ფენა სოფლის მოსახლეობას, გლეხობას შეიცავდა.

დიდებული აზნაურები შეადგენდნენ იმდროინდელი ქართველი საზო-გადოების ნამდილად გაბატონებულ ფენას. ისინი იყვნენ, საქართვე-ლოს მეფეებს რომ გამუდმებით ებრძოდნენ მე-11 საუკუნეში, რადგანაც მეფის გაძლიერება არ სურდათ. მე-11 საუკუნის დამლევა და მე-12 საუკუნის დამლეგს მეფის ამ ურჩ ქვეშევრდომებს პირველად მოუგრისა კისერი დავით აღმაშენებელმა, გიორგი მეორის შეილმა.

ყმობა

§ 61. დავით აღმაშენებელი

დავით მეოთხის გამეფებისას საქართველო მეტად მძიმე მდგომარეობა-ში იმყოფებოდა. თურქების გამუდმებული თავდასხმებისაგან აღმოსავ-ლეთი საქართველო აოხრებული იყო. ქართლისა და კახეთის ბარის ზოგი თემი გაუქცირებულ, ტყით დაბურულ მხარედ გადაქცეულიყო.

12. საქართველოს ისტორია.



გელათი. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.


ამასთანავე საქართველო განაგრძობდა სელჩუკიან სულტნებისათვის დამამცირებელი ზარკის ძლევას.

ამგვარ ვითარებაში ქვეყნის წინაშე მდგარი, სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ამოცანებისათვის წარმატებით ბრძოლას სათავეში უნდა ჩასდგომოდა განსაკუთრებული პირადი ღირსებებით დაჯილდოებული სახელმწიფო მოღვაწე.

სწორედ ასეთი იყო გიორგი მეორის ძე, დავით IV, რომელიც 1089 წელს, 16 წლის ჭაბუკი ავიდა სამეფო ტახტზე.

დავით IV პირველი. ბუნების მიერ მძლავრი გონებითა და რკინისებური ნებისყოფით დაჯილდოებული, თავისი დროისათვის ღრმად განსწავლული დავით IV ადრევე ჩამოყალიბდა. ძველი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო გამოჩენილ სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწედ. მას შეთვისებული ჰქონდა აღმოსავლურ-ქრისტიანული სამყაროს განათლება და თანაც საფუძვლიანად შესწავლილი არაბული და სპარსული ენები. არაბი ისტორიკოსები გადმოგვცემენ, რომ დავით მეფე კარგად იცნობდა ისლამსაც და ერთ ღროს ვინმე განჯელ ყადისაც კი გამოჰკამათებია ყურანის წარმოშობის საკითხების გარშემო. დავითის გონებრივ ანტერესთა წრე მეტად ფართო იყო, მის ცნობისმოყვარეობას ვარსკვლავთმრიცხველომაც კი იზიდავდა.

მისი თანამედროვე მოღვაწე, შესანიშნავი ისტორიული თხზულების,



მცხეთა, სამთავროს ტაძარი, XI ს.

მცხეთის არქ. ექსპედიცია.

„ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“-ს ავტორი, მრავალ ამბავს მოგვითხრობს დავითის მუდმივი გატაცების შესახებ მწიგნობრობით.

დავითის საყვარელი დარგი ისტორიული მწერლობა ყოფილა. მას გზაში და ლაშქრობაში სატარებელი წიგნთსაცავიც ჰქონია, რომელსაც იგი არასდროს არ იშორებდა. როცა მას კითხვისაგან თვალი დაედლებოდა, დავითი სხვას აკითხებდა, დიდი ყურადღებით უსმენდა, განმეორებით გამოჰკითხავდა ხოლმე და ჩვეულებრივ „თვით განუმარტავდა წანაკითხის ძალასა და სიღრმეს“.

დავით მეფე დიდბუნებოვანი, თავისი დროის მოწინავე აზროვნების კაცი იყო. იგი უნდობლად ეკიდებოდა მრავალს რასმე, რაც სამღვდელთებას ურყევ ჰეშმარიტებად მიაჩნდა. იმავე დროს მან სახელი მოიხვეჭა თავისი საოცრად ლმობიერი მოპყრობით უცხო ტომებისა, ისევე როგორც უცხო სარწმუნოებათა მიმდევრების მიხარტ.

დაუღალავმა, დასახული მიზნის განხორციელებისათვის შრომაში უღრეკელმა დავით მეოთხემ უკუდავჰყო თავისი სახელი შემოქმედებითი სახელმწიფოებრივი საქმეებით, რის გამოც მას „აღმაშენებელი“ ეწოდა.

დავით აღმაშენებლის ბაძოლა ფეოდალთა წინააღმდეგ.
დავითმა, უწინარეს ყოვლისა, თავი მოუყარა აღმოსავლეთ საქართველოს

ბარიდან გაქცეულ-დაფანტულ მოსახლეობას და ლტოლვილები თავის ადგილას დააბრუნა. შემდეგ იგი მისდგა ქვეყნის სისუსტესა და დამარცხების მთავარ დამნაშავეებს—პირველ რიგში დიდგვარიან აზნაურებს — და მალე აგრძნობინა მათ, რომ სამეფო ტახტზე ესაღაშა უკვე ძლიერი პირთა ზნის, რომელიც თვითნებობასა და ურჩობას არაეის აბატეებს.



დავით აღმაშენებელი.

ქ. ლათის ფრესკა.

რგებლა სელჩუკიანთა სამხედრო მარცხითა და შინაგანი განხეთქილებით და სულტანს ხარკის ხდაზე უარი უთხრა.

მაგრამ თვით საქართველოში ზოგიერთი ადგილი ჯერ კიდევ მტერს ეჭირა.

დავით მეფე შეუდგა საქართველოს ტერიტორიის გაწმენდას მოხეტიალე თურქული ურდოებისა და სელჩუკიანთა მეციხოვნეებისაგან. დავით-

ბრძოლა თურქების წინააღმდეგ. XI საუკუნის დამლევს დასავლეთ-ევროპელმა ჯვაროსნებმა თურქებს სირიისა და პალესტინის რიგი მნიშვნელოვანი ქალაქები და მხარეები წაართვეს. დავითმა ისა-

ბრძოლა თურქების წინააღმდეგ. XI საუკუნის და-

მლევს დასავლეთ-ევროპელმა ჯვაროსნებმა თურქებს სირიისა და პალესტინის რიგი მნიშვნელოვანი ქალაქები და მხარეები წაართვეს. დავითმა ისა-

თის სამხედრო ტაქტიკა იყო მტერზე მოულოდნელი და სწრაფი თავდასხმა პატარ-პატარა რაზმებით. რაკი საქართველოს სამხედრო ძალა ჯერ კიდევ მცირე იყო, მხოლოდ ამგვარი ბრძოლით შეიძლებოდა მრავალრიცხოვანი მტრის გამკლავება. მაგრამ ამ ბრძოლაში სრული გამარჯვებისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა ქართველი ერის ყველა ძალთა გაერთიანება ერთს ცენტრალიზებულ სახელმწიფოში.

ბრძოლა კახეთისათვის. დავითი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ჯერ საქართველოს მიწა-წყლის შემოკრების ამოცანას. მისი სამეფოს გარეთ იყო ამ დროს სომხეთი უმნიშვნელოვანესი თემები, როგორც იყო კახეთი და თბილისის საამირო. დავითმა კახეთიდან დაიწყო. კახეთის მნიშვნელოვანი სიმაგრე დასავლეთით ზედაზნის ციხე იყო. 1101 წელს დავითმა წაართვა ეს ციხე კახთა მეფეს. სამი წლის შემდეგ ჰერეთის დიდებულებმა თვით კახთა მეფე ალსართანიც შეიპყრეს და დავითს გადასცეს. დავითმა ესლა უკვე საბოლოოდ შემოუერთა კახეთ-ჰერეთი საქართველოს სამეფოს.

სამკლესიო რეფორმები. დიდებულებთან ბრძოლამ დავით მეფე დაარწმუნა, რომ მეფის მოწინააღმდეგე ძალების, დიდგვარიანი აზნაურების ერთი მოაჯარი საბუდარი ეკლესია იყო.

ეკლესიის თავ-კაცები დიდგვარიან აზნაურთა წრის შეილები და წარმომადგენლები იყვნენ და საიდუმლოდ თუ დაუფარავად სხვა დიდგვარიან აზნაურებთან ერთად მეფეს ებრძოდნენ.

აუცილებელი იყო გადაჭრით გალაშქრება საეკლესიო ფეოდალების წინააღმდეგ. ნიადაგი ამისათვის ნაწილობრივ გიორგი მთაწმიდელის საქმიანობით იყო მომზადებული. მაგრამ ის, რაც გიორგი მთაწმიდელმა გააკეთა, მხოლოდ პირველი ცდა იყო. დავითმა მტკიცედ მოჰკიდა ხელი ეკლესიას.

1103 წელს მეფემ მოიწვია საეკლესიო კრება, რომელსაც რუის-ურბნისის კრებას ეძახიან, რადგან იგი ქართლის ორ სოფელში, რუისსა და ურბნისში (საეკლესიო ცენტრებში) აწარმოებდა თავის სხდომებს. კრებამ დაადგინა, რომ ის ეპისკოპოსები, რომელნიც „მამულობით“, ე. ი. მემკვიდრეობით, ფლობდნენ საეკლესიო თანამდებობას და არა პირადი ღირსებისა და დამსახურების გამო, გადაყენებული ყოფილიყვნენ და მათ მაგიერ, შთამომავლობისა და მიუხედავად, ღირსნი და განსწავლულნი აერჩიათ. ესეცა და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანიც რუის-ურბნისის კრებისა მეფემ სწრაფად და გაბედულად განახორციელა. საეკლესიო არისტოკრატია განადგურებულ იქნა.

საეკლესიო რეფორმებს მოჰყვა უმნიშვნელოვანესი ცვლილებანი სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, რომელთაც ჩაუყარეს საძირკველი ქართული სახელმწიფოს ძლიერებასა და მეფის შეუზღუდველ ხელისუფლებას, თვითმპყრობელობას.

ბრძოლა თბილისისათვის.

როცა შინაურობაში დავითმა ზურგს გაიმავრა, ის კვლავ სამხედრო საქმეებზე გადავიდა, რათა აღმოსავლეთ საქართველოში მდგარი სელჩუკიანთა მეციხოვნე რაზმებიც გაენადგურებინა და ამრიგად ბოლომდე მიეყვანა საქართველოს გაერთიანების საქმე. თურქებს ჯერ კიდევ ეჭირათ საქართველოს დედაქალაქი თბილისი და მისი თემი, ისევე როგორც ქვემო-ქართლის სხვა უმნიშვნელოვანესი ქალაქები და ციხეები, — მათ შორის ციხე-ქალაქები დმანისი, სამშვილდე, რუსთავი და სხვანი, რომელნიც ერთიანს მძლავრს თავდაცვის სისტემას ჰქმნიდნენ.

1110 წელს დავით მეფემ იერიში მიიტანა ამ სისტემაზე და კიდევაც გამოსტაცა თურქებს სამშვილდე, ფრიად მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქი და ძლიერი ციხე, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან იცავდა თბილისს. სამშვილდის აღება იმდენად დიდი გამარჯვება იყო ქართველებისა, რომ ამით შეშინებულმა თურქებმა ქვემო-ქართლის ციხეების უმეტესობა თვითონვე მიატოვეს და გაიქცნენ. მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, რომ სულთანმა სცადა დანაქარგის დაბრუნება, — საქართველოს სელჩუკიანთა მრავალრიცხოვანი ჯარი შემოესია. დავითმა სწრაფად შეუტია მტერს და სასტიკადაც დაამარცხა იგი თრიალეთში.

1115 წელს დავითმა თურქებს წაართვა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი — რუსთავი, რომელიც თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთის მისადგომებზე მდებარეობდა, მტკვრის ნაპირას.

1117 წელს დავით მეფემ ხელთ იგდო ჰერეთის ციხე-ქალაქი გიში (დღევანდელი აზერბაიჯანის სსრ ქალ. ნუხის მახლობლად). იმავე დროს იგი დაუღალავად სდევნიდა და სპობდა სელჩუკიანთა რაზმებს, რომელნიც აქა-იქ კიდევ ბოგინობდნენ, საქართველოს სამხრეთ განაპირა თემებში.

1118 წელს ქართველთა ჯარმა აიღო ლორის ძლიერი ციხე, რომელიც სამხრეთიდან მომავალ მტერს გზას უკრავდა და მეტად მნიშვნელოვანი მეწინავე სიმაგრე იყო იმ მთავარ გზაზე, საქართველოს რომ სომხეთთან და სომხეთის სხვა ქვეყნებთან აერთებდა.

სამხედრო რეფორმები. ამ ძლევამოსილი ბრძოლებით დავითი თანდათან თბილისს უახლოვდებოდა. მაგრამ საქართველოს დედაქალაქის აღებისათვის საჭირო იყო ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციის არსებითი გაუმჯობესება. მეფეს ხელთ ჰყავდა მხოლოდ პატრონყმობაზე დამყარებული ჯარი. მართალია, მეფეს თავისი საკუთარი მამული ჰქონდა და ამ მამულიდან გამომავალი საკუთარი ჯარი ჰყავდა, მაგრამ თითოეულ დიდგვარიან აზნაურსაც მოეპოვებოდა თავისი ფეოდალური სამფლობელო, სადაც იგი თავს ბატონ-პატრონად გრძნობდა და რომლის მოლაშქრე ყმები ამ აზნაურის მეთაურობით გამოდიოდნენ ბრძოლის ველზე. ამგვარ პირობებში არ შეიძლებოდა, მეფე დამოკიდებული არ ყოფილიყო თავის ძლიერ ყმებზე. სანამ ეს უკანასკნელნი მეფის ერთგულ-

ნი იყვნენ, მათი მონაწილეობა ლაშქრობაში მეფეს უზრუნველყოფდნენ. კჳონდა, მაგრამ საკმარისი იყო მეფესა და დიდგვარიან აზნაურს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილიყო, რომ ამ აზნაურისა და მისი ჯარის მეფისადმი ერთგულება საეჭვო ან უიმედოც გამხდარიყო. უთანხმოების გამწვავება კი შეიძლებოდა შეტაკებითაც დამთავრებულიყო.

ამ გარემოებამ გადააწყვეტინა დავით აღმაშენებელს შეექმნა ისეთი შეიარაღებული ძალა, რომელიც მტკიცე შინაგანი ერთობით იქნებოდა შეკავშირებული, მუდამ მზად იქნებოდა ბრძოლისათვის და სავსებით დამოუკიდებოდა მეფის ნება-სურვილს. საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ამ ახალი ტიპის ჯარის გაჩენას უნდა შეეცვა-ლა აგრეთვე ჩვეულებრივი საპატრონყმო, საჭიროების კვალობაზე მოწვეული რაზმების ბუნება და მნიშვნელობა.

ამ მიზნით მეფემ გადასწყვიტა გადმოეყვანა საქართველოში ყივჩაყები. ყივჩაყები ძლიერი და მეომარი ტომი იყო, ჩრდილო კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის ველებზე მომთაბარე. მათ წინათაც არა ერთგზის უმსახურნიათ, ქირით, საქართველოს ლაშქარში. ამასთანავე დავით აღმაშენებელს ყივჩაყთა მეთაურის ასული ჰყავდა მეუღლე.

1118 წელს დავითი თავისი უახლოესი მრჩეველებისა და თანაშემწეების თანხლებით ჩრდილო კავკასიაში გადავიდა. იქ, საქართველოსა და ყივჩაყებს შორის, ოსები ესახლნენ, რომელნიც ყივჩაყებს ემტერებოდნენ და ცდილობდნენ ხელი შეეშალათ საქართველოში მათი გადმოსვლისათვის.

დავითმა დაიმორჩილა ოსები, დაიჭირა ოსეთის ციხეები და გზებიც გახსნა.

მეფემ 45 000 ყივჩაყის ოჯახი გადმოასახლა საქართველოში, მიუჩინა მათ მიწა და ყველაფერი, რაც სამხედრო სამსახურისათვის სჭირდებოდათ, მისცა.

დავითმა ახალი ორგანიზაცია მისცა ყივჩაყებს, და, ორი წლის გაძლიერებული წვრთნის შემდეგ, საქართველოს უკვე ჰყავდა 40 000 საუკეთესო ცხენოსნისაგან შემდგარი ლაშქარი.

გარდა ამისა, დავითმა შეადგინა კიდევ ერთი ცალკე რაზმი 5 000 კაცი-საგან, რომელსაც „მონა-სპას“ ეძახდნენ და რომელსაც თვით მეფის დაცვა ევალებოდა.

თურქებთან ბრძოლის განახლება. დიდგორის ომი. რაკი დავითმა შინაურობაში მშვიდობიანობა დაამყარა და თავისი ძალა-უფლება განამტკიცა, მას საშუალება მიეცა კვლავ შესდგომოდა თურქებთან ბრძოლას. ცხადი იყო, რომ საქართველოს უშიშროების უზრუნველყოფა ვერ მოხერხდებოდა, თუ საქართველოსაგან მომავალი ყველა მნიშვნელოვანი გზა შეკრული არ იქნებოდა. ეს გზები იმავე დროს უმთავრესი სავაჭრო გზებიც იყო.

უკვე 1120 წელს დავითმა შარვანში გაილაშქრა და ციხე-ქალაქი ყაბალა აიღო. მეფე თურქებს სულისთქმას არ აცდიდა: ხან ერთ ადგი-

ლას დაეცემოდა მათ, ხან მეორე ადგილას და მუსრს ავლებდა ყველ-
 ჯან, — საქართველოს სახელმწიფო საზღვრიდან ქალაქ ბარდავამდე
 და კასპიის ზღვამდე. ძალზე შევიწროებულმა კავკასიელმა თურქებმა
 საჩივრით მიმართეს სულტანს, რათა მათ დავითის წინააღმდეგ დახმარე-
 ბოდა.



პატარა ონი, XI ს. კარის სამკაული.

მუზეუმი „მეტეხი“.

თურქების სულტანმა შემოიერთა ყველა მაჰმადიანი მთავარი და ამი-
 რა დამასკოდან და ერაცოდან, სამხრეთში, ვიდრე სომხე-
 თამდე, ჩრდილოეთში, და საქართველოსაკენ უზარმაზარი ჯარი გა-
 მოგზავნა. იმდროინდელი უცხო მწერლების სიტყვით, მაჰმადიანთა გაერ-
 თიანებული ლაშქარი ვითომც 400 — 600 ათასი კაცისაგან შესდგებოდა.
 ამასთანავე ეს მწერლები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ქართველთა ჯარი
 რიცხვით რამდენჯერმე ნაკლები იყო თურქებისაზე.

მტრის ჯაშმა სწრაფად იარა, მოულოდნელად შემოიჭრა საქართვე-
 ლოში, მხარმარჯვნივ დასტოვა თბილისი და 1121 წლის 12 აგვისტოს
 შოადგა ქალაქ მანგლისს. თურქებს განზრახული ჰქონდათ ამ რაიონ-
 ში გადაეღახათ თრიალეთის ქედი და მოეწყვიტათ დავით მეფე და-
 სავლეთ საქართველოში მდებარე მისი ძირითადი ბაზებისაგან.

შემოსევის მოულოდნელობამ ხელი შეუშალა დავითს სრულად გამო-
 ეყენებინა თავისი ძალები. მაგრამ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და მე-
 ფემაც გადასწყვიტა დაესწრო მტრისათვის, შეეცა მისთვის მთიან-
 ტყიან ადგილებში, სადაც, მისი ანგარიშით, თურქ-არაბთა ცხენოსანი
 ლაშქრის სიმრავლეს უნდა დაებრკოლებინა მისი მოძრაობა და შეემცი-
 რებინა ბრძოლის უნარიანობა.

დავითმა დიდი სისწრაფით ატარა თავისი სამოცათასიანი ლაშქარი და
 მანგლისს ჩრდილოეთით, დიდგორის მთაზე შეაგება იგი თურქებს.

დიდგორის ბრძოლა მოხდა 1121 წლის 15 აგვისტოს. იგი დიდხანს არ
 გაგრძელებულა. ქართველთა ჯარს გამოეყო და მტრის ბანაკისაკენ გაე-



ფასკუნჯი სამთავისის ტაძრის კელიდან, 1030 წ.

მართა 200 მხედარი. თურქებს ისინი მათ მხარეზე გადასული ზოღალატენი ეგონათ და დაუბრკოლებლივ მიუშვეს რაზმი შუაგულ ბანაკამდე. მაგრამ გულადმა მეომრებმა უეცრად ხმლები იშიშველეს და დაერივნენ გაოცებულსა და დაბნეულ თურქებს. დავითმა ისარგებლა მტრის არეულ-დარევით და ელვისებურად ეკვეთა მისი ლაშქრის ფრთებს. მაჰმადიანთა უზარმაზარი ჯარი სასტიკად დამარცხდა. თურქებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს დიდძალი მოკლული და დაჭრილი და გაქცევით უშველეს თავს. ქართველებმა დიდხანს სდიეს ლტოლვილ მტერს და აურაცხელი სიმდიდრე და მრავალი ტყვე ჩაიგდეს ხელში. დავითის ბრწყინვალე სამხედრო ნიჭმა და სამშობლოს დამცველთა მხნეობამ სრული გამარჯვება მოუპოვა საქართველოს.

დიდგორის ბრძოლამ დაამტკიცა, რომ საქართველო ახლო აღმოსავლეთის ერთი უძლიერესი სახელმწიფოთაგანი იყო უკვე.

თბილისის განთავისუფლება. დიდგორის ომიდან დიდი ხანი არ გასულიყო, რომ, 1122 წელს, დავით მეფემ თბილისს ალყა შემოარტყა. თბილისში მყოფმა სელჩუკიან-მაჰმადიანთა მეციხოვნე ჯარმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მას, მაგრამ ვერას გახდა: ქართველებმა თბილისი აიღეს.

მაჰმადიანი ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ გაჯავრებულ გულზე პირველ დღეს მეფემ მოწინააღმდეგენი სასტიკად დასაჯა, მაგრამ ძალიან მალე მოლბა და ბრძანება გასცა, რომ თბილისის მცხოვრებნი, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად, თანასწორ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ. მაჰმადიანებს ზოგიერთი უპირატესობაც კი მიენიჭა.

400 წლის განმავლობაში უცხოელთა ხელში ნამყოფი დედაქალაქის განთავისუფლების შემდეგ დავითმა სამეფო ტახტი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა. ამ გამარჯვებას, ცხადია, თვით საქართველოსათვის უპირატესი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლო აღმოსავლეთში მან დავითსა და ქართულ მხედრობას დიდი სახელი მოუპოვა.

თურქების გაძევება შარვანიდან და სომხეთიდან. ახლო აღმოსავლეთის სელჩუკიან-მაჰმადიანი მბრძანებლებისათვის ძნელი ასატახი იყო ისეთი მარცხი, როგორიც იყო თბილისის დაკარგვა, და მათ ახალი, საპასუხო ლაშქრობის მოწყობა სცადეს. 1123 წელს სულტანი შარვანში შეიჭრა, შეიპყრო შარვანის მფლობელი, „შარვან-შაჰად“ წოდებული, შარვანის დედაქალაქი შამახია აიღო და დავითს გამოუგზავნა მუქართა და დაცინვით სავსე წერილი, რომელშიც „ტყის მეფეს“ უწოდებდა მას: თუ გული გერჩის, მაგ შენ ტყიან ქვეყანაში ნუ კი იმალები, ველზე გამოდი და შემებრძოლეო.

დავითი თავისი ჯარით დაუყოვნებლივ შარვანისაკენ დაიძრა. სულტანმა, დაზვიანებული არა ქართველთა ძალა, ომს თავი მოარიდა და ბოლოს გაიქცა კიდევაც. დავითმა შამახიაც აიღო, შარვანიც თავის გავლენას დაუმორჩილა, ხოლო შემდეგ უფრო შორსაც გაიწია და დარუბანდის მმართველს ქალაქი შაბურანი წაართვა.

იმავს 1123 წელს დავითმა ხელთ იგდო სომხეთის მრავალი ქალაქი და ციხე, შემდეგ კოლასა და ბასიანში გაილაშქრა და გაანადგურა თურქები, რომელნიც საქართველოს ამ სამხრეთ თემებში ჯერ კიდევ მაგრობდნენ.

ბოლოს ჯერი მიდგა სომხეთის დედაქალაქ ანისზე და, რომელიც ამ დროს მაჰმადიან მფლობელს ეჭირა. საქართველოს წარმატებით გაზნეებულმა, ანისელი სომხების თავკაცებმა დავით მეფეს თავისი თავი და თავისი ქალაქი შემოავედრეს.

დავითმა სწრაფად შეკრიბა 60 000 ცხენოსნისაგან შემდგარი ჯარი. შემოეწყო ანისს და, სომეხი მოსახლეობის დახმარებით, სამ დღეში აიღო ქალაქი. ანისი დავითმა სამეფოდ დაიქირა, ქალაქის გამგედ თავისი კაცი დანიშნა, ხოლო მეციხოვნეებად კი მესხი აზნაურები ჩააყენა.

ანისის, სომეხთა ეროვნულ-კულტურული ცხოვრების ცენტრის, ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უმდიდრესი სავაჭრო ქალაქისა და სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისითაც ფრიად მნიშვნელოვანი გამაგრებული პუნქტის აღებას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, და ამ ამბავს მთელი სომეხი ხალხი ზეიმით შეხვდა. სომეხი ისტორიკოსი მათე ედესე-

ლი თავის თანამემამულეთა განწყობილებას გადმოგვცემს, როცა მოგვითხრობს, თუ როგორ „გაათავისუფლდა“ დავით ქართველთა მეფემ, სომეხი ერის მფარველმა და მეგობარმა, 60 წლის მონობისაგან სატანტო ქაღალაქი სომხეთისა, ანისი, და მისი დიდებული, მეჩეთად ქცეული ტაძარი. დავითმა დიდი ზემოთ კვლავ აკურთხებინა ტაძარი და სიხარული გამეფდა სომეხთა მთელ სახლში“.

ერთი ძველი ქართული ქრონიკა მათეს ამ ცნობას დასძენს, რომ დავითი მივიდა ანისის ტაძრის აშენებლის, კ ა ტ რ ო ნ ი ტ ე დედოფლის საფლავზე და სამგზის ჩასძახა მას: „გინაროდეს, დედოფლო, რადგანაც იხსნა უფალმა ტაძარი შენი ურწმუნოთაგან“.

ანისის აღების შემდეგ დავითს დიდხანს აღარ უცოცხლია: 1125 წლის 24 იანვარს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, იგი გარდაიცვალა ქ. თბილისში. მისი ცხოვრების აღმწერელი გვამცნობს, რომ „მეფეს განზრახული ჰქონდა კიდევ უფრო დიდი საქმეები და ლაშქრობანი“ და რომ იგი ენერგიულად ემზადებოდა კიდევაც მათთვის, მაგრამ სიკვდილმა აღარ დაცალა მას ამ გეგმების შესრულება.

დონისკიეზანი სახალხო მუშავეობისა და კულტურის დარბაზი. დავით აღმაშენებლის ხანა აღნიშნულია გაცხოველებული საქმიანობით სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში. ქართველი, სომეხი და მაჰმადიანი ისტორიკოსების ერთსულოვანი მოწმობით, თვით სახელმწიფოს მეთაური ახერხებდა, მიუხედავად გამუდმებული ომიანობა-ლაშქრობისა, მოენახა დრო იმისათვის, რომ პირადად მოეკიდა ხელი მშვიდობიანი მშენებლობის საკითხებისათვის და ყოფილიყო ყოველი სასარგებლო წამოწყების მოთავე და მფარველი.

დიდი ყურადღება ექცეოდა ვაჭრობის განვითარებასა და ქალაქების კეთილმოწყობას. შეკეთდა ძველი გზები, გაყვანილ იქნა და მოიკირწყლა ახალი გზები, გაიღო ხიდები მთის ჩქარ მდინარეებზე, აშენდა სამგზავრო სასტუმროები.

დავით აღმაშენებელმა ხელ-ახლა გააშენა და ვაჭარ-ხელოსნებით დაასახლა ქალაქი გორი, რომელიც მას შემდეგ მუდამ იყო საქართველოს ძირითადი თემის, შიდა ქართლის ცენტრი.

დავითის თანამედროვენი ქება-დიდებათ იხსენიებენ მის გულმოწყალებობასა და ქველმოქმედებას. მან ააგო და ყველაფრით უზრუნველყო საავადმყოფოები, სადაც თავშესაფარს აძლევდნენ და მკურნალობდნენ ღარიბ-ღატაკებს.

განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა დავით აღმაშენებელი სწავლა-განათლების საქმეს. სომეხი მემკვიდრეანი მოგვითხრობენ, რომ დავითმა ენების შესასწავლად და მთარგმნელობისათვის მოსამზადებლად საბერძნეთს გაგზავნა 40 ყმაწვილი, რომელთაგანაც სამი შემდეგში თავისი ერის ნამდვილი მშვენება გახდა. არაბი და სპარსელი მწერლები კი გვამცნობენ, რომ დავითს აღუშენებია ცალკე სახლი მაჰმადიან მეცნიერთა,

ფილოსოფოსთა და პოეტებისათვის, რომ იგი ნივთიერად ეხმარებოდა მათ და დრო და დრო საზეიმო დარბაზობასაც უმართავდა.

თავისთავად ცხადია, რომ მეფის მზრუნველობა ფართოდ სწედებოდა ქართულს ეროვნულ-კულტურულ კერებს საქართველოშიცა და მის ფარგლებს გარეშეც. გარდა იმისა, რომ არაფერს ზოგავდნენ უკვე არსებული მონასტრების მოვლა-პატრონობისათვის, დიდძალი სახსარი დაიხარჯა ცოდნისა და განათლების ახალი კერების მოსაწყობადაც. მათ შორის პირველი ადგილი უჭირავთ გელათის (ქუთაისის ახლოს) და შიომღვიმის (მცხეთის ახლოს) მონასტრებს, სადაც დღემდეა შემონახული დავითის მიერ აგებული ტაძრები.

დავითს განსაკუთრებით ჰყვარებია გელათი, რომელიც მან, მისი ბიოგრაფის სიტყვით, „სხედ ათენად“ აქცია. აქ მან დააარსა აკადემია, რომლის გარშემოც შემოიკრიბნენ ქართული კულტურის საუკეთესო მოღვაწენი, საშუალო საუკუნეთა საქართველოს უდიდესი მოაზროვნის, ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის მეთაურობით. გელათის აკადემიამ თვალსაჩინო როლი ითამაშა ქართული კულტურის განვითარებაში. შიომღვიმის მონასტერში მუშაობდა ცნობილი მწერალი არსენ იყალთოელი.

მაგრამ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობაში პირველი ადგილი მაინც იმ რეფორმებს, იმ ცვლილებებს უჭირავთ, რომელნიც მან სახელმწიფოებრივ წყობილებასა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში განახორციელა.

§ 62. ქართული ფეოდალური მონარქიის განვითარება დავით III-ის დროიდან დავით IV-მდე

დავით IV-ის, აღმაშენებლის, სახელმწიფოებრივმა რეფორმებმა დაავიარგინა ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი განვითარება დაქსაქსული სამთავროებიდან, ამ „ნახევარ-სახელმწიფოებიდან“ მოყოლებული ვიდრე ცენტრალიზებულ მონარქიამდე თვითმპყრობელა მეფის მეთაურობით.

მთავრის ხელისუფლება, რომლისგანაც წარმოიშვა მეფის ხელისუფლება, თავდაპირველად არჩევითი ხასიათისა იყო. ასე იყო, როგორც ვიცით, ქართლში, მეექვსე საუკუნის დამლევს, სადაც ერისმთავარი ქართველი ფეოდალების ამორჩეული მეთაური, ნდობით აღჭურვილი წარმომადგენელი იყო. ამის შესახებ ხსოვნა ფეოდალებს საუკუნეების მანძილზე შერჩათ, და ქართველი ხელმწიფეები, რომელნიც მემკვიდრეობითი ხელისუფლებისა და თვითმპყრობელობისაკენ მიისწრაფოდნენ, ყოველთვის იბუღებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ ფეოდალური არისტოკრატიის მოთხოვნებისათვის, რომლის მიხედვითაც არისტოკრატიას უფლება უნდა ჰქონოდა ამა თუ იმ სახით დასტური მიეცა სამეფო ტახტის დაკავებაზე მისი კანონიერი მემკვიდრის მიერ.

დიდგვარიანი აზნაურობისაგან დამოუკიდებლობისათვის, ბრძოლაში ქართველი მეფეები იყენებდნენ არა მარტო პოლიტიკურს, არამედ იდეოლოგიურ საშუალებებსაც. ამათ რიცხვს ეკუთვნის ძველი და გავრცელებული თეორია, რომლის თანახმადაც მეფეებს თავისი ხელისუფლება მიღებული აქვთ არა ხალხისაგან, ან ხალხის რომელიმე ერთი ნაწილისაგან, არამედ ზეგარდმო, ღვთისაგან. უზენაესი ხელისუფლების წყარო, ამრიგად, საზოგადოების წიაღიდან მის გარეთ გადაჰქონდათ.

სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის თეორია, საეკლესიო დალოცვა-კურთხევის წესით შარავანდედ-მოსხლი, გამოყენებული იყო ფეოდალურ საქართველოში ჯერ კიდევ მის გაერთიანებამდე.

სამეფო ხელისუფლების ისტორიისათვის საქართველოში განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავს ტაო-კლარჯეთის მფლობელთა, ბაგრატიონთა სახლის ხელისუფლების ისტორია.

სახელმწიფოებრიობა და სამეფო ხელისუფლების ხასიათი ტაო-კლარჯეთში. ტაო-კლარჯეთის სამთავრო სახლის, რომელმაც შემდეგში საფუძველი დაუდვა სრულიად საქართველოს ეროვნულ დინასტიას, დამაარსებელს აშოტ ბაგრატიონს თავისი ხელისუფლება არ მიუღია ადგილობრივი ფეოდალებისაგან. მან იგი იშოვა ხმლითა და ოქროთი და შემდეგ გარეშე ძალაზე — ბიზანტიის იმპერატორზე — დაყრდნობით განამტკიცა. ეს უპირატესი, სხვა ფეოდალებთან შედარებით, მდგომარეობა, რომელიც ბაგრატიონებმა იმთავითვე მოიპოვეს, შემდეგში კიდევ უფრო გაძლიერებულ იქნა იმ ლეგენდის წყალობით, რომელიც ამტკიცებდა — ბაგრატიონები ისრაილის განთქმული მეფე-წინასწარმეტყველის დავითის შთამომავალნი არიანო, და რომელნიც მათ, ამრიგად, — ნახარების გენეალოგიის საფუძველზე, — ღვთისმშობელსა და ქრისტესთან ანათესავენდა. ეს თქმულება, რომელიც საქართველოში გავრცელდა ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნეში, ხოლო მალე ცნობილი გახდა მეზობელ ქვეყნებშიაც (952 წელს მას იმეორებს ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენიტი), ავსებდა და აართულებდა სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის თეორიას თვით დინასტიის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წარმოშობის იდეით. ცრუმორწმუნე საშუალო საუკუნეების საზოგადოების შიგნებაში ასეთი შთამომავლობა ბაგრატიონებს განსაკუთრებული შარავანდედით მოსავდა, მათი პრესტიჟისა და პოპულარობის ზრდას დიდად ხელს უწყობდა.

გასაგებია ამიტომ, რომ, ტაო-კლარჯეთის მფლობელების აზრით, მათ სხვა ქვეყნების ხელმწიფეებზე ნაკლები უფლება არ ჰქონდათ თავისი თავისათვის „ღვთივ გვირგვინოსანი“, „ღვთივ დიდებული“, „ღვთივ დამყარებული“ მეფეები ეწოდებინათ.

მეორე მხრით, სამთავროს წარმოშობის იგივე პირობები, ეპოქის საერთო ხასიათთან დაკავშირებით, ხილს უშლიდა ხელისუფლების ჯეროვან ცენტრალიზაციას ტაო-კლარჯეთში. აქ იმთავითვე შეთვისებულ იქნა

შეხედულება, რომ სამთავრო შეადგენს დინასტიის საერთო-საგვარეულო კერძო საკუთრებას. როგორც ხელისუფლება, ისე თვით სამფლობელო თაობიდან თაობაში განუწყვეტლივ ქუცმაცდებოდა ამოტ ბაგრატიონის მრავალრიცხოვან შთამომავალთა შორის. ასე ჩამოყალიბდა წყობილება ტაო-კლარჯეთის სახელმწიფოსი, რომელიც ცალკეული, შინაგან დამოუკიდებელი და ურთიერთ შორის სუსტად დაკავშირებული სამფლობელოებისაგან შესდგებოდა. ჩვენ ვიცით, რომ ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელნი, ამ სამფლობელოთა მეთაურები, სხვადასხვა ტიტულს ატარებდნენ, როგორიც იყო მ ა მ ფ ა ლ ი, მ ა გ ი ს ტ რ ო ს ი, ე რ ი ს თ ა ვ თ - ე რ ი ს თ ა ვ ი, ე რ ი ს თ ა ვ ი და ა. შ., მაგრამ ამასთან ერთად, ისინი ყველანი როგორც ოფიციალურს, ისე კერძო მეტყველებაში ერთნაირად იწოდებიან „მეფეებად“ და „ხელმწიფეებად“. საგვარეულოსა და სახელმწიფოს მეთაური, რომელიც ჩვეულებრივად ბიზანტიური კარის წოდებით — „კუროპალატობით“ — იყო შემკობილი, მხოლოდ პირველი იყო თანასწორთა შორის. ტაო-კლარჯეთის სამეფოს დიდი გაძლიერება დავით III-ის დროს არ შეხებია სახელმწიფოს შინაგან აღნაგობას, რომელიც ძველი დარჩა. დავით მესამის ტიტული „მეფეთა მეფე“ ადასტურებდა მრავალი მეფის არსებობას, რომელთა შორის ერთი იყო უფროსი მეფე, მეფეების მეფე. საქართველოს გაერთიანების მოსურნესა და მოამბეს, დავით მესამეს, ჩანს, ეს გაერთიანება ტაო-კლარჯეთის ყაიდაზე ჰქონდა წარმოდგენილი, ე. ი. ცალკეული, შინაგან დამოუკიდებელი, სამფლობელოების ფედერაციის სახით, რომელსაც სათავეში სრულიად საქართველოს მეფეთა-მეფე უდგას.

მაგრამ ქვეყნის სამეურნეო დასაზოგადოებრივი განვითარების ობიექტური მსვლელობა უკვე ვეღარ ეტეოდა არსებული სახელმწიფოებრივი სისტემის ჩარჩოებში და მმართველობის მეტ ცენტრალიზაციას მოითხოვდა.

გაერთიანებული საქართველოს პირველივე მეფე, დავით III-ის შეიღობილი და აღზრდილი, ბაგრატ III, დაჯერებული მომხრეა ახალი შეხედულებისა სამეფო ხელისუფლებასა და სახელმწიფო წყობილებაზე.

მოწინააღმდეგე ბაგრატ III-ისა და მისი მმართველობის დროს.

ბაგრატ მესამე მიისწრაფოდა შეუზღუდველი ერთმმართველობისაკენ, მრავალმთავრობას იგი შეუწყნარებლად სთვლიდა. ბაგრატიონთა საგვარეულო ისტორიკოსი, სუმბატ დავითის ძე, ამ მეფობის რეალურ ტენდენციებს ასახავს, თუმცა გაზვიადებით, როცა წერს, რომ ბაგრატ მესამემ „დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გორგანაღმდე, ხოლო ადარბადაგანი და შარვანი მოხარკე ყო, სომხეთისა ხელმწიფეთა ნებიერად განაგებდა“-ო. სინამდვილეში ბაგრატ მესამემ, რომლისაგან დამოკიდებულებაში მართლაც იმყოფებოდა ზოგიერთი მეზობელი მხარე, თავისი თვითმპყრობელობა განავრცო მხოლოდ საქართველოს უდიდეს ნაწილზე. ამ მიზნისათვის კი იგი არ ერიდებოდა ყვე-

ლაზე მკაცრ ღონისძიებებს, მათ შორის — თავისი უახლოესი ნათესავების მოსპობასაც კი. ამ საშუალებით მან თავის სამეფოში მე მკვიდრებთან ერთად მფლობელები ყველგან ერისთავები თმეფის მოხელეებით შესცვალა. დამახასიათებელია, რომ ბაგრატ მესამეს არ უყვარდა და არც უტარებია „მეფეთა-მეფის“ წოდებულება, რომელიც ახლო წარსულის ნაშთი და მოგონება იყო. იგი მარტოვად „მეფედ“ იწოდებოდა, — ამით უნდა განმტკიცებულიყო ხალხში აზრი, რომ ქვეყანას შეიძლება მხოლოდ ერთი მეფე ჰყავდეს.

ბაგრატ III-ის მემკვიდრეებმა ფორმალურად შეინარჩუნეს მის მიერ შექმნილი სახელმწიფო წყობილება, ოღონდ ისინი მეტად სუსტი იყვნენ იმისათვის, რათა ფაქტიურად განეხორციელებინათ თავისი თვითმპყრობელობითი უფლებები. ერთ შემთხვევაში ისინი იძულებულიც კი გახდნენ დიდ დამომაზზე წასულიყვნენ და ძველი წესები აღედგინათ: კახეთ-ჰერეთი არა მარტო განდგა და დამოუკიდებელ ფეოდალურ სამფლობელოდ ჩამოყალიბდა, არამედ ამ სამთავროს მეთაურმა „ჰერთა და კახთა მეფის“ (ანუ „რანთა და კახთა მეფის“) ტიტულიც-კი დაიჩემა. ამ პერიოდში სრულიად საქართველოს მეფე იმას სჯერდებოდა, თუ ჰერთა და კახთა მეფე თავის თავს მის ყმად აღიარებს.

ამასთანავე, საყურადღებოა, რომ სრულიად საქართველოს მეფეები, ბაგრატიონთა დინასტიიდან, ჩვეულებად იღებენ თავისთავად სიცოცხლეში თავიანთი მემკვიდრეების მეფეებად და თანამოსაყდრეებად (თანამმართველებად) გამოცხადებას. ამ გზით ისინი ცდილობდნენ ხელისუფლების უწყვეტი, ჰირდაპირი ხაზით, გადაცემა უზრუნველყოთ და თავიანთი მემკვიდრეების მდგომარეობა განემტკიცებინათ. ცხადია, რომ ტახტის მემკვიდრეობის დაუწყრელი კანონი, რომლის თანახმადაც გვირგვინი გვარში უფროსს ეკუთვნოდა, ჯერ კიდევ არ გამხდარიყო უზენაესი ხელისუფლების ისეთი მემკვიდრეობის ერთადერთი და საცესებით საიმედო საწინდარი, როგორც მეფეებისათვის იყო სასურველი.

დავით მეოთხის რეფორმების სოციალურ-ეკონომიური პირობები. ძალაქების განვითარება. მე-12 საუკუნის დამდეგს განხორციელებული რეფორმები მომზადებული იყო საქართველოს ისტორიის მთელი წინამორბედი მსვლელობით. ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება გავლენას ახდენდა საზოგადოების შინაგან ურთიერთობაზე და წინ აყენებდა ახალს. სოციალურ ჯგუფებს — საშუალო და წვრილ აზნაურობას ვაჭრებსა და ხელოსნებთან ერთად. ქვეყნის წინსვლა სამეურნეო და საზოგადოებრივ სფეროში ყველაზე უკეთ გამოიხატა ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებაში, რომელთაც ამ დროისათვის მაღალ დონეს მიაღწიეს, ფეოდალური ხანის კვალობაზე. ხოლო ქალაქები, წვრილ მემამულე აზნაურობასთან ერთად, ზეადმევალი მეფის თვითმპყრობელობის მთავარ საყრდენს შეადგენდნენ. ნიშანდობლივია ამ მხრივ, რომ მაშინ, როცა ისნის ციხეში გამაგრებული თბილისის სამხედ-

რო-ფეოდალური ზედაფენა მედგრად ეწინააღმდეგებოდა საქართველოსთან თბილისისა და მისი მხარის შეერთების ცდებს, თბილისის ბერებმა ე. ი. მოქალაქეების წარმომადგენლებმა, ორჯერ გადასცეს ქალაქი ბაგრატ მეოთხეს.

თუ როგორ წინ იყო წასული საქალაქო ცხოვრება იმდროინდელ საქართველოში და თუ ვინ იყვნენ თბილისის ბერები, ამას არაბი ისტორიკოსის ალ-ფარიკის ცნობა გვიჩვენებს. ალ-ფარიკის, ერთი პირობა, თვითონ უცხოვრია საქართველოში და დავით აღმაშენებლის შვილის, დემეტრე მეფის, სამსახურში ყოფილა. იგი წერს: „თბილისის დაახლოებით ორასი წლის განმავლობაში ფლობდა ბანუჯაფარის მკვიდრი საგვარეულო. მაგრამ შემდეგ მისი უფროსი წარმომადგენლები ამოწყდნენ და ქალაქის მმართველობა გადავიდა მისი მცხოვრებლების ხელში, ისე რომ თითოეული მათგანი მართავდა ქალაქს თითო თვე. ასე გაგრძელდა ორმოცი წელი“.

ამრიგად, საქართველოს ძველი დედაქალაქის მოქალაქეთა და მისი არაბ-მასპაღიანი მეპატრონის შინაგანი წინააღმდეგობა მოქალაქეთა სრული გამარჯვებით დამთავრებულა. მოქალაქეებს თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოუპოვებიათ და თბილისი საქალაქო რესპუბლიკად, კომუნად, გადაუქცევიათ. როცა დავით აღმაშენებელმა თბილისი დაიკავა, მას არ შეეძლო იგი თავისი მმართველობისათვის არ დაექვემდებარებინა და მოქალაქეთა თვითმმართველობა მეტნაკლებად არ შეეცვია. მაგრამ დიდი სახელმწიფოს თვითმპყრობელი მეფისაგან დამოკიდებულება სულ სხვა იყო, ვიდრე ადგილობრივი ფეოდალი მთავრისაგან. დავითმა თბილისში ისეთი წესები შემოიღო, რომლებიც საცსებით შეეფერებოდა ვაქარ-ხელოსანთა ინტერესებს და მათი საქმიანობის განვითარებას ხელს უწყობდა.

მონარქიის თეორია დავით აღმაშენებლის ხანაში. მე-11 საუკუნის დამლევისათვის ქართველი საზოგადოების მოწინავე წრეებში უკვე ნრთულია გარკვეული შეხედულება იყო შემუშავებული მონარქიის დანიშნულების შესახებ. ეს შეხედულება გამოთქმული აქვს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს, მისს თანამედროვესა და თანამშრომელს. „ვინ და როგორ აღრიცხოს, — ამბობს იგი, — რამდენი საქმე მოეთხოვება მეფობას, რამდენი მოვალეობა და განსაგებელი: საზღვრების გაფართოება და მათი დაცვა, განხეთქილებათა არიდება, სამეფოში წესრიგის დამყარება, ლაშქრობათა მეცადინეობა, მთავართა მზაკვრობის განოცნობა, მხედართმთავრების განწესება, ხალხის შეგონება, აღმინისტრაციული და სამოსამართლო გადაწყვეტილებანი, ხაზინის შემოსავალი, დესპანთა მიღება და მათთვის პასუხის გაცემა, ძღვნის მომტანთა ღირსეულად დასაჩუქრება, შეცოდებულთა ღმობიერი წვრთნა, დამსახურებულთა უხვად

დაჯილდოება, საჩივართა სამართლიანი გამოძიება, მოსაკითხავთა შესაფერი მოკითხვა, ჯარის დაწყობა და მისი მარჯვედ გაძღოლა ვინ ამოსწურავს იმ სახელმწიფოებრივი საქმეების ზღვას, რომელშიაც არა-ვინ არ ჰგავს დავითს, არც ძველი და არც ახალი მეფე“.

აქ ჩამოთვლილია სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა მხარე, რომელნიც მმართველობის ძაფებით ერთიან ცენტრს — მონარქის ხელისუფლებას უკავშირდებიან.

ასე უთმობდა, თეორიაში, თავდაპირველი ფეოდალი — მთავარი, თავისი კერძო მეურნეობით, ადგილს ფეოდალურ მონარქს, ცენტრალიზებული სახელმწიფოს მეთაურს.

პრაქტიკა შეესაბამებოდა თეორიას.

დავით აღმაშენებლის რეფორმები. დავით აღმაშენებლის ყველა ღონისძიება, მიმართული ფეოდალური სახელმწიფოს არსებული წყობისა და დაწესებულებათა გარდაქმნისაკენ, ემსახურებოდა 2 ძირითად ამოცანას: 1) სახელმწიფოს შინაგანი ერთიანობის განმტკიცებასა და 2) მართვა-გამგეობის ცენტრალიზაციას.

როგორც ერთის, ისე მეორე მიზნის მიღწევისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა „მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდლის“, როგორც მთელი სახელმწიფო მმართველობის ხელმძღვანელის, თანამდებობის დაწესებას (1103—1110 წ.წ.). მწიგნობართუხუცესის, სამეფო კანცლარიის უფროსის, თანამდებობა ძველადვე არსებობდა საქართველოში, მაგრამ ესლა მწიგნობართუხუცესი პირველად ჩატუდგა სათავეში ადმინისტრაციულ აპარატს. ასევე სრულიად ახალი იყო ის წესიც, რომელიც შემდეგ სატუჩნეთა მანძილზე ურყევად შემოინახა, და რომლის მიხედვითაც მწიგნობართუხუცესად უნდა ყოფილიყო ბერი, ჰყონდიდის მთავარეპისკოპოსი, დასავლეთ საქართველოს უძლიერესი მღვდელმთავარი. ამით დასავლეთ საქართველოს კავშირი საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ორგანიზმთან შესამჩნევად უნდა განმტკიცებულიყო. გარდა ამისა, რაკი მეფეს თავის უახლოეს თანაშემწედ და უმაღლეს მოხელედ საქართველოს ერთი უძლიერეს ეპისკოპოსთაგანი ეყოლებოდა, მას ხელთ ეძლეოდა საეკლესიო საქმეებისათვის თვალყურის დევნებისა და სასულიერო პირთა მოქმედების კონტროლის მარჯვე საშუალება: მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდლის მეშვეობით ეკლესია მეფეს ექვემდებარებოდა. მაგრამ საქართველოს სამეფოს დიდი კანცლერის (ასეთი იყო ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელი) თანამდებობის შემოღება ნამდვილ გადატრიალებას მოასწავებდა მართვა-გამგეობის ცენტრალიზაციის თვალსაზრისით. ფეოდალურ საქართველოში, ისევე როგორც განვითარების იმავე საფეხურზე მდგომს ყველა სხვა ფეოდალურ ქვეყანაში, სახელმწიფოებრივი თანამდებობა ყოველთვის დაკავშირებული იყო მიწათმფლობელობასთან: ყველა თანამდებობა ეკავით მემამულე ფეოდალებს, რომელთაც მეფე სამსახურისათვის კიდევ ახალ-ახალ მიწებს უწყალობებდა

ხოლმე. ამრიგად მსხვილი კერძო მიწათმფლობელობა შეუჩერებლად იზრდებოდა, ეს კი მეფის ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებას იწვევდა. შემდეგ: იმისთვის, რათა სამუდამო, საშვილიშვილო საკუთრებად შეენარჩუნებინათ მეფისაგან მხოლოდ პირობით სამფლობელოდ, სამსახურებრივ მოვალეობათა ასრულების განმავლობაში სასარგებლოდ ნაბოძები მიწები, დიდგვარიანი აზნაურები დაეინებით ცდილობდნენ, რომ თვით ეს თანამდებობანი ექციათ თავთავიანთი სახლების მემკვიდრეობით თანამდებობებად. მემკვიდრეობითი მოხელეები — მსხვილი მიწათმფლობელები კიდევ უფრო სუსტად იყვნენ დამოკიდებული ცენტრალურ ხელისუფლებაზე.

ჟეონდიდელს კი, როგორც ბერად აღკვეცილს, არც მემკვიდრეები ჰყავდა და არც პირადი საადგილმამულო ქონება გააჩნდა. უმაღლესი მოხელის როლში იგი ყველა დიდებულზე უფრო სანდო პირი იყო მეფისათვის.

როგორც ვხედავთ, უმაღლესი სამოქალაქო თანამდებობისა და ჟეონდიდელი მთავარეპისკოპოსის მაღალი საეკლესიო თანამდებობის გაერთიანება იყო არა შემთხვევითი, არამედ ღრმად მოფიქრებული სახელმწიფოებრივი ღონისძიება. მეორე მხრით, არც ის ყოფილა შემთხვევითი, რომ საერო დიდი მოხელეებიდან დავით აღმაშენებელმა სწორედ მწიგნობართუხუცესი დააწინაურა; ეს თანამდებობა ყველაზე ნაკლებ იყო დაკავშირებული მეფის კერძო, პირად მეურნეობასთან და ყველაზე მეტად შეესაბამებოდა ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანიზაციის საერთო სახელმწიფოებრივ ამოცანებს.

დავითმა, გარდა იმისა, რომ ყველა საადმინისტრაციო თანამდებობა მწიგნობართუხუცესს დაუქვემდებარა, იგივე დანიშნა ახლად დაარსებულის სამი კაცისაგან შედგენილის, უზენაესი სასამართლოს — „სააჯო კარის“ მეთაურად. ამ სასამართლოს ევალებოდა მოესმინა და გაერჩია ყველა დაჩაგრულისა და მიმძღავრებულის საჩივარი, რომელთაც სამართალი ვერ ეპოვნათ დაბალ სამსჯავრო დაწესებულებებში. თქმა არ უნდა, რომ სააჯო კარი მეფის პოლიტიკის ახალს მძღავრ იარაღს წარმოადგენდა.

მორჩილი და მოქნილი, სავსებით მეფის ნება-სურვილის დამყოლი და წესებულების შექმნა ძირს უთხრიდა არისტოკრატიის გავლენას სახელმწიფო აპარატში. მეფის ხელისუფლება, რომელიც წერილ აზნაურობასა და ქალაქებს ემყარებოდა, არაჩვეულებრივ გაიზარდა და ნამდვილად თვითმპყრობელური გახდა. ხოლო თუ რამდენად შეესაბამებოდა ეს რეფორმები საქართველოს საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს, ჩანს იქიდან, რომ სანამ საქართველოს გაერთიანებული სამეფო არსებობდა, მისი სამმართველო ორგანიზაცია არსებითად იგივე დარჩა, როგორიც თავის დროზე დავით აღმაშენებელმა ჩამოაყალიბა.

მონაწილის სამართაშორისო მდგომარეობა XII საუკუნის დამდგომისათვის. ქართული სახელმწიფოს ძლიერებისა და მისი მეთა-

ურის ძალაუფლების ზრდას თან სდევდა ქართული მონარქიის განსაკუთრებული საერთაშორისო დანიშნულებისა და მნიშვნელობის შეგნების ზრდა. ეს გარემოება, სხვათაშორის, საქართველოს მეფეთა წოდებულებაშიც აღიბეჭდა.

ბიზანტიის სამეფო კარის წოდება „კურაპალატი“, რაც ბაგრატიონებმა ჯერ კიდევ მე-9 საუკუნის დასაწყისში მოიპოვეს და რაც მაშინ იმაზე მიუთითებდა, რომ კლარჯეთის მთავარი იმპერატორის ვასალი იყო, უკვე მომდევნო საუკუნეში იქცა საპატიო სამკაულად, რომელსაც თავისი პირადელი ფაქტიური მნიშვნელობა უკვე დაკარგული ჰქონდა. მე-10 — მე-11 საუკუნეებში ტაო-კლარჯეთის სახელმწიფოს მეთაური და სრულიად საქართველოს მეფე აღარაფრით აღარ იყო დამოკიდებული იმპერატორზე. მაგრამ ის ფაქტი, რომ ქართველი მეფეები, ისევე როგორც ბევრი სხვა ქვეყნის დამოუკიდებელი მფლობელი, კვლავ ხალისით იღებდნენ „კურაპალატის“ პატივს, მოწმობდა, რომ ისინი იზიარებდნენ შუა საუკუნეთა ქრისტიანულ სამყაროში გავრცელებულ შეხედულებას რომის იმპერატორის, როგორც მსოფლიო სახელმწიფოს მეთაურის, განსაკუთრებული მდგომარეობის შესახებ.

ქართველი მეფეები თანდათან თავისუფლდებიან ამგვარი შეხედულებებისაგან. ეს იმით იწყება, რომ ისინი აღარ სჯერდებიან ჯერ წოდების ძველ შინაარსს, შემდეგ უკვე თვით წოდებასაც. ასე, მაგალითად, დავით III იწოდებოდა „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატად“, რაც შეეფერებოდა იმ ადგილსა და მდგომარეობას, რომელიც მას აღმოსავლეთში ეჭირა. ბაგრატ მეოთხე კი უკვე „ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდი კურაპალატის“ წოდებას ატარებს. მანვე შემდეგ მიიღო უფრო საპატიო ტიტული „ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსი“, ხოლო მალე კიდევ უფრო მაღალი პატივი „სევასტოსისა“. ბაგრატის ძეს, გიორგი მეორეს, ბიზანტიის სამეფო კარმა უკვე „კეისრის“ ანუ „კესაროსის“ პატივი მიანიჭა, ხოლო ზოგჯერ მას „აღმოსავლეთის მეფესა და კეისარს“ ან „მაღალ კეისარს“ უწოდებდნენ. „სევასტოსი“ და „კესაროსი“ იყო ბიზანტიის საიმპერატორო კარის უმაღლესი წოდებანი, რომელთაც ატარებდნენ იმპერატორის უახლოესი ნათესავები და თანამშრომლები, მისი თანამოსაყდრეები და მემკვიდრეები. კერძოდ, კეისრის წოდება უშუალოდ მოსდევდა თვით იმპერატორის წოდებას.

ამ მხრივაც გადამწყვეტი ნაბიჯი ისევ დავით აღმაშენებელმა გადასდგა. ჯერ კიდევ ყრვამ, ტახტის მემკვიდრემ მან მიიღო „სევასტოსის“, ხოლო შემდეგ „პანიბერსევასტოსის“, ე. ი. „უმაღლესი სევასტოსის“ წოდება, მაგრამ გახდა თუ არა თვითმპყრობელი ხელმწიფე, მან უკუაგდო ყველა ეს საპატიო, კონსტანტინოპოლის სასახლიდან მომდინარე წოდებანი: ცხადია, რომ დავითისათვის ბიზანტიის სამეფო კართან ურთიერთობა მხოლოდ და მხოლოდ თანასწორობის საფუძველზე იყო შესაწყნარებელი, იგი არ სცნობდა ბიზანტიის იმპერატორის არავითარ უპირატესობას, მას

შეუძლებლად მიაჩნდა საქართველოს მეფეს ბიზანტიის იმპერატორისაგან მიეღო ისეთი პატივი და წოდება-კი, რომელნიც თავის დროზე თვით იმპერატორს განეკუთვნებოდა, და რომელთაგან „კეისარმა“ საქართველოში ბოლომდე შეინარჩუნა თავისი ძველი მნიშვნელობა. ესოდენ მაღალი წარმოდგენა საქართველოს მეფის ღირსების შესახებ ემყარებოდა იმ უქველ ფაქტს, რომ მას შემდეგ რაც ბიზანტიამ ახლო აღმოსავლეთში, სელჩუკიანებთან ბრძოლაში საშინელი დამარცხება და უზარმაზარი დანაკლისი განიცადა და რაც სომხეთის სამეფო-სამთავროები დაეცა, საქართველო წინა-აზიის არა მარტო ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფო იყო, არამედ მის გადამწყვეტ პოლიტიკურ ძალადაც იქცა.

§ 62. ღვაწით IV-ის მემკვიდრენი

დემეტრე I და ღვაწით V. დემეტრე პირველი უკვე თავისი მამის, დავით აღმაშენებლის, დროსვე იღებდა მონაწილეობას სახელმწიფო მართვა-გამგეობაში და სამხედრო საქმეებში, მაგრამ მამის ძალა და ნიჭი მას, ჩანს, არ შესწევდა.

დავითის სიკვდილის შემდეგ ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანმა მმართველებმა გადასწყვიტეს, ყოველნაირი ღონისძიება გამოეყენებინათ, რომ დაკარგული სამფლობელოები უკან დაებრუნებინათ. პირველად ბრძოლა ანისის წინააღმდეგ დაიწყო. იერიში იერიშს მოსდევდა. დემეტრე ბოლოს იძულებული იყო ანისის მისი ძველი მაჰმადიანი მფლობელებისათვის დაებრუნებინა, მაგრამ მხოლოდ როგორც საქართველოს ყმა-ნაფიცებისათვის.

1138 წელს დემეტრემ განძაში გაილაშქრა, განძა აიღო, მისი ქალაქის კარები გამარჯვების ნიშნად საქართველოში ჩამოიტანა და გელათის მონასტერს შესწირა, ის დღემდე დაცულია.

შინაურობაში დემეტრეს საქმე უარესად ჰქონდა. მეფეს ტახტს ეცილებოდნენ ჯერ მისი ძმა და შემდეგ უფროსი შვილი, დავითი. დავითი მამას, დემეტრე მეფეს, თავისი უმცროსი ძმისადმი, გიორგისადმი მიყვრძოლებას სწამებდა.

დავითმა დემეტრე მეფეს რამდენიმეჯერ შეთქმულება მოუწყო და ბოლოს სამეფო გვირგვინიც წაართვა.

1154-5 წელს დემეტრემ მეფობას თავი დაანება და ბერად შედგა.

სამეფო ტახტზე დემეტრეს მოუსვენარი შვილი, დავით მეხუთედ წოდებული, ავიდა, მაგრამ ექვს თვეზე მეტი მეფობა მას არ დასცალდა და გარდაიცვალა. იქნებ დავითს სიცოცხლე მოუსწრაფეს კიდეც მისმა მტრებმა.

გარდაიცვალა თუ არა დავითი, დემეტრე მონასტრიდან გამოვიდა, თვითონაც კვლავ გამეფდა და თავისი საყვარელი უმცროსი შვილი გიორგიც 1156 წელს აიყვანა სამეფო ტახტზე.




ნამუში ქართული ორნამენტისა კვავზე, ატენიდან. XI — XII სს.

საქ. ზელოვნების ისტორიის ინსტიტუტი.

გიორგი III. გიორგი მესამის დროს საქართველოს სამეფო დავით აღმაშენებლის აქტიურ საგარეო პოლიტიკას დაუბრუნდა. გიორგიმ ყველაზე ადრე თავისი ყურადღება სომხეთისაკენ მიმართა.

ბრძოლა სომხეთისათვის. გიორგი მეფეს არ სურდა, რომ ანისი აღგილობრივი მფლობელის, თუნდაც საქართველოს მეფის ყმადნაფიცის ხელში ყოფილიყო. მეფეს უნდოდა ეს მდიდარი და ძლიერი ციხე-ქალაქი საკუთარ სამფლობელოდ ჰქონოდა. 1161 წელს, ზაფხულში, გიორგი თავისი ჯარით მოულოდნელად ანისისაკენ გაემართა, ბრძოლით გააძევა ანისის ძველი მფლობელები, ციხე-ქალაქი აიღო და საქართველოს ჯარის მხედართმთავარს, ამირსპასალარს იოანე ორბელს ჩააბარა. ორბელის თანაშემწედ მეფემ სარგის მხარგრძელი დანიშნა, ციხეში რჩეული მეციხოვნე ჯარი დასტოვა, თვით ქალაქი და ანისის ოლქი-კი უშუალოდ სამეფო ტახტს დაუმორჩილა.



გიორგი მესამე.

ბეთანიის დრეხვა. საქ. მუზ. ისტორიის განკ.

ამ ამბავმა მახლობელ მდგომარეობაში მყოფი ღიანი მმართველებზე დიდი ბეჭდილება მოახდინა. შაჰ-რუხ-ნად წოდებული ხლათის მფლობელი, დიარბეჭირის მმართველი და არზრუმის მთავარი იმავე წელს დიდი შეერთებული ლაშქრით ანისს მიაღწენენ, მაგრამ ანისთან მომხდარ ბრძოლაში საქართველოს ჯარმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა და დიდი ტყვე და აღაფი იშოვა.

ანისის გამო ბრძოლა შემდეგ შიაც დიდხანს არ შეწყვეტილა. მაგრამ 1173 წლიდან სომხეთის ძველი დედაქალაქი საქართველოს მეფეებს უკვე მტკიცედ ეჭირათ ხელში.

ანისის შემდეგ ჯერი უფრო სამხრეთით მდებარე მეორე, ფრიად მნიშვნელოვან, ქალაქ დვინზე მიდგა, რომელიც აგრეთვე სომხეთის დედაქალაქი იყო ძველად და მდიდარ სავაჭრო ცენტრად ითვლებოდა. 1162 წ. ქართველმა ჯარმა გიორგი მეფის მეთაურობით დვინიც აიღო.

საქართველოს სამეფოს ამ დამკვიდრებამ სომხეთში ახალი, კიდევ უფრო დიდი შეშფოთება გამოიწვია ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიან მფლობელებში. მათ გადასწყვიტეს, რაკი წირდაპირ ბრძოლაში ქართველ ჯარს ვეღარ უმკლავდებოდნენ, წვრილი თარეშებითა და მოულოდნელი თავდასხმებით დაესუსტებინათ საქართველოს სამეფო, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერას გახდნენ.

შარვანის შემოღობვა. დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული, შარვანი საქართველოს უმადნაფიცი ქვეყანა იყო და მჭიდროდ იყო

საქართველოსთან დაკავშირებული როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად. საქართველოს მეფეებსა და შარვან-შაჰებს მოყვრობაც ჰქონდათ ერთმანეთში. ეხლა შარვანს ძალიან გაუჭირდა. ჩრდილოეთ კავკასიის მაჰმადიან მფლობელებს დარუბანდის გზით იერიში მოჰქონდათ შარვანზე. შარვან-შაჰად ამ დროს გიორგი მესამის დისწული აღსართანი იყო, რომელმაც თავის პატრონსა და ბიძას დახმარება სთხოვა. გიორგი მეფემ 1167 წელს გაილაშქრა, ქ. შაბურანი და დარუბანდი აიღო და შარვან-შაჰის სამფლობელო ჩრდილოეთიდან უზრუნველყო. დარუბანდი მან საქართველოს ყმადნაფიც შარვან-შაჰს გადასცა.



გიორგი მესამის ფული.

შინაური შოთი. 1177 წ. მოულოდნელად შინაური ბრძოლა ატყდა. საქართველოს ჯარის ამირსპასალარმა იოანე ორბელმა აჯანყება დაიწყო. მიზნად მას გიორგი მეფის ტახტიდან ჩამოგდება და მის მაგიერ დემნა უფლისწულის გამეფება ჰქონდა დასახული. დემნა ანუ დემეტრე გიორგი მესამის უფროსი ძმის, დავით მეხუთის, შვილი იყო. გიორგის მტრები ამტკიცებდნენ, საქართველოს სამეფო ტახტი დემნას ეკუთვნის, როგორც უფროსი ძმის შვილსო. ნამდვილად, დიდგვარიან აზნაურებს არ მოსწონდათ გიორგი მეფე, იმიტომ რომ გიორგი მაგარი და მკაცრი კაცი იყო, და ფიქრობდნენ, ახალგაზრდა დემნას უფრო ადვილად ვათამაშებთ ჩვენს ნებაზეო. ამასთან, დემნა იოანე ორბელის სიძე იყო.

იოანე ორბელს დიდგვარიანი აზნაურებიდან ბევრი მიემხრო, ისე რომ მემბოხეებს 30 000 მებრძოლი შეუგროვდათ.

მეფე არ დაიბნა, ერთგული ჯარები შეაგროვა და ლორეს ციხეს შეუტია, სადაც აჯანყებულები გამაგრებულიყვნენ. გიორგი მეფის ენერგიული მოქმედების გამო მისი მოწინააღმდეგეები დაიქსაქსნენ და გაითიშნენ. სხვებზე აღრე გამრეკელ თორელმა მიატოვა დემნა, იგი მორჩილების მოსახსენებლად გიორგი მეფესთან გამოცხადდა. მას სხვებმაც მიბაძეს, მათ შორის — მხარგრძელებმაც. მემბოხეებმა მეზობელ მაჰმადიანთა სამფლობელოებში თავისი კაცები მეშველი ჯარის სათხოვნელად აფრინეს, მაგრამ ეს ცდაც ამაო გამოდგა.

ლორეს ციხეში მომწყვდეულებს გაუჭირდათ. დემნა უფლისწულმა ევლარ აიტანა, ციხიდან საბლით ჩამოეშვა და თავის ბიძას წარუდგა, პატიების მთხოვნელი. შემდეგ თვით აჯანყების მომწყობი იოანე ორბელიც იძულებული იყო მეფეს დამორჩილებოდა. ამგვარად აჯანყება ჩაქრობილ იქნა. გიორგი მესამემ ღამნაშავენი სასტიკად დასაჯა, მათ შორის — თვით დემნაც. ორბელები-კი ძირიანად მოსთხარეს.

გიორგი მეფის ღონისძიება ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ. ამ აჯანყებამ გიორგი დააჩოქუნა, რომ დიდგვარიან აზნაურთა ურჩობას ბოლო არ ჰქონდა, და გადასწყვიტა, მარჯვე შემთხვევით ესარგებლა. მეფემ შეთქმულებაში გარეული ყველა დიდგვარიანი მოხელე

გადააყენა, მათ მაგიერ-კი თავისი ერთგული, პირადი ღირსებით გამოჩე-
ნილი, პირები დანიშნა. იოანე ორბელის მაგიერად საქართველოს ჯარის
მხედართმთავრად ნაყივჩაყარი ყუბასარი დანიშნა, რომელმაც
გიორგი მესამეს დემნას აჯანყების დროს თავისი ერთგულებით განსა-
კუთრებული სამსახური გაუწია. ამგვარადვე მახ აზნაურთა ყმობიდან
აღწეგებულ აფრიდონსაც მსახურთუხუცესის თანამდებობა მისცა.
ასეთივე დიდი თანამდებობანი მიიღეს ყუთლუ-არსლანმა, კი-
ბერმა და სხვებმა.

ბევრი ამ ახალი მოხელეებიდან სრულიად უგვარო იყო. გიორგი მე-
ფის ეს ღონისძიება მოუსვენარი ღიღგვარიანი აზნაურობის წინააღმდეგ
იყო აშკარად მიმართული.

უზთიფართობა ეკლესიასთან. მაგრამ ღიღგვარიანი აზნაურობ-
ამით არ მოსპობილა. ძლიერი იყვნენ ღიღგვარიანები ეკლესიაში, სადაც
მათ კვლავ მოიკალათეს დავით აღმაშენებლის შემდეგ. როცა გიორგი მე-
ფე დემნას აჯანყების ჩაქრობის შემდეგ დედაქალაქში დაბრუნდა, აქ მას
მოულოდნელად საეკლესიო კრება დახვდა. კრებამ მეფეს მოსთხოვა, რომ
საეკლესიო ქონებაზე და მამულებზე დაწესებული სახელმწიფო გადა-
სახადები მოსპობილიყო და მეფეს ეკლესიის შეუვალობა აღედგინა, რო-
გორც წინათ იყო. გიორგი მესამე იძულებული გახდა ეს მოთხოვნა შეეს-
რულებინა.

ტახტის მემკვიდრის საკითხი. თამარის გამეფება. ძველ საქარ-
თველოში სამეფო ტახტის მემკვიდრედ მეფის უფროსი ვაჟიშვილი ითე-
ლებოდა. მაგრამ გიორგი მეფეს ვაჟიშვილი არ ჰყავდა, და მას შემდეგ,
რაც დემნა უფლისწული მოკვდა, არც სხვა ვინმე იყო მეფის ახლობელი
ნათესავი ვაჟი, რომ ტახტის მემკვიდრედ წამოეყენებინათ. ამიტომ ჯერ
კიდევ თავის სიცოცხლეში, 1178 წელს, გიორგი მესამემ თავისი ქალი-
შვილი თამარი მეფედ აკურთხა. ამით გიორგის უნდოდა დროულად გა-
ნემტკიცებინა თამარის უფლება სამეფო ტახტზე. მაშინ თამარი მხოლოდ
თანამმართველი იყო მამისა, ფაქტიურად სამეფოს ისევ გიორგი განაგებ-
და 1184 წლამდე, როდესაც ის გარდაიცვალა. ახალგაზრდა თამარს მრავალი
ხალხით დასახლებული დიდი სახელმწიფო ღარჩა.

მ.

თაზი IX

საქართველო — წინა აზიის უპლიმარისი სახელმწიფო

§ 64. თამარის გამეფება. გრძელ საფეო კარგი

გარდაიცვალა თუ არა გიორგი მესამე, სამეფო კარზე ისევ ბრძოლა
ატყდა. თუმცა თამარი მამის სიცოცხლეშივე იყო მეფედ ნაკურთხი, მაგ-
რამ სახელმწიფო დარბაზის წევრთა შორის თამარის თვითმპყრობელო-
ბის საკითხი ეხლა ისევ საცილობლად გადააქციეს.

უეცველია, მოწინააღმდეგე ჯგუფი ამ შემთხვევაში
უფრო ძლიერი იქნებოდა, ვიდრე თამარის მამის სი-
ცოცხლეში, მაგრამ ბოლოს მაინც დარბაზმა, მსჯელო-
ბის შემდეგ, თამარს მეფობის დასტური მისცა.

საკითხი თამარის სასარგებლოდ თამარის მამიდამ, დე-
დოფალმა რუსუდანმა, კათალიკოსმა მიქელ მირიანის
ძემ და ზოგმა სხვა დიდებულმა მოხელემ გადასწყ-
ვიტეს.

მეფედ კურთხევის წესი დიდი დიდებით შეასრულეს.
სხვათა შორის, თამარს წელზე ხმალი შემოარტყეს, რო-
გორც სამეფოს მეთაურსა და უზენაეს მთავარსარდალს.


მაგრამ გათავდა თუ არა ეს ზეიმი, მაშინვე თავი წამო-
ყო ყველამ, ვინც უკმაყოფილო იყო.

ჯერ მიქელ კათალიკოსს შეუტყის, რომელიც გიორ-
გი მესამის დროს იყო დაწინაურებული. მოწვეულ იქნა
საეკლესიო კრება, რომელსაც მიქელის საეკლესიო მო-
ღვაწეობის კანონიერება უნდა გაერჩია.

მართალია, კრებამ ეკლესიაში ბევრი ცვლილება მოახ-
დინა, მაგრამ მიქელმა კათალიკოსობა სიკვდილამდე მა-
ინც შეირჩინა.

შემდეგ გიორგი მესამის მიერ დანიშნულს საერო მო-
ხელეებს მისდგნენ. იმ ცვლილებამ, რომელიც გიორგიმ
სახელმწიფო მართვა-გამგეობის სფეროში მოახდინა,
როდესაც მან დიდგვარიან აზნაურ მოხელეებს ვაზარობა

და სხვა თანამდებობანი წაართვა და მათ მაგიერ უგვარონი დანიშნა, მა-
შინაც დიდგვარიან აზნაურთა წრეში აღშფოთება გამოიწვია. მაგრამ
დამარცხებულთ თავისი ბრაზი და ბოღმა უნდა უნებლიეთ გულში ჩაეკ-



თამარ მეფე.

ბეჟანის ფრესკა. საქ. მუზეუმისტიკის განკ.

წესებულება, „ქარაი“ უნდა დაარსებულიყო.

ისანში მეფის სასახლე იყო მოთავსებული და საქართველოს უმაღლესი დაწესებულება, სახელმწიფო დარბაზიც. დარბაზის მოწვევა მხოლოდ

ლათ. ეხლა-კი, როდესაც სამეფო ტახტზე უკვე ახალგაზრდა ახალი იჯდა, დიდგვარიანებმა დარბაზში თეს და დაკარგული ადგილების დაბრუნება მოინდომეს. ისინი გაიფიცნენ და თამარ მეფეს განუცხადეს, რომ ამიერიდან უგვარო მოხელეების ბრძანებას აღარ დაემორჩილებოდნენ. ამასთანავე ყველაზე აღზე მოითხოვდნენ, რომ თამარს სამსახურიდან დაეთხოვნა უგვარო მოხელეები — ამირსპასალარი ყუბასარი და მსახურთუხუცესი აფრიდონი, რომელნიც დიდგვარიანებს სხვებზე მეტად ეჯავრებოდათ.

ყუბასარი და აფრიდონი გიორგისა და თამარის ყველაზე ერთგული მოხელეები იყვნენ, მაგრამ თამარი აძულებული გახდა დიდგვარიანთა მოთხოვნა შეესრულებინა. ეს, რა თქმა უნდა, მეფის მარცხი იყო.

წ მნ. ზაქოლა საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების შესაცვლელად

ყუთლუ-არსლანის დასის გამოცვლა. დიდგვარიანთა გამოსვლა ჯერ დამცხრალი არ იყო, როცა მეჭურჭლეთუხუცესმა¹ ყუთლუ-არსლანმა, რომელსაც ბევრი თანამგზრობი ჰყავდა, თამარ მეფის სრულიად ახალი მოთხოვნა წარუდგინა.

ამ მოთხოვნით ისანში, ეხლანდელ ავლაბარში, ახალი სახელმწიფო და-

¹ მეჭურჭლეთუხუცესი — ფინანსთა მინისტრი.

და მხოლოდ მეფის სურვილზე იყო დამოკიდებული. ეხლა ყუთლუ-არსლანის ღანის დასი მოითხოვდა, რომ სასახლის გვერდით კარავი ყოფილიყო დადგმული. ამ კარავში, მეფისაგან დამოუკიდებლად და მეფის დაუსწრებლად, სახელმწიფოს მართვა-გამგეობასა და უზენაეს მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საქმეები უნდა განეხილათ. აქ „კარავი“ ჩვეულებრივი მნიშვნელობით-კი არ არის ნახმარი, არამედ დარბაზის მსგავს დაწესებულებას ნიშნავს. ყუთლუ-არსლანის დასის გეგმით, კანონმდებლობითი უფლება მეფეს უნდა ჩამოერთმეოდა და მთლიანად ამ ახალ დაწესებულებას უნდა გადასცემოდა. მეფეს ისინი მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებას უტოვებდნენ.



ამრიგად, ყუთლუ-არსლანის დასს მიზნად დასახული ჰქონდა სახელმწიფო წესწყობილების იმნაირად შეცვლა, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობა და მართლმსაჯულება მართო მეფის სურვილზე არ ყოფილიყო დამოკიდებული.

თამარისა და დავითის ფული, 1200 წლისა.

ამ დროს უკვე სახელმწიფო ძალა-უფლება ყუთლუს მოწინააღმდეგე ლიდგვარიანებს ჰქონდათ ხელში ჩაგდებული და მათ ყოველი ღონე იხმარეს, რათა ეს დიდი მოძრაობა ჩაეშალათ. მათი რჩევით თამარმა ამ პოლიტიკური დასის მეთაური დააჭერინა. თამარის მრჩეველებს ეგონათ, რომ ყუთლუს დაჭერა მოძრაობას ჩააქრობდა და დასიც თავისთავად დაიშლებოდა, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა.

ყუთლუ-არსლანის თანამოაზრენი შეიკრიბნენ. მეფეს თავისი მეთაურის უწინებლობა და განათავისუფლება მოსთხოვეს და თანაც იარაღი შეისხეს. შეთქმულნი მეფის სასახლეს ემუქრებოდნენ.

აჯანყებულებს მოსალაპარაკებლად თამარმა კრავიი ჯაყელი და ხვამაქ ცოქალი, ორი გამოჩენილი ქართველი მანდილოსანი, მიუგზავნა. შეთანხმება ურთიერთ დათმობით გახდა შესაძლებელი.

დარბაზის უფლების გაფართოება. თუმცა „კარავის“ დაარსება უარყოფილ იქნა, მაგრამ თამარ მეფემ დარბაზის „თანადგომის“, ესე იგი სახელმწიფო საქმეების განხილვა-გადაწყვეტაში მონაწილეობის განსაკუთრებული უფლება აღიარა. ამ დროიდან მოყოლებული, დიდი თანამდებობის პირთა დანიშვნის შესახებ თამარის ისტორიკოსი ყოველთვის ასე ამბობს: „თანადგომითა და ერთნებობითა დიდებულთა“ თამარმა დაამტკიცა ესა და ეს პირიო.

ამგვარად, საქართველოს მეფის ხელისუფლება სახელმწიფო დარბაზის „თანადგომითა და ერთნებობით“ თვალსაჩინოდ იქნა შეზღუდული. საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში მომხდარი ეს დიდად მნიშვნელოვანი ცვლილება იმ ცვლილების წინამორბედსა და ანალოგიურ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც მე-13 საუკუნის ინგლისში მოხდა, სადაც პარლამენტის შექმნით ინგლისის მეფის ხელისუფლება შეიზღუდა.

დიდგვარიანი აზნაურები და მათი ცალკე ჯგუფები ამის შემდეგაც არა ერთხელ გამოსულან თამარის წინააღმდეგ. ისინი თამარის პირად ცხოვრებაშიაც ეროდნენ. ასე, როცა თამარის ქმრის საკითხი დადგა, ისინი საქმროდ უფრო ისეთ კაცს ეძებდნენ, რომელიც მათთვის იქნებოდა გამოსადეგი. პირველი ქმარი თამარს მისი სურვილის წინააღმდეგ მოუყვანეს. 1185-86 წელს, სახელმწიფო დარბაზის გადაწყვეტილებით, ჩრდილოეთ-კავკასიიდან ჩამოიყვანეს და თამარს შერთეს სუზდალის რუსეთის მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის შვილი გიორგი. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც გიორგის პიროვნების უარყოფითი თვისებები გამოჰქადაგდა, ის საქართველოდან გააძევეს. გიორგი ბიზანტიაში წავიდა.

1189 წელს თამარმა მეორედ იქორწინა. თამარის მეორე ქმარი იყო დავით სოსლანი. დავითი ოსეთის მეფისწული და ბაგრატიონთა შთამომავალი იყო და თამარის მამიდასთან, რუსუდანთან, იზრდებოდა. დავითისაგან თამარს ორი შვილი ეყოლა: უფროსი — გიორგი ლაშა და უმცროსი — რუსუდანი.

მაგრამ გიორგი ასე ადვილად არ შერიგებია თავის ბედს. მან ორჯერ მოაწყო აჯანყება თამარის წინააღმდეგ. პირველად გიორგი არზრუმის გზით შემოვიდა საქართველოში. მაშინ გიორგის ისეთი დიდი ფეოდალები მიემხრნენ, როგორიც იყვნენ გუზანი, კლარჯეთისა და შავშეთის ერისთავთ-ერისთავი, ბოცო, სამცხის სპასალარი და მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანი.

ამ დიდგვარიან აზნაურებს იმედი ჰქონდათ, რომ გიორგის თავის სათამაშო ბურთად გადააქცევდნენ.

მართალია, გიორგის მომხრეებმა თავდაპირველად საქართველოს დიდი ნაწილის დაქვერა მოახერხეს და გიორგი მეფედაც გამოაცხადეს, მაგრამ შემდეგ მათ საქმე ცუდად წაუვიდათ. თამარის ერთგულმა ჯარებმა აჯანყებულთა მთავარი ძალა გაანადგურეს ჯავახეთში, თმოგვსა და ერუშეთს შუა, როდესაც ქართლში მყოფმა მემამბოხეებმა ჯავახეთის ჯგუფის დამარცხების ამბავი გაიგეს, უბრძოლველად გაიქცნენ. გიორგი რუსის მომხრე დიდგვარიანმა აზნაურებმა თამარს წინასწარ პატიება სთხოვეს. გადმოვიდნენ და გიორგიც მოიყვანეს. თამარმა გიორგი კვლავ გააძევა, აჯანყებაში გარეულს მის მომხრეებს-კი თანამდებობა ჩამოართვა და მათ მაგიერ თავისი ერთგული ხელისუფლები დანიშნა.

1193 წელს გიორგიმ ხელმეორედ სცადა თავისი ბედი წაღმა მოეტრიალებინა: რანში მოვიდა ათაბაგთან და იქიდან კამბეჩოვანში, ე. ი. ქიზიყში, შემოიჭრა. მაგრამ უმაღლე დამარცხებულ იქნა და უკვალოდ გადაიხვეწა.



1-1/2 ჰმ. ვახის საბარგება, საქ. მუხ. ხელნაწერთა განყ.

205

ში უცხოეთიდან ჩამოსულს ქართული სავანეების წარმომადგენლებს
თამარ მეფემ დიდი ქონებრივი შეწირულება გადასცა, მაგრამ ბიზანტიის
კეისარმა უკან დაბრუნებულს ქართველ ბერებს ეს ფული ჩამოართვა და
დაისაკუთრა. ეს საქციელი თამარმა საბაბად გამოიყენა და საქართველოს
მხედრობა ბიზანტიის იმ სანაპიროს შეუსია, რომელიც საქართველოს
მოსაზღვრე იყო და რომელშიც ქართველი ტომები, ლაზები ანუ კა-
ნები, ცხოვრობდნენ. ამ ლაშქრობის დროს საქართველოს ჯარმა და-
იპყრო მთელი ლაზისტანი, ტრაპიზონი, სამსუნი, სინოპი, კერასუნტი, აი-
ლო კოტიორა და ერაკლიამდე მიაღწია. დაპყრობილი სანაპირო საქარ-
თელოს მთავრობამ ბიზანტიას ჩამოართვა და ცალკე სამეფოდ გადაქცია.
რომელშიც თამარმა შთამომავლობით ბერძენი უფლისწული, დედის
მხრით თავისი ნათესავი და საქართველოში გაზრდილი ალექსი კო-
მნიანოსი გაამეფა.

მოსკოვის კრედიტის ბანკის განცხადება

მდივან-მწიგნობრული ხელის ნიშნით თამარის მეფობიდან. ტექსტი:
„ლ(მრ)თისა სწორსა მეფეთა მეფესა თამარს და მათ მიერ“...

ამნაირად, ამ დროიდან მოყოლებული, საქართველოს მეზობლად თვით
საქართველოს წყალობითვე შექმნილი სამეფო გაჩნდა, რომელიც
ქართველი ტომთაც იყო დასახლებული და პოლიტიკურადაც საქართვე-
ლოს სახელმწიფოსთან იყო უმჭიდროესად დაკავშირებული. ტრაპიზო-
ნის საციისროში საქართველოს გავლენა იყო გაბატონებული.

ბასიანის ომი. საქართველოს ძლიერამოსილობის ხმა მთელს მახლო-
ბელ აღმოსავლეთს მოედო. ეს ამბები მაჰმადიან მფლობელებში დიდ
შეშფოთებას იწვევდა. ყველაზე მეტად რუმის სულტანი რუმ-
დინი იყო აღშფოთებული. რუმის სასულტნო ძლიერი თურქული სა-
მეფო იყო, რომელიც დღევანდელი თურქეთის ფარგლებში მდებარეობ-
და. რუმ-დინმა ყველა მეზობელი მაჰმადიანური სამფლობელოს უფრო-
სებთან გააბა მოლაპარაკება, რომ შეერთებული ძალით საქართველოს
წინააღმდეგ გამოელაშქრათ.

როცა მოკავშირეებმა 400 ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარ ლაშქარს
მოუყარეს თავი, რუმ-დინმა თამარ მეფეს მუქარით სავსე, ბრძოლი
წერილი გამოუგზავნა, რომელშიც წინადადებას აძლევდა მას, უბრძოლ-
ველად დამემორჩილეო. როცა სულტნის ელჩი თამარს წარუდგინეს, მან
თავის თავს ნება მისცა მეფისათვის უკადრისი სიტყვით მიემართა. იქვე
ტახტთან მდგომმა ზაქარია მხარგრძელმა ისეთი სილა გააწნა თავზედ
თურქს, რომ იგი იქვე გონ-წასული დაეცა. ელჩი მოასულიერეს და უთხ-
206

რეს: „მოციქული რომ არ ყოფილიყავი, ჯერ ენის ამოჭრა გმართებდა და შემდეგ თავის მოკვეთაც კადნიერად კადრებისათვის“-ო. შემდეგ ის მდიდრულად დაასაჩუქრეს და უკან გაისტუმრეს.

თამარმა ამასთანავე სასწრაფო ბრძანება გასცა ჯარის შეყრის შესახებ. ეს განკარგულება სასწრაფოდ იქნა ასრულებული, და რუქნადინის უკან მცმავალ ელჩს საქართველოს მთელი ლაშქარი კვალდაკვალ დაედევნა.

შეტაკება მოხდა საქართველოს ყველაზე სამხრეთით მდებარე თემში, ბასიანში (არზრუმის მახლობლად), 1204 წ. თავდაცვითი ბრძოლის მაგიერ ქართველებმა თავდასხმის ტაქტიკა არჩიეს და მტერს შეუტყეს. თურქები იმდენად სჭარბობდნენ რიცხვით ქართველებს, რომ პირველი სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ქართველების მოწინავე რაზმი, რომელსაც სახელგანთქმული სარდლები მეთაურობდნენ — ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი, ძმები შალვა და ივანე ახალციხელები და სხვები — შედრკა და უკან დაიხია. მაგრამ მალე ქართველებმა, მეფე დავით სოსლანის წინამძღოლობით, მოუარეს თურქებსა და გვერდიდან დაჰკრეს. მტრის უზარმაზარი ლაშქარი აირია და გაიქცა. თურქები ისე სასტიკად დამარცხდნენ, რომ თვით რუქნადინი ტყვეობას ძლივს გადაურჩა. მათი დროშები, მთელი ქონება, რაც-კი თან ჰქონდათ, და მრავალი ტყვე საქართველოს ლაშქარს ჩაუვარდა ხელში.

ამ გამარჯვებამ საქართველოს ჯარის უძლეველობის სახელი განამტკიცა აღმოსავლეთში.

კარის (შარსის) აღება. 1204-6 წელს საქართველოს ჯარმა ჯერ ხლათი დალაშქრა, შემდეგ მანასკერტი და არქეში. ამავე ხანებში თამარმა თავისი ჯარი კარის (ყარისის) ციხე-ქალაქის ასაღებად გაგზავნა. გარემოცვა კარგა ხანს გაგრძელდა, მაგრამ მაინც საქართველოს ჯარის სრული გამარჯვებით დამთავრდა. კარის ციხეს სამხედრო თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც სამხრეთიდან საქართველოში მომავალს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას ჰკრავდა. თამარმა კარის ციხე-ქალაქი უშუალოდ სამეფო ტახტს დაუმორჩილა.

ლაშა გიორგის გამეფება. ლაშქრობანი სპარსეთში. 1207 წელს თამარის მეუღლე დავითი გარდაიცვალა და თამარმა სამეფო ტახტზე თანამმართველად თავისი სრულიად ახალგაზრდა ვაჟი გიორგი ლაშა აიყვანა. საგარეო ლაშქრობა გრძელდებოდა. 1208 — 1209 წელს არქეში იქნა აღებული. 1208 წელსვე აღდგომა დღეს, როდესაც რიერაჟზე ქალაქის კარები გაღებული იყო, არდაველის (ირანში) სულტანი ანისს შეესია, ეკლესიებში მყოფი ხალხი ამოხოცა და ისევე სწრაფად, როგორც შემოიჭრა, ირანში დაბრუნდა. მოახსენეს თუ არა თამარს ამ კადნიერი შემოსევის ამბავი, მან საპასუხო დამსჯელი ლაშქრობა ბრძანა. იმავე წელს, როგორც ანისი იყო დარბეული, დარბეულ და აწიოკებულ იქნა არდაველიც, ხოლო არდაველის სულტანი სიკვდილით დასაჯეს.

ამ გალაშქრებამ ქართველ მხედართმთავრებს ირანის სრული უმჯუ-
ბის სურათი გადაუშალა. ისინი დარწმუნდნენ, რომ ირანის დამპყრობა
ძნელი საქმე აღარ იყო. 1210 წელს ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელ-
სა და სხვა მაღალი მოხელეების თხოვნით სახელმწიფო დარბაზმა და თა-
მარ მეფემ ირანში ლაშქრობა დაასკვნეს.

საქართველოს მრავალრიცხოვანი მხედრობა ირანისაკენ გაემართა. ზე-
დიხედ აღებულ იქნა ირანის ცნობილი ქალაქები მარანდი, თავ-
რეჯი (თავრიზი), მიანა, ზანგანი (ზენჯანი) და ყაზვინი.
დასასრულ, ქართველმა ჯარმა რომ-გურსაცი-კი მიაღწია, მაგრამ ეს-
ლა მას იმდენი ნაშთიარევი ჰქონდა დაგროვებული, რომ ლაშქრობის გაგრ-
ძელება შეუძლებელი შეიქნა.

სამეცნიერო-პოპულარულსა და სასწავლო ლიტერატურაში ცნობილს ქართველ მხე-
დართმთავრებს, ძმებს ზაქარია და ივანე მხარგრძელებს ზოგჯერ განიხილავენ, რო-
გორც ტომით სომეხს. ნახევრად-დამოუკიდებელს ან არა-და დამოუკიდებელ მთავრებს
და უწოდებენ მათ ხელოვნურ სახელებს — „დოლოგორეის“, ზახარიდებს ან ზახარია-
ნებს. ნამდვილად „მხარგრძელი“ მეტსახელი, ზედწოდება კი არ იყო, არამედ გვარის-
სახელი, რომელსაც ამ აზნაურთა საგვარეულოს მრავალი თაობა ატარებდა. გვარისსახე-
ლების თარგმნა კი წესი არ არის. უთუოდ ამ სახელის ახსნას ცდილობდა თამარ მეფის
პირველი ისტორიკოსი, ზაქარიას და ივანეს თანამედროვე, როცა ამტკიცებდა, მხარ-
გრძელები სპარსეთის მეფის არტაქსერქს მხარგრძელის შთამომავალი არიანო, თუმცა
მათ ქართველებად სთვლიდა, მიუხედავად იმისა, რომ ზაქარია სომხურ-გრიგორიანულ
ეკლესიას ეკუთვნოდა (ივანემ ადრევე მიიღო მართლმადიდებლობა და ქართულ ეკლესიას
შეუერთდა). მე-13 საუკუნის სომეხი ისტორიკოსები, კირაკოს განძაყელი და ვარდანი-
იტყობნიებთან, თითქმის მხარგრძელების წინაპარი მესოპოტამიელი ქურთი იყო. რაც არ
უნდა იყოს, უმჯველია, რომ მე-12 საუკუნეში მხარგრძელები თავისი ეროვნული თვით-
შეგნებითა და კულტურით სრულიადაც არ განსხვავდებოდნენ სხვა დიდგვარიანი ქარ-
თველი აზნაურებისაგან. ასეთივე დარწმუნე ისინი მე-13 საუკუნეშიაც, მონღოლთა ბა-
ტონობის ხანაში, ყველაზე დიდი ფეოდალური დაქსაქსულობის დროს აღმოსავლეთ სა-
ქართველოში. 1255 წელს, ზაქარია მხარგრძელის შვილს შანშეს, მისს ერთს სომხურმა-
შვლში ესტუმრა რუბრუკი, რომელიც საფრანგეთის მეფის, ლუი IX-ის მიერ სავან-
გებოდ იყო მივლენილი მონღოლთა მტრისანებელთან. რუბრუკი წერს, რომ შანშე „წი-
ნათ ყველაზე უფრო გავლენიან ქართველთაგანი იყო. ესლა კი ხარკს აძლევს თათ-
რებს, რომელთაც ყველა მისი ციხე-სიმაგრე“ დანაგრძის. მისმა შამამ, ზაქარიამ, შეიძი-
ნა სომხების ეს მიწა, გაათავისუფლა რა ისინი სარკინოზებისაგან“-ო. მხარგრძელთა
შამელი სომხეთში იყო ჩვეულებრივი ფეოდალური სამფლობელო, რომელიც მათ
ფეოდალური სამსახურის პირობით, საქართველოს მეფეებისაგან ჰქონდათ მიღებული.

§ 68. შინაგანი ვითარება თამარის ვეფხეშაჟი. მთიულეთის აჯანყება

საზარმო ომების საერთო შედეგები. თამარის მეფობის თითქ-
მის ოცი წლის განმავლობაში განუწყვეტელი, დიდი და წვრილი, ომები
წარმოებდა. ამ ომებს დიდი საშოვარი სდევდა თან, ჯარი დავლითა და
ალაფით დატვირთული ბრუნდებოდა შინ. გასაგებია, რომ მდიდრდებოდ-

ნენ უმთავრესად ფეოდალები, და მათს ამყოლს შინაყმებსაც ცოტა რა ერგებოდათ ხოლმე.

ქვეყნისათვის ამ ომებს ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მათ საქართველო და მისი მეზობელი მხარეები გასწმინდეს უფრო დაბალი კულტურის მქონე, მოძალადე უცხოელებისაგან — უმთავრესად, თურქებისაგან, — და ხელი შეუწყვეს საქართველოს დიდი და ძლიერი სახელმწიფოს შექმნას. ამ სახელმწიფოში დამყარდა წესრიგი, რომელიც საქირო იყო ვაჭრობისა და ხელოსნური წარმოების განვითარებისათვის. იმ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს მეფეს ემორჩილებოდა, მეურნეობის მრავალნაირი დარგი არსებობდა და სხვადასხვა რაიონები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ გაცვლა-გამოცვლის მიზნით.

თამარის მეფობის დასასრულისათვის საქართველოს სამეფოში უკვე ბევრი არა ქართველი ეროვნება შემოდიოდა. საქართველოსაგან დამოკიდებული გახდა მთელი ჩრდილოეთი კავკასია, აღმოსავლეთი ამიერკავკასია, სამხრეთის ანუ ირანის ადარბადაგანი, მთელი სომხეთი და შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროები.

არაქართული პროვინციების სახელმწიფოებრივი მოწყობა. არაქართველი მოსახლეობის მიწა-წყლის შემოერთებასთან ამ ქვეყნების სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი იყო დაკავშირებული. ამ მხრივ საქართველოში ორგანიზაციის წესი არსებობდა: ან უშუალო შემოერთება, ან ყმადნაფიცობა (ვასალური დამოკიდებულება). პირველ შემთხვევაში შემოერთებული ქვეყანა საქართველოს მეფეს ემორჩილებოდა უშუალოდ, მეორე შემთხვევაში-კი შემოერთებული ქვეყანა საქართველოს მეფის ყმას, ადგილობრივ მფლობელს ექვემდებარებოდა. ჩრდილოეთ კავკასიის სამთავროები საქართველოს სახელმწიფოს ყმადნაფიცები გახდნენ. თუმცა შარვანი და რანი თავდაპირველად უშუალოდ შემოერთებულ იქნენ, მაგრამ შემდეგ ეს ქვეყნებიც ყმადნაფიცობის წესზე იყვნენ მოწყობილნი. სამხრეთით მდებარე მაჰმადიანთა სამფლობელოებიც აგრეთვე საქართველოს ყმადნაფიცებად იყვნენ ქცეულნი, ყოფილ სომხეთის სამეფოების სომეხთა მიერ დასახლებული ტერიტორია-კი საქართველოს ხელმწიფის უშუალო სამფლობელო და კუთვნილება გახდა.

სომხურ თემებში დამყარებული წესის განსხვავება იმით აიხსნება, რომ როდესაც იქ საქართველოს სახელმწიფოებრიობა შედიოდა, თითქმის მთელი საუკუნით ადრე იქ სომხური ხელისუფლება უკვე მოსპობილი იყო და საქართველო ამ ტერიტორიას მაჰმადიან მმართველებს ატომევდა. ადგილობრივი სომხური ხელისუფლება, რომელთანაც ყმადნაფიცობის დამოკიდებულების დამყარება შესაძლებელი ყოფილიყო, არ არსებობდა.

საქართველოს მთავრობის ჩლიბიზური პოლიტიკა. საქართველოს სამეფოში არა მარტო ბევრი სხვადასხვა ეროვნება, არამედ ბევრი სხვადასხვა სარწმუნოებაც იყრიდა თავს. მართლმადიდებელი ქრისტიანთა, საქართველოს ისტორია.



ლაშა გიორგი.

ბედიანის ფრესკა, საქ. მუზ. ისტ. განუ.

ტიანების გარდა, საქართველოს სახელმწიფოში იყვნენ მონოფიზიტ სომხებიცა და მაჰმადიანებიც — სპარსელები, თურქები და არაბები. ამიტომ იყო რომ საქართველოს მთავრობა, დავით აღმაშენებლიდან მო-

ყოლებული, სარწმუნოებრივი შემწყნარებლობის (ლმობიერების) პოლიტიკას მისდევდა.

ამ პოლიტიკის ნიმუშია ერთი შემთხვევა, რომელიც საშუალო საფეხურზე ნებისათვის სრულიად უჩვეულო ამბავი იყო. ორს სომხურ მონასტერს შორის დავა ატყდა ძვირფასი ოქროს ჯვრის გამო. ამ დავის გასარჩევად საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, მწიგნობართ-უხუცესმა, საგანგებო სასამართლო გამოჰყო, რომლის წევრებად მოწვე-ული იყვნენ როგორც სომეხი, ისევე ქართველი სამღვდლო პირები. ესეც გაუგონარი ამბავი იყო, რამდენადაც საკითხი სომეხთა ეკლესიას ეხებოდა მხოლოდ, მაგრამ ამაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ ამა-ვე სასამართლოს სრულუფლებიან მსაჯულ წევრებად დანიშნული იყ-ვნენ თბილისისა, ანისისა და დვინის ცნობილი ყადიები (მაჰმადიანთა საჯულის მეცნიერნი).

ამიტომაც არის, რომ საქართველოში მყოფი მაჰმადიანები, თვით არა-ბულ-სპარსული იმდროინდელი ისტორიული წყაროების ცნობებით, თა-ვის თავს ბევრ მუსლიმან სახელმწიფოს ქვეშევრდომებზე უკეთესად გრძნობდნენ.

საზოგადოებრივი ურთიერთობა. მე-12 საუკუნის საქართვე-ლო, როგორც ვიცით, ფეოდალური ქვეყანა იყო. ფეოდალური ურთიერ-თობა აქ სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და სულ უფრო და უფ-რო მეტ ხალხს აბამდა თავის უღელში. სახელმწიფოც ხელს უწყობდა ფეოდალიზმის, თავისი საზოგადოებრივი დასაყრდენის, განმტკიცებას.

ფეოდალური ურთიერთობის ზრდა იწვევდა ხალხის ბრძოლას ფეოდა-ლების წინააღმდეგ, თავისი ფეოდალური ვალდებულებების გადიდების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის ერთ-ერთი გამოხატულება იყო დიდი აჯანყე-ბა აღმოსავლეთ საქართველოს მთებში, თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში.

აქაური მთიელები, ფხოველები (დღევანდელი ფშავ-ხევსურების წინა-პრები) და ღიდოელები, გადასდგომიან საქართველოს მთავრობას და სრული ურჩობა გამოუცხადებიათ. აჯანყება ისე გაფართოებულა, რომ თამარი იძულებული გამხდარა მთაში დიდი ჯარი გაეგზავნა ამირსპასა-ლარ-ათაბაგის ივანე მხარგრძელის მეთაურობით. ივანე ათაბაგმა სამი თვე მონადომა მეამბოხეებთან ბრძოლას და დიდი სისასტიკით ჩააქ-რო იგი.

§ 69. ლაშა გიორგის (გიორგი მეოთხის) მეფობა

ჯერ ისევ ახალგაზრდა იყო გიორგი ლაშა 1213 წელს, როდესაც მისი სახელოვანი დედა გარდაიცვალა.

ქაბუკ მეფეს უზარმაზარი სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ხელა წილად.

ამ შემთხვევით შემოფოთებულმა ივანე ათაბაგმა და სხვა მხედართ-
მთავრებმა მეფეს განუცხადეს, რომ თუ მომავალში ასეთი რამე კიდევ
მოხდება, შენს სამსახურს თავს დავანებებთ და სამეფო დარბაზსაც ჩა-
მოვშორდებითო. მეფე ცხენიდან ჩამოხტა და ბოდიში მოიხადა.

გარემოცვა გაგრძელდა, და განძის ათაბაგი იძულებული გახდა შენდო-
ბა ეთხოვა და ძველებურად ხარკის ძლევა ეკისრა.

შემდეგ ლაშას მოუხდა ლაშქრობა ნახჭევანის, ხლათისა და
კარნუ-ქალაქის (არზრუმის) წინააღმდეგ, ამ ქვეყნების ყმადნაფი-
ცობის შემოსამტკიცებლად.

რომის პაპის მომართვა. მორჩა თუ არა ამ საქმეებს, სწორედ ამ
დროს დასავლეთ ევროპიდან გიორგი ლაშას რომის პაპის ჰონორიუსის
წერილი მოუვიდა. პაპი სთხოვდა, ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფო-
თაგან განზრახულს ჯვაროსანთა ომში საქართველოსაც მიეღო მონაწი-
ლეობა და ჯვაროსანთათვის პალესტინაში მაჰმადიანთა წინააღმდეგ სამ-
ხედრო მოქმედება გაეადვილებინა.

გიორგიმ სიამოვნებით განაცხადა თანხმობა და სამზადისსაც შეუდგა,
მაგრამ მოულოდნელად მთელი ეს გეგმა ჩაიშალა: თვით საქართველოს
საზღვარზე გამოჩნდა ახალი, მანამდე სრულებით უცნობი მტერი. ეს
მტერი მონღოლები იყვნენ.

მონღოლების პირველი გამოჩენა. მონღოლები ანუ თათ-
რები აქ ზვარაზმელებთან ბრძოლამ მოიყვანა, ზვარაზმ-შაჰის მუ-
ჰამედის დევნაში მონღოლთა ერთმა მოწინავე რაზმმა საქართველოს
საზღვრებს მოაღწია. მათ თავისი მბრძანებლის ჩინგიზ-ხანის აგან-
ცობების შეგროვება და დარუბანდის გზით უკან დაბრუნება ჰქონდათ
დავალებული. ამ რაზმს, რომელიც 20 000 მეომრისაგან შესდგებოდა,
ჯებე და სუბუდაი მეთაურობდნენ.

გიორგი ლაშამ სასწრაფოდ ჯარი შეაგროვა და მონღოლებს თავს და-
ესხა. მონღოლებმა თავისი ჩვეულებრივი ხერხი იხმარეს, განზრახ უკან
დაიხიეს იმ ადგილისაკენ, სადაც ერთი თავისი რაზმი წინასწარ ჩასაფრე-
ბული ჰყავდათ, ქართველები ხაფანგში გააბეს და დაამარცხეს კიდევაც.
ეს მოხდა 1220 წელს.

ერთი წლის შემდეგ მონღოლები ისევ მოვიდნენ, მაგრამ ამ დროისათ-
ვის საქართველოს უკვე საკმაო სამხედრო ძალა ჰყავდა თავმოყრილი
და როდესაც მონღოლებმა ეს გაიგეს, საქართველოს უბრძოლველად
გაეცალნენ, მთები გადალახეს და თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ.

საქართველოში ამ ამბებისათვის დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ. ამ
ახალგამოჩენილი ხალხის სახელიც კი არ იცოდნენ მაშინ ჩვენში.

1222 წელს გიორგი ლაშა გარდაიცვალა.

სოფლის მეურნეობა. მე-12 საუკუნის საქართველოში სოფლის მეურნეობა ძალიან მაღალ საფეხურზე იდგა, რამდენადაც ეს, რა თქმა უნდა, ფეოდალურ ხანაშია შესაძლებელი. ფართოდ იყო განვითარებული მემინდვრეობა (თავთავიანი კულტურების მოყვანა), მებოსტნეობა და მებაღეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა.

მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით და მეურნეობის გაძლიერების მიზნით, თამარის ბრძანებით, ორი დიდი სარწყავი არხი იქნა გაყვანილი. ერთ მათგანს, ალაზნის არხს, 119 კილომეტრის სიგრძე ჰქონდა, და იგი 53 000 ჰექტარ მიწას რწყავდა, მეორეს, სამგორის არხს, 20 კილომეტრი ჰქონდა სიგრძე. ამავე ხანაში წყალსადენების გაყვანასაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. მაგალითად, 1202 წელს ანტონ მწიგნობართუხუცესმა შიო-მღვიმის უდაბნოს სოფელ სხალტბიდან, 7 კილომეტრის სიშორეზე, წყალსადენი გაუყვანა, რომელიც ამ სავანეს დღემდე 243 000 ლიტრს წყაროს წყალს აწვდიდა. როგორც არხები, ისევე წყალსადენი მაშინდელი ქართული ჰიდროტექნიკური ცოდნის მაღალი დონის დამამტკიცებელია.

ხელოსნური წარმოება და აღმზ-მიცემა. ძალიან განვითარდა იმდროინდელ საქართველოში ხელოსნური წარმოება. საშუალო საუკუნეებში ცნობილი ხელოსნობის ყველა დარგი იყო მაშინ საქართველოში წარმოდგენილი.

ხელოსნური წარმოებისა და სოფლის მეურნეობის განვითარება და მრავალფეროვნება ამ დიდი სახელმწიფოს სხვადასხვა რაიონებში იწვევდა ვაჭრობა-აღმზ-მიცემის გაცხოველებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ. ვაჭრობას გზებისა და ხიდების მშენებლობა სდევდა თან. ჩვენ ვიცით, რომ უკვე დავით აღმაშენებელი ზრუნავდა მიმოსვლისა და სავაჭრო გზების გაუმჯობესებაზე. მე-12 საუკუნის ერთი ასეთი ნაგებობის ნაშთი, ბასლათის ხიდი აფხაზეთში, დღევანდლამდისაც დაცულია.

თამარმა მესხეთის საქართველოს შუაგულთან და დედაქალაქ თბილისთან დასაკავშირებლად (მესხეთი საქართველოსთვის მარცვლეულის ნამდვილ ბელელს წარმოადგენდა და საუცხოო საზაფხულო საძოვრების მქონეელიც იყო), პირდაპირი უმოკლესი გზა გააყვანინა თრიალეთზე. გზაზე საქარავნო ფუნდუკები (სასტუმროები) ააშენა, რომ მგზავრებს იქ თავის შეფარება, საწმელ-სასმელისა და პირუტყვისათვის საკვების შოვნა შესძლებოდათ.

ქართველ ვაჭრებს მაშინ ისეთ შორეულ ქვეყნებთან ჰქონდათ სავაჭრო ურთიერთობა, როგორიც იყო ეგვიპტე სამხრეთით და რუსეთი — ჩრდილოეთით. ეგვიპტიდან — ალექსანდრიიდან, მაგალითად, საუკეთესო ღირსების მატყლი მოჰქონდათ. თვით საქართველოდან ბამბა, მატყლი, აბრე-



XII ს. ხიდი ქართული ასომთავრული წარწერით მდ. ბასლათაზე
(სოხუმის მახლობლად).

ქართ. ხელნაწების ისტ. ინსტიტუტი.

შუმი, ტანისამოსი, ხალიჩები, ქურქები, სინდიყი (ვერცხლისწყალი) გაჰქონდათ, ცხენები და ჯორები გაჰყავდათ. საქართველოს საექსპორტო ვაჭრობის ერთ-ერთ საგანს საუცხოო ოქროქსოვილებიც შეადგენდა. ნავთიც-კი მიჰქონდათ აქლემებითა და გემებით საქართველოს სახელმწიფოდან.

ხელოსნობისა და ვაჭრობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ქალაქები და საქალაქო ცხოვრებაც. გაძლიერდა ძველი ქალაქები, გაჩნდა ბევრი ახალიც. ქალაქების სიმრავლეს მოწმობს ის ფაქტი, რომ მარტო ერთი ფეოდალის სამფლობელოში იმ დროს 15 ქალაქი ითვლებოდა. იმდროინდელი ქალაქებია: თბილისი, ქუთაისი, დმანისი, ანისი, სამშვილდე, ფოთი, ცხუმი (დღევანდელი სოხუმი), მანგლისი, ახალქალაქი, ახალციხე, გორი და ბევრი სხვა.

სახელმწიფო ფინანსები. საქართველო იმ დროის კვალობაზე მდიდარი ქვეყანა იყო. საკუთრივ საქართველოს (ყმადნაფიცე ქვეყნების გარდა) ყოველწლიური სახელმწიფო ფულადი შემოსავალი 3 750 000 ოქროს მანეთს უდრიდა. ამავე ხანაში მცირე აზიის შემოსავალი 2 475 000 მანეთს, არაბული ირაკის — 2 250 000 მანეთსა და საკუთრივ სპარსეთის — 2 153 460 მანეთს შეადგენდა მხოლოდ. დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდანაც ინგლისის მეფის შემოსავალი 1300 წელს 4 000 000 ოქროს

ფრანკს, ხოლო საფრანგეთისა 1311 წელს 3 000 000 ფრანკს არ აღემატებოდა. საქართველოს შემოსავლის აღნიშნული თანხა მხოლოდ ფულადი შემოსავალია. ამას გარდა მას ნატურით დაწესებული გადასახადების შემოსავალიც ჰქონდა.

§ 71. ქართული ფეოდალური მონარქია XII საუკუნეში

სამხარტველო აპარატი. ისეთი ვრცელი სახელმწიფოს მართვის, როგორიც იყო საქართველოს სამეფო მე-12 საუკუნეში, დიდი და რთული ადმინისტრაციული მექანიზმი სჭიროდა. სწორედ ამგვარი სახით წარმოგვიდგება იგი ჩვენ.

სამეფოს უმაღლესი მოხელეები იყვნენ მინისტრები, რომელთაც, მე-12 საუკუნის მეორე ნახევრიდან, არაბულ-სპარსული ტერმინოლოგიით „ვაზირებს“ უწოდებდნენ. თავდაპირველად 4 ვაზირი იყო; თამარ მეფემ შემოიღო მეხუთე ვაზირის — საქართველოს ათაბაგის — ხელი, ხოლო თამარის ასულმა, რუსუდან დედოფალმა, გაავაზირა ძველი კარის მოხელე — მსახურთუხუცესი. თავისი საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახით ქართული სავაზირო შესდგებოდა შემდეგ 6 ვაზირის ანუ მინისტრისაგან: მწიგნობართუხუცესი, ათაბაგი, მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი.

მინისტრები, მთავრობის მეთაურს გარეშე, ორ ჯგუფად იყოფოდნენ. იმ პატივის მიხედვით, რომელიც მათ მეფის კარზე ჰქონდათ მინიჭებული. ათაბაგი, მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი შეადგენდნენ „სამთავაზირთა ჯგუფს“, ხოლო მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი — „ორთავაზირთა ჯგუფს“.

ათაბაგს გარდა, ყოველ ვაზირს ჰქონდა თავისი გარკვეული ფუნქცია და ყოველი მათგანი სათავეში უდგა უწყებას, რომლის სხვადასხვა დაწესებულებაში მრავალი, სხვადასხვა ხარისხის მოხელე მუშაობდა.

პირველი მინისტრი „ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესად და ვაზირთა ყოველთა უპირველესად“ იწოდებოდა. ამასთანავე მას ჩვეულებრივ „მეფის მამას“ ეძახდნენ და ნამდვილადაც იგი მეფის უახლოესი მრჩეველი, თანაშემწე და ნაცვალი იყო. საქართველოს პირველი ვაზირი (დიდი კანცლერი), ასე ვთქვათ, უდიდესი უფლებებით აღჭურვილი მთავარი სახელმწიფო კონტროლიორი იყო, და, იმავე დროს, უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე. მას ექვემდებარებოდა 26 მწიგნობარი (კანცლერი ანუ მდივანი), რომელთაგანაც საწოლის მწიგნობარი და ზარდახნის მწიგნობარი დიდი კარისკაცები იყვნენ და თავიანთ უფროსთან ერთად უზენაესი სასამართლოს „სამეულს“ შეადგენდნენ. მწიგნობართუხუცესს ყველა სახელმწიფო დაწესებულებაზე მიუწვდებოდა ხელი.

მანდატურთუხუცესი, რომელსაც ხელისუფლების ნივთიერ-
ნიშნად ოქროს კვერთხი ჰქონდა მინიჭებული, იყო სამეფო კარის, შინა-
გან საქმეთა და ფოსტის მინისტრი. მის ხელქვეითთაგან პირველი ადგი-
ლი ეჭირა ამირეჯიბს, რომელიც მეფის დარბაზობის ცერემონიალს
ხელმძღვანელობდა ხოლმე და საერთოდ დიდი კაცი იყო სამეფოში.

ამირსპასალარი სამხედრო მინისტრი იყო. მისი უწყების უდი-
დეს მოხელეებად ითვლებოდნენ: ამირახორი — მთელი სახელმწი-
ფო მეცხენეობის მეურნეობის უფროსი და ვაზირის მოადგილე, მეამბ-
ჯრეთუხუცესი — ჯარის მატერიალური მომარაგების გამგე, და
მეჯინიბეთუხუცესი.

მეჭურჭლეთუხუცესი ფინანსთა მინისტრი იყო. მასაც თავისი
ნაცვალი, ე. ი. მოადგილე ჰყავდა.

მსახურთუხუცესი იყო მეფისა და მისი ოჯახის საკუთარი ქონე-
ბისა და მეურნეობის მინისტრი. მანდატურთუხუცესისა და
მსახურთუხუცესის ფუნქციათა გამიჯვნა იმას
მოასწავებს, რომ მაშინ მეფის პირადს, კერძო ქო-
ნებას უკვე ასხეავენდნენ სახელმწიფო საკუთრე-
ბისაგან.

ვაზირთა საბჭოს სხდომებს მეფე თავმჯდომარეობდა. მათზე დასწრება,
ვაზირთა გარდა, შეეძლოთ — და ისიც შეზღუდული, სათათბირო ხმის
უფლებით — მხოლოდ ამირახორს, ამირეჯიბსა და საწოლის მწიგნობარს.

ვაზირთა საბჭოს სხდომებზე და სამეფოს დარბაზობისას სასტიკად
იკავდნენ „ჯდომისა და დგომის წესს“: თითოეული იკავებდა მისთვის
წინასწარ განკუთვნილ ადგილს, მეფისაგან მეტ-ნაკლებ მანძილზე, მის
ხელ-მარჯვნივ თუ ხელ-მარცხნივ. ამასთანავე ზოგი იდგა, ზოგი იჯდა და
თვით სკამ-საფარძლებიც განსხვავდებოდა ერთი-მეორისაგან.

„ჯდომისა და დგომის წესში“ ერთ-ერთი გამოსახულება ჰქონდა ფეოდა-
ლური საზოგადოების იერარქიამ.

თემებს უწინდებურად ერისთავები განაგებდნენ, მათგან უდიდესთ —
თამარის დროს კი 9 იყო ასეთი — ერისთავთ-ერისთავები
ეწოდებოდნენ. ერისთავებს მოჰყვებოდნენ პროვინციის მრავალრიცხო-
ვანი მოხელენი: ხევისუფალი, ხევისბერი, მამასახლი-
სი და სხვ. ციხეებისა და გამაგრებული პროვინციული ქალაქების უფ-
როსობა ციხისთავებს ჰქონდათ ჩაბარებული.

დიდი ქალაქების მართვაში მეფის ნდობით აღჭურვილი პირი იყო
ამირთ ამირა.

მეფის ღვთისსწორობის იდეა. არსებული წყობილების დაცვასა
და განმტკიცებას ემსახურებოდა არა მარტო იძულების მძლავრი სახელ-
მწიფოებრივი ორგანიზაცია, არამედ აგრეთვე საზოგადოების ფართო ფე-
ნებზე იდეოლოგიური ზემოქმედების საშუალებებიც. ამ უკანასკნელთ
ხალხისათვის უნდა ჩაენერგათ რწმენა, რომ არსებული საზოგადოებრივი

და სახელმწიფოებრივი წყობილება იმთავითვე ზეგარდმო. არის ნაბოჭები და ამიტომ ერთადერთი ბუნებრივი წყობილებაა.

ერთ-ერთი ამგვარი საშუალება იყო მეფის პიროვნების გაღმერთება, რის ტენდენცია მე-12 საუკუნეში იჩენს თავს საქართველოში. მეფეზე, როგორც „ნებითა ღვთისათა“, „ღვთივ ცხებულს“-ა და „ღვთივ დამყარებულ“ მეფეზე წარმოდგენის შეცვლა მეფეზე, როგორც ღვთის ძესა და ღმერთკაცზე წარმოდგენით გააადვილა ჩვენთვის უკვე ცნობილმა ლეგენდამ ბაგრატიონთა ჩამომავლობის შესახებ. გიორგი მესამის თანამედროვე და მისი მეხოტბე ისტორიკოსი არ სჯერდება იმის მტკიცებას, რომ გიორგი III თვით ღმერთმა მოუვლინა მის ქვეშევრდომებს თავის მსგავსება ხელმწიფედ („ღმრთისაგან მის სახედ ჩენილი პატრონი“); იგი გიორგის ასულს, თამარ მეფეს უწოდებს წმინდა სამების მეოთხე წიერს, ღვთაებრივად სრულყოფილს, უკვდავს. თამარის ძის ლაშას შესახებ ისტორიკოსი გვეუბნება, რომ იგი წინასწარ იყო მეფის ძედ და მეფედ განჩინებული. ოფიციალური დოკუმენტებიც კი თამარს, ისევე როგორც ბიზანტიის იმპერატორებს, „ღვთის სწორს“ უწოდებენ ხოლმე.

ქართველი მონარქების საზარეო პოლიტიკური მისწრაფე.

ბანი. დავით აღმაშენებლის შემდგომ ქართველ მეფეთა გარეპოლიტიკური მისწრაფებები შეუწელებლივ იზრდება. ეს მისწრაფებები ბოლოს ყალიბდება როგორც ისტორიული სარბიელიდან ჩამომავალი ბიზანტიის იმპერატორის ადგილის დაკავების პრეტენზია. თუ გიორგი მესამეს ჯერ კიდევ „აღმოსავლეთისა და ჩრდილოისა მპყრობელი“ ეწოდება და ამით იგი უპირისპირდება ბიზანტიის იმპერატორს, რომელსაც „ყოვლისა დასავლეთისა და საბერძნეთის მეფის“ სახელით იხსენიებენ, — შემდეგში ქართველი ისტორიკოსები თავიანთ მბრძანებლებს უკვე რომის იმპერატორთა ტიტულს, „ავგუსტუს“-ს აკუთვნებენ („ავღუსტიანი“) და აგრეთვე „მეფობისა და სულტნობისა ერთად მქონებლობას“ მიაწერენ.

ოფიციალური თვალსაზრისი საქართველოს მეფის ხელისუფლების ფარგლების შესახებ ასახულია ჩვეულებრივსა და მე-12 საუკუნისათვის უკვე დაკანონებულ სამეფო ტიტულატურაში: „ნებითა ღმრთისათა მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვან-შაჰ და შაჰან-შაჰ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითფლობით მპყრობელი“. ამ ფორმულაში, საკუთრივ ქართულ თემთა გარდა, ჩამოთვლილია არა-ქართული ქვეყნებიც, რომლებზედაც ამათუიშ ზომით ვრცელდებოდა საქართველოს მეფის ძალა-უფლება. აქ თემებისა და ქვეყნების დასახელების ზოგი იმეორებს მათი ერთ სახელმწიფოში გაერთიანების ისტორიულ თანამიმდევრობას. ფორმულის „რანთა“ მიუთითებს რანზე ანუ არანზე, შარვან-შაჰ — შარვანზე, შაჰან-შაჰ — საკუთრივ სომხეთზე, „აღმოსავლეთი და დასავლეთი“ გულისხმობს აღმოსავლეთის მართლმადიდებელთა სამყაროს, მთლიანად.

მონაჩიის სამართავოაღისო მდგომარეობა. მართლაც, განვ

ლილ ხანაში საქართველოს სახელმწიფოს გარეპოლიტიკური მნიშვნელობა და ავტორიტეტი საგრძნობლად გაიზარდა. მე-12 საუკუნეში და მე-13 საუკუნის დასაწყისს საქართველო წარმოდგენს დიდ სახელმწიფოს, რომელიც აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო ცხოვრებაში და თავის საკუთარს დიდ პოლიტიკას აწარმოებს. ამ გარემოებამ თავი იჩინა, მაგალითად, ქართულ-ბიზანტიურსა და ქართულ-თურქულ ურთიერთობაში.

მე-12 საუკუნეში თურქ-სელჩუკიანთა იმპერია, რომელმაც ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური სარბიელიდან ბიზანტია განდევნა, თვითონაც დაირღვა და ცალკე მაჰმადიანურ საამიროებად დაიშალა. მაგრამ ბიზანტიას აღარ შეეძლო აღმოსავლეთში შექმნილი ახალი ხელსაყრელი ვითარების გამოყენება და სელჩუკიანებზე იერიშის მიტანა. ის კი არაა—და, მან გულ-მშვიდად ნება მისცა სელჩუკიანთა სახელმწიფოდან, მე-11 საუკუნის ბოლოს, მცირე აზიაში, გამოყოფილს რუმის სასულტნოს ქვეყნის იხეთ ძალად, რომელმაც შემდეგში დიდად შეუწყო ხელი იმავე ბიზანტიის დაცემას. ამასთანავე ბიზანტიას გაუჩნდა ახალი, მეტად საშიში, მტრები, რომელნიც უკვე დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან უტევდნენ მას. ეს მტრები იყვნენ რომის პაპი, იტალიელი ვაჭრები და ნორმანი, გერმანელი და ფრანგი ბარონები, რომელნიც აღმოსავლეთის იმპერიის მიწა-წყლისა და გზების ხელში ჩაგდებაზე და ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის დამორჩილებაზე ოცნებობდნენ. ჩრდილოეთით ბიზანტიას ემუქრებოდნენ მომთაბარე, თურქული მოდგმის ტომები — პაქანიკები და ყივჩაყები (ბიზანტიაში კომანებად წოდებულნი). იმპერიის თავზე ჩამოწოლილი საფრთხე მით უფრო დიდი იყო, რომ შიგ იმპერიაში მოქმედებდნენ მსხვილ მიწათმფლობელთა და ძირგამომპალი ბიუროკრატიის რეაქციული ძალები, რომელთაც უკიდურესად დააყენეს და დაასუსტეს ქვეყანა და სახელმწიფო. შინაგან წინააღმდეგობათაგან შერყეულს ქვეყანაში ფეოდალური რეაქცია გარეშე მტრების მთავარ დასაყრდენად იქცა. ბიზანტიის მოხელეთა და წარჩინებულ მემამულეთა ჯგუფების მეტოქეობა და შუღლი ისე შორს მიდიოდა, რომ ისინი უცხოელების, სახელმწიფოს დაუძინებელი მტრების თავის დამხმარედ მოწვევასაც კი აღარ თაბილობდნენ ხოლმე.

ამ უცხოელთა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უნდა მივაკუთვნოთ ნორმანებს, რომელთაც მე-11 საუკუნის შუაწლებში უკვე კეისრის კუთვნილ იტალიის მიწა-წყალზე დაიწყეს თანდათან შეჭრა. 1071 წელს, სწორედ მაშინ, როცა რომანოზ დიოგენემა იმპერიისათვის საბედისწერო დამარცხება განიცადა მანასკერტთან, ნორმანებმა დაასრულეს სამხრეთ იტალიის დაპყრობა. ამის შემდეგ ნორმანების მთავარ ოცნებად უკვე თვით კონსტანტინოპოლის ხელში ჩაგდება გადაიქცა.

ნორმანებზე ნაკლებ არც ჯვაროსნები და მათი აღმოსავლეთის ლაშქრობანი აწუხებდნენ კონსტანტინოპოლის იმპერატორებს. ჯვაროსნულ ომების დიდი მოძრაობა წამოწყებულ იქნა აღმოსავლეთის — დასავლეთის რეს ყოვლისა, ბიზანტიის — ქრისტიანთა დახმარების ლოზუნგით, ანუ, როგორც დასავლეთის ქრისტიანებს ამცნობდა რომის პაპი, ქრისტიანთა მჩაგვრელი „წარმართების“ წინააღმდეგ საბრძოლველად, „რომელთაც საშინელი სისასტიკით გაანადგურეს ყველაფერი ვიდრე თითქმის თვით კონსტანტინოპოლის ზღუდეებამდე“. ამასთანავე, ჯვაროსანთა ლაშქრობის ოფიციალურ მიზანს წარმოადგენდა ქრისტიანთა წმინდა ადგილების გათავისუფლება „ურწმუნოთაგან“ — მაჰმადიანი თურქებისაგან. თუ კი ჯვაროსნებმა ოდესმე და რამდენადმე მაინც შესძლეს მიახლოებოდნენ ამ საჯაროდ გამოცხადებულ მიზნებს, ეს, რა თქმა უნდა, ისევ პირველი ლაშქრობის დროს იყო (მე-11 საუკუნის ბოლოს), მაგრამ მაშინაც კი ჯვაროსნებს რამდენიმე დიდი შეტაკება მოუხდათ ბიზანტიელებთან. პირველმა ჯვაროსნულმა ლაშქრობამ ბიზანტიისა და დასავლეთ ევროპის გათიშვას შეუწყო უფრო ხელი, ვიდრე მათ დაახლოებას. ნამდვილი განხეთქილება კი მოხდა ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობის დროს (1147 წ.), როცა ცხადი გახდა, რომ დასავლეთის „მომძე-ქრისტიანებს“ შორეულ აღმოსავლეთში მიწების მძიმე ბრძოლით მოპოვებას ერჩიათ ახლოს მდებარე და ადვილად დასაპყრობ ბიზანტიურ სამფლობელოთა — მათ შორის თვით კონსტანტინოპოლის — ხელში ჩაგდება. მე-12 საუკუნის დამლევს ყოველმხრივ ალყა-შემორტყმული აღმოსავლური იმპერიის მდგომარეობა ძალზე გაუარესდა.

სახელმწიფოს გადარჩენის უკანასკნელი, გაბედული ცდა კომნიანოსთა მმართველი დინასტიის წარმომადგენელს — ანდრონიკე პირველს, იმპერატორ მანოელ პირველის ბიძაშვილს ეკუთვნის. მანოელის სიკვდილის შემდეგ აღძრულმა მძლავრმა პატრიოტულმა გამოსვლამ — საძულველი, კონსტანტინოპოლში უკვე ყველაფერს დაპატრონებული „ლათინების“ წინააღმდეგ, ჯერ სახელმწიფოს რეგენტად აქცია ანდრონიკე (1182 წ.), ხოლო შემდეგ — იმპერატორად (1184 წ.).

ანდრონიკე I მკიდროდ იყო საქართველოსთან დაკავშირებული. დედა მისი დავით აღმაშენებლის ასული იყო. მე-12 საუკუნის 60-ანი წლების შუა ხანებში იგი მთელი თავისი ოჯახით მოვიდა საქართველოში და დიდხანს ცხოვრობდა აქ. გიორგი მესამემ ძალიან კარგად მიიღო თავისი მამიდაშვილი. შესაძლოა, რომ 1182—1184 წ. წ. მომხდარი ამბების დროს ანდრონიკეს უკვე ეხმარებოდნენ საქართველოდან.

თავისი ნანმოკლე მეფობის დროს ანდრონიკე I ცდილობდა მტკიცე ზელობით მოეწესრიგებინა სახელმწიფო საქმეები, ბოლო მოეღო სასახლეში გაბატონებული მფლანგველობისა და დიდებულთა ბოროტმოქმედებისათვის, გაეწმინდა და გაეჯანსაღებინა ადმინისტრაციული აპარატი, შეესრულებინა მოსახლეობისათვის გადასახადების ტვირთი. მისი მოქმე-

დებით სასტიკად შევიწროებულმა და შეურაცხყოფილმა მსხვილმა მიწათმფლობელმა არისტოკრატებმა, ანგელოსთა საგვარეულოს მეტაურობით, მოაწყო აჯანყება, რომელმაც იმსხვერპლა ანდრონიკეც და მისი ძე მანოელიც (1185 წ.). მაგრამ მანოელის მცირეწლოვანი შვილები, ალექსი და დავითი, გადაარჩინეს ერთგულმა ადამიანებმა, რომელთაც ისინი საქართველოში დახიზნეს. აქ ბავშვებს მათი მამიდა, თამარ მეფე ზრდიდა.

იმპერატორთა გვირგვინს ანგელოსები დაეპატრონენ. მათი მეფობის დროს სახელმწიფოს ხრწნა და რღვევა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ბოლოს კატასტროფით გადავდა. მეოთხე ლაშქრობისათვის დაძრულმა ჯვაროსნებმა მიწინვე ბიზანტიას მიაშურეს, რომლის კარები მათ თვით ანგელოსებმა გაუღეს, ერთმანეთს ტახტის გამო რომ ეჭიშვებოდნენ. 1203 წელს ჯვაროსნები უკვე ფაქტიურად ბატონობდნენ ბიზანტიაში. მომდევნო წლის დამდეგს უცხოელთა საქციელით აღშფოთებული ბერძნული მოსახლეობა აუშხედრდა ჯვაროსნებს, რასაც მათ გაუგონარი ძალადობით უპასუხეს: კონსტანტინოპოლი აიღეს, ზოგიერთი მისი უბანი მთლიანად გადასწვეს, ანტიკური და საშუალო საუკუნეების ხელოვნების უძვირფასესი ძეგლები გაანადგურეს, დიდძალი ზალხი — და მათ შორის ყოფილი იმპერატორებიც — გაეღიტეს. ბიზანტიის სამფლობელოები ჯვაროსანთა სხვადასხვა ჯგუფებმა დაინაწილეს, ხოლო კონსტანტინოპოლში ე. წ. ლათინური იმპერია დააარსეს.

სწორედ ასეთ პირობებში მოხდა ბიზანტიის საქმეებში საქართველოს აქტიური ჩარევა, რაც წარმოადგენდა არა მარტო 1203 და 1204 წ. წ. ამბების უშუალო პასუხს, არამედ აგრეთვე ადრევე გამოჩენილ ქართულ საგარეო-პოლიტიკურ მისწრაფებათა გამოხატულებას. თამარ მეფემ თითქმის მთლიანად დაიკავა ბიზანტიის კუთვნილი სანაპირო შავი ზღვისა, მაგრამ უშუალოდ არ შემოუერთა დაპყრობილი ქვეყანა საქართველოს, არამედ ოსტატურად მოზომილი ნაბიჯი გადასდგა: ახალი დამოკიდებული სახელმწიფო შექმნა და ბიზანტიის იმპერატორთა კანონიერი მემკვიდრე, თავისი გაზრდილი ალექსი კომნენოსი დააყენა მის მეფედ. საქართველოს წყალობითა და ხელშეწყობით დაარსებული ტრაპიზონის სახელმწიფო, სავსებით გაქართველებული დინასტიითა და უპირატესად ქართული მოსახლეობით, ფაქტიურად წარმოადგენდა საქართველოს მონარქიის ნაწილს და ფორპოსტს მისი პოლიტიკისათვის, რომელიც ერთი წვერით მიმართული იყო კონსტანტინოპოლში ფეხმოკიდებული „ლათინი“ დამპყრობლების წინააღმდეგ, ხოლო მეორით — რუმის (იკონიის) სასულტნოს წინააღმდეგ, რომელიც უკვე მეტისმეტად ძლიერდებოდა. ამასთანავე ტრაპიზონის სამეფო ჩამოყალიბებულ იქნა ისეთი ფორმით, რომელსაც, აღმოსავლეთ-ქრისტიანული სამყაროს გულის მოსაგებად, უნდა საქეყნოდ ეჩვენებინა, რომ კონსტანტინოპოლში დათრგუნული ბიზანტია აქ განაგრძობს არსებობას, რომ აღმოსავლეთის მართლმადიდე-

აღმოსავლეთის შესახებ. და როცა ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო მნიშვნელობა უფრო საგრძნობი გახდა.

ჯვაროსანთა მიერ დაარსებული ანტიოქიის სამთავროს კანცლერს, ფრანგ გოტიეს თავის დროზე და დაწვრილებით შეუტყვია 1121 წ. დიდგორის ომის ამბები, მათ შორის—ზოგი რამ ჩვენთვის ახალი. განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ როგორ აფასებს ჯვაროსანთა ეს თვალსაჩინო წარმომადგენელი დიდგორის ომს: „ალეპოს სულტანმა, — წერს გოტიე, — თავი მოუყარა თურქმანთა და აგრეთვე არაბთა დიდძალ ჯარს. როცა გადაავლო თვალი შეკრებილთა სიმრავლეს, იგი უზომო სიამაყემ მოიცვა; მან, ერთ ზორასნელ სულტანთან ერთად, გადასწყვიტა გაელაშქრა იბერიის მეფის დავითის წინააღმდეგ, რათა გაენადგურებინა ან განედევნა იგი და შემდეგ, დაუბრკოლებლად დასავსებით, დაემორჩილებინა იერუსალიმი და ანტიოქია და ამოეწყვიტა ქრისტიანები“.

ამრიგად, ფრანგი ისტორიკოსის (რომელიც 1122 წელს სწერდა ამ სტრიქონებს) აზრით, ძლიერი ქართული სახელმწიფოს არსებობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სირიასა და პალესტინაში ჯვაროსანთა საქმის წარმატებისათვის. გოტიე ქართველთა და ჯვაროსანთა შორის უშუალო ურთიერთობასაც კი აღნიშნავს: მისი სიტყვით, დიდგორის ომში დავით აღმაშენებლის ლაშქარში ვითომც ორას ფრანგ მეომარს უბრძოლია.

წინა აზიის საქმეებში საქართველოს როლის შესახებ კიდევ უფრო დიდ წარმოდგენას ვხედავთ გოტიეს თანამემამულისა და თანამედროვის, ქრისტეს საფლავის კანტორისა და მღვდლის, ვინმე ანსელუსის წერილში, რომელიც მას გაუყოლებია იერუსალიმიდან პარიზში გაგზავნილი ძვირფასი ჯვრისათვის. იგი, სხვათაშორის, ამბობს: „ამ ჯვარს დიდ თაყვანს სცემდა საქართველოს მეფე დავითი, სანამ იგი ცოცხალი იყო; ეს ის დავითია, რომელიც, თავის წინაპართა მსგავსად, ფლობდა კასპიის კარებს, გოგისა და მაგოგის წინააღმდეგ აღმართულს ამ ზღუდეს. იმასვე აკეთებს დღემდე მისი შვილი, რომლის ქვეყანა და სახელმწიფო არის, ასე ვთქვათ, ჩვენი წინაბურჯი მიდევლთა და სპარსელთა წინააღმდეგ“.

საქართველოს სამეფოს ძლიერების შემდგომი ზრდა ქრონოლოგიურად დაემთხვა ჯვაროსნებისა და მათი სახელმწიფოების დასუსტებას აღმოსავლეთში. ასეთ პირობებში საქართველოს პრესტიჟი ევროპელთა შეგნებაში ერთგვარი ლეგენდარული ელემენტითაც იმოსება, რომელშიაც გამოხატულებას პოულობს დასავლეთ ევროპის საზოგადოების სათანადო ჯგუფების სანუკვარი ოცნებები. ასე მაგალითად, დავით აღმაშენებელი, რომლის შესახებაც მე-12 საუკუნის დასაწყისში ევროპელებს სავსებით რეალური ცნობები ჰქონდათ, თანდათან გადაიქცა ზღაპრულ პიროვნებად. „ქრისტიანთა ჩრდილოელ მეფე დავითად“, რომლისაგანაც მე-13 საუკუნეშიაც კი მოელოდნენ ხსნას.

ასეთივე განწყობილებით არის გამსჭვალული რაინდ დე-ბუას მიერ მე-13 საუკუნის დამდეგს აღმოსავლეთიდან საფრანგეთში, ბეზანტიონის არქიეპისკოპოსისათვის გაგზავნილი წერილი: „...ეხლა მომსმინეთ გასაოცარი და მნიშვნელოვანი ახალი ცნობები. ჯერ ყურმოკრული შევიტყვე, ხოლო შემდეგ სარწმუნო ელჩების მეშვეობით დანამდვილებით შევამოწმე, რომ იბერიელი ქრისტიანების, რომელნიც გეორგიანებად (ქართველებად) იწოდებიან, დიდძალმა ცხენოსანმა და ქვეითმა ჯარმა ღვთის შემწეობით აღფრთოვანებულმა და ძალზე კარგად შეიარაღებულმა, გამოილაშქრა ურწმუნო წარმართების წინააღმდეგ, სწრაფად დაჭრა მათ და უკვე აიღო 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, რომელთაგანაც ძლიერი დაიპყრო, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქცია.

ამათ შორის ყველაზე უფრო ცნობილი და წარმართთა ქალაქებში უმდიდრესია ის, რომელიც ეფრატზე მდებარეობს (ე. ი. არზრუმი). მისი მფლობელი იყო ბაბილონის სულტანის ვაჟი... შემოადინებული ჯარი მოეშურება, რათა გაათავისუფლოს იერუსალიმის წმინდა მიწა-წყალი და დაიპყროს წარმართთა მთელი სამყარო. მათი წარჩინებული მეფე 16 წლის კაბუჯია. იგი ალექსანდრე მაკედონელს ჰგავს ვაჟკაცობითა და სათნოებით, მაგრამ არა სარწმუნოებით (აქ ავტორი გულისხმობს იმას, რომ ალექსანდრე მაკედონელი წარმართი იყო, ხოლო საქართველოს მეფე — ამ შემთხვევაში ლაშა გიორგი — ქრისტიანია). ამ კაბუჯს თან მოაქვს ძვლები თავისი დედისა, უძლიერესი მეფის თამარისა, რომელსაც თავის დროზე იერუსალიმს წამოსვლის აღთქმა დაუდგია და უთხოვინია შეილსათვის, თუ აღთქმის ასრულება არ დამცალდეს, ჩემი ძვლები ქრისტეს საფლავზე წაიღეო. შეილს არ დავიწყებია დედის თხოვნა და... გადაუწყვეტია წმინდა ქალაქში გადმოიტანოს დედის ნეშტი, მიუხედავად იმისა, მოისურვებენ ამას წარმართები თუ არა“.

იმეფე ეპოქაში ბიზანტიაში დაიწერა დიდი პოემა ლექსად, რომელიც ხოტბას ასხამს თამარ მეფეს. ამ პოემაში თამარი გვევლინება, როგორც ივერიის ძლიერი დედოფალი დინარა, რომელიც არავითარ სიძნელეს არ უფრთხის, პირადად წინ მიუძღვის თავის ლაშქარს და ბრწყინვალედ იმარჯვებს „სპარსელებზე“, ე. ი. აღმოსავლეთის მაჰმადიან აგრესორებზე. ეს პოემა შემდეგში რუსულადაც ითარგმნა და დიდად პოპულარული იყო რუსეთში.

საქართველოს კულტურული ვითარება მე-12 საუკუნეში

საქართველოს სამეურნეო და სახელმწიფოებრივი გაძლიერება მე-12 საუკუნეში ის საფუძველი იყო, რომელზედაც აყვავდა ძველი ქართული ფეოდალური ხანის, კულტურა.



წყაოსთავის სახარების უდა, ოქრომჭანდაცების
ბეჭა ოპიზარის ნამუშაური, 1195 წ.

მე-12 საუკუნის ქართული კულტურა წინამორბედი პერიოდების ეროვნულივე კულტურის ბუნებრივი განვითარება იყო.

მეცნიერული მწერლობა. ამ საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და ფილოსოფოსების, როგორც იყვნენ იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი, მოღვაწეობა მე-12 საუკუნეს აკავშირებს მე-11 საუკუნესთან. ამ ფილოსოფოსების მიერ ჩატარებულმა 15. საქართველოს ისტორია.

ბრძოლაში აზროვნებისა და სამეცნიერო კვლევა-ძიების თავისუფლება. სათვის ღრმა კვალი დააჩნია იმდროინდელი ქართველი საზოგადოებას შეგნებას. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ მხრივ იოანე მკერდიშვილს, რომლის მოღვაწეობა ჯერ ბიზანტიაში, პეტრიწონის ქართულთა მონასტერში დაიწყო, შემდეგ კონსტანტინოპოლში მიმდინარეობდა, სულ ბოლოს-კი საქართველოში იყო გადმოტანილი. ღრმა ცოდნაზე დამყარებული სამაგალითო, ზედმიწევნითი თარგმანების გვერდით, მათ საუცხოო საკუთარი კომენტარები და ზოგადი მოძღვრების შემცველი დებულებებიც შექმნეს.

გაიფურჩქნა ამ ხანაში აგრეთვე ქართული საისტორიო მწერლობაც. ამ დროს არის დაწერილი ისეთი წარჩინებული საისტორიო ნაშრომები, როგორიცაა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ბრწყინვალე თხზულება და თამარ მეფის სამი ისტორიკოსის შესანიშნავი ნაწარმოებები. სახელმწიფო ამბებს გარდა, ამ ავტორებს საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ამბებიც არ ავიწყდებოდათ. შინაარსის მრავალფეროვნება და თვით საისტორიო წერის მაღალი ტექნიკა ამ ნაშრომებს პირველხარისხოვან საისტორიო ძეგლებად ხდის.

უცხოური კულტურული ნაპაღები მე-12 საუკუნის საბაბით. ველოში. ძველი ქართული კულტურის გარდა, ფეოდალურ საქართველოს ელიზური კულტურის მემკვიდრეობაც საკმაოდ ჰქონდა შეთვისებული. ბერძნულის საფუძვლიანმა ცოდნამ ქართველ მეცნიერებს საშუალება მისცა ბერძნული თხზულებები დედანში წაეკითხათ.

მე-12 საუკუნის ქართული კულტურის თავისებურებას, დასავლეთის იმდროინდელ კულტურასთან შედარებით, ის წარმოადგენს, რომ, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე მდებარე ქვეყანას, საქართველოს საშუალება ჰქონდა, დასავლური ქრისტიანული კულტურის გარდა, ისლამობის ნიადაგზე შექმნილს ახალს, მეტად თავისებურსა და მრავალფეროვანს, არაბულ-სპარსულ კულტურასაც გასცნობოდა. ქართველი ერი სარწმუნოებრივად მისთვის ამ დაშორებულსა და თითქმის უცხო კულტურას, როგორც ცხოველმყოფელ წყაროს, დაეწაფა, შეითვისა იგი და ამით თავისი მწერლობა და ხელოვნება გაამდიდრა.

მუსიკა და პოეზია. ქართველ ხალხს უძველესი დროიდანვე თავისი მდიდარი ხალხური პოეზია და მრავალფეროვანი ხმეირი და საკრავიანი მუსიკა ჰქონდა, ისევე როგორც სახიობაც. ქართული ხალხური მუსიკის მნიშვნელობა აღნიშნულია უკვე „დაბადებაში“, სადაც ქართველთა წინაპარზე ნათქვამია: „ესე იყო გამომაჩინებელ საფსალმუნისა და ეზნისა“-ო. მკაცრი ქრისტიანულ-ასკეტიკური მოძღვრება ხალხური შემოქმედების ამ დარგებს სდევნიდა, მაგრამ მათ თანდათანობით თავისი ძალა კვლავ მოიკრიფეს და უკვე მე-10 საუკუნისათვის ქართული საერო მწერლობის განახლების დასაწყისი მკაფიოდ საგრძნობი გახდა.

მე-11 — მე-12 საუკუნეებში ამ საერო მწერლობის მნიშვნელობა და



შოთა რუსთაველი.

უზა ჯაფარიძის ნახატი.

გავლენა სწრაფად იზრდება. პირველ ხანებში მაჰმადიანთა საერო მწერლობის ჰანგების მიმბაძველობით შეფერადებული, თანდათანობით ის დამოუკიდებელი შემოქმედების გზას ადგება. ამ მხრივ ქართული „ვისრამიანი“-ა საყურადღებო, რომელიც ამავე სახელწოდების მქონე ლექსად დაწერილს სპარსულ რომანს არაფრით ჩამოუვარდება, იმისდა მიუხედავად, რომ ქართველ ავტორს თავისი თხზულება პროზად აქვს დაწერილი. იოანე შავთელის „აბდულ მესია“ და ჩაზრუხაძის ხოტბანი ხომ მაშინდე-

ლი საქართველოს მაღალხარისხოვანი კულტურის გამომატველია. ქვეთხულებათა გაგება მხოლოდ ფართო და ღრმა განათლების მქონე საზოგადოებას შეეძლება.



ბექა ოპიზარი. ანჩის-ხატის გვერდის ჩარჩოს მოქედებლობა.

შ. ამირანაშვილის გამოცემით.

გადოებას უმაღლესი ლექსთა წყობა, რომლის მაგალითებიც მათი ნაწარმოების ყოველ სტრიქონში განსაკუთრებული ოსტატობით არის მიმოხეული, მხოლოდ უაღრესად დახელოვნებული პოეტისათვის იყო მისაწვდომი.

„ვეფხისტყაოსანი“

მარტო შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება „ვეფხისტყაოსანიც“, სხვაც რომ არაფერი ვეჭონოდა შემორჩენილი, მაშინდელი ქართული მხატვრული მწერლობის მაღალი დონის საბუთად კმარა. შოთას „ვეფხისტყაოსანი“ არაჩვეულებრივი მოვლენაა იმდროინდელი როგორც აღმოსავლეთისა, ისევე დასავლეთის მწერლობისათვის. პირველი სტრიქონიდან მოყოლებული დასასრულამდე ეს ქმნილება მომუჯადოებელ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე თავისი სწორუბოვარი ლექსის მუსიკალობით, სრულყოფილი აღნაგობით, მაღალმხატვრული შედარებებითა და ღრმა აზრებით. მთელი ნაწარმოები მარტო სიყვარულის გრძნობით კი არ არის გამსჭვალული, როგორც ეს ჩვეულებრივს რომანებში იყო ხოლმე, არამედ ამ


მგოსანი და მისი გმირები დიდ საკითხებს თავს დასტრიალებენ.

შოთას მოქმედი პირები მართოთავეს ბედნიერებაზე მზრუნველი ჩვეულებრივი არსებანი არ არიან. „ვეფხისტყაოსნის“ ქალებიც ეროვნული და საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებით დაჯილდოებული გმირები არიან და უკიდურესი განსაცდელის დროსაც მათ თავისი სამშობლოს ბედნიერება არ ავიწყდებათ.

საზოგადოებრივი ჰანგები, ადამიანის ბუნების იშვიათი ცოდნა და სიბრძნე განსაკუთრებით ამკობს „ვეფხისტყაოსანს“. ეს უკედავი პოემა სამს ძირითად ჰანგზე არის აგებული: ქალისადმი რაინდული სიყვარული, გმირული თავგანწირულება, ეროვნებისა და სარწმუნოებისდა მიუხედავად ძნაღნაფიცთა ერთგულება. ყოველივე ამან „ვეფხისტყაოსანი“ შოთას თანამედროვეებისთვისაც უებრო თხზულებად აქცია და ქართულ მწერლობაში იგი დღევანდლამდე სწორუბოვარ მაგალითად დარჩა.

ხელოვნების სხვა დარგები. ქართულ მხატვრულ მწერლობას გვერდს ხელოვნების სხვა დარგებიც უმშვენებდა. იმდროინდელმა ხუროთმოძღვრებამ, კედლისა და ხელნაწერების მხატვრობამ, კედლითმა ხელოვნებამ თუ მინანქარმა, მუსიკამაც ბევრი პირველხარისხოვანი ნაწარმოები დაგვიტოვა.

საკმარისია დავასახელოთ ისეთი დიდებული ძეგლები, როგორიც არის უბისის, ყინცვისის, გელათის კედლის მხატვრობა და მოზაიკა, ჯრუჭის ოთხთავი, წყაროსთავისა და ტბეთის სახარებათა, ხახულისა და ანჩის ხატების მოჭედილობა, რომელიც იმდროინდელი შესანიშნავი ქართველი ოქრომქანდაკელების, ბექა და ბეშქენ ობიზარების, ნახელავია.



ქართული ხალხური ორნამენტი
ზეზე (მერზი, ქსნის ხეობიდან).

საქ. მუზეუმის ეთნ. განკ.

აღსანიშნავია აგრეთვე ქართული მუსიკის დიდი დაწინაურება: მრავალხმიანობის გაჩენასა და განვითარებასთან ერთად, საკომპოზიციო ხელოვნება ცალკე დარგად გამოიყო, ისე რომ ამ დროს საგალობლების სიტყვებისა და ჰანგის შემთხველნი საქართველოში სხვადასხვა პირები იყვნენ. მაშინდელი ქართველი კომპოზიტორებისაგან შეთხზული ჰანგები, საკუთარი საგალობო ნიშნებით ჩაწერილი, ნაწილობრივ ჩვენ დრომდე არის მოღწეული.



ქანდაკება ვერცხლის დისკოზე, გელათიდან. XII ს.

კონდაკოვის გამოცემით.

მაღალ დონეს მიაღწია ქართულმა ხუროთმოძღვრებამაც. იკორთის, ფიტარეთის, ქვათახევის, ბერთუბნის, ბეთანიისა და სხვა ტაძრები ამ დიდი ხელოვნების მრავალმეტყველი მოწმენი არიან, იმისდა მიუხედავად, რომ საუკუნეთა განმავლობაში ძალზე დაზიანდნენ და წინანდელი ბრწყინვალეებიდან მათ ბევრი რამ უკვე დაკარგული აქვთ. მთლად კლდეში გამოკვეთილი ვარძიის მონასტერიც, მრავალი სენაკებითა და საუცხოოდ მოხატული ეკლესიით, დაანახევებს ადამიანს, თუ რამდენად ძლიერი იყო ხელოვნების ეს დარგი მაშინდელ საქართველოში.

არქიტექტურაში თავის შემდგომ განვითარებას ჰპოვებენ ის დამახასიათებელი ნიშნები, რომელთაც უკვე მე-10 საუკუნეში იჩინეს თავი და მე-11 საუკუნის შესანიშნავი ნიმუშებით არიან წარმოდგენილნი. ძალუმაღ გაიშალა შენობების გარეგანი შემკულობა. მათი კედლები დაფარულია და-

უსრულებლად მდიდარი ორნამენტის რჩეული, ნატიფი სახეებით. როგორც აკადემიკოსი ნ. კონდაკოვი ფიქრობს, ამ ფართოდ ცნობილი ორნამენტის, ისევე როგორც საერთოდ დეკორატიული მორთულობის წყალობით, ქართული ხუროთმოძღვრება ევროპული არქიტექტურის პირველ რიგებში გამოდის.

მე-11 — მე-12 საუკუნეების ქართულ ხელოვნებას ახასიათებს მთელი რიგი ნიშნები, რომლებიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ ევროპაში საფუძვლად დაედო ეგრეთწოდებულს „რენესანსის (აღორძინების) ხანას“.

ქა.



მონღოლების შემოსევა

§ 73. რუსუდანის გამეფება. ბრძოლა ხვარაზმელებთან

გიორგი ლაშას გარდაცვალების შემდეგ ისევ დადგა საკითხი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ. ლაშა გიორგის ვაჟიშვილი დარჩა, დავითად წოდებული. მაგრამ იმდროინდელი სამართლის ძალით დავითი „უკანონო“ შეიღად ითვლებოდა, იმიტომ რომ დავითის დედა ლაშასთან საეკლესიო წესით არ იყო დაქორწინებული. უკანონო შეილს-კი თავის მამის მემკვიდრეობის უფლება არ ჰქონდა. დავითი საქართველოს მემკვიდრედ არც თვითონ გიორგი ლაშას ჰყოლია სიკვდილის წინ მიჩნეული.



ამიტომ საქართველოს დიდებულებმა გადასწყვიტეს საქართველოს სამეფო ტახტზე ლაშა გიორგის და, რუსუდანი, აეყვანათ. რუსუდანი გამეფდა 1222 წელს. შემდეგ წელს იმავე დიდებულებმა რუსუდანს ქმარიც შერთეს, კარნუ-ქალაქის (არზრუმის) მფლობელის შვილი მუღისედი. მისგან რუსუდანს ორი შვილი, თამარი და დავითი, შეეძინა.

1222 წლიდან მოყოლებული 1225 წლამდე საქართველო წვრილ-წვრილ ომებში იყო გართული, 1225 წლიდან-კი საქართველოს სამეფოს მძიმე დღეები დაუდგა. ახალ მტრად ჩვენს ქვეყანას ხვარაზმელები მოეწივნენ. ხვარაზმი (სამეფო იყო შუა აზიაში) ამ დროს მონღოლებს ჰქონდათ დაპყრობილი, ხვარაზმის მფლობელები-კი, შაჰი მუჰამედი და მისი შვილი ჯალალედი, გაძევებული იყვნენ თავისი სამფლობელოს ძირითადი პროვინციებიდან.

ხვარაზმელების გამოსაშვება საქართველოში. როდესაც, მამის სიკვდილის შემდეგ, ჯალალე-

მა მტერმა, ირანში გამაგრება სცადა (ირანის დიდი ნაწილი ხვარაზმის სამეფოს ფარგლებში შედიოდა ამ დროს), მან რუსუდანს მუქარით სავსე

წერილი გამოუგზავნა და ნებაყოფლობით დამორჩილება მოსთხოვა. მას-
ლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიან მფლობელებს-კი შეუთვალა: დადგა
დრო, როდესაც ქართველთა მძლავრობას ბოლო მოეღება და მაჰმადიან-
ნობა წინანდებურად გამარჯვებული იქნებაო.

ჯალალედინის მუქარას საქართველოს მმართველ წრეებში მედიდუ-
რად შეხედნენ. მას დამცინავი პასუხი გაუგზავნეს: მამა შენი შენზე უფ-
რო ძლიერი იყო, მაგრამ რაც მონღოლებისაგან მას დაემართა, ეს შენც
კარგად გეცოდინება. იგივე მონღოლები საქართველოს საზღვრებს მო-
ადგნენ, მაგრამ იძულებული იყვნენ უკან დაეხიათო. ამ პასუხიდან ჩანს,
რომ საქართველოს მთავრობას სრულიად შემცდარი წარმოდგენა ჰქონდა
იმ მდგომარეობაზე, რომელიც მაშინ აღმოსავლეთში იყო. საფიქრებელი
იყო, რომ ასეთ პირობებში საქართველოს მთავრობის სათავეში მდგომი
პირები ჯეროვანი სიფხიზლით ვერ მოეკიდებოდნენ იმ საშიშროებას,
რომელიც ქვეყანას მოელოდა.

გარნისის ბრძოლა. ღვინის აღება ხვარაზმელების მიერ. საქ-
ართველოს მთავრობა მაინც სამხედრო მზადებას შეუდგა. ჯალალედი-
ნმა დასწრება ამჯობინა და ამიტომ, სანამ საქარ-
თველო სამზადისს დაამთავრებდა, 1225 წელს, შე-
მოღგომას, დიდძალი ჯარით საქართველოს საზღვ-
რები გადმოლაზა და ღვინის ოლქის აოხრება და-
იწყო. ჯალალედინი ისეთი სისწრაფით მოქმედებ-
და, რომ ჯერ კიდევ საკმაო ჯარი თავმოყრილი არ
იყო საქართველოში, როცა ის ღვინიდან ცნობილ
ციხე-ქალაქს, მაღალ კლდეზე მდებარე გარ-
ნისს (სომხეთში) მიადგა.



რუსუდანი
ფული, 1227 წ.

გარნისის თავზე მას საქართველოს ჯარი დახვდა, ქვევით ჯალალედი-
ნი იდგა თავისი ლაშქრით. ქართველები მეშველი ჯარის მოლოდინში
ბრძოლის დაწყებას არ აპირებდნენ, მაგრამ ხვარაზმ-შაჰმა თვითონ და-
იწყო ომი. სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ გამარჯვება ხვარაზმე-
ლებს დარჩათ.

რაკი ჯალალედინს ღვინი ჯერ კიდევ დაპყრობილი არ ჰქონდა, ამიტომ
იგი გარნისიდან ისევ უკან გაბრუნდა, ღვინი აიღო და თავის ლაშქარს
გააძარცვინა. შემდეგ მან თბილისის წინააღმდეგ ორი მიმართულებით
დაიწყო სამხედრო მოქმედება.

თბილისის აღება ჯალალედინის მიერ. ჯალალედინი რომ
ჩრდილოეთისაკენ დაიძრა, რუსუდანი დასავლეთ საქართველოში, ქუთაის-
ში, გადავიდა, ხოლო თბილისის დაცვა ქალაქის ციხისთავს მიანდო.

1225 წლის დეკემბერში ჯალალედინი თბილისს მოადგა. საქართველოს
მთავარსარდლობას დაბნეულობა ეტყობოდა. ამირსპასალარის ხელ-
მძღვანელობა არსად ჩანდა. ამავე დროს ჯალალედინი მარტო სამხედრო
ძალით-კი არ მოქმედებდა, არამედ ლალატისა და მოსყიდვის საშუალე-

ბითაც. 1226 წლის 9 მარტს, თბილისის ზოგიერთი მაჰმადიანის და-
ტის წყალობით, ჯალალედინის ჯარმა თბილისში შეჭრა მოახერხა და ქა-
ლაქი ხელში ჩაიგდო.

საქართველოს დედაქალაქში ველური ძარცვა-გლეჯა და ხალხის ელე-
ტა ატყდა: მოქალაქეებს დაუნდობლად ხოცავდნენ სქესისა, წლოვანებისა
და ეროვნების განურჩევლად. თვითონ მაჰმადიანებსაც სანაწური გაუხ-
დათ, რომ ჯალალედინისაგან ასე ბრძოლებად მოტყუებული დარჩნენ.

თუმცა ქალაქი ხვარაზმელების ხელში იყო, მაგრამ თბილისის მთავარი
სიმამრე, ისნის ციხე, ჯალალედინს მამაცურად უწევდა წინააღმდე-
გობას. ამავე დროს ძალიან მკაცრი ზამთარი იდგა, და მისი სუსტი ჯალ-
ლის ჯარს დიდად აწუხებდა. ქართველების მთავარსარდლობამ მაინც
გადასწყვიტა, ვითომც ისნის წინააღმდეგობას აღარავითარი მნიშვნელობა
არ ჰქონდა, და ციხისთავს უბრძანა, ციხე დაეცალა.

თუმცა ციხისთავი და მეციხოვნენი ამ განკარგულების წინააღმდეგ
იყვნენ, მაგრამ მთავრობის ურჩობა ვერ გაბედეს. ისნის ციხეც ჯალალე-
დინის ხელში გადავიდა.

§ 47. ხვარაზმელები საქართველოში

თბილისის დაპყრობა ჯალალედინისათვის დიდი გამარჯვება იყო, სა-
ქართველოსათვის-კი — დიდი მარცხი. საქართველოს ჯარის უძლეველ-
ობის სახელს ჩრდილი ჰქონდა მიყენებული.

ანისისა და კარის აღების ცდა. ჯალალედინმა საქართველოს
სხვადასხვა თემში მარბიელი ლაშქარი გაუსია. ამავე დროს საქართვე-
ლოს სარდლობას ივანე ათაბაგის მეთაურობით სრული დაბნეულობა
ეტყობოდა. შეერთებული სამხედრო ძალით ბრძოლის მაგიერ, ცალკე
ფეოდალები და სარდლები სათითოოდ ციხე-სიმაგრეებში, ზოგი ანისში,
ზოგი კარში, ჩაიკეტნენ და მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევას იქ ლა-
მობდნენ. ეს გარემოება ჯალალედინს ბრძოლას უადვილებდა. ჯალალე-
დინმა თავისი ჯარი ორ ნაწილად გაჰყო და ეს ორი ციხე გარემოცვა.
ასეთ პირობებშიც-კი მან მაინც ვერც ანისისა და ვერც კარის აღება ვერ
შეძლო.

ხვარაზმელების ლაშქრობა ხლათზე. შემდეგ ჯალალედინმა
ხლათზე გაილაშქრა. ხლათი საქართველოს ყმადნაფიცი მაჰმადიანური
სამთავრო იყო და ხლათელები საქართველოს უჭერდნენ მხარს ჯალალე-
დინის წინააღმდეგ. ქართველებმა მათ განსაცდელი დროულად აცნობეს,
ხლათელები ხვარაზმ-შაჰის ლაშქარს მომზადებული დახვდნენ და ჯალა-
ლედინმა ხლათის ხელში ჩაგდება ვერასცხით ვერ მოახერხა.

ბრძოლა თბილისისათვის. ხვარაზმ-შაჰის ერთი წლის ბატონობამ
თბილისელებსაც აუხილა თვალი. ამ მტარვალის მბრძანებლობა თბილი-
სელ მაჰმადიანებისათვისაც აუტანელი შეიქნა. თავისი წინანდელი საქციე-
-

ლის მოსანანიებლად და ხვარაზმელებისაგან თავის დასაღწევად მათ სა-
ქართველოს მთავრობას საიდუმლოდ მოციქულები გამოუგზავნეს.

1226 წელს ქართველმა ჯარმა თბილისი კვლავ დაიპყრო.

ამავე დროს საქართველოს მთავრობა თავის ყმადნაფიც სამფლობე-
ლოებსაც მიეშველა. როცა შ ა ქ შ ი და კ ა ბ ა ლ ა შ ი (თანამედრო-
ვე საბჭოთა აზერბაიჯანი) მყოფმა ხვარაზმ-შაჰის მეციხოვნე რაზმებმა
საქართველოს ჯარის შოაზლობის ამბავი გაიგეს, — უბრძოლველად გა-
იქცნენ.

ჯალალედინი დარწმუნდა, რომ მისი ყოველივე ცდა ხლათის ასაღებად
უნაყოფო იყო. ამიტომ მან გადასწყვიტა, ხლათისათვის თავი დაენებე-
ბინა და ისევ თბილისში დაბრუნებულიყო. საქართველოს მთავარსარდ-
ლობამ გადასწყვიტა წინააღმდეგობა არ გაეწია და 1227 წლის დამლევს,
მთავრობის განკარგულებით, თბილისი საქართველოს მეციხოვნე ჯარმა
დასცალა, ხოლო ქალაქი, ჯალალედინს რომ ისევ ხელში არ ჩაეზარდოდა,
გადასწვეს.

გოლნისის ბრძოლა. ამ დროისათვის საქართველოს ყველა მეზო-
ბელ მაჰმადიანურ სამფლობელოშიც ჯალალედინისადმი დამოკიდებუ-
ლება შეიცვალა: ყველა დარწმუნდა, რომ ხვარაზმ-შაჰის მოქმედება ქვე-
ყანას განადგურებისა და დაღუპვის გარდა არაფერს უქადდა. ამიტომ რუ-
მის, შამისა და ხლათის მფლობელები შეერთდნენ და საქართველოს
მთავრობასთან მოლაპარაკება გააბეს ჯალალედინის წინააღმდეგ გაერ-
თიანებული ძალით ბრძოლის მოსაწყობად, სამზადისიც დაიწყო, მაგრამ
ჯალალედინს ჯამუშებმა ეს ამბავი დროზე აცნობეს. მან გადასწყვიტა, ამ
შემთხვევაშიც საქართველოსა და მისი მოკავშირეებისათვის დაესწრო.

1227-28 წლების მიჯნაზე ხვარაზმ-შაჰი მთელი თავისი ლაშქრით სა-
ქართველოს შემოესია. ბო ლ ნ ი ს თ ა ნ დიდი ბრძოლა ისეთ დროს
მოხდა, როდესაც ჯერ კიდევ მოკავშირეთა მეშველი ჯარის მოსვლა შეუძ-
ლებელი იყო. დასწრებამ ჯალალედინს არგო და გამარჯვება მას დარჩა.
ამის შემდეგ, თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად, ჯალალე-
დინმა ხლათის აღებაც მოახერხა. მაგრამ ეს მისი უკანასკნელი გამარჯვე-
ბა იყო: 1230 წელს მას ცნობა მოუტანეს, რომ მისი დაუძინებელი
მტრები, მონღოლები, უკვე ირანის ადარბაღდანში შესასევად იყვნენ მომ-
ზადებულნი. ამ ამბის გაგება და ჯალალედინის გაქცევა ერთი იყო. 1231
წელს ჯალალედინი ერთმა ქურთმა მოჰკლა.

§ 75. აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა მონღოლების მიერ

დავით მეფის მიუხედავად კურთხევა. დასავლეთ საქართველოში
ყოფნის დროს, 1230 წელს, რუსუდან მეფემ თავისი ხუთი წლის ვაჟიშვი-
ლი დავითი სამეფო ტახტზე დასვა თანამმართველად. მაშინდელი პირო-

ბების გამო, აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულნი და დარბაზის წინამძღვრნი ამ ამბავს ვერ დაესწრნენ. ჯალალედინის საქართველოდან გაქცევამ საქართველოს მთავრობას საშუალება მისცა წინააღმდეგობად გაერთიანებული სამეფოს საქმეების მართვა-გამგეობას შესდგომოდა. მაგრამ ჯერ კიდევ ქვეყანა ხეირიანად მომშვიდებული და წესიერება აღდგენილი არ იყო, რომ მონღოლები ხელახლა გამოჩნდნენ.

რანის დაპყრობა მონღოლთა მიერ. მონღოლთა მთავარი ძალა აღმოსავლეთიდან მოემართებოდა. პირველად მათ ქ. ბარდავი აიღეს, შემდეგ ქ. განძას მიადგნენ. ორივე საქართველოს ყმადნაფიცი სამფლობელო იყო. მონღოლებმა განძელებს წინადადება მისცეს, უბრძოლველად დამორჩილებოდნენ. განძის მცხოვრებლები ამ წინადადებას ისე ააღიერეს, რომ განრისხებულმა ხალხმა მონღოლთა ელჩები იქვე დახოცა. ამის საპასუხოდ მონღოლებმა განძა აიღეს და მთლიანად გაანადგურეს. ეს მოხდა 1235 წელს.


აქედან მონღოლთა ლაშქარი ქ. შამქორისაკენ გაემართა. შამქორი ამ დროს უშუალოდ საქართველოს ეკუთვნოდა. ის საქართველოს სანაპირო ქვეყნის მმართველს, დიდს ქართველ ფეოდალს, ვარამ გაგელს ემორჩილებოდა. მაგრამ ვარამ გაგელი არც თვითონ მიეშველა შამქორს და არც თავის შვილს მისცა უფლება, რომ შამქორელებისათვის ხელმძღვანელობა გაეწია.

მაინც შამქორელები მტერს მედგრად შეებრძოლნენ, მაგრამ უხელმძღვანელოდ თათრებს ვეღარ გაუმკლავდნენ. მონღოლებმა ქალაქი აიღეს, გასძარცვეს და გადასწვეს.

გარდაბანის, ყვამო ქართლისა და თბილისის აღება მონღოლთა მიერ. თათრები ასე გ ა რ დ ა ბ ა ნ ა მ დ ე მოვიდნენ. გარდაბანელებსაც ხელმძღვანელი არ ჰყავდათ და, რაკი მათ უკვე გაგონილი ჰქონდათ, რაც შამქორელებსა და განძელებს დაემართათ, ამიტომ მტერს უბრძოლველად დამორჩილდნენ.

საქართველოს სამხედრო ხელისუფლება ეხლაც ისევე დაბნეული და შინაგან ერთობას მოკლებული აღმოჩნდა, როგორც ხვარაზმელების შემოსევის დროს. სანაპირო ქვეყნების მმართველები მხოლოდ თავის თავის დაცვაზე ფიქრობდნენ, მთავრობა-კი ეხლაც ქუთაისში გადავიდა. საქართველოს დედაქალაქის დაცვა თბილისის ციხისთავს ჩაბარდა. მთავარსარდალი და საქართველოს ჯარის უმთავრესი ნაწილი არსად ჩანდა.

რუსუდანმა, სამხედრო ხელისუფლების რჩევით, თბილისის ციხისთავს მუხასძეს ბრძანება დაუტოვა, რომ რა წამს მონღოლები დმანისამდე მოვიდოდნენ, დედაქალაქი დაეცალა და მტერს გასცლოდა. თათრები ბრძოლას ფრთხილად აწარმოებდნენ: თუ აქამდე ისინი მხოლოდ აღმოსავლეთიდან მოდიოდნენ, ეხლა მათ სამხრეთიდანაც შემოუარეს და ლორეს ციხეს მოადგნენ. მონღოლებმა ამ ძლიერი ციხის ხელში ჩაგდება მოახერხეს. შემდეგ ასევე დმანისიც იქნა აღებული. აქაც მონღოლებს დიდი წი-



სტარა-არქთი, XIII ს. ღამბეგბედი.

გ. მთ. ზეგნის ნახტ. ნახტობები.

ნაღმდეგობა არ უნახავთ, რადგანაც მანდატურთუხუცესი შანშე მხარე გრძელი, რომლის მოვალეობასაც ამ თემის დაცვა შეადგენდა, თავის გადასარჩენად აჭარაში გაიქცა.



რუსუდანის დრამა (ვერცხლის ფული). 1230 წლისა.

დმანისის შემდეგ თათრებს არც საშუალება ჰქონდათ უნახავთ დაბრკოლება. ამრიგად თბილისისაკენ გზა მათ უკვე გახსნილი ჰქონდათ. დედაქალაქი, მთავრობის განკარგულების თანახმად, მათ დაცლილი დახვდათ.

სომხური თემების დაპყრობა.

საქართველოს მთავრობას შემდეგ-

შიც თავდაცვის თაოსნობა და ხალისი არ გამოუჩენია. დიდი მოხელეები თითქმის ერთმანეთს ეცილებოდნენ, რომელი მათგანი უფრო შორს წავიდოდა თავის გადასარჩენად. მთავარსარდალიც-კი, ავ ა გ მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი, ამნაირადვე მოიქცა: ისიც კ ა ე ნ ი ს ციხეში (სომხეთში) ჩაიკეტა. ამრიგად განმეორდა იგივე, რაც ჯალალედინის დროს მოხდა: საქართველოს ჯარის მხედართმთავრებმა მტერს სამხედრო მოქმედების წარმოება თვითონვე გაუადვილეს.


მონღოლები ჯერ კენის ციხეს მიაღწენ და შემდეგ ანისს.

თათრებმა ანისის მცხოვრებლებს წინადადება მისცეს, უბრძოლველად დამორჩილებულიყვნენ, მაგრამ ანელებმა მტრის წინაშე ქედის მოხრა ისევე იუკადრისეს, როგორც განძელებმა და შამქორელებმა, ელჩებიც-ი დახოცეს. გაბრაზებულმა მონღოლებმა ანისი აიღეს და მცხოვრებლები ამ დანაშაულისათვის უღმობელად გასწყვიტეს.

ჯერი ეხლა თვით მთავარსარდალ ავ ა გ მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ზ ე მიდგა, რომელიც კენის ციხეში იყო შეხიზნული. ავ ა გ მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ზ ე და მთავრობის დაუკითხავად, მონღოლთა სარდალს მოციქული მიუგზავნა და დამორჩილებას ჰპირდებოდა, თუ საგამგეო ქონებას შეუნარჩუნებდნენ და მისი საპატრონუმი ქვეყნის წინააღმდეგაც სამხედრო მოქმედებას შეაჩერებდნენ. მონღოლები ამ პირობას სიამოვნებით დათანხმდნენ, მაგრამ ავ ა გ მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ზ ე საგამგეო და საპატრონუმი ქვეყნის ყველა მნიშვნელოვან ციხეში მათ თავისი ჯარი ჩააყენეს.

ავაგის საქციელის მიმბაძველი ავაგისავე ნათესავი შანშე მანდატურთუხუცესი აღმოჩნდა. მონღოლები და შანშე იმავე პირობით დაზავდნენ. ამის შემდეგ თათრებს ვარამ გაგელიც შეუთანხმდა.

აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მთავრების შეთანხმება მონღოლებთან. რაკი მონღოლებთან ასეთი გზით კერძო შეთანხმება დაიწყო, ჰერეთ-კახეთის, ქართლისა და ჯავახეთის ერისთავთ-ერისთავებიც მონღოლებს ამავე პირობით დამორჩილდნენ. ერთადერთი ი ე ნ ე - ყ ვ ა რ - ყ ვ ა რ ე ჯ ა ყ ე ლ - ც ი ხ ი ს ჯ ვ ა რ ე ლ ი აღმოჩნდა, რომელმაც მტერთან მოლაპარაკების დაწყება არ იკადრა. ამის გამო მონღოლებმა



ფიტარეთი, XIII ს. დამდეგი.

ქაოთ, ხელოვნების ისტ. ინსტიტუტი.

მთელი ჯაგრი იმაზე იყარეს და ყვარყვარეს საგამგეო სამცხის თემი მონ-
ლოლთა სათარეშოდ იქცა. საქართველოს ერთ პატარა თემს მრავალრიც-
ხოვანი მტრისათვის დიდხანს წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. ამი-
ტომ ჯაყელმა რუსუდან მეფეს მიმართა თხოვნით, მისთვის ნება დაერთო
თათრებს შესთანხმებოდა. რუსუდანმაც ნება დართო და ამგვარად მთელი
აღმოსავლეთი საქართველო მონღოლთა ხელში გადავიდა.

რუსუდანის უზადებო მიმართვა რომისადმი. თვითონ რუსუ-
დანი შეთანხმების გზას არ დასდგომია. მას მაინც იმედი დაკარგული არ
ჰქონდა, რომ მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევა კიდევ იქნებოდა შესაძ-
ლებელი. საქართველოს მთავრობას მოაგონდა, რომ თავის დროზე გიორ-
გი ლაშას რომის პაპმა მომართა თხოვნით, დასავლეთის ქრისტიანი ჯვა-
როსნებისათვის სამხედრო დახმარება გაეწია. საქართველოს მთავრობამ
გადასწყვიტა, ეხლა, როცა განსაცდელში თვითონ საქართველო იყო ჩა-
ვარდნილი, დასავლეთის ქრისტიან სახელმწიფოებისათვის ასეთივე დახ-
მარება ეთხოვნა.

რუსუდან მეფემ რომის პაპს გრიგოლ მეცხრეს სწორედ ამ მიზნით წე-
რილი გაუგზავნა. ამ წერილმა რომამდე, ჩანს, დავიანებით მიაღწია. 1240
წელს პაპმა საპასუხო წერილით რუსუდანს აცნობა, რომ დასავლეთ ევ-
როპას საქართველოსათვის არ შეეძლო დახმარების აღმოჩენა.

ამგვარად, ეს უკანასკნელი იმედიც გაცრუვდა. ამიტომ საქართველოს
მთავრობამ გადასწყვიტა თათრებთან მოლაპარაკება დაეწყო.

რუსუდანის შეთანხმება მონღოლუბთან. მაგრამ რუსუდან

მარტო მონღოლთა ადგილობრივ სარდლებს ვერ ენდო და, ზავის პირობების გამოსარკვევად, მან მოლაპარაკება უშუალოდ მონღოლთა ყაენთან ოსთაან ამჯობინა. ამ დავალებით მან საქართველოს მწიგნობართუხუცესი წარგზავნა ბათო ყაენის ურდოში. იქიდან მწიგნობართუხუცესის დაბრუნების შემდეგ რუსუდანი და მისი შვილი დავითი 1242-43 წელს აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდნენ.

მონღოლთა და საქართველოს შორის შემდეგი შეთანხმება დაიდო: საქართველო მონღოლთა ყაენის უზენაესობას სცნობდა, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც მონღოლებისგან ძალით დაპყრობილ ნაწილში, საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად ყაენის მოხელეებიც და ჯარიც იქნებოდა, დასავლეთი საქართველო-კი, რომელიც მონღოლებს დაპყრობილი არ ჰქონდათ, წინანდელ მდგომარეობაში დარჩებოდა; ყაენს საქართველო ზარკად ყოველწლიურად 50 000 ოქროს პერპერას¹ გადაუხდიდა; ყაენი, თავის მხრივ, დავით მეექვსეს, რუსუდანის ძეს, სრულიად საქართველოს მეფედ აღიარებდა.

რუსუდანი და დავით მეექვსე რომ ამ შეთანხმების ძალით აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდნენ, დავით რუსუდანის ძე, ქართველი დიდებულების თანხლებით, საქართველოს მეფედ დასამტკიცებლად წარგზავნეს ჯერ ბათო ყაენთან, შემდეგ უკვე მონღოლთა მთელი სახელმწიფოს სათავეში მდგომი დიდი ყაენის, მანგუს, ურდოშიც. დავით რუსუდანის ძეს იქ ორი წლის განმავლობაში მოუგვიანდა. ბათო ყაენმა რომ ის დიდი ყაენის ურდოში გაგზავნა, მას შემდეგ იმის ცნობაც-კი არ ჰქონდათ საქართველოში, ცოცხალი იყო დავითი თუ არა.

შვილის შესახებ ამბის უქონლობისა და ამდენი უბედურება-უსიამოვნების გამო დაავადებული რუსუდანი 1245 წელს გარდაიცვალა. საქართველო უმეფო ქვეყნად და უპატრონო სახელმწიფოდ იყო დარჩენილი.

¹ პერპერა — ოქროს ფულის სახელია.

მონღოლთა გაბრუნება საქართველოში

§ 76. მონღოლები

მონღოლები ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდნენ: მონღოლებად და თათ-რებად. საქართველოში და სხვა ქვეყნებშიც მონღოლებს ჩვეულებრივად თათრებს ეძახდნენ. მათი სამშობლო ცენტრალური აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქები იყო.



მონღოლები მომთაბარე ხალხი იყო: ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ საკვებისა და სხვა საცხოვრებელი სახსარის შემოღების შემდეგ. ტყეში მოხინაღრე მონღოლთა ტომები უმთავრესად მონადირეობითა და მე-თევზეობით ცხოვრობდნენ. ველად მოსახლე მონღოლები მხოლოდ მესაქონლეობას მისდევდნენ, რომელიც მომთაბარეობის პრინციპზე იყო დამყარებული: ზაფხულად ისინი მთაში აღიდგნენ, ზამთრად-კი ბარად ჩამოდიოდნენ. მიწათმოქმედება მათ არ ჰქონდათ, ხვნა-თესვას არ მისდევდნენ. მესაქონლეობის მთავარ დარგად მეცხენეობა ითვლებოდა, რადგანაც ცხენი მათთვის ძვირფასი იყო, როგორც საწველი ცხოველიც: ისინი ცხენის რძესა სვამდნენ და ამას გარდა, სხვა ხორცზე მეტად, უმთავრესად ცხენის ხორცით იკვებებოდნენ. მარტო მესაქონლეობა მათ არსებობისათვის საკმარის სახსარს ვერ აწვდიდა, ამიტომ დანაკლისის შევსება მათ მონადირეობით უხდებოდათ. მაგრამ არც ეს იყო საკმარისი და მათი არსებობის მესამეს, არაუმნიშვნელო, წყაროს მეკობრეობა და მტაცებლობა შეადგენდა.

მონღოლები გვაროვნული წესწყობილების მქონებული ხალხი იყო, მაგრამ მე-13 საუკუნის დამდეგისათვის მათი გვაროვნული წყობილება უკვე საკმაოდ შერყეული იყო, და თავისებური ფეოდალიზმის ჩანასახი მათ ცხოვრებაში უკვე ჩანდა. მე-12 საუკუნის დამლევისათვის მონღოლთა მეთაურებს შორის გაძლიერდა ერთი, სა-

ხელად თ ე მ უ ჩ ი ნ ი, რომელმაც თანდათან სძლია თავის მეტოქეებს და მონღოლები გააერთიანა. 1206 წ. მონღოლთა თავკაცების ყრილობამ

თემუჩინი აღიარა თავის მბრძანებლად და თემუჩინმა ახალი სახელი მიიღო — ჩინგიზ-ხანო.

მალე ჩინგიზ-ხანმა მეზობელი ქვეყნების დაპყრობას მიჰყო ხელი და თავისი სამფლობელო ძალიან გაათავართოვა.

ჩინგიზ-ხანმა ახალი სამხედრო ორგანიზაცია შემოიღო, რომელიც მთელს მონღოლურ მოსახლეობას ათეულებად, ასეულებად, ათასეულებად და ათათასეულებად ანაწილებდა. ათეული შესდგებოდა იმდენი ოჯახისაგან, რამდენსაც ბრძოლის ველზე ათი შეიარაღებული მოლაშქრე უნდა გამოეყვანა. ასეულს, ათასეულს, ათათასეულს (რომელსაც მონღოლურად დუმანი ეწოდებოდა), ასევე, როცა სალაშქროდ გამგზავრება იყო საჭირო, ასი, ათასი და ასიათასი მოლაშქრე უნდა მიეცა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩინგიზ-ხანის სამფლობელო ჩინგიზ-ხანის ოთხ შვილს შორის იყო გაყოფილი. მათგან უფროს შვილს, ჯუჩის, ჩრდილო-დასავლეთი ქვეყნები ერგო. აქ, კავკასიონისა და კასპიის ზღვის ჩრდილოეთით, თანდათანობით ჩამოყალიბდა ეგრეთწოდებული ოქროს ურდო ანუ ჯუჩის ულუსი, რომელსაც რუსეთიც ემორჩილებოდა. ჩინგიზ-ხანის შთამომავლობის მეორე შტო-კი დამკვიდრდა ირანში; მათ ირანის ილხანებს ანუ ჰულაგიდებს ეძახიან. მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში ჯუჩიდებსა და ჰულაგიდებს შორის მწვავე და ხანგრძლივი ბრძოლა ატყდა.

§ 77. მონღოლური მმართველობის თავდაპირველი წესი საქართველოში

ამრიგად, მონღოლური წყობილება უმთავრესად სამხედრო ორგანიზაციის წესს დაემყარა. მთელს მათ ყოფა-ცხოვრებას სამხედრო ხელისუფლება განაგებდა.

საქართველოში, პირიქით, სამხედრო ხელისუფლება სამოქალაქოს ემორჩილებოდა. მთავრობის სათავეში მწიგნობართუხუცესი იდგა, რომელიც „ვაზირთა უპირველესი“ იყო.

საქართველოში დამკვიდრების შემდეგ, მონღოლები საქართველოს იმავე წესით მოწყობას შეუდგნენ, როგორიც თვითონ მათ ჰქონდათ. მათ საქართველო დუმნებად დაჰყვეს. მთელი საქართველოს სახელმწიფო რვა ათათასეულად ანუ დუმნად იყო დანაწილებული. პირველ დუმანს ჰერეთ-კახეთი და მისგან აღმოსავლეთით მდებარე თემები შეადგენდა; ამ დუმნის უფროსად ეგარსლან ბაკურციხელი დაინიშნა. მეორე დუმანს ქვემო ქართლი და მისი აღმოსავლეთით მოსაზღვრე თემები შეადგენდა; მის უფროსად ვარამგაგელი ითვლებოდა. მესამე დუმნის, რომელიც სომხური თემებისაგან შესდგებოდა, უფროსი შანშე მხარგრძელი იყო. მეოთხე დუმანი, შიდა ქართლი, გრიგოლს ურამელს ექვემდებარებოდა. მეხუთე დუმანი, ჯა-



ციხე-ქალაქ ღმანისის ნაშთები.

ვახეთი, გამრეკელ თორელი; საგამგეო იყო, მეექვსე-კი — დანარჩენი მესხეთი არზრუმამდე — ჯაყელი ს.ა. დასავლეთი საქართველო მონღოლებმა ორ ღუმნად გაჰყვეს და ცოტნე დადიანსა და რაჭის ერისთავს დაუმორჩილეს. მაგრამ ღუმნებად დანაწილებამ საქართველოში ღიღხანს ვერ იბოგინა და მალე მოისპო.

§ 78. კოხტასთავის შეთქმულება. ცოტნე დადიანის ზეირობა

ქვეყნის მძიმე მდგომარეობამ ქართველ თავ-კაცებში აჯანყების აზრი დაბადა. ჯაყასეთში, კოხტასთავს, შეიკრიბნენ ეგარსლან ბაკურციხელი, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი — სამცხის სპასალარი, შოთა კუპრი, გამრეკელ თორელი, სარგის თმოგველი, თორღვა პანკელი და სხვები. თავ-კაცებმა ითათბირეს და დაასკვნეს თათრების წინააღმდეგ აჯანყების აუცილებლობა. პაემანიც იყო დანიშნული ზოქმედების დასაწყებად. მაგრამ შეთქმულება, როგორც ჩანს, გასცეს, და შეთქმულთა უმეტესობა მონღოლებმა დააპატიმრეს. პატიმრები სომხეთში მდგომ ნოინს წარუდგინეს. რადგანაც პატიმრები კოხტასთავს შეკრების მიზეზად სათათრო ხარკის საქმეს ასახელებდნენ და აჯანყების განზრახვას უარყოფდნენ, ნოინის ბრძანებით პატიმრები გააშიშვლეს და მცხუნვარე მზეზე დასხეს იმ მიზნით, რომ ასეთი წამებით მათთვის სიმართლე ეჩქმევიინებინათ.

ცოტნე დადიანმა, რომელიც დაპატიმრებას შემთხვევით გადაურჩა, როგორც-კი გაიგო თავისი ამხანაგების ამბავი, მაშინვე სომხეთს მიაშურა და ნებაყოფლობით მათი მწარე ბედი გაიზიარა: სამოსელი გაიხადა და თვითონაც იმ მოედანზე დაჯდა, სადაც მისი მხარგაკრული ამხანაგები მზეზე

ეყარნენ. როცა ცოტნეს უცნაური საქციელით გაცვირვებულმა მონღოლებმა დაჰკითხეს იგი, ცოტნემ განაცხადა: ჩემი ამხანაგები უდანაშაულო არიან, და თუ უდანაშაულოთა დასჯა შეიძლება, დაე, მეც მათთან ერთად დავისაჯო.

ცოტნეს თავგანწირვამ გაიმარჯვა. ძველი ქართველი ისტორიკოსი, რომელიც გვიამბობს ამ ამბავს, ამტკიცებს, რომ ცოტნეს კეთილშობილებამ თათრები დააჯერა, ქართველები მართალი უნდა იყვნენო, და ყველა გაათავისუფლეს.

§ 79. საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საკითხი

მონღოლური მმართველობის წესის გავლენით, საქართველოშიაც უმეფობის ხანაში, მწიგნობართუხუცესის ხელისუფლებამ თანდათან თავისი მნიშვნელობა დაჰკარგა, და მის მაგიერ სამხედრო მოხელეები დაწინაურდნენ. მალე საქართველოს მთავრობის სათავეში ერთი ასეთი სამხედრო ხელისუფალთაგანი, ეგარსლან ბაკურციხელი მოექცა. თათრებთან დაახლოების წყალობით, ეგარსლანი იმდენად გაძლიერდა, რომ საქართველოს მთელი ძალა-უფლების ხელში ჩაგდება მოისურვა. როცა ეგარსლანის ეს წადილი ცხადი გახდა, მაშინვე საქართველოს დიდებულთა შორის მის საწინააღმდეგოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი დაირაზმა. დიდებულთა ამ ჯგუფმა საქართველოს სახელმწიფო ტახტის კანონიერი მემკვიდრის გამოძენა და სამეფო ტახტზე დასმა გადასწყვიტა.

რაკი რუსუდანი ცოცხალი აღარ იყო და მისი ვაჟიშვილის შესახებაც საქართველოში აღარავითარი ცნობა არ ჰქონდათ, ამიტომ ეგარსლან ბაკურციხელის მოწინააღმდეგე ჯგუფმა საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ ლაშა გიორგის შვილი დავითი წამოაყენა. მონღოლებთან შეთანხმებით ლაშას ვაჟი რუმის სასულტნოდან მოიყვანეს 1245-46 წელს. დავით ლაშას ძე იქ ამ დროს თავის სიძესთან, რუმის სულტანთან, იმყოფებოდა. მონღოლთა მხედართმთავარმა ეს დავითიც მონღოლთა ყაენის ურდოში გაგზავნა მეფედ დასამტკიცებლად.

როდესაც დავით ლაშას ძე თავისი ამალით მანგუ ყაენის ურდოში მივიდა, იქ გამოირკვა, რომ დავით რუსუდანის ძე ცოცხალი იყო. ამრიგად საქართველოს სახელმწიფო ტახტის ერთი მემკვიდრის მაგიერ მოულოდნელად ორი მემკვიდრე აღმოჩნდა. გაჩაღდა ბრძოლა ორ ბანაკად გაყოფილ ქართველ დიდებულთა შორის.

შეთანხმება შეუძლებელი შეიქნა. მთავარი მნიშვნელობა იმ საკითხს მიენიჭა, ჰქონდა თუ არა უფლება ქალის შთამომავალს მიეღო მეფობა იმ შემთხვევაში, როდესაც მამრობითი სქესის შთამომავალი არსებობდა, თუნდაც „უკანონო“ შვილის სახით.


დავით ლაშას ძემ და მისი მომხრეების ჯგუფმა, რაკი მათ იმედი არ ჰქონდათ, რომ ქართული სახელმწიფო სამართლის ძალით გამარჯვებას

მოიპოვებდნენ, მანგუ ყაენს სთხოვეს, რომ ეს საკითხი მას მონღოლური სამართლის წესით გადაეწყვიტა. ყაენისათვის ეს თხოვნა სასიამოვნო იყო და სასარგებლოც. ის სწორედ ასე მოიქცა. მეფობა დავითს, გიორგი ლაშას ძეს, როგორც უფროსს, მისცა, მაგრამ ამასთანავე დავით რუსუდანის ძეც მეფედ დაამტკიცა. ერთი მათგანი უფროსად იქნებოდა, მეორე — უმცროს მეფედ, ისევე, როგორც თვით მონღოლების სახელმწიფოში ერთი დიდი ყაენი იყო, ხოლო დანარჩენი სამი ჩვეულებრივ ყაენებად ითვლებოდნენ. ეს მოხდა 1247 წელს.



დავით ნარინის ფული. ღმანისში მოპრილი, 1245 წ.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ დავით მეშვიდესა და დავით მეექვსეს, მათ მომხრე პოლიტიკურ ჯგუფებსაც, იმდენი სახელმწიფოებრივი შეგნება აღმოაჩნდათ, რომ საქართველო ერთმანეთში ორ ნაწილად არ გაუყვიათ, როგორც ეს მონღოლ ყაენებს ჰქონდათ განხორციელებული, არამედ ისინი საქართველოს დედაქალაქ თბილისში დასხდნენ და ერთად დაიწყეს მეფობა.



ქართული ორნამენტის ნიმუში ქვათახევის ტაძრიდან (XIII ს. დამდეგი).

შემდეგში დავით მეშვიდეს, გიორგი ლაშას ძეს, დავით ულუ (უფროსი) ეწოდა, ხოლო დავით მეექვსეს, რუსუდანის ძეს, დავით ნარინი (უმცროსი) ¹. სახელების გარდა, მათ საერთო თითქმის არაფერი ჰქონდათ.

¹ მონღოლური სიტყვებია.



თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დასაწყისი ბოროსათვის მონღოლებს საკუთარი მწიგნობრობა არ გააჩნდათ. ამდენად მონღოლი მარდლები და დიდებულები წერა-კითხვას დიდად არ სწყალობდნენ. ამიტომ სამოქალაქო მართვა-გამგეობა და საქმისწარმოება მონღოლთა სახელმწიფოში უცხო ტომის მოხელეების ხელში იყო. უმაღლესი მონღოლ ხელისუფალნი მთლიანად ამ უცხო წარმოშობის, ვაჭრული წრიდან გამოსული მოხელე-მოენეების სინდისიერებაზე იყვნენ დამოკიდებულნი. მონენეს (მთარგმნელს) იმ დროს უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა: მას შეეძლო ავი განზრახვით ბრალდებულიც დაედუპა და ხელისუფალიც შეეცდინა.

ასეთ პირობებში უსამართლობისაგან თავის დაცვა ძალიან ძნელი იყო. ბოროტმოქმედება გადასახადების აკრეფის საქმეში, ძალმომრეობა და ძარცვა-გლეჯა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამას ზედ მონღოლი ბატონიშვილებისა და დიდი სამხედრო ხელისუფლების თავაშეებულობა და თვითნებობაც დაერთო.

ხალხის აღწერა. ყაენს უნდოდა გაეგო, რამდენი ჯარის გამოყვანა შეეძლო თავის სამფლობელოდან და რამდენი გადასახადი შეიძლებოდა შემოსელოდა. ამ მიზნით 1254 წელს მთელ მონღოლთა საბრძანებელში ხალხის აღწერა დაიწყო. აღწერა საქართველოშიც მოახდინეს. რაკი ხალხის აღწერას სამხედრო და ფინანსური მიზანი ჰქონდა დასახული, ამიტომაც აღწერის დავთარში, ერთი მხრით, მოსახლეობის შესახებ შეჰქონდათ ცნობები, მეორე მხრით — ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. პირუტყვი, ყოველგვარი უძრავი ქონება, ყანა, ვენახი, ბოსტანი, ყველაფერი ეს აღწესხული იყო.

ამ აღწერით თათრებმა გამოარკვეეს, რომ ყოველწლიურად საქართველოს უნდა მიეცა მათთვის 90 ათასი მოლაშქრე, 9 სრულმამულიანი გლეხის კომლიდან 1 მოლაშქრის გამოყვანის ანგარიშით. ამის მიხედვით ირკვევა, რომ მაშინდელ საქართველოს სამეფოში სულ 5 მილიონამდე მცხოვრები მაინც უნდა ყოფილიყო. ამ რიცხვში, რასაკვირველია, მარტო ქართველები არ შედიოდნენ, არამედ სხვა ეროვნებებიც. ამ ცნობიდან მაინც ჩანს, თუ რამდენად მჭიდრო მოსახლეობა იყო მაშინდელ საქართველოში. იმისდა მიუხედავად, რომ მას უკვე ჯალალედინისა და მონღოლების ორი შემოსევის საშინელება ჰქონდა გამოვლილი.

გადასახადები. აღწერის დამთავრების შემდეგ თათრებმა გადასახადების მოწესრიგებაც სცადეს. მათ მეურნეობის თითქმის ყველა დარგი ჰქონდათ დაბეგრილი. სოფლის მეურნეობაზე დადებულს საყაენო გადასახადს მაღლი ეწოდებოდა. მალს გარდა, არსებობდა ყაფჩერი, ანუ ყუფჩური, საბალახე გადასახადი: ას სულ საქონელზე ერთი

სული მონღოლებისათვის უნდა მიეცათ. შემდეგ ხანაში ეს საბალახე ფუ-
ლად გადასახადად აქციეს.

სავაჭრო გადასახადს დამღას უწოდებდნენ: ასი თეთრის ღირებუ-
ლების ნასყიდობაზე საში თეთრი (ვერცხლის ფული) ანუ 3% საყაენო
დამღად უნდა გამოერთმიათ.

არსებობდა ისეთი გადასახადებიც, რომლებიც ადგილობრივი თათარი-
მოხელეების სასარგებლოდ იყო განკუთვნილი. ამ გადასახადებს ულუფა
უწოდებოდა. მონღოლთა ათასეულის უფროსისათვის ანუ ათასეულის ნო-
ინისათვის ყოველ სოფელს უნდა ერთი კრავი და ერთი დრაჰკანი (ოქროს
ფული) მიეცა ულუფად, ხოლო ათასეულის უფროსისათვის, რომელსაც
დუმანინი უწოდებოდა, ერთი ცხვარი და ორი დრაჰკანი უნდა
მიერთმიათ.

დასასრულ, მონღოლთა საყაენოში ბეგარაც ანუ შრომითი გამოსა-
ღებიც არსებობდა: ერთი სამხედრო ბეგარა იყო, რომელსაც მონღოლუ-
რად ყალანი უწოდებოდა, ქართულად — სალამქრო. მეორე ბე-
გარას საიამე ერქვა. მონღოლებს ყველა შარავნაზე, ერთმანეთისა-
გან გარკვეული მანძილის დაშორებით, სადგურები ჰქონდათ აგებული,
რომელსაც იამი უწოდებოდა. ამ სადგურებზე მოსახლეობას ყაენის მო-
ციქულებისა და მოხელეებისათვის ცხენები უნდა ჰყოლოდა დამზადებუ-
ლი და საკვები და სადგომიც უნდა მიეცა. ეს ბეგარა ისეთი საშინელი
ტვირთი იყო, რომ საიამე სოფლებიდან მთელი ხალხი გარბოდა.

ეს ყველა გადასახადი და ბეგარა წესიერადაც რომ გადაეხდებინათ,
მანაც მისი ატანა ძნელი იყო, მაგრამ ხარჯის ამკრეფი მოხელეები და-
თვით მაღალი თანამდებობის პირებიც-კი არასდროს კანონით განსაზღვრუ-
ლი გადასახადებით არ კმაყოფილდებოდნენ, მათ მიჰქონდათ ყველაფერი,
რის წაღებაც შეეძლოთ. გადასახადების აკრეფა უფრო ყაჩაღთა ბრბოს
თარეშს მიაგავდა, ვიდრე სახელმწიფო მოხელეების საქმიანობას. ამის გა-
მო მე-13 საუკუნის განმავლობაში მონღოლთა საყაენოში შემავალ ქვეყ-
ნებში, მათ შორის საქართველოშიც, არა ერთხელ მომხდარა აჯანყება.

მოლაშქრობა. ომიანობა ყველაზე უფრო ხელსაყრელი ხელობა
იყო მონღოლებისათვის და ყველაზე დიდი შემოსავლის წყარო; სანამდის
მათ ძლევამოსილი ლაშქრობის საშუალება ჰქონდათ, ყოველი ახალი ქვეყ-
ნის დაპყრობა და გამარჯვება მონღოლებს დიდძალ ქონებას უგდებდა
ხელში.

რაც უფრო დრო მიდიოდა, მონღოლებისათვის ძლევამოსილი ომის წარ-
მოების შესაძლებლობა სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. ამავე დროს
ყოველი ასეთი ლაშქრობა დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობისათვის
იყო დიდად საზიანო. ჯანმრთელი, შრომისუნარიანი მამაკაცი ნაყოფიერ
მუშაობას სცილდებოდა თავის ქვეყანაში და ბევრი მათგანი თავის სამ-
შობლოში ხომ ვეღარც ბრუნდებოდა. ქვეყანას ინტენსიური შრომის გა-
გრძელების საშუალება აღარ ჰქონდა, დაწინაურებული მეურნეობა და-

კულტურა უნდა დაქვეითებულიყო, მცხოვრებთა რიცხვაც ხომ ამ გაუთავ-
ვებელი მოლაშქრეობის წყალობით საგრძნობლად შემცირდა.

1249 წლიდან მოყოლებული თათრები 7 წლის განმავლობაში აწარმო-
ებდნენ ომს ირანში იქაური ურჩი ელემენტების წინააღმდეგ. ამას მოჰყვა
ომი ხალიფასთან, რომლის დროსაც (1258 წელს) თათრებმა ქალაქი ბაღ-
დადი აიღეს. უკვე 1259 წელს მონღოლები ეგვიპტის წინააღმდეგაც ამ-
ხედრდნენ. ყველა ამ ომში, მონღოლთა სხვა ყმადნაფიც ქვეყნებთან ერ-
თად, საქართველოს ჯარიც იღებდა უნებლიეთ მონაწილეობას და თი-
თოეულ ამ ლაშქრობას ბევრი ქართველი მეომრის სიცოცხლეც შეეწირა.

§ 81. მესტუმრე ჯიქური

მონღოლთა მოთხოვნით, საქართველოს მეფეებს ყაენის ურდოში გა-
მგზავრება და იქ ხანგრძლივ ყოფნა ხშირად უხდებოდათ. ამასთან ერთად
ლაშქრობაში საქართველოს ჯარი თვითონ მეფის უშუალო მეთაურობით
უნდა გასულიყო. ამიტომაც საქართველოს მეფე იძულებული იყო ქვეყნის
მართვა-გამგეობა სხვა ვისთვისმე გადაეხარებინა.

ქართული სახელმწიფო სამართლის ძალით, მეფის უშუალო თანაშემწე
მწიგნობართუხუცესი იყო, მაგრამ თათართა ბატონობის ხანაში ეს
ძველი წესი, როგორც ვიცით, საკმაოდ შეირყა.

როცა ბათო ყაენმა დავით ულუ ურდოში დაიბარა, დავით მეფემ
თავის მოადგილედ თავისი ცოლი, მონღოლი ბატონიშვილი დედოფალი
ჯ ი გ დ ა-ხ ა თ უ ნ ი და მესტუმრე ჯ ი ქ უ რ ი დანიშნა.

მესტუმრე მანდატურთუხუცესის ხელქვეითი, მეოთხეხარისხოვანი მო-
ხელე იყო. ცხადია, რომ ასეთი დაბალი თანამდებობის პირისათვის ქვეყ-
ნის მართვა-გამგეობის გადაცემას საქართველოს ვაზირ-დიდებულებსა და
მთავრობის სათავეში მოქცეულ ჯიქურს შორის უთანხმოება და შუღლი
უნდა ჩამოეგდო.

დავით ულუმ ცალკე თემების მართვა-გამგეობაც თავის სანდო პირებს
ჩააბარა. კახეთი, მაგალითად, თ ო რ ღ ვ ა პ ა ნ კ ე ლ ს ჰქონდა მინ-
დობილი. მაგრამ ყველა ასეთი მოხელეც ჯიგდა-ხათუნსა და ჯიქურს უნდა
დამორჩილებოდა. ძველი ქართული სამოხელეო უფროს-უმცროსობის
წესი აქაც სრულიად დარღვეული იყო.

ჯიქური მხნე კაცი და მზრუნველი მმართველი აღმოჩნდა. მან მკაცრი
ღონისძიებით ქურდ-ავაზაკების ალაგმვა მოახერხა და ურჩი მოხელეების
დამორჩილებასაც ცდილობდა შეუწელებლად. ქვეყნის ასეთ გაჭირვებულ
მდგომარეობაშიც-კი მას აღმშენებლობისათვის საჭირო სახსრები უშოვნია
და ისანში დიდებული სასახლე აუშენებია. ხმა ჰქონდა გავარდნილი ჯი-
ქურს აგრეთვე, როგორც ღარიბ-ღატაკებზე და ქვრივ-ობლებზე მზრუნ-
ველსაც.

რაკი დავით ულუს ყაენის კარზე საკმაოდ მოუგვიანდა, კახეთის მმართველმა თორღვა პანკელმა გადასწყვიტა, რომ მეფე აღარ დაბრუნდებოდა. მას არავითარი სურვილი არ ჰქონდა, ჯიგდა-ხათუნს და ეილაც მესტუმრე ჯიქურს დამორჩილებოდა. თორღვამ კახეთის დასაყუთრება მოინდომა. მაგრამ პანკელის მოლოდინი არ გამართლდა. დავით მეფე დაბრუნდა საქართველოში, თორღვა მისი ციხე-სიმაგრიდან გამოიტყუეს და კლდეკარიდან გადმოაგდეს.

მესტუმრე ჯიქურის ბედიც მალე უკუღმა დატრიალდა, რა წამს წინანდელი ძლიერი მფარველი მას უკვე აღარ იცავდა: როცა ჯიგდა-ხათუნი გარდაიცვალა და დავით ულუმ რაქის ერისთავთ-ერისთავის კახაბერისძის ასული გვანცა შეირთო ცოლად, ჯიქურსა და ახალ დედოფალს შორის მტრული განწყობილება დამყარდა.

უკმაყოფილო დიდებულების ჯგუფმა ამ შემთხვევით ისარგებლა და სუმაბატ ორბელმა ჯიქურს დასწამა, ვითომც ის მონღოლებს ულუ დავითის სიმდიდრეზე საიდუმლო ცნობებს აწვდიდა. ულუ დავითმა ეს დასმენა დაიჯერა და დაუყოვნებლივ, ღამით, ჯიქური სასახლეში მოაყვანინა. მეფე ისნის სასახლის აივნიდან მტკვარს გადაჰყურებდა, როცა მას ჯიქური წარუდგინეს. თავის ოდესღაც ყველაზე ერთგულსა და სანდო მოხელეს დავით მეფემ ერთი სიტყვაც არ ათქმევინა, ისე ბრძანა მისი მტკვარში გადაგდება.

ძველი ქართველი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ როცა მეორე დილით ჯიქურის გვამი მტკვრის რიყეზე იპოვეს, მისი დამმარხველიც არავინ აღმოჩნდა. მაშინ შეიკრიბნენ ქალაქ თბილისის ღარიბ-ღატაკები და ქვრივ-ობლები, დავით მეფეს გამოსთხოვეს ჯიქურის დასაფლავების ნება და დიდი პატივით, რამდენადაც მათ შეეძლოთ, მიწას მიაბარესო.

ასე დაიღუპა დიდგვარიანი აზნაურების ვერაგობით ეს საინტერესო პიროვნება.

§ 82. საქართველოს მდგომარეობა ილხანების გაბრუნების შემდეგ

1256 წლამდე საქართველო ჩრდილოეთის ულუსს ანუ „ოქროს ურდოს“ ექვემდებარებოდა, ამ დროიდან მოყოლებული-კი — ირანის ილხანს ანუ ყაენს, — ჯერ ამ შტოს დამაარსებელს ჰულაგუ ყაენს, ხოლო შემდეგ მის შთამომავლობას.

ილხანების ხელში საქართველოს მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე გახდა.

საქართველო უკვე ჯალალედინის შემოსევა-თარეშებისა და მონღოლებისაგან დაპყრობისათვის ბრძოლის დროს ძალზე დაზარალდა, შემდეგ სათათრო მძიმე ხარკ-ბეგარამ, მეტადრე-კი მათ მოხელეთა ბოროტმოქმედებამ ხალხი უკიდურეს გასაჭირში ჩააგდო.

საქართველოს მეფეც გაქირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილა. თათარი მოხელეები მეფის სამხარეულოსათვის შეძენილს ყოველ საქონელზედაც-კი ბაეს ართმევდნენ თურმე.

ჰ უ ლ ა გ უ ყაენმა კიდევ ახალი გადასახადი შემოიღო, რომელსაც თათარი ეწოდებოდა. თათარი კაცის თავზე დაწესებული მეტად მძიმე გადასახადი იყო.

მთელი ამ ხარკ-ბეგარა-გამოსაღებლების ტვირთის უდიდეს ნაწილს მაღალი წრეები მშრომელ მოსახლეობას გადაადებდნენ ხოლმე, და ამიტომაც თათართა ბატონობის დროს ხალხის ეკონომიური მდგომარეობა საზარელი გახდა. ცხოვრება აუტანელი შეიქნა.

ამას ზედ დიდგვარიანი აზნაურების თვითნებობაც დაერთო, რომელნიც როგორც ფუფუნებით ცხოვრებას მიჩვეულნი, გაქირვებაშიც თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ისევ ყმებისა და ხელქვეითი მოსახლეობის ყვლეფით ცდილობდნენ. ფეოდალური გადასახადები სულ უფრო და უფრო დიდდებოდა. ეკლესიის მსახურებიც თავისი შეთხელებული შემოსავლის გადიდებას უკანონო გზით ცდილობდნენ.

§ 83. თათართა წინააღმდეგ აჯანყებანი საქართველოში

დავით ნარინის აჯანყება. აუტანელი გაქირვების ნიადაგზე საქართველოში 1259 წელს აჯანყებამ იფეთქა, რომლის მეთაურობა დავით ნარინმა იკისრა. დავით ულუ ამ საქმეში არ გარეულა.

გაიგო თუ არა ამ აჯანყების ამბავი, ჰულაგუ ყაენმა დიდი ჯარი გამოგზავნა არღუნ ნოინის სარდლობით. მოხდა შეტაკება, რომელშიაც ორივე მხარე გააფთრებით იბრძოდა. თათრებმა აჯანყებულ ქართველებს მაინც ვერ სძლიეს.

მაშინ ყაენმა საუკეთესო მეშველი ჯარი გამოგზავნა საქართველოში. დავით ულუს კი უბრძანა, რათა ის მონღოლებთან ერთად ეგვაბტის სულთანზე გასალაშქრებლად მომზადებულიყო.

ულუ დავითის აჯანყება. დავით ულუმ სამხედრო თათბირი მოიწვია, რომელზედაც ეგვიპტეში ლაშქრობაზე უარი განაცხადა. ეს თათრების წინააღმდეგ აჯანყებას უდრიდა.

სამხედრო თათბირზე დამსწრე დიდ მოხელეთა უმრავლესობა აჯანყების მოწინააღმდეგე გამოდგა, მაგრამ ულუ დავითმა ამ გარემოებას არ მიაქცია ყურადღება და ეგვიპტის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონღოლებს არ წაჰყვა.

ამავე დროს დავით ნარინმა გადასწყვიტა, რომ ბრძოლის გაგრძელება მიზანშეწონილი არ იყო. მან აჯანყებულთა ლაშქარი დაშალა, ლიხთ-იმერეთში გადავიდა და იქ გამაგრდა. არღუნ ნოინმა ნარინის იქ დადევნება ვერ გაბედა, მაგრამ სწორედ ამ დროს, 1260 წ., დავით ულუც აღმოჩნდა აჯანყებული, და არღუნიც მის წინააღმდეგ უნდა შესდგომოდა ბრძოლას.

ულუ დავითს ძალიან ცოტა მომხრედა შერჩა, მისი მთავარი დასაყრდენი სამცხე იყო. ულუ დავითსა და სამცხის სპასალარს, სარგის ჯაყელს, მათსავე მეტი მეომარი არ ჰყავდათ.

არლუნ ნოინმა რომ ულუ დავითის აჯანყების ამბავი გაიგო, მაშინვე გვანცა დედოფალი, მის მცირეწლოვან შვილთან ერთად, დაიჭირა და ყანის ურდოში გაგზავნა.

დავით მეფესა და სარგის ჯაყელს სამხედრო თვალსაზრისით დიდი შეცდომა მოუვიდათ, რომ თავისი მცირერიცხოვანი ლაშქარი სამცხის ვიწროებიდან გამოიყვანეს და უფრო მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს ახალ-დაბასთან შეებრძოლნენ. ქართველები დამარცხდნენ. მაინც მონღოლები დამარცხებულებს სიფრთხილის გამო აღარ დაედევნენ. მონღოლთა ლაშქარსაც საკმაოდ დიდი ზიანი მოუვიდა.

1261 წლის მაისში ჰულაგუ ყაენმა დავით ულუს ხელში ჩასაგდებად არლუნი კვლავ სამცხეში გამოგზავნა. ამ დროისათვის ულუ დავითისა და სარგის ჯაყელის მომხრეების რიცხვი სამცხეში შემცირდა და დიდგვარიან აზნაურთაგან ზოგი თათრებს მიეგება კიდევ. 20 დღე აოხრებდა არლუნი ქვეყანას, მაგრამ მაინც ჯაყელთა საჯდომი ადგილის, ციხისა-ჯვრის ადგა ვერ შესძლო, დავით მეფეც ხელში ვერ ჩაიგდო. ამიტომ იმავე წლის ივნისში არლუნი იძულებული გახდა კვლავ უკან დაეხია.

გაბრაზებულმა ყაენმა ჯავრი ულუ დავითის ცოლზე, გვანცაზე, იყარა, რომელიც მოაკვლევინა. ამგვარადვე მოკლულ იქნა ამირსპასალარი ზაქარია შანშეს ძე, რომელსაც თავის ცოლთან, სარგის ჯაყელის ასულთან, საიდუმლო მიწერ-მოწერა დაბრალდა. სიკვდილითვე დასაჯეს თათრებმა, ზარკის გადაუხდელობის გამო, საქართველოს აღმოსავლეთი დიდი თემის, ხაჩენის, მმართველი ჰასან-ჯალალიც.

ასეთ პირობებში სამცხეს თათრებისათვის მარტო გამკლავება არ შეეძლო. დავით ულუმ და სარგის ჯაყელმა ბრძოლის შეწყვეტა არჩიეს. ულუ დავითი იმერეთში გადავიდა, სადაც მისი მამიდაშვილი ნარინ დავითი მას სიხარულით დახვდა.

§ 84. შრტიმართობა ულუ დავითსა და დავით ნარინს შორის დასავლეთ საქართველოში

თუ სრულიადი საქართველოსათვის სახელმწიფო ტახტზე ორი მეფის ჯდომა უცილობლად ზედმეტად უნდა ყოფილიყო ცნობილი, მით უმეტეს უცნაური მდგომარეობა შეიქნა, როდესაც იმერეთში, საქართველოს დასავლეთ ნაწილში, ორი მეფე აღმოჩნდა. დიდებულთა შორის კვლავ კამათი და დაჯგუფება ატყდა იმ საკითხის გარშემო, თუ რომელ დავითს ჰქონდა მეტი უფლება საქართველოს ერთადერთი მეფე ყოფილიყო. ერთი ნაწილი დავით მეშვიდეს ემხრობოდა, მეორე — დავით მეექვსეს.

ამ საკითხის წამოყენების თაოსნობა დავით ულუს მომხრე ამიტომ ეკუთვნის, მაგრამ დასავლეთ საქართველოს დიდებულთაგანაც ზოგი ულუ დავითს მიემხრო.

მათ ჯგუფს ეკუთვნოდნენ: რაჭის ერისთავთ-ერისთავი კახაბერ კახაბერისძე, რომლის საგვარეულოდანაც ულუ დავითის ცოლი გვანცა დედოფალი იყო, შემდეგ ქვაბულისძენი და ფარაჯანიანი. მაგრამ იმერეთის ყველაზე გავლენიანი დიდებული ბედიან ჯუჯანშერისძე დავით ნარინს იცავდა, და სწორედ მისმა გავლენამ ჩაშალა ულუ დავითის მომხრეების გეგმა.

ამავე დროს აღმოსავლეთ საქართველოდან დამაფიქრებელი ცნობები მოდიოდა. მონღოლებმა ამერეთში მეთვალყურედ ვინმე სომეხი შადი-ნი დასვეს და მას მმართველად დანიშვნასაც უპირებდნენ. ეს რომ განხორციელებულიყო, ეს მონღოლების მიერ აღმოსავლეთ საქართველოს სრულ დაპყრობას უდრიდა. ულუ დავითმა გადასწყვიტა, რომ თათრებთან შეთანხმების გარდა სხვა გამოსავალი აღარ იყო და მოციქულები გაგზავნა შეთანხმების პირობების გასაგებად. გამამხნევებელი პასუხის მიღების შემდეგ, დავით ულუ ჯერ თბილისში გადმოვიდა, შემდეგ-კი ჰულაგუ ყაენის ურდოშიც გაემგზავრა.

§ 85. ულუ დავითის შეთანხმება მონღოლებთან

1262 წლის დამდეგს ულუ დავითი და სარგის ჯაყელი ურდოში გაემგზავრნენ. იქ დაკითხვას თვითონ ჰულაგუ ყაენი აწარმოებდა. დავით მეფის მაგიერ, რომელსაც ენა არ უჭრიდა, ყაენს განმარტება სარგის ჯაყელმა მისცა. სარგისი ქართულად ლაპარაკობდა, და მის ნათქვამს სადღუნ მანკაბერდელი სთარგმნიდა. სადღუნი ავაგ ათაბაგის ყმათაგანი იყო, ჰქვიანი და ენერგიული კაცი. ის ჯერ ულუ დავითმა დააწინაურა, შემდეგში-კი სადღუნმა თათრებში და თვით ყაენის კარზედაც დიდი გავლენა მოიპოვა. სადღუნი ენაწყლიანი ადამიანი იყო და მოხდენილი თარგმანით უამბობდა ყაენს, რასაც სარგის ჯაყელი მოუთხრობდა.

სარგის ჯაყელი აჯანყებას ასე ასაბუთებდა: აჯანყება მონღოლთა მოხელეების, მეტადრე-კი გადასახადების ამკრეფთა აუწყრელი ბოროტმოქმედებით იყო გამოწვეული. მათი თვითნებობისა და ძალმომრეობისაგან დაცვის არავითარი საშუალება არ არსებობდა, რადგანაც ამ დიდ მოხელეებს ყაენის კარიც ქრთამით ჰქონდათ შეკრულიო. ისეთ პირობებში აჯანყების გარდა სხვა არავითარი საშუალება აღარ იყო, რომ თქვენ საქართველოს უმწეო მდგომარეობისათვის ყურადღება მიგვეციათო.

იმ დროს, როდესაც ეს საქმე ჰულაგუ ყაენის კარზე ირჩეოდა, მას სასწრაფო ცნობა მოუვიდა, რომ ოქროს ანუ ჩრდილოეთის ულუსის დიდძალი ლაშქარი, თვით ბერქა ყაენის მეთაურობით, ირანის ილხანის

სამფლობელოში შესაქრელად დარუბანდისაყენ მოემართებოდა. ჰულაგუს-
თვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ასეთი განსაცდელის ქაშს საქარ-
თველო ირანის ილხანების მოწი-
ნააღმდეგეს არ მიმხრობოდა. ამის
გამო გამოძიება შეწყდა. ჰულა-
გუ ყაენმა დავით ულუ მაშინვე
საქართველოში დააბრუნა იმ და-
ვლებით, რომ უმაღლესი აღმოსავ-
ლეთ საქართველოს მთელი ლაშ-
ქრით მასთან გამოცხადებულიყო.

მართლაც, იმავე 1262 წელს
ირანის ილხანის მრავალრიცხოვა-
ნი ლაშქარი და საქართველოს,
ჯარიც ბერქას წინააღმდეგ და-
იძრა. პირველს დიდ ბრძოლაში
ბერქას ჯარი დამარცხდა და
იძულებული გახდა უკან დაეხია,
გამარჯვებით გათამამებული ირა-
ნის ილხანის ლაშქარი ჰულაგუ
ყაენის შვილის, აბაღას, მეთაუ-
რობით მტერს კვალდაკვალ მის-
დევდა. ბერქას ლაშქარი უკვე
ქედს იჭით იყო გადასული, მაგ-
რამ ძარცვა-გლეჯაში გართულს
ირანის ლაშქარს ბერქას ჯარი
1263 წელს მოულოდნელად თავს
დაესხა და ისე საშინლად დაა-
მარცხა, რომ აბაღა უფლისწულ-
მაც-კი ძლივს მოასწრო გამოქ-
ცევა.

ჰულაგუ ყაენმა შარვანში,
თეთრ წყალთან, სანგრები (მონ-
ღოლურად—სიბა) ააშენა და აქ
სანაპირო ჯარი ჩააყენა, რომელ-
საც ჩრდილოეთიდან შემოსული
მტერი უნდა შეეკავებინა. საქარ-
თველოდანაც ყოველწლივ ჯარი
უნდა გასულიყო და შემოდგომი-
დან ზაფხულის დამდეგამდე ამ სიბაზე მდგარიყო.



სარგის, სამცხის სპასალარი.

საფარის ფრესკა, XIV ს.

საქ. მუზ. ისტ. განკ.



თათართა ბატონობის დასაწყის ხანაში მთავრებმა და დიდგვარიანებმა დამპყრობელებთან საერთო ენის გამონახვა შესძლეს. დიდგვარიანი და დიდი მემამულე აზნაურები მონღოლებს ეხმარებოდნენ კიდევაც დაპყრობილი ქვეყნების მართვა-გამგეობაში და აქაური ხარკის აკრეფაში.

მაგრამ საერთო გაქირვებამ, ბეგარა-გადასახადების აუტანელმა სიმძიმემ და გამუდმებულმა მოლაშქრეობამ მალე მემამულე ფეოდალებსაც უწვდინა თავისი სუსხი. სათათრო ხარკისაგან უძრავი ქონება, მიწა, ისე დაიტვირთა, რომ შეწერილ გადასახადებს ვეღარ ასდიოდა. მემამულეები იძულებული წდებოდნენ მათთვის საჭირო სახსარი სხვა გზით ემოვნათ. ასეთი გზა იყო მიწის გაყიდვა. მიწა რომ მთლად ხელიდან არ წასვლიდათ, მემამულეები პირველ ხანებში იმ იმედით, რომ მომავალში მდგომარეობა გამოსწორდებოდა, საკრედიტო ამხანაგობათაგან, რომელთაც მათ შინ უ რ ტ ა დ ე ბ ი ეწოდებოდათ, სესხს იღებდნენ და მიწას უგირავებდნენ. აღებული სესხის დაბრუნების ვადა რომ დადგებოდა ხოლმე, მემამულეებს ვალის გადახდა აღარ შეეძლოთ და ამის გამო მათ მიწა არ ეყიდებოდათ, ან სხვა გზით მისდიოდათ ხელიდან. ზოგი იმთავითვე იძულებული იყო თავისი მამული გაეყიდა.

მიწა-შემოცლილი მემამულე ფეოდალები მეფეს შესჩიოდნენ თავის გაჭირვებას. მაგრამ მეფეს მათი შველა არ შეეძლო, რადგანაც მასაც დიდად ჰქონდა მამულები შემოღებული.

თათართა ბატონობის ხანაში ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში შედარებით ეკლესია იყო. მონღოლებისაგან ეკლესიას დიდი შეღავათები ჰქონდა მინიჭებული, მამულებიც ეკლესიას თუ ემატებოდა, თორემ არ აკლდებოდა. მთავრობამ გადასწყვიტა, ეკლესიისათვის მამულები ჩამოერთმია და გაღარიბებული ფეოდალებისათვის დაერიგებინა. გადაწყვეტილი იყო იმ მამულების ჩამორთმევა, რომელნიც წინათ მეფესა და ფეოდალებს ეკლესიისათვის შეეწირათ. აღმოსავლეთ საქართველოში ამ დროს მწიგნობართუხუცესად ბ ა ს ი ლ უ ჯ ა რ მ ე ლ-ქ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ი იყო. საეკლესიო შეწირული მიწების ჩამორთმევა-გამოწირვა ბასილმა ჩაატარა, როგორც პირველმა ეაზირმა.

ამ ღონისძიებამ, ცხადია, ეკლესია და მისი მესვეურები აღაშფოთა. დიწყო სასტიკი და ხანგრძლივი ბრძოლა ეკლესიასა და მეფე-ფეოდალებს შორის.

ეკლესიის მესვეურებმა 1263 წელს საეკლესიო კრება მოიწვიეს, რომელმაც დავით ულუს ულტიმატუმი წარუდგინა: ეკლესიის მიწების სხვებზე გაციემა შეჩერებული ყოფილიყო და ყველა დარიგებული მიწაც უკან დაებრუნებინათ; წინააღმდეგ შემთხვევაში საეკლესიო კრება იმუქრებოდა, რომ საქართველოს ყველა ტაძარს დაკეტავდა და ყოველგვარ

მღვდელმსახურებას აკრძალავდა. მაგრამ მთავრობამ ეს მოთხოვნა არ შეასრულა. ეკლესიამ ბრძოლა წააგო.

რაკი ეკლესიის წინააღმდეგ გამოყენებული საშუალება ბასილ უჯარმელ-ჰყონდიდელის მიერ იყო გატარებული, ეკლესიის მესვეურთა მთელი სიძულვილი მას დაატყდა თავზე. დაიწყო მითქმა-მოთქმა, ჭორები და ცილისწამება ბასილის წინააღმდეგ. ბასილის მტრებმა მწიგნობართუხუცესი ულუ დავითთან დააბეზლეს და მეფე დაარწმუნეს, რომ ბასილი მისი ძოღალატე იყო. დავით მეფემ ამ შემთხვევაშიც საქმის გამოუძიებლად ბრძანება გასცა, ბასილი ჩამოეხრჩოთ. ამრიგად, ვაზირთა უპირველესი ბასილ უჯარმელი ეკლესიასთან ბრძოლის მსხვერპლი შეიქნა.

§ 87. სამცხის გამოყოფა საქართველოს სამეფოდან და ულუსიანად გადაქცევა

მაღე ერთი დიდი მარცხი მოუვიდა საქართველოს სამეფოს.

ბოროტმა მესაიდუმლეებმა ულუ დავითი დაარწმუნეს, ვითომც სამცხის სპასალარი სარგის ჯაყელი მეფისაგან განდგომას აპირებდა.

1266 წელს, შემოდგომით, სიბაზე წასასვლელად თბილისში ჩამოსული სარგის ჯაყელი დავით მეფემ სასახლეში დაიბარა და დააჭერინა. ჯაყელის ამაღამ მაშინვე ყაენთან კაცი აფერინა.

ირანის ილხანმა აბალა ყაენმა დავით მეფეს ჯაყელის განთავისუფლება და ირანში გაგზავნა მოსთხოვა.

ყაენის კარზე მისულმა სარგის ჯაყელმა აბალას სთხოვა, რათა ყაენს ჯაყელის სამფლობელო საქართველოს სამეფოდან გამოეყო და უშუალოდ თავის საგამგეოსათვის დაემორჩილებინა, ე. ი. როგორც მონღოლები უწოდებდნენ, ხ ა ს ი ნ ჯ უ დ ე ტ ი ა. ქართველები ამის ულუსიანად ქცევას ეძახდნენ. ასეთ პირს და ასეთ სამფლობელოს ეერავინ შეეხებოდა თვით ყაენის გარეშე.

საქართველოს სამეფო ამ დროისათვის ფაქტიურად უკვე ორ, აღმოსავლეთ და დასავლეთ, ნაწილად იყო გაყოფილი. ეხლა, სარგის ჯაყელის ამ საქციელის შემდეგ, საქართველოს მესამე ნაწილიც გამოეყო, რომელიც, აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, უკვე მთლიანად მონღოლთა ყაენს ექვემდებარებოდა. ამრიგად, სარგის ჯაყელმა თავისი უენებლობა საქართველოს მთლიანობის დარღვევის საფასურით მოიპოვა.

§ 88. ბრძოლის განახლება ჩრდილოეთის ულუსსა და ირანის ილხანებს შორის და მისი ანაკაჟილი საქართველოში

1265 წელს რომ ირანის მონღოლთა ყაენად ჰულაგუს მაგიერ მისი ვაჟიშვილი აბალა დაჯდა, ბერქა ყაენმა ისევ ირანის ილხანების წინააღმდეგ გალაშქრება გადასწყვიტა. მას ძალიან ფართო მიზანი ჰქონდა დასახული და სამასი ათასი მოლაშქრე ჰყავდა თავმოყრილი. შეიტყო თუ არა ეს ამბავი, აბალა ჯარის შეყრას შეუდგა და დავით ულუც თავისთან დაიბარა

ქართველი ჯარით. რაკი ბერქა ყაენს ასეთი მრავალრიცხოვანი ლაშქარი
ჰყავდა, აბალა ყაენი მთელი თავისი სამხედრო ძალით მტკვარს გამოეშვა
გამაგრდა და ყველა ხიდი მტკვარზე ააყრევინა. წყალდიდობის გამო ბერქა
ყაენმა ვერ შესძლო აზვირთებული მდინარე გადმოელახა და იძულებული
გახდა თბილისზე წამოსულიყო, რომ თბილისში ხიდზე გადასულ-
აყო და მოწინააღმდეგეს ზურგიდან დასცემოდა.

ამოდენა ლაშქრის ყოფნამ მტკვრის, ალაზნისა და ივრის სანაპიროები
ისე ააოხრა, რომ იმ დროიდან მოყოლებული მრავალი ხნის განმავლობაში
მოსახლეობა აქ ამომწყდარი იყო. მაგრამ თბილისზე მომავალი ბერქა
ყაენი მოულოდნელად გარდაიცვალა და აბალა ყაენიცა და აღმოსავლეთი
საქართველოც განსაცდელს გადაურჩნენ.

მომხდარი ამბით შეშინებული აბალა ყაენი საზღვრის დასაცავად ყოველ
წლივ სიბაზე ჯარს გზავნიდა. ამ გამაგრებული ჯარების დაცვის ტვირთის
უდიდესი ნაწილი საქართველოს სამხედრო ძალას აწევბოდა. წლითწლობამდე
საქართველო იძულებული იყო თავისი ქვეყნიდან ხალხი გაეყვანა,
ნაყოფიერი შრომისათვის მოეშორებინა და მიონლოთა სახელმწიფოს
დასაცავად იმ შორეულ ქვეყანაში ჰყოლოდა.

ჯარის ერთად შეჯგუფების შედეგად, როგორც ბევრჯერ მომხდარა,
მუცლის მოარულმა იჩინა თავი. ეს სწეულება იმდენად მოედო ლაშქარს,
რომ მისგან რამდენიმეჯერ ავად გახდნენ თვით დავით მეფე და მისი ვაჟი
გიორგი. ბოლოს ამ სენმა ორივე იმსხვერპლა: 1268 წელს გიორგი
უფლისწული გარდაიცვალა, ხოლო 1270 წელს — მეფე დავით ულუ.

თუ სამეფო ოჯახი, რომელიც განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებოდა
ხოლმე, ამ ავადმყოფობას შეეწირა, ადვილი წარმოსადგენია, რა
მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყო მოსახლეობის დაბლა მდგომი
ფენები. ამგვარად, სხვა მსხვერპლს ეს მსხვერპლიც მიემატა.

§ 89. დავით ნარინის საბაჩიო ურთიერთობანი

მას შემდეგ, რაც დავით ნარინი დასავლეთ საქართველოში გადავიდა,
დასავლეთი საქართველო თათართა ბატონობისაგან სრულებით დამოუკიდებელი
გახდა.

დავით ნარინი ულუ დავითზე ბევრად უფრო ფრთხილი, წინდახედუ-
ლი და ჰკვიანი კაცი იყო. თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად და
ირანის ილხანებისაგან დასავლეთ საქართველოს დასაცავად დავით ნარინმა
გადასწყვიტა იმ სახელმწიფოებთან შეეკრა კავშირი, რომელნიც
ირანის ან მტრები იყვნენ, ან მეტოქენი.

ურთიერთობა მავიპტის სულთანთან და ილხანებთან.
ირანის ილხანებსა და ეგვიპტის სულტანებს შორის ამ დროს მტრული
დამოკიდებულება არსებობდა. ჩრდილოეთის ანუ ოქროს ულუსის ყაენები
ყოველნაირად ცდილობდნენ, ეგვიპტის სულტანებს დაახლოებოდნენ.

ამავე პოლიტიკას დაადგა დავით ნარინი. 1264-65 წელს მან ეგვიპტის სულტანს საჩუქრებით დატვირთული დესპანები გაუგზავნა. 1268 წელს მან ამგვარადვე ეგვიპტის მბრძანებელს დესპანები გაუგზავნა. მეორე მხრით, დავითს ოქროს ულუსთანაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა.

დავით ნარინი, გარდა ამისა, ცდილობდა ირანის ილხანების სახელმწიფოს შინაგანი წინააღმდეგობითაც ესარგებლა. ილხანების წინააღმდეგ განწყობილი თუ აჯანყებული მონღოლი ბატონიშვილები, სარდლები და მოხელეები თავშესაფარს პოულობდნენ იმერეთში, დავით მეფესთან.

ბრძოლა ბაგლათისათვის ტრაპიზონის სამეფოში. მონღოლების გაბატონებამ მახლობელ აღმოსავლეთში, ბუნებრივია, შეასუსტა საქართველოს გავლენა ტრაპიზონის სამეფოზე, მით უფრო რომ ტრაპიზონის კეისარი მანუელ მეორე უკვე 1244 წლის შემდეგ მონღოლთა მოხარკედ იყო ქცეული.

ამავე დროს ბიზანტიის იმპერატორიც ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ტრაპიზონის სამეფოდან საქართველოს მომხრეები სრულიად გაეძევებინა და ეს ქვეყანა ნელ-ნელა თავისთვის დაემორჩილებინა.

სამოციან წლებში ბიზანტიის მთავრობამ ამ მხრივ ერთგვარ წარმატებასაც მიაღწია, მიუხედავად იმისა, რომ ტრაპიზონის სამეფო სახლისა და დიდებულთა თანაგრძნობა საქართველოს მხარეზე იყო და ტრაპიზონის მეფეები მუდამ მოყვრობამიაც იყვნენ ქართველ ბაგრატიონებთან.

საქართველოს მთავრობას არ შეეძლო გულხელდაკრეფილი ეცქირა ბიზანტიის გავლენის ზრდისათვის ტრაპიზონში. ამიტომ 1282 წელს დავით ნარინი თავისი ჯარით ტრაპიზონის საკეისროს შეესია და, თუმცა თვით ტრაპიზონის აღება ვერ მოახერხა, მაგრამ საკეისროს დიდი ნაწილი დაიპყრო. ამ დროს ტრაპიზონის მეფე, იოანე მეორე, ბიზანტიის მთავრობას კონსტანტინოპოლში ჰყავდა გატყუებული.

როცა 1284 წელს იოანე თავის საკეისროში დაბრუნდა, საქართველოში გათხოვილი იოანეს და, თეოდორა, ტრაპიზონის საკეისროს შეესია ჯარით და კეისრად დაჯდა. ასეთი გაბედული ნაბიჯის გადადგმა და მიზნის მიღწევა თეოდორას მხოლოდ საქართველოს სამხედრო ძალის უშუალო დახმარებით შეეძლო. ამიერიდან ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს პოლიტიკური გავლენა კვლავ უნდა გაძლიერებულიყო. მაგრამ ბრძოლა არც ბიზანტიელებს შეუჩერებიათ: შემდეგში ცვლილება მოხდა და იოანე მეორემ ხელისუფლება დაიბრუნა.

§ 90. დამეტრე მეორის გამეფება აღმოსავლეთ სპარსეთში. საღუნ მანკაბერდელი

როცა 1270 წელს ულუ დავითი გარდაიცვალა, ტახტის მემკვიდრე, დემეტრე უფლისწული, 11-12 წლის ყმაწვილი იყო. ყაენმა დემეტრე საქართველოს მეფედ დაამტკიცა.

17. საქართველოს ისტორია.

სამეფოს ტერიტორია. აღმოსავლეთით საქართველოს მაშინდელი საზღვარი თეთრი წყლის (მამახიის თემში) გასწვრივ იყო. ანისი და მათი ქვეყნებით კვლავინდებურად საქართველოს ეკუთვნოდა. მაგრამ ზღატი და მანასკერტი უკვე საქართველოს ყმადნაფიცი აღარ იყვნენ. იმერეთი, რასაკვირველია, დემეტრე მეორეს აღარ ემორჩილებოდა: თუმცა სამეფო იურიდიკულად გაყოფილი არ იყო, მაგრამ, პოლიტიკური პირობების გამო მისი მთლიანობა უკვე დარღვეული იყო. არც სამცხე ემორჩილებოდა დემეტრეს საცსებით.

სადუნ მანკაბერდელის დაწინაურება. დემეტრეს, მცირეწლოვანობის გამო, სამეფოს მართვა არ შეეძლო, მას მზრუნველი და მეურვე უნდა ჰყოლოდა დანიშნული. ყაენმა აბალამ ასეთ მზრუნველად დემეტრეს სადუნ მანკაბერდელი დაუნიშნა.

ჯერ კიდევ 1272 წელს, როცა დემეტრე ყაენის კარზე იმყოფებოდა, ახალგაზრდა მეფემ სადუნ მანკაბერდელს ათაბაგობა მისცა, რაც უშუალოდ აბალასაგან უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

სადუნე იმ ადამიანების რიცხვს ეკუთვნოდა, რომელნიც მონღოლების ერთგულებით, ენების ცოდნითა და მჭერმეტყველებით წინაურდებოდნენ ზოლმე.

ქართული, მონღოლური, სპარსული და სომხური ენების კარგი მცოდნე, სადუნე სწორედ ასეთი ხანისათვის დაბადებული ადამიანი იყო. როგორც ვიცით, ის ჯერ ავაგ ათაბაგის ასულის, ხვაშაქის, ევჯიბი იყო. როცა ხვაშაქი ყაენის პირველ ვაზირზე გათხოვდა, სადუნიც აღზევდა, რადგან ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველოს საკითხების განხილვის დროს სადუნე ყაენის ურდოში პირველ მრჩეველად იქცა. ეხლა კიდევ საქართველოს მცირეწლოვანი მეფის მეურვეობამ სადუნე საქართველოს სათავეში მოაქცია.

სადუნე მართო პოლიტიკურ აღზევებაზე არ ზრუნავდა, არამედ გამდიდრებასაც ყოველნაირი საშუალებით ცდილობდა. 1278 წელს დემეტრე მეორისაგან მან თელავი, ბელაქანი და ბევრი სხვა ადგილიც ჩაიგდო ხელში. როდესაც შემდეგ თათრებმა დემეტრეს დიდი თანხის გადახდა მოსთხოვეს, რომლის გამოღება მეფეს არ შეეძლო, ამ ფულის გადახდა სადუნმა იცისრა, მაგრამ სამხაგიეროდ თავისთვის ქალაქი დმანისი და მისი თემი მოითხოვა. დემეტრე მეფე იძულებული გახდა ჯერ დმანისი მიეცა სადუნისათვის, შემდეგ-კი ციხე-ქალაქი კარი (ყარსი). კარი სადუნმა თავის საჯდომად აქცია. შემდეგშიაც სადუნის სიმდიდრე ზღაპრული სისწრაფით იზრდებოდა.

სადუნ მანკაბერდელი თათარს თათრად ეჩვენებოდა, ქართველთან ქართველი და სომეხთან სომეხი იყო, მაგრამ ყველაზე მეტად ის მაინც თათართა ზნე-ჩვეულებას შეეგუა.

თუმცა თავისი მოქნილი მოქმედების წყალობით სადუნს ბევრი ჰყავდა მადლიერი, მაგრამ ქართველ და სომეხ დიდებულთა შორის ბევრი მტე-

რიც ჰყავდა, რომელთაც მისი ასეთი სწრაფი აღზევება არაფრად ექან-
ნიებოდათ. მაგრამ სადუნ მანკაბერდელის წინააღმდეგ ბრძოლა აღვი-
ლი საქმე არ იყო: თათრებთან ახლო კავშირი სადუნ მანკაბერდელს სა-
შიშარ მტრად ხდიდა.

როცა სადუნის გარდაიცვალა 1281 წელს, დემეტრე მეფემ ათაბაგობა
მის შვილს ხუტლუ-ბუღას კი არ მისცა, არამედ ტარსაიკ ორ-
ბელს უწყალობა.

§ 91. აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა დემეტრე მეორის მეფობაში

იმისდა მიუხედავად, რომ დემეტრე მეფე მცირეწლოვანი იყო, მასაც
მონღოლთა ყველა ლაშქრობაში უხდებოდა მონაწილეობის მიღება.

ამ ხანაში მონღოლები უმთავრესად ეგვიპტის მამულ-უქებს ებრძოდნენ
და აღმოსავლეთ საქართველოს ჯარიც ამ ომიანობაში მუდმივ იყო ჩაბ-
მული.

1277 წელს ირანის ილხანის ლაშქრობა ეგვიპტის წინააღმდეგ საშინ-
ლად დამარცხდა. ამ ომში ქართველთაგან ბევრმა შესწირა თავისი სი-
ცოცხლე. 3 000 მეგრძოლიდან ცოტაღა დაბრუნდა საქართველოში.

1281 წელს ქალაქ ჰემსის მახლობლად (სირიაში) მონღოლები
კვლავ დამარცხდნენ და ამ ბრძოლაშიც დიდძალი ხალხი დაიღუპა, მათ
შორის ქართველთა ლაშქრის უდიდესი ნაწილიც. თვით დემეტრე მეო-
რე ძლივს გადაურჩა სიკვდილს.

ასეთ მარცხიანსა და გაუთავებელ ლაშქრობას საქართველოს მოსახ-
ლეობა დიდ ქონებრივ გაჭირვებაშიც უნდა ჩაეგდო. ეს უპირველესად
ქალაქებში, მაგალითად, თბილისში, იყო საგრძნობი: იქ მათხოვარ-
დავრდომილების რიცხვი ძალიან გამრავლებულა. მაღალი წრეების წარ-
მომადგენელნიც-კი თავის უმწეო მდგომარეობას საჯაროდ სჩიოდნენ.

ამ გაჭირვებას ზედ დიდი მიწისძვრაც დაერთო. მრავალი საყდარი,
მონასტერი, ციხე, სახლი და სხვა ნაგებობა დაიქცა, კლდეებიც-კი
მტერის მსგავსად ჩამოიფშვნა და მიწა გაიპო.

ეს საშინელი მიწისძვრა მთელი ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა,
დიდძალი ხალხიც დაიღუპა და უსახლკაროდ, უსახსროდაც ბევრი
დარჩა. მიწისძვრის მთავარი ცენტრი სამცხეში იყო, მაგრამ მისი ანა-
რეკლი ქართლში იმდენად ძლიერი იყო, რომ მცხეთის ტაძარიც კი
დაიქცა.

ოთხმოციანი წლების დამლევს მონღოლებმა კვლავ ხალხის აღწერა
მოახდინეს. ამ აღწერამ გამოარკვია, რომ ილხანების სამფლობელოს უმე-
ტესი ნაწილი აოხრებული ყოფილა, მათ შორის — საქართველოც, ხო-
ლო საქართველოში ყველაზე მეტად კახეთი და ჰერეთი იყო გაპარტახე-

ბული, ბერქა ყაენსა და ირანის ილხანებს შორის წარმოებული ბრძოლის წყალობით.

როგორც სხვა შემთხვევაშიაც მომხდარა, ეხლაც გაჭირვება უმთავრესად ხალხს დააწვა. გაბატონებული წრეები, დიდებულები და სამღვდელოება, ყველა საშუალებას ხმარობდნენ, რომ თვითონ თავი დაეღწიათ ამ გაჭირვებისაგან და მისი ტვირთი სხვებისათვის, უმთავრესად მღაბით ხალხისათვის, გადაელოცათ. ფეოდალებმა ისევ ეკლესია-მონასტრების მიწების მიტაცება დაიწყეს. სამღვდელოებაც ხალხის აწკარა ყვლეფას არ თაკილობდა. ცხადია, გლეხობა ცდილობდა თავი დაეცვა, რამდენადაც შეეძლო.

აღსანიშნავია, რომ ფეოდალური წრეების ზნე-ჩვეულებაშიც ამ დროს ბევრი ცვლილება ხდებოდა მონღოლების ზეგავლენით. ასე, მაგალითად, გაჩნდა მრავალცოლიანობის შემთხვევებიც, რაც ქართველი ხალხისათვის სრულიად უჩვეულო იყო.

§ 92. შინაური ბრძოლა ილხანების სახელმწიფოში. დემეტრე მეორის სიკვდილით დასჯა

მას შემდეგ რაც ჩრდილოეთისა და სამხრეთის ულუსებს შორის ბრძოლა ატყდა, უთანხმოება და შუღლი თვით ირანშიც ჩამოვარდა. ილხანების საყაენოში შეთქმულება შეთქმულებას მოსდევდა. იშვიათი შემთხვევა იყო, რომ ირანის ყაენებს ამ ხანაში თავისი სიცოცხლე ბუნებრივი სიკვდილით გაეთავებინათ.

უნებლიეთ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ირანის საყაენოში პირველობისათვის მებრძოლთა ან ერთ მხარეზე უნდა ყოფილიყო, ან მეორეზე.

ბრძოლა აჰმად და არლუნ ყაენებს შორის. ასე, როცა აბაღა ყაენის ძმასა და მემკვიდრეს, გამაჰმადიანებულ აჰმად ყაენს ნოინები აუჯანყდნენ და მის მაგიერ აბაღას შვილი არლუნი დასვეს ყაენად, აჰმადმა ჯარი შეაგროვა და საქართველოდანაც დემეტრე დაიბარა ქართველი ლაშქრით. აჰმადმა არლუნი თავისი და საქართველოს შეერთებული ლაშქრით დაამარცხა, მაგრამ აჰმადის ძლევა მოსილება მალე გაქარწყლდა. ნოინები თავისას არ იშლიდნენ და მათი წყალობით არლუნი კვლავ ყაენად დაჯდა. ამავე დროს დემეტრე მეორეს საქართველოში შემოუთვალეს, დახმარება აღარ გაეწია აჰმადისათვის. ეს მოთხოვნა მეფემ შეასრულა.

არლუნის ყაენობისას დემეტრე უკეთეს პირობებში ჩავარდა, პირველ ხანებში მაინც. არლუნის უმთავრესი მრჩეველი ბულა საქართველოს მეფესთან დაახლოებული პირი იყო და დემეტრე მეფეს მხარს უჭერდა ხოლმე.

შეთქმულება არღუნის წინააღმდეგ. მაგრამ მალე მდგომარეობა სრულიად გამოიცვალა. 1288 წელს არღუნ ყაენის საწინააღმდეგო შეთქმულება გამომჟღავნდა. ამ შეთქმულების მეთაურობა პირველ ვაზირს ბულას დაბრალდა. ბულა სიკვდილით დასაჯეს. მის შვილს, ნათესაეებსა და მომხრეებსაც იგივე ბედი ეწიათ.

რადგანაც ცნობილი იყო, რომ საქართველოს მეფე შეთქმულების მეთაურთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ამიტომ არღუნმა დემეტრე ირანში დაიბარა. დემეტრეს წინაშე წამოიჭრა საკითხი, როგორ მოქცეულიყო: წასულიყო, თუ მთებში გახიზნოთ თავის თავისათვის ეშველა. ამ განსაძღვლის ეამს მან სახელმწიფო დარბაზი მოიწვია და შეეკითხა. რას ურჩევდნენ.

დემეტრეს სიკვდილით დასჯა. თვითონ მეფეს ყაენთან წასვლა თავის მოვალეობად ჰგონდა, რადგანაც იცოდა, რომ თუ ის არ გამოცხადდებოდა, ყაენი შურის საძიებლად უეჭველად საქართველოს ააწიოკებდა. დარბაზის წევრები-კი ფიქრობდნენ, რომ დემეტრეს შეეძლო თავი ისევე გადაერჩინა, როგორც სხვებმა, თვით მისმა მამამაც, არა ერთხელ გადაირჩინეს, და ურჩევდნენ, საქართველოში დარჩენილიყო. დემეტრემ ეს წინადადება უარპყო. მან თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახი სხვადასხვა ალაგას დაშალა და გზას გაუდგა. გზაშივე დემეტრე მეფეს ყაენის საგანგებო მოხელე დახვდა, რომელმაც მეფეს მთელი ჭონება ჩამოართვა, თვითონ ის შეიპყრო და ასე წარუდგინა ყაენს.

ყაენს გადაწყვეტილი არ ჰქონდა დემეტრე მეორე უთუოდ სიკვდილით დაესაჯა. მაგრამ ზოგი იმდროინდელი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ დემეტრე მეფე სადღუნ მანკაბერდელის შვილმა, ხუტლუ-ბულამ დაიღუპა. ხუტლუ-ბულა დემეტრეს ემდუროდა იმის გამო, რომ მან საღუნის სიკვდილის შემდეგ ათაბაგობა მას კი არა, არამედ ტარსაიტი ორბელს უწყალობა. ხუტლუ-ბულა არღუნს წარუდგა და მოახსენა: იმერეთის მეფის დავითის შვილს ვ ახტ ან გ ს გადმოვიყვან, მას მიეცი მეფობა და ამრიგად საქართველოს ორივე სამეფო შენს ხელში იქნება. არღუნ ყაენს ეს გეგმა მოეწონა და ამ გარემოებამ დემეტრეს ბედიც გადასწყვიტა საბოლოოდ.

სიკვდილით დასჯის წინ დემეტრე მეფეს წინადადება მისცეს, თვითონვე დაესახელებინა, სად და რა სიმდიდრე ჰქონდა კიდევ. ამ ცნობის თანახმად, მას მთელი ჭონება ჩამოართვეს და 1289 წლის 12 მარტს საქართველოს მეფეს თავი მოჰკვეთეს უცხოეთში. ამ ამბის გამო დემეტრეს „თავდადებული“ დაერქვა.

დემეტრე თავდადებულის ისტორია აღწერილი აქვს ილია ჭავჭავაძეს თავის ცნობილ პოემაში.

დემეტრეს შინაური სამდიანობა. იმდროინდელი ისტორიკოსის მტკიცებით, დემეტრე ცდილობდა აოხრებული ქვეყანა განეახლებინა, ამოწყვეტილი მოსახლეობის შავიერ სხვა მოეყვანა, მიწაზე დაესვა და

ქვეყანა მოეშენებინა. დემეტრეს მშენებლობაც უწარმოებია. მის შერ-
ისნის სამეფო სასახლის მახლობლად აგებული მეტეხის ტაძარი (ავლა-
ბარში) დღემდეა შემონახული. იგი მნიშვნელოვანია, როგორც მე-13 ს-
უკუნის ქართული ხუროთმოძღვრების მაღალხარისხოვანი განვითარების
დამამტკიცებელი ძეგლი. მდიდარი ჩუქურთმით შემკული, მშვენივრად



ქართული ხელნაწერის მორთულობის ნიმუში. შიომღვიმის სახარება 1270 წ.

საქ. მუზ. ხელნაწერთა განყოფილება.

შესრულებული მისი კარიბჭე და სხვა გადარჩენილი ნაწილები ცხად-
ყოფს, რომ იმ დიდი გაჭირვებისა და უბედურების მიუხედავად, რომე-
ლიც მონღოლთა ბატონობის ხანაში საქართველოს თავს დაატყდა, ქარ-
თველ ხელოვანთა შემოქმედებითი ნიჭი დაშრეტილი არ ყოფილა.

**§ 93. ვახტანგ მეორის, ნარინ ღვთისძის ძის, მეფობა
აღმოსავლეთ საქართველოში**



დავით ნარინის შვილის გამეფებით აღმოსავლეთ საქართველოში არ-
ლუნ ყაენი რამდენიმე მიზნის მიღწევას ცდილობდა: მთელი საქართვე-
ლოს დამორჩილებას, ამით ხარკის გადიდებასა და დავით ნარინის მტრო-
ბის გაქარწყლებასაც.

1289 წელს, ყაენის დავალებით, ხუტლუ-ბულამ ვახტანგი აღმოსავლეთ
საქართველოში გადმოიყვანა. ვახტანგს თან მიჰყვა მამა, დავით ნარინიც,
გადმოჰყვა. თავის დასარწმუნებლად და ვახტანგის მდგომარეობის გან-
სამტკიცებლად, დავით ნარინმა აღმოსავლეთ საქართველოს დიდებუ-
ლებს ფიცი ჩამოართვა და თვითონ ქუთაისში დაბრუნდა.

ხუტლუ-ბულამ ვახტანგ უფლისწული არლუნ ყაენთან წაიყვანა. არ-
ლუნმა ვახტანგს მეფობაც უწყალობა და ცოლადაც თავისი და შერთო.

ხუტლუ-ბულამ თავისი მოღვაწეობისათვის დიდი საფასური მიიღო:
ვახტანგ მეორემ მას ათაბაგობა უწყალობა.

მაინც ხუტლუ-ბულასთვის ვახტანგ მეფესთანაც ხანგრძლივი შეთანხ-
მება აღვილი არ იყო. წლის შემდეგ მათ შორის უკვე მტრობა გაჩაღდა.
ხუტლუ-ბულამ გადასწყვიტა ვახტანგი ტახტიდან ჩამოეგდო და მის მა-
გიერ დემეტრე მეორის ვაჟი, დავითი, გაემეფებინა. ხუტლუ-ბულა, ალ-
ბათ, იმას ანგარიშობდა, რომ დავითი მცირეწლოვანი იყო და საქართვე-
ლოს მართვა-გამგეობა მთლიანად მე ჩამივარდება ხელშიო.

ხუტლუ-ბულა ბევრს ეცადა მონღოლებთან თავის განზრახვის შესას-
რულებლად. მაგრამ ვერაფერი გააწყო, კერძოდ იმიტომაც, რომ ყველა
გავლენიანი მოხელე საქართველოში ვახტანგის მომხრე აღმოჩნდა. სა-
ქართველოს დიდებულებმა კარგად იცოდნენ, რომ ხუტლუ-ბულას სა-
ქართველოს მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდება და მეფის სათამაშო
ბურთად ქცევა სწადდა.

ვახტანგ მეორის მეფობა ხანმოკლე აღმოჩნდა. 1292 წელს, მცირე
ხნის ავადმყოფობის შემდეგ, ის გარდაიცვალა. ერთი წლის შემდეგ გარ-
დაიცვალა დავით მეექვსე, ნარინიც, თავისი ვაჟის ნაადრევი სიკვდილით
შეწუხებული.

**§ 94. საქართველოს მდგომარეობა მე-13 საუკუნის
დამლევს**

დავით ნარინის გარდაცვალების შემდეგ მისი სამი შვილიდან მეფობა
უფროსს, კონსტანტინეს, სერგო, მაგრამ მას უმცროსი ძმა მიქე-
ლი აუჯანყდა. მიქელმა რაჭა და არგვეთი დაიპყრო. ამის შემდეგ დასა-
ვლეთ საქართველოში შუღლი და მტრობა ჩამოვარდა. დროგამოშვებით

მტრობა თითქოს შენელებოდა, შემდეგ ძმები კვლავ აიშლებოდნენ და ბრძოლა და სისხლის ღვრა ისევ იწყებოდა ხოლმე.

1293 წელს ქელათუ ყაენმა დემეტრეს ძე, დავით უფლისწულთან, მოსავლეთ საქართველოს მეფედ დაამტკიცა, საქართველოში დააბრუნა და თან ქართველი დიდებულები, მათ შორის, რასაკვირველია, ხუტლუ-ბულაღი გამოაყოლა.

საქართველოში დავით მერვეს, დემეტრე თავდადებულის ძეს, ცუდი მდგომარეობა დახვდა. სამცხე ისევ განზე იდგა და მისი მთავარი ბექა, სარგისის ძე, დავითს არ ემორჩილებოდა. ამავე დროს ქართლში ოსები მომძლავრებულიყვნენ, მათ გორის ციხეც-კი ჩაეგდოთ ხელში.

მართალია, ოსებს მხნედ ებრძოდა ქართლის ერისთავთ-ერისთავი ბეგა სურამელი, მაგრამ თათრები მხარს ოსებს უჭერდნენ და მე-14 საუკუნის დამდეგამდე ოსთა თარეშები ქართლში იშვიათი მოვლენა არ იყო.

ამასთანავე ირანში ისევ დიდი არეულობა ატყდა. 1295 წელს ილხანობის მაძიებლებმა ორი ყაენი მოჰკლეს. სამხრეთის ანუ ირანის ულუსის ბატონობა ბოლოს ყაზანმა იგდო ხელში.

ყაზან ყაენმა მაშინვე საქართველოსაც მოაპყრო თავისი ყურადღება. აქ, სამცხეში, იმალებოდა ერთი მისი მოწინააღმდეგე ნოინთაგანი. ყაზან ყაენის მოთხოვნის გამო დავით მერვე და ბექა იძულებული გახდნენ თავშეფარებული პირი გაეცათ, მაგრამ დიდი ყოყმანით. ცხადია, რომ ყაზანი ამის გამო დავით მეფის კმაყოფილი ვერ იქნებოდა, როგორც აგრეთვე იმის გამოც, რომ თვითონ დავითიც ყაენთან არ გამოცხადდა.

§ 95. ყაზან ყაენი და დემეტრე მეორის შვილები

ყაზანის პიროვნება და საქმიანობა. ყაზან ყაენი ირანის ილხანებს შორის ყველაზე ძლიერი მმართველი იყო. მას მაჰმადიანობა ჰქონდა მიღებული და ქრისტიანებს სდევნიდა. ამასთან ერთად, ყაზანი ცდილობდა თავის სამფლობელოში წესიერება დაემყარებინა, მოხელეების ზედმეტობა აეღო და გადასახადების აკრეფისათვის უფრო კანონიერი სახე მიეცა.

მიწის გადასახადებით დიდი დატვირთულობისა და მეფავნეობის გამო, მიწის დამუშავება ირანის საყაენოში ხელსაყრელი არ იყო. გლეხები თავის მიწას სტოვებდნენ და გარბოდნენ.

ყაზანმა მიწის დამუშავებისათვის სოფლის მეურნეებს დიდი შედეგათები მიანიჭა.

ყველა ამ ღონისძიებამ მოსახლეობის მდგომარეობა საყაენოში ცოტათი გააუმჯობესა. მაგრამ არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. ამიტომ მოსახლეობის აყრის შესაჩერებლად ყაზანმა სოფლის მოსახლეობას თვით-

ნებურად სხვაგან გადასვლა აუკრძალა. ამრიგად, ფეოდალური დამოკიდებულება ირანში კიდევ უფრო მკაცრი გახდა, სოფლის მოსახლეობა მიწაზე კიდევ უფრო მკიდროდ მიმაგრებულ იქნა და მიწის დამუშავებაც მის აუცილებელ მოვალეობად გადაიქცა.

ბრძოლა ყაზანსა და დავით მამრავს შორის. 1297 წელს ყაზან ყაენმა დავით მერვე თავისთან დაიბარა, მაგრამ რადგანაც მეფეს ყაენის შურისძიებისა ეშინოდა, მან ირანში წასვლას თავი აარიდა და მთებში გაიხიზნა. დავითმა ქინჯანთან საფრები გააკეთა და შიგ თავისი ჯარი ჩააყენა. ამხვე ღროს დავითმა ჩრდილოეთის, ოჭროს ურდოს. ყაენს თავისი უმცროსი ძმა ვახტანგი გაუგზავნა მოციქულად და აცნობა, რომ მას ირანში შესასვლად გზას მისცემდა.

ჩრდილოეთის ყაენმა ეს წინადადება სიამოვნებით მიიღო. სამაგიეროდ ირანის ილხანი ამ ამბავმა ძალიან შეაფიქრინა. ყაზან ყაენმა დავით მეფეს ზავი შემოსთავაზა, თუ-კი ის ყაზანს შეჰფიცებდა, რომ მისი ერთგული იქნებოდა და მის მტრებთან კავშირს შესწყვეტდა.

ამ დროიდან მოყოლებული დავითი სიტყვიერად წლით-წლობამდე ასეთ პირობაზე თანხმდებოდა, მიჟვლებსაც აძლევდა, მაგრამ ყაზან ყაენთან მისვლას მაინც ვერ ბედავდა.

ეხლა უკვე თათრებმა ძალა იხმარეს, ისინი საქართველოში ჯარებს გზავნიდნენ და გამდგარი თემების დამორჩილებას ცდილობდნენ.

გიორგი მესუთის გადმოხვევა აღმოსავლეთ საქართველოში. რაკი ამრიგად ყაზან ყაენმა დავით მეფე საბოლოოდ ვერ გამოიწვია და ისიც გაიგო, რომ დავითი ჩრდილოეთის ყაენთან მოლაპარაკებას განაგრძობდა, განრისხებულმა 1299 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ დავით მერვის უმცროსი ძმა, გიორგი, დაამტკიცა. გიორგი ამ ღროს მცირეწლოვანი იყო და სამცხის სპასალართან, ბექა ჯაყელთან, იზრდებოდა. გიორგი უფლისწული ჩამოიყვანეს და თბილისში დასვეს. მას თბილისის მეფეს ეძახდნენ, რადგანაც ქართლი, მთიულეთი და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთი ნაწილი დავით მეფის ხელში იყო.

დავითი თათრებს მარჯვედ ებრძოდა და დიდ ზიანსაც აყენებდა მათ. ვერას გზით ყაენის მოხელეებმა მისი ხელში ჩაგდება ვერ მოახერხეს. მაგრამ ქვეყანას თათართა ჯარის დგომითა და ლაშქრობით კვლავ ზიანი მოსდიოდა.

აწლილოზა აღმოსავლეთ საქართველოში და ვახტანგ მესამის გადმოხვევა. 1303 წელს, გაზაფხულზე, ქართლში კვლავ ყაზან ყაენის ნიონი მოვიდა დიდი ლაშქრით. რაკი დავით მერვემ ეხლაც არ შეასრულა ყაენის მოთხოვნა და შიშით ისევ ვეღარ მიენდო მონღოლებს, აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულთა უმრავლესობა ირანის ილხანს დაემორჩილა. ეს თითქოს მეფის თანხმობით ვაკეთდა, მაგრამ სამეფოს რღვევის მომასწავებელი იყო.

რადგანაც დავითი თვითონ მონღოლებს არ ემორჩილებოდა და თანაც თავის ახლომახლო ყმების მორჩილებაში ყოლას ცდილობდა, ომიანობა გრძელდებოდა, ქვეყანა იშლებოდა და ოხრდებოდა. დავითი ჯერ ქსნის ერისთავს წაეკიდა, შემდეგ თავის ძმას ვახტანგს გადაემტერა. ერთი პირობა ძმები თითქოს შერიგდნენ, მაგრამ შემდეგ ისევ აიშალნენ და ვახტანგი ილხანის ურდოში გაემგზავრა.

ყაზან ყაენს ძალიან იამა ვახტანგის ხლება და ის საქართველოს მეფედ დაამტკიცა. ეს უკვე მესამე მეფე იყო აღმოსავლეთ საქართველოში. დავითი ისევ მთიულეთში გამაგრდა და ისე კარგად, რომ მონღოლების ახალმა დიდმა ჯარებმაც მას ვერაფერი დააჯლეს.

ამრიგად, აღმოსავლეთი საქართველო ხუთი წლის განმავლობაში თათქმის განუწყვეტელი ომიანობის ასპარეზი იყო. აოხრდა მთლიანად ყველა თემი, სადაც ბრძოლა წარმოებდა ხოლმე. სხვაგანაც-კი, სადაც მონღოლთა ჯარი მხოლოდ დაბანაკებული იყო, ხენა-თესვა შეუძლებელი ხდებოდა. მიწა დაუშუშავებელი რჩებოდა და ამის გამო შიმშილობა გაჩნდა, რომელმაც ისედაც გაჭირვებულ ხალხს მუსრი გაავლო. დამშუული ხალხი ამ დროს თურქმე მხოლოდ სამცხეში პოულობდა თავშესაფარს.

§ 96. სამცხის მდგომარეობა

სამცხის სამთავროს ტერიტორია. მას შემდეგ რაც სარგის ჯაყელი ულუსიანი გახდა, მას საქართველოს საკმაოდ დიდი ტერიტორია ერგო: მისი საბრძანებელი ტაშისკარიდან (ზორჯომთან) მოკიდებული არზრუმამდე იყო გადაჭიმული. ის უშუალოდ ყაენის საკუთარ ქონებათა სამმართველოს ემორჩილებოდა, ხასინჯუს უწყებაში იმყოფებოდა, მაგრამ სარგისმა თავისი ძველი წოდებულებაც შეინარჩუნა და წინანდებურად სამცხის სპასალარად იწოდებოდა. მისი ვაჟიც, შემდეგ მისი მემკვიდრე და სამფლობელოს გამგე, ბექაც, მანდატურთუხუცესად იწოდებოდა. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ საქართველოსა და მესხეთს შორის კავშირი მთლიანად შეწყვეტილი არ ყოფილა, და დამოკიდებულებაც ამა თუ იმ სახით უეჭველად არსებობდა.

დამოკიდებულება მონღოლებთან. სამცხის დამოკიდებულება ირანის ილხანისაგან, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა სამცხის სპასალარების ძალა-უფლება განმტკიცდა, ისეთივე იყო, როგორც მონღოლების სხვა ყმადნაფიცი სამფლობელოებისა: ბექა ხარაჯას იხდიდა და მონღოლებს ლაშქრით ეწეოდა, როდესაც ამას მოსთხოვდნენ ხოლმე.

ბრძოლა თურქებთან. ბექას მთავრობის დროს რუმელი თურქების შემოსევები დაიწყო მესხეთში. მათ ძარცვა-გლეჯასა და თარეშს მიჰყვეს ხელი. როცა ბექა მანდატურთუხუცესმა ეს გაიგო, თავის ჯარ-

საც დაუძახა და მახლობლად მდებარე სამფლობელოებსაც სთხოვა და
გმარება.

ბექამ თურმე თავმოყრილ ჯარს
შემდეგი სიტყვით მიმართა: მთავარ-
ნო საქართველოსანო, ძმანო და თა-
ნამონათესავენო ჩემნო! დიდმა და
სახელგანთქმულმა მეფემ დავითმა
დაამხო თურქების ძლიერება და სა-
ქართველოს სამეფოდან განდევნა
ისინი. იმ დროიდან მოყოლებული
საქართველოს ისინი აღარ უნახავს.
ეხლა-კი ისინი კვლავ გამოჩნდნენ,
ტაო ააოხრეს და უარესსაც გვიბი-
რებენ. ეს იმის გამო ხდება, რომ სა-
ქართველოს მეფე თათართა მძლავ-
რობისაგან დამცირებულია და იმის
გამოც, რომ საქართველოს თავ-კა-
ცები ცალ-ცალკე არიან გამდგარნი
და თურქთა ამ ძალადობას წინააღმ-
დეგობას არავენ უწევსო.

ბექას სიტყვა გვიჩვენებს, რომ
იმდროინდელს მოწინავე ადამიანებს
კარგად ესმოდათ საქართველოს და-
ქსაქსულობის სიავე და ქვეყნის
ხელახალი გაერთიანების აუცილებე-
ლობა.

თუმცა ბექას მხოლოდ 12 ათასი
ჯარისკაცი შეუგროვდა, მაგრამ მო-
ხერხებული სამხედრო გეგმის წყა-
ლობით მან საქართველოში შემოსე-
ული მტერი სასტიკად დაამარცხა და
დიდი დავლაც ჩაიგდო ხელში.

რუმის თურქების შემოსევა საყუ-
რადღებოა, როგორც საქართველოს
სამხრეთ-დასავლეთის სანაპიროზე თურქთა გაძლიერების დასაწყისი,
რასაც შემდეგში უღარესი მნიშვნელობა ჰქონდა და რასაც საქართვე-
ლოს დამოუკიდებლობისათვის და თვით ამავე მესხეთისათვისაც საბე-
დისწერო შედეგი მოჰყვა.

შართიერთობა ტრაპიზონთან. საქართველოს დასუსტებასთან და-
კავშირებით, ბიზანტიამ მოინდომა ტრაპიზონის საკეისრო მთლიანად
ხელში ჩაეგდო. ბიზანტიის მთავრობამ განზრახ შეთხზა ამბავი, ეითომც



ბექა მანდატურთუხუცესი.
საფარის ფრესკა, XIV ს.

საქ. მუზ. ისტ. განყ.

1297 წ. გარდაცვლილმა ტრაპიზონის კეისარმა იოანემ თავისი მცირეწლოვანი მემკვიდრის ალექსის მეურვეობა ბიზანტიას უანდერძა. ბიზანტიის კეისარი სათანადო გეგმებს აწყოზდა, მაგრამ ქართულმა მართლმადიდებელ ტრაპიზონში ისინი ჩაფუშა.

ტრაპიზონის მეფემ ალექსი მეორემ ისევ საქართველოსაკენ იბრუნა პირი და ბექა ჯაყელის ასული შეირთო ცოლად.

განრისხებული ბიზანტიის მთავრობა ბევრს ეცადა ქართული გავლენა მოეხსო ტრაპიზონში, მაგრამ ვერას გახდა, სანამ ალექსი მეორე არ გარდაიცვალა. მაშინ ბიზანტიელებმა ტრაპიზონში გადატრიალება მოახდინეს და საქართველოს მომხრე დიდი მოხელეები დახოცეს, მათ შორის დიდი ღუკა ლეკი ქაიხიძე და მთავარსარდალი ჯაბა.

შინაშრი სამხიანოზა. ბექა ჯაყელმა სამცხეში წესიერების დამყარება შესძლო. ის ყურადღებას აქცევდა მართლმსაჯულებას. მისი მთავრობის დროს მოწვეულ იქნა საკანონმდებლო კრება, რომელმაც სამართლის წიგნი შეადგინა. ეს წიგნი ქართული სამართლის ისტორიის საყურადღებო ძეგლია.

§ 97. ვახტანგ მესამის მეფობა (1302 — 1308 წ.)

ვახტანგ მესამის სამეფო მთელს აღმოსავლეთ საქართველოსაც-კი აღარ შეიცავდა. დავით მერვეს წინანდებურად მთიანეთი ეჭირა და რაკი სამცხეც გამოყოფილი იყო, ვახტანგი ნამდვილად თბილისისა და თბილისის სამხრეთით მდებარე ნაწილის, დმანის-სამშვილდის, მმართველად იტყვა. ვახტანგი მაინც მშვილობიანი ხასიათის კაცი აღმოჩნდა და ძმებს შორის მწვავე ურთიერთობას აღვილი არ ჰქონია.

უფრო მძიმე იყო ვახტანგის საგარეო მდგომარეობა, რადგანაც მას მუდმივი მონაწილეობა უნდა მიეღო მონღოლების გაუთავებელ ლაშქრობაში. უკვე 1299 წლიდან მოყოლებული ის ეგვიპტის სულტანის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში იმყოფებოდა. ამ დროს მონღოლებმა აიღეს, სხვათა შორის, ქალაქი დამასკოც, რომელიც 1300 წელს ქართველებისა და სომხებისაგან შემდგარ ჯარის ნაწილს ჩაუვარდა ხელში. ოთხი თვის შემდეგ დამასკოელები ირანის ილხანს აუჯანყდნენ და ამიტომ იმავე წელს მათ წინააღმდეგ ახალი ლაშქრობის მოწყობა საჭირო გახდა. ამ ლაშქრობაშიაც ვახტანგ მესამემ და საქართველოს ჯარმა მონაწილეობა მიიღეს. ეს ომი სამი წელიწადი გაგრძელდა და მონღოლთა საშინელი დამარცხებით დამთავრდა. ამ ბრძოლამ დიდძალი თათარი და ქართველი მოლაშქრე იმსხვერპლა. ყაზან ყაენი თავისას მაინც არ იშლიდა და ისევ ომის სამზადისში იყო, მაგრამ 1304 წელს იგი მოკვდა.

ახალმა ყაენმა გილანის (ირანის ჩრდილოეთი მთიანი თემის) დაპყრობა სცადა. ამისათვის მან მრავალრიცხოვანი ლაშქარი შეჰყარა და საქართველოდანაც ვახტანგ მესამე და სამცხის სპასალარი დაიბარა თავისი

ჯარებით. ჯერ იერიშის მიტანა, შემდეგ უკან დახევის დროს უკანმავალ ჯარის დაცვა ქართველებს ჰქონდათ დავალებული. ირანის ილხანის ლაშქარი დამარცხდა. ამ ომშიაც აუარებელი ქართველი მეომარი დაიღუპა. 1308 წელს გარდაიცვალა ვახტანგ მესამე, სამი წლის შემდეგ-კი მისი უფროსი ძმა დავით მეგრეც მოკვდა.

§ 98. შინაური მდგომარეობა საქართველოში მე-14 საუკუნის დამდეგს

თათართა ბატონობის შედეგები. თუ როგორი შედეგები მოუტანა მონღოლების ბატონობამ საქართველოს, ეს კარგად არის გამოხატული ყაენის ერთ ბრძანებაში, რომელიც 1319 წლის ახლო ხანში იყო გამოცემული. ყაენს ამ თავის ბრძანებაში ნათქვამი აქვს, რომ საქართველოში და საქართველოს ქალაქებში, მათ შორის — ანისში, თურმე სრულებით თვითნებურად და უკანონოდ მრავალი სხვადასხვა გადასახადი და გამოსადეგელი იკრიფებოდა. ამის გამო საქართველოს ქალაქების მოსახლეობა ისე ყოფილა შეწუხებული, რომ ხალხით, ნათქვამია ყაენის ბრძანებაში, ქალაქებიდან და სოფლებიდან გარბის და თავისი უძრავ-მოძრავი ქონება და სახლ-კარი მიატოვავ. ყაენი ვითომ კრძალავდა ამ თვითნებობასა და უსამართლობას, მაგრამ ცარიელი ბრძანებით დარღვეული სახელმწიფოს აღდგენა შეუძლებელი იყო.

საზოგადოებრივი წყობა. თათართა ბატონობის ხანაში საქართველოს საზოგადოებრივ წყობასა და ცხოვრებას დიდი ცვლილება დაეტყო. ეხლა წოდებრივ ფენათა შორის უმაღლესი საფეხური საქართველოში უკვე აზნაურებს აღარ ეკავათ, არამედ აზნაურებზე უფრო მაღლა დიდებული იდგნენ. თავადობა, როგორც წოდება, მე-13 და მე-14 საუკუნეების განმავლობაში ჯერ ჩამოყალიბებული არ იყო. დიდებულთა ჯგუფი წარმოდგენდა გარდამავალ საფეხურს თავადთა წოდებისაკენ.

თვალსაჩინოდ გამოიკვალა გაბატონებული საგვარეულოების შემადგენლობა. ძალიან ხშირად, ეამთასიავის წყალობით, ძველს დიდ საგვარეულოებსა და კერძო პირებსაც თავისი წინანდელი მდგომარეობის შენარჩუნება უძნელდებოდათ. რაკი წოდებრიობა დამყარებული იყო ეკონომიურ საფუძველზე, გადარიბება უნებლიეთ დაქვეითებას იწვევდა. ზოგი კიდევ თავისი ქონებრივი მდგომარეობისა და სამსახურებრივი დაწინაურების წყალობით აღზევებას ახერხებდა. ამრიგად, ბევრი ძველი და დიდი საგვარეულო მოისპო, მათ მაგიერ-კი ახალი საგვარეულოები დაწინაურდა.

ზღუდვების მდგომარეობის გაუარესება და კლასთა ბრძოლა. საგრძნობი ცვლილება მოხდა აგრეთვე სოფლის მოსახლეობის მდგომარეობაში. ირანის ილხანების მძარცველობამ და მოხელეთა ბოროტმოქმედებამ მიწის მუშა ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ მას მი-

წის დამუშავებას გაქცევა ერჩია. რაკი სოფლის მოსახლეობა თავის მიწა-წყალს მრავლად სტოვებდა კიდეც და ცდილობდა ამ საშინელებით, სათვის თავი დაეღწია, ყაზან ყაენმა, როგორც ვიცით, თავის მიწა-წყალს, თვითნებურად მიტოვება და სხვაგან გადასახლება აკრძალა ირანში. ვინც ამას ჩაიდენდა, ის თავის ქვეყანაში და თემში იძულებით უნდა ყოფილიყო დაბრუნებული და, ამას გარდა, უნდა დაესაჯათ კიდეც.

საქართველოში გლეხობის ერთი ნაწილი უკვე წინათაც იყო მიწაზე მიმაგრებული. მონღოლურ ხანაში ასეთი გლეხების რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ამასთანავე, რამდენადაც საქართველო ირანის ილხანების ყმადნაფიცი სამფლობელო იყო, ყაზან ყაენის კანონს საქართველოშიც უნდა მოეხდინა ერთგვარი გავლენა.

ამრიგად, მე-13 — მე-14 საუკუნეებში საქართველოში ყმა-გლეხების მდგომარეობა დიდად გაუარესდა. ამ ნიადაგზე კიდეც უფრო გამწვავდა დამოკიდებულება მემამულე აზნაურებსა და ყმა-გლეხებს შორის და მათ შორის ხანგრძლივი, სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა.

იმ გლეხების მდგომარეობის გაუარესების გარდა, რომელნიც წინათაც ყმებად ითვლებოდნენ, გაუარესდა აგრეთვე თავისუფალი გლეხების მდგომარეობაც. ასეთი თავისუფალი გლეხობა იმ დროს ჯერ კიდეც საკმაოდ რაოდენობით იყო შემორჩენილი მთიან რაიონებში. ამ რაიონების მმართველმა დიდმა აზნაურებმა, რომელთაც სამოხელეო თანამდებობა მეფისაგან ჰქონდათ მიღებული, მოიწადინეს, რომ მათ ხელქვეით მყოფი მოსახლეობა ისეთ დამოკიდებულებაში ჩაეგდოთ, როგორიც მათსა და მათ პირად ყმებს შორის არსებობდა.

მთიანეთის მოსახლეობას თავისი უფლებების ასეთი შეზღუდვა მტკივნეულად უნდა ეგრძნო და მკაცრი წინააღმდეგობაც გაეწია. მართლაც, მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-14 საუკუნის დამდეგს ამ დიდ მოხელეებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის მთიანეთში ძალიან გამწვავებული ურთიერთობა ყოფილა.

მთელი სოფლის ან მთელი ხეობისა თუ თემის შეზრახებითა და მონაწილეობით მთიელები ხოცავდნენ ერისთავ-გამგებლებს, ციხეებს უქცევდნენ მათ, კარ-მიდამოს უწვავდნენ და, ამრიგად, შეუპოვრად იცავდნენ თავის უფლებებს.

საქართველოს სამეფოს მთლიანობის აღდგენა

§ 99. გიორგი მეხუთის, ბაგრატიონის, მეფობა

გიორგი მეხუთე, დემეტრე თავდადებულის ძე, როგორც ვიცით, ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო სამეფო ტახტზე აყვანილი, მაგრამ მაშინ მას თავისი ხელისუფლების გამოყენება არ შეეძლო.

ურთიერთობა ილხანებთან. როცა 1314 წ. გიორგი მეხუთე, ბრწყინვალედ წოდებული, შეუდგა სამეფოს მართვა-გამგეობას, ამ დროს ირანში მთელი ძალა-უფლება პირველ ვაზირს, ჩობანს ეპყრა. ყაენი ჯერ კიდევ პატარა იყო.

ჩობანი საქართველოს მეფეს მეგობრობდა. ის აფასებდა გიორგის ნიჭსა და ჭკუას და მას ეთათბირებოდა ხოლმე ირანის საქმეებზე. მეფე გიორგი ჩობანისათვის ძვირფასი და საპირო იყო მარტო როგორც პირადი მეგობარი კი არა, არამედ როგორც მისი თანამოაზრე და თანაგამზრახი.

ირანის ილხანების ძლიერება ამ დროს შერყეული იყო. მონღოლთა ჯარი მათთვის სანდო სამხედრო ძალას უკვე აღარ წარმოადგენდა. საქართველოს ჯარს-კი, მისი მაღალი სამხედრო თვისებების გამო, ირანის მბრძანებლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა, საქართველოს სამხედრო ძალა მათთვის დასაყრდენი გახდა. ეს დამოკიდებულება ჩობანთან გიორგი მეფემ კარგად გამოიყენა თავის სამეფოს საქმეების მოსაგვარებლად. გიორგი მეფეს საშუალება ჰქონდა იმდენად თავისუფლად ემოქმედნა თავის სამფლობელოში, რომ თუმცა ილხანების ბრძანება საქართველოშიც მოდიოდა, მაგრამ, თანამედროვე უცხოელი ისტორიკოსების ცნობით, მას საქართველოში ძალა აღარ ჰქონდა. ირანის მბრძანებლებს საქართველოში ამ დროს ლაშქარიც საკ-

მაოდ შემცირებული ჰყავდათ: 10 ათას მეომარზე მეტი მათ აქ არ გააჩნდათ. ისინიც უმთავრესად საქართველოს საზღვრების დასაცავად იდგნენ.

ამრიგად, გიორგი მეფემ გამაგრება და ქვეყნის გაერთიანება მოახერხა. მაგრამ, როცა ირანის ყაენი სრულწლოვანი გახდა, ყაენის კარზე ჩვეულებრივი ამბავი დატრიალდა: ჩობანი და მისი ოჯახი ყაენის ბრძანებით ამოსწყვიტეს, ირანში დიდი არეულობა ატყდა და ილხანების ხელისუფლების აღსასრულის დღეც მოახლოვდა. გიორგი მეფემ ეს მდგომარეობაც თავის სასარგებლოდ გამოიყენა.

შინაგანი წესრიგის დამყარება. გიორგი მეფის პირველ ამოცანას საქართველოში შინაური წესრიგისა და მშვიდობიანობის დამყარება შეადგენდა. შუაგულ ქართლში ისევ ოსთა თარეშები დადიოდა და ქვეყანას დიდ ვნებას აყენებდა. გიორგი მეხუთე ამ თარეშების აღაგმევას და შინა საქართველოდან განდევნას შეუდგა. რადგან ოსებმა სამხედრო ძალა გორში იყო გამაგრებული, გიორგიმ გორს ალყა შემოარტყა და სამი წლის ბრძოლის შემდეგ აიღო ის.

გიორგი ბრწყინვალის მეორე ამოცანას მთავართა თვითნებობისა და მათი დამოუკიდებლობისადმი მიდრეკილების მოსპობა წარმოადგენდა. მან ჰერეთ-კახეთისა და სომხეთის ერისთავნი, რომელნიც წინათ თარეშებს ემხრობოდნენ, კახეთში ცივის მთაზე მიიწვია და ამოაწყვეტინა.

იმერეთისა და სამცხის შემოერთება. დასავლეთ საქართველოს შემოსაერთებლად გიორგი ბრწყინვალე უფრო ფრთხილად იქცეოდა. ნარინ დავითის გარდაცვალების შემდეგ მისი ვაჟი კონსტანტინე რომ გამეფდა, მას, როგორც ვიცით, ძმა აუჯანყდა, მიქელი. მათ შორის მტრობა კარგა ხანს გრძელდებოდა და 1327 წელს, კონსტანტინე რომ გარდაიცვალა, მიქელი ბოლოს მეფობას ეღირსა. მაგრამ მას ორ წელიწადზე მეტი არ უცოცხლია. მიქელს პატარა ბავშვი, ბაგრათი, დარჩა. გიორგი ბრწყინვალემ ამ შემთხვევით ისარგებლა, დასავლეთ საქართველოში გადავიდა, ქუთაისი აიღო და ბაგრათი თან წამოიყვანა. ამით საქართველოში არსებული ორმეფობა მოისპო და სახელმწიფოებრივი მთლიანობა აღდგენილ იქნა.

1334 წელს სამცხის მთავარი სარგის მეორე გარდაიცვალა და მისი ვაჟი ყვარყვარე თვითონ გიორგი მეფემ დაამტკიცა სამცხის მმართველად. ამრიგად, სამცხის მთავრის სამფლობელოც შემოუერთდა სრულიად საქართველოს.

საპანონმდებლო მუშაობა. გიორგი ბრწყინვალის მეფობას ცხოველი საკანონმდებლო მუშაობა ახასიათებს. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოს მთიანეთის თემებს. სადაც, როგორც ვიცით, მე-14 საუკუნის დამდეგისათვის დიდი საზოგადოებრივი ბრძოლა წარმოებდა. გიორგიმ საკანონმდებლო კრება მოიწვია და ამ მთიანეთისათვის სამართლის წიგნი, „ძეგლის დადება“, შეადგენინა. ამავე ხანში შედგენილი „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელშიც მაშინდელი სა-

ქართველოს სახელმწიფო წესწყობილების მაღალი დონე და საგრძნობი ეკონომიური მოდონიერება კარგად არის აღბეჭდილი.

სამეურნეო მდგომარეობა. გიორგი ბრწყინვალემ წინა ხანაში ყაზან ყაენის დროს, მოჭრილი ფულის მაგიერ, რომელიც ყაზანური თეთრის სახელით იყო საქართველოში ცნობილი, საკუთარი ფული მოს-პრა. ეს იყო ახალი ქართული ვერცხლის ფული, რომელიც გიორგი-ულ თეთრად იწოდებოდა.

მდგომარეობის გაუმჯობესება საქართველოს დედაქალაქსაც კარგად დაეტყო. გიორგი ბრწყინვალის მეფობის ხანისათვის ევროპელები თბი-ლისს სთვლიდნენ მთელი ახლო აღმოსავლეთის საუკეთესო, ერმრავალ, მდიდარ და შესანიშნავ ქალაქად.


§ 100. საქართველოს სამეფოს სამართავოების მნიშვნელობის აღგება

საქართველოს გაერთიანებისა და ირანის ილხანების დამოკიდებულე-ბისაგან განთავისუფლების შემდეგ გიორგი ბრწყინვალე აქტიურ საჯა-რეო პოლიტიკაზე გადავიდა.

ზამოლა ტრაპიზონის სამეფოს გამო. თავისი ყურადღება მი-აქცია გიორგი მეფემ ტრაპიზონის სამეფოს. რომელიც, როგორც ვიცით, თამარის დროიდან მოყოლებული საქართველოს გავლენას ემორჩილე-ბოდა.

1341 წელს ტრაპიზონს თურქები შეესივნენ, თვით სატახტო ქალაქიც ჩაიგდეს ხელში, გადასწვეს და ხალხიც საკმაოდ დაჰხოვეს. მაშინ ტრა-პიზონის ყოფილი კეისრის დამ, რომელიც მონასტერში იყო წასული და რომელსაც ანა-ხუტლუს ეძახდნენ, მონაზვნის სამოსელი გაიძრო და საქართველოში გამოიქცა. ათი დღის შემდეგ ანა-ხუტლუ ქართველი ჯა-რით თავის სამშობლოში დაბრუნდა, დედოფალი ირინე, ბიზანტიის კე-ისრის ასული, ტახტიდან ჩამოაგდო და თავისი თავი მეფედ გამოაცხადა. აშკარაა რომ ეს ყველაფერი საქართველოს მთავრობის წინასწარი გეგ-მის თანახმად იყო მოწყობილი. დასახული მიზნის მიღწევის შემდეგაც საქართველოდან მოსული ჯარის ნაწილი ისევ ტრაპიზონში დარჩა.

ურთიერთობა ეგვიპტესთან. კიდევ უფრო დიდი გავლენა მოიხ-ვეჭა საქართველოს სამეფომ, გიორგი ბრწყინვალის დროს, მაჰმადიანურ აღმოსავლეთში. საქართველოს ძლიერების ხმამ მიაღწია ეგვიპტემდისაც, რომელთანაც გიორგი მეფეს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა. თუ რო-გორ პატივს სცემდნენ ეგვიპტის სულტანები საქართველოს სამეფოს, ეს კარგად ჩანს სულტანების მიმართვის წესიდან ქართველ მეფეებისადმი.



თმოგვის ციხე.

არაბი ისტორიკოსების ცნობით, სულტანები საქართველოს მეფეს ასე სწერდნენ ხოლმე: „დღეგრძელჰყოს ალლაჰმა ბრწყინვალემა მისი უდიდებულესობისა, ზელმწიფისა სახელოვანისა და სახელგანთქმულისა, მამაცისა, უშიშრისა, ძლიერისა, დაუცხრომელად მეგრძოლისა, ღმრისა, ტახტის გვირგვინის მპყრობელისა, თავის სარწმუნოების მფარველისა, თავის ქვეშევრდომთათვის სამართლიანისა, ბერძენ (ე. ი. მართლმადიდებელ) მეფეთა შორის საუკეთესოსი, ქართველთა სულტანისა, ზღვათა და სრუტეების განძისა, რაინდთა დამცველისა, თავის წინაპართაგან ტახტ-სკიპტრის დამამკვიდრებელისა, რუმის (ე. ი. რომ-ბიზანტიის) მეფეთა და ირანის ქვეყნების მემკვიდრისა, ასურეთის მეფეთა მფარველისა, გვირგვინოსანთა შორის ურჩეულესისა, ქრისტიანობის განმადიდებელისა, იესოს სარწმუნოების საყრდნობისა, წმინდა ადგილთა განმადიდებელისა, ნათელღებულთა მისაყრდნობისა, რომის პაპის მეშველისა, მუსლიმანთა მეგობრისა, დაახლოებულ მეგობართა შორის უმშვენიერესისა, მეფეთა და სულტანთა უგულითადესი მეგობრისა“.

გიორგი ბრწყინვალის თხოვნით, ეგვიპტის სულტანმა გაუგონარი შეღავათები მიანიჭა ქართველებს ქრისტიანების მიერ წმინდად მიჩნეულ ადგილებში. სულტანმა უკან დაუბრუნა ქართველებს ძველი ქართული მონასტერი პალესტინაში, **ჯ ე ა რ ის მ ო ნ ა ს ტ ე რ ი**, რომელიც მამ-

მადიანების მიერ იყო ჩამორთმეული და მაჰმადიანურ სამლოცველოდ
გადაქცეული. გარდა ამისა, ქართველებს ნება მიეცათ იერუსალიმში
შესვლისას ცხენზე ჩვეულებრივი წესით მსხდარიყვნენ, რაც მანამდე
ყველა ქრისტიანისათვის აკრძალული იყო.

ცხადია, ეგვიპტის სულტანი იმიტომ უთმობდა საქართველოს ამდენს,
რომ საქართველოს სამეფოს ძალასა და მეგობრობას ღიდად აფასებდა.

ამრიგად, მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველომ მოახერხა
თავისი ძველი საერთაშორისო მნიშვნელობის აღდგენა.

გიორგი ბრწყინვალე გარდაიცვალა 1346 წელს.

თავი XIII

თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში

§ 101. გიორგი ბრწყინვალის მემკვიდრეები

სამეფო ტახტზე 1346 წელს გიორგი ბრწყინვალის მაგიერ მისი ვაჟი დავით მეცხრე ავიდა. მისი მეფობის შესახებ ჩვენ ძალიან ცოტა ცნობები მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ 1346 — 1348 წლებში საქართველოში შავი ჭირი მძვინვარებდა და დიდი სიკვდილიანობა იყო. ამასთან ერთად ხალხი შფოთიანობისა და ქონებრივი გაჭირვებისაგან იყო შეწუხებული.

დაახლოებით ამავე ხანებში ირანელი მონღოლები საქართველოს ქვეშევრდომ სომხურ თემებს შემოსევიან, ციხე-ქალაქი ბიჯნისი დაუნგრევიათ და ხალხიც დაუხოციათ.

1360 წელს დავით მეცხრე გარდაიცვალა და მეფედ დაჯდა მისი შვილი ბაგრატ მეხუთე, შემდეგში დიდად წოდებული.

ბაგრატ მეხუთის სამფლობელოს საზღვარი.

ბაგრატ მეხუთეც სრულიად საქართველოს მეფე იყო. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სამხრეთ-დასავლეთით ამ დროს მაკრიალის ხეობის გასწვრივ გადიოდა. ამრიგად, გონია, მაკრიალი, აჭარა, შავშეთი და კლარჯეთი საქართველოს საზღვრებში იყო მოქცეული. მთელი მესხეთი საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა. ქალაქი ანისიცა და მისი ოლქი საქართველოს სახელმწიფოს სამფლობელოს შეადგენდა.

თავის წინანდელ ყმადნაფიც სამფლობელოებთანაც საქართველოს კავშირი შეწყვეტილი არ ჰქონდა. გაჭირვების დროს სწორედ საქართველოს სთხოვდნენ ზოლმე ისინი დახმარებას.

ჩრდილოეთით საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი კავკასიონის ქედს იქითაც გადადიოდა: დვალეთი და ოსეთი საქართველოს ეკუთვნოდა.



ცნობების ნაკლებობა გაზრატის მეზობაში. ბაგრატ მეხუთის მეფობის პირველი პერიოდის შესახებაც ცნობები თითქმის სრულებით არ არის შემონახული. საფიქრებელია მხოლოდ, რომ ამ ხანაში საქართველოს სამეფო კვლავ დიდი გავლენით სარგებლობდა მეზობელ ქვეყნებში. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ ბაგრატ მეხუთეს ქართულ საისტორიო მწერლობაში „დიდი“ ეწოდა და საქართველოს საზღვრებს გარეთაც იგი დიდად სახელგანთქმული იყო. ტრაპიზონელი ისტორიკოსები ბაგრატს „უსახელოვანეს მხედართმთავარს“ უწოდებდნენ, თანამედროვე სომეხი მწერლები-კი — „ძლევამოსილსა და ძლიერს“.

ბაგრატ მეხუთის მეფობის დამლევისათვის საქართველოს თავს დაატყდა დიდი უბედურება. ეს იყო ახალი დამპყრობელის, თემურ-ლენგის, შემოსევები.

§ 102. თემურ-ლენგის პირველი შემოსევა საქართველოში

თავდაპირველად თემური ერთი შუააზიელი მოთარეშე რაზმის მეტაური იყო. კოკლოზის გამო თემურს მეტსახელად „ლენგი“ შეერქვა („ლენგ“ ანუ „ლანგ“ სპარსულად კოკლს ნიშნავს).

მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში შუა აზიაში ჩინგიზ-ხანის შთამომავალნი მეტად დასუსტებული და თითქმის მთლად გადაშენებული იყვნენ. ლანგ-თემურმა ანუ თემურ-ლენგმა ისარგებლა ამ გარემოებით და თავისი სამხედრო ნიჭის წყალობით 1360 — 1370 წლებში დიდი სამფლობელო შექმნა.

თავის საჯდომ ქალაქად მან სამარყანდი გაიხადა, და იქიდან ახალ-ახალი ქვეყნების დასაპყრობად შეუწელებელს სამხედრო მოქმედებას აწარმოებდა. შუა-აზიიდან თემურ-ლენგი მალე ირანშიაც გადმოვიდა და ილხანების უკვე დარღვეული სამფლობელოს დიდი ნაწილი ხელში ჩაიგდო.

თემურ-ლენგის ასეთი სწრაფი გაძლიერება ოქროს ულუსის მბრძანებელმა, თოხთამიშ-ხანმა, თავისთვის სახიფათოდ ჩასთვალა და გადასწყვიტა საშინო მოწინააღმდეგისათვის დაესწრო.

1385 წელს ზამთარში თოხთამიშის ჯარი ადარბადაგანს შეესია და თავრიზი აიღო. მონღოლური ჩვეულების თანახმად აქ დიდძალი ხალხი იქნა დახოცილ-აწიოკებული. აუარებელი ნადავლით დატვირთულნი ჩრდილოეთის ულუსის მოლაშქრენი უკან გაეშურნენ და შინისაკენ მიმავლებმა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის თემებიც ააოხრეს.

თემურ-ლენგი ამ ამბავმა საშინლად განარისხა. 1386 წელს მან თავრიზი აიღო, მაგრამ ვიდრე ჩრდილოეთის ულუსზე გაემართებოდა, ჯერ საქართველოსაკენ იბრუნა პირი. თუმცა თემურ-ლენგმა ხმა დაჰყარა, ვი-

თომც მას საქართველოში მხოლოდ მაჰმადიანობის გავრცელება ჰქონდა განზრახული, ნამდვილად მისი შემოსევის მიზეზი სხვა იყო. თემურის აზრით, თოხთამიშს არ შეეძლო ჩრდილოეთიდან ირანში შეტრილიყო, საქართველოს მთავრობასთან რომ წინასწარ შეთანხმება არ ჰქონოდა. მომავალში ჩრდილოეთის საზღვრის დასაცავად ოქროს ულუსის შემოსევისაგან, თემურს უნდოდა კავკასიონის გადმოსასვლელი გზები შეეკრა, პირველ რიგში — დარიალა და დარუბანდი.

ჩვეულებისამებრ, თემურ-ლენგი საქართველოს წინააღმდეგ მოულოდნელად დაიძრა. ჯერ მან სომხეთის ციხე-სიმაგრეები აიღო და გაანადგურა, მათ შორის — გარნისი და კარი (ყარსი), შემდეგ ჯაფახეთში შემოიჭრა. აქედან, დიდი ყინვების მიუხედავად, თემური საქართველოს დედაქალაქისაკენ გამოემართა. თბილისი ისედაც მაგარი ციხე იყო, ეზლა-კი ის საქართველოს ჯარს გულდაგულ ჰქონდა გამაგრებული და თავგანწირვითაც იცავდა მას.

თემურმა ყოველი ღონე იხმარა თბილისის ასაღებად: ალყა შემოარტყა და გზები შეუკრა ქალაქს, შემდეგ საგანგებო საომარი მანქანები და იარაღი გაამართვინა. 1386 წლის ნოემბრის 21-ს თათრებმა, რომლებსაც თვითონ თემური ხელმძღვანელობდა, თბილისზე იერიში მოიტანეს. თათრები ქართველი მეომრების ისრებისაგან თავს დიდი ჩელტებით იფარებდნენ. სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ თემურმა თბილისი აიღო და მეფე ბაგრატის ოჯახიანად ტყვედ იგდო ხელში.

თბილისის აღებას მოჰყვა თანამედროვე საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიის დალაშქვრა და აოხრება თემურის ჯარების მიერ.

შემდეგ თემურ-ლენგმა ბაგრატ მეფეს, რომელიც მას ტყვედ ჰყავდა, გამაჰმადიანება მოსთხოვა. ბაგრატი, დიდი ყოყმანის შემდეგ, გარეგნულად დათანხმდა, რომ ამ მტარვალის ტყვეობისათვის როგორმე თავი დაედო. ამასთანავე ბაგრატმა თემურ-ლენგს ძვირფასი საჩუქრები მიუძღვნა, მათ შორის — ერთი უცხო ჯაჭვის პერანგიც. თათართა მბრძანებელს ეს ძღვენი ძალიან მოეწონა და ბაგრატი, უხვად დასაჩუქრებული, საქართველოში დააბრუნა. ეს შეთანხმება 1387 წელს მოხდა.

ამ დღიდან მოყოლებული 1393 წლამდე საქართველოს საშუალება ჰქონდა ცოტათი მაინც დაწყნარებულიყო და მოყენებული ზარალის გამოსწორება დაეწყო.

§ 103. საქართველოს გარდაღება მამლუკთა მიერ თემურის წინააღმდეგ

თემურის მეორე შემოსევა. 1393 წელს ლანგ-თემური მეორეჯერ შემოესია საქართველოს, თითქოს ურჩების დასასჯელად. ამ დროს საქართველოს სამეფო ტახტზე ბაგრატის მაგიერ უკვე მისი შვილი გიორგი

მეშვიდე¹ იჯდა. თემურის ლაშქარი სამცხის თემს მოედო და აქ თარეში დაიწყო, ციხეები ჩაიგდო ხელში და დაანგრია. თემურის ჯარს ყველგან მელგარ წინააღმდეგობას უწევდნენ: გზის გაკაფვა მას მხოლოდ ბრძოლის საშუალებით შეეძლო.

სამცხის, მტკვრის სათავესა და კარის (ყარის) თემების მორბევის შემდეგ თემური თბილისში გადმოვიდა, მაგრამ აქ დიდხანს არ დარჩენილა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიისაკენ გაემართა.

თემურის მისამხე შემოსევა. 1394 წელს თემური მისამეჯერ შე-
მოესია საქართველოს. თემურს ეკვი ჰქონდა, რომ საქართველოს მთავ-
რობა ჩრდილოეთის ულუსთან, არის დაკავშირებული და თოხთამიშს და-
რიალის გზას უხსნისო. სწორედ ამიტომ თემურმა მაშინვე არაგვის ხეო-
ბისაკენ გაილაშქრა, მაგრამ იმ დროს, როდესაც თემურ-ლენგის ჯარი
არაგვის ხეობაში იბრძოდა, თოხთამიშ-ხანმა თავისი სამხედრო ძალა უფ-
რო აღვილი, დარუბანდის, გზით გაგზავნა.

მართალია, თემურის ჯარმა არაგვის ხეობაში ციხეები დაიპყრო, მაგ-
რამ მაინც მისი მთავარი მიზანი, დარიალის კარის ხელში ჩაგდება, განუ-
ხორციელებელი დარჩა. თემურმა ეხლა მთელი თავისი ძალა ოქროს ურ-
დოს წინააღმდეგ მიმართა.

1395 წელს თემურ-ლენგმა თერგის პირას საშინლად დაამარცხა თოხ-
თამიში, მისი სატახტო ქალაქიც აიღო, მთლიანად გაძარცვა და დაანგ-
რია. მომდევნო წლებში თემური უკვე სხვა საქმეებში იყო გართული.
1398 წელს მან ინდოეთს გაილაშქრა.

საქართველოს გადასვლა ახტიურ მოქმედებაზე. იმ დროს,
როცა მონღოლთა მბრძანებელი ინდოეთის ლაშქრობაში იმყოფებოდა,
თემურის დაპყრობილმა ან ყმადნაფიცმა ქვეყნებმა თავისი დამოუკიდებ-
ლობის აღდგენა სცადეს.

საქართველო თავდასხმაზედაც-კი გადავიდა: ქართველმა ჯარმა ადარ-
ბადაგანი დალაშქრა, თემურის რაზმები დაამარცხა და ზოგი მნიშვნელო-
ვანი იქაური სიმაგრე ხელში ჩაიგდო.

თემურ-ლენგი რომ ინდოეთიდან დაბრუნდა და ეს ამბავი გაიგო, სა-
შინლად განარისხდა. მან გადასწყვიტა ასეთი კანდიერებისათვის საქართ-
ველო სამაგალითოდ დაესაჯა.

თემურის მეოთხე შემოსევა. ამჟამად თემური საქართველოს აღ-
მოსავლეთიდან შემოესია, კახეთისა და ჰერეთის თემებში. ამ თემების
მმართველი მაშინ ხიშშია ყოფილა. თემურმა ბრძანება გასცა, რომ ტყით
დაბურულ საქართველოს ამ თემებში სამხედრო მოქმედების ვასაადვი-
ლებლად წინასწარ გზები გაეკაფათ. ოცი დღის განმავლობაში განუწყ-
ვეტლივ თოვდა და დიდი თოვლიც დასდო. საქართველოს ჯარი მტერს

¹ გიორგი მეექვსედ იწოდება დავით მეგრის მცირეწლოვანი შვილი, რომელიც მრავალშეფაინობის ხანაში მეფობდა ცოტა ხანს (1311 — 1313).

გაფთრებულ წინააღმდეგობას უწყევდა. თემურ-ლენგის სპარსული ისტორიკოსი ამბობს, ამ ბრძოლაში იმდენი სისხლი დაიღვარა, რომ თოვლით დაფარული ველები ლალისა და ბროწეულის ყვავილის ფერად იყურებოდა. ბოლოს მაინც თემურის ურდომ სძლია და ქართველები უკან დაიხიეს. მიტოვებულ ქვეყანას მტრის ლაშქარი მოედო და ძარცვა-გლეჯას შეუდგა.

თემურ-ლენგის მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა. მან თავის ჯარს უბრძანა, სადაც ხელი მიუწვდებოდათ, ვენახები, ბაღები, ბოსტნები გაეჩეხათ, ეკლესიები, სამლოცველოები, სასახლეები, სხვა შენობები, რის დანგრევაც შესაძლებელი იყო, დაენგრიათ. თვით თემურ-ლენგის ისტორიკოსის სიტყვით, თემურს ინდოეთშიაც არ დაუწვრევია იმდენი შენობა, რამდენიც საქართველოში.

ერთი სიტყვით, თემურ-ლენგს განზრახული ჰქონდა ძირიანად მოეთხარა ქართველობა, მოესპო ხალხი და მთელი მისი კულტურა. თემურის სპარსელი ისტორიკოსი ამბობს, ქართველები უღვინოდ და უხილ-შწვანილოდ პურს არ სჭამენ და ცხოვრების სიამოვნებას ვერ ჰგრძნობენო. თემური მარტო ცხოვრების სიამოვნებას კი არ უსპობდა ქართველობას, არამედ იმ საძირკვლის დარღვევას ლაშობდა, რომელზედაც ქართველი ხალხის მატერიალური დოვლათი იყო აშენებული.

მტარვალის ანგარიში არ გამართლდა: ომის დამთავრება ისე სწრაფად ვერ მოხერხდა. მთელი თვის განმავლობაში ბრძოლა მიმდინარეობდა, ხალხიც ბევრი დაიხოცა, ქვეყანაც აოხრდა, მაგრამ მაინც ვერც ამ თემის მთავარსარდალი ხიშშია ჩაიგდო ხელში თემურმა, ვერც სხვა ვინმე, რომ ზავის პირობებზე ხელი მოეწერინებინა. რაკი ქართველი ხალხის წინააღმდეგობა არ გატყდა და ძალიან მკაცრი ზამთარიც იდგა, თემურის ლაშქარს ზარალი დიდი მოსდიოდა. ცხენებსაც საქმელი აღარ მოეპოვებოდათ, ისე რომ იძულებული იყვნენ ხის ქერქით გამოეცვებათ. ამის გამო თათრებს დიდძალი საქონელი დაეხოცათ. მათი მბრძანებელი იძულებული გახდა საქართველოდან უკან დაეხია და ყარაბაღში დაბრუნებულიყო.

თემურის მეხუთე შემოსევა. 1400 წელს თემურმა გიორგი მეფეს ელჩი გამოუგზავნა და გადაჰრით მოსთხოვა, რათა გიორგის მისთვის მიეცა ერთი მაჰმადიანი მფლობელი, თემურის მტერი, რომელიც საქართველოში იყო შემოხიზნული. გიორგი მეფემ ამაზე მკვანხე პასუხი შეუთვალა. ამით განრისხებული თემურ-ლენგი კვლავ საქართველოში შემოიჭრა.

ეხლაც თავის ჯარს მან უბრძანა, რომ მარტო ხალხი კი არ ეხოცათ, არამედ შენობები, ნათესები, მოსავალი, ვენახები და ხეხილიც გაენადგურებინათ. ასეთ პირობებში ბარად მტერთან ბრძოლა ძნელი იყო და საქართველოს სარღლობამაც გადასწყვიტა, ბრძოლის წესი შეეცვალა. ქართველებმა ბარიდან დაიხიეს და მთიანეთში დაიწყეს გამაგრება, რადგანაც ვიწრო ხეობებში დიდი მტრისათვის გზის შეკვრა მცირე ლაშქრის

საშუალებითაც იყო შესაძლებელი. ამ ხეობებში ქართველებს სახიზარე-
ბიც ჰქონდათ: გამოქვაბულებში შედიოდნენ, შემოსეულ მტერს იჭიდან
ესროდნენ ისარს და მუსრს ავლებდნენ. ასე გაამაგრეს, მაგალითად, არაქ-
ვის ხეობა.

თემურ-ლენგი სასტიკი ბრძოლით შევიდა არაგვის ხეობაში და გამო-
ქვაბულებში შეხიზნული ხალხის მოსპობა სცადა. მან დიდი კალათები
დააწნევინა, შიგ თავისი მოლაშქრეები ჩასხა და ამ გამოქვაბულების
გასწვრივ საბლებით ჩამოუშვა, რომ მათ შეხიზნული ქართველი მოლაშ-
ქრეებისათვის იჭიდან აეტეხათ სროლა. სადაც წინააღმდეგობის დაძლევა
ამითაც ვერ მოხერხდა, თემურმა ბრძანება გასცა, ისრის პირებზე ნაძენ-
ძი დაეხვიათ, ნავთში ამოეცლოთ და გამოქვაბულებში მყოფ ქართველ
მებრძოლთათვის ცეცხლმოკიდებული ესროლათ.

ამრიგად არაგვის ხეობაში დიდძალი ხალხი დაიღუპა. მონღოლებმა
თხუთმეტამდე ციხეც აიღეს, მაგრამ თემურმა თავს მიზანს საბოლოოდ
მაინც ვერ მიაღწია: ხეობა მთლიანად ვერ დაიმორჩილა და გიორგი მე-
ფეც ხელში ვერ ჩაიგდო.

ამიტომ ლანგ-თემური აქედან გადმოვიდა ქართლში, დალაშქრა ის
ბევრი მიმართულებით, ააწოკა მოსახლეობა, დაანგრია, რის დანგრევაც
შესძლო, ააოხრა ქვეყანა, მაგრამ გულისწადილს ვერც აქ ეწია: თუმცა
ზოგი ფეოდალი მიუვიდა თათრებს, მაგრამ გიორგი მეშვიდე მათ სულ
ხელიდან უსხლტებოდა და ხალხიც არ ტყდებოდა.

გიორგი მეფე დასავლეთ საქართველოში გადავიდა და იჭიდან გამართა
მოლაპარაკება თემურ-ლენგთან. მაგრამ მტერი განაგრძობდა ქვეყნის
აოხრებას. ეხლა ის სამცხესა და ტაოს მისდგა.

1400 წლის დამლევისათვის მოხერხდა შეთანხმება ლანგ-თემურსა და
გიორგი მეშვიდეს შორის. საქართველოს მეფე კისრულობდა ხარკს, მეშ-
ველი ჯარის გამოყვანისა და მაჰმადიანებისადმი კარგად მოპყრობის მო-
ვალეობას.

თემურის მემკვიდრე შემოსევა. 1401 წელს თემურ-ლენგმა სამხედ-
რო მოქმედება მაინც განაახლა. თორთუმის ციხეში ორასი ქართვე-
ლი გამაგრებულიყო. ისინი არც ხარკს იხდიდნენ და მაჰმადიანობასაც
მოსვენებას არ აძლევდნენ. თემურმა თორთუმის ციხეზე დიდი ჯარი
გაგზავნა, რადგანაც მეციხოვნეებმა დამორჩილებაზე უარი განაცხადეს,
ციხე დიდი ბრძოლის შემდეგ თათრებმა აიღეს და ორასივე ქართველი
მეომარი შიგ ამოხოცეს.

ამავე დროს საქართველოში განხეთქილება ჩამოვარდა: სამცხის
მთავარი იოანე აღბუღას ძე და თვით გიორგი მეფის ღვიძლი ძმა, კონს-
ტანტინე ბატონიშვილი, მეფეს გადაუდგნენ, თემურ-ლენგს წარუდგნენ
და საჩუქრები მიართვეს. გიორგი მეფე დარწმუნდა, რომ ასეთ პირობებ-
ში ბრძოლის განგრძობა უგუნურება იქნებოდა და თემურ-ლენგს მორჩი-
ლება შეუთვალა.

თემურ-ლენგი გიორგი მეფეს არ ენდობოდა და, მისი ბრძანების თანახმად, თათრები საქართველოში მოსავლის მომკასა და აკრეფას შეუდგნენ, რომ ქართველებისათვის ბრძოლის წარმოების ყოველგვარი შესაძლებლობა მოესპოთ.

ამ ამბავმა გიორგი მეფეს შეთანხმების ხალისი დაუკარგა და ამგვარად, ამ შემთხვევაშიც დაზავება ვერ მოხერხდა, მაგრამ გიორგი მეფის შეპყრობაც მტრისათვის მიუღწევად რჩებოდა იქცა. ამის გამო თემურ-ლენგმა 1403 წელს თავისი ლაშქარი კვლავ საქართველოს მოუსია. მან ჯერ ისევ ქართლი დალაშქრა და ააოხრა, აქაური ციხე-სიმაგრეები ხელში ჩაიგდო და შიგ თავის მეციხოვნე ჯარი ჩააყენა, რომელსაც უბრძანა, ქართველი ქრისტიანი მოსახლეობა დაეხოცა ან გაედევნა და არცერთი ქართველისათვის ამიერიდან აქ დასახლების უფლება აღარ მიეცა.

თათრების გადასვლა იმერეთში. შემდეგ თემური დასავლეთ საქართველოში გადავიდა. მისი ჯარი დაბურულ ტყეში გზას იკაფავდა და ასე ბრძოლით მიდიოდა წინ. თემურ-ლენგის ლაშქარმა ქუთაისამდე მოახერხა მიღწევა. თუმცა გააფთრებული ომი წარმოებდა, მაგრამ დასუსტებულ ქვეყანას უკვე აღარ შეეძლო ისე ხანგრძლივ ებრძოლნა, როგორც მანამდე. იმერეთშიაც გამოქვაბულებში შეხიზნულ ხალხს თათრები ისეთივე საშუალებით ებრძოდნენ, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში. მტერმა იმერეთშიაც, სადაც-კი ხელი მიუწვდა, ყველაფერი ააოხრა და დაანგრია. დასავლეთ საქართველოში განადგურებული სოფლების რიცხვი, უცხოელი მწერლების ცნობით, 700-ს აღემატებოდა, იმას გარდა, რომ მრავალი ქვეტყირის ნაგებობა, ეკლესია-მონასტრები, ციხე-დარბაზები და სხვა მიწასთან გასწორებული იყო.

§ 104. ზავის დადება თემურ-ლენგსა და საქართველოს შორის

ამ დაუნდობელი ომის მიუხედავად, 1403 წლის დეკემბერში თემურ-ლენგმა უეცრად ბრძოლა შეაჩერა. მონღოლთა დიდი ლაშქრისათვისაც აღვილი არ იყო ასეთ მძიმე პირობებში ომის გაგრძელება: დაბურული ტყეები, ვიწრო ხეობები, ხალხის მედგარი წინააღმდეგობა მას დიდ ზარალს აყენებდა. ბრძოლას დასასრული არ უჩანდა და მტრის ჯარში უკმაყოფილებამ და მოუთმენლობამ იჩინა თავი. თვითონ თემურ-ლენგსაც გიორგი მეფის ხელში ჩაგდების იმედი აღარ ჰქონდა, ხოლო ასევე ბრძოლით უფრო შორს შეჭრა საზიფათოდ მიაჩნდა. ამიტომ იყო რომ თემურ-ლენგმა სამხედრო მოქმედება შესწყვიტა და თუმცა გამარჯვებული, მაგრამ ძალზე დაზარალებული ჯარი აღმოსავლეთ საქართველოში გადმოიყვანა დასასვენებლად.

ამასთან ერთი საყურადღებო ამბავიც მოხდა. თემურ-ლენგს თავის ბანაკში გამოჩენილი ქართველი სარდლები ჰყავდა დატყვევებული. ამ

სარდლებმა გიორგი მეფეს მოსწერეს, რომ დამორჩილების გარდა მშვიდობიანობის დასამყარებლად სხვა არავითარი საშუალება აღარ არის და, თუ გიორგი მეფე თემურს არ დაეზავება, მას გადაწყვეტილი აქვს ეხლავე მთელი სომეხი ხალხი ამოსწყვიტოსო. ეს წერილი თვით თემურ-ლენგის მიერ უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

გიორგი მეფეს თვითონაც კარგად ესმოდა, რომ ბრძოლის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და თემურ-ლენგს ისევ ელჩები გაუგზავნა. თემურ-ლენგი ვითომც დაზავების წინააღმდეგი იყო და ელჩებს ისე აჩვენებდა, რომ იგი თავისი სურვილის წინააღმდეგ მხოლოდ ნოინებისა და სამღვდელთა თხოვნას ეთანხმებოდა. ყველაფერი ეს თემურ-ლენგს იმ მიზნით ჰქონდა მოწყობილი, რომ გიორგი მეფისა და ქართველებისათვის ეგრძნობინებინა, ვითომც მას ბრძოლის გაგრძელება ადვილად შეეძლო და დაზავება მხოლოდ ქართველებისათვის იყო საჭირო. ნამდვილად კი დაზავება თემურისთვისაც ისევე აუცილებელი იყო და მან დიდი ზეიმით იდღესასწაულა კიდევაც საქართველოსთან ომის დამთავრება.

ზავის პირობები. გიორგი მეფე პირადად თემურ-ლენგს არ ხლებია. ამრიგად პირველი პირობა, რომელსაც თემურ-ლენგი საქართველოს მეფეს უდებდა, მაინც აუნრულებელი დარჩა. თემური იძულებული იყო ამასაც შერიგებოდა.

გიორგი მეფემ თემურს მრავალგვარი საჩუქრები აახლო, მათ შორის თემურ-ლენგის სახელით შემკული ათასი ოქროს თანგა (ფული), ათასი ცხენი, ბევრი ძვირფასი ქსოვილი, ოქროს, ვერცხლისა და ბროლის ფიალები, ერთი შესანიშნავი ძვირფასი ქვა — 18 მისხლიანი მანათობელი ლალი — და სხვა. გახარებული თემურ-ლენგი აიყარა და თბილისში მოვიდა. ზავის მიუხედავად თემურმა თბილისის მიდამოებში ყველა ეკლესია-მონასტერი დაანგრევინა, ხოლო შემდეგ იგი ყარაბაღის გზით საქართველოდან წავიდა. ამის შემდეგ თემურს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დასცლია — 1405 წელს იგი გარდაიცვალა. მისგან გაწამებულმა ქვეყნებმა ცოტათი იყო ამოისუნთქეს.

§ 105. საქართველო თემურ-ლენგის შემოსევის შემდეგ

შემოსევის შედეგები. საქართველოს წინათაც ბევრი მტერი უნახავს და ბევრი შემოსევა განუცდია, მაგრამ არასოდეს ისეთი საშინელი უბედურება არ დასტყდომია თავს, როგორც მე-14 საუკუნის დამლევს.

თემურ-ლენგის შემოსევებმა ქვეყნის აოხრებითა და დიდძალი ხალხის დილუპვით საქართველო ისე დაასუსტა, რომ ჩვენმა ქვეყანამ საუკუნეთა განმავლობაში გამოკეთება ვეღარ შესძლო. გაპარტახებული მეურნეობის, გაკაფული ბაღ-ვენახების აღსადგენად მშვიდობიან პირობებშიაც

დიდი დრო და დიდი ძალა, აუარებელი მუშახელი იყო საქართველოს
ლენგის შემოსევებმა-კი აურაცხელი ხალხი იმსხვერპლა. თანაც მე-15
მე-16 საუკუნეებში საქართველოს განუწყვეტელი საგარეო ომების წყა-
მოება მოუხდა. ამიტომ იყო, რომ თემურ-ლენგის ურდოებისაგან გაოხრე-
ბული მრავალი ადგილი მე-15 და მე-16 საუკუნეებშიაც უკაცრიელად
იყო დარჩენილი.

მე-16 საუკუნეშიაც-კი ქვეყანა ბარად სანახევროდ, ზოგან ნახევარზე
მეტადაც აოხრებული ყოფილა. ამ საშინელი სისხლისღენისავე შედეგი
იყო ის გარემოებაც, რომ მე-15 და მე-16 საუკუნეებში მოზღვაებული
ახალი მტრების წინააღმდეგ ქართველ ხალხს ძალიან გაუძნელდა
ბრძოლა.

ქვეყნის სამეურნეო და კულტურული დაქვეითება. ქვეყნის
საშინელი განადგურების მომასწავებელი იყო ის სიტყვები, რომლებსაც
ქართველი ხალხი მე-15 საუკუნიდან მოყოლებული ასე ზმირად ზმარობ-
და: ნაფუზარი, ნასახლარი, ნასოფლარი, ნაქალაქარი, პარტახტი და სხვა.
ეს ადგილების სახელებია და იმას აღნიშნავს, რომ ამ სახელის მატარე-
ბელ ადგილზე წინათ ხალხი ცხოვრობდა და მშვიდობიან შრომას ეწეო-
და, ეხლა-კი მოსახლეობაც გამქრალი იყო და მისი მეურნეობაც.

მეურნეობა, თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად, მარტო რიცხოვ-
რევად კი არ შემცირდა, დაეცა მისი კულტურული დონეც. ხალხს ეხლა
უძნელდებოდა რთული და მაღალი სამეურნეო დარგების გაძოლა.

ქვეყნის სამეურნეო დაქვეითება სპობდა კულტურული მუშაობისათ-
ვის აუცილებელ საფუძველს. მოსახლეობის ამოწყვეტა, განსაკუთრე-
ბით — ბარის მოწინავე რაიონებში, სპობდა კულტურული ტრადიციების
თაობიდან თაობაში გადაცემის შესაძლებლობას. ამიტომაც რომ მე-15
საუკუნეში საქართველო კულტურულადაც დიდად დაქვეითებული ჩანს,
წინა საუკუნეებთან შედარებით. ასეთს საზარელ პირობებში სწავლა-
განათლებისა და ხელოვნებისათვის ვის შეეძლო მოეცალა, ანდა ვის ექ-
ნებოდა ამისათვის გული და ხალისი. კარგა ხნით დადუმდა ძველი შესა-
ნიშნავი ქართული მწერლობა, ზოგან ხალხს თითქოს წერა-კითხვაც-კი
ავიწყდებოდა.

მაგრამ თავისი სიცოცხლის უნარისა და მოქმედებითი ენერგიის წყა-
ლობით ქართველი ხალხი არ დაიღუპა. შეუდრეკელი მონღოლებით, შეუ-
წყვეტელი შრომით მან თანდათან აღადგინა კავშირი თავის ძველ კულ-
ტურასთან და ახალი შემოქმედებაც გააჩაღა. ამის მოწმეა იმდროინდე-
ლი ქართული ხელოვნების შესანიშნავი ძეგლები, როგორიცაა, მაგალი-
თად, ულუმბის კედლის მხატვრობა (ქართლში).

ბრძოლა თურქმანებთან და გიორგი მუჰამადის სიკვდილი. ლანგ-
თემურის სიკვდილის შემდეგ მის მემკვიდრეებს შორის ბრძოლა ატყდა.
ამით ისარგებლა გიორგი მეფემ და საქართველოს საზღვრებიდან თათარ-
თა განდევნას შეუდგა. მაგრამ მალე საქართველოს ახალი საშიში მტერი

გაუჩნდა. ეს თურქმანები იყვნენ, იმ მოდგმის თურქმანები, რომელთაც ყარა-ყოინლუს, ესე იგი „შავ-ბატკნიანებს“ ეძახდნენ. თურქმანების მეთაურმა ისარგებლა თემურ-ლენგის მემკვიდრეების დასუსტებით და ადარბადაგანის მფლობელად იქცა.

საქართველო ამ ბრძოლაში უნებლიეთ ჩათრეული იყო. 1407 წელს თურქმანებთან დიდი ომი მოხდა, რომელშიც გიორგი მეფე მოკლულ იქნა და საქართველოს ჯარის უდიდესი ნაწილი ამოწყდა.

კონსტანტინე მეფე. გიორგის შემდეგ მეფედ მისი ძმა კონსტანტინე დაჯდა, მაგრამ მისი ცხოვრებაც ისევე უბედურად გათავდა.

თურქმანები შარვანში შეიჭრნენ და მის დაპყრობას ლაშობდნენ.

შარვანის მფლობელმა თავის ძველ მეარველს, საქართველოს მთავრობას, დახმარება სთხოვა. კონსტანტინე მეფეც ორი ათასი მხედრით შარვანს მიეშველა. სასტიკი ბრძოლა მოხდა 1411 წელს ჩალალანთან. ქართველები თავგანწირვით იბრძოდნენ, მაგრამ გამარჯვება მაინც თურქმანებს დარჩათ, რომელთაც თვით კონსტანტინე მეფე და ქართველი გამოჩენილი სარდლები ტყვედ იგდეს ხელში. ტყვეობაშიც მათ თავი ღირსებით ეპირათ და ამით განრისხებულმა თურქმანების მეთაურმა საქართველოს მეფე თავისი ხელით მოჰკლა, ხოლო ქართველი სარდლები თავის მახლობლებს დაახოცინა.

საქართველო მე-5 საუკუნეში. სამეფოს დასა

§ 106. ალექსანდრე პირველის მეფობა

კონსტანტინე მეფის სიკვდილის შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტზე 1412 წლის დამდეგს მისი შვილი ალექსანდრე ავიდა.

ალექსანდრეს სამეფოებელი. ალექსანდრეს ისევ ისე სრულიადი საქართველო ემორჩილებოდა, მაგრამ მაინც მისი სამფლობელო იმასთან

შედარებითაც, რაც ბაგრატ დიდის დროს იყო, უკვე ჩამოცოცხლებილ სახელმწიფოს წარმოადგენდა. აღმოსავლეთით ხ ა ჩ ე ნ ი¹ საქართველოს საზღვრებს გარეთ იყო დარჩენილი. საქართველოს სამხრეთი სანაპიროც ძალზე შემცირებული იყო: ანისი უკვე საქართველოს აღარ ეკუთვნოდა და საქართველოს დაცვის თვალსაზრისით ისეთი აუცილებელი სიმაგრეც-კი, როგორც ლ ო რ ე ა, მტერს ჰქონდა ხელში ჩაგდებული.

ლორეს ველიდან მტერს ყოველთვის საშუალება ჰქონდა საქართველოს სწრაფად და ადვილად შემოსეოდა იმის გამო, რომ ლორეს ველი მაღალი მთიანეთი იყო. ამავდროულად მიზნის გამო ქართველებისათვის ლორეს წინააღმდეგ მოქმედება და მისი უკან დაბრუნება ძნელი საქმე იყო. მხოლოდ 1431 წელს გაბედა ალექსანდრე მეფემ ამ ლაშქრობის დაწყება და ლორეს ველი კვლავ საქართველოს შემოუერთა. ამ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც სახელმწიფოებრივი და სამხედრო, ისევე სამეურნეო თვალსაზრისითაც, რადგანაც ლორეს ველი საქართველოს მესაქონლეობისათვის აუცილებელ საძოვრებს შეიცავდა.

ლორეს შემდეგ შემოერთებულ იქნა ს ი ე ნ ი ე თ ი ც (ეხლანდელი ყ ა რ ა ბ ა ლ ი და მისი მეზობელი თემები).

სიენიეთისა და მახლობელი თემების შემოერთებამ საქართველოს შეთხლებულ მოსახლეობას 60 ათასზე მეტი კომლი ახალი ქვეშევრდომი შესძინა.

¹ ეხლანდელი ყ ა რ ა ბ ა ლ ი ს ნაწილის ძველი სახელია.

საქართველოს მოსახლეობა იზრდებოდა აგრეთვე სომეხი ლტოლვილებისაგან, რომელნიც, საქართველოს გაძლიერების გამო, მაჰმადიანური სამფლობელოებიდან დიდი რაოდენობით გადმოდიოდნენ საქართველოში, რათა აქ მყუდრო ცხოვრებისა და შრომის საშუალება მოეპოვებინათ.

ალექსანდრე მუშაოვა. მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი იყო გარეშე მტრისაგან, დიდი მუშაობა გაიშალა დანგრეულ-გაპარტახებული ქალაქების, ეკლესიის-მონასტრების, ციხე-დარბაზებისა და სხვა ნაგებობათა აღსადგენად.

ეს საქმე ჯერ კიდევ ალექსანდრეს ბავშვობაში მის აღმზრდელ დიდელას, რუსას, დაუწყია, რომელსაც სვეტი-ცხოველის განახლებისათვის მიუყვია ხელი.

ალექსანდრემ ამ სამუშაოებს სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია მისცა. მან საგანგებო დროებითი გადასახადი დააწესა: თითოეულ კომლს ყოველწლიურად 40 თეთრი¹ უნდა გამოეღო.

ალექსანდრე მეფემ აღნიშნული საგანგებო გადასახადი 1425 წელს შემოიღო, ხოლო 1440 წელს უკვე განკარგულება გასცა, რომ ამიერიდან ეს საამშენებლო გადასახადი ამოეკვეთათ: მეფეს მიზანი მიღწეულად მიაჩნდა.

რა დიდი თანხაც არ უნდა ყოფილიყო შეგროვებული 15 წლის განმავლობაში, ყველაფერს ვერ აღადგენდნენ: ამისათვის მაშინდელ საქართველოს არც საკმაო ქონებრივი სახსარი ჰქონდა და არც ფიზიკური საშუალება. ცხადია, ამიტომ, რომ საქმე ეხებოდა მთავარ ნაგებობათა აღდგენას.

ალექსანდრე ცდილობდა აგრეთვე უკაცრიელად დარჩენილ ადგილებში მოსახლეობა გაემრავლებინა, მაგრამ ამ გეგმის ფართოდ განხორციელება უსახსრობის გამო შეუძლებელი იყო. თემურ-ლენგის შემოსევების დროს განადგურებული ბევრი სოფელი დიდხანს ნასოფლარად დარჩა და დროთა განმავლობაში ტყითაც დაიბურა.

სამეფო ხელისუფლების დასუსტება და ფეოდალების გაძლიერება. ალექსანდრეს მეფობაში უკვე მეტად შესამჩნევი ხდება მეფის ძალა-უფლების შესუსტება და დიდგვარიანი აზნაურობის გაძლიერება. ეს ბუნებრივად მოხდა იმ ხანგრძლივი ომიანობის, ნგრევის, გაჭირვებისა და აშლილობის პირობებში, რომელიც საქართველომ გამოიარა.

მეფის თვითმპყრობელობის შესუსტება იმაშიაც გამოიხატა, რომ სამეფო ოჯახის წევრებიც — მეფის ცოლი, შვილები, ძმები — სულ უფრო და უფრო მეტად ერეოდნენ ეხლა სახელმწიფო საქმეებში.

გაიზარდა ქიშპი და ბრძოლა ცალკე ფეოდალურ ჯგუფებს შორის. ამას ხელს უწყობდა მეფისა და სამეფო ოჯახის წევრების მოყვრობა

¹ „თეთრი“ ვერცხლის ფულია, უფრის დაახლოებით ძველ ღრამას.

დიდგვარიან ქართველ აზნაურებთან, რაც უკვე ჩვეულებრივ მოვლას იქცა. თუ მეფესთან დამოყვრება ერთს ან რამდენიმე აზნაურის საგვარეულოს აძლიერებდა, სამაგიეროდ შურსა და მეტოქეობას იწვევდა სხვა აზნაურთა საგვარეულოების მხრით. ფეოდალებისათვის ჩვეულებრივად იქცა კინკლაობა და უთანხმოება ეხლა უფრო გაიზარდა და გაძლიერდა.

შფოთი თავს იჩენდა ეხლა სამეფო ოჯახის შიგნითაც. შესაძლებელია, ამიტომ, ვიფიქროთ, რომ თავის სახლში გაჩენილი უთანხმოების მიზნით დაანება ალექსანდრე პირველმა თავი მეფობას 1442 წელს და ბერად შედგა. სამეფო ტახტზე ავიდა ალექსანდრეს ძე ვახტანგი, რომელმაც ამის შემდეგ მხოლოდ ოთხი წელი იტოცხლა. ვახტანგს ბრძოლა ჰქონია ქართლის დიდგვარიან აზნაურებთან, რომლებსაც მეფე თურმე ღალატს აბრალებდა.

§ 107. საქართველოს სამეფოს ჩღვივის პირველი ნიშნები

1446 წელს ვახტანგის მაგიერ მისი ძმა გიორგი მერვე გამეფდა. გიორგი მერვემ მთელი თავისი მეფობა ხელისუფლებისა და ბატონობის გამო ამტყდარ ბრძოლას შეაღია. ამ ხანაში კვლავ მთავრებმაც წამოყვეს თავი, სხვებზე აღრე — სამცხის მთავარმა.


ბრძოლა ყვარყვარე ჯაყელთან. სამცხეში, ჯაყელების საგვარეულოში, ამ დროს შინაური ბრძოლა იყო: ყვარყვარე თავის ძმისწულს, აღბულას, ათაბაგობას ეცილებოდა.

გიორგი მეფემ მხარი აღბულას დაუჭირა და ყვარყვარე სამუდამოდ გადამიტერა. თუმცა შემდეგ, 1451 წელს, როცა აღბულა ათაბაგი გარდაიცვალა, გიორგი მეფემ ათაბაგობა ყვარყვარეს უწყალობა, მაგრამ ყვარყვარეს მეფისაგან დამოუკიდებლობის მოპოვება სურდა და მეფის წინააღმდეგ მოქმედებას განაგრძობდა.

ასე, მაგალითად, ყვარყვარემ თავისი სამთავროს ჩამოშორება სცადა საქართველოსაგან ეკლესიურადაც. ყვარყვარეს გეგმით სამცხის მეთაური საეკლესიო სფეროში უნდა მაწყვერელი (ესე იგი აწყურის) ეპისკოპოსი ყოფილიყო, რომელიც მცხეთის კათალიკოსს არ უნდა დამორჩილებოდა.

მართალია, მცხეთის კათალიკოსმა ბოლოს და ბოლოს სძლია და საეკლესიო მთლიანობა აღდგენილ იქნა, მაგრამ ეს ფაქტი მაინც მოწმობდა რღვევას, რომელსაც საქართველოს სამეფო ამ დროს უკვე განიცდიდა.

სხვა საშთავროების წარმოშობა. ამავე რღვევის მანქნებული იყო ისიც, რომ ამ დროს სამცხის გარდა, რომელსაც განკერძოებისადმი მიდრეკილება, როგორც ვიცით, უკვე მე-13 საუკუნეში გაუჩნდა, სხვა კლთხეებიც სამთავროების სახით იყო მოწყობილი. ასე, აფხაზეთი და სამეგრელო ერთ სამთავროს შეადგენდნენ, რომლის სათავეში ბედიანი იდგა. გურიაც ცალკე სამთავროს სახით იყო გამოყოფილი. მართალია, ეს



სიკეთის ციხის ნანგრევები

მთავრები ჯერ კიდევ მეფის მორჩილად აცხადებდნენ თავის თავს, მაგრამ ძველი ერისთავებისაგან ისინი უკვე თვალსაჩინოდ განსხვავდებოდნენ თავისი ძალა-უფლების გაზრდის მხრივ.

§ 108. ახალი საერთაშორისო მდგომარეობა

საქართველოს ასეთი შინაური ვითარება მეტად საჩიფათო იყო იმ ახალი საერთაშორისო პირობების გამო, რომელიც ახლო აღმოსავლეთში ამ დროისათვის შეიქმნა.

ოსმალეთის გაძლიერება და ბიზანტიის სამეფოს მოსაოგება

სამხრეთ-დასავლეთით საქართველოს ახალი საშიში მეზობელი, ოსმალეთი, გაუჩნდა. ოსმალეთ-თურქების წინაპრები შუა-აზიიდან მცირე აზიაში მე-13 საუკუნეში მოვიდნენ, ოსმალეთის სახელმწიფოს არსებობა-კი მე-14 საუკუნიდან იწყება. ამ სახელმწიფოს დამაარსებლად ოსმანი ითვლება, რის გამოც თვით სახელმწიფოს ოსმალეთი დაერქვა.

ოსმალეთის სახელმწიფო უცხო ქვეყნების დაპყრობასა და მეზობლებთან გამუდმებულ ომებში ჩამოყალიბდა; მისი არსებობის მთავარი წყარო ხარკი და ნადავლი იყო.

დაპყრობითი პოლიტიკა ოსმალეთმა პირველად თავისი დასავლეთი მეზობლის, ბიზანტიისაკენ მიმართა. ბიზანტია ამ დროს ოდესღაც ძლიერი სამეფოს აჩრდილიდა იყო და ოსმალებმა ადვილად წაართვეს მას მოზრდილი ტერიტორიები მცირე აზიაში და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. თემურ-ლენგმა მცირე ხნით შეაჩერა ოსმალეთის ზრდა და მძიმე ზიანიც მიაყენა მას, მაგრამ მე-15 საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალები კვლავ იმდენად გაძლიერდნენ, რომ ახალ შეტევაზე გადავიდნენ თავისი მეზობლების წინააღმდეგ. თურქ-ოსმალების სულტანმა მუჰამედმა 1453 წელს ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი აიღო და უძველესი ბიზანტიის იმპერია დედამიწის ზურგიდან აღგავა. საქართველოსათვის ეს დიდი უბედურება იყო.

ამიერიდან საქართველოს დასავლეთის გზა დაეხშო და დასავლეთთან უშუალოდ კავშირის ყოველგვარი შესაძლებლობა მოეხსრა. თუ წინათ მას მეზობლად ამ მხარეს პოლიტიკურად დასუსტებული, მაგრამ ძველი კულტურული ტრადიციების მქონე ბიზანტიის საკეისრო ჰყავდა, ეხლა უკვე უადრესად აგრესიული, ძლიერი, საუცხოოდ შეიარაღებული, მაგრამ ამასთან ერთად უკულტურო ოსმალეთის სახელმწიფო გაუჩნდა.

ძლიერი და საშიში მტერი იკრებდა ამ დროს თავის ძალებს სამხრეთ-აღმოსავლეთითაც, ირანში.

კონსტანტინოპოლის დაპყრობის მნიშვნელობა სამართხვო-ღმრთის. თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ ყოველმხრივ გააუარესა საქართველოს მდგომარეობა, რომელიც ისედაც მძიმე

იყო. მეტად ცუდი გავლენა მოახდინა ამ ახალმა გარემოებამ საქართველოს ეკონომიურ ვითარებაზე. დაქვეითდა შინაგანი ალებ-მიცემა და საქალაქო ცხოვრება, დიდად შემცირდა ქალაქების რიცხვი. დაბატონდა დარჩენილი ქალაქები. ეს შედეგი იყო არა მარტო ქვეყნის შინაგანი სისუსტისა, არამედ იმისიც, რომ თურქებმა მოსწყვიტეს საქართველო მთელს კულტურულ მსოფლიოს.

საგარეო ვაჭრობაც ძალზე დაკნინდა. აოხრებულ ქვეყანას თავისთვისაც-კი ყველაფერი სამყოფი აღარ ჰქონდა და, მით უმეტეს, უცხოეთში გასატანს რას დაამზადებდა.

ამასთან ერთად საკუთარი ფულის მოჭრა საქართველოში მაინც მთელი მე-15 საუკუნის განმავლობაში არ შეჩერებულა. ეს საყურადღებო გარემოებაა. მაგრამ ლითონის ფული უმთავრესად ბარად და ქალაქებსა თუ სხვა შარავნების მასლობლად მდებარე ადგილებში ყოფილა გავრცელებული, სხვა მოშორებულ თემებში-კი ვაჭრობა სულადობაზე, გაცვლა-გამოცვლის წესით, უწარმოებიათ. თანაც მე-15 საუკუნეში მოჭრილი გერცხლის ფული მეტად მდარე ღირსებისა და მცირე ზომისაა არის, რაც მაშინდელი საქართველოს გაღარიბების შედეგია.

ცდა თურქ-ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიციის მოწყობისა. თურქ-ოსმალების გაძლიერებამ და მათ მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ შელახა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ინტერესებიც. ამიტომ ევროპაში დაიბადა აზრი, საჭიროა შეკავშირებული ძალით თურქ-ოსმალებს დავარტყათ. ამ კავშირის ორგანიზაცია და მეთაურობა რომის პაპმა იკისრა, — იტალიის ვაჭრები განსაკუთრებით იყვნენ დაზარალებულნი თურქების გაბატონებისაგან აღმოსავლეთში, კერძოდ შავ ზღვაზე.

პაპმა გადასწყვიტა ჯვაროსნულ ომში თურქების წინააღმდეგ აღმოსავლეთის ხალხებიც ჩაება. ამ მიზნით მან აღმოსავლეთში თავისი მოციქულები გაგზავნა.

მოლაპარაკება საქართველოსთან. 1459 წელს რომის პაპის დესპანი ჯერ საქართველოს ესტუმრა, რადგან პაპის გეგმით ამ საქმეში სწორედ საქართველოს უნდა მიეღო მხურვალე სამხედრო მონაწილეობა. დესპანმა გიორგი მეფეს გადაუშალა გეგმა ოსმალთა ხელიდან კონსტანტინოპოლის გამოსავლეჯად. ამ განზრახვამ საქართველოს სამეფოს მესვეურები ისე გაიტაცა, რომ მათ ამაზე მეტის განხორციელება-კი გადასწყვიტეს.

მართალია, ამ დროს საქართველოში მეფე-მთავრებს შორის შინაური უთანხმოება იყო, მაგრამ თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა იმდენად მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენდა, რომ მთავრებმა განზე გადასდეს თავისი კერძო ინტერესები, იმავე წელს გიორგი მეფეს დაუხანგნენ და საომარ გეგმაზე მსჯელობა დაიწყეს.

თუ დასავლეთის პოლიტიკოსებს უბრველესად თურქთა ხელის
კონსტანტინოპოლის გამოგლეჯა აინტერესებდათ, ქართველებს უნდო-
დათ შემთხვევით ესარგებლათ და მცირე აზიაში თურქთა პოლიტიკურ
ძალა მოესპოთ, რომ მათი საშისრლება სამუდამოდ თავიდან აეცილე-
ბინათ.

ასეთ ფართო გეგმას უფრო დიდი სამხედრო ძალაც სჭირდებოდა. 70
ათასი ჯარისკაცი, რომლის გამოყვანაც საქართველოს შეეძლო, საქარი-
სი არ იყო. ამიტომ საქართველოს პოლიტიკოსებმა გადასწყვიტეს ტრა-
პიზონის კეისრისათვის და მცირე სომხეთის მმართველისათვისაც მიე-
მართათ. ქართველებს შესაძლებლად მიაჩნდათ ოსმალთა წინააღმდეგ
ახლო აღმოსავლეთის თვით იმ მაჰმადიან მმართველთა ძალაც-კი გამოე-
ყენებინათ, რომელთაც ოსმალებთან მტრობა ჰქონდათ.

საქართველოს მოკავშირეანი ოსმალთა წინააღმდეგ. მოლა-
პარაკება მართლაც შეთანხმებით დამთავრდა. ტრაპიზონის მეფე 30 ათასი
ჯარისკაცისა და 30 კატარის გამოყვანას შეჰპირდა. მცირე სომხეთის
პატრონმა 20 ათასი მოლაშქრის გამოყვანა იცისრა.

ირანის მზრძანებელმა, თურქი ტომებისავე მეთაურმა, უზუნ-ჰასანმა
იმისდა მიუხედავად, რომ ის მაჰმადიანი იყო, თურქ-ოსმალების წინააღ-
მდეგ ლაშქრობაში მონაწილეობის პირობა დასდო, შესაფერისი ტერი-
ტორიული ჯილდოს იმედით.

აღმოსავლელი მოკავშირეების ელჩები რომში. შეთანხმე-
ბის მიღწევის შემდეგ, მოკავშირეებმა თავის მხრივ ელჩები გაგზავნეს
ევროპაში.

საქართველოს მეფის დესპანის, ნიკოლოზ ტფილელის გარდა, ამ ელ-
ჩობაში მონაწილეობას იღებდნენ ყვარყვარე ათაბაგის, ტრაპიზონის
კეისრის, მცირე სომხეთის მთავრისა და უზუნ-ჰასანის წარმომადგენ-
ლები.

პაპის დესპანის წინამძღოლობით ეს ელჩები უნგრეთისა და გერმანიის
გზით 1460 წელს უკვე რომში ჩავიდნენ.

გეგმის ჩაშლა. საქართველოდან ჩასული დესპანები რომში დიდი
ზეიმითა და პატივისცემით მიიღეს, მაგრამ იქ მათ სასიხარულო ვერა
გაიგეს-რა. რუმის პაპის ყოველივე ცდა ამაო გამოდგა: დასავლეთ ევ-
როპის მეფე-მთავრები ერთმანეთში ვერ შეთანხმდნენ, განზრახული
ომის მოწყობა შეუძლებელი შეიქნა და საქმე უნდა მთლიანად ჩაშლი-
ლიყო. საქართველოდან ჩასულ დესპანებს ამ ამბავმა თავზარი დასცა.
მაინც რომე! პაპმა მათ ურჩია, დასავლეთ ევროპის აქრისტიან სახელმწი-
ფოების მესვეურთათვის პირადად ეთხოვათ ომში მონაწილეობა.

1460 წელს საქართველოს დესპანები ჯერ საფრანგეთის მეფეს კარ-
ლოს მეშვიდეს წარუდგნენ და ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მონაწი-
ლეობა სთხოვეს, შემდეგ მისი შვილის, ლუდოვიკოს, მეფედ კურთხევა-
საც დაესწრნენ. მასაც სთხოვეს, მაგრამ არც ამით გამოსულა რამე.

როგორც-კი საბოლოოდ გამოიჩვენა, რომ თურქ-ოსმალების წინააღმდეგ შეერთებული ომი შეუძლებელია, მაშინვე ისიც ცხადი გახდა, რომ დღემოკლე იყო საქართველოს მეფე-მთავრებს შორის დადებული 1459 წლის საზავო ხელშეკრულება. ამაზე უარესი ის იყო, რომ საქართველოს შინაურობაში ისეთი დაუნდობელი ბრძოლა ატყდა, რომელიც საქართველოს საზღვარზე მოზღვაებული მტრის მოქმედებას ყოველნაირად უწყობდა ხელს.

ბრძოლა მფხისა და ათაბაგს შორის. ყვარყვარე ათაბაგი ერთი იმ პირველთაგანი იყო, რომელმაც საქართველოში შინაური ბრძოლის კოცონი კვლავ დაანთო. სამცხის მთავარმა კვლავ ომი აუტეხა გიორგი მერვეს და საქართველოს მეფის წინააღმდეგ ირანის მბრძანებელი უზუნ-ჰასანი-კი გამოიყენა. უზუნ-ჰასანი 1462 წელს სამცხეში მოვიდა, ათაბაგს საქართველოს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში მიეშველა და კიდევაც გაამარჯვებინა.

ბაგრატის აჯანყება გიორგი მფხის წინააღმდეგ. ათაბაგის გამარჯვებამ საქართველოს შინაური მდგომარეობა წინანდელზე უფრო გაართულა. ესლა გიორგი მეფეს ახალი ურჩი ერისთავებიც გამოუჩნდნენ. მათ შორის ყველაზე აქტიური გამოდგა ბაგრāti, რომელიც, როგორც ჩანს, დავით ნარინის შთამომავალი და სამოქალაქოს, ესე იგი ქუთაისის ოლქის, ერისთავი იყო. გიორგი მეფემ რომ ამ ბაგრატს ორჭოფული ქცევისათვის ქუთაისი წაართვა, ის მეფეს უკვე ცხადად აუჯანყდა.

მეფესა და აჯანყებულ ბაგრატს შორის ქალაქ ჩიხორთან (იმერეთში, ჩხარის აღმოსავლეთით) 1463 წელს დიდი ბრძოლა მოხდა, რომელშიც გიორგი მეფე დამარცხდა.

ამ ბრძოლაში ზოგი დიდგვარიანი აზნაური ბაგრატის მომხრე აღმოჩნდა. სწორედ ეს გარემოება იყო მიზეზი გიორგი მეფის დამარცხებისა ჩიხორში.

მაგრამ ბაგრატმა ქუთაისის დაპყრობა მაინც ვერ შესძლო და ვერც აღმოსავლეთ საქართველოში მოიკიდა ფეხი. ამრიგად, ბრძოლის საბოლოო შედეგი ჯერ კიდევ გამოურკვეველი იყო, როცა ყველაფერი ყვარყვარე ათაბაგის ახალმა განდგომამ გადასწყვიტა. ეს მოხდა 1465 წელს.

ახალი ბრძოლა მეფესა და ათაბაგს შორის სამცხეში მოხდა. ყვარყვარემ მეფეს სძლია და ის ტყვედაც-კი წაიყვანა.

§ 110. საქართველოს დაყოფა ცალკე სამეფოებად

შექმნილი მდგომარეობით ყველაზე უკეთესად ბაგრატმა ისარგებლა. 1466 წელს ის ქარსლში გადმოვიდა და თავისი თავი მეფედ გამოაცხადა.

ეხლა-კი ყვარყვარე ათაბაგი მისვდა, რომ ჰკუთნა წააგო: სუსტი გიორგის მერვის მაგიერ მეფობა ხელში ჩაუგდო ძლიერსა და უფლებიანსა ბაგრატს. ეს ათაბაგისათვის სრულებით არ იყო ხელსაყრელი და მისი გიორგი მეფე ტყვეობიდან გამოუშვა.

მართლაც, განთავისუფლებულმა გიორგი მეფემ თავისი ხელისუფლების დასაბრუნებლად ქართლში ბრძოლა დაიწყო, მაგრამ დიდგვარიან აზნაუროთა წრეში ბაგრატს უკვე ბლომად ჰყავდა მომხრენი, და გიორგიმ ბრძოლა წააგო. გიორგიც შექმნილ ვითარებას შეუთრგნდა და კახეთში გადავიდა. ასე ჩაეყარა საძირკველი ცალკე კახეთის სამეფო შტოსა და თვით კახეთის სამეფოს.

ბაგრატი თავის თავს აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფედ. შარვანშად და ყოვლისა აღმოსავლეთ დასავლეთის მპყრობელ ხელმწიფედ ასახელებდა. ნამდვილად-კი უკვე კარგა ხანია რაც ისტორიულად შექმნილი ეს წოდებულება რეალურ ვითარებას აღარ შეეფერებოდა, მით უმეტეს ბაგრატისათვის.

ბაგრატ მეფის საკუთარი სამფლობელოს საზღვრები. ბაგრატ მეექვსის საკუთარ სამფლობელოს საზღვრავდა: დასავლეთით — ცხენისწყალი, სამხრეთით — სამცხე-საათაბაგო, აღმოსავლეთით — კახეთის სამეფო, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით — ლორეს მთელი მთიანეთი, რომელიც უზუნ-ჰასანს, ირანის მფლობელს, ჰქონდა დაპყრობილი. ლორეს ციხეში უზუნს თავისი თურქი მეციხოვნენი ჰყავდა.

ბაგრატის შტობანებელში ორი დიდი ქალაქი, ქუთაისი და თბილისი იყო. თბილისი ისევე, როგორც წინათ, დედაქალაქად ითვლებოდა, ბაგრატიც იქ იმყოფებოდა. ქუთაისი უკვე ძალზე დაპატარავებულიყო. ქართლში ამ დროს ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქ გორს.

თბილისი, ძველად თავისი სიდიდით და სიმდიდრით განთქმული, მტრის შემოსევების წყალობით ამ ხანისათვის უკვე აგრეთვე დამცრობილია. მხოლოდ ზოგიერთი უბანი ჯერ კიდევ მჭიდროდ იყო დასახლებული. ისინი ციხე იმ დროისათვისაც კარგ სიმაგრედ ითვლებოდა.

ბაგრატის სამფლობელოს გარეთ იდო კახეთი და სამცხე, მაგრამ თვით მისი საკუთარი სამეფოს შიგნითაც ერთი დიდი სამთავრო განკერძოების გზაზე იყო შემდგარი. ამ სამთავროს დასავლეთ საქართველოს შიგნით ზღვის სანაპირო ეჭირა და მაშინ საბედიანოდ იწოდებოდა.

საბედიანო. საბედიანოში შედიოდა აფხაზეთი, სამეგრელო, გურია და სამი იმ დროისათვის მნიშვნელოვანი ზღვისპირა ქალაქი — ცხუმი ანუ სევასტოპოლისი (ეხლანდელი სოხუმი), ფოთი და ქაჯთა ციხე (ძველი პეტრა, ეხლანდელ ციხისძირთან). საბედიანოსვე ეკუთვნოდა აგრეთვე ბათონი.

საბედიანოს მთავარი ბაგრატს ემორჩილებოდა, როგორც უზენაეს ხელმწიფეს.

სამცხე-საათაბაგო. დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოყალიბდა ამ

დროისათვის ჯაყელების სამფლობელო, რომელიც ამიერიდან სამ-
ცხე-საათაბაგოდ იწოდებოდა. ჯაყელები თავის თავს „საქართვე-
ლოს ათაბაგსა და სამცხის სპასალარს“ უწოდებდნენ, ჩვეულებრივად-
მათ სამცხის ათაბაგებს ეძახიან. მათი საჯდომი ადგილი ქალაქი ახალ-
ციხე იყო, თვით სამთავროს-კი ვრცელი საზღვრები ჰქონდა, ბორჯო-
მის ხეობიდან მოყოლებული ვიდრე ქოროხის ხეობამდე და არზრუმის
მხარემდე.

ყვარყვარე ათაბაგს მეზობელთა შორის ძლიერი მბრძანებლის სახელი
ჰქონდა დამსახურებული.

ბრძოლა ირანსა და ოსმალეთს შორის. მე-15 საუკუნიდან
მოყოლებული დაიწყო გაუთავებელი ბრძოლა წინა აზიის ორს დიდ სა-
ხელმწიფოს—ირანსა და ოსმალეთს—შორის. ეს ბრძოლა ცალი მხრით
ყოველთვის საქართველოსაც სწვდებოდა ხოლმე. ასე, ბაგრატის მეფო-
ბაში, ირანის მბრძანებელმა უზუნ-ჰასანმა საქართველოს მეფეს დახმა-
რება სთხოვა თურქ-ოსმალების წინააღმდეგ, მაგრამ უარი მიიღო. ამ
ომში უზუნ-ჰასანი დამარცხდა.

ირანის ბატონმა გადასწყვიტა საქართველო დაუხმარებლობისათვის
სამაგალითოდ დაესაჯა.

1477 წელს უზუნ-ჰასანი სრულიად მოულოდნელად და ფარულად
დიდი ჯარით საქართველოში შემოიჭრა და თბილისს თავს დაესხა.

ქართველებმა მხოლოდ აყრა და გახიზვნა მოასწრეს. სპარსელებმა
თბილისი და მის გარშემო მდებარე სოფლები ააოხრეს და შემდეგ გო-
რისაკენ დაიძრნენ. იქაც ხალხი ყველგან გახიზნული დახვდათ. ამრიგად,
უზუნ-ჰასანმა თბილისიცა და გორიც უბრძოლველად ჩაიგდო ხელში.

ზავი ბაგრატსა და უზუნ-ჰასანს შორის. ბაგრატმა გადასწყვი-
ტა უზუნ-ჰასანს დაზავებოდა. უზუნ-ჰასანი ზავის საფასურად 16 ათას
დუკატსა (ოქროს ფულია) და თბილისის დათმობას მოითხოვდა. ეს ძა-
ლიან მძიმე საზღაური იყო და იმჯერად შეთანხმება არ მოხერხდა.
უზუნ-ჰასანმა სამხედრო მოქმედება განაახლა. სპარსელები ეხლა სამ-
ცხეს შეესივნენ და აწყურის მხარე ააოხრეს.

ეხლა-კი ბაგრატ მეექვსემ და ყვარყვარე ათაბაგმა ისევ დაზავება
ირჩიეს ძველი პირობით. უზუნ-ჰასანი ამის შემდეგ საქართველოს საზღვ-
რებიდან გავიდა, მაგრამ ლორეს ველი მაინც წინანდებურად თავისად
დაიჭირა, არც თბილისი დასცალა, 5 ათასი ტყვეც წაიყვანა საქართვე-
ლოდან.

საქართველოს დამარცხების მიზეზი. საქართველოს ჯერ კიდევ
გიორგი მეფის დროს 70 ათასი ჯარისკაცის გამოყვანა შეეძლო. უზუნ-
ჰასანს-კი 40 ათასზე მეტი მოლაშქრე არ მოუყვანია თან. საქართველოში
რომ თანხმობა ყოფილიყო, იგი მტრის მოგერიებას უთუოდ შესძლებდა,
მაგრამ შინაური ბრძოლით გაწამებული ხალხი და სახელმწიფოებრივად
დაქუცმაცებული ქვეყანა მტრის თარეშის ასპარეზად აღვილად გადაიქ-

ცა. საქართველოს მდგომარეობა ამ მარცხის შედეგად კიდევ უფრო მძიმე გახდა, თუმცა მალე ირანში შინაური არეულობა დაიწყო და ბაგრატმა თბილისი და სომხითი უკან დაიბრუნა.

კონსტანტინე დიმიტრის-ძე. 1478 წელს გარდაიცვალა ბაგრატ მეექვსე. მისი ტახტის დაქვერ მისმა შვილმა ალექსანდრემ სცადა, მაგრამ მეფობა ვერ შეინარჩუნა და რაჭა-ლეჩხუმში გამაგრდა. ბაგრატის მაგიერ-კი 1479 წელს კონსტანტინე ბატონიშვილი გამეფდა, რომელიც დიმიტრის (ალექსანდრე პირველის ძის) შვილი იყო.

კახეთში ამ დროს, 1476 წლიდან, გიორგი მერვის ძე ალექსანდრე მეფობდა. კონსტანტინე და ალექსანდრე კახთა მეფე ერთმანეთს დაუზავნენ და თავისი სამფლობელოების საზღვრებზე საბოლოოდ შეთანხმდნენ.

არადეთის ბრძოლა და ალექსანდრეს გამეფება იმერეთში.

ეხლა კვლავ ატყდა ბრძოლა კონსტანტინესა და სამცხის ათაბაგს ყვარყვარეს შორის. 1483 წელს არადეთთან ყვარყვარე ათაბაგმა მეფეს სძლია. კონსტანტინე მეფის დამარცხებით მაშინვე რაჭა-ლეჩხუმში გამაგრებულმა ალექსანდრე ბატონიშვილმა, ბაგრატის ძემ, ისარგებლა და იმერეთი ჩაიგდო ხელში. ამნაირად, საქართველოს სახელმწიფოებრივ მთლიანობას უკანასკნელი საყრდენი გამოეცალა.

კონსტანტინე მეფე ალექსანდრეს ქუთაისიდან განსაღებნად დასაუღლეთ საქართველოში გადავიდა. სამეგრელოს მთავარი, დადიანი, კონსტანტინე მეფეს მიემხრო, და ალექსანდრე იძულებული იყო ქუთაისიდან გასცლოდა. მაგრამ მტრის ახალმა შემოსევამ აღმოსავლეთ საქართველოში კონსტანტინეს იმერეთი მიატოვებინა ისე, რომ ალექსანდრე ბაგრატის ძემ 1489 წელს ქუთაისი კვლავ ხელში ჩაიგდო.

კონსტანტინე უცხოელ მოკავშირეებს ეძიებს. სრული შინაური აშლილობა და გარეშე მტრის მძლავრობა — ასეთი იყო მდგომარეობა. მისი გამოსწორებისათვის კონსტანტინე მეფე უცხოელი მოკავშირეების ძებნას შეუდგა. 1492 — 1496 წლებში კონსტანტინემ თავისი ელჩი გაგზავნა ეგვიპტის მბრძანებელთან, რომელმაც საქართველოს მეფის მოციქული ქაიროში კარგად მიიღო.

კონსტანტინე მეფის მიერ ელჩის გაგზავნა ეგვიპტეში შემთხვევითი ამბავი არ იყო. მიუხედავად თავისი დაქუცმაცება-დაკნინებისა, საქართველოს ჯერ კიდევ ჰქონდა შენარჩუნებული აღმოსავლეთში თავისი ზოგიერთი ძველი საერთაშორისო კავშირები, თავისი ძველი სახელი და პატივი. განსაკუთრებით ეგვიპტის მმართველები ეპყრობოდნენ ქართველებს დიდი პატივისცემით. ამის შედეგი იყო ის უპირატესობანი, რომლებიც ქართველებს ეგვიპტის მბრძანებლებმა შეუნარჩუნეს პალესტინასა და იერუსალიმში.

ქრისტიანთა სათაყვანებელ ქალაქ იერუსალიმში შესვლისას ქართველები საზეიმოდ მოკაზმულ ცხენებსა და აქლემებზე ისხდნენ, გაშლილი ეროვნული დროშებით თავისუფლად შედიოდნენ ქალაქში და სულტანს

დწესებულ გადასახადს არ აძლევდნენ. ეგვიპტის მბრძანებელთა განკარგულებით, ქართველთა იერუსალიმის ჯვარის მონასტრის უზრუნველყოფისათვის საგანგებო არაბი მოხელე იყო დანიშნული. ის ვალდებული იყო საქართველოდან მიმავალ მლოცავებს ალექსანდრიაში დახვედროდა, იქიდან იერუსალიმამდე მიეცილებინა და შემდეგ უკან გაჰყოლოდა.

ჭაიროდან საქართველოს ელჩი იერუსალიმში მივიდა, სადაც ესპანეთის დედოფლის იზაბელას დესპანებისაგან ესპანეთიდან არაბთა საბოლოოდ განდევნის ამბავი შეიტყო. ამით გახარებულმა კონსტანტინე მეფის ელჩმა ესპანეთის დედოფლის დესპანები საქართველოში მოიყვანა. ქართველმა პოლიტიკოსებმა იფიქრეს, რომ ისეთ ძლევამოსილ სახელმწიფოს, როგორიცაა ესპანეთი, შეუძლია დახმარება გაგვიწიოს. ამიტომ კონსტანტინე მეფემ იზაბელა დედოფლის დესპანებს თავისი ელჩი გააყოლა, რომელსაც თან რომის პაპისა და ესპანეთის მბრძანებლისადმი წერილები გაატანა. ქართველ ელჩს კიდევ უფრო საიდუმლო დაეალემა სიტყვიერად მიჰქონდა.

ესპანეთის დედოფლისადმი გაგზავნილ წერილში კონსტანტინე გამოსთქვამდა ქართველების უდიდეს სიხარულს მაჰმადიანების განდევნის გამო ესპანეთიდან. აღმოსავლეთი-კი სულ სხვა დღეშიაო, წერდა კონსტანტინე, მოისპო ბიზანტია, ტრაპიზონი, სერბია და სხვა ქრისტიანული სამეფოები და ყველგან მაჰმადიანები არიან გაბატონებულნი. ესლა საქართველო მარტომარტო არის დარჩენილი და სპარსელების, თურქების, არაბების ურიცხვი ურდოებით გარემოცული. ჩვენც თავზე დიდი განსაცდელი დაგვეტრიალებსო. ჩვენს მტრებს ჩვენთვის ბევრი უბედურება აქვთ მოყენებული. ისინი ყოველთვის სამ რამეს გეთხოვენ: დიდი ხარკი გადაიხადეთ, ჩვენთან ერთად იბრძოლეთ და გამაჰმადიანდითო. შემდეგ მეფე კონსტანტინე ესპანეთის დედოფალს სთხოვდა, რათა მას დაუყოვნებლივ მოეწყო ლაშქრობა კონსტანტინოპოლის განსათავისუფლებლად თურქებისაგან და თვითონაც პირობას სდებდა, რომ თავისი ჯარით თურქების წინააღმდეგ გამოვიდოდა.

კონსტანტინე მეფის გეგმა უნიადაგო ოცნება იყო და განუხორციელებელი დარჩა. ესპანეთის დედოფალს არც ძალა და არც ხალისი არ შესწევდა ასეთი შორეული და ძნელი ლაშქრობისათვის.

შინაუბრი ფაშომარეოზის გაუპარისება. საგარეო დახმარებაზე დამყარებული იმედების დაღუპვამ კონსტანტინე მეფე აიძულა საქართველოში არსებულ განხეთქილებას შერიგებოდა. ეს განხეთქილება იზრდებოდა კიდევაც. მე-16 საუკუნის დამდეგს ურთიერთობა მეფესა და სამცხის ათაბაგს შორის იმდენად გაშფავდა, რომ ათაბაგმა ცოტა ხნით სამცხე მოსწყვიტა საქართველოს ეკლესიურად.

ამრიგად, მე-16 საუკუნის დამდეგისათვის საქართველო საბოლოოდ დაიყო ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად და სამცხის საათაბაგოდ.

მე-15 საუკუნის სიგრძეზე დიდი ცვლილებები მოხდა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც.

თავადთა წოდების ჩამოკალილობა. მე-12 საუკუნეში, როგორც ვიცით, საქართველოს ფეოდალები მხოლოდ ერთი გაბატონებული წოდების შიგნით იყვნენ მოქცეულნი. ეს იყო აზნაურთა წოდება. მე-13 — მე-14 საუკუნეებში აზნაურობას გამოეყო დიდებულითა ცალკე ფენა.

დიდებულები დიდგვარიან აზნაურთა საგვარეულოების უფროს შტოს ეკუთვნოდნენ, „დიდგვართ თავადნი“ იყვნენ. როდესაც ამ დიდგვარიან საგვარეულოების თავადების აღზევება მემკვიდრეობითი კუთვნილება გახდა, თავადობა უკვე წოდებრიობად იქცა. მან აზნაურთა წოდებაზე უპირატესი მდგომარეობა მოიპოვა. აზნაურთა წოდების წიაღიდან თავადობის წარმოშობის პროცესი მე-15 საუკუნეში უკვე დამთავრებულია.

გლეხთა მასვლონობის გაპლირება. თავადებსაც, აზნაურებსაც და მომრავლებულ მეფე-მთავრებსა და მათ კარისკაცებსაც თავისი ძალზე შეთხელებული სახსრების გადიდებაზე უნდა ეზრუნათ. ეს-კი მაშინ შესაძლებელი იყო მხოლოდ გლეხკაცობაზე დაკისრებული გადასახადების გაძლიერებით, ყმების გადიდებული ყვლეფით.

მართლაც, განვლილი პერიოდის სიგრძეზე ქართველი ყმა-გლეხობის მდგომარეობა დიდად გაუარესდა, მისი ფეოდალური ტვირთი ბევრად გაიზარდა და დამძიმდა. იმ გამოსაღების ზრდა, რომელიც მიწისმუშა გლეხს კისრად ედო მემამულე ფეოდალის სასარგებლოდ, ზღბოდა როგორც ახალი გადასახადების შემოღებით, ისე ძველი გადასახადების გადიდებით. იმისათვის, რომ ძველი გადასახადების გადიდება უფრო შეუძინველად შეეპარებინათ ყმებისათვის, ქართველმა ფეოდალებმა საზომ-საწყაოები გაადიდეს. ნატურალური გადასახადები, მარცვლეულისა და ღვინის მოსავალზე, კაბიწითა (კოდი) და კოკით იყო განსაზღვრული. ამიტომ თუნდაც რომ გადასახადების ნორმები ძველებური, უცვლელი დარჩენილიყო, საზომ-საწყაოს გადიდებისას გადასახადებიც ფაქტიურად მემამულეებს, ცხადია, წინანდელზე მეტი შეუვიდოდათ.

ამნაირად ახალი საზომები გაჩნდა. თავდაპირველ საზომებს პირველი ან ცოტა (ე. ი. პატარა) საწყაო (საზომი) ეწოდებოდა, ახალ საზომ-საწყაოებს-კი დიდი ლიტრა, კოკა და კაბიწი (კოდი) ერქვა.

მე-16 საუკუნის დამდეგს ლიტრა, ამ საზომის თავდაპირველ ოდენობასთან შედარებით, უკვე ექვსჯერ იყო გადიდებული. ლიტრაზე-კი დანარჩენი საზომ-საწყაოები (კაბიწი-კოდი, კოკა და სხვა) იყო დამყარებული. მაშასადამე, მშრომელ ხალხს ამ დროს ნატურალური გადასახადები წინანდელთან შედარებით ექვსჯერ მეტი უნდა გადაეხადა. მართო ეს გა-

რემოებაც საკმარისია იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად მძიმე იყო ის ტვირთი, რომელიც მაშინ ყმებს, მიწის დამმუშავებელ მოსახლეობას, ჰქონდათ საზიდი, და რა საშინელ მდგომარეობაში იყვნენ ისინი ჩაყვინულნი.

ქლასთა ბრძოლის გამწვავება და ბატონყმობის საბოლოო გამარჯვება საქართველოში. ცხადია, გლეხობას არ შეეძლო ნებაყოფლობით შერიგებოდა თავის ასეთ ჩაგვრასა და ყველფას ფეოდალების მხრით. გაჩაღდა ბრძოლა მემამულე ფეოდალებსა და მიწისმუშა ყმა-გლეხობას შორის. ეს ბრძოლა ხანგრძლივი და სასტიკი იყო. ვათავდა ის გლეხობის დამარცხებითა და ბატონყმობის საბოლოო გამარჯვებით.

თავი XV

ქართველი ხალხის გარდაცვალების სათვის მე-16 საუკუნეში

§ 112. საქართველოს გარდაცვალების სახელმწიფოები
მე-16 საუკუნეში

15-16-ე საუკუნე

მე-15 საუკუნეში თურქმანებმა საქართველოს საბოლოოდ ჩამოგლიჯეს მოძველებული სომხეთი. მეორე მხრით, საქართველომ დაკარგა შარვანი. ამავ დროს, ჩვენს ქვეყანას ორი ახალი, სამიში მეზობელი გაუჩნდა.

განსაკუთრებით გაუარესდა მდგომარეობა მე-16 საუკუნეში.

ოსმალეთი. მე-15 საუკუნის დამლევდნა, როგორც ვიცით, პოლიტიკურად დაშლილ საქართველოს გაუმეზობლდა უზარმაზარი მაჰმადიანური სახელმწიფო, ოსმალეთი, რომელიც დიდი ხნით გარდაუვალ ზღუდედ აიშრათა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურულ ქვეყნებს შორის.

ოსმალეთს (თურქეთს) მშვიდობიანი მეზობლობა არავისთან არ შეეძლო, ის სულ ახალი და ახალი ქვეყნების დაპყრობითა და ძარცვით საზრდოობდა. საქართველოს მიმართ ოსმალეთის დაპყრობითი პოლიტიკა განსაკუთრებით მკაფიოდ მე-16 საუკუნის დამლევდნა გამოჩნდა.

სხვა მიზეზი საქართველოსადმი ოსმალთა ყურადღებისა ამავე ხანაში ის იყო, რომ ირანთან ომის დროს, რომელსაც ოსმალეთი ამ მეზობლის დაპყრობის მიზნით აწარმოებდა, საქართველო მეტად მნიშვნელოვან პოზიციას წარმოადგენდა აღმოსავლეთისაკენ წარმატებით შეტევისათვის.

ირანი. აღმოსავლეთით საქართველოს მეზობელი მე-16 საუკუნიდან სეფიანთა ირანი იყო.

მე-15 საუკუნის მიწურულში თურქმანთა დინასტია ირანის სამეფო ტახტზე არდაველელ შეიხის¹ სეფიედდინის ჩამომავალმა ისმაილმა შესცვალა. სეფისაგან ჩამომავლობის გამო ამ დინასტიას სეფიანებს ანუ სეფევიდებს უწოდებენ.

¹ შეიხი მაჰმადიანთა სასულიერო პირს, მოძღვარს ეწოდება.

შეაქცია ის მთავარ სამხედრო ძალას შვიდი თურქული ტომი შეადგენდა. ამ თურქებს ყიზილბაშებს ანუ წითელ-თავებს ეძახდნენ, რადგანაც მათ თეთრი დოღბანდით გარშემოვლებული წითელი თავსაბურთი ეხურათ.

ოფიციალურ სარწმუნოებად სეფიანთა სახელმწიფოში შიას მიმდევრობა იყო აღიარებული. შიიტობა და სუნიტობა ორი სხვადასხვა მიმდინარეობა იყო მაჰმადიანურ სარწმუნოებაში. შიი ირანში, ხოლო სუნი ოსმალეთში სახელმწიფო სარწმუნოებად იყო გამოცხადებული.

საქართველოს მიმართ ირანის ეს ახალი დინასტია ძველი ტრადიციებით ხელმძღვანელობდა. სეფიანთა შაჰები მონღოლთა ყაენების პოლიტიკურ მემკვიდრეობას იჩემებდნენ და საქართველოს დაპყრობას თავის მოვალეობად სთვლიდნენ.

მე-16 საუკუნის დამდეგიდანვე ოსმალეთსა და ირანს შორის დიდი ომი დაიწყო. მთელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში მათ შორის ზავი არ დადებულა: ან ომი იყო, ან მისი მოლოდინი.

ირან-ოსმალეთის ომის ასპარეზი იყო ერაყი, შარვანი, სომხეთი, საქართველო და აღარბაღანი.

მოწინააღმდეგენი არბევდნენ და ანადგურებდნენ ამ ქვეყნებს, მაგრამ განსაკუთრებით ირბოდა საქართველო, რომელიც არც ერთ დამპყრობელს ნებით თავს არ უღებდა და ორივეს წინააღმდეგ იბრძოდა.

ამრიგად, მე-16 საუკუნეში საქართველო ორ დიდ მოძალადეს შორის მოექცა და დასავლეთ ევროპის სწრაფად მზარდ კულტურულ მსოფლიოს თითქმის სავსებით მოსწყდა.

§ 113. ბატონყმობა

მედგრად და თავგამოდებით იცავდა თავს ქართველი ხალხი საშიში მტრებისაგან, მაგრამ თავდაცვის უნარს დიდად ასუსტებდა ის, რომ ქვეყანა ეხლა სახელმწიფოებრივად მთლიანი არ იყო. ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოების გვერდით ჩამოყალიბდა სამთავროები: სამცხე-საათაბაგო, ოდიში, აფხაზეთი, გურია, რომელნიც მეფისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას ალევდნენ თავის ძალებს.

მთლიანი საქართველოს პოლიტიკური დაშლა შედეგი იყო იმ სამეურნეო და საზოგადოებრივი ვითარებისა, რომელიც შეიქმნა ჩვენში მე-15 საუკუნისათვის. ამ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბატონყმობას და მის ნიადაგზე წარმოშობილს სათავადოების სისტემას.


ბატონყმობა იმას ნიშნავს, რომ თავისუფალი მიწისმფლობელების ფენა გამქრალია. მიწისმფლობელებს შორის არსებითი უფლებრივი განსხვავება აღარაა. აველა ისინი ბატონის მიწაზე სახლობენ. მას ამუშავებენ და ბატონის სა-

სარგებლოდ ბეგარასა და მუშაობას ეწევიან. ამ მიწისმუშებს თავისუფ-
ლებისა თითქმის აღარა შერჩენიათ-რა. ბატონის უნებართვოდ ისინი ვერ
დასტოვებენ მიწას, რომელსაც ამუშავებენ, ვერ დასტოვებენ ქველ ბა-
ტონს და სხვას ვერ მიუვლენ. ბატონს კანონი ნებას აძლევს 30 წე-
ლიწადს ეძიოს მისდა უკითხავად წასული გლეხი და, სადაც მოახვლებს,
უკან დააბრუნოს. საბატონო ბეგარა და მუშაობა უზომოდია გაზრდილი.
გარდა ამისა გლეხი მოვალეა მრავალი სხვა გადასახადიც გაიღოს: სამე-
ფო, სამოხელეო, საეკლესიო და სხვა. მასვე აწევს სამხედრო მოვალეო-
ბაც და მძიმე ხარკი უცხო დამპყრობელთა სასარგებლოდ.

მებატონეები ამავე დროს სულ უფრო და უფრო თავისუფლებიან სა-
მეფო ხელისუფლების მხრით მეთვალყურეობისაგან. სამეფო ხელისუფ-
ლება სულ უფრო და უფრო ნაკლებად ერევა ბატონისა და ყმის დამო-
კიდებულებაში. ბატონები საშვილიშვილოდ დაუფლებიან იმ ქვეყნებს,
რომლებიც მათ ოდესღაც სამეფო ხელისუფლებისაგან სამმართველოდ
მიიღეს. საბოლოოდ მიუსაკუთრებიათ მათ თავისუფალი მიწისმუშებისა-
გან მინატაციები მიწა-წყალიც. ყოველივე ეს მინათვისებ-მინატაციები მე-
ბატონის მამაპაპეულ საკუთრებასთან ერთად სათავადოს ტერიტო-
რიას ჰქმნის. მრავალ ბატონს შეუვალობის უფლება მოუპოვე-
ბია, ესე იგი, მეფეს ასეთი ბატონის ყმები ყოველგვარი სამეფო გადასახ-
დებისაგან გაუთავისუფლებია. ასეთ გადასახადებს ამიერიდან ეს ყმები
შეუვალობის მქონე მებატონეს უხდიათ. მოპოვებულ უფლებას ბატონე-
ბი აღვილად არ სთმობენ. პირიქით, კიდევ უფრო აფართოებენ მას. გა-
დასახადები, აღმინისტრაცია და სამართალიც-კი მეტნაწილად ამიერიდან
ამ მებატონეთა ხელშია.

მთელი საქართველო თანდათან ასეთი სათავადოებით მოიფინა.
ერთადერთი, რაც ჯერ კიდევ აკავშირებდა ამ ნახევრად-ხელმწიფეებს
მეფის ხელისუფლებასთან, ეს იყო მათი საღაშქრო მოვალეობა: თა-
ვადები მოვალე იყვნენ მათზე შეწერილ მოღაშქრეთა რაოდენობით გა-
მოსულიყვნენ მეფის მოწოდებაზე. მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფ-
რო ეს ერთადერთი სახელმწიფო მოვალეობაც თავადებს ზედმეტ ტვირ-
თად ეჩვენებოდათ. ისინი სულ უფრო და უფრო იფარგლებოდნენ თავი-
სი სათავადოს ინტერესებით, მათ თანდათან უჭრებოდათ საქვეყნო ინ-
ტერესების გაგება, სათავადოს ვიწრო ინტერესები-კი ზმირად არ ეთანხ-
მებოდა საერთო სახელმწიფოებრივს.

ყოველივე ამას ის გარემოება კვებავდა, რომ ქვეყანა ღიდიხანია ეკო-
ნომიური დაცემის გზას აღდა. კარჩაკეტილი მეურნეობა უცილობლად
ბატონობდა. ასეთ პირობებში ვერ წარმოიშვებოდა ახალი, ძლიერი სა-
ზოგადოებრივი ფენა, რომლისთვისაც ქვეყნის სამეურნეო და სახელმწი-
ფოებრივი მთლიანობა საარსებო პირობა იქნებოდა და რომელსაც მეფის
ხელისუფლება ამიერიდან დაეყრდნობოდა. კარჩაკეტილი მეურნეობისას
მწარმოებელი საზოგადოება ნაკლებად გრძნობს ქვეყნის სახელმწიფოებ-



ქართველი რაინდების ტურნირი (ცხენოსანთა ბურთობა ჩოგნით).

XVII ს. იტალიელი მხატვრის ნახატი (ვასტელის ალბომიდან).

რივი მთლიანობის ძლიერ საჭიროებას და სახელმწიფოს მთლიანობის დაცვას. შლისაყენ მიმართულ საქმიანობას გულგრილად უყურებს. ასეთ პირობებში ყოველმხრივ გაძლიერებული თავადები, რომელთა ხელში ხშირად მთელი ქვეყნებია, სრული ხელმწიფობისაყენ მიისწრაფიან. უცხო დამპყრობელებიც ასეთ თავადებს მხარს უჭერენ და მეფის ხელისუფლებას გამდგარი თავადების დამორჩილების საშუალებას არ აძლევენ.

მაგრამ აღნიშნული ურთიერთობა არა მარტო ამ მხრით ასუსტებდა ქვეყანას. ბატონების უსამართლობა-გაუმაძღრობისა და ძალადობა-გაუკითხაობის შედეგად გაძარცული, ნახევრად-მშვიერი გლეხაცობა განსაკუთრებულ ხალისსა და უნარს, ბუნებრივია, ვერ გამოიჩენდა ქვეყნის დაცვის საქმეში. ილაჯგაწყვეტილ გლეხს უცხო მოძალადე სძაგდა, მაგრამ არც შინაური მოძალადე უყვარდა.

§ 114. ქართლი 89-16 საუკუნის დამდეგს

1505 — 1525 წლებში ქართლში მეფობდა დავით X, კონსტანტინეს ძე. მის დროს ქართლის სამხედრო რეორგანიზაცია მოხდა. ქვეყანა დაყოფილ იქნა ოთხ ნაწილად. თითოეულ ნაწილს „სადროშო“ ეწოდებოდა. სადროშოდან გამოსული ლაშქარი ცალკე ერთეულს, „დროშას“, ქმნიდა. დროშის სარდლობა ამა თუ იმ თავადის სახლს ეკუთვნოდა. სამხედრო რეორგანიზაცია ამ ხანებში საქართველოს სხვა სამეფოებშიც მოხდა.

საქართველოს დაშლის შემდეგ ბრძოლა ქვეყნის სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღსადგენად საბოლოოდ არასოდეს არ შეწყვეტილა. მაგრამ საამისოდ არახელსაყრელ საშინაო პირობებს საგარეო ხასიათის დაბრკოლებებიც თან ერთოდა და ორივე ერთად ქვეყნის გაერთიანებას დაუძლეველ წინააღმდეგობას უქმნიდა.

დავით ქართლის მეფემ ტყვედ ჩაიგდო გიორგი კახთა მეფე, მოკლა ის და კახეთი თვითონ დაიპირა, მაგრამ საბოლოოდ მან ეს ქვეყანა ვერ შემოიმტკიცა. ქართლის მეფე ბევრს ეცადა ხელთ ეგდო ლევანიც, კახთა მეფის მცირეწლოვანი მემკვიდრე, მაგრამ უშედეგოდ. კახელმა თავადებმა ლევანს უერთგულეს და დავითის ხელისაგან გადაარჩინეს უფლისწული.

არც საგარეო პირობები უწყობდა ხელს ქართლის მეფეს.

1518 წელს ირანის შაჰი ისმაილი დიდი ლაშქრით საქართველოზე წამოვიდა. მეფე დავითმა საქმის მშვიდობიანად მოგვარება სცადა: შაჰს შვილი მიუვლინა ელჩად, ერთგულებას შეჰპირდა მას და ყოველწლიურად 300 საპალნე აბრეშუმში გადაუკვეთა. ოსმალეთის წინააღმდეგ ომში გაერთული შაჰი ქართლის ამ პირობას დაკმაყოფილდა.

ქართლის მეფის საქმეების გართულებით კახეთის თავადებმა ისარგებლეს, აჯანყდნენ და უფლისწული ლევანი მეფედ დაისვეს.

დავით მეფე ისევ მივიდა კახეთს, ხანგრძლივი ბრძოლით დიპყრო ქვეყანა და ის იყო ლევან უფლისწული უნდა ხელთ ეგდო, რომ საგარეო გართულებამ კვლავ იხსნა კახეთის მეფე.

ოსმალებმა დაამარცხეს შაჰ-ისმაილი. ყაენი უკუიქცა ირანს. ეზლა ოსმალებმა გამოგზავნეს ჯარი ქართლ-კახეთის მოსათარეშებლად. დავით მეფე იძულებული იყო ოსმალთა წინააღმდეგ ამხედრებულიყო. მან მომხდური მოთარეშეები დაამარცხა და ქართლიდან გადაარქა.

ამ ბრძოლიდან მობრუნებული დავითი კვლავ კახეთს გაეშურა. ლევან მეფე მზად დახვდა მას ქიზიყში. გამარჯვება ლევანს დარჩა. ეს იყო 1520 წელს. დავითი ამის შემდეგაც ფიქრობდა ბრძოლის გაგრძელებას, მაგრამ იძულებული გახდა საკუთარ დარბაისელთა რჩევა მიეღო: შერიგებოდა შექმნილ მდგომარეობას, ეცნო ლევანი კახეთის მეფედ და შეეკრა მასთან გარეშე მტრების წინააღმდეგ საერთო ბრძოლის კავშირი. ასეც მოხდა.

ქართველებმა ისარგებლეს ოსმალთა მიერ შაჰ-ისმაილის დამარცხებით და მისი მოხარკეობისაგან თავის განთავისუფლება სცადეს. ამავე დროს მათ დევნა აუტყვეს აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებში შემოსახლებულ თურქმანებს. შაჰ-ისმაილი საგანგებო ჯარით სწრაფად გამოეშურა ქართლისაკენ, აღჯაყალას დადგა და ამ ციხის გამაგრებას შეუდგა. დავითი ამასობაში საომრად მოემზადა. ქართლის საშველად მოვიდნენ მესხები და კახელები. გარდა ამისა, დავითმა მთასა და ჩრდილოეთ კავკასიაში მოხალისე მეომრები დაიქირავა.

მეფე მთელი ლაშქრით გავიდა თელეთს (1522 წ.). აქ ქართველებმა დაამარცხეს სპარსელების ორი რაზმი. ბრძოლაში განსაკუთრებული სიმხნე გამოიჩინა დავით მეფის შვილმა ლუარსაბმა, მაგრამ სპარსელების სიმრავლემ სძლია და ლტოლვილი მეფე შიდა-ქართლში შემოვიდა. შაჰმა თბილისი აიღო, გაძარცვა ქალაქი, მრავალი მცხოვრები დაატყვევა და ციხეში თავისი მეციხოვნეები ჩააყენა, თვითონ-კი ტყვეებითა და ნაალაფევით ირანს გაბრუნდა. შაჰ-ისმაილი 1524 წელს გარდაიცვალა. მას მცირეწლოვანი მემკვიდრე თამაზი დარჩა. ქართლის მეფემ ამით ისარგებლა, ეკვეთა დამპყრობლებს, აიღო თბილასი და მეციხოვნე ყიზილბაშები სულ გასწყვიტა. დავითმა ჩქარა აიღო აღჯაყალაც, დაანგრია ის და იქ ჩამოსახლებულ თათრებს მწარე დღე გაუთენა.

§ 115. ლუარსაბ პირველის მიზოგა ქართლში

კიდევ უფრო მეტი ენერგიითა და თავგამოდებით იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მეფე ლუარსაბ დავითის ძე (1534 წ. — 1558 წ.)¹. ირან-ოსმალეთს შორის ომი ამ ხანებში უმაღლეს

¹ 1525 — 1534 წლებში მეფობდა დავით მეცხრის ძმა, გიორგი მეცხრე.

20. საქართველოს ისტორია.

წერტილს აღწევდა. საქართველოს წინააღმდეგ შაჰ-თამაზმა ოთხჯერ მი-
რადად ილაშქრა, მაგრამ არ იქნა და ლუარსაბს ქედი ვერ მოადრეკინა.

შაჰ-თამაზის ლაშქრობანი ქართლში. 1541 წელს შაჰ-თამაზმა
დიდი ჯარით ყარაბაღს მოვიდა. აქედან 12 ათასი რჩეული მეომრით შა-
ჰი მოულოდნელად ღამით მოადგა თბილისს და სწრაფად ქალაქში
შეიჭრა. ქალაქის მოურავი და ციხისთავი გულებათი სულმოუღ-
და გამცემელი აღმოჩნდა. მან უომრად დასთმო ციხე, მაჰმადიანობა მიი-
ღო და დამპყრობელთა ლაშქარს შეუერთდა. შაჰ-თამაზმა ქალაქი დაარბია
და ციხეში საკუთარი ჯარი შეაყენა. ლუარსაბი ამ დროს მცხეთას იყო.
შაჰ-თამაზმა ყიზილბაშთა რაზმი გაგზავნა მეფის ხელში ჩასაგდებად.
ლუარსაბმა დიდგორისაკენ დაიხია, აქ დაუხვდა მტერს, ნაწენბი
უყო მას და ომით შიდა ქართლში გაეცალა.

1546 წელს შაჰ-თამაზი კვლავ შეეცადა ლუარსაბ მეფის დამორჩი-
ლებას.

ამ დროს ოსმალთაგან შევიწროებული სამცხის ათაბაგი შაჰს დახმარე-
ბას სთხოვდა. ყაენიცი მისკენ გამოეშურა, ჯავახეთს მოვიდა და
ახალ-ქალაქს დადგა. ქაიხოსრო ათაბაგი შაჰს მიუვიდა
და მისი დახმარებით ქვეყანა შემოიმატოცა. აქვე ყაენს ეახლნენ ბაგრატი-
იმერთა მეფე და ლევან კახთა მეფე, ლუარსაბმა-კი ეს არ იკადრა. ყი-
ზილბაშებმა მოარბიეს ჯავახეთი, რომელიც ლუარსაბ მეფის მომხრე თა-
ვადების საბატონო იყო, და ის ათაბაგს დაუპოვრჩილეს. აქედან შაჰი
ქვემო-ქართლში გადმოვიდა, ქვეყანა რბევით ჩაიარა და დიდი ტყვე-
ალაფით განჯისაკენ წავიდა.

ირანის წინააღმდეგ მებრძოლი ქართლელები დიდად იყვნენ შეწუხე-
ბულნი სამცხის ათაბაგის ირანისადმი დამორჩილებით. ამავ დროს ოს-
მალეთი სულ უფრო და უფრო მოიწევდა წინ და სამცხე-საათაბაგოს
დასავლეთ ნაწილებს იპყრობდა. 1551 წელს არზრუმის ფაშა ხონთქრის¹
ჯარით არტანუჯში შევიდა. ლუარსაბი ხედავდა, რომ სამხრეთ-და-
სავლეთის მხრით საქართველოს ზღუდე ერღვეოდა. ასეთ გარემოებაში
ქართლის მეფემ საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილის დაპყრობა გადასწყ-
ვიტა, რომ ოსმალეთის წინსვლისათვის ამ მიმართულებით გზა შეეკრა.
ათაბაგის მოწინააღმდეგე მესხი თავადების შემწეობით ლუარსაბმა ხელთ
იგდო ჯავახეთი და სამცხე-არტაანის დიდი ნაწილი. ქაიხოსრო ათაბაგმა
შველ-დახმარებისათვის ისევ შაჰ-თამაზს მიმართა.

ამ დროს შაჰ-თამაზი შაქში ლაშქრობდა. ის წამოვიდა შაქიდან და
სომხითზე გავლით სწრაფად ჯავახეთში ამოვიდა. შაჰ-თამაზმა დაარბია
ჯავახეთი, დაიპყრო ციხე-ქვაბები, სადაც ქართველები გამაგრებულიყუ-
ნენ, აიღო და სულ ერთიანად გაძარცვა ვარძიის მონასტერი, შეიპყ-
რა და დახოცა ლუარსაბის მომხრე მესხი თავადები. შაჰმა დაუბრუნა ქაი-

¹ ხონთქარი — ოსმალთა სულტანი.

ბოსრო ათაბაგს ქართლის მეფის მიერ წართმეული ქვეყანა და მრავალ-
ტყეითა და ნაძარცვ-ნადავლით დატვირთული უკან გაბრუნდა.

ირან-ოსმალეთის ზავი და საქართველო. 50-წლიანი ომის
შემდეგ, 1555 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ამ ზავის
შინდევით მტაცებლებმა საქართველო ურთიერთ შორის გაინაწილეს:
ქართლი, კახეთი და სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი ირანმა ირგუნა,
ხოლო იმერეთის სამეფო გურიისა და ოდიშ-აფხაზეთის სამთავროე-
ბით — ოსმალეთმა.

ლუარსაბს ირან-ოსმალეთის ზავი საქართველოსათვის სავალდებუ-
ლოდ სრულიადაც არ მიაჩნდა. ქართლის მეფე სულ მუდამ იმის ცდაში
იყო, რომ თბილისი და ქვემო-ქართლი ყიზილბაშთა ხელიდან გამოეგ-
ლიჯა.

შაჰ-თამაზის ახალი ლაშქრობა ქართლში. ამიტომ ოსმალეთ-
თან ზავის დადების უმალ შაჰ-თამაზი მთელი თავისი ძალით ქართლის
წინააღმდეგ წამოვიდა. ეს იყო შაჰ-თამაზის მეოთხე ლაშქრობა ჩვენს
ქვეყანაში. ქართველები ტყეებსა და ვიწროებში ჩასაფრებით დიდ ზიანს
აყენებდნენ სპარსელებს. შაჰ-თამაზმა შემუსრა გო რ ი და შემდეგ რაზ-
მები ახლო მდებარე ციხეებს შეუსია. ყიზილბაშებმა წე დ ის ის ციხე
ძალით აიღეს, ვე რ ის ციხე-კი (ატენის მისადგომებზე) უომრად გადას-
ცა მტერს ადგილობრივმა თავადმა. აქედან ყიზილბაშები ა ტ ე ნ ი ს
ციხეს შემოადგნენ, სადაც ლუარსაბის დედა და სხვა დიდი ფეოდალების
სახლობანი შეხიზნულიყვნენ. ეს ციხე მიუდგომელი იყო და მეციხოვნე-
ბიც დიდხანს მდგრად იცავდნენ მას, მაგრამ მტერმა ის ერთი სულმოკ-
ლე ქართველის წყალობით აიღო. ყიზილბაშებმა დედოფლის მსახური
ტყვედ ჩაიგდეს. სიკვდილის მუქარის ქვეშ მშინშარამ გასცა ციხის საიდუმ-
ლო და მტერს ციხის წყაროს სათავე უჩვენა. ყიზილბაშებმა ციხეს წყა-
ლი დაუწყვიტეს და უწყლობით ღონემიხდილი სიმაგრეც დაეცა.

ესლა შაჰ-თამაზი ქართლიდან სასწრაფოდ ირანს გაემშურა. ლუარსაბ
მეფე, რომელიც ა ჩ ა ბ ე თ ის ციხეში იდგა, უკან აედევნა შაჰ-თამაზს,
მრავალჯნის შეება მისი უზარმაზარი ჯარის ნაწილებს, დიდადაც ავნო,
მაგრამ დედა და სხვა ტყვეები (ამათი რიცხვი 30 000 სული იყო, გად-
მოგვცემენ) მაინც ვერ დაიხსნა. ტყვე დედოფალმა შერცხვენილ სიცოცხ-
ლეს, როგორიც მას მოელოდა, სიკვდილი არჩია და საწამლავი შესვა.

ამრიგად, ვერც ამ შემოსევით ეწია ირანის შაჰი თავის გულის წადილს,
ლუარსაბი ხელთ ვერ იგდო და ვერც ქედი მოახრევეინა მას.

პირიქით, ლუარსაბმა თანდათან ძალა შემოიკრიბა, შიდა-ქართლის
ციხეები კვლავ გამოგლიჯა ყიზილბაშებს ხელიდან, მომთაბარე თურქ-
მანებს ფეხი ამოუკვეთა თავის სამფლობელოში და თბილისის დაპყრო-
ბასაც ცდილობდა. თბილისის მეციხოვნეებმა შეელა სთხოვეს ყარაბაღის
მმართველს.

ზარისის ომი. 1558 წელს ყარაბაღის მმართველი დიდი ჯარით მოვიდა თბილისისაკენ. მტრის დასახვედრად გორიდან უმაღლესი ლუარსაბიც. ამ დროს ლუარსაბი უკვე მოხუცი იყო და ჯარის სარდლობა თავისი შვილის, მამაცი სიმონისათვის გადაეცა. ომი მოხდა ზარისს¹. მტრის შეხვედრისას ქართველებმა განზრახ უკან დაიხიეს, რომ მოწინააღმდეგე მისთვის არახელსაყრელ ადგილებში შემოეტყუებინათ. ყიზილბაშები ქართველებს დაედევნენ. სწორედ ამ დროს ქართველთა მთავარი რაზმი სიმონის მეთაურობით გვერდიდან დაეძგერა ყიზილბაშებს და მათი ჯარი შუაზე გააპო.

ყიზილბაშებმა პირი იბრუნეს და გაიქცნენ. ქართველები ხოცვა-ჟლეტით უკან მიჰყვნენ. ამ დროს ლუარსაბი სხვა მოხუცებთან ერთად შორიხლოს ერთ ბორცვზე იდგა და ომის ამბავს მოელოდა. ყიზილბაშთა ერთი რაზმი ტყეს შეფარებოდა და ეხლა, სამალავიდან გამოსული, ისიც გაქცევას აპირებდა. ეს რაზმი ლუარსაბსა და მის ამაღას წააწყდა და სხვა გზა არ იყო, ომი გაიჩაღა. ლუარსაბმა და მისმა მოხუცებმა მხნელ შეუტეეს ყიზილბაშებს. მეფეს გახურებულ ომში საბრძოლველი იარაღი შემოემტვრა. სწორედ ამ დროს ლუარსაბმა მტრის რაზმის უფროსი გაიმარტოვა, ცხენი, დააძგერა მას და გადასთელა. მაგრამ მეფის ცხენს ზერელში ფეხი ჩაუვარდა, წაიჩოქა და თავისი მხედარი გადმოაგდო. წაქცეული მეფე ყიზილბაშებმა სასიკვდილოდ დასტრეს. მეფის მკვლელი ქართველებმა იქვე გაათავეს და ამ რაზმის სხვა მეომრებიც სულ ერთიანად აკლწეს. სიმონ ბატონიშვილიც დიდად გამარჯვებული დაბრუნდა, მაგრამ გმილი მამის დაღუპვამ გამარჯვების სიხარული მწარე გლოვად შეუცვალა.

ქართლის ბრძოლის მნიშვნელობა. ქართლის ეს მრავალწლოვანი უმაგალითო გმირული ბრძოლა მხოლოდ მის საკუთარ კუთხურ ინტერესებს კი არ ემსახურებოდა, არამედ მთელი საქართველოს დამოუკიდებლობას. ამიტომაც იყო, რომ შემდგომი თაობანი სიყვარულითა და დიდი პატივით ინახავდნენ ამ ბრძოლის მეთაურისა და შეუდრეკელი გმირის ხსოვნას. ლუარსაბი საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის თავდადებულ ბრძოლის დროშად იქცა ირან-ოსმალეთის მოძალადეობის შავბნელ ხანაში.

§ 116. სიმონ პირველის მეფობა ქართლში

სიმონ მეფე მამის პოლიტიკას განაგრძობდა და ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლას არ ანელებდა.

მაგრამ რაც იარაღით ვერ მოახერხეს ყიზილბაშებმა, ის მოსყიდვა-

¹ შტ. ქციის (ზრამის) ხეობაში.

შპიონაჟის გზით შესძლეს. მათ თანდათან მრავალი ფეოდალი გადაიბირეს, განსაკუთრებით ქვემო-ქართლიდან. მოისყიდეს სიმონ მეფის ძმა დავითი. ეს სულმოკლე და მოღალატე სხვა მოღალატეებთან ერთად 1564 წელს შაჰ-თამაზს ეახლა ყაზვინში. დავითი თავისი ამალით ჩქარა გამაჰმადიანდა. შაჰ-თამაზმა ამ გადაგვარებულს ქვემო-ქართლისა და თბილისის მეფობა დაუმტკიცა, ყიზილბაშთა ლაშქარი გამოატანა და საქართველოში გამოისტუმრა. ამიერიდან შაჰმა თვით ქართლებს შორის დასაყრდენი გაიჩინა. მიუხედავად ამისა, სიმონმა ორჯერ სასტიკად დაამარცხა დავითი, მისი მომხრე მოღალატეები და ყიზილბაშთა დამხმარე ჯარი.

სიმონ მეფის დატყვევება. ყაენმა დავითის დასახმარებლად ახალი ღიძძალი ჯარი გამოგზავნა, რომელიც ფარცხისს მოვიდა (ალგეთის ხეობაში). სიმონ მეფე თავისი ჯარით მტერს ვაჟაკურად ეკვეთა. მაგრამ ღალატმა აქაც თავი იჩინა. სამშობლოს გამყიდველმა აზნაურმა კახაბერ ყორღანაშვილმა, მტრის მეგზურმა, ომის დროს მცირე რაზმით გამარტოებული სიმონ მეფე იცნო და მტერს ანიშნა იგი. მეორე მოღალატემ-კი მეფეს მუხთლურად შუბი აძგერა და ცხენიდან გადმოაგდო. ყიზილბაშთა დიდი გუნდი სიმონს შესაპყრობად მოეტევა. მეფის თანამებრძოლთაგან ბევრი მტერს შეაკვდა, სხვები მეფესთან ერთად ტყვედ ჩაიგდეს ყიზილბაშებმა. ქართველები დამარცხდნენ. ეს იყო 1569 წელს.

სიმონი ირანში წაიყვანეს. შაჰ-თამაზი ბევრს ეცადა მის გამაჰმადიანებას, მაგრამ ვერც პატივმა, ვერც მუქარამ სიმონი ვერ შესცვალა. გაბრაზებულმა შაჰმა ტყვე მეფე ალამუტის ციხეში გამოჰკეტა, სადაც მრავალ წლის განმავლობაში იტანჯებოდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის გაუტეხელი მებრძოლი.

სიმონის დატყვევება ირანის დიდი გამარჯვება იყო. ჩანდა, რომ ქართლი ხანგრძლივსა და უსწორო ბრძოლაში მოიქანცა. მიუხედავად ამისა ხალხი გულს არ იტეხდა და მტრისათვის სამაგიეროს გადახდას ლაშობდა. ასეთ შურისმაძიებლებს აქებს ხალხური ლექსი:

„კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლევები მგლისანი,
ისე არ ამოწყდებიან,
ჯაფრი შესჰამონ მტრისანი“...

სიმონ მეფის დატყვევების შემდეგ თავადებიდან ზოგი დავითს მიუვიდა, მაგრამ უმრავლესობა ირანის შაჰის ამ მოხელეს მეფედ არ სცნობდა. ქვეყნის მოღალატე ყორღანაშვილს მეწინავე დროშის სარდალმა საჩინო ბარათაშვილმა საკადრისი მიუზღო — გელიყარის ციხეში კლდეზე გადააგდო, ხალხმა-კი თავისი კმაყოფილება ამის შესახებ ლექსით გამოთქვა: „ყორღანასძე ქარაფინდა, ხელი ჰკრეს და გადაფრინდა“.

კახეთი მე-16 საუკუნეში საკმაოდ მოშენებული ფეოდალური საზოგადოება იყო. აღმოსავლეთით მას აბრეშუმის წარმოებით განთქმული შაქი-შარკისა და ნიქარა-ნი ესაზღვრებოდა. შაქი და შარკის დიდი ნაწილი დიდხანს იყო საქართველოს მფლობელობაში და მხოლოდ მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში საბოლოოდ ჩამოშორდა მას. კახეთის მეფეები მე-16 საუკუნეშიც მეზობელ შაქს დასაპყრობად უყურებდნენ.

მე-16 საუკუნეში დაუსრულებელი ქიშპი იყო ატეხილი კახეთსა და შამხალის სამთავროს შორის, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობდა, კასპიის ზღვის მხარეს. შამხალი კახეთს პირაქეთა დაღისტანს ეცილებოდა. კახეთს ამისი დათმობა ადვილად არ შეეძლო: საკუთარი საზაფხულო საძოვრები აღარ ექნებოდა და თვითონ ქვეყანაც კედელმორღვეული რჩებოდა. მთის დაკარგვის შემდეგ მთელი კახეთი, განსაკუთრებით-კი მისი უმდიდრესი აღმოსავლეთი ნაწილი, კავკასიის მთიულთა და გადამთიულთა მუდმივი თავდასხმების მსხვერპლი გახდებოდა.

ირანის მიმართ-კი კახეთის პოლიტიკა სრულიად განსხვავდებოდა. კახეთის მეფე ალექსანდრე გიორგის ძე (1476 — 1511) ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის დასაწყისშივე უომრად მოუბრუნა შაჰ-ისმაილს მორჩილების პირობაზე. ამიერიდან ამ საუკუნის 90-იან წლებამდე კახეთ-ირანის ეს დამოკიდებულება არ შეცვლილა. კახთა მეფეების მთელი ცდა მხოლოდ იქით იყო მიმართული, რათა ეს დამოკიდებულება, რაც შეიძლებოდა, ადვილად ასატანი ყოფილიყო.

ლევან მეფე. 1520 წლიდან კახეთში ლევანი მეფობდა. ლევანს საქართველოს სახელმწიფო ერთიანობის აღდგენა აგრე არ აინტერესებდა და საერთო მტრის წინააღმდეგ ქართველ მეფე-მთავრების ერთობა გამოსვლაში იშვიათად მონაწილეობდა. მისი პოლიტიკური სარბიელი მთლიანი საქართველო-კი აღარ იყო, არამედ მხოლოდ კახეთი. სამაგიეროდ კახეთში ჰქვიანი მმართველი გამოდგა და მოქნილი პოლიტიკოსიც.

ლევანის საზარმო პოლიტიკა. კახეთის მტერ შამხალზე ზეგავლენის მიზნით ლევანი ოსტატურად საქმიანობდა. ერთი მხრით, ის მეგობრობდა და კავშირითაც ეკვროდა შამხლის მოქიშპე ჩერქეზ მთავრებს; მეორე მხრით, კახთა მეფე მოხერხებულად ერეოდა შამხლისა და მის სახლისკაცთა შორის ამტყდარ უთანხმოებაში და ამ უთანხმოების გაღვივებას ხელს უწყობდა; ამავე დროს იგი არც შამხალთან დაახლოებას გაუბრუნებდა. ლევანი, ბოლოს, დაუმოყვრდა კიდეც შამხალს და საერთო მტრების წინააღმდეგ პოლიტიკური კავშირითაც შეეკრა მას. ამით კახთა მეფემ მთის საკითხის მოგვარება გააიდვილა.

ლევანმა დაიმორჩილა კარგა ხნის გამდგარი ფშავ-ხევსურეთი და თუშეთი. მეფემ ამ მთიელებს კახეთის საზამთრო საძოვრები დაუქირა. შევიწროებულმა მთიელებმა იკისრეს მეფის ლაშქრობაში მონაწილეობა და ყოველწლიური ბეგარა.



ლევან კახთა მეფე, სახლობით.

შუა-მთის ფრესკა. სატ. მუხ. ისტ. განყ.

ლევან მეფეს შეურიგებელი მტრობა ჰქონდა შაჰის სამთავროსთან. შაჰი-შარვანს ამ დროს უკვე ირანის ყაენი იჩემებდა. მოხერხებული მოქმედებით ლევანმა დაამარცხა და დალუბა შაჰის მმართველები და ამავე დროს ყაენის რისხვაც თავიდან აიცილინა.

იმ გმირულ ბრძოლაში, ქართლი რომ ირანის წინააღმდეგ აწარმოებდა, კახეთი განზე იდგა და აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა. ლევან მეფე ირანის შაჰისადმი მორჩილების ხაზს არ უხვევდა. ძლიერი კახეთი მებრძოლ ქართლს რომ არ გაერთიანებოდა ირანის წინააღმდეგ, შაჰი იძულებული იყო კახეთიდან მცირე მისართმეველს დასჯერებოდა და არც სარწმუნოებრივი დევნა გამოემყვანებინა. ასე რომ ქართლის

ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის
კახეთის პოლიტიკურ მდგომარეობას ამსუბუქებს.
ქება.

კახეთი — კეთილმოწყობილი ფეოდალური სამეფო. ასეთს
პოლიტიკურ ხელსაყრელ პირობებში კახეთი მე-16 საუკუნეში დაწინა-
ურდა, მოშენდა და ამ საუკუნის დასასრულისათვის სხვა ქართულ სამე-
ფო-სამთავროთა შორის ის ყველაზე მდიდარ და კეთილმოწყობილ ფეო-
დალურ სამეფოდ იქცა.

კახეთის სიმდიდრე მის სოფლის მეურნეობაში იყო. მეცხოველეობა
კახეთს უძველესი დროიდანვე მოსდევდა. მე-16 საუკუნეშიც ის განთქ-
მული იყო თავისი ჯიშინი ცხენებით. განსაკუთრებით ფართოდ მის-
დევდნენ კახეთში ამ დროს მებაგრეშუმეობას, რომლითაც უცხოელებთან
დიდ ვაჭრობას აწარმოებდნენ. მევენახეობა არ ჩამოუვარდებოდა მება-
გრეშუმეობას, ღვინო უხვად გაჰქონდათ ახლობელს თუ შორეულ ქვეყ-
ნებში. მნიშვნელოვანი გასატანი საქონელი იყო აგრეთვე კაკალი დიდი
რაოდენობით და ენდრო — მცენარე, რომლიდანაც საღებავი მზადდებოდა.

კახეთი ხელოსნობა-ხელსაქმობაშიაც დაწინაურებული იყო. სოფლის
მეურნეობისა, ხელოსნობისა და ვაჭრობის ასეთი განვითარების ნიადაგზე
იყო რომ მე-15 — მე-16 საუკუნეებში კახეთში ქალაქები კი არ მცირდებოდა
და ქრებოდა, როგორც ეს საქართველოს სხვა ნაწილებში მოხდა
ამ დროს, არამედ ჩნდებოდა და იზრდებოდა. ბაზარი, გრემი ამ
გვიანფეოდალური ხანის ახალი ქალაქებია, რომელთაც დიდად გაუსწრეს
ძველ თელავს, თიანეთს, ქინვანს.

ცვლილებები კახეთის სახელმწიფო წყობილებაში. მე-15
საუკუნის მიწურულამდე კახეთი, ისე როგორც მთელი საქართველო, სამ-
ხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად — საერისთავოებად იყო
დაყოფილი. მთელი კახეთი შეიდი საერისთავოსაგან შესდგებოდა. ერის-
თავები ძველად ფეოდალური მოხელეები იყვნენ, მაგრამ მე-15 საუკუ-
ნისათვის ისინი უფრო სახელად იყვნენ მოხელეები, ნამდვილად-კი თავი-
სი საგამგეო ქვეყნების საშვილიშვილოდ მფლობელობასა და ხელმწიფო-
ბას იჩენებდნენ.

მე-15 საუკუნის მიწურულში კახეთის მეფეებმა გააუქმეს ქვეყნის ეს
ძველი დაყოფა საერისთავოებად. ამიერიდან კახეთი დაიყო გაცილებით
უფრო მრავალ ტერიტორიულ საგამგეო ერთეულად — სამოურაო-
ებად. მცირე ტერიტორიის მმართველი მოურაიები ერისთავობას ვერ
დაიჩემებდნენ, მეფის ურჩობას ისინი აგრე ადვილად ვერ გაბედავდნენ,
მათ საამისო ძალა არ შესწევდათ. ამიტომაც მოურაიები მხოლოდ სახელად
კი არა, არსებითადაც მეფის ადგილობრივი ფეოდალური მოხელე იყო.

ცვლილებები კახეთის სამხედრო წყობილებაში. ამავე დროს
კახეთში ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, რომელიც აგრეთვე

მიზნად ისახავდა მეფის გაძლიერებას და დიდი თავადების დასუსტებას. ძველი ერისთავი დროშის მქონებული იყო, ესე იგი საერისთაო ქვეყანა ცალკე სამხედრო ერთეულს წარმოადგენდა და აქედან გამოსული ლაშქარის სარდალიც ერისთავი იყო. სარდლობა ერისთავის გაძლიერების ერთი უმთავრესი საშუალებათაგანი იყო და მასზე დაყრდნობით აპირებდა განდიდებული ერისთავი საერისთაოში ხელმწიფობას.

ეხლა კახეთი დაყოფილ იქნა ოთხ სამხედრო ტერიტორიულ ერთეულად — სადროშოდ, მაგრამ სადროშოების სარდლობა კახეთის მეფემ თავადთა გვარებს კი არ ჩააბარა, როგორც ეს ქართლში მოხდა, არამედ ეპისკოპოსებს. ეპისკოპოსობა-კი სამეშვენიერო თანამდებობა არ ყოფილა. ეპისკოპოსები მეფის მიერ ინიშნებოდნენ და საეკლესიო ყმებისა და მიწების გამოყენების საქმეში მეფის მფარველობას დიდად საჭიროებდნენ. ამის გამო ეპისკოპოსები მეფის უფრო ერთგული იყვნენ, ვიდრე საერო დიდბატონები. სარდლის უფლებებს მოკლებული და მცირე ტერიტორიული ერთეულების მმართველი მოურავები-კი ხელმწიფობაზე ვერ იფიქრებდნენ. ამ ცვლილებების გატარების დროს კახეთის მეფეების მთავარი დასაყრდენი იყო ფეოდალური საზოგადოების ფართო ფენები — აზნაურები, მოლაშქრეები.

მაგრამ თუ ეს ღონისძიება აძლიერებდა მეფესა და მის გავლენას, ამასთანავე იგივე ღონისძიება ზრდიდა დიდბატონების უკმაყოფილო განწყობილებას კახთა მეფეებისადმი.

რუსეთის გამოცვლა წინა აზიის პოლიტიკურ საზღიერზე.

მე-16 საუკუნის შუა-წლებში შორს საქართველოდან დიდმნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: მოსკოვის სამეფომ მდინარე ვოლგის აუზში თათართა მფლობელობა მოსპო. ამიერიდან ვოლგის დიდი სავაჭრო გზა რუსეთის სამეფოს ხელში მოექცა. მალე ამის შემდეგ მოსკოვის მეფემ ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ფეხის მოკიდება სცადა, მდინარე თერგისა და სუნჯის შესართავთან ციხე ააგო და შიგ ჯარი ჩააყენა.

ამ დიდ ამბებს კახელებისათვის შეუმჩნევლად არ ჩაუვლია.

კახეთის მეფემ მალე გააბა ურთიერთობა ჩრდილოეთიდან მომავალ ამ ახალ ძალასთან. 1564 წელს მოსკოვის მეფემ ივანე IV „მფარველობის ხელი დასდო“ კახეთის მეფე ლევანს და მეციხოვნე ჯარიც-კი ათხოვა მას (1568 — 1571 წ. წ.).

ამ ამბებმა შეაშფოთა ირანი და ოსმალეთი. ოსმალეთმა ომის მუქარით აიძულა რუსეთი გაეყვანა ჯარი თერგის ციხიდან, ლევან მეფემ-კი შაჰის მოთხოვნით რუსი მეციხოვნეები კახეთიდან დაითხოვა.


კახეთი ალექსანდრე მეფის დროს. ალექსანდრე ლევანის ძე, კახეთის მეფე (1574 — 1605), წარმატებით განაგრძობდა თავისი მამის პოლიტიკას.

ალექსანდრე მდიდარი და ძლიერი მეფე იყო. მისი ვაჭრები კახური საქონლით აზიასა და ევროპაში დადიოდნენ. მეფეს შეძლება ჰქონდა დი-

დი თანხებით შესწეოდა ქრისტიანულ სალოცავებს იერუსალიმსა და სხვა ადგილებში. ალექსანდრეს განზრახვა ჰქონდა მთლიანად აღედგინა ქანეთში საქართველოს აყვავება-ძლიერების დროინდელი მატერიალური, კულტურის ნაშთები: ციხე-ქალაქები, ეკლესია-მონასტრები. მეფე ცდილობდა მოეყვანა უცხოეთიდან ოსტატ-ხელოსნები, ხუროთმოძღვრები, მხატვრები, სწავლული მწიგნობრები.

ალექსანდრე ცდილობდა წესიერება დაემყარებინა თავის სამეფოში. ლავამი ამოედო ფეოდალური მოხელეების აღვირახსნილობისათვის. მის დროს თურმე მშრომელი ხალხი, გლეხები, მოურავებისაგან „ბევრსა ძალსა და უსამართლობას ჩიოდეს“. ალექსანდრემ მკაცრად განსაზღვრა მოურავების უფლება-მოვალეობანი და ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ამ მოხელეთა საქმიანობას.

ალექსანდრე მეფეს 15 ათასამდე რჩეული მოლაშქრე ჰყავდა, „ქუდზე კაცი“—კი, ესე იგი საყოველთაო მობილიზაციით, მას ორჯერ მეტიც შეეძლო გამოეყვანა. აქედან მხოლოდ 3 000 იყო ქვეითი, სხვა ყველა—ცხენოსანი. ალექსანდრემ იცოდა, რომ შეიარაღებით მისი ლაშქარი ძალიან ჩამორჩებოდა მეზობელი ქვეყნების ჯარებს: 15 000 კაცზე მას მხოლოდ 500 კაცი ჰყავდა ხელთოფით შეიარაღებული, ზარბაზნები-კი სულ არ გააჩნდა. ამიტომაც ალექსანდრე ცდილობდა გაეჩინა არტილერია, მოეწყო თავის ქვეყანაში თოფისა და ზარბაზნის ჩამოსხმის საქმე, ეშვოვა საამისო ოსტატები.


აქედან. 

§ 118. დასავლეთი საქართველო. მე-16 საუკუნეში

ოსმალეთი და დასავლეთი საქართველო. მე-16 საუკუნეში ოსმალეთი დასავლეთ საქართველოს სამი მიმართულებით უტევდა. უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარზე ოსმალთა გავლენის ქვეშ შედარებით ადრე მოექცნენ ჯიქები და ზოგიერთი სხვა აფხაზურ-ჩერქეზული ტომი. ამათი საშუალებით ოსმალეთი აფხაზეთშიაც ფეხის მოკიდებას ცდილობდა.

მეორე მხრით, ოსმალეთი ტრაპიზონის მიმართულებით მოიწევდა. მე-16 საუკუნეშივე ოსმალეთმა მოგლიჯა ქანეთი (ლაზისტანი) საქართველოს და გურიას შემოუტია. მართალია, ბათუმის დაპყრობის ცდა მარცხით დაუბოლოვდა თავდამსხმელს, მაგრამ კოროხის შესართავის მარცხენა ნაპირზე თურქებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი. ამიერიდან გონიის ციხე (კოროხის შესართავთან) აჭარისა და გურიის წინააღმდეგ სამოქმედო ბაზად იქცა ოსმალთა ხელში.

დასავლეთ საქართველოზე ოსმალთა შემოტევის მესამე მიმართულება სამცხის მხრიდან იყო — ზეჟარის გზით.



ქართველი რაინდების ტურნირი (ცხენოსანთა სროლა მიზანში).

XVII ს. იტალიელი მხატვრის ნახატი (კასტელის აღმომადგენი).

1510 წელს ოსმალთა დიდი ჯარი სულტანის მეშვეობით სელაიმ/მეთაურობით საქართველოს დასარბევად წამოვიდა. სამცხის ათაბაგი, რათა საკუთარი ქვეყანა ეხსნა დარბევისაგან, მორჩილებით მიეგება მტერს და ლიხთ-იმერეთში გადმოუძღვა მას. ოსმალთა ჯარი მოულოდნელად დაეცა ქუთაისს. ქვეყანა ამას მოუშზადებელი დაზვედა და ძლივს დახიზვნა მოასწრო. ოსმალებმა აიღეს და ააოხრეს ქალაქი, დააბიეს სოფლები, დასწვეს ეკლესიები (მათ შორის შესანიშნავი ბაგრატის ტაძარი ქუთაისში და გელათი), დაიტაცეს, სადაც რამოახელეს.

ბაგრატ მეფე (1510 წ. — 1565 წ.). ლიხთ-იმერეთის სამეფო ტახტზე ახალგაზრდა ბაგრატ ალექსანდრეს ძე იჯდა. მტრის მოულოდნელი შემოსევის გამო ბაგრატ იძულებული გახდა ციხეებში გამაგრებულიყო, — იმერეთი დამორჩილებას არ აპირებდა და ბრძოლისათვის ემზადებოდა. ზამთარი დგებოდა და ზეკარის გადასავალს საცა იყო თოვლი შეკრავდა. ასეთ დროს უცხო ქვეყანაში ღრმად შემოჭრილი ოსმალთა ჯარი შეიძლებოდა დიდ განსაცდელში ჩავარდნილიყო. ამიტომ ოსმალთა ლაშქარი სასწრაფოდ უკან გაბრუნდა, მიუხედავად იმისა, რომ იმერეთს მის წინააღმდეგ ჯერ ხმალი არც კი ემიშვლა.

ბაგრატ მეფის წინაშე მეტად რთული ამოცანები იდგა.

დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვას ძალების თავმოყრა სჭიროდა. მაგრამ იმერეთის მეფის მდგომარეობა ამ საქმეში განსაკუთრებით მძიმე იყო. მთავრები არა მარტო თვით იყვნენ გამოუსადეგარი ასეთი მობილიზაციისათვის, არამედ ისინი სხვა, უფრო მცირე თავადების ურჩობასაც ხელს უწყობდნენ. მწარე ვაკევეთილებმა მეფე საბოლოოდ დაარწმუნა, რომ კარზე მომდგარი მტრის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის წინასწარ აღცილებელი იყო მთავრების შემუსვრა. მაგრამ, საუბედუროდ, ასეთი რამ მეფის შეძლებას აღემატებოდა. მაინც ბაგრატ მეფე მხნედ ედილობდა ქვეყნის სახელმწიფოებრივ მოწესრიგებას. წვრილი აზნაურების გარდა მეფე ამ ბრძოლაში საეკლესიო ფეოდალებსაც ეყრდნობოდა. კათალიკოს-ეპისკოპოსთა კრება მეფეს ზურგს უმაგრებდა სხვადასხვა ბოროტმოქმედთა მკაცრად დასჯის საქმეში.

საეკლესიო კრების დადგენილებები განსაკუთრებით მკაცრი იყო ტყვის გამყიდველთა მიმართ. ტყვის გამყიდველი გაუკითხავად უნდა სიკვდილით დასჯილიყო.

„ტყვის სყიდვა“ იმ დროს ადგილობრივი კაცის უცხოეთში გაყიდვას ეწოდებოდა. ეს სოციალური სენი განსაკუთრებით მე-16 საუკუნიდან გაძლიერდა. ყველაზე უფრო ტყვის სყიდვა დასავლეთ საქართველოში გავრცელდა. ამ მოვლენას ღრმა-ეკონომიური და საზოგადოებრივი მიზეზები ჰქონდა.

ტყვის სყიდვა ქართველი ერის განვითარებას, მის დამოუკიდებლობას უდიდეს საფრთხეს უქმნიდა: ხალხის საუკეთესო ნაწილი, მისი ჯანსაღი

ახალგაზრდობა, მიედინებოდა უცხოეთში და საქართველოს სამუდამოდ
ეკარგებოდა. არც ერთ ომს, არც ერთ უცხოელ დამპყრობელს ზმლით
იმდენი ზარალი არ მიუყენებია დასავლეთ საქართველოსათვის. რამდენ-
ნიც ტყვის სყიდვამ მიაყენა მას.

ტყვის სყიდვა კლასობრივი ბრძოლის ყველაზე უფრო მახინჯი და ე-
ლური ფორმა იყო საშუალო საუკუნეების საქართველოში.

ტყვის სყიდვის საშისწრაფობას კარგად გრძნობდა ფეოდალური საზოგა-
დობის საუკეთესო ნაწილი და, რაც ძალა შესწევდა, იბრძოდა კიდევაც
ამ ბოროტების წინააღმდეგ.

ბაგრატ მეფე ამავე დროს მხნედ იბრძოდა ოსმალეთის წინააღმდეგ.

1533 წელს, ბაგრატის თაოსნობით, მამია და დიანი და მამია
გურიელი ჯიქეთს გაემართნენ სალაშქროდ. უკვე კარგა ხანი იყო,
რაც ჯიქები ოსმალთა წაქეზებით თავს ესხმოდნენ ოდიშ-აფხაზეთისა და
გურიის სანაპიროებს ტყვეთა შოვნის მიზნით. ბრძოლის დროს ქართველ-
თა ლაშქარში დაღატაკმა იჩინა თავი. დადიანი და გურიელი დამარცხდ-
ნენ — დადიანი მოჰკლეს, ხოლო გურიელი დაატყვევეს.

სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა. ამ მარცხს ბაგრატ მეფის ენერ-
გია არ მოუღუწებია. ბაგრატ მეფე არ სცნობდა სამცხის ათაბაგის ხელ-
შეიფობას და ეს ქვეყანა თავისთვის სამკვიდროდ უნდოდა.

1535 წელს ბაგრატმა სამცხეში გაილაშქრა. ომი მოხდა მურჯან-
ხეთს. ბაგრატმა დაამარცხა ყვარყვარე ათაბაგი, ტყვედ იგ-
დო ის ხელში და მისი სამფლობელოც დაიჭირა.

სამცხე-საათაბაგოს ფეოდალების ერთმა ნაწილმა, ოთარ შალი-
კაშვილის მეთაურობით, ყვარყვარე ათაბაგის შვილი ქაიხოს-
რო სტამბოლს წაიყვანა და სულტანს შეაგედრა.

1543 წელს 22 ათასი კაცისაგან შემდგარი ოსმალთა ლაშქარი შემო-
იჭრა სამცხე-საათაბაგოში და მისი დასავლეთი ნაწილი ააოხრა.

ბაგრატ მეფე მხნედ ემზადებოდა მტრის დასახვედრად, მაგრამ საქმის
წარმატებას შინაური გართულება აფერხებდა. გურიისა და ოდიშის
მთავრებს მეფის გაძლიერება არ მოსწონდათ. მათ ეშინოდათ, გაძლიერე-
ბული მეფე ჩვენს უფლებებს შეკვეცავსო. რომ მთავრები მის წინააღმ-
დეგ არ გაერთიანებულიყვნენ, მეფემ გურიელს წყალობა უყო: საათაბა-
გოს დაპყრობილი მიწა-წყლიდან მას აჰარა და ქანეთი გადასცა. ამაში
დადიანმა თავისთვის საფრთხე დაინახა და განდგომა გადასწყვიტა. თა-
ვისი განდგომა ლევან დადიანმა მაშინ გამოამჟღავნა, როცა
ოსმალთა დიდი ჯარი სამცხეში შემოიჭრა — დადიანმა უარი უთხრა
მეფეს ლაშქრით მიშველებაზე.

ამ საშინაო გართულების მიუხედავად ბაგრატ მეფე და გურიელი
მხნედ დაუხვდნენ მტერს. ომი მოხდა ქარაღაქს და ოსმალთა ლაშქრის
სრული დამარცხებით გათავდა. ოსმალთა სარდალი ომში დაიღუპა, ხოლო
ათაბაგის ძე ქაიხოსრო და მისი მხლებელნი ისევ სტამბოლს გაიქცნენ.

ეხლა სულტანმა კიდევ უფრო დიდი ლაშქარი გამოგზავნა.

სოხოისტას ომი. დადიანმა საერთო საქმეს კვლავ უღალატა და ლაშქრით მიშველებაზე მეფეს ეხლაც უარი შეუთვალა. ბაგრატმა დასმარება სთხოვა ლუარსაბ მეფეს. ქართლის მეფე მთელი თავისი ძალით საერთო მტრის წინააღმდეგ გამოვიდა. ქართველთა ჯარი მტერს ბასიანში მიეგება, არზრუმის მიმართულებით. ომი სოხოისტას მოხდა (1545 წ.). ქართველები მამაცურად ეკვეთნენ უკეთ შეიარაღებულ მტერს, მაგრამ ომის ბედი შინაურმა უთანხმოებამ გადასწყვიტა. მესხი თავადების ლაშქარი შუა ომში გამოეთიშა ქართველ თანამოძმეებს და ბრძოლის ველს გაეცალა. ქართველთა ლაშქრის დიდი ნაწილი მტერს შეაწყდა უთანასწორო ომში, დანარჩენი-კი მხოლოდ მაშინ გაბრუნდა უკან, როცა საბრძოლო იარაღი თითქმის სულ შემოემტვრა.

ოსმალებმა სამცხე-საათაბაგო დაიპყრეს და ქაიხოსროს ათაბაგობა აღიარეს.

ამ გამარჯვების წყალობით ოსმალებმა მტკიცედ მოიჭიდეს ფეხი სამცხე-საათაბაგოში, საერთოდ, და განსაკუთრებით — მის დასავლეთ ნაწილში. სოხოისტას ომის შემდეგ ოსმალეთის მიმართულებით საქართველოს ციხე-გალავნის ბურჯი მორღვეული იყო.

ბაგრატ მეფე და მთავრები. ბაგრატ მეფეს მთავართა მოსპობა ჰქონდა გადაწყვეტილი. მან მოინდო ლევან დადიანი და ციხეში დაამწყვდია. ამის შემდეგ მეფემ სიმონ გურიელის ხელში ჩაგდებაც სცადა. ამ მიზნით მან გურიელი ოდიშს სალაშქროდ მიიწვია და ამ ქვეყნის ნაწილის წყალობას შეჰპირდა. გურიელი მიუხვდა მეფეს და არ ეახლა მას. ამასობაში ქაიხოსრო ათაბაგის მოსყიდულმა ხოფილანდარე ჩხეიძემ გააპარა გელათის სამრეკლოში გამოკეტილი ლევან დადიანი და ახალციხეს გადაიყვანა. შემდეგ გურიელის დახმარებით დადიანი სამეგრელოში დაბრუნდა და თავისი ქვეყანა კვლავ აღვილად შემოიმტკიცა.

ბაგრატმა წააგო, — საიდუმლო ზრახვები გაუმჟღავნდა, შეშინებული მთავრები-კი, დადიანი და გურიელი, ოსმალეთის ხონთქრის კალთას შეეფარნენ. 1553 წელს სულტანის ეს ახალი ყმები არზრუმის ფაშის ამალას ამშვენებდნენ.

ამასობაში ირან-ოსმალეთს შორის ზავიც დაიდო და ლიხთ-იმერეთი ოსმალეთს ზედა. ამ დროისათვის ოსმალეთს უკვე ფეხი ჰქონდა მოკიდებული დასავლეთ საქართველოში, — დადიანი და გურიელი ხონთქრის მფარველობის ქვეშ ითვლებოდნენ. ასეთ პირობებში იმერეთის მეფემაც ქედი მოიხარა.

დიდხანს ხონთქრის ხელმწიფობა დასავლეთ საქართველოში უფრო სიტყუაური იყო, მაგრამ, რაც დრო გადიოდა და ოსმალეთი იმერეთში უფრო და უფრო ფეხს იკიდებდა, მისი ბატონობის უღელიც მძიმდებოდა.



ათაბაგების საზინაო და საგარეო პოლიტიკა. მე-16 საუკუნეში

ნის პირველ ნახევარში სამცხის ათაბაგებმა გამარჯვებით დაასრულეს ზანგარძლივი ბრძოლა, რომელსაც ისინი საქართველოს მეფის ყმობისგან განთავისუფლებისათვის აწარმოებდნენ. ამ ბრძოლის დროს ათაბაგებმა გაწმინდეს თავისი სამთავრო მეფის მომხრე ერისთავებისაგან — ზოგი ამოსწყვიტეს, ზოგი განდევნეს და მათს მამულებსა თუ თანამდებობაზე თავისი მომხრეები დასხეს. ასეთივე დღე გაუთენეს მეფის მომხრე საეკლესიო ფეოდალებს — ეპისკოპოსებსაც, ისინიც გამოადევნეს და საეკლესიო ყმა-მამული თავის მომხრე თავადებს მრავლად უწყალობეს, უჩრდი ეპისკოპოსების ადგილებზე-ც თავისი მომხრე ბერძენი ეპისკოპოსები მოიწვიეს ოსმალეთიდან. ათაბაგებმა მიიტაცეს მეფის საკუთარი ყმა-მამულიც საათაბაგოში და თავის ერთგულებს გადასცეს; დაბოლოს, მეფეს მოსტაცეს მთელი მხარე — ჯავახეთი და თავის სამთავროს შეუერთეს.

ათაბაგთა სამფლობელოს საქართველოს სხვა ნაწილებზე ნაკლებ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა. დასავლეთიდან მას ოსმალეთი მოსდგომოდა, ხოლო სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ირანის ყაენის სამფლობელო ეკრა. სუსტ მეზობელს ორივე მტერი ჩასანთქავად უყურებდა. საკუთარი ძალებით სამცხის მთავარს მათი გამკლავება არ შეეძლო და ამავე დროს იგი ვერც საქართველოს სხვა ნაწილებთან შეკავშირებას ახერხებდა. ათაბაგს ეშინოდა, რომ გარეშე მტრის წინააღმდეგ დასახმარებლად მოწვეული ქართლის ან იმერეთის მეფე მას სამფლობელოს ჩამოართმევდა და ქვეყანას თვით დაიპყრობდა. ამიტომ სამცხის მთავარი უცხოელ თავდამსხმელებთან მოლაპარაკებას ირჩევდა, თავდამსხმელს მორჩილებას აღუთქვამდა და მდიდარი მისართმევლით მშვიდობიანობის ყიდვას ცდილობდა.

ათაბაგთა ასეთი პოლიტიკა დამღუბელი აღმოჩნდა. მათ ეერავის ასი-ამოვნეს: ხან ირანი სწამებდა ათაბაგს ორგულობას, ხან — ოსმალეთი და რიგრიგობით არბევდნენ გზადაბნეული ფეოდალის ქვეყანას. ამავე დროს, ირან-ოსმალეთის სამსახურით ათაბაგები მთელი საქართველოს დამოწმების ძალაუვნებური აგენტები ხდებოდნენ. მორჩილ სამცხეზე გამოვლით და ათაბაგთა შემოქმედებით ოსმალეთი თუ ყიზილბაშები ხან ქართლს აოხრებდნენ, ხან ლიხთ-იმერეთს.

ამგვარად, ათაბაგებმა საქართველოს დამარცხებაში მტრებს ხელი შეუწყვეს, მაგრამ დამპყრობელები მაინც ვერ მოიერიგეს და ხელმწიფობის ნაცვლად მონობა მოიმკეს.

1555 წლის ირან-ოსმალეთის ზავის შედეგად სამცხე-საათაბაგო ორად გაგლეჯილი აღმოჩნდა. ქვეყნის უდიდესი ნაწილი ირანს ხვდა, მის დასავლეთ მხარეს (ტაოს, შავშეთს, კლარჯეთს) ოსმალეთი დაეპატრონა.

აჭარა და ჭანეთი გურიელს ექირა. მალე ჭანეთი ოსმალეთმა წაართვა გურიელს, ხოლო აჭარა არა ერთგულის დაუტრია, თუმცა საბოლოოდ მტრმა ამ დროს ჯერ კიდევ იქ ფეხი ვერ მოიკიდა.

ოსმალთა წინააღმდეგ უძლიერი ქაიხოსრო ათაბაგი 1570 წელს შაჰ-თამაზს ეახლა ყაზვინში და მას დახმარება სთხოვა. შაჰს ოსმალეთთან ზავის დარღვევა სასურველად არ მიაჩნდა და ათაბაგს ცარიელი დაპირებით კვებავდა. ქაიხოსრო დახმარებას ვერ ეღირსა, ისე გარდაიცვალა შაჰის კარზე 1573 წელს.

კიდევ უფრო მძიმე პირობებში მოექცა ქაიხოსრო ათაბაგის ძე ყვარყვარე. მას მტრად აღუდგა მესხი თავადების დიდი ჯგუფი შალიკაშვილთა მეთაურობით. გაიმართა დაუსრულებელი ფეოდალური ომი: ექვს წელიწადს არბევდნენ და ანგრევდნენ ერთიმეორის ციხე-ქალაქებს, სოფლებს და ერთმანეთის წინააღმდეგ დახმარებას ირანსა და ოსმალეთს ეძებდნენ.

არაღი, აჭარა, 1573 წელს

§ 120. ირან-ოსმალეთის მეორე ომი და სამართევლო

ამასობაში ირან-ოსმალეთის მეორე დიდი ომი დაიწყო.

1576 — 1587 წლებში ირანში დიდი ფეოდალური არეულობა იყო. ათი წლის განმავლობაში სეფიანთა დინასტიის უფლისწულები ერთიმეორეს მუხრს ავლებდნენ. დაბოლოს, 1587 წელს, ყიზილბაშთა ერთი ტომის დახმარებით აბას მირზა გახელმწიფდა (შაჰ-აბასი). მხოლოდ მან მოახერხა ტახტზე მტკიცედ დამაგრება.

სახელმწიფო კარის ამ არეულობით ისარგებლეს ირანის ყმებმა და მრავალი ქვეყანა განდგა. არ დააყოვნეს გარეშე მტრებმაც — აღმოსავლეთით ოზბეკებმა შემოუტეეს ირანს, დასავლეთიდან-კი ოსმალეთი დაიძრა.

1578 წელს სარდალი მუსტაფა ლალა-ფაშა ოსმალთა ჯარით ამიერკავკასიის დასაპყრობად წამოვიდა. ირანის ლაშქარი თურქებს გადაელობა და ჩილდირის (ძველი პალაკაციო) ტბის ჩრდილოეთით 9 აგვისტოს გადამწყვეტი ომი მოხდა. ოსმალებმა გაიმარჯვეს. ლალა-ფაშა სქართველოს დაპყრობას შეუდგა.

გამოვლილმა ჭირმა თავადურ საქართველოს ვერაფერი ასწავლა. ის ამ ახალ განსაცდელსაც ძველებურად მოუშზადებელი შეხვდა. სამეფო-სამთავროები ვერ გაერთიანდნენ და ამ საერთო უბედურების დროსაც ერთი მეორის მტრობას არ იშლიდნენ. ოსმალეთი სწორად აფასებდა საქართველოს ძალთა დაქსაქსულობას და მათი გაერთიანების წინააღმდეგ ოსტატურ ხერხს მიმართავდა. სხვადასხვა ქართულ ქვეყნებს ის მორჩილების სხვადასხვა პირობებს უდებდა, ზოგს მძიმეს, ზოგს უფრო მსუბუქს. სამცხე-საათაბაგო და განსაკუთრებით ქართლი შეუდრეკელად

ეგრძოდნენ დამპყრობელებს, კახეთის მეფემ-კი „ნებით“ მორჩილება ირ-
ჩია და მოძალადეს ყოველწლიური ხარკი აღუთქვა.

ქართლის ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ სიმონ მეფე მეთაუ-
რობდა, სამცხისას — მანუჩარ ათაბაგი. სპარსელებმა სიმონი
ტყვეობიდან 1578 წელს გაათავისუფლეს და ქართლში ოსმალთა წინააღ-
მდეგ ბრძოლისათვის გამოისტუმრეს. მისი ქართლში მოსვლისას ქვეყნის
მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქები უკვე ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი.
მთელი ოცი წლის განმავლობაში სიმონ მეფე ქართლელებით შეუწელებ-
ლად ებრძოდა ძლიერ მტერს და საქართველოს ამ შუაგულში ოსმალური
წესწყობილების შემოღების საშუალებას არ აძლევდა მას. არაერთხელ
დამარცხეს ქართლელებმა მათზე მრავალრიცხოვანი ოსმალთა ჯარი,
არაერთხელ გამოგლიჯეს ხელიდან მოძალადეს ქართლის ციხე-ქალაქები
და, თუმცა საბოლოოდ ვერ უკუაგდეს უზარმაზარი მტერი, მაგრამ ქარ-
თველობა-კი არ დასთმეს და ქვეყნის სწრაფი გაოსმალების განზრახ-
ვაზე დამპყრობელს ხელი ააღებინეს.

უფრო მძიმე იყო სამცხე-საათაბაგოს მდგომარეობა.

ოსმალებმა აქ თანდათან მრავალი აგენტი გაიჩინეს. საათაბაგოს თავა-
დების ნაწილმა ქრთამზე და საპატიო თანამდებობაზე გასცვალა სამშობ-
ლო და თავისუფლება-დამოუკიდებლობისათვის მეგრძოლ თანამომძიეებს
სალაღატოდ შემოადგა. საქმე მეტად გაჭირდა. მანუჩარ ათაბაგი ვეღარ
დადგა თავის ქვეყანაში და სიმონ მეფესთან ქართლში ხიზნად ჩამოვიდა.


1590 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო: შარვანი, ადარ-
ბადაგანი და საქართველო ირანმა ოსმალეთის საკუთრებად იცნო. ამიე-
რიდან ვიდრე 1604-5 წლამდე საქართველოს სამეფო-სამთავროები
ყველა ოსმალთა ხელთ იყო, მაგრამ ქართველი ხალხის ბრძოლა მათ წი-
ნააღმდეგ არ ჩამქრალა. ბრძოლას ისევ ქართლი მეთაურობდა. 1598 წლის
ზაფხულზე სიმონ მეფე ომის განახლების სამზადისში იყო.

ბრძოლა გორისათვის. ქართლის მეფეს ოსმალთა წინააღმდეგ
ომი გორიდან უნდა დაეწყო: გორი შიდა-ქართლის გული იყო, შიდა-
ქართლი-კი — მთელი ქართლის გული. მე-16 საუკუნის უდიდეს მანძილ-
ზე, როცა ქართლი საქართველოს გადასარჩენად ირანისა და ოსმალეთის
წინააღმდეგ თავგანწირულ ომს ეწეოდა, გმირ მეგრძოლთა სამხედრო-
პოლიტიკური შტაბი გორში იყო. იქ იყო ლუარსაბისა და სიმონის არწი-
ვების საბუდარი. თბილისი ამ ხნის განმავლობაში ხან სპარსელების, ხან
აიღვე თურქების ხელში იყო. თბილისში ომ-წაგებული ქართლელები
გორიდან განაგრძობდნენ შეუდრეკელ ბრძოლას. გორის გადასვლა-კი
მტრის ხელში ქართლის ბრძოლის უმძიმესი მარცხი იყო.

ამიტომაც შიდა-ქართლის ამ შუაგულში მტრის ბუნაგი ყველაზე უწინ
უნდა განადგურებულიყო, რომ ქართლს ხელეზი გახსნოდა თბილისისა თუ
სხვა ციხე-ქალაქების განსათავისუფლებლად. ოსმალებს კარგად ესმო-
21. საქართველოს ისტორია.

დათ გორის მნიშვნელობა ქართლის დაპყრობის საქმეში და აქტიური ძლიერ გაემაგრებინათ იგი.

1598 წელს სიმონ მეფე გორს შემოადგა. მეციხოვნეები მალევე შეაწუხა. ციხეში საკმელი შემოაკლდათ და ოსმალები ახლომახლო სოფლების დარბევით ცდილობდნენ ეშველნათ გასაჭირისათვის. მიუხედავად სურსათის ნაკლებობისა, ოსმალო მეციხოვნეები ციხეს დიდხანს შედგარად იცავდნენ.



გორის ციხე XIX ს. შუა-წლებში.

1599 წ. გაზაფხულს, დიდ-მარხვაში, ქართლებმა ალყა მოხსნეს ციხეს და მის მიღამოებს გაეცალნენ. ოსმალებმა იცოდნენ, რომ ქართველები დიდ-მარხვაში ომს ერიდებიან და სიფხიზლეს უკლეს. სიმონ მეფემ სწორედ მეციხოვნეთა ამ შესაძლებელ შეცდომაზე ააგო ციხის აღების გეგმა.

გორის ყოფილ მოურავს სულხან თურმანიძეს და ფარსადან ციციშვილს მეფის ბრძანება ჰქონდათ თავის მამულებში საიდუმლოდ მრავალი კიბე დაემზადებინათ. მეფის დაბახილზე ისინი ამ კიბეებითა და ლაშქრით გორის ანლოს უნდა მოსულიყვნენ, მტკვრისა და ლიახვის შესართავთან, ქალაში.

გორის აღება. მთვარის

დაღვეის ღამე იყო. ქართლის ლაშქარი პაემანზე მოსულიყო. აქვე იყო მეფეც. უკუნ ღამეში ჯარი ხმაგაყმენდილი მიეპარა ციხეს და კიბეებით კედელზე გადასვლა იწყო. ოსმალებმა თავსდატეხილი რისხვა მაშინ შეიტყვეს, როცა მოიერიშეთა დიდი ნაწილი უკვე ციხის შიგნით იყო. მეციხოვნეებმა ყვირილი მორთეს. მანძალები აანთეს, კედლებს მიაწყდნენ და კიბეებით ამაველ ქართველებს ეყვითნენ. ქართველ მოიერიშეებს მეფის ძმა ვახტანგი და მეწინავე დროშის სარდალი გოჩა უძღოდნენ. ბრძოლამ გათენებამდე გასტანა. მტერმა დაინახა, რომ საქმე წაგებულია და იარაღი დაყარა.

ოსმალთა ახალი ჯარის შემოსვლა ქართლში. ქართლის აჯანყება თურქებისათვის მეტად სახიფათო რამ იყო. ქართლებს აღ-

ვილად მიბაძედნენ ამიერკავკასიის სხვა ხალხები, რომლებსაც აგრეთვე
ოსმალეთის ბატონობის მძიმე უღელი ედოთ. ასეთი საერთო აჯანყე-
ბით-კი ისარგებლებდა შაჰ-აბასი, რომელიც ოსმალთა წინააღმდეგ საომ-
რად დიდი ხანია ემზადებოდა.

ოსმალეთის სულტანმა თავრიზისა და ვანის ბეგლარბეგს ჯ ა ფ ა რ-
ფ ა შ ა ს ქართლს წასვლა და აჯანყების ჩაქრობა უბრძანა. სიმონ მეფეს
ეს ამბავი სამცხიდან აცნობეს. მეფემ შიდა-ქართლის ჯარი შეჰყარა,
ამ ჯარს თავისი შვილი გიორგი უთავა და მას გორს დგომა დაევა-
ლა. თვითონ სიმონი ლაშქრის ნაწილით სწრაფად გადავიდა ს ა ბ ა რ ა-
თ ი ა ნ ო შ ი, რათა მეწინავე დროშის ლაშქარი შემოეკრიბა.

როცა ქართლის მეფე ს ა ღ ი რ ა შ ე ნ ს მივიდა, ჯაფარ-თაშა დიდი
ლაშქრით უკვე ნ ა ხ ი დ უ რ ს მოსულიყო და თბილისისაკენ მოემართე-
ბოდა. სიმონს ჯარი მცირე ახლდა, მაგრამ დაცდის დრო აღარ იყო. მე-
ფემ გადაწყვიტა ხელი შეეშალა მტრისათვის და მისთვის თბილისში
შესვლის საშუალება არ მიეცა. მოულოდნელი თავდასხმებით სიმონს
ჯაფარ-თაშის ლაშქრის შეფერხება სურდა, რომ ამასობაში მთელი ქართ-
ლის ჯარიც მოსვლოდა და მტერზე გადამწყვეტი იერიში მიეტანა.

ოში ნახიდურთან. სიმონ მეფის დაბრუნება. შემატრანე გვიამ-
ბობს, რომ ქართველებმა ზიარება მიიღეს, ერთმანეთს გამოეშვიდობნენ
და სამშობლოს დაცვისათვის თავი გასწირესო. თავდადებულთა რაზმი
მედგრად ეკვეთა მტრის გუნდებს. არა ერთი მტრის დროშა მოშალეს
და გადაქელეს ქართველებმა, მაგრამ თურქები ლაშქრის სიმრავლითა
და იარაღით სჯობნიდნენ. იანიჩარები¹ ხელ-თოფით დიდ ზარალს
აყენებდნენ ქართველ მხედრებს. ხელჩართული ომი ხუთ საათს გაგრძელ-
და. ქართველები მოიქანცნენ, მათი რაზმები შეთხელდა. მტრის ახალ
ძალებთან ომს მოღლილი ქართველები ვეღარ გაუძლებდნენ. თანამებრ-
ძოლებმა მოახსენეს მეფეს საქმის ვითარება და ძლივს დაარწმუნეს გა-
ლომებული მეომარი, რომ გაცდის დრო იყო. უკან დახეულ ქართველებს
ოსმალები დაედევნენ. ფარცხისის ახლოს ვიწრო გზაზე ერთმა მო-
ლაშქრემ თავისი ცხენი უნებურად მეფისას დააძგერა. მეფე ცხენით
დიდ საფლობში ჩავარდა, საიდანაც მისი გამოყვანა გაძნელდა. ამასო-
ბაში ოსმალთა მდევრებმაც მოატანეს. სიმონს მხლებლები გარს შემოე-
ხვივნენ, მტერს ეკვეთნენ და სულ ერთთავად შეაწყდნენ მას. ცხენაკად
მუხლებამდე ტალახში ჩაფლული იდგა სიმონ მეფე მარტო, მხლებლებ-
შემოწყვეტილი, მოსეულ მტერს ახლოს არ იკარებდა და ამაყად სტყორც-
ნიდა მათ უკანასკნელ ისრებს. ერთმა მოღალატე თავადმა ბ ა რ ა თ ა-
შ ვ ი ლ მ ა, რომელიც მტრის რაზმს მეთაურობდა, იცნო მეფე და ეს
ამბავი ოსმალთა სარდალს მოახსენა. სარდალმა ბრძანება გასცა სიმონი
უოცხლად ხელთ ეგდოთ. მეფე მაინც არავის ნებდებოდა, სანამ თვი-

¹ იანიჩარები თურქეთის ლაშქრის საგანგებო რაზმებს ეწოდებოდა.

იმედი აღარსაიდან იყო. თავგამოდებით ცდილობდა მანუჩარ ათაბაგა, ხოლო შემდეგ მისი ქვრივი დედოფალი ელენე საათაბაგოში ქართველობის დაცვას, მაგრამ ყოველი ცდა ამო აღმოჩნდა.

1587 — 1594 წლებში სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა დამყარდა. სულთანის ბრძანებით ქვეყანა ასწერეს. მიწისმფლობელობისა და მიწით-სარგებლობის ოსმალური წესები შემოიღეს. გადასახადები ოსმალური სისტემით გააწერეს. ახალი წესები არსებითად განსხვავდებოდა ფეოდალური საქართველოს მიწისმფლობელობის ძველი წესისა და ქართული საგადასახადო სისტემისაგან. ოსმალური წესის თანახმად მხოლოდ სამხედრო პირი შეიძლებოდა ყოფილიყო მიწის მფლობელი. სამხედრო თანამდებობისათვის-კი მაჰმადიანობა იყო აუცილებელი. ამ წესის მიხედვით ქართველი ფეოდალების მიწები ოსმალთა მხედრების ხელში გადადიოდა. ქართველი თავადისა თუ აზნაურის წინაშე მთელი სიმწვავეით დადგა საკითხი: ან მაჰმადიანობის მიღება, ოსმალთა სამხედრო სამსახურში შესვლა და მიწის მფლობელობის შენარჩუნება (ოსმალური წესით), ან ამ მფლობელობის დაკარგვა. ქართველი ფეოდალები ან გამოიქცნენ ან გამაჰმადიანდნენ. ამრიგად, ოსმალურ საათაბაგოში ქართველ გლეხს ბატონი გამოეცვალა. ქართველი მთავარი, თავადი, აზნაური და ეკლესია-მონასტერი ოსმალთა დივანმა (სახელმწიფო), ფაშამ, სანჯაყ-ბეგმა, ალაი-ბეგმა, სიფაჰმა და ჯამემ შესცვალეს. ამ ოსმალურ სახელმწიფო და სამოხელეო გადასახადების გარდა ქრისტიანობაში დარჩენილ გლეხობას ცალკე „ურწმუნოთა“ გადასახადიც დააკისრეს.

ამ დროიდან დაიწყო სამხრეთ-საქართველოს „გათათრება“. ეს პროცესი ერთი ან ათეული წლების ამბავი არ ყოფილა. ათასწლოვანი ქართული კულტურის უცხო კულტურით შეცვლა დიდ სიძნელეებს ხედებოდა. ხალხი მხნედ იტანდა სიმძიმეს და მედგრად იცავდა ქართველობას. თათრობა დიდი შეფერხებით იკვლევდა გზას გლეხობაში. მე-16 საუკუნის მიწურულში დაწყებული ეს პროცესი მე-19 საუკუნის დასაწყისამდე დასრულებული არ ყოფილა.

ოსმალთა დამყარება სამცხე-საათაბაგოში ფეოდალური საქართველოს უდიდესი მარცხი იყო. საქართველოს მოსწყდა და მისი ეროვნული კულტურის შემოქმედებაში აღარ მონაწილეობდა ქვეყანა, რომელიც საქართველოს ტერიტორიის ერთ მესამედს შეადგენდა. გადაგვარების გზას დაადგა ფეოდალური საქართველოს ერთი ყველაზე უფრო დაწინაურებული და კულტურული შემოქმედების უნარით დაჯილდოებული ნაწილი, — სამშობლო ექვთიმე და გიორგი ათონელებისა, ბექა ოპიზარისა და შოთა რუსთაველისა.

ოსმალეთი და რუსეთი კავკასიაში უკვე მე-16 საუკუნის შუა-წლებში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა მე-16 საუკუნის ოთხმოციანი წლების შემდეგ, როცა ოსმალეთმა ამიერკავკასიაში გაბატონებასთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიის დაუფლებაც სცადა.

ამ დროს განახლდა რუსეთ-საქართველოს შორის პოლიტიკური ურთიერთობა.

ოსმალეთთან მეტოქეობაში რუსეთი იმიერ და ამიერკავკასიაში მოკავშირეებს ეძებდა. მოსკოვის სამეფოს მესვეურებს აზრად მოუვიდათ კახეთთან პოლიტიკური კავშირის აღდგენა, ძალაუვნებურად რომ გასწყვიტეს 1570-იან წლებში.

1585 წელს მოსკოვის მეფემ თევდორემ ალექსანდრე კახთა მეფეს ასტრახნელი ასისტავის, დანილოვის, ხელით წერილი გამოუგზავნა. რუსეთის მეფე კავშირსა და მფარველობას სთავაზობდა საქართველოს.

მაშინდელ პირობებში ალექსანდრე მეფე ამაზე უკეთესს ვერაფერს მოიბოვებდა თავისი ქვეყნისათვის. ამიერკავკასია თითქმის მთლიანად ოსმალეთს ჰქონდა დაქვრილი და ოსმალეთის მთავრობა გამალებით იბრძოდა მისი საბოლოო გაათავრებისათვის.

რუსეთის დახმარებით კახთა მეფეს დალისტინის ალაგმვა სურდა. დალისტინელები ქურდულად თავს ესხმოდნენ კახეთს და მშვიდობიან სოფლებს აოხრებდნენ. ლეკებს ამ საქმეში შამხალი შეელოდა, ორივეს ერთად-კი ოსმალეთი მფარველობდა.

მეფემ დარბაისლებთან მოითათბირა და დანილოვს მოსკოვის მეფესთან თავისი ელჩები გაატანა.

1586 წლის 9 ოქტომბერს ალექსანდრეს ელჩები მეფე თევდორეს წარუდგნენ. კახეთის მეფე მოსკოვის მეფისაგან მფარველობას ითხოვდა. ეს მფარველობა შემდეგში უნდა გამოხატულიყო: რუსეთს კახეთი ყველა მტრისაგან უნდა დაეცვა, ამხელად-კი რუსეთის მეფეს თერგზე უნდა ციხე აეგო, აქ დიდი ჯარი ჩაეყენებინა და გზათერგიდან კახეთამდე, დალისტანზე რომ გადიოდა, საკუთრად დაეჭირა.

კახეთის მეფის წინადადება მოსკოვში ხელსაყრელი ეჩვენათ. ბოიარებმა თევდორე მეფეს მისი მიღება ურჩიეს.

1587 წელს ალექსანდრე მეფემ თავისი შვილებათა და დარბაისლებით ფიცი მიიღო მოსკოვის მეფის ერთგულებაზე. 1589 წელს-კი მოსკოვის მეფემ მას წყალობის სიგელი გამოუგზავნა, სადაც დადასტურებული იყო როგორც ხელდებულის, ისე მფარველის უფლება-მოვალეობანი.

რუსეთთან დაახლოების გამო კახეთის მეფე განსაკუთრებულ რთულ მდგომარეობაში მოექცა: ერთი მხრით, მას მოსკოვთან კავშირისა და

ოსმალეთის „ორგულობისათვის“ სულტანი ემუქრებოდა, მეორე მხრით, ირანის შაჰიც „მოღალატედ“ სთვლიდა ალექსანდრე მეფეს. ამავ დროს ხელშესახები რამ სანუგეშო კახეთისათვის მოსკოვის მეფესთან კავშირს არ მოჰყოლია.

ალექსანდრე მეფე მოსკოვის ხელმწიფეს ნაჟის ვალდებულებათა შესრულებას სთხოვდა. მაგრამ ვალდებულება უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ის მოსკოვის სამეფოს მესვეურებს ჰქონდათ თავიდანვე წარმოდგენილი. რუსეთმა, მიუხედავად მრავალგვარი ცდისა, დაღისტანი ვერ დაიმორჩილა და თერგ-კახეთის გზა ვერ დაიჭირა. 1604 წელს მოსკოვის მეფემ საგანგებო ჯარი გამოგზავნა, რომელმაც დაიპყრო დაღისტნის ჩრდილოეთი ნაწილი. მაგრამ ამას იქით საქმე არ წავიდა და ჩქარა ეს წამოწყებაც სრული მარცხით დამთავრდა. დაღისტნელებს ოსმალეთი მიეშველა. შამახიის ფაშა ოსმალთა ჯარით და დაღისტნელები თავს დაესხნენ ხსენებულს რუსთა რაზმს და ერთიანად მოსპეს იგი 1605 წელს.

ამიერიდან რუსეთ-კახეთის ურთიერთობა კარგა ხნით შეწყდა. კახეთს შაჰ-აბასი დაეპატრონა, ხოლო რუსეთი გლეხების აჯანყებათა აღში გაეზნა.

თავი

1957



2/2

თაზი XVI

მართველთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის მე-17 საუკუნის პირველ მესამედში

§ 123. ირან-ოსმალეთის ომის განახლება

ირან-ოსმალეთის ომი განახლდა. 1602 წელს შავი შაჰ-აბასმა დაარღ-
ვია. ირანის შაჰი ოსმალეთს წინა ომებში მინატაცებ საზღვრებს ეცილე-
ბოდა. შაჰ-აბასმა დაამარცხა ოსმალები აღარბადაგანში და 16 ნოემბერს,
1603 წელს, უკვე ერევანს შემოადგა. ერევანი საგან-
გებოდ გამაგრებული ციხე-ქალაქი იყო და ამიტომაც
მისი აღუა დიდხანს გაგრძელდა.



შაჰ-აბასმა ქართლისა და კახეთის მეფეებს ოსმალე-
თის წინააღმდეგ ომში მოუწოდა. ქართლის მეფე გიორ-
გი შაჰს ეახლა. ალექსანდრე კახთა მეფეს კი ყოყმანი
შეექნა. მართლაც და ძნელი არჩევანი იყო: არავინ
იცოდა, რომელი მოძალადე გაიმარჯვებდა. ბოლოს
მანც ალექსანდრე მეფე დიდის გამოჩენებით ეახლა
შაჰს. ერევნის ომში მონაწილეობისათვის ქართლისა და
კახეთის მეფეები შაჰ-აბასმა ირანში სოფლებით დასა-
ჩუქრა და თითოეულ მათგანს თავისი ხაზინიდან ჯამა-
გირი გაუჩინა. სამაგიეროდ, შაჰმა ქართლის მეფეს
ციხე ლორე და მდინარე დეზდას ხეობა გა-
მოსთხოვა, ხოლო კახეთის მეფეს — ენისელის მხარე
(საინგილოში). ლორე-დეზდას ხეობა ქართლს სამხრე-
თიდან ჰკეტავდა, ენისელი კი კახეთის კედელი იყო აღ-
მოსავლეთის მხრიდან. ეს მხარეები შაჰმა საქართველოს
ჩამოაცილა და თავის მოხელეებს (სულტანებს) ჩააბარა.

შაჰის მზავრობას ქართველები კარგად მიუხედავდნენ,
და მომავლის მოლოდინში ბოლმას გულში ინახავდნენ.

თავის მხრით, შაჰ-აბასს ქართველთა ერთგულებისა
არაფერი სწამდა. ის კარგად ხედავდა, რომ ქართველებს
ერთი საფიქარი ჰქონდათ: თავისუფლება. ცბი-
ერი შაჰი სულ იმას ცდილობდა, რომ ქართველების ციხე შეიგნიდან გაე-
ტეხა. შაჰის აგენტები მოხერხებულად სარგებლობდნენ ქართველი ფეო-
დალების შინაური ქიშხით და შაჰისაგან დახმარება-წყალობის დაპირე-
ბით მის ერთგულო დასებს ჰმნიდნენ.

1605 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე მისმამე შვილმა კონსტანტინემ მოჰკლა. კონსტანტინე შაჰის კარზე იყო გაზრდილი და გამაჰმადიანებული. ალექსანდრე მეფის მკვლელობაში შაჰის ხელი ერია. შაჰ-აბასს სურდა რუსთომოყვარე და ირანის ორგული ალექსანდრეს ნაცვლად კახეთის სამეფო ტახტზე მაჰმადიანი და ირანის ერთგული კონსტანტინე ჰყოლოდა, რამ შაჰი შეცდა. გადაგვარებული და მამისმკვლელი კონსტანტინე კახელებმა მეფედ არ ისურვეს და აჯანყდნენ. აჯანყებულებს ქართლის ჯარიც მიეშველა. კონსტანტინე თავისი ყიზილბაშებით დამარცხდა და ომში მოიკლა.

შაჰ-აბასი კახელების ასეთი სიმტკიცის გამო იძულებული შეიქნა კახეთის მეფედ ალექსანდრეს შვილიშვილი ქრისტიანი თეიმურაზი დამტკიცებინა (1606 წელს). მაგრამ კახეთში კარგად იცოდნენ, რომ შაჰ-აბასი ისეთი მტერია, რომელსაც არ სძინავს. საჭირო იყო ფხიზლობა.

1606 წელს შაჰ-აბასმა ყარაბაღი და განჯა წაართვა ოსმალებს. აქედან შაჰი ქართლისაკენ წამოვიდა და ოსმალთა მეციხოვნეები ლორე-დმანის-თბილისიდან განდევნა.

იმავს წელს შაჰ-აბასმა ქართლის მეფობა 14 წლის ლუარსაბ გიორგის ძეს დაულოცა (გიორგი მეფე ამ ხანებში უეცრად გარდაცვლილიყო). აქვე შაჰს მთელი ქართლის თავადობა ეახლა. შაჰ-აბასმა დიდი წყალობა უყო „ერთგულებს“, მაგრამ არსებითად ქვეყნის მდგომარეობა იგივე დარჩა. ეხლა მხოლოდ ოსმალთა ბატონობა ირანის ბატონობით შეიცვალა. თბილისი, აღჯაყალა, ლორე, დმანისი ისევ უცხოელთა ბატონობის იარაღად რჩებოდნენ. ოსმალთა მეციხოვნეების ნაცვლად ამ ქალაქებში ეხლა შაჰის ყიზილბაშები ჩადგნენ.

§ 124. ქართლ-კახეთის მეფეთა კავშირი და შაჰ-აბასი

1612 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ამ ზავის მიხედვით ძველი, 1555 წლის, საზღვრები უნდა აღდგენილიყო და შაჰ-აბასს ზონთქრისათვის წლიურად 200 საპალნე აბრეშუმში ეძლია. მაგრამ მიღებულ პირობებს არც ერთი მხარე არ იცავდა: ოსმალეთი სამცხე-საათაბაგოსა და ქართლ-კახეთს არ ეხსნებოდა, შაჰ-აბასს-კი აბრეშუმის გადახდა ეძნელებოდა.

1614 წელს შაჰ-აბასს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ოსმალეთთან ზავის დარღვევა.

ასეთ პირობებში ქართველების პოლიტიკურ განწყობილებას დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა. შაჰმა კი დანამდვილებით იცოდა, რომ ამ მხრივ თეიმურაზი და ლუარსაბი მისთვის სანდონი არ იყვნენ.

სახელმწიფოებრივი დაშლილობის მიუხედავად ქართლსა და კახეთში ბევრნი იყვნენ ქართული სამეფო-სამთავროების შექავეშირებლს მოსურნენი, რომელთაც კარგად ესმოდათ, რომ გარეშე მტრისაგან თავის დაცვა მხოლოდ ამ გზით შეეძლო ქვეყანას.

ასეთმა მოღვაწეებმა თეიმურაზი და ლუარსაბი ერთიმეორეს და მოყვრეს.

ეს შტანსმება შაჰ-აბასს ჭკუაში არ დაუჯდა. ცბიერი შაჰი ქართლისა და კახეთის მეფეებს შორის მტრობის ჩამოგდებას შეეცადა და, თუ მთლად ვერა, რამდენიმედ მაინც მიზანს მიაღწია. თეიმურაზი და ლუარსაბი მიხედნენ ბოლოს შაჰ-აბასის განზრახვას, მაგრამ ურთიერთშორის დევლი ნდობა და კავშირი მაინც ვერ აღადგინეს.

შაჰ-აბასი ენერგიულად ემზადებოდა ქართლ-კახეთის მეფეთა და მათი მომხრეების წინააღმდეგ გადამქრელი ღონისძიების მისაღებად. 1614 წლისათვის, დიდი წინასწარი მუშაობის შედეგად, არა მარტო თავისთან მრავლად ჰყავდა შაჰ-აბასს ლუარსაბისა და თეიმურაზის მოწინააღმდეგე ქართველი ფეოდალები, არამედ თვით ქართლსა და კახეთშიაც ბლომად იყვნენ შაჰის წყალობის მოიმედენი.

შაჰ-აბასის პირველი ლაშქრობა ქართლ-კახეთში. 1613
წლის მიწურულს შაჰ-აბასი დიდი ლაშქრით წამოვიდა ქართლისა და კახეთის მეფეების დასასჯელად. შაჰს განსაკუთრებით თეიმურაზ მეფე ამოეღო მიზანში.

ირანიდან წამოსული შაჰი ყარაბაღს დაღბა და კახეთის მეფისაგან ერთგულების ნიშნად მძევლები მოითხოვა. თეიმურაზმა კახი თავადების რჩევით ერთგულების საწინდარი გაუგზავნა განრისხებულ მტერს: დედა, ორი შვილი და მრავლად თავადმა შვილები. შაჰმა, რაკი ესენი ხელთ იგდო, თვით მეფეს მოსთხოვა მის წინაშე გამოცხადებულიყო. თეიმურაზი არ ენდო მტერს და შაჰიც კახეთზე წამოვიდა. გადამწყვეტი დღე დადგა. მოღალატე-მოტყუებულნი ყოველი მხრით ამოქმედდნენ: ერთი ნაწილი შაჰს მოჰყვებოდა, მისი მრჩეველი და მტრის ლაშქრის მეგზური იყო, მეორე ნაწილი-კი ციხეს შიგნიდან სტეხდა. მტრის ეს აგენტები არწმუნებდნენ თეიმურაზს, რომ წინააღმდეგობა უნაყოფოა და ურჩევდნენ დამარჩილებას; ამავე ღროს ხალხში პროვოკაციულ სმებს ავრცელებდნენ, რომ უძლეველი შაჰი კახეთის ხალხის მწყალობელია, რომ ის მხოლოდ თეიმურაზისა და მისი მომხრეების დასასჯელად მოდისო.

თეიმურაზმა წააგო. კახელები პროვოკატორების ანეკის წამოეგნენ და ომი არ ისურვეს. შაჰი კახეთს შემოვიდა, თეიმურაზი-კი ერთგულთა რაზმით ქართლისაკენ გაიქცა. შაჰ-აბასის მღევარმა რაზმმა მეფეს გზა გადაუჭრა, მაგრამ ე ალეთს, მდინარე იორზე, თეიმურაზმა დაამარცხა ეს რაზმი და ქართლს გავიდა. ლუარსაბი თეიმურაზს მუხრანს შეეყარა.

მეფეთა თათბირზე აღმოჩნდა, რომ ქართლის წინააღმდეგობაც წელში იყო გატეხილი. არა ერთი დიდი თავადი უკვე შაჰს ხლებოდა მორჩილების გამოსაცხადებლად, დანარჩენებმა კიდევ მძევლებს ომი არ ურჩიეს.

თეიმურაზი და ლუარსაბი იმერეთს გადავიდნენ. შაჰ-აბასმა კახეთის საქმეები მოაგვარა, აქ საკმაო ჯარი დასტოვა და ქართლში შემოვიდა.

შაჰი გორს დადგა და იმერთა მეფისაგან იქ შეხიზნული თეიმურაზი და ლუარსაბი მოითხოვა. გიორგი იმერთა მეფემ შაჰ-აბასს სტუმრების გაცემაზე უარი შეუთვალა. შაჰ-აბასი ოსმალეთთან ზავის დარღვევას მოერიდა და იმერეთს ომით აღარ გადავიდა. ამისდა მიუხედავად მან ლუარსაბის ხელში ჩაგდება ცბიერებით მაინც მოახერხა.

§ 125. გიორგი სააკაძე

პე


1614 წლის ლაშქრობაში შაჰ-აბასს თან ახლდა თბილისის ყოფილი მოურავი გიორგი სააკაძე.

ჩამომავლობით სააკაძე თავადთა წრეს არ ეკუთვნოდა, მაგრამ გიორგის მამა-ბიძები უკვე სიმონ მეფის დროს ძალიან დაწინაურებული იყვნენ და სამეფო კარზე მათ მაღალი თანამდებობანი ექირათ.

1609 წელს გიორგი სააკაძე უკვე თბილისის მოურავი იყო და ლუარსაბ მეფესთან მეტად დაახლოებული პირი. ამ დროს ქართლს ომი ჰქონდა საათაბაგოში გაბატონებულ ოსმალებთან. 1609 წელს ყირიმელ თათარ-თაგან შემდგარი ოსმალთა ლაშქარი ახალციხის მხრიდან ქართლს შემოესია. მეფე ლუარსაბ საზაფხულო სადგომს იყო ცხირეთის ციხეში. ქართლში შემოსასვლელ გზებზე მას ყარაულები ეყენა. ოსმალთა ჯარმა გამოვლო ჯავახეთი, თრიალეთი, გასწყვიტა ქართველი ყარაულები და მოულოდნელად მანგლისს მოატანა. აქედან მტერი მარჯვენა ხელით შიდა-ქართლში ცხირეთის ციხეზე უეცრად მისვლას, ლუარსაბ მეფის ხელში ჩაგდებასა და შემდეგ შიდა-ქართლის დაპყრობას აპირებდა. მეფე მოულოდნელ თავდასხმას არ ელოდა და ციხეში მცირე ამალით იღგა.

ოსმალ-თათრებმა სოფელ კველთას თედორე ხუცესი დაიჭირეს და მეგზურობა უბრძანეს. გლეხი გმირი აღმოჩნდა: ქვეყნისათვის თავი გასწირა, მტერი სულ სხვა გზით წამოიყვანა და ის ცხირეთის ციხეს ააცდინა. როცა თედორეს ეს ხერხი გამომჟღავნდა, მეგზური ხმლით აქუსწეს თათრებმა, სამაგიეროდ განზრახვამ მტერს ფუჟად ჩაუთარა. ლუარსაბმა ციხეში გამაგრება მოასწრო.

ამ დროს ცხირეთს მეფესთან აყო გიორგი სააკაძეც. საზიფათო ჟამს მოურავი არ დაიბნა. მან განსაკუთრებულ სიმზნე, ნიჭი და სიმამაცე გამოიჩინა. ციხიდან ფიცხლავ შიკრიკები აფრინეს და ქართლის ჯარი იძმეს. სააკაძემ მეზობელ სოფლებიდან სახელდახელოდ ოთხასამდე მეომარი შემოიყარა. მოვიდნენ ახლობელი თავადებიც თავისი ყმებით. გიორგი სააკაძე და ზაზა ციციშვილი მოთარეშე მტრის მცირე რაზმებს ეკვეთნენ და მუსრი გაავლეს მათ. მტერმა ძარცვა-რბევით მტკვრის მარჯვენა ნაპირი აიარა და გორს გასვლა სცადა — მას ქართლის გულის დაჭერა სურდა. გორელებმა მოასწრეს და მტკვარზე გადასასვლელი ზიდი აჰყარეს. იმ დროს ზაფხულის წყალდიდობა იყო და აქ



დიდი მოურავი გიორგი სააკაძე.

იმდროინდელი იტალიელი მხატვრის ნახატი (კასტელის ალბომიდან).

მტკვარი არ გაისვლებოდა. მტერი ისევ მარჯვენა ნაპირს აპყვია, სოფ-
ლები აოხრია, ბრბონასთან მდინარის გადაღობვა მოახერხა და
ქვიშხეთის ბოლოს დაბანაკდა.

ამასობაში ქართველმა ჯარმა თანდათან მოდენა იწყა. თბილისიდან ყიზილბაშთა სარდალაც მოვიდა შეიდასი კაცით. გადამწყვეტი ომი ქვეშეთის ბოლოს მოხდა. წინასწარს სამხედრო რჩევაზე ქართველებმა გიორგი სააკაძის საომარი გეგმა მიიღეს და სასტიკ ომში მათ ბრწყინვალე გამარჯვება ხვდათ.

ამიერიდან გიორგი სააკაძე კიდევ უფრო გავლენიანი და მეფის სანდო პირი შეიქნა. მალე ლუარსაბ მეფემ სააკაძის და ცოლად შეირთო. სააკაძის ასეთ ამბოღებას ძველი გავლენიანი თავადები ვერ ურიგდებოდნენ. მათ ძალიან არ მოსწონდათ ამ აზნაურის პოლიტიკაც: სააკაძის იდეალი მეფის ხელისუფლების გაძლიერება იყო. ეს-კი თავადების უფლებების შეზღუდვის გარეშე ვერ მოხდებოდა. ასევე მიუღებელი იყო თავადებისათვის საქართველოს გაერთიანების აზნაურული იდეა. თავადებს საქართველოს გაერთიანება მეფე-მთავრების კავშირის სახით ჰქონდათ წარმოდგენილი. აზნაური სააკაძის გეგმა-კი საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას გულისხმობდა ძლიერი მეფის ხელ-ქვეშე. გიორგის თავისი მომხრეებიცა ჰყავდა თავადის-შვილთა და განსაკუთრებით აზნაურთა წრეებიდან. მაგრამ მოწინააღმდეგენი გაცილებით უფრო ძლიერი აღმოჩნდნენ. თავადები შემოადგნენ ლუარსაბს და იმდენი აბეზდეს მოურავი, რომ მეფე სააკაძის მოღალატეობაში დაარწმუნეს.


ლუარსაბმა მოურავის მოკვლა გადასწყვიტა, მაგრამ მომხრეებმა სააკაძეს განსაცდელი შეატყობინეს. მოურავი თავის სიმამრისას გაიქცა, მისი ქონება-კი მამებლად მოქიშპეებმა აიკლეს და დაიტაცეს.

გიორგი სააკაძის სიმამრი დიდი თავადი ნუგზარ ბრატგის ერისთავი იყო. ლუარსაბ მეფის და ხორეშანი დიდხანს იყო ნუგზარის ვაჟზე ღანიშნული, მაგრამ სწორედ ამ დროს თეიმურაზ კახთა მეფე დაქვრივდა და ლუარსაბმა, დარბაზის რჩევით, ხორეშანი მას მიათხოვა. ამით ამაყი ერისთავი მეტად შეუარაცხოფილი დარჩა.

ეზლასიძე-სიმამრი, გიორგი და ნუგზარი, ირანს წავიდნენ და შაჰ-აბასს ეახლნენ. ქართველ მოჩივართა მისვლა შაჰს მეტად ესიამოვნა: გავლენიანი ქართველების მიმხრობა საუკეთესო საშუალება იყო თეიმურაზისა და ლუარსაბის სიმტკიცის გასატეხად და მათ დასამორჩილებლად. სააკაძე ს-კი შაჰის ძალის გამოყენება თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დასამარცხებლად სურდა.

შაჰ-აბასმა ნუგზარ ერისთავი დიდად შეწყალებული გამოისტუმრა, გიორგი სააკაძე-კი ირანში დარჩა. გონიერებით, მამაცობითა და ძალღონით მოურავმა ჩქარა გაითქვა სახელი და შაჰის დიდი პატივი დაიმსახურა.

1614 წელს სააკაძის დაბრუნება ქართლში მოსვენებას უკარგავდა მის მოსისხარებს — ისინი მოურავისაგან შურისძიებას ელოდნენ. მათს ასეთ შიშს შაჰის კარიდან განზრახ დარბეული ხმებიც აძლიერებდა: რადგან ლუარსაბს არ სურს შაჰს ეახლოს და შეწყალება ითხოვოს, შაჰი ქართ-



ანანური, არაგვის ერისთავთა რეზიდენციის ციხე-სიმაგრე
და ეკლესია, XVII ს.

ლის მმართველად გიორგი სააკაძის დასმას აბირებსო. სააკაძის მომხრეები გახიზნულ ხალხს მშვიდობას აუწყებდნენ, უკანვე მოუწოდებდნენ და ხელმწიფის სახელით წყალობა-გაკეთებას აღუთქვამდნენ.

შეშფოთებული თავადები გამოსავალს ეძებდნენ. გიორგი სააკაძის მოსისხარმა შადიმან ბარათაშვილმა ლუარსაბი იმერეთიდან გადმოყვანა თავს იდევ. შაჰიც მხოლოდ ამას ელოდა. შადიმანმა ნაკისრი შეასრულა, მალე მისი რჩევით ლუარსაბ მეფე შაჰს ეახლა. შაჰ-აბასი ირანს გაბრუნდა და ლუარსაბი ღიღი პატივით თან წაიყვანა. შაჰმა თან გაიყვანა გიორგი სააკაძეც. თეიმურაზ მეფე-კი იმერეთს დარჩა ლტოლვილი.

§ 126. აჯანყება კახეთში. კახეთის აოხრება

კახეთში ყოფნისას შაჰმა უხვი წყალობა უყო თეიმურაზის მოღალატეებს. შეურაცყო კახთა სალოცავები — გრემი და ალავერდი — და სასტიკად ააოხრა საგურამო და ერწო-თიანეთი მეფის ერთგულობისათვის. აქ ყიზილბაშებმა ხელთ იგდეს ათასობით ტყვე. კახეთის მმართველად შაჰმა თეიმურაზის ბიძაშვილი, გამაჰმადიანებული ისა-ხანი, დასვა და კახ თავადებს მისი მორჩილება უბრძანა. ისე როგორც ქართ-

ლიდან, შაჰმა კახეთიდანაც მრავლად წაიყვანა ხელმწიფის მოლაშქრედ
თავდაწერილი მეომრები.

კახელებმა კარგად დაინახეს, თუ როგორი „მწყალობელი“ იყო ირანის
შაჰი და აჯანყებაც სადღეისო საქმედ იქცა. ირან-ოსმალეთს შორის რამის
განახლებამ ეს აჯანყება დააჩქარა. იმერეთს ლტოლვილი თეიმურაზი ოს-
მალეთს დაუკავშირდა. ისა-ხანი ამ დროს შაჰ-აბასთან იყო წასული, კა-
ხეთის საქმეები მას თავისი ორი უახლოესი კარისკაცის, ნო და რ ჯ ო რ-
ჯ ა ძ ი ს ა და დ ა ვ ი თ ჯ ა ნ დ ი ე რ ი ს ა თ ვ ი ს ჩაებარებინა. აჯან-
ყება 1615 წლის სექტემბერში დაიწყო. ქვორჯაძე და ჯანდიერი აჯან-
ყების მოთავენი აღმოჩნდნენ. აჯანყებულებმა თეიმურაზი იხმეს, და მე-
ფეც სწრაფად წამოვიდა კახეთში. ყიზილბაშთა რაზმები გაანადგურეს,
და თეიმურაზმა ქვეყანა დაიკავა. ესლა კახელების მაგალითს ქართლე-
ლებიც მრავლად აპყენენ, აჯანყდნენ და თეიმურაზი ქართლის მეფედაც
მოიწვიეს. სააკაძის მტრებმა დრო იშოვეს და მოურავის მომხრეებს დაე-
რივნენ. თვითონ მოურავი, რომელიც ამ დროს ირანიდან თავის მამულში
მოსულიყო, სიკვდილს ძლივს გადაურჩა. მალე თეიმურაზმა კახეთის მო-
სახლცრე შაქში ილაშქრა, ქალაქი ა რ ე შ ი აიღო და იქ შაჰის მეციხოვნე-
ნები გასწყვიტა. შაქი-შარვანელებიც შაჰის წინააღმდეგ აჯანყდნენ.
ამავე დროს თეიმურაზის აგენტები დაღისტანს ავიდნენ და ლეკებს ირა-
ნის წინააღმდეგ გამოსასვლელად მოუწოდებდნენ.

შაჰ-აბასი შეშფოთდა. ამ აჯანყებებში მას ოსმალეთის ხელი ეჩვენებო-
და. შაჰმა სასწრაფოდ გამოგზავნა სარდალი ა ლ ი - ყ უ ლ ი - ხ ა ნ ი 15 ათა-
სი მეომრით. ყიზილბაში სარდალი, რომელსაც თეიმურაზის შეპყრობა
ჰქონდა დავალებული, თბილისს მოვიდა. მტრის ჯარმა კახეთიდან არაგვ-
ზე გამოსასვლელი გზები შეკრა. თეიმურაზ მეფემ მორჩილების სიტყვე-
ბით ალი-ყული-ხანის სიფხიზლე შეანელა. ქართველმა მეგზურებმაც
კახთა ლაშქრის მოძრაობის შესახებ სწორი ცნობები არ მიაწოდეს ყი-
ზილბაშებს, ბ ა ი ნ დ უ რ არაგვის ერისთვის შვილი კი თბილისიდან გა-
ნუწყებულად ატყობინებდა თეიმურაზს მტრის ჯარის მოძრაობას. ამის
შედეგად თეიმურაზი 6 000 კაცით მოულოდნელად თავს დაესხა ყიზილბა-
შებს და სასტიკად დაამარცხა ისინი. მტერი თავზარდაცემული გაიქცა.
გამარჯვებულებმა ხელთ იგდეს მტრის მთელი ბანაჯი და მრავალი ტყვე.

შაჰ-აბასის მეორე ლაშქრობა საქართველოში. შაჰ-აბასი გა-
ცოფდა. აჯანყება საშიშ ჩასიათს იღებდა, და დაყოვნება აღარ შეიძლე-
ბოდა. შაჰი საგანგებოდ მოემზადა და 1616 წლის გაზაფხულზე მთელი
თავისი ძალით კახეთის მოსასპობად წამოვიდა. მტრის ასეთმა ენერგი-
ულმა და სწრაფმა მოქმედებამ აჯანყებულთა სიმტკიცე შეარყია. ვერც
ოსმალეთი მოეშველა მათ.

აჯანყებულებმა საერთო საფრთხის წინააღმდეგ გაერთიანება ვერ
მოახერხეს. ქართლის ფეოდალები კახელებს ვერ მიეშველნენ. მოძმის
აოხრებას უცქეროდნენ და თავის ჯერს უცდიდნენ.

ბრძოლის ველზე შაჰ-აბასის დიდი ჯარის გამკლავების ღონე თეიმურაზს არ შესწევდა. კარზე მომდგარი განსაცდელის თავიდან ასაცილებლად კახელებმა ნაცად ხერხს მიმართეს. თეიმურაზ მეფე და მისი ერთგულები ისევ დასავლეთ საქართველოში გაიქცნენ, მთელი კახეთი კი დაიხიზნა, სიმაგრეებში ჩაიკეტა, თავდასაცავად მოემზადა და ამავე დროს შაჰს მორჩილება გამოუცხადა და დანაშაულის შენდობა სთხოვა. შაჰ-აბასს კახეთის სრული მოსპობა ჰქონდა გადაწყვეტილი და ამიტომ მან კახელების თხოვნა არ შეიწყნარა.

რომ კახელებისათვის დაიხიზნით გადარჩენის საშუალება მოესპო, შაჰმა კახეთს მისასვლელი გზები თავისი ჯარებით წინასწარ დაიჭირა. ამავე დროს ის შეუთანხმდა დალისტნელ აბრაგებს, რათა მათ მთებში შეიზინული კახელები ეკლიტათ. ასეთი საგანგებო მომზადების შემდეგ მტერი შემოესია ქვეყანას.

ქართველი ხალხის ისტორიაში უმაგალითო შავილდე დატრიალდა, საქართველოს ყოფნა-არყოფნის დღე იდგა. ბრძოლამ ერთ წელიწადს გასტანა. ყოველი ციხე, ეკლესია-მონასტერი, სასახლე, ტყე, ხევი მტერს ომით უნდა აეღო. საკუთარი ბუდისა და თავისუფლების დამცველი ხალხი გმირი აღმოჩნდა, მაგრამ მტრის სიმრავლემ, ორგანიზაციამ და იარაღმა სძლია, თუმცა სპარსელებმა განაზრახს საბოლოოდ მაინც ვერ შეისრულეს.

კახეთმა ამ შემოსევისას მთელი თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაჰკარგა. ასი ათასამდე კაცი მტერს შეაკვდა, ამდენივე ტყვედ წაიყვანეს ყიზილბაშებმა. დალისტნელმა ყაჩაღებმაც დრო იხელთეს და ხელი მოითბეს. მტერმა დასწვა, დაანგრია და გაანადგურა, რასაც-კი მისწვდა. შაჰ-აბასის საგანგებო ბრძანებით არღვევდნენ სასახლეებს, ციხეებს, ეკლესია-მონასტრებს, სწვავდნენ სოფლებსა და ყოველგვარ სამეურნეო შენებულებას, კაფადნენ ზერებსა და ვენახებს, სობდნენ თუთისა და კაკლის ხეებს, არსად სტოვებდნენ ოთხფეხ საქონელს.

ნანგრევებად იქცა ქალაქები, სასახლეები, ფერფლად იქცა სოფლები. მშვიდობიან ქვეყანაზე საშინელმა გრიგალმა გადაიარა. დაიცალა და დაჟრუღდა აყვავებული მხარე, დიდი ხნით თითქმის შეწყდა აქ სიცოცხლის მაჯისცემა. ტყე და ნადირი დაეუფლა ადამიანის ნასადგომებს.

კახელი ტყვეები ირანს გარეცეს. მათი ნაწილი შაჰ-აბასმა შიდა-ირანის სხვადასხვა კუთხეში დაასახლა. უცხოეთში, თვისტომს მოწყვეტილნი, ისინი თანდათან გადაგვარდნენ. მხოლოდ მცირე ნაწილმა (ფერეიდან-ში) შეინარჩუნა დღემდე დედაენა. კიდევ უფრო უარესი იყო დანარჩენი ტყვეების ბედი, — ისინი ყიზილბაშმა მოლაშქრეებმა დაჰყიდეს. ქართველი მონა და მხევალი ყიზილბაში დიდკაცების ჩვეულებრივი სამკაული გახდა.

აოხრებული კახეთი შაჰ-აბასმა ორ ნაწილად გაჰყო: ივრის აღმოსავლეთი მხარე განჯის ხანს, ყიზილბაშ ფეიქარს ჩააბარა სამმართველოდ,

დასავლეთი-კი ქართლის ხანს ბაგრატს მისცა. ღაცარიელებულ ქვეყანაში შაჰმა ხანებს თურქმანების დასახლება უბრძანა.

კახეთის მოთხრით შაჰ-აბასი რამდენიმე მიწის მიღწევას ცდილობდა. საქართველოს წინააღმდეგობა საბოლოოდ უნდა გატეხილიყო, კახეთში ჩამოსახლებული თურქმანები-კი შაჰის ერთგული დასაყრდენი უნდა გამხდარიყვნენ შორეულ კავკასიაში; ირანს გადასახლებული კახელები კულტურული სოფლის მეურნეები და შაჰის ხელის შემეყურე ერთგული მეომრები იქნებოდნენ, — ასე ფიქრობდა შაჰი. მართლაც, ყ უ ლ ის ჯ ა რ შ ი¹, რომელშიაც ამ დროიდან 12 ათასი მხედარი და 10 ათასი ქვეითი ითვლებოდა, დიდი უმრავლესობა ქართველები იყვნენ.

როცა კახეთს მორჩა, შაჰი ქართლს ეწვია, მან აქ თეიმურაზის მომხრე თავადების მამულები დაარბია და ტყვეები მოაგროვა, ხოლო ქართლის თავადაზნაურთა შვილების დიდი უმრავლესობა ყულის ჯარში გაიწვია. ქართლის ხანად შაჰ-აბასს ჯერ კიდევ 1615 წელს გამოეგზავნა გამაჰმადიანებულ-გასპარსებული ქართველი ბ ა გ რ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე.

ფეიქარ-ხანმა მრავლად ჩამოსახლა თურქმან-თათრები კახეთის ველებში. ლეკებიც ჩამოსხდნენ ნაოხარ კახურ სოფლებში. ქვეყნის უდიდესი ნაწილი მაინც ცარიელი რჩებოდა. ფეიქარ-ხანი იძულებული გახდა კახი ხიზნების დაბრუნებასაც ცდილიყო.

თეიმურაზი ოსმალეთში. ირან-ოსმალეთის ომი გრძელდებოდა, და თეიმურაზ მეფე იმედს არ ჰყარავდა, რომ თავის ქვეყანას დაუბრუნდებოდა. ლტოლვილმა მეფემ ენერგიული პოლიტიკურ-დიპლომატიური მოქმედება გააჩაღა. ჯერ კიდევ 1615 წელს თეიმურაზის თაოსნობით საქართველოს ექვსივე მეფე-მთავარმა საერთო ელჩი გაგზავნეს მოსკოვს. ქართველები თავიანთი გაერთიანების შესახებ აუწყებდნენ რუსთა მეფეს და ერთმორწმუნე ხელმწიფეს საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის მოუწოდებდნენ. ასეთივე მოწოდებით მიმართეს ქართველებმა რუს ხელმწიფეს 1618 წელს. მეორე მხრით, თეიმურაზის ელჩები პოლონეთს და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებსაც ეწვივნენ, თუმცა დახმარება შაჰ-აბასის წინააღმდეგ ვერსაიდან მიიღეს. ამავე ხანებში თეიმურაზი ოსმალეთის ზონთქარს ეახლა სტამბოლში და მას დახმარება სთხოვა. ოსმალეთს ამ დროს თვითონ უჭირდა: ყაზახ-რუსნი სანაპიროებს ურბევდნენ, მცირე ზნიაში აჯანყებები არ ნელდებოდა. ზონთქარმა თეიმურაზი მცირე იმედით გამოისტუმრა და მას საცხოვრებლად გონიის ციხე მიუჩინა (ჰოროხის შესართავთან). 1618 წელს თეიმურაზს თავისი საქმის წარმატების დიდი იმედი ჰქონდა. ოსმალთა ძლიერი ლაშქარი ირანში შეიჭრა და ქალაქ არდაველს მიუახლოვდა. თეიმურაზ მეფე თავისი კახელებით ოსმალთა ჯარის მეწინავეში იბრძოდა და თავზარდაცემულ შაჰს მუქარას უთვლიდა, რომ მას კახეთის

¹ ყულის ჯარი ეწოდებოდა ირანის შაჰის მცველ ჯარს.

22. საქართველოს ისტორია.



თემურაზ პირველი მეუღლით, უცხოებაში.

იმერეთის იტალიელი მხატვრის ნახატი (კასტელის აღბრუნება).

ოზრების სამაგიეროს ჩქარა მიუზღავდა. კახეთის მეფეს იმედი არ გაუ-
ძარტლდა. ოსმალთა ლაშქრის უნიჭო სარდლობამ თავისი უპირატესობა
ვერ გამოიყენა, ომი ვერ მოიგო. და შაჰ-აბასი აშკარა საფრთხეს ამხელა-
დაც გადაურჩა.

თეიმურაზის მოქმედება ირანის შაჰს მოსვენებას უკარგავდა. ბრაზით
გაცოფებული მხეცი უდანაშაულო მძევლებს სწვდა. 1620 წელს შაჰ-აბა-
სის ბრძანებით თეიმურაზის ორი ვაჟი საშინლად დაასახინრეს.
თეიმურაზმა თანდათან დაჰკარგა ოსმალთა დახმარებით წარმატების
იმედი. 1623 წელს მან ერთხელ კიდევ გაგზავნა ელჩები მოსკოვს. მოს-
კოვის მეფემაც თეიმურაზს მეტად უიმედო პასუხი შემოუთვალა.
მაგრამ ამასობაში საქმე ისე წავიდა, რომ პასუხის მომტანს თეიმურაზი
უკვე ქართლ-კახეთის მეფედ დახვდა.

აქედო

§ 127. ქართლ-კახეთი 1616 — 1622 წლებში

აშლილობა ქართლში. ქართლის მმართველმა ბაგრატ-ხანმა საქ-
მეს თავი ვერ გაართვა. მრავალი თავადი შაჰის ამ მაჰმადიან მოხელეს
არ ემორჩილებოდა, ზოგი ლუარსაბს ელოდა, ზოგს კიდევ თეიმურაზთან
ჰქონდა საიდუმლო კავშირი.

1619 წელს ბაგრატ-ხანი გარდაიცვალა და შაჰმა ქართლის მმართვე-
ლად მისი შვილი სიმონი დანიშნა. მაჰმადიანობაში დაბადებულსა და
ირანში გაზრდილს ახალგაზრდა სიმონ-ხანს კიდევ უფრო ნაკლებ შეეძ-
ლო ლუარსაბისა და თეიმურაზის მეტოქეობა. ქართლი ანარქიამ მოიცვა.
ულონო სიმონი შაჰს ეახლა და ქართლის აშლა მოახსენა.

ლუარსაბ მეფე ტყვეობაში. ირანის შაჰის წინაშე ლუარსაბ მეფის
საკითხი დაისვა. ქართლიდან წაყვანის შემდეგ შაჰ-აბასს ლუარსაბ მეფე
კარგა ხანს ასტრახანში ჰყავდა. შაჰის სამსახურში მყოფი ქართ-
ლის თავადაზნაურობა ხშირად შუამდგომლობდა მის წინაშე ტყვე მეფის
პატიებას. მოსკოვის მეფეც, თავის მხრით, სთხოვდა ირანის შაჰს ქრის-
ტიანი მეფის შეწყალებას. შაჰს განსაკუთრებით არ სიამოვნებდა მოსკო-
ვის ასეთი შუამდგომლობა.

შაჰ-აბასს შეუძლებლად მიაჩნდა ლუარსაბის შეწყალება მანამ, სანამ
იგი ქრისტიანობას თავს არ დაანებებდა, გამაჰმადიანების სურვილს-კი
ქართლის მეფე არ იჩენდა.

მაღე ლუარსაბი შუა-ირანს წაიყვანეს და შირაზის ციხეში გამოჰკე-
ტეს. ქართლში თავადების აშლაც უბედურ ტყვეს დაბრალდა. ამავე
დროს ირანში შაჰის წინააღმდეგ შეთქმულება გამომჟღავნდა, რომლის
მონაწილეთა შორის ქართველებიც აღმოჩნდნენ. და რომ ქართველები
ირანში თუ ქართლში დაწყნარებულიყვნენ, შაჰ-აბასმა მათ იმედი გადა-
უწყებდა: მისი ბრძანებით ლუარსაბ მეფე შირაზის ციხეში შვეილდის
საბლით მოახრჩვეს 1622 წელს.

კახეთის მღვრთმარეობა. არც კახეთის საქმე მიდიოდა შაჰისათვის
სასურველად. თეიმურაზ მეფის აჩრდილი მოსვენებას უკარგავდა ფეი-
ქარ-ხანს. კახელები იმედით ცოცხლობდნენ: შაჰ-აბასი მოხუცებული იყო.
საცა იყო გარდაიცვლებოდა და ირანში ტახტის მემკვიდრეებს შორის

ჩვეულებრივი ომი გაჩაღდებოდა; თეიმურაზი-კი ჯერ ახალგაზრდა გენერალით საესე იყო; ირან-ოსმალეთის ომიც გრძელდებოდა და შესაძლებელი იყო ირანი დამარცხებულიყო.

სააკაძისა და სიმონის გამომგზავნა საქართველოში. შაჰის ბეზმა. ქართლისა და კახეთის საქმეების მოგვარება შაჰ-აბასმა გიორგი სააკაძეს უბრძანა. ამ დროისათვის მოურავი კიდევ უფრო სახელგანთქმული კაცი გამხდარიყო. იგი დიდი ჭკუის პატრონად და საქართველოს საქმეების საუკეთესო მფარველად იყო მიჩნეული. დიდმა გონიერებამ, ბრწყინვალე სამხედრო ნიჭმა და არაჩვეულებრივმა ფიზიკურმა ღონემ გიორგი სააკაძეს მჭუხარე სახელი გაუთქვეს არა მარტო ირანში, არამედ აგრეთვე ოსმალეთსა და სხვა აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ევროპაშიაც.

ახალგაზრდა სიმონ-ხანს სააკაძე მრჩევლად მიუჩინეს. ცოტახნის შემდეგ შაჰ-აბასმა საქართველოში ყიზილბაშთა დიდი ლაშქარი გამოისტუმრა ყ ა რ ზ ი ხ ა ნ ი ს სარდლობით. სარდლის უახლოესი მრჩეველიც გიორგი სააკაძე იყო.

სააკაძის შეუდგომლობით შაჰ-აბასმა შეიწყალა და საქართველოში გამოისტუმრა მოურავის ცოლისძმა და მისივე გაზრდილი ზ უ რ ა ბ ი, ნუგზარ ერისთავის შვილი.

1620 წელს სიმონ-ხანი, გიორგი სააკაძე და ზურაბ ერისთავი ქართლს მოვიდნენ. მალე ახალგაზრდა სიმონ-ხანი სავსებით სააკაძის გავლენის ქვეშ მოექცა.

ქართლ-კახეთის საქმეების მოგვარება შაჰ-აბასს ეხლა ასე ჰქონდა განზრახული: კახელები, როგორც თეიმურაზ მეფის თავგადადებული მომხრეები, უნდა საბოლოოდ ამოეწყვიტნათ, კახეთი სულ ყიზილბაშებითა და სხვა თურქმან-თათრებით დაესახლებინათ, ლუარსაბისა და თეიმურაზის მომხრე ქართლის თავადები ირანს უნდა ჩაერეკნათ.

ქართველების განწყობილება და გიორგი სააკაძე. შაჰი შეცდოდა, როცა სააკაძე საქართველოს თავისუფლების ჯალათად დაიგულა. შაჰ-აბასს ქართველებს შორის სახელი კარგა ხანია გატეხილი ჰქონდა. ირანის ხელმწიფის კარზე ჩაყვანილი ქართველები, შაჰის მეგობარ-მოლაშქრეებად თავდაწერილი მეომრები, ვერ ეღირსნენ დაპირებულ წყალობას. თვალუწყდენი ირანის კიდით კიდემდე განუწყვეტელი ლაშქრობა ათასობით იწირავდა შაჰისაგან გაკეთების მოიმედებებს. ამავდროს შაჰის ეს „მეგობრებიც“ (სპარსულად—„შაჰისევანები“) თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ „მწყალობელი“ ხელმწიფე მათ სამშობლო ქვეყნის ცას აღარ ახილვებდა. უარესი ის იყო, რომ ცბიერმა მტერმა ირანს ჩატყუებულ ქართველებს წყალობის პირობად გათათრება დაუდო. ასე რომ სამართლიანობის, წყალობისა და გაკეთების ნაცვლად „შაჰის მეგობრებმა“ თავისუფლების დაკარგვა, სამშობლოდან გადასახლება და გადაგვარება მიიღეს.

გიორგი სააკაძე კარგად მიუხვდა მტერს მის ვერაგულ გეგმებს და დანახა, რომ შეცდა. ირანის შაჰის ინტერესები საქართველოში ყველაზე ნაკლებ სწორედ სააკაძის მიზნებს ეთანხმებოდა. ძლიერი, მთლიანი საქართველო შაჰისათვის უფრო მიუღებელი იყო, ვიდრე საქართველო სუსტი, დაშლილი, თავადური. სააკაძე საქართველოს გაძლიერებისათვის, მასი თავისუფლებისათვის იბრძოდა, შაჰი-კი ჩვენი ქვეყნის დამონება-გადაგვარებას ცდილობდა და ამ საქმეში სააკაძის გამოყენებას ლამობდა. დიდი პატივითა და უხვი წყალობით მტერი სააკაძეს სამშობლოს მესაფლავედ გადაქცევას უპირებდა.

როცა სააკაძე ქართლს მოვიდა და საქმის ვითარებას ჩაუყვირდა, მან აღვილად შეამჩნია, რომ ეხლა ქართლშიაც მდგომარეობა სულ სხვა იყო, ვიდრე 1616 წლამდე. კახეთის განადგურებით შაჰმა საქართველოსადმი თავისი მგლური დამოკიდებულება საბოლოოდ გამოამჟღავნა. ქართლის მაჰმადიანურ სახანოდ გადაქცევა, ქვეყნის დახარკვა, თავადების მრავლად დარბევა და დასჯა-გადასახლება, ქართლის აზნაურ-მოლაშქრეთა ყულის ჯარში გაწვევა, ქრისტიანობის შეურაცხყოფა და მაჰმადიანობის გავრცელების ცდა, — ყველაფერი ეს შაჰ-აბასის წინააღმდეგ აკავშირებდა ქართლის მოსახლეობის სხვადასხვა ფენების დიდ უმრავლესობას. სააკაძემ დაინახა, რომ ქართლში ირანის წინააღმდეგ საყოველთაო აჯანყება მომწიფებულა და თვითონაც საჭირო სამზადისს შეუდგა. შურისძიების ნაცვლად სააკაძე შეურიგდა თავის ძველ მოქიშპეებს, მან დაიმოყვრა გავლენიანი თავადები და ხელი შეუწყო თავის ცოლისძმის ზურაბ ერისთავის გაძლიერებას. ამავ დროს მოურავმა საიდუმლო მოლაპარაკება გამართა ოსმალეთთან.

§ 128. გიორგი სააკაძის აჯანყება

კახელების განწყობა მუხრანს. 1623 წელს, ვითომც-და იმერეთს სალაშქროდ, ყარჩიხა-ხანმა კახი თავადაზნაურობა და მოლაშქრენი მუხრანს მოიწვია. აქ აღაიანის მინდორზე მათი ერთიანად გაწყვეტა იყო განზრახული.

ყიზილბაშებმა განაზრახი ვერ შეასრულეს. მართალია, მრავალი კახი დაიღუპა, მაგრამ ლაშქრის დიდმა უმრავლესობამ ხმლით გზა გაიკაფა და კახეთს გაიქცა. ასე რომ ყიზილბაშებს ვერაგული გეგმა გაუმჟღავნდათ, ხოლო კახეთი ისევ აჯანყებამ მოიცვა. შაჰ-აბასის მუხანათობამ ქართლიც შეაშფოთა. ეს მარცხი ყარჩიხა-ხანმა და სხვა ყიზილბაშებმა სააკაძეს გადაბრალეს.

სააკაძე შაჰ-აბასს კარგად იცნობდა, თავი ფრთხილად ეჭირა და ამავ დროს არაფერს-კი არ იმჩნევდა, კვლავ ყარჩიხა-ხანის ბანაკში იდგა.

ქართლის აჯანყება სააკაძის მეთაურობით. შაჰ-აბასმა სააკაძის ბრძანება გამოუგზავნა ყარაჩიხა-ხანს: შაჰი კახთა გაწყვეტისა და ქართლის აყრას განმეორებით უბრძანებდა სარდალს და სააკაძის მოკლვას. თვესაც ითხოვდა. მაგრამ არც მოურავს ეძინა. შაჰის ბრძანება ყარაჩიხა-ხანის ნაცვლად სააკაძეს ჩაუვარდა ხელში.

გადამწყვეტი მომენტი დადგა. დრო აღარ ითმენდა. აჯანყების წარმატებისათვის საჭირო იყო, რომ ის მანამ დაწყებულიყო, ვიდრე ყიზილბაშთა სარდალი ჯერ კიდევ არ იყო გაფრთხილებული.

სააკაძემ მისთვის ჩვეული ენერგიით, სიტრთხილითა და მოთქმებით აჯანყების გეგმა დააწყო. შაჰ-აბასის საიდუმლო ბრძანებამ სააკაძეს დიდი სამსახური გაუწია აჯანყების წარმატებით მოწყობაში: ქართლის თავადებმა თვით შაჰის ბრძანებაში ამოიკითხეს თავის შესახებ ულმობელი განაჩენი. ყარაჩიხა-ხანთან შეთანხმებით სააკაძემ ქართლის თავადები იხმო, ვითომც-და მათთვის შაჰის სურვილი უნდა ეუწყებინა. მოურავმა აქ თავადებს შაჰის საიდუმლო ზრახვები გააცნო და მათ აჯანყებისაკენ მოუწოდა. ქართლის თავადებმა აჯანყების გეგმა მიიღეს.

ყიზილბაშების გაფხვება მაზტუმოვს. ყარაჩიხა-ხანი თავისი ჯარით მარტყოფის მიდამოებში იყო, როცა ქართლის აჯანყებულთა ზევი მის წასაღებად დაიძრა.

ბეიმანზე, როდესაც ქართლის ჯარი მარტყოფის ვიწროებში მტერს თავზე წამოადგა, გიორგი სააკაძემ ყიზილბაშთა სიმტკიცე გაბედული დაცვით ხერხემაღლში გადასტეხა. მოურავი აქამდე მტრის ბანაკში იყო და მოსაჩვენებლად შაჰის სამსახურზე ვითომც თავს არ ზოგავდა. ქართველ აჯანყებულთა ხმაურობაზე ის, იარაღისმზული და ამხედრებული, ყარაჩიხა-ხანის კარავში გამოცხადდა. მოურავის რჩევით სარდალმაც სასწრაფოდ იარაღი აიხსა და ცხენზე შეჯდომა დააბრჩა. მაგრამ როცა ყარაჩიხა-ხანმა უზანგში ფეხი შესდო და აღსაჯდომად წამოიწია, სააკაძემ მას ისე მძლავრად აძგერა შუბლი, რომ ერთი გვერდიდან მეორეში გაუყარა. ყიზილბაშები ჯერ გონს ვერ მოსულიყვნენ, რომ სააკაძის შეიღმა ავთანი იღმა ყარაჩიხა-ხანის ვაჟი გაათავა. სააკაძის მხლებელ ვაჟკაცთა მცირე გუნდი დაბნეულ ყიზილბაშებს თავგამეტებით ეცა. ბანაკი საშინლად აირია. უსარდლოდ დარჩენილ მტერს გარს შემომდგარმა ქართველებმა გულსრულად შეუტყეს. ყიზილბაშები სასტიკად დამარცხდნენ: ევება ჯარის მხოლოდ მეთაურობა უშველა თავს გაქცევით. სიმონ-ხანი აღჯაყალას გადაიხვეწა. ეს მოხდა იმავე 1623 წელს.

საქართველოს გაფხვება მტრისაგან. თეიმურაზი — ქართლ-კახეთის მეფე. სააკაძემ მტერს მოთქმების საშუალება არ მისცა, თბილისს თავს დაეცა, ქალაქი აიღო და ციხეში გამაგრებულ ყიზილბაშთა გარნიზონს ალყა შემოარტყა.

იმავე დღეს მოურავმა კახეთს გაილაშქრა იქ შემოსახლებული თურქ-მანების გასაღებლად. მტკვარზე გასავალს სააკაძე და ზურაბ ერისთავი

მიიწივნენ გაქცეულ თურქმანთა ურდოებს. კახეთის მმართველმა ფეიქარ-ხანმა ძლივს გაასწრო, თურქმანების დიდი ნაწილი-კი ქართველებს ტყვედ ჩაუყარდათ ხელში. მოურავი გამობრუნდა, სწრაფად შეემზადა და განჯა-ყარაბაღის ქვეყნებზე გაილაშქრა. ამ ლაშქრობაში მან დიდძალი ტყვე ხელთ იგდო, შემდეგ დაარბია მდიდარი ყარაბაღი და ლტოლვილ ყიზილბაშებს ხუდაფირინის ხიდამდე (მდ. არაქსზე) სდია.

აქედან დაუღალავი სარდალი კვლავ სწრაფად თბილისს დაბრუნდა. ციხის აღება მაინც ვერ მოხერხდა, — სპარსელთა შეიარაღება ცხადად სჯობდა ქართველებისას. თბილისს ზოგიერთი მოქალაქის დალატმაც საქმე გააშეღა. ამავე დროს სააკაძემ ლაშქარი გაგზავნა სამცხეს და ახალციხე ხელიდან გამოგლიჯა ყიზილბაშებს.

ოსმალთა ჯარის სარდალს, რომელიც ამ დროს დიარბექირს იყო და ბაღდადისკენ სალაშქროდ ემზადებოდა, სააკაძემ დახოცილ ყიზილბაშთა დაპირილი თავების გაგზავნით აუწყა მტერზე გამარჯვება. მოურავი ოსმალებს ამიერკავკასიაში სალაშქროდ ეპატიებოდა. მაგრამ ოსმალთა უნიჭო სარდლობამ უეჭველი წარმატება ხელიდან გაუშვა, მოურავის წინააღმდეგ არ მიიღო და ამით შაჰ-აბასი უდიდეს ხიფათს გადაარჩინა.

მარტყოფის ომის უმაღლესი აჯანყებულებმა თეიმურაზი მოიწვიეს და ქართლ-კახეთის მეფედ აღიარეს.

მარაბღის ომი. შაჰ-აბასმა კარგად შეათვალა მდგომარეობის სერიოზულობა და შესაფერი ღონისძიებაც სწრაფად მიიღო. საქართველოს წინააღმდეგ მოქმედი ჯარის უფროსად მან ისა-ხან ყორჩიბაში დანიშნა. შარვანის ხანსა და აგრეთვე ერევნისა და ადარბადაგანის ბეგლარ-ბეგებს ებრძანათ, რათა თავისი ჯარებით ყორჩიბაშს ხლებოდნენ.

ქართველებმა მტერს თავისი ძალების სრული მობილიზაციით უპასუხეს. მათთანვე მოვიდა ოსმალთაგან გამოძევებული მანუჩარ ათაბაგი მცირე რაზმით. ამ ომში მას უკანასკნელად მოუხდა ხმლის მოქნევა ქართველობის დასაცავად. ქართველთა ჯარი ოცი ათასამდე მეომრისაგან შესდგებოდა. ყიზილბაშები მათ რიცხვით დიდად სჭარბობდნენ.

ქართველები კოჯორ-ტაბახმელას იდგნენ, ზოცა მტერი ალგეთზე მოვიდა და მარაბღის მიდამოებში გაიშალა.

ქართველთა ბანაკში თათბირი გაიმართა. ბჭობდნენ, თუ სად და როდის შეებოდნენ მტერს. სხვადასხვა აზრი გამოითქვა, მაგრამ ომის დაწყების ბედი ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაციამ გადასწყვიტა. საბარათიანოს ლაშქარი ზვალისად შებმას მოითხოვდა, თუ არა და, ბრძოლის ველს მივატოვებთო, იმუქრებოდნენ. საბარათიანოს ფეოდალების საამისო საბუთი ის იყო, რომ მტერი მათ „მამულში“ იდგა და მას აოხრებდა.

ასეთი ვიწრო იყო იმ დროს ქართველი თავადის პოლიტიკური თვალსაწიერი.

იმავ დამით ქართველები მარაბდის ველისაკენ დაეშენენ. რიერაქო
ომი დაიწყო. მტერმა თოფ-ზარბაზნით შემოუტია, მაგრამ ქართველთა
მხედრები ფიცხლავ მიეჭრნენ მტრის მეწინავე რაზმს და გადაქელეს იგი.
მხნელ იყვნენ ყიზილბაშებიც, თუმცა ბრძოლა მაინც ქართველთა გა-
მარჯვებით მიდიოდა. ქართველებმა გააბეს მტრის ჯარი და მისი ბანაკი
ზელთ იგდეს. ყიზილბაშები თავზარდაცემული გარბოდნენ. ივლისის პა-
პანაქება შუადღემ მოატანა. ქართველები ომს მოგებულად სთვლიდნენ,
მაგრამ ყიზილბაშთა მთავარსარდალი ისა-ხან ყორჩიბაში ბრძოლის ველს
არ სთმობდა და გადარჩენილი რაზმებით საქმის გამოსწორებას ცდილობ-
და. ქართველთა სარდლობა-კი მტრის ერთიანად გაწყვეტის გეგმას აწ-
ყობდა.

ამ დროს მოუსწრო თავერიზის ბეგლარ-ბეგმა ადარბადაგანის ჯარით.
დამხმარე ლაშქრის მოსვლით გამხნეებულმა მტერმა ქართველებს ძლიერ-
რად შემოუტია. ამავე დროს მოღალატეებმა ხმა დაარხიეს: თვით შაჰი
მოვიდაო. მეორე მხრით-კი შექნეს თავში ცემა: თეიმურაზ მეფე მოკლე-
სო. მოქანცულს ქართველთა ჯარს გული გაუტყდა და პირი იბრუნა.
სარდლებმა ჯარი ვერ შეიკავეს. ყიზილბაშები აედევნენ და უწყალოდ
ზოცდნენ უკანდახეულთ. განსაკუთრებით მრავლად დაიღუპა გლეხობა —
ომში ის ქვეითად იყო და ბრძოლის ველიდან სწრაფად გაცლის ღონე მას
არ ჰქონდა. ცხენოსნების მიერ მიტოვებული გლეხები ჯგუფ-ჯგუფად
შეგროვდნენ და თავგანწირვით იბრძოდნენ, სანამ უკანასკნელ კაცამდე
არ შეაწყდნენ ყიზილბაშ მეთოფეებს. გაქცეულ მხედრებს-კი ყიზილბა-
შებმა კოჯრის ძირამდე სდიეს. მოწინააღმდეგენი საღამოს ბინდმა გაყა-
რა. ეს იყო 1624 წელს.

მარაბდის ომში ცხრა ათასი ქართველი და თოთხმეტი ათასი ყიზილბა-
ში გაწყდა.

თავადთა პოლიტიკური სიბეცე-შეზღუდულობა, ფეოდალური ლაშქრის
უღისციბლინობა და შეიარაღებაში ჩამორჩენილობა იყო მარაბდას ქარ-
თველთა დამარცხების უმთავრესი მიზეზები.

მეორე დღეს ომი კოჯრის მიდამოებში გაგრძელდა. ქართველების მი-
ზანი მტრის შეჩერება იყო, რომ მოსახლეობას დახიზვნის საშუალება
ჰქონოდა.

მეფე თეიმურაზ და გიორგი სააკაძე შიდა-ქართლში მოვიდნენ.

§ 129. მარაბდის ომის შემდეგ. სააჰაძის დამარცხება

ქართველების პარტიზანული ომი. მართალია, მარაბდის ომში
ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ მტერიც ისე ძლიერ დაზარალდა, რომ
შაჰის დავალებათა შესრულების ღონე მას აღარ შესწევდა.

ქართველები საქმეს საბოლოოდ წაგებულად არ სთვლიდნენ და შეუპოვარ ბრძოლას განაგრძობდნენ. ეხლა ქართველებმა ბრძოლის ტაქტიკა შესცვალეს და პარტიზანულ ომს მიმართეს. ასეთი ბრძოლის მთავარი ორგანიზატორი მოურავი სააკაძე იყო.

დიდი თავგამეტებით იბრძოდნენ ქართველთა მცირე რაზმები. უკანასკნელ შესაძლებლობამდე იცავდნენ ისინი გზის ვიწროებს, ზეკარებს, ფონებს თუ ხიდეებს, რომ მტერი ქვეყნის შიგნით სწრაფად არ შემოჭრილიყო და სახიზარს მიმავალ მშვიდობიან მოსახლეობას არ დარეოდა. გმირებმა ათ ღღეს შეიკავეს მოზღვაებული მტერი. ყიზილბაშებმა დიდი გაკირვებით და ზარალით შესძლეს, ბოლოს, შიდა-ქართლში შემოჭრა, მაგრამ ქვეყანა უკვე დახიზნული იყო, და მტერმა ტყვე შედარებით მცირე იშოვა.

მეფე თეიმურაზ იმერეთს გადავიდა, გიორგი სააკაძე-კი სამცხეს მივიდა და ოსმალეთის სულტანს ელჩი გაუგზავნა (1624 წელს).

სპარსელთა ღონისძიებანი. ისა-ხან ყორჩიბაში დარწმუნდა, რომ თეიმურაზისა და მოურავის ხელში ჩაგდება მას არ შეეძლო. შაჰის მოხელე იმისიც მოხარული იყო, რომ ირანის ეს მოსისხარო მტრები ქართლ-კახეთს გაცვალნენ, თუნდაც დროებით. ისა-ხანი ქვეყნის შემომტყიცებას შეუდგა. ირანის აგენტები გამრავლდნენ, ძველ მოღალატე თავადებს დამარცხების შემდეგ სულმოკლენიც შეემატნენ. მტერმა ყველა ამით წყალობა უყო და ზურგად და იმედად ყიზილბაში მეციხოვნეები უჩინა. შაჰის ბრძანებით ქართლის მმართველად ისევ სიმონ-ხანი დასვეს, რომლის დახმარებაც, ყიზილბაშთა ჯარის გარდა, განჯის ხანს დაავალეს.

რაკი აბასი გულის წადილს ვერც ეხლა ეწია — თეიმურაზი და სააკაძე ხელთ ვერ იგდო, — გაბოროტებულმა შაჰმა შურისძიების წყურვილი ერთხელ კიდევ მოიკლა უდანაშაულო მძევლების სისხლით: საშინელი ტანჯვით აწამეს თეიმურაზ მეფის დედა ქე თე ვ ა ნ ი (1624 წ.), თავი მოსჭრეს აგრეთვე გიორგი სააკაძის ვაჟს პ ა ა ტ ა ს.

სააკაძის საჰმიანოგა ქართლში. 1625 წლის გაზაფხულზე თეიმურაზ მეფე და გიორგი სააკაძე ისევ დაბრუნდნენ და ქედდაუდრეკელ მებრძოლ ქვეყანას სათავეში ჩაუდგნენ. მოურავი მხნედ შეუდგა სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. მან დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები დასახა ქვეყნის სამხედრო და ადმინისტრაციული წესწყობილების გაუმჯობესების მიზნით. ამავე დროს მოურავი თავგამეტებით იბრძოდა ქართლის ციხე-სიმაგრეებში შეყენებული ყიზილბაშებისა და მტრის მხარეზე გადასული მოღალატე თავადების წინააღმდეგ.

სამეფოს შევიწროებით ესარგებლნა და აჯანყებულიყო დევალეთი. სააკაძემ ხმლით გასტეხა აჯანყებულნი და დევალეთი ისევ სამეფოს დაუმორჩილა. შაჰის ძველი აგენტი და ქვეყნის მოღალატე ლ ო რ ი ს მ ე ლ ი ქ ი ეხლაც თავადებს გიორგის წინააღმდეგ მოუწოდებდა. სააკაძე

მიუხედავად ლორეს. ძელიკი გადაიხვეწა. ბირთვისის ციხის პატრონი ქ. ოსრო ბარათაშვილი მტერს მიმხრობოდა. ბირთვისის ციხეში მას ზუთასი ყიზილბაში მეთოფე ჩაეყენებინა და თავს არხეინად გრძნობდა. სააკაძე მოულოდნელად თავს დაეცა ტბისში ქაიხოსროს სასახლეს, ხელთ იგდო მოღალატე თავადი და აიძულა ის ციხიდან ყიზილბაშებში გამოეტყუებინა. სააკაძემ ყველა მათ თავგები დააყრევინა, ხოლო ციხეში თავისი ხალხი შეაყენა.

ყიზილბაშები შეხუთულები ისხდნენ ციხე-სიმაგრეებში, სიმონ-ხანი თბილისიდან ველარ გამოდიოდა. არც მის დამხმარე განჯის ხანს ადგა მოურავისაგან კარგი დღე. 1626 წელს სააკაძემ გაილაშქრა განჯას, აიღო და დაარბია იგი. შაჰ-აბასს, უეჭველია, კვლავ განსაკუთრებული ღონისძიებები დასჭირდებოდა, რომ ქართველი ფეოდალების შინაურ შუღლს ის ამ გასაჭირისაგან არ ეხსნა.

გიორგი სააკაძე ამ დროს ქართლის ფაქტიური მმართველი გახდა, ოსმალეთთან თუ სხვა მეზობელ ქვეყნებთან მოლაპარაკებას მოურავი თეიმურაზისაგან დამოუკიდებლად აწარმოებდა. საქართველოში სააკაძეს უკვე ქართლის მოურავს ეძახდნენ, ხოლო ოსმალეთის ხონთქარი მას „ქართლის მპყრობელ მოურავ-ხანს“ უწოდებდა და „თეიმურაზ-ხანის“ სწორად უყურებდა. თეიმურაზი ხონთქარს მხოლოდ კახეთის მმართველად მიაჩნდა. თეიმურაზ მეფე მოურავის ასეთ განდიდებას ვერ ითმენდა და მას ორგულობას სწამებდა. ამავე დროს შაჰ-აბასი თეიმურაზის შემორიგებას მოხერხებულად ცდილობდა. მოსკოვის მეფის შუამდგომლობის შედეგად და მისივე ელჩის პირით შაჰი თეიმურაზს ტყვედ წაყვანილი ხალხის დაბრუნებას და აოხრებული კახეთის აშენებას პირდებოდა, თუ კი მეფე ოსმალეთთან კავშირს შესწყვეტდა. ასეთ ვითარებაში სააკაძის მოქმედებებმა მეფე და ქართლის მოურავი ერთი მეორეს აღვილად გადაამტერეს.

იმისთვის, რათა თეიმურაზს ქართლზე ხელი აეღო, სააკაძემ წინ წამოსწია ქართლის ტახტის მემკვიდრედ ქაიხოსრო მუხრან-ბატონი. ქაიხოსრო ქართლის მოურავის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

მალე ქართლის თავადები ორ ჯგუფად გაიყვნენ: მუხრან-ბატონი და ქსნის ერისთავი სააკაძეს შერჩნენ, ამილახორი და ზურაბ ერისთავი თეიმურაზს მიემხრნენ. თეიმურაზმა ქართლი დასტოვა და კახეთს გადავიდა. გერბებული ქართლ-კახეთის სამეფო ისევ დაიშალა.

თეიმურაზსა და სააკაძეს შორის ომი აუცილებელი შეიქნა.

ბაგალეთის ომი. სააკაძემ დახმარებისათვის იმერეთის მეფეს, გიორგის და ახალციხის ფაშას, საფარს მიმართა. საფარ-ფაშაც ოსმალთა ხონთქარის ნებართვით სააკაძეს მოეშველა. ოსმალეთის სახელმწიფო კარი სააკაძეს, როგორც შაჰ-აბასის შეურიგებელ მოწინააღმდეგეს, დიდად აფასებდა და თეიმურაზ-სააკაძის ომში სააკაძის გამარჯვებას ირჩევდა.

საფარ-ფაშისა და იმერეთის მეფის ჯარები სააკაძეს მოუვიდნენ. 1626 წელს, გვიან შემოდგომაზე, ბაზალეთის ტბასთან (დუშეთის მაზრა-ლობლად), ომი მოხდა მოურავსა და თეიმურაზ მეფეს შორის. სასტიკი ბრძოლა სააკაძის დამარცხებით დამთავრდა.

ჩაიშალა ის დიდი საქმე, რომელსაც სააკაძემ თავისი უზარმაზარი ენერგია შეაღია და ურომლისოდაც საქართველოს განთავისუფლება-გაძლიერება შეუძლებელი იყო. მოურავი, ქაიხოსრო მუხრან-ბატონი და სხვები ოსმალეთს გაიქცნენ, სტამბოლს მივიდნენ და ხონთქრისაგან დახმარებას ითხოვდნენ, მაგრამ დახმარება ვერ მიიღეს.

ქართლ-კახეთი ბაზალეთის ომის შემდეგ. სააკაძის და-ღუპვა. მომავლის მოლოდინში ემიგრანტები ოსმალეთში დარჩნენ. კარგა ხანს მოურავი ოსმალეთში დიდ პატივში იყო: მას ფაშობა უწყალობეს და სამმართველოდ დიდი ქვეყანა ჩააბარეს. 1629 წელს კი მოურავსა და მის ორმოც მსლებელს დიდი ვეზირის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს. თვით ოსმალეთში ამ ბოროტმოქმედების მიზეზად დიდი ვეზირის შურსა და მტრობას სთვლიდნენ სააკაძის მიმართ. ასე დაიღუპა ეს დიდი პიროვნება, თავისი დროის უკუღმართობის მსხვერპლი.

სააკაძეს არ მოუხერხდა თავისი პოლიტიკური იდეების განხორციელება. საქართველოს განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ბრძოლაში იგი დამარცხდა, მაგრამ მისი დამსახურება სამშობლოს წინაშე განუზომელია. გიორგი სააკაძემ იხსნა, თავისი პირადი ბედნიერების ფასად, საქართველო სასიკვდილო საფრთხისაგან იმით, რომ იგი იყო მთავარი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი 1623-5 წ. წ. გმირული სახალხო ომისა, რომელმაც აიძულა შაჰ-აბასი ხელი აეღო საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის მოსპობის განზრახვაზე. სწორედ ასე, როგორც სამშობლოსადმი თავგანწირულ ერთგულებას, აფასებდნენ ქართველი პატრიოტების მომდევნო თაობანი მოურავის საქმიანობას.

ბაზალეთის ომის შემდეგ კახეთი და შიდა-ქართლი ისევ თეიმურაზს ეჭირა. თბილისში შაჰის მოხელე სიმონ-ხანი იჯდა, რომელსაც მხოლოდ სომხით-საბარათიანო ემორჩილებოდა.

1629 წლის დასაწყისს შაჰ-აბასი გარდაიცვალა, და ირან-ოსმალეთის ომიც განახლდა. თეიმურაზ მეფემ მტერს მარჯვე დრო შეურჩია, ზურაბ ერისთავის დახმარებით სიმონ-ხანი დაღუპა და ქართლი მთლიანად დაიპყრო. მალე თეიმურაზმა ზურაბ ერისთავიც მოაკვლევინა. განდიდებულ არაგვის ერისთავს ზურაბს თეიმურაზის ყმობა ემძიმებოდა და თვითონ აპირებდა ხელმწიფობას. ხევი და მთიულეთი ხომ ქართლის მეფეს მი-სტაცა, ეხლა იგი თიანეთსა და მუხრანს ეჭიდებოდა და თავისუფალი ფშავ-ხევსურეთის დამონებასაც დაჟინებით ცდილობდა.

ამ ხანებში თეიმურაზმა ირანს ერთხელ კიდევ შეუტია. მას ოსმალეთის დახმარების იმედი ჰქონდა. თეიმურაზმა იმერთა მეფისაგან დამხმარე

ჯარი იშოვნა და შეერთებული ლაშქრით განჯა-ყარაბაღის ქვეყნები დაარბია.

მეორე მხრით, თეიმურაზ მეფემ რუსეთთან ურთიერთობა კვლავ გააძლიერა და მოსკოვის მეფეს მტრის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. ამის საპასუხოდ ირანის ახალმა შაჰმა ქართლი სიმონ-ხანის ბიძას, როსტომს, უწყალობა, კახეთის ხანად-კი ყიზილბაში სალიმი დანიშნა. როსტომი დიდი ჯარით გამოისტუმრეს. ქართლის ფეოდალების ერთი ნაწილი როსტომს მიუვიდა, სხვებმა კიღევ თეიმურაზს ყიზილბაშებთან ომი არ ურჩიეს. უჯაროდ დარჩენილი თეიმურაზი მცირე ამალით იმერეთს გადავიდა, ქართლი-კი როსტომმა დაიჭირა (1632 წ.).

ირანისა და ოსმალეთის გაბრუნება საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ

§ 130. როსტომის მეფობა

როსტომის დანიშვნა ქართლის „ვალი“-დ. 1632 წლიდან ირანისა და ქართლის ურთიერთობაში ახალი ხანა იწყება. ამიერიდან ვიდრე 1744 წლამდე ქართლს მაჰმადიანი მეფეები განაგებდნენ, რომელთაც ქართლის „ვალი“, ესე იგი, შაჰის „მოდგილე“ ეწოდებოდათ. თანაც ქართლიდან შაჰის ხაზინაში ყოველწლიური ხარკი მიჰქონდათ, ხოლო პირადად ყაენისათვის სხვადასხვა მისართმეველი და ქალ-ვაჟები იგზავნებოდა.



როსტომი პირველი მაჰმადიანი მეფე იყო, რომელმაც ქართლში მტკიცედ ფეხის მოკიდება შესძლო. ასეთი მდგომარეობის მისაღწევად როსტომმა ხანგრძლივი ბრძოლა გადართმინა.

როსტომი სიმონ მეფის ძმის, დავითის, „უკანონო“ შვილი იყო, შინდისელი გლეხის ქალისაგან. როსტომი ირანში აღიზარდა, მაჰმადიანი იყო და გასპარსელებული.

თეიმურაზის დაბრუნება კახეთს. იმერეთს გახიზნული თეიმურაზი 1634 წელს ისევ დაბრუნდა, კახეთს დაეუფლა და 14 წლის განმავლობაში როსტომის წინააღმდეგ დაუცხრომლად იბრძოდა, — მას ქართლის დაპყრობა სურდა. მაჰმადიანი როსტომის წინააღმდეგ არაერთი ქართლის თავადი უჭერდა მხარს ქრისტიან თეიმურაზს. ირან-ოსმალეთის ომი გრძელდებოდა, და თეიმურაზს იმედი ჰქონდა, რომ ირანის ამ მოხელის, როსტომის, წინააღმდეგ დახმარებას ოსმალეთიდან მიიღებდა. მეორე მხრით, კახეთის მეფე დახმარებას რუსეთშიაც ეძებდა. თეიმურაზი ენერგიულად ცდილობდა, რომ საქართველოს ყველა სამეფო-სამთავრო მოს-

კოვის მეფის მფარველობის ქვეშ შეეყვანა. ამით კახეთის მეფე საქართველოს სამეფო-სამთავროების შეკავშირებისათვის იბრძოდა.

მაგრამ თეიმურაზის საქმე მარცხით დასრულდა: 1642 წელს ირან-ოსმალეთს შორის ზავი დაიდო, და არც მოსკოვის მეფეს აღმოაჩნდა ქართ-

ველ მეფე-მთავართა მფარველობისათვის საჭირო ძალა. შეთხელდა თეიმურაზის მომხრე ქართლის თავადთა დასიც, რომელთაც არა ერთი შეთქმულება ჩაეშალათ, არა ერთი აჯანყება წააგეს როსტომის წინააღმდეგ. **როსტომის ხელისუფლების განმტკიცება.** 1648 წელს შაჰის დასტურით როსტომმა ყიზილბაშები დაიხმარა და კახეთს გაილაშქრა. თეიმურაზმა ომი წააგო და კახეთს გაეცალა. შაჰმა კახეთი როსტომს მისცა სამმართველოდ.


როსტომმა სწორედ იმით გაიმარჯვა, რომ ქართველობას შეურიგებელი ბრძოლა არ გამოუცხადა. როსტომის ღონისძიებები ქართულ საზოგადოებრივსა და სამეურნეო წყობას არ შეხებია. აქ ყველაფერი უცვლელად დარჩა. არც ქრისტიანობა განიცდიდა მის დროს ქართლში აშკარა დევნას, გამაჰმადიანება უმთავრესად ფეოდალ მოხელეთა უმაღლეს წრეებს ეხებოდა. სამაგიეროდ ქვეყანა დიდი ხნის ნანატრ მშვიდობიანობას ეღირსა. შეწყდა ყიზილბაშთა თარეში. თავადების ურთიერთ მიხტომ-მოხტომაც თანდათან შენელდა. თავის სამფლობელოში როსტომმა წესიერება დაამყარა. გახიზნული ხალხი უკან დაბრუნდა და სოფლებმა მოშენება იწყო. აქა-იქ ქალაქებიც აღდგა, ვაჭრობა-ხელოსნობა გამოცოცხლდა. ქვეყანაში დოვლათი დატრიალდა.

ასეთ პირობებში ქართლის ფეოდალების უმრავლესობა თანდათან შეურიგდა როსტომს. ამიერიდან ქართველობისათვის ბრძოლა განსხვავებულ პირობებსა და ფორმებში მიმდინარეობდა. შეურიგებელი თეიმურაზი თავისი ერთგული მომხრეებით გაირიყა და იძულებული შეიქნა ასპარეზიც დაეცალა, თუმცა მას ბრძოლა ამის შემდეგაც არ შეუწყვეტია.

§ 131. კახეთის აჯანყება 1659 წელს

თურქმანების ჩამოსახლება კახეთში. თეიმურაზის საქმიანობა სპარსელებს არ ასვენებდა. ამავე დროს არც კახეთში გამოილივნენ თეიმურაზის მომხრეები. განსაკუთრებით შფოთავდა მთიანეთი. კერძოდ, თუშები, ფშაველები და ხევსურები თეიმურაზისადმი თავის ერთგულებას ეფიცებოდნენ მოსკოვის მეფეს ალექსის, მორჩილებას უცხადებდნენ უკანასკნელს და მზად იყვნენ მტერზე სალაშქროდ. ასეთ პირობებში ირანში ერთხელ კიდევ გაცოცხლდა შაჰ-აბასის ძველი გეგმა: კახეთში თურქმანთა მომთაბარეთა ჩასახლება. ამ საქმის შესრულება ექვიანმა შაჰმა არ მიაწოდო როსტომ-ხანს. ამიტომ კახეთი ჩამოართვეს როსტომს და ისევ განჯის ხანს სელიმს გადასცეს (1656 წ.).

სელიმ-ხანი დავალების შესრულებას ენერგიულად შეუდგა. სულ რაღაც ორი წლის განმავლობაში ადარბადაგანიდან მან თურქმანთა დიდი ურდოები ჩამოასახლა კახეთში. თურქმანებმა დაიპყირეს ბახტრიანი, ალავერდი და სხვა მნიშვნელოვანი ადგილები.



„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის მორთულობის ნიმუში, XVII ს.

საქ. მუზ. ხელნაწერთა განკ.

ეს საქმის დასაწყისი იყო. სელიმ-ხანი მთელი შიგნითა და გარე-გარეულის ბარი-ადგილების თურქმანებით დასახლებას აპირებდა. ამავე დროს, დაღისტნელი ყაჩაღები სასტიკად არბევდნენ და ატყვევებდნენ კახეთის მშვიდობიან მოსახლეობას. სელიმ-ხანი ამ ლეკ-აბრაგებში თავის მოკავშირეს ხედავდა. კახეთს გადაშენება-მოსპობა ელოდა — თურქმანები მთელ კახეთს თავის ყიშღალ-იალალებად გადაქცევას უპირებდნენ, როგორც ამბობს ხალხი ლექსში:

ბახტრიანს სხედან თათრები,
სიტყვას ამბობენ ძნელსაო:
ახმეტას ჩაეჭრით ვენახსა,
შიგ დავასახლებთ ელსაო¹.

მაგრამ საფრთხე მხოლოდ კახეთის ბარში მცხოვრებთ როდი უდგას. კახეთის მთიანეთის მოსახლეობა სულითა და ხორციტ ბართან იყო დაკავშირებული. კახეთის ბარი მთიანეთის მარჩენალი იყო: ბარის პურიტა და ღვინით ირჩენდა თავს მწირი მთის მოსახლეობა; ბარის საზამთრო საძოვრებზე იყო დამოკიდებული მთიანეთის მეცხვარეობა; კახეთის ბარი იყო ის ადგილი, სადაც მთის ქარბი მოსახლეობა სულ მუდამ ესახლებოდა.

აჯანყება. კახეთში მრისხანე აჯანყება მომწიფდა, საყოველთაო საფრთხემ საყოველთაო აჯანყება შობა. მიწა-მამულის დასაცავად, სიცოცხლისა და თავისუფლების დასაცავად მთელი ქვეყანა წამოიშალა. კახი, თუში, ფშავ-ხევსური, მთიულ-მოხევე ზეგავდ მოასკდა და საშინელი დაკვრით ერთბაშად გასწმინდა ჩამოსახლებული უცხოელებისაგან სამშობლო მიწა-წყალი. ბახტრიანს, ალავერდს თუ სხვაგან შიგნით კახეთში არც ერთი თურქმანი არ გაუშვიათ. სელიმ-ხანი თავქუდმოგლეჯილი გადაიხვეწა (1659 წ.).

ეს აჯანყება ორ მთავარ მიზანს ისახავდა: კახეთის გაწმენდას ჩამოსახლებული უცხოელებისაგან და ქვეყნის განთავისუფლებას სპარსელთა ბატონობისაგან. პირველი მიზანი უახლოესი იყო. აქ აჯანყების ყველა მონაწილე, თავადი თუ გლეხი, მთიელი თუ ბარელი, თანაბრად დაინტერესებული იყო და შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობა სრულ გამარჯვებამდე ყველასათვის უდავო იყო. მეორე მიზანი უფრო შორეული იყო და აჯანყებულთა ფეოდალურ ნაწილში მის შესახებ ერთსულოვნობაც არ აწისებოდა.

ხალხის ამ საშინელმა რისხვამ ძლიერად იმოქმედა მტერზე. მტერმა დაინახა, რომ შაჰაბასისეული გეგმის განხორციელება მას არ შეუძლია. ამიტომაც კახეთის თურქმანებით დასახლების გეგმა დროებით უარყვეს. მარცხის გამოსასწორებლად შაჰმა სელიმ-ხანის ნაცვლად სხვა მოხელე, მ უ რ თ უ ზ - ა ლ - ი - ხ ა ნ , გამოგზავნა ლაშქრით.

¹ ე ლ ი — მეჯოგე-მომთაბრე ხალხი.

რაკი შაჰმა კახეთში თურქმანების ჩამოსახლების გეგმა უარყო, ამით აჯანყების ერთი მთავარი მიზანი მიღწეული იყო. ამის შემდეგ მურთუზ-ალი-ხანმა აჯანყებულთა ფეოდალური ნაწილის გათიშვა და დაქსაქსვა ადვილად მოახერხა. აოხრების მუქართა თუ დაყვავება-მოსყიდვით ხანმა თავის მხარეზე გადაიბირა აჯანყების ნაკლებ აქტიური მონაწილენი; ისინი გადაუდგნენ თანამებრძოლებს და შაჰს დაუმორჩილდნენ.

აჯანყების მთავარი მომწყობი ზაალ არაგვის ერისთავი თავისი მომხრეებით დამორჩილებას არ ფიქრობდა. მაგრამ ზაალისა და მისი მომხრეების საქმე ცუდად წავიდა. 1658 წელს ქართლში როსტომი გარდაიცვალა და მისი ადგილი ვახტანგ მთხრან-ბატონმა დაიკავა. ზაალი და ვახტანგი ერთმანეთს მტრობდნენ, და ერისთავი მთხრან-ბატონის მეფობას არ სცნობდა. 1661 წელს შაჰ-ნავაზმა (ეს იყო ვახტანგის თათრული სახელი) ზაალი დალუბა — არაგვის ერისთავი მისმავე ძმისწულენმა მოჰკლეს. ერთს მათგანს, ოთარს, შაჰ-ნავაზმა არაგვის ერისთავობა უწყალობა. ზაალის სიკვდილის შემდეგ მისი თანამებრძოლები გატყდნენ. შალვა ქსნის ერისთავი, მისი ძმა ელიზბარი და ბიძინა ჩოლოყაშვილი ეახლნენ ირანის შაჰს და დანაშაულის შენდობა ითხოვეს. შაჰმა ისინი თურქმანთა იმ ურდოებს გადასცა, რომელთა მეტომეები აჯანყებულმა კახელებმა გაჟლიტეს 1659 წელს. თურქმანებმა აჯანყების ეს სამივე მეთაური აწამეს.

§ 132. თეიმურაზის პოლიტიკის საბოლოო დამარცხება

თეიმურაზი ემორჩილება ირანს. 1648 წლის შემდეგ თეიმურაზი იმერეთს იმყოფებოდა და დიდხანს ირანის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა. ის კვლავ საქართველოს მეფე-მთავრების შეკავშირებასა და მოსკოვის მეფისაგან დახმარების მიღებას ცდილობდა.

მაგრამ მოხუც მებრძოლს მარცხი თან სდევდა. მან დადიანი და იმერეთის მეფე ერთმანეთს ვერ შეარიგა და ვერც მოსკოვის მეფისაგან საკმაო დახმარება მიიღო. ბოლოს, 1660 წელს, თეიმურაზის ერთგული მოკავშირეც, იმერეთის მეფე ალექსანდრე, გარდაიცვალა და იმერეთში დიდი არეულობა დაიწყო.

ამასობაში თეიმურაზს საკუთარი ოჯახის წევრებიც სულ შემოსცლოდა — მრავალრიცხოვანი სახლობიდან მას ამ დროს ერთადერთი შვილი-შვილი ჰყავდა ცოცხალი, ერეკლე, და ისიც შორეულ რუსეთში იმყოფებოდა. ყოველი მხრით იმედგადაწურული უმიწაწყლო მეფე დამორჩილდა ყაენს — თეიმურაზი შაჰს ეახლა. ეს ირანის დიდი გამარჯვება იყო. მტერს დამორჩილდა სპარსელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ორმოცდაათწლოვანი გმირული ბრძოლის მესაჭე. საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისითაც რუსეთის თავდადებული მომხრის შაჰისადმი დამორჩილება ირანის დიდი წარმატება იყო.

თეიმურაზის სიკვდილი პატიმრობაში. თეიმურაზი ირანში დი პატივით მიიღეს. შაჰი არწმუნებდა მეფეს, რომ კახეთის ბატონობას მის შვილიშვილს ერეკლეს მისცემდა, რომელიც 1652 წლიდან მოსკოვის მეფის კარზე იმყოფებოდა, თუ ის ირანის ბატონობას აღიარებდა და შაჰს ეახლებოდა. ამ დროს ერეკლე მოსკოვიდან თუშეთს მოსულიყო და კახეთის დაპყრობას ცდილობდა.

თეიმურაზმა სანდო კაცები გაუგზავნა თუშეთში ბატონიშვილს, მაგრამ ერეკლე შაჰს არ მიუვლიდა. შაჰი თეიმურაზს გაურიხნა, ბატონიშვილის მოუსვლელობა მას დააბრალა. შაჰის ბრძანებით მეფე ასტრახანის ციხეში დაამწყვდიეს. სამოცდათხუთმეტი წლის მოხუცმა ანალი ტანჯვა ველარ აიტანა და მალე იქვე საპატიმროში გარდაიცვალა (1663 წ.). შაჰმა ნება დართო შეესრულებინათ პატიმრის უკანასკნელი სურვილი: კახელებმა მისი ცხედარი საყვარელ სამშობლოში მოასვენეს და მამა-პაპათა სასაფლაო ალავერდს დიდი ამბით დაკრძალეს.

§ 133. დასავლეთი საქართველო მე-17 საუკუნეში

მე-17 საუკუნეში, განსაკუთრებით ამ საუკუნის მეორე ნახევარში, დასავლეთი საქართველო თანდათან დაცემის გზით მიდიოდა.

ქვეყნის სახელმწიფოებრივი დაშლა აღნიშნულ საუკუნეში კიდევ უფრო გაღრმავდა. გამტკიცდა სამთავროების განცალკევება და განკერძოება. სამთავროთა შორის განსაკუთრებით გაძლიერდა ოდიში, რომლის მთავარი ლევან მეორე, დადიანი (1611 — 1657), ხელმწიფობას იჩენებდა და თავისი ხელმწიფობის ქვეშ დასავლეთ-საქართველოს გაერთიანებასაც ლაშობდა. სამეფო-სამთავროებს შორის უკვე გამუდმებული ომები იყო. ეს ფეოდალური ომები გამარჯვებულს იმდენად არ აძლიერებდა, რამდენადაც დამარცხებულს ანადგურებდა. საბოლოოდ-კი, ქვეყნის მეურნეობა სწრაფად ეცემოდა და პოლიტიკურად ყველა სუსტდებოდა.

ფეოდალურად დაშლილ-დასუსტებულ სამეფო-სამთავროებს მტერი სულ უფრო და უფრო ეუფლებოდა. მე-17 საუკუნის დასაწყისიდანვე აფხაზთა მთავარმა, გურიელმა და დადიანმა, ხოლო უფრო გვიან იმერეთის მეფემაც, იკისრეს ოსმალთა ყოველწლიური ხარკი. ოსმალთა ხარკი ცალკეულ სამეფო-სამთავროებში სხვადასხვა იყო. მაგრამ ყველასათვის საერთო ის იყო, რომ უცხოელთაგან დამოკიდებულების უღელი სულ უფრო და უფრო მძიმე ხდებოდა. ოსმალთა გაბატონებას თვით ფეოდალები უწყობდნენ ხელს. მე-17 საუკუნის სიგარძეე ოსმალთა ჯარი არაერთხელ შემოსულა დასავლეთ საქართველოში მთავრების ან სხვა თავადების ხელის შეწყობით. მეზობლის მიერ მიმძლავრებული მთავრის ან თავადის მოწვევით თურქები გადმოდრიოდნენ დასავლეთ საქართველოში და საშინელი აოხრება-დარბევით „წესრიგს ადგენდნენ“ ხოლმე.



De Mengrello Principe.

სამეგრელოს მთავარი ლევან.

იმდროინდელი იტალიელი მხატვრის ნახატი (კასტელის ალბომიდან).



იმერეთი მეფისა და სამეგრელოს მთავრის შეხვედრა.

XVII ს. იტალიელი მხატვრის ნახატი (კასტელის ალბომიდან).

მე-17 საუკუნის 60-იანი წლებიდან მთელი დასავლეთი საქართველო საშინელმა აშლილობამ მოიცვა. მეფისა თუ მთავრების ხელისუფლება კიდევ უფრო დაეცა და ქვეყანა თავადების საპარპაშოდ იქცა. დადიანი, გურიელი, ქართლის ბატონიშვილი თუ იმერეთის ბატონიშვილი თავადების სურვილით წარამარა სცვლიდნენ ერთიმეორეს სამეფო ტახტზე.



ფეოდალ მალაქეთა ოჯახი, წინარების ფრესკა, XVII ს.

ვატარინის გამოცემით

თავადებმა მიიტაცეს და გაისაკუთრეს სამეფო ყმა-მამული. ერისთავ-მოურავეებმა ხელმწიფობა დაიწემეს. მთავრები აუქმებდნენ საეპისკოპოსოებს, საწინამძღვროებს და იტაცებდნენ საეკლესიო მამულებს, საერო ფეოდალებმა მიითვისეს საკათალიკოსო სოფლები.

ბოლომოუღებელი ურთიერთ თავდასხმები სავსებით აჩანაგებდა მშრომელ მოსახლეობას. მძევნვარებდა გამანადგურებელი ტყვის სყიდვა. ტყვის მსყიდველთა ბრბოებმა მოიცვეს არა მარტო განაპირა ადგილები, არამედ შიგნითა რაიონებიც. ტყვის გამყიდველები ჩვეულებრივად თავადები იყვნენ, მაგრამ ამ ველურ საქმეში თანდათან საზოგადოების სხვა წრის ხალხიც გაერია. მე-17 საუკუნეში საერთოდ და განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში ტყვის სყიდვამ დასავლეთ საქართველოში მეტად საშიშარი ხასიათი მიიღო.

ქვეყანაში გაუქითხაობა მეფობდა. გლეხი სავსებით ბატონის ანაბარა გახდა და საბატონყმო ურთიერთობა ყოვლად აუტანელი შეიქნა. გამხეცებული ბატონისაგან გლეხი თავს იცავდა, რითაც და როგორც შეეძლო. მაგრამ ჩამორჩენილ ფეოდალურ ქვეყანაში გლეხობა დაურაზმავი და გაუერთიანებელი იყო, მისი საერთო გამოსვლა არ ხერხდებოდა. დაქსაქსულად იბრძოდნენ ცალკეული გლეხები, ან ცალკეული მებატონის ყმები, ერთი კატეგორიის გლეხები ან კიდევ ცალკე სოფლები. აუტანელ პირობებში მოქცეულ გლეხობას მეურნეობის ხალისი აღარა ჰქონდა და ქვეყანა უფრო და უფრო ღარიბდებოდა. სიღატაკეს ზშირი შიმშილობა თანსდევდა. შიმშილობას ღირი მოჰყვებოდა ზოლმე, და ყველაფერი ეს ერთად ქვეყანას ავერანებდა.



ვამიყ ლიბარტიანი.

XVII ს. იტალიელი მხატვრის ნახატი (კასტელის აღბრუნება).

ბუნებრივია, გლეხობა, ვისაც კი ამის შეძლება ჰქონდა, გარბოდა თავისი საცხოვრებელი ადგილებიდან. გაქცეულები ესახლებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ამ დროს, შედარებით, წესიერება სუფევდა.

მე-17 საუკუნეში, ამ მიზეზით, მოსახლეობის რიცხვი დასავლეთ საქართველოში ერთიორად შემცირდა. თანდათან ძლიერდებოდა უცხოელ დამპყრობელთა გავლენაც იმერეთის სამეფოში. მე-17 საუკუნის 60-იან წლებში იმერელმა თავადებმა ოსმალთა ჯარი ქუთაისის ციხეში შეიყვანეს. ამით გარეშე მტერმა ქვეყნის შუაგულში ფეხი მკვიდრად მოიკიდა.

ბრძოლა ქართლ-კახეთის განთავისუფლებისათვის

§ 134. ქართლი მე-17 საუკუნის დამლევს


მე-17 საუკუნის უკანასკნელ მესამედში და მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველო დაუცხრომელ ბრძოლას განაგრძობდა უცხოელების ბატონობისაგან განსათავისუფლებლად. ბრძოლის წამყვანი ისევ ქართლი იყო. სპარსელთა ბატონობის მიუხედავად ქართლი ამ ხანაში როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად წინ მიდიოდა. მისი გავლენა სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებზე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

საზოგადოებრივი აზროვნება. დიდი მარცხის შედეგად ქართველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილი გამოვლილ ომებს იგონებდა და გადასული თაობის მე-ბრძოლთა საქმიანობას აფასებდა. საქართველოს ძალთა გაუერთიანებლობა, თავადების თვითნებობა, ერთმანეთის გაუტანლობა, გლეხკაცების აულაგმავი ჩაგვრა მემამულეების მიერ, — აი, რა მიაჩნდათ მათ საქართველოს ამ დიდი მარცხის მიზეზად.

ამისდაკეალად სახადენე შემდგომი ბრძოლის საშუალებებს. თანდათან შემუშავდა მტრის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის საშუალებანიც. ამ მიზანს ემსახურებოდა იმ დროის ქართული პოეზია, მეცნიერება, პროზაგანდა. თანდათან შეიქმნა იდეურ-პოლიტიკურ მოღვაწეთა ძლიერი დასი: პოეტები, მეცნიერები, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწენი. შაჰ-ნავაზის შვილები: არჩილ მეფე, გიორგი მეფე და ამათი ძმისწული ვახტანგი ამ ბრძოლის ხელმძღვანელები იყვნენ. თავადების უფლებების შეზღუდვა, სამართლის მოწესრიგება, ქვეყნის ეკონომიური წინსვლისათვის ხელის შეწყობა იყო მათი საშინაო სამოქმედო პროგრამა. მეორე მხრით, მათი მიზანი იყო ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გადაქცევა და და-

საველეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან კავშირი. საქართველოს პატრიოტებს ირანიცა და ოსმალეთიც ორივე თანაბრად შეურთიგებელ მტრებად მიაჩნდათ, — ერთი „ფოცხვერია“, მეორე „ბაბრი“-ო¹, — და ეძებდნენ მათ წინააღმდეგ საგარეო მოკავშირეებსაც.

¹ „ბაბრი“ გარეული მხეცია, ჯიქი.



ხაღიში ქართლის მეფის სასახლეში (1672 წ.)

ინფორმაციული ფონტი მხატვრის ნახტი (შარდენი).

მოკავშირედ, ბუნებრივია, ქრისტიანული ქვეყნები იგულისხმებოდა, მაგრამ ისეთი, რომელსაც რეალური დახმარება აღმოეჩინა, იმეამად არავინ იყო.

მე-17—მე-18 საუკუნეთა მიჯნაზე ქართველი მამულიშვილების ეს დასი თანდათან იზრდებოდა. ასეთი მოღვაწენი ამ დროს ქართლის გარდა მოიპოვებოდნენ კახეთშიაც და დასავლეთ საქართველოშიაც.

მუხრან-ბატონი ქართლის ტახტზე. როსტომი უშვილოდ გადავლინდა (1658 წ.). მის მემკვიდრედ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, შაჰმა თეიმურაზ მუხრან-ბატონის შვილი ვახტანგი დაამტკიცა. ვახტანგ მე-ხუთით (1658 წ. — 1675 წ.), ანუ შაჰ-ნავაზით იწყება ბაგრატიონთა მუხრან-ბატონების შტოს მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ქართლის სამეფო ტახტზე.

1676 — 1688 წლებში ქართლში გიორგი ვახტანგის ძე მეფობდა. ირანისადმი მორჩილებას გიორგი მეთერთმეტე უფრო ნაკლებად ითმენდა, ვიდრე მამა მისი, და აჯანყებისათვის საიდუმლოდ ემზადებოდა. შაჰმა შეუტყო განზრახვა და გიორგი მეფობიდან გადააყენა. ქართლის მეფე არ დაემორჩილა შაჰის ბრძანებას და აჯანყდა. მის აღგზილზე შაჰმა



Պապե Յակոբ յանձն. Եղիսի Մեծաբաններու խորհուրդը Միտքի զանգուարան Պապե յանձն (XVII դ.)
 Եղիսի յանձն խորհուրդը Միտքի զանգուարան Պապե յանձն:

Եղիսի Պապե յանձն. Եղիսի Պապե յանձն. Եղիսի Պապե յանձն:

თემურაზ პირველის შვილიშვილი ერეკლე დანიშნა. ერეკლე რუსეთიდან კარგა ხანია წამოსულიყო და თავის ბედს შაჰის კარზე ეძებდა. ქართლში ერეკლე პირველი 1688—1703 წლებში ბატონობდა. მან ქართლში ზოგი რამ წესების შეცვლა განიზრახა. ამით ერეკლემ ქართლის ძლიერი თავადები გადაიმტერა. ბოლოს აჯანყებული გიორგიც დამარჩილდა შაჰს და 1703 წელს მან ქართლის მეფობა ისევ მიიღო, მაგრამ შაჰმა გიორგი ირანში დაიტოვა, ხოლო ქართლში მეფის მოადგილედ გიორგისავე ძმისწული, ვახტანგ ლევანის ძე, დანიშნა, რომელიც „ჯანიშინის“ (მოადგილე, ნაცვალი) წოდებას ატარებდა.

ქართლიდან გაწეულ ერეკლეს ყაენმა კახეთი უწყალობა და ამავე დროს იგი თავის ყულარადასად (სასახლის გვარდიის სარდალი) დანიშნა. ერეკლე ისპაანში¹ დარჩა, კახეთის მმართველობა-კი მის შვილს დავითს (მაჰმადიანობაში — იმამყულიხან) ებოძა (1703 წ.).

მართველმზი ირანში. შაჰის კარზე და საერთოდ ირანში ქართველებს ძველდანვე დიდი პატივი ჰქონდათ მოპოვებული. შაჰის შემდეგ ოთხ უპირველეს კაცად მიჩნეულ პირთა შორის ერთი იყო საქართველოს მეფე.

ქართველი არისტოკრატიის წარმომადგენლები დიდ წარჩინებას აღწევდნენ ირანის სახელმწიფო სამსახურში. განსაკუთრებით შესაძინევი ხდება ეს მოვლენა მე-17 საუკუნიდან. წარმატებით მოღვაწეობდნენ ქართველები ირანში სამხედრო, აღმინისტრაციულსა და სამოსამართლო სარბიელზე. ქართლისა და კახეთის მეფეები, ბატონიშვილები და თავადაზნაურები ძალიან ხშირად იყვნენ ირანის ლაშქრის მთავარსარდლებად და სარდლებად, ყულარადასებად — შაჰის მცველთა ჯარის უფროსებად, ირანის ცალკე პროვინციების მმართველებად (ბეგლარბეგებად), ირანის დედაქალაქისა და სხვა ქალაქების მოურავებად, ირანის მსაჯულებად.


მაგრამ ქართველები ირანში მარტო სამხედრო და მართვა-გამგეობის დარგში კი არ იჩენდნენ თავის ნიჭს, არამედ ისინი ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ იქ კულტურულ ასპარეზზედაც. ცნობილი არიან ქართველი მწერლები, პოეტები და მხატვრები ირანში. ასე, მაგალითად, მე-17 საუკუნის ირანში სპარსულ პოეზიაში თავი გამოუჩენიათ ქართველ პოეტებს: ჭიხოსრო ხანს, ზეინალ-ბეგს, ზურაბ-ბეგს, შარმაზან-ბეგს, ალიხან-ბეგს, ფაზლი-ბეგს. ცნობილი სპარსელი ისტორიკოსი მე-17 საუკუნისა ისკანდერ მუნში სწერს: „სიიოშ-ბეგ ქართველმა დიდ წარმატებას მიაღწია; მას მეტად ნაზოფუჯი ჰქონდა, იგი დეტალების დიდი ოსტატი და შეუდარებელი მხატვარი იყო. კალმით ხატვაში და მთების გამოსახვაში მას ვერც ერთი ოსტატი ვერ შეედრებოდა. იგი უნაკლოდ ხატავდა ჯვუფს („მეფელის“)“.

¹ სპარსეთის იმდროინდელი დედაქალაქი.



ვახტანგის მოღვაწეობა ჯერ ჯანიშინობის, შემდეგ მისი მეფობის დროს მრავალფეროვანი და მეტად შინაარსიანი იყო. ქართლის საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი ცხოვრების არც ერთი მხარე არ დარჩენილა, რომელსაც ვახტანგი არ შეხებოდეს.

საქმე ერეკლე პირველის დროს „შეშლილი“, ესე იგი, შეცვლილი წესების აღდგენით უნდა დაწყებულიყო. ასეც მოხდა. უპირველეს ყოვლისა ერეკლეს მომხრენი გადააყენეს. ერეკლეს მიერ დასჯილ თავადებს „უბრალოდ წართმეული“ ყმა-მამულები უკან დაუბრუნეს.



თბილისი 1672 წელს.

იმდროინდელი ფრანგი მხატვრის ნახატი („მარტენი“).

შემდგომი ღონისძიება დარღვეული საეკლესიო სამართლის აღდგენა იყო. ვახტანგის თაოსნობით მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელმაც გადააყენა ერეკლეს მიერ დასმული კათალიკოსი და მცხეთის კათალიკოსად ვახტანგის ძმა დო მ ე ნ ტ ი აირჩია. დომენტის სახით ვახტანგმა ქართლის ეკლესიაში ერთგული მომხრე გაიჩინა. ამას მალე ეკლესიის შემამუღებობის აღდგენა მოჰყვა. თავადებს საეკლესიო ყმა-მამული ბლომად ჰქონდათ მიტაცებული. 1707 წელს დომენტი კათალიკოსმა შაჰის ბრძანებით თავადებს მინატაცები უკან დააბრუნებინა.

მხარელობა. 1707 წელს შაჰმა ნება დართო ვახტანგსა და ქართლის თავადებს უკან მოეყვანათ ერეკლეს დროს ქართლიდან კახეთს გაზიზნული ყმები. არც კახეთის მმართველსა და არც კახ ფეოდალებს გაქცეულ გლეხთა დაბრუნება არ სურდათ. კიდევ უფრო ნაკლებ ეხალისებოდათ თვით გლეხებს თავის ძველ მებატონეებთან დაბრუნება. საჭირო გახდა შაჰის მხრით საგანგებო ღონისძიება, რომ კახი თავადები ქართლელ ხიზნებს შე-

ლეოდნენ. შეიქმნა „მყრელობა“, როგორც მაშინ ამბობდნენ. ვახტანგის მოხელეები და ქართლის ფეოდალები მოედვნენ კახეთს თავისი გლეხების ასაყრელად. მიუხედავად ამისა, ყველა გლეხის დაბრუნება შეუძლებელი შეიქმნა. ხიზნები სარგებლობდნენ იმით, რომ თითოეული მემატონე ცალკე დაეძებდა თავის გლეხებს და თავს იცავდნენ: სუსტ მემატონეებს არ ნებდებოდნენ და იარაღით ხელში უმკლავდებოდნენ, ძლიერებს გაურბოდნენ, ემალებოდნენ. გაქცეულებს კახელი გლეხები და მთიელები იფარებდნენ.

კანონმდებლობა. ამავე ხანებში ვახტანგის კარზე საკანონმდებლო მუშაობა იყო გაჩაღებული.

ვიდრე საკუთარ სამართლის წიგნს გააჩენდა, ვახტანგმა შეაგროვა ძველი ქართული თუ უცხოური (ებრაული, ბერძნული, სომხური) სამართლის წიგნები და ერთ კრებულად შეჰკრა ისინი. ამ კრებულს შემდეგ მან საკუთარი „სჯულიც“ დაურთო.

სამართლის წიგნი ვახტანგმა დარბაისელთა (ესე იგი საერო და საეკლესიო მაღალი ფეოდალების) უშუალო მონაწილეობით შეადგინა. რა თქმა უნდა, ეს კანონმდებლობა უპირველეს ყოვლისა ქვეყნის ამ საზოგადოებრივი კლასის ინტერესებს ემსახურებოდა.

კანონთა წიგნი ვახტანგმა ქართლისათვის შეადგინა, მაგრამ ის ბუნებრივად გავრცელდა და მალე მთელს ფეოდალურ საქართველოში მოქმედ სამართლის წიგნად იქცა.

ვახტანგის მოღვაწეობის ამავე ხანას ეკუთვნის მისი მეორე საკანონმდებლო ძეგლი — დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი. დასტურლამალი სახელმწიფოს ძირითადი კანონის მაგიერი რამ იყო საშუალო საუკუნეებში.

ამრიგად, ამიერიდან სახელმწიფო და კერძო წერილობითი სამართალი კვლავ მტკიცედ მოწესრიგდა საქართველოში.

ვახტანგის სამეურნეო მოღვაწეობა. ქართლი ვახტანგის დროს ეკონომიურად კიდევ უფრო დაწინაურდა. თვით ვახტანგი ამ მხრით ენერგიულად მუშაობდა. მან ხელახლად დაასახლა გლეხები დიდი ხნის წინ დაცლილ სოფლებსა და მთელ მხარეებში, ააგო სასახლეები, ქარვასლები. ვახტანგი ზრუნავდა გზებისა და ხიდების მოვლა-შენახვაზე, სახელმწიფო შემოსავლის მოწესრიგებაზე, ფულის მოჭრის საქმის გაუმჯობესებაზე. ვახტანგმა განაახლა დიდი ხნის წინ მოშლილი სარწყავი არხები.

ძველი არხების ეს განახლება დიდმნიშვნელოვანი საქმე იყო. გამოვლილ ჟამთასიავეში შეფერხებული სამეურნეო ცხოვრება კვლავ თავის კალაპოტს უბრუნდებოდა. მეჯოგეობა კვლავ ადგილს უთმობდა უფრო მაღალსა და შემოსავლიან მეურნეობას. ველსა და ტყეს — ბაღ-ვენახი, ზოლო მომთაბარე ურდოს კვლავ სოფელი და ქალაქი სცვლიდა.

სარწყავად ქცეულს მდიდარ ქალებში ბლომად მოჰყავდათ ბამბა, აშენებდნენ თუთისხეს. მეაბრეშუმეობასა და ბამბის კულტურაზე ნაკლები ყურადღება არ ექცეოდა მეურნეობის სხვა დარგებსაც: მევენახეობას, მემინდვრეობას (ხორბლეულის კულტურას), მესაქონლეობას.

მე-17 საუკუნის დამლევსა და მე-18 საუკუნის დამდეგს ასეთი ცხოველი სამეურნეო საქმიანობა მხოლოდ მეფის სახლს როდი ახასიათებდა. ეს სამეურნეო აღმავლობა მთელ ქართლს დაეცყო.


თბილისი მე-18 საუკუნის პირველ ოცეულში. ქართლის სამეურნეო ცხოვრების გაცხოველების შესაბამისად თბილისი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი გახდა. ამ დროს ქალაქში ოცი ათასზე მეტი მცხოვრები ითვლებოდა. ვაჭარ-ხელოსნები მრავალ „რიგად“ იყოფოდნენ. თითოეული „რიგი“ ერთ რაიმე საქმიანობას ეწეოდა. აქ აკეთებდნენ სამხედრო იარაღს, თოფის წამალს, ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს, მუსიკალურ საკრავებს, ჭურჭლეულს; ამზადებდნენ ბამბის ქსოვილებს, სამოსელს, ცხენ-აქლემის მოკაზმულობას. ვაჭრობდნენ პურს, ბამბას, აბრეშუმს, ბეწვეულს, ფარჩა-მაუდს, ღვინოს, მატყლს, ყოველგვარ წვრილმანს და სანოვაგეს. კახური და ქართლური ღვინო თბილისიდან უცხოეთში ბლომად გაჰქონდათ. ირანსა და ოსმალეთს მიდიოდა თბილისიდან აგრეთვე ბეწვეული. ქართლ-კახეთიდან ოსმალეთისაკენ გაჰქონდათ აბრეშუმი და ენდრო დიდი რაოდენობით. ენდრო ქართლიდან ამ დროს ინდოეთშიაც მიჰქონდათ.

შემოჰქონდათ თბილისში უმთავრესად მზა საქონელი ირანიდან, ოსმალეთიდან. ამ ქვეყნებზე გამოვლით შემოდის ევროპული საქონელიც, რომელსაც მაშინ ფრანგული ეწოდებოდა. თბილისში ამ დროს გარედან სანოვაგეც შემოდის: თევზი და ხიზილა — შარვანის სახანოდან, თევზი და მარილი — ერევნის სახანოდან, ზეითუნის ზეთი — ოსმალეთიდან და სხვა.

ერთი სიტყვით, როგორც მოსახლეობის რაოდენობის მხრით, აგრეთვე სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის მხრით ქართლი მე-18 საუკუნის პირველ ოცეულში საქართველოს ყველა სხვა ნაწილს დიდად წინ უსწრებდა.

ამ სამეურნეო წინსვლის შესაბამისი იყო ცხოველი საქმიანობა კულტურის დარგში. ვახტანგი ამ საქმეში მარტო არ იყო, მას მხარს უჭერდა კულტურულ მოღვაწეთა მთელი დასი.

კულტურული ვითარება ვახტანგის დროს. კულტურის დარგში ვახტანგის მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სტამბის დაარსება. 1709 წელს თბილისში პირველად მოეწყო სტამბა. ეს მეტად დიდი კულტურული საქმე იყო. მანამდე წიგნი მხოლოდ ხელნაწერად ვრცელდებოდა. ასე დამზადებული წიგნი ცოტა იყო და ძვირიც ღირდა. სტამბა წიგნს ადვილად ამრავლებდა და ფართო საზოგადოებას უზრუნველყოფდა წიგნით.



„ვეფხისტყაოსნის“ თავფურცელი, ვახტანგ მეექვსის 1712 წლის გამოცემით.

დოეზისათვის ხელმისაწვდომს ხდიდა. ვახტანგის სტამბაში საეკლესიო წიგნების გვერდით მალე საერო ხასიათის წიგნების ბეჭდვაც დაიწყეს. ბეჭდავდნენ „ვეფხისტყაოსანს“, სასწავლო სახელმძღვანელოებს, სამეცნიერო თხზულებებს.

ვახტანგმა დიდი ამაგი დასდო საქართველოს ისტორიის დამუშავებასაც. ამ მიზნით ვახტანგმა შეადგინა „სწავლულ კაცთა“ კომისია ბერი ევნატაშვილის ხელმძღვანელობით. კომისიამ თავისი დროისათვის ღირსეულად შეასრულა ეს რთული საქმე, — შეადგინა საქართველოს ისტორია მე-14 საუკუნიდან მე-18 საუკუნემდე.

ვახტანგის სკოლაში მიიღო აღზრდა და ამავე ხანაში დაიწყო მოღვაწეობა ქართული საისტორიო მწერლობის დიდმა წარმომადგენელმა, ვახუშტი ბატონიშვილმა, რომელიც ვახტანგის შვილი იყო.

ქართველ მეცნიერთა ამ დასს ეკუთვნოდა და მის ნამდვილ სიამაყეს წარმოადგენდა ვახტანგის აღმზრდელი სულხან საბა ბეილი — დიდი მეცნიერი ლექსიკოგრაფი, სახელგანთქმული იგავების მწერალი, მეცნიერი რედაქტორი, პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე; საბა-სულხანის მიერ შედგენილი ქართული ენის ლექსიკონი დღესაც ჩვენთვის ამოუწყველი საუნჯეა.

თვითონ ვახტანგიც მთელი ამ სამეცნიერო-სალიტერატურო მუშაობის მართა პრაქტიკული და იდეური ორგანიზატორი კი არ იყო, არამედ გვერდში ედგა ამ მოღვაწეებს, როგორც ლიტერატორ-რედაქტორი, ისტორიკოსი, პოეტი და მთარგმნელი. ვახტანგის წრის ღირსეული თანამშრომლები იყვნენ აგრეთვე მთელი გუნდი სხვა მეცნიერ-მწიგნობრები და პოეტები.

ვახტანგის ხანის უმცროს თაობას ეკუთვნის დავით გურამიშვილი (დაიბადა 1705 წელს), ფეოდალური საქართველოს ერთი უდიდესი პოეტთაგანი.

დავით ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, როცა ქართლ-კახეთს მძიმე დღეები გაუთენა აზლო-აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე სამი დიდი მეტოქის — რუსეთის, ირანის და ოსმალეთის ურთიერთშორის დატაკებამ. დავითი მოწმე იყო სამშობლო ქვეყნის ოსმალთა მიერ აოხრებისა. თავისი ქვეყნის ეს უბედობა მან პირადადაც მწარედ იგემა. პოეტი ლექმა ავაზაკებმა დაატყვევეს და დაღისტანს წაიყვანეს. დავითი ტყვეობიდან გაიქცა და რუსეთს გავიდა, სადაც ის სამშობლოდან გადახვეწილ ქართველებს შეუერთდა და მათი ბედი გაიზიარა. უცხოებაში დარჩენილმა პოეტმა, მხურვალე პატრიოტმა დავით გურამიშვილმა მუქი ფერებით დახატა მისი დროის საქართველოს თავს დატეხილი პოლიტიკური უბედურება და სწორად და პირუთვნელად აღნიშნა ამ უბედურების უმთავრესი მიზეზები.

განსაკუთრებით მოსახსენებელია არჩილის მოღვაწეობა, რომელიც წინ უსწრებდა „ვახტანგის სკოლას“.

არჩილის პოეზია იდეურობის ნიმუშია. დამპყრობელთა წინააღმდეგ შეუდრეკელი მებრძოლი არჩილი ირან-ოსმალეთის წამლეკავ გავლენას სულიერ სფეროშიაც ებრძოდა. ეს პოეზია სამშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავდადებული ბრძოლისაკენ მოწოდებაა. არჩილი აკ-



საბა სულხან ორბელიანი.



დავით გურამიშვილი.

ვირდება საქართველოს მარცხის მიზეზს და სამართლიანად ხედავს მას ქვეყნის საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ ვითარებაში. არჩილი პირველი მწერალია საქართველოში, რომელმაც საზოგადოებრივი საკითხები წამოაყენა ქართულ პოეზიაში. „ზოგთ ვაქებ და ზოგთ ვაძაგებ“-ო, აცხადებს პოეტი და მართლაც დაურიდებლად ამხელს ალ-ვირახსნილ თავადებს, უგუნურ მეფეებს. არჩილმა პირველმა სთქვა: „თუ ამოსწყდეს გლეხი-კაცი, საქართველო დაძაბუნდა“. არჩილი კარგად ხედავდა, რომ გლეხთა ამოწყვეტის მიზეზი ფეოდალების ძალადობა იყო. არჩილი ფეოდალებს ლმობიერება-წესიერებისაკენ ენერ-

გეულად მოუწოდებდა. ასეთ განწყობილებამდე არჩილი გლეხთა ინტერესს არ მიუყვანია. არჩილი ფეოდალი (მეფე) პოეტი იყო. გლეხთა გამო-სარჩლებამდე იგი ფეოდალური საქართველოს დაცვის ინტერესში მიიყვანა. ამიტომაცაა რომ ის გლეხებს ბრძოლისაკენ კი არ მოუწოდებს, არამედ ფეოდალების მიმართ გამოთქმული საყვედურითა და რჩევით კმაყოფილდება. იმ დროის ქართულ მწერლობაში ესეც დიდი ამბავი იყო.

ამ ხანის უცხოეთში მოქმედ ქართველთაგან საგანგებო ყურადღების ღირსია რუმინეთის შესანიშნავი მოღვაწე ანთიმოზი. უგრო-ვალახეთის მიტროპოლიტმა 1708

წლიდან, ანთიმოზმა სახელი გაითქვა როგორც საეკლესიო მოღვაწემ, ორატორმა, მხატვარმა, მოქანდაკემ, მშენებელმა, როგორც თავისი მეორე საშობლოს მსურველ პატრი-ოტმა. ამ ახალ საშობლოს ანთი-მოზმა თავისი სიცოცხლეც-კი შეს-წირა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ანთიმოზის სასტამბო საქმიანობა როგორც თვით რუმინეთში, სადაც იგი წიგნებს ბეჭდავდა რუმინულს, სლავიანურსა და ბერძნულ ენებზე, ასე მის საზღვარგარეთაც. ანთი-მოზმა მოაწყო წიგნების ბეჭდვა არაბულ ენაზე შორეული სირიისათ-ვის, იგივე იყო ვახტანგ მეექვსის აქ-ტიური ხელისშემწყობი პირველი ქართული სტამბის ორგანიზაციის საქმეში 1709 წელს.



არჩილი.

მცველთა ჯარი. თავის სახელმწიფო მოღვაწეობაში ვახტანგი მიზნად ისახავდა მეფის ხელისუფლების გაძლიერებას. ამ ნიადაგზე მალე დაიბადა უკმაყოფილება. თავადები ვერ ითმენდნენ იმ მცირე შეზღუდვასაც კი, რომელსაც მათ ახალი წესები უქმნიდა, და მტრული უნდობლობით უყურებდნენ ჯანიშინის სპამისო ღონისძიებებს. დიდ თავადებს განსაკუთრებით აფიქრებდა, რომ ვახტანგმა „მცველთა ჯარი“ გაიჩინა. მცველთა ჯარი ჯამაგირზე იყო და ჯანიშინის ერთგული თავადიშვილებისა, აზნაურიშვილებისა და მსახურებისაგან შესდგებოდა. ეს ჯარი მეთოფეთა სამ გუნდად იყოფოდა. თითო გუნდს უზბაში (ასისტავი) სარდლობდა, ყველას ერთად — მეფის ყულარა-სი. მცველთა ჯარს მხოლოდ საშინაო დანიშნულება ჰქონდა და განუყ-რელად ახლდა ვახტანგს.

ვახტანგის უკმაყოფილო მხოლოდ ზოგიერთი თავადი როდი იყო, ის არც ქართლის ყიზილბაშ მეციხოვნეებს მოსწონდათ. ვახტანგმა სასტიკად აკრძალა ქართლში ტყვის სყიდვა, რომელიც ერეკლე პირველის დროიდან ყიზილბაშ მეციხოვნეების შემოსავლის მთავარ წყაროდ ქცეულიყო.

ქართლი და დასავლეთი საქართველო. ვახტანგი ირანში

მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლში კვლავ გაცოცხლდა ძველი მიდრეკილება დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა საქმეებში ჩარევისა და მუდმივი ზეგავლენისადმი. ქართლის სამეფო კარი დაჟინებით ცდილობდა საქართველოს ფეოდალურ ძალთა შეკავშირებას, საქართველოს სამეფო-სამთავროების მეთაურობას.



ბაქარ მეფის ფული.
1718 წ.

საქ. მუზ. ნუსხიზმატიკა.
კაბინეტი.

ამ დროს ირანის აღმოსავლეთ ნაწილში ავღანთა დიდი აჯანყება იყო. აჯანყების ჩასაქრობად შაჰმ გიორგი ქართლის მეფე გაგზავნა ქართველთა და ყიზილბაშთა ჯარით. 1709 წელს მეფე გიორგი მეთერთმეტე ამ ომში დაიღუპა. შაჰმა ქართლის მეფედ და ირანის მთავარსარდლად ვახტანგის ძმა ქაიხოსრო დანიშნა, ვახტანგი-კი ისევ ქართლის ჯანიშინად


რჩებოდა. 1711 წელს ქაიხოსროც იმავე ავღანებთან ომში დაიღუპა.

ვახტანგი ირანს გაემგზავრა, მას შაჰისაგან უნდა ქართლის მეფობა მიეღო. ამოქმედდნენ ვახტანგის მტრებიც: ზოგიერთი თავადი ქსნისა და არაგვის ერისთავების მეთაურობით, ტყვით მოვაჭრე გადაგვარებული ფეოდალები, ყველა მტაცებელი და ყიზილბაშ მეციხოვნეები. შაჰმა ვახტანგს გამაჰმადიანება მოსთხოვა, მაგრამ ვახტანგი უარზე დადგა. მაშინ შაჰმა ქართლის მეფედ მაჰმადიანი იესე, ვახტანგის ძმა დანიშნა, ხოლო ვახტანგი ირანს დარჩა ნახევრად პატიმარი (1714 წ.).

ქართლის ფეოდალების მოწინავე ნაწილი ვახტანგს ეხმარებოდა და მის დახსნას ცდილობდა. ჯერ კიდევ 1713 წელს ამ მიზნით ევროპაში გაემგზავრა მეცნიერი ბერი საბა სულხან ორბელიანი.

საბა ორბელიანი ეწვია რომის პაპს, შემდეგ საფრანგეთის მეფეს ლუი მეოთხემეტეს და 20 ათასი თუმანი სთხოვა მას. ამ ფულით, იმედი ჰქონდათ, ყაენის კარს მოქრთამავდნენ და ვახტანგს ქრისტიანობით ქართლის მეფობას აშოვნიებდნენ. ქართველი დიპლომატი ევროპაში დიდი პატივით მიიღეს, მაგრამ ხელცარიელი გამოისტუმრეს. ამ გარემოებამ მწარედ გაუცრუა ქართველ პოლიტიკოსებს დასავლეთ ევროპის იმედები.

ესლა ვახტანგის მომხრეებმა ისევ ნაცად გზას მიმართეს და დაჟინებით ურჩევდნენ ვახტანგს მაჰმადიანობის მიღებას. ამასობაში იესე სასტიკად ავიწროებდა ქართლში ვახტანგის მომხრეებს.



თბილისი 1700-იან წლებში.

იმდროინდელი დრანგი მხატვრის ნახატი (ტურნეფორით).

1716 წელს ვახტანგმა დასთმო, მიიღო მაჰმადიანობა და შაჰმაც მის-
ცა მას ქართლი. მაინც 1719 წლამდე ვახტანგი ირანს ღირსა ყაენის
სამსახურში, ქართლს-კი მისი ძე ბაქარი მართავდა. 1719 წელს ვახ-
ტანგი დაბრუნდა სამშობლოში და უნებურად შეწყვეტილი სასარგებ-
ლო სახელმწიფო მოღვაწეობა განაახლა.

1 ქვ 2 ლ.

§ 136. კახეთი მე-17 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში

მე-17 საუკუნის მესამე მეოთხედში კახეთი შესამჩნევად მოშენდა.
საგარეო მშვიდობა იყო. მმართველებმა (როსტომი, არჩილი) შესძლეს
ლექთა თარეშების აღაგმვა და ქვეყნის შიგნითაც შედარებით წესიე-
რების დაცვა. ეს პირობა-კი საკმაო აღმოჩნდა, რომ ხიზან-ბოგანო გლე-
ხები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მრავლად მისულიყვნენ ამ
ბუნებით მდიდარ მხარეში.

1677 წლიდან ირანის კარის პოლიტიკა კახეთის მიმართ შეიცვალა.
შაჰი კახეთს სამმართველოდ ქართველებს აღარ აძლევდა, არამედ ან
განჯის ბეგლარ-ბეგებს ან სხვა ხანებს. შაჰის ეს ყიზილბაში მოხელეე-
ბი მტრულად უცქეროდნენ კახეთში ქართველთა კვლავ მომრავლებას
და ამ ქვეყნის თურქმანებით დასახლების ცდებს განაგრძობდნენ.

ღმკაბი კახეთში. ხანების ასეთი პოლიტიკის შედეგი იყო, რომ
მათ საკმაო დასაყრდენი ვერ გაიჩინეს კახეთის მოსახლეობის ვერც



თბილისელა ქალები 1700-იან წლებში.

იმდროინდელი ფრანგი მხატვრის ნახატი (ტურნეფორით).

ერთ ფენაში. მათი წინააღმდეგი იყვნენ ფეოდალები (თავადები, ეკლესია) და სოფლის მშრომელი მოსახლეობა — გლეხელები, თავისუფალი მთიელები. ამიტომაც ხანები უმთავრესად ყიზილბაშთა სამხედრო ძალასა და ჩამოსახლებულ თურქმანებს ემყარებოდნენ. შაჰის ეს მოხელეები კახეთის ყოველ მტერში თავის მოკავშირეს ხედავდნენ. ისინი აშკარად ხელს უწყობდნენ ლეკთა მოსახლეობის გაძლიერებას კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში — ქარში — და არც ლეკთა იმ ბრძოლების წინააღმდეგ იბრძოდნენ, რომელნიც კახეთის სოფლების სარბევად განუწყვეტლივ მოდიოდნენ დაღისტნიდან. ქარში ლეკები ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში გაჩნდნენ, აქ ისინი კახთა მეფეების ნებართვით მათ ყმებად ხდებოდნენ. მე-17 საუკუნიდან, შაჰ-აბასის მიერ კახეთის აოხრების შემდეგ, ლეკების ქარში ჩამოსვლა განსაკუთრებით გაძლიერდა. ამოწყვეტილი ან ირანში გადაარეკილი კახური მოსახლეობის ადგილს აქ დაღისტნიდან გადმოსახლებულნი იჭერდნენ. ყიზილბაშთა ხანებისავე მფარველობით ქარი ჩქარა გაძლიერდა და ახლობელი ქართული სოფლების დაპყრობას ხელი მიჰყო. ამავე დროს ქარი კახეთის მარბიელ გადამთიელ ლეკთა სადგურადაც იქცა. მე-17 საუკუნის მანძილზე, უმთავრესად — მის უკანასკნელ მეოთხედში, თანდათან ჩამოყალიბდა ქარის, ბელაქნისა და თალას „უბატონო თემები“.

კიდევ უფრო გაძლიერდა ლეკთა შემოტევა მე-18 საუკუნის დასაწყისიდან. დაღისტნელი მტაცებლების გუნდები ქარელებთან ერთად მუდამდღე არბევდნენ კახეთის სოფლებს.

კახეთის ზბევას ლეკ-აბრაგებს ზოგიერთი მკვიდრიც უადვილებდა. ისედაც ხდებოდა, რომ კახელ თავადს მოჰყავდა ლეკი მარბიელები თავისი მოქიშპე თავადის წინააღმდეგ. ზოგჯერ კიდევ მებატონების მძარცველობით თავმოებზრებული გლეხებიც მიდიოდნენ ლეკებთან და მებატონის ავლადიდებას არბევინებდნენ მათ. კახეთის გაღმამხარეში ფეხის მოკიდების მიზნით ქარელები კახელ გლეხებს კავშირს სთავაზობდნენ და თავადების წინააღმდეგ მოუწოდებდნენ. კახეთში მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქნა.

თაში XIX

ირან-ოსმალეთ-რუსეთის ომი და საქართველო
მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში

§ 127. ვახტანგ მემკვიდრისა და პეტრე პირველის
შტატივართობა

მე-18 საუკუნის მეორე ოცეულში ძველი ამბავი დატრიალდა ერთ-
ბელ კიდეც: ოსმალეთი, რუსეთი და ირანი ერთმანეთს შეეჯახნენ ახლო
აღმოსავლეთში. თითოეული მათგანის როლი და მნიშვნელობა ესლა
სულ სხვა იყო, ვიდრე ასი წლის წინ. შედეგებიც მათ-
თვის ესლა სხვა. მოჰყვა ამ შეტაკებას. უცვლელი მხო-
ლოდ ერთი რამ დარჩა: ეს ბრძოლაც უმთავრესად
ამიერკავკასიაში გათამაშდა და აქაური ხალხებისათვის
ისეთივე მძიმე შედეგებით, როგორიც იყო შაჰ-აბასის
დროინდელი სისხლიანი კატასტროფა.

ვახტანგი შაჰ-ფირაღმა პეტრეს. ირანში უნებუ-
რი ყოფნისას ვახტანგი საბოლოოდ დარწმუნდა ამ სა-
ხელმწიფოს უიმედო სისუსტეში. ქართლის მეფე ხედავ-
და, რომ საქართველოს განთავისუფლების ქაში მოახ-
ლოვებულ იყო. ვახტანგი ფრთხილად ემზადებოდა, მომ-
ხრე-მოკავშირეებს ეძებდა და საქმის დაწყებას აპირებ-
და. მაგრამ ირანის დასუსტებას ამჩნევდნენ მეზობელი
დიდი სახელმწიფოებიც, ოსმალეთი და რუსეთი, რო-
მელნიც მოსალოდნელი შემკვიდრეობის გასაყოფად ემ-
ზადებოდნენ და ეჭვის თვალით ერთი მეორეს მტრუ-
ლად ზეერავდნენ.

რუსეთიცა და ოსმალეთიც ირანის მიერ დაპყრობილ
ხალხებში მომხრეებს ეძებდნენ. ოსმალეთმა კავკასიაში
შარვან-დაღისტინის „მფარველობა“ დაიჩემა. პეტრე
პირველმა-კი კავკასიის ქრისტიან ხალხებთან გააბა დიპ-
ლომატიური მოლაპარაკება. რუსეთის მეფე ქართლის
მეფეს თავის მხარეზე მოუწოდებდა და „ურწმუნოთა“

მორჩილებისაგან განთავისუფლების იმედს აძლევდა.

ვახტანგ მეფეს სინამდვილედ ესაზებოდა საოცნებო მდგომარეობა,
როცა დიდი სახელმწიფოს დახმარებით მოძალადე შაჰის ხელთაგან გან-

თავისუფლებული საქართველო ოსმალთა მიერ მინატაცებ საამცხე-
საათაბაგოს უკან დაიბრუნებდა.

რუსთა ლაშქრობა ირანს. 15 ივნისს, 1722 წელს, პეტრე მეფემ
ირანს ლაშქრობის შესახებ მანიფესტი გამოაქვეყნა.

როგორც-კი პეტრე თერგიდან დარუბანდისაკენ წამოვიდა, ვახტანგ
მეფე ქართლის ჯარით განჯას ჩავიდა და შარვანს ხელმწიფის გამო-
სვლას ელოდა. პაემანის თანახმად რუსთა და ქართველთა ჯარები ერ-
თიმეორეს იქ უნდა შეყროდნენ.

ვახტანგი სამ თვეს იღგა განჯაში. ბოლოს, ნოემბერში, ვახტანგს
მოუვიდა რუსეთის მეფის ელჩი, რომელმაც პეტრეს ლაშქრობის მოშ-
ლა და მისი მომავალი წლისათვის გადადება აცნობა.

მემუწვარე ვახტანგი განჯიდან თბილისს დაბრუნდა. ქართლის მე-
ფის საქმე მეტად გართულდა: ირანის შაჰი ვახტანგ მეფეს ორგულო-
ბასა და ღალატს აბრალებდა; არც ოსმალეთი იყო ვახტანგის მაღლიე-
რი, — ხონთქარი ვახტანგს რუსთა მომხრეობას უსაყვედურებდა, თა-
ვის მხარეზე მოუწოდებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაპყრობით
ემუქრებოდა.

ვახტანგი, რუსეთის მეფის აღთქმას მინდობილი, საქართველოს განთა-
ვისუფლების იმედს არ კარგავდა. იგი მტრებთან მოლაპარაკებით და
მოსაჩვენარი მორჩილებით დროს მოგებას ცდილობდა და მომავალი
გაზაფხულისათვის შარვანში პეტრეს გამოსვლას ელოდა.

ვანტანგის მარცხი. ქართლის მეფემ ყველა მიმართულებით წაა-
გო. განრისხებულმა შაჰმა „ორგულ ყმას“ ქართლი ჩამოართვა და კა-
ხეთის მმართველს კონსტანტინეს გადასცა. მაგრამ კიდევ უფრო მძიმე
ის იყო, რომ ვახტანგს რუსთა მეფის დახმარების იმედი გაუტრუედა.
ოსმალეთმა და რუსეთმა ირანი გაინაწილეს: ხონთქარმა კასპიის ზღვის
სანაპიროები რუსეთის საკუთრებად იცნო, პეტრემ-კი სამაგიეროდ ოს-
მალეთს დაუთმო ირანის მთელი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, რო-
მელსაც აღმოსავლეთი საქართველოც მიათვალეს.

1723 წელს, გაზაფხულზე, კახეთის მმართველმა კონსტანტინემ ლეკ-
თა დიდი ჯარი დაიქირავა და თბილისს თავს დაესხა. ლეკებმა თბილი-
სი აიღეს და ისე სასტიკად გაძარცვეს და ააოხრეს, რომ მთელი საუკუ-
ნის განმავლობაში ამის შემდეგ ქალაქი თავის ძველ კეთილდღეობას
ვეღარ დაუბრუნდა. ვახტანგი შიდა-ქართლში დადგა, კონსტანტინემ-
კი ქალაქი დაიჭირა. ამავე დროს ოსმალთა ჯარი აღმოსავლეთ ამიერ-
კავკასიისაკენ დაიძრა. 1723 წელს, ივნისში, ოსმალთა ჯარმა თბილისი
უომრად აიღო.

რაკი ქვეყანა ხელთ იგდო, დამპყრობელი ქართლში მეფობის გაუქ-
მებასა და ოსმალური წესწყობილების შემოღებას შეუდგა.

ვახტანგს ქართლში აღარ ედგომებოდა და არც რუსეთს წასვლის
გარდა სწვა გზა გააჩნდა. 15 ივლისს, 1724 წელს, ვახტანგი შვილებით,

მშობით, უახლოესი თანამოღვაწეებითა და დიდი ამალით რაქის გზით რუსეთს წავიდა. მეფე, მისი აზრით, ქართლიდან დროებით მიდიოდა და მალე საქართველოს განსათავისუფლებლად რუსეთის ჯარით დაბრუნდებოდა. ასეთ იმედებს აძლევდა მას რუსეთის იმპერატორი.

მაგრამ რუსეთის საგარეო და საშინაო პირობები ამ დროს ისე მოეწყო, რომ ქართლის მეფემ მისთვის აღთქმული დახმარება ვერ მიიღო. ვახტანგი ვერ ელირსა სამშობლოში დაბრუნებას. იმედგაცრუებული ის მწარე უცხოობაში გარდაიცვალა ასტრახანს (1737 წ.).

ვახტანგის ამაღლა მეფის გარდაცვალების შემდეგ იძულებული იყო ან რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღო, ან არა და საქართველოში დაბრუნებულიყო. მცირე ნაწილი დაბრუნდა ცეცხლმოდებულ სამშობლოში. უმრავლესობა კი იქვე დარჩა უკეთესი დროის მოლოდინში. ემიგრანტი ქართველები რუსი ხელმწიფის ქვეშევრდომებად დაეწერნენ, მიიღეს რუსეთის მთავრობისაგან ყმა-მამული და ხელმწიფის სამხედრო თუ სხვა სამსახურში შევიდნენ.

ქართველთა გადასახლების მნიშვნელობა და შედეგები მრავალმხრივი იყო. უპირველეს ყოვლისა საქართველოსათვის ეს იყო მეტად მძიმე დანაკლისი. ვახტანგ მეფეს ემიგრაციაში თან გაჰყვა მის სახელმწიფოებრივს თუ კულტურულ შემოქმედებაში თანამშრომელთა დიდი დასი. ამით ქართლი ერთბაშად დაიცალა მოწინავე გონებრივ მუშაობა-გან და ქვეყანაში დიდი ხნით შეწყდა აგრე გაცხოველებული კულტურული მოღვაწეობა. მართალია, უცხოეთში გადახვეწილ ქართველებს მშობელი ხალხისათვის სასარგებლო მუშაობა არ შეუწყვეტიათ: სთარგმნიდნენ რუსულიდან სამეცნიერო და სასწავლო წიგნებს, აღადგინეს ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში არჩილ მეფის მიერ გამართული ქართული სტამბა მოსკოვს, ბეჭდავდნენ ქართულ წიგნებს, განაგრძობდნენ სამშობლოში დაწყებულ სამეცნიერო შრომებს, სთხზავდნენ ლექსებს და სხვ., მაგრამ მათი ეს მოღვაწეობა საქართველოს შედარებით მცირედ რგებდა. მათი ნამუშავევი სამშობლოში მცირედ აღწევდა და აქ კულტურული მოღვაწეობის მოდუნების გამო ვერც სათანადო გამოძახილს პოულობდა და, რაც უმთავრესი იყო, დიდი ინტენსიური მუშაობის შედეგად შექმნილი ქართული კულტურის ეს კერა იქ, უცხოეთში გადახიზნული, უმემკვიდრეოდ გადასაშენებლად იყო განწირული: საქართველოს ნიადაგს მოწყვეტილი მოსკოვის კოლონია მშობლიურ კულტურულ მოღვაწეთა ახალ თაობას არ ქმნიდა. მიუხედავად ამისა ქართველთა კოლონიის დადებითი მნიშვნელობა მაინც დიდი იყო, მან ძლიერად შეუწყო ხელი საქართველოს კულტურულ დაახლოებას რუსეთთან.

გარდა ამისა ამ კოლონიას სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. მოსკოვის ქართული კოლონია ქართველი ხალხის იმ რწმე-

ნის ცოცხალი გამოსახულება იყო, რომ რუსეთი ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფოა, რომელსაც ზმიერკავკასიაში უშუალო პოლიტიკური ინტერესები მოეპოვება, და რომ ეს ინტერესები საქართველოს პოლიტიკურ მისწრაფებას არ ეწინააღმდეგება. მთელი XVIII საუკუნის მანძილზე აღნიშნული კოლონია ძლიერად ზემოქმედებდა ამ მიმართულებით საქართველოში მომუშავე პოლიტიკურ მოღვაწეებზე. რუსეთში ქართველები მალე დაწინაურდნენ სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეობის სხვადასხვა სარბიელზე და თავის მხრით დიდად შეუწყვეს ხელი რუსეთ-საქართველოს შემდგომ პოლიტიკურ დაახლოებას.

§ 138. ძნელბედობა მე-18 საუკუნის მეორე მეოთხედში

მე-18 საუკუნის მეორე მეოთხედი ქართლ-კახეთისათვის განსაკუთრებული ძნელბედობის ხანა იყო. 1723 წლიდან თორმეტი წლის განმავლობაში ქვეყანა ოსმალთა მძიმე ბატონობის უღელ-ქვეშ გმინავდა. 1735 წლის მიწურულს ოსმალთა არანაკლებ მძიმე ყიზილბაშობამ შესცვალა. ის 1747 წლამდე გრძელდებოდა. უცხოელ დამპყრობელთა აუტანელმა ბატონობამ არა ერთი სახალხო აჯანყება გამოიწვია. თითოეულ ასეთ აჯანყებას თან სდევდა დამპყრობელთა დამსჯელი ექსპედიციების ველური თარეში.

ამავე დროს მშრომელ ხალხს გარეშე მტერზე ნაკლებ არ ანადგურებდა საკუთარ მემატონეთა აულაგმავობა. გამკითხავი აღარავინ იყო. ურთიერთ შორის ბრძოლაში გართული თითოეული მემატონე უპირველეს ყოვლისა „მოწინააღმდეგის“ გლეხებს დაერეოდა ხოლმე, ქლევდა მათ ან კიდევ უცხოეთში ტყვედ ჰყიდდა. თავაშეებული მემატონეები არც საკუთარ ყმებს ინდობდნენ. „უღების დაღებით“, ესე იგი — უჩვეულო გადასახადებითა და აუტანელი ბეგრით მათ აჯანყებამდე მიჰყავდათ გაძარცვული გლეხკაცობა. „ურჩი“ ყმების ხვედრი-კი „დარბევა“ და „მოთხრა“ ანუ ტყვედ დაყიდვა, ხოლო მათი სარჩო-საბადებლის ბატონის მიერ მიტაცება იყო.

ყველაფერზე უმძიმესი მაინც ლეკ-მტაცებელთა თარეში იყო. ამ ხანაში ქართლ-კახეთში არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, არც ერთი კუთხე, რომ ლეკებს არ აეოხრებინათ, არ გაეძარცვათ. ერთიმეორის სარბევად ლეკები მოჰყავდათ ქართველ ფეოდალებს; აჯანყებულ ქართველთა დასასჯელად ლეკები მოჰყავდათ ოსმალებს; და, ბოლოს, უმატრონოდ დარჩენილ ქვეყანაში ლეკები დაუპატიებლადაც მოდიოდნენ, თავს ესხმოდნენ მხარეებს, სოფლებს და თან მიჰყავდათ და მიჰქონდათ ყველაფერი. რასაც კი მოახელდნენ: ადამიანი, ოთხფეხი საქონელი, პური, იარაღი, ავეჯი და სხვა.

ყოველივე ამის შედეგი ის იყო, რომ კულტურული მეურნეობა დაცვა და მცხოვრებთა რიცხვი მეტად შემცირდა. ზოგიერთი მხარე საესეებით დაიცალა მცხოვრებლებისაგან, სხვაგან კიდევ ძლიერ ბოგინობა და შეთხელებული მოსახლეობა. გლეხების ერთი ნაწილი დატყვევდა და უცხოეთში მონებად დაიყიდა, მეორე ნაწილი ლეკებთან თუ ოსმალ-ყიზილბაშებთან ბრძოლებში დაიხოცა, სხვები ბოლომოუღებელი ომიანობის თანამგზავრმა წიმმშილობამ და ქირმა იმსხვერპლა, დიდი ნაწილი კიდევ ახლობელ მხარეებს შეეხიზნა.

ქართლ-კახეთის ურთიმართობა ნადირ-შაჰთან. ირანის ბრძოლას ოსმალეთის წინააღმდეგ 1730 — 1745 წლებში ნადირი ხელმძღვანელობდა. 1736 წლიდან ეს სარდალი ირანის შაჰი გახდა. საქართველოში ნადირი ჯერ კიდევ 1735 წელს მოვიდა.

ქართლ-კახეთის ფეოდალები ნადირ-შაჰს მიემხრნენ და ოსმალები განდევნეს. ირანის ბატონობა მათ უფრო ნაკლებ ბოროტებად მიაჩნდათ, ვიდრე ოსმალთა. მაგრამ ნადირ-შაჰმა ქართლ-კახეთში ირანული გადასახადები და ყიზილბაშური წყობილება შემოიღო. ეს არანაკლებ მძიმე გამოდგა, ვიდრე ოსმალთა იყო. მაშინვე ქართლსა და კახეთში აჯანყებები დაიწყო. ქართლის აჯანყებას შანშე ქსნის ერისთავი, ვახუშტი აბაშიძე, გივი ამილახვარი და სხვა თავადები მეთაურობდნენ, კახელთა აჯანყებას კი — თეიმურაზ მეორე, კახეთის მეფე.

აჯანყებულთა მხნე ბრძოლამ ნადირ-შაჰი აიძულა საქართველოს გათათრებაზე საბოლოოდ ხელი აეღო და აქ თანდათან ძველი, ქართული წესწყობილება აღედგინა.

თეიმურაზისა და ერეკლეს გამეფება. იენისში, 1744 წელს, ნადირ-შაჰმა თეიმურაზი ქართლის მეფედ, ხოლო მისი შვილი ერეკლე მეორე კახეთის მეფედ დანიშნა.

თეიმურაზ მეორე ერეკლე პირველის შვილი იყო და კახეთის ბაგრატიონთა შტოს ეკუთვნოდა. თეიმურაზი კახეთში 1733 წელს გამეფდა, თავისი ძმების, დავითისა (1703 წ. — 1722 წ.) და კონსტანტინეს (1722 წ. — 1733 წ.), შემდეგ. ქართლის მიღების შემდეგ, ნადირის თანხმობითვე, თეიმურაზმა ქრისტიანული წესით გვირგვინი იკურთხა მცხეთაში 1745 წ. 1 ოქტომბერს. ეს პირველი შემთხვევა იყო მე-17 საუკუნის დამდეგიდან, რომ ქართლის სამეფო ტახტზე მეფე ქრისტიანობით ჯდებოდა.

ამ ხანებში ნადირ-შაჰის სახელმწიფოს დღე დაეღია. ბოლომოუღებელი ომებით გამოწვეულმა აუტანელმა გადასახადებმა, ფეოდალების გაუკითხავმა პარპაშმა და ხელმწიფის მოხელეების სრულმა თვითნებობამ დაღუპვის კარამდე მიიყვანეს უიმისოდაც ჩამორჩენილი ირანი. 1747 წელს ნადირ-შაჰმა მთელ ირანს აუტანელი გადასახადები შეაწერა, მართო ქართლ-კახეთს მან ორასი ათასი თუმანი შემოუტყვეთა. ეს ზომა სა-

ბედისწერო აღმოჩნდა. ნადირ-შაჰი და მისი მონარქია აჯანყებითა
მსხვერპლი გახდა. 1747 წელს ნადირ-შაჰი მოკლეს.

შაჰის სიკვდილის უმაღ ირანში დიდი არეულობა გამეფდა: ლაშქარი
დაიშალა, სარდლებმა ქვეყნები დაიტაცეს, ტახტის მაძიებლები ერთ-
მეორეს დაერივნენ.

ეს ანარქია დიდხანს გრძელდებოდა, და მთელი ირანი ერთი მეორისა-
გან დამოუკიდებელ მცირე სახანოებად დაიშალა. ხანებს შორის დაუს-
რულებელი ომები გაჩაღდა. მრავალ სახანოდ იყო დაშლილი აღმოსავ-
ლეთი ამიერკავკასიაც.

— 575 —

საქართველო მე-18 საუკუნის მეორე ნახევარი

§ 139. თეიმურაზისა და ერეკლეს ბრძოლა
პირველობისათვის ამიერკავკასიაში

1748 — 1750 წლებში ქართლ-კახეთს ფიცხელი ომები ჰქონდა სხვა-დასხვა ხანებთან, რომელთაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონება სურდათ. თეიმურაზმა და ერეკლემ ზედიზედ დაამარცხეს ისინი, ხოლო ერევნის, განჯისა და ნახჭევანის სახანოები საქართველოს მოხარკე ქვეყნებად გადააქციეს.

ხანებზე გამარჯვება, ერევნის, განჯისა და ნახჭევანის დამორჩილება ქართველ მეფეთა დიდი სამხედრო და პოლიტიკური წარმატება იყო. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში საქართველოს უპირატესობა თითქმის უცილობელი ხდებოდა.

ლევთა გამოლაშქრება. მაგრამ საქართველოს წინაშე ერთი მეტად მძიმე საკითხი ჯერ ისევ გადაუჭრელი რჩებოდა. ეს ლევთა საკითხი იყო.

ქართლ-კახეთის წარმატებამ ქარ-ბელაქნის უბატონო თემები შეაშფოთა. ქართველთა გაძლიერებაში ისინი თავისთვის საფრთხეს ხედავდნენ. და მართლაც ასე იყო: საქართველოში ლევთა თარეშების მოსასპობად ქართველებს აუცილებლად მიიჩნდათ ქარ-ბელაქნისა და კაკენისელის დაპყრობა და მათი ისევ კახეთისათვის შემოერთება.

ჭარელებმა გადამთიელი თანამოძმეები მოიხმეს, და ლევთა დიდი ჯარი 1750 წელს საქართველოზე გამოემართა. ჯარის ერთი ნაწილი კახეთს დაეცა, მთავარი ძალები კი ყაზახს შეესივნენ და ის სასტიკად დაარბიეს. ახალგაზრდა ერეკლემ კახეთზე წამოსული მტერი მთელ რიგ ბრძოლებში უკუაგდო. ამის შემდეგ მეფე ფიცხლავ ქართლს მიეშველა. ქართველთა ჯარი აედევნა ნადავლით დატვირთულ ლევთა მთავარ ძალას და ალაზან-იორის შესართავთან შეება მტერს. ლეკები დამარცხდნენ. ნადავლ-ნაალაფეც გარდა მათ დიდძალი დაჭრილ-დაზოცილები თუ ტყვეები და ათასობით ცხენები დასტოვეს და გაიქცნენ.

ამ გამარჯვებას ქართველები დიდი მნიშვნელობისად სთვლიდნენ. მათი აზრით ეს ლეკთა საკითხის საბოლოო გადაჭრის საწინდარი იყო. მალე მეფეებმა დარბაზის სხდომა მოიწვიეს, სადაც „უბატონო თემების“ დაპყრობა დაასკვნეს.

ომი ზარ-ბელაქნისა და შაჰი-შარვანის ხანის წინააღმდეგ. შაჰი-შარვანის ხანი აჯი-ჩალაბი სათვალშიწენოდ, მართალია, ქართველ მეფეებს მეგობრობდა. მაგრამ რაც უფრო ძლიერდებოდა მეზობელი საქართველო, მით უფრო ხანს მოსვენება ეკარგებოდა. ქარბელაქნისა და კაკ-ენისელის დაპყრობით ქართველები შაქს უშუალოდ უმეზობლდებოდნენ. ამიტომ აჯი-ჩალაბი გადამწყვეტი ომისათვის საიდუმლოდ ემზადებოდა. ქართველებმა აჯი-ჩალაბს განაზრახი გვიან შეუტყვეს. ლეკებისა და შაჰი-შარვანის შეერთებულმა ლაშქარმა დაამარცხა ქართველი ჯარი (თებერვალი, 1751 წ.).

ეს იყო თეიმურაზ-ერეკლეს პირველი სერიოზული დამარცხება. ამასთანავე გამოირკვა, რომ ლეკთა საკითხი გაცილებით უფრო მძიმე და რთული იყო, ვიდრე ეს ქართველ პოლიტიკოსებს წარმოედგინათ.

აზატ-ხანის დამარცხება. ამავე დროს ადარბადაგანის მხრით საქართველოს დიდი საფრთხე გაუჩნდა. თავრიზის მფლობელი აზატ-ხანი მთელი ირანის დაპყრობასა და ხელმწიფედ დაჯდომას აპირებდა. 1751 წელს მან აღმოსავლეთ ამიერკავკასიას შემოუტია. საქმე მან ერევნის სახანოდან დაიწყო.

ახალი საფრთხე ქართველებმა კარგად გაითვალისწინეს, და ერეკლე ფიცხლავ გაეშურა ერევნის მისაშველებლად. აზატ-ხანიც თვრამეტი ათასი მეომრით სწრაფად ერეკლეს წინააღმდეგ წამოვიდა. ომი მოხდა ერევნის ახლოს, ყირხბულახთან. თუმცა ერეკლეს ბევრად უფრო მცირე ჯარი ჰყავდა, მაგრამ იგი მტერს მტკიცე გულით დახვდა. პირველად აზატ-ხანის დიდმა ჯარმა შეავიწროვა ქართველთა ლაშქარი და ყოველმხრივ გარს შემოერტყა მას. ყიზილბაშებს ქართველთა დამარცხებაში ეჭვი არ შესდიოდათ, და აზატ-ხანი ერეკლე მეფისაგან მორჩილების მოციქულსაც-კი ელოდა. მაგრამ ერეკლეს ბრწყინვალე სამხედრო ნიჭმა გაიმარჯვა: მისი პირადი მიძღოლით ქართველთა ჯარი ისე ძლიერად და ხეწიანად დაეტაკა ყიზილბაშთა ლაშქრის ცენტრს, რომ ის ერთი დაკრით მოშალა. მტერი სულიერად გატყდა და მალე გაიქცა კიდევაც. ქართველებმა ოცდაათი კილომეტრის მანძილზე კვალდაკვალ სდიეს მას, ჰკაფეს და ატყვევეს იგი. აზატ-ხანმა ძლივს უშველა თავს, არაქსს გავიდა და ადარბადაგანს შეეფარა. ერეკლე მეფემ ერევან-ნახჭევანის საქმეები მოაწესრიგა და თბილისს დაბრუნდა.

აჯი-ჩალაბის დამარცხება. ეხლა ქართველებს შეეძლოთ ლეკებისათვის მიეხედნათ. ლეკთა საკითხის გადაჭრა უნდა აჯი-ჩალაბიდან დაწყებულიყო.

აჯი-ჩალაბი ხერხიანად იბრძოდა. ქრისტიანული ქართლ-კახეთის წი-



ერეკლე მეორე.

მეზეუმში „მეტეხი“.

ნაილმდგ მან მაჰმადიანური სახანოების შეკავშირება სცადა და ამ საქმეში წარმატებასაც მიაღწია. თეიმურაზისა და ერეკლეს წინააღმდეგ შაჰის ხანმა არა მარტო ლეკები დარაზმა, არამედ განჯა-ყარაბაღისა და ერევნის ხანებიც-კი გადაიბირა. 1752 წელს ამ ხანების ლალატის გამო ქართველებმა ომი წააგეს განჯას. გამარჯვებული აჯი-ჩალაბი შეტევაზე გადმოვიდა. მტრის დიდი ლაშქარი ქართლში შემოიჭრა. ამავე დროს ლეკების ბრბოები ქართლ-კახეთის დაბა-სოფლებს მოედგნენ.

კარზე მომდგარ საფრთხეს ქართველებმა ენერგიული მოქმედებით უპასუხეს. ხალხი ციხე-სიმაგრეებში დახიზნეს, ომში ქუდზე კაცი გაიწვიეს, ჩრდილოეთ კავკასიაში ჩერქეზებისა და სხვა მთიელების დასაჭირავებლად ხალხი გაგზავნეს. საქმის სული და გული ერეკლე იყო.

სამი თვის გასულს ქართველები საესებით მზად იყვნენ, რომ მტრისათვის ღირსეული პასუხი გაეცათ. მტერმა საქართველოს დაპყრობის განზრახვაზე ეხლა ხელი აიღო და უკან გაბრუნდა, მაგრამ ქართველთა ჯარი ერეკლეს სარდლობით ყაზახ-შამშადილუს საზღვარზე მიეწია მას. სასტიკ ომში განსაკუთრებით თავი ისახელეს ქიზიყელმა გლეხებმა და ჩერქეზთა რაზმმა. მტერი დამარცხდა და დიდად დაზარალებული გაიქცა.

ზაზი აზატ-ხანთან. ამ გამარჯვებას საქართველოსათვის დიდი შედეგები მოჰყვა. მაჰმადიანური სახანოების კავშირი, შაჟის ხანმა რომ საქართველოს დაუპირისპირა, ჩქარა დაიშალა. ერენის, განჯის და სხვა ხანები თეიმურაზისა და ერეკლეს მიმართ ისევ მეგობრობა-მორჩილების გზას დაადგნენ. ბოლოს თავრიზელმა აზატ-ხანმაც ხელი აიღო საქართველოს დაპყრობის განზრახვაზე და ზავი შემოსთავაზა ქართლ-კახეთს მეფეებს. საქართველოსათვის ეს ზავი მეტად სასურველი იყო. აზატ-ხანთან ზავი ქართლ-კახეთის სამინაო სიმტკიცესაც ხელს უწყობდა. ქართლის ზოგიერთი უკმაყოფილო თავადი აზატ-ხანის გამოლაშქრებას ელოდა. ამ რეაქციონერ ფეოდალებს ადარბადაგანის ხანის შემწეობით თეიმურაზისა და ერეკლეს თავიდან მოშორება სურდათ. ამიერიდან თავადებს ეს იმედი უქრებოდა.

ამრიგად, ხუთი წლის განუწყვეტელი ბრძოლის შედეგად ქართლ-კახეთმა უკუაგდო აზატ-ხანი, წარმატებით მოიგერია მეზობელი ხანების გაერთიანებული შემოტევა და უდავოდ ცხადყო თავისი უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

ლექთა საკითხი-კი ისევ გადაუჭრელი რჩებოდა.

§ 140. ლეკიანობა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში

ლეკიანობის ხასიათი. ლეკი-აბრავები ქართველებთან პირისპირ შემტას გაუბრუნდნენ. ეს გასაგებიცაა: ისინი ხომ ქვეყნის დაპაყრობად არ მოდიოდნენ, მათი მიზანი ტყვისა და სხვა ნადავლის შოვნა იყო. ვერც შეიარაღებით, ვერც სამხედრო ორგანიზაციით ისინი ქართველებს ვერ უსწორდებოდნენ. ქართველებთან დიდ ბრძოლებში ისინი ჩვეულებრივ მარცხდებოდნენ ხოლმე.

მთებიდან ჩანოსვლის უმაღლეს მთაწვებლებში წვრილ გუნდებად ნაწილდებოდნენ, უღრან ტყეებს, მიუვალ კლდეებსა და ვერანა ადგილებს ირჩევდნენ ხოლმე სადგურებად და ასეთი ბუნაგებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის წვრილად ტაცებასა და ძარცვას ეწეოდნენ. სამოქმედოდ ისინი სწორედ მაშინ გამოდიოდნენ, როცა ქართველი გლეხობა ციხე-გალავნებიდან თუ გამაგრებული სოფლებიდან სამუშაოდ უნდა გასულიყო. ხენა-თესვის, მცისა თუ რთველის დროს მოედებოდნენ ეს მთაწვებლები მინდვრებს და მიჰქონდათ და მიჰყავდათ ყველაფერი, რის

მოტაცება-კი შეიძლებოდა: ადამიანები, ოთხდები საქონელი, სასოფ-
ლო-სამეურნეო იარაღი. ამავე დროს ლეკები მიუხტებოდნენ უკაცოდ
დარჩენილ სოფლებსა და თავისი ბუნაგებისაკენ მიერეკებოდნენ ქალებს,
ბავშვებს, სოფლის ნახირს. ნაშოვნით დატვირთულები, ისინი ტყის ბი-
ლიკებითა და უგზო ველებით ბრუნდებოდნენ დაღისტანში. მიდიოდნენ
ლამით, დღისით-კი მიუვალ ხეე-ხუეებსა და ტყეებში ბანაკობდნენ. კარ-
ბელაქანს გასულნი ლეკები უკვე სამშვიდობოს იყვნენ. აქ ჩვეულებრივ
სტოგებდნენ ნატაცებს, როცა მას საკმაოდ არ სთვლიდნენ, და საშოვრი-
სათვის ისევ ქართლ-კახეთს ბრუნდებოდნენ. დაღისტანში გადაყვანილ
ტყვეებს უმთავრესად ყირიმელი ვაჭრები იძენდნენ.

ქართლ-კახეთში ლეკიანობა განსაკუთრებით ძლიერი იყო 1754—1760
წლებში. მთელი ქართლი ლეკთა ბრბოებით აივსო. მოსახლეობა ცი-
ხეებს იყო შეფარებული. მეურნეობა მიმქრალიყო.

ოზი მჰადისჯვარს. გარდა წვრილ-წვრილი თარეშისა, ლეკებმა ამ
ხანებში რამდენიმეჯერ მსხვილი ლაშქრობაც მოაწყვეს. ამათგან ყუ-
ლაზე მნიშვნელოვანი იყო ლეკთა ორგზისი ლაშქრობა ხუნძახის ბატო-
ნის ნურსალ-ბეგის მეთაურობით.

1754 წელს ხუნძახის ბატონი დიდი ჯარით გადმოვრდა და ქართლ-
კახეთის ერთიანად აოხრებას იმტკერებოდა. კახეთის მოსახლეობა ერეკ-
ლემ საულ ციხეებში შეიყვანა და კახეთის ჯარი-კი თვითონ შემოიყარა.
ქართლიც თეიმურაზმა დახიზნა.

ნურსალ-ბეგმა ძარცვა-რბევით კახეთი გამოიარა, არაგვი გადმოლაზა,
ქართლში შემოვიდა და მქადაოსჯვრის¹ ციხე-გალავანს გარს შე-
მოადგა. დაღისტნელ სარდალს იქ შეხიზნული ხალხის დატყვევება სურ-
და. ჯარის სიმცირის მიუხედავად ერეკლე მხნედ შეება მტერს.

სასტიკი ომი გაიმართა. ლეკთა ქვეითობამ სიმრავლით სძლია ქართვე-
ლების ქვეითა ჯარს, მაგრამ ერეკლეს სიმხნემ და სამხედრო ნიჭმა
იხსნა ქართველები დამარცხებისაგან. აი, როგორ ასწერს ამ ამბავს მი-
სი ერთი მონაწილე: „რა გასჭირდა ომი, ბრძანა ბატონმა (ესე იგი,
ერეკლემ) დაქვეითება ჯარისა. გარდახდა თვით მეფე ერეკლე ცხენისა-
გან და უბრძანა გარდახდომა ყოველთა: — „ეს არის დღე ვაჟაკობი-
საო და სიყვარული სჯულისაო“. — დაიქვეითეს ქართველთა და კახთა,
შეიქნა სროლა თოფთა, რომ კომლისაგან კაცი აღარა ჩანდა. მეფე ერეკ-
ლე ხან იქით და ხან აქა აძლიერებდა ჯარსა და პირდებოდა წყალო-
ბასა. შეუტივეს ქართველთა და კახთა გულსრულად, დაუშინეს ზამბუ-
რაქნი (ესე იგი, დიდრონი თოფები) და ზარბაზანნი, გააქცივეს ერთი
დასი ჯარი ლეკისა, ჰკრეს ეს გაქცეული ჯარი მეორესა ჯარსა, აირივა
ეს საშინელი ჯარი ლეკისა. გაიქცნენ, შეუტივეს ხმალდახმალ (ქართვე-
ლებმა), დაეროვნენ შიგ, რომ ვითა კატა, ეგრე ხოცდნენ ლეკთა. თვი-

¹ მქადაოსჯვრის ციხე მუხრან-დუშეთის გზაზე იყო.

თონ მეფემ ერეკლემ ჩამოკათა ლეკი ხმალდახმალ, მიყვანენ ხოცით არა-გვამდის“. ეს ბრძოლა 16 აგვისტოს მოხდა. „წავიდა — განაგრძობს მწე-რალი, — ეს დამარცხებული ჯარი, გაიარა, დახედნენ კახნი და დაუ-მარცხეს. მივიდა ხუნძახის ბატონი სირცხვილეული დაღისტანში“.

ლექთა ეს დიდი ლაშქრობა დამარცხდა, მაგრამ გამარჯვების სიხა-რულს ანელებდა ლეკების ბოლომოუღებელი წვრილი თარეშები.

ყვარლის ალყა. ამ წვრილ თარეშებს 1755 წელს კვლავ დიდი ლა-შქრობა მოჰყვა. ხუნძახის ბატონს მჭადისჯვართან დამარცხების სირცხ-ვილი ვერ მოენელებინა. ქართლ-კახეთის ერთი დაკვრით წახდენის აზ-რი მას მოსვენებას არ აძლევდა. წინა წლის გამოცდილების გამოყენე-ბით ის ეხლა საგანგებოდ ემზადებოდა. მისი კაცები მოედნენ მთელ დაღისტანს და ყველას საქართველოში სალაშქროდ იწვევდნენ. ნურ-სალ-ბეგმა დიდძალი ლეკი შემოიყარა, დაღისტნის სხვა ბატონებიც-კი გამოჰყვანენ მას. ამ დიდი ლაშქრით ხუნძახის ბატონი ყვარლის ზავს დადგა. აქედან მან მოციქულები გაგზავნა ქარს, შაქს, კაკ-ენისელს, განჯას და ყველას საქართველოს წინააღმდეგ მოუწოდა. ესენიც ხალი-სით ეახლნენ დაღისტნელ სარდალს.

ქართველებისათვის ნურსალ-ბეგის ეს გამოლაშქრება მოულოდნელი არ ყოფილა. ამიტომ სათანადო ღონეც დროულად იხმარეს. მეფეებმა მთელი ქართლისა და კახეთის მოსახლეობა ოთხი თვის მარაგით განსა-კუთრებით საიმედო ციხეებსა და მიუვალ ხევებში დახიზნეს. ჯარიც ქვეყნიდან ქულზე კაცი გამოიყვანეს და თან იახლეს.

ნურსალ-ბეგმა ამჯერად საქმე კახეთიდან დაიწყო. თავისი ოცი ათასი მეომრით ის ყვარლის დიდ ციხე-გალავანს შემოადგა, სადაც გაღმა-მხრის მოსახლეობის ნაწილი იყო შეხიზნული.

ნურსალ-ბეგის ლაშქართან პირისპირ შეხება ქართველებმა შესაძლებ-ლად ვერ დაინახეს: მტრის ჯარი რიცხვით დიდად სჭარბობდა ქართვე-ლებისას. ლექთა დამარცხება მხოლოდ ხერხით თუ შეიძლებოდა, და ერეკლემაც ამ ძნელ საქმეს ბრწყინვალედ მოუარა. ციხის დამცველებს უჭირდათ. ლეკებს გალავნის გარშემო ისეთი მაღალი საფრები შეეკ-რათ, რომ თოფს შიგ ციხეში ჩაისროდნენ. აუცილებელი იყო მეციხოფ-ნეთა გამხნეება. ერეკლემ მეშველი რაზმის შეგზავნა გადასწყვიტა. ვინც ამ სავაეკაცო საქმის მოხალისეთ გამოვიდოდა, მეფე პირდებოდა — თავადსა და აზნაურს შესაფერი თანამდებობისა და მამულის წყალობას, ხოლო გლეხს — ბატონყმობისაგან განთავისუფლებას, ორ საკომლო მი-წა-ადგილსა და ფულად ჯილდოს.

საგმირო საქმეზე ორას-ექვსი კაცი გამოვიდა (ექვსი თავადიშვილი, ორი აზნაურიშვილი, ერთი ზუცესი და დანარჩენი ყველა გლეხი, ამათ-გან ას-სამი ქიზიყელი). ვაეკაცები ღამით გავიდნენ ქიზიყიდან, გავლეს ალაზანი, მიეპარნენ ლექთა ყარაულებს და ხმალდახმალ გააკაფეს გზა ციხისაკენ. მეშველმა რაზმმა თოფისწამლის დიდი მარაგი შეიტანა ცი-

ხეში. იმედმოცემულმა მეციხოვნეებმა მოახერხეს ციხის გაღების გარეშე მოღვაწეობის დაწყება. ნურსალ-ბეგის ლაშქარს მერყეობა დაეცა: ციხის ჩქარა და აღვილად აღება საეჭვო ჩანდა.

ყვარლის ციხეში მეშველი რაზმის შეგზავნასთან ერთად ერეკლემ აარჩია გულადი და კარგი ცხენოსანი ქიზიყელები და ჭარის დასარბევად გაგზავნა. ამ რაზმმა დიდძალი საქონელი და ტყვე მორეკა დაუცველად დაგდებული ჭარიდან. ყვარლის ციხის ალყაზე მდგომი ჭარელები შეშფოთდნენ და სახლში წასვლა დააპირეს. ხუნძახის ბატონმა ძლივს შეიმარა ისინი.

მაშინ ერეკლემ უკვე მოზრდილი ლაშქარი გაგზავნა ჭარისაკენ. ყვარელს მდგომი ჭარელები ფიცხლავ წავიდნენ ქართველებთან შესაბამეოდ, მაგრამ ქართველები, ერეკლეს ბრძანების თანახმად, ბრძოლას მოერიდნენ, უკან გამობრუნდნენ და ქიზიყს დადგნენ. ჭარელებს საქმე გაუართულდათ. ქიზიყს მდგომი ქართველთა ლაშქარი ჭარს ასაოხრებლად ემუქრებოდა. ერეკლეს სამხედრო ხერხმა გასჭრა. ჭარელებმა გადასწყვეტეს ყვარლის ციხეს ჩამოსცლოდნენ და თავის სახლებისათვის მიეხედნათ. ამ ნიადაგზე ჭარელებსა და ნურსალ-ბეგის ლეკებს შორის მტრობა ჩამოვარდა და ბოლოს ისინი ერთმანეთს დაერივნენ კიდევაც. ჭარელები სახლში წავიდნენ. მათ გაჰყვა კაკის სულტანიც: ქართველი მარბიელები არც მის ქვეყანას უქადდნენ მშვიდობას.

ამის დანახვაზე ნუხის ხანმაც თავის ქვეყანას მიაშურა. ასე რომ მოალყეთა ჯარის ერთი მხარი სავსებით მოიშალა. დაღისტნელებს ციხის აღების იმედი გადაეწურათ. კიდევ მეტი, საჭირო ხდებოდა თავდაცვაზე ზრუნვა: გამხნეებული ქართველები, საცა იყო, შეუტევდნენ დასუსტებულ მტერს. ასეთ პირობებში დაღისტნელი სურხაი-ხანიც გამოეთიშა მოკავშირეს და შინისაკენ გზას გაუდგა. 28 სექტემბერს ნურსალ-ბეგიცა და შამხალიც მოეცალნენ ყვარლის ციხეს.

ამრიგად, ნურსალ-ბეგმა ომი წააგო. ხუნძახელმა სარდალმა ეხლა ისევ ძველებური ქურდ-აგაზაკობა ირჩია. დარჩენილი ლეკთა ჯარი მცირე გუნდებად დაიშალა, ტყეებსა და კლდეებს შეეფარა და აქედან ქვეყნის რბევას შეუდგა.

დიდმა საფრთხემ გაიარა, საქართველოს ერთბაშად აოხრების გეგმა მტერს ჩაეშალა. ლეკთა ბრბოების მეთაურს, რა თქმა უნდა, იმის შესრულება არ შეეძლო, რაც თვით შამ-ახასმაც-კი ვერ შესძლო. ცრუმოქადულ ნურსალ-ბეგს ყველაზე უკეთ უხდება იმ დროს თქმული ხალხური ლექსი:

„პამბულაი შეიკაზმა თოფითა და ჯინჯილითა:

— უნდა ჭალაქსა მავადგე, ამოვხოცო შიმშილითა!

ეს რომ ერეკლემ შეიტყო, გადამრუნდა სიცილითა...”

მაგრამ ლეკთა მიერ საქართველოს ერთი დაკვრით გაოხრება თუ „პაშულობა“ იყო, ლეკიანობა მისი ჩვეულებრივი სახით მართლაც რომ მოთხრას უქადდა ქვეყანას.

თეიმურაზ მამის გამგზავნა რუსეთს და სიკვდილი. ახ. რილში 1760 წელს მეფე თეიმურაზ მეორე რუსეთს გაემგზავრა. ქართლის მეფეს რუსეთის იმპერატორისათვის გაბედული გეგმა და მნიშვნელოვანი სათხოვარი პეონდა მოსახსენებელი.

რუსეთის მეფეს თეიმურაზი ჯარს ან ჯარის დასაქირავებლად ფულს სესხად სთხოვდა. ამ ჯარით ქართველი მეფეები ლეკებს ალაგმავდნენ და ქართველთა საგანგებო ლაშქრით ირანში შევიდოდნენ, იქ სპარსელი დიდებულების ყრილობას მოიწვევდნენ და მას რუსეთისათვის სასურველ პირს ირანის შაჰად აარჩევენდნენ.

ქართველების გეგმა გაბედული იყო და გონივრული. თეიმურაზი და ერეკლე ამით წინადადებას აძლევდნენ იმპერატორს, რომ ისინი ირანში რუსეთის ინტერესების დამცველებად გამოვიდოდნენ, ხოლო ამ საქმეში წარმატება, ფიქრობდნენ ისინი, ირანის ბატონობისა და საქართველოს განთავისუფლების შედეგად იქნებოდა.

რუსეთში ქართველ მეფეთა წინადადებას ვერ გამოეხმაურნენ. მ. იანვარს, 1762 წელს, თეიმურაზი იქვე, პეტერბურგს, გარდაიცვალა.

**§ 141. ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება.
ბრძოლა სათავადოების წინააღმდეგ**

ირანი მმ-18 საუკუნის 60-იან წლებში და მრეკლეს პოლიტიკა. ამ დროს ირანში მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. ბრძოლა ირანის ტახტის მაძიებელთა შორის დასასრულს მიუახლოვდა. ქერიმ-ხან ზანდ მა ყველა თავისი შეტოქე დაამარცხა და 1761 წლიდან თითქმის ირანს განაგებდა.

მაგრამ ვიდრე ირანის ტახტის მაძიებელთა შორის ომი მიმდინარეობდა, ერეკლემ ერევანი და განჯა ისევ დაიმორჩილა (1760 წ.).

ერეკლე იშვიათი ოსტატობით ერკვეოდა ერთმანეთის შეტოქე ხანების ძალთა შეფასებაში და საჭირო თადარიგს ყოველთვის თავის დროზე იჭერდა. როცა ქერიმ-ხანი სხვა ხანებზე შეტად გაძლიერდა, ერეკლემ მას ერთი დიდი სამსახური გაუწია: 1760 წელს ქერიმის მიერ დამარცხებული აზატ-ხანი ერეკლეს ხელში ჩაუვარდა. მეფემ ეს ძვირფასი ტყვე, თავისი ძველი მტერი, მხარშეკრული, მის შეტოქეს გაუგზავნა.

ამ სამსახურის სამაგიეროდ ქერიმ-ხანმა იცნო ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება, აგრეთვე — ერეკლეს უფლება განჯა-ერევნის სახანოებზე, და ამით აღიარა საქართველოს მეფის უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

ეს ფაქტი ქართველთა დიდი პოლიტიკური გამარჯვება იყო. ამიერკავკასიაში ჰეგემონობის ერეკლესული გეგმა თანდათან მკვიდრ წარმატებაში შედიოდა. ამის გამო სიხარული შესდგომოდათ არა მარტო ქართველ პატრიოტებს, რომელთაც ამ ფაქტში ძველი ძლიერი საქართველოს აღდგენა ეჩვენებოდათ. მრავალი არაქართველი (სომეხი, ასორი...) მოღვაწე ამიერკავკასიაში და მის მეზობელ ქვეყნებში თავისი ხალხის უკეთეს მომავალს ერეკლეს ამ პოლიტიკურ გეგმას უკავშირებდა და მზად იყო საქართველოს მეფის ხელმძღვანელობით ქართველებთან ერთად ებრძოლნა ამ გეგმის განხორციელებისათვის. ასე რომ ერეკლე ამიერკავკასიის ხალხთა გაერთიანების მოღვაწედ გამოდიოდა.

ქართლ-კახეთის გაერთიანება. ბრძოლა თავადებთან. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ერეკლემ, ამრიგად, მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა. არანაკლები მნიშვნელობისა იყო ერეკლეს შინაპოლიტიკური მიღწევა. თეიმურაზის გარდაცვალების უმაღლეს ერეკლემ თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა. ამიერიდან ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ იქცა.

თავისი მიზნებისათვის ერეკლე მეფე მარტო გარეშე მტრებს კი არ ებრძოდა, კიდევ უფრო მძიმე ბრძოლა ჰქონდა მას თავადებთან.

თეიმურაზისა და განსაკუთრებით ერეკლეს სახელმწიფო მოღვაწეობა პროგრესულ მიზანს ემსახურებოდა. დაუღალავი ბრძოლით მათ აღადგინეს ქართველობა და მის განმტკიცება-უზრუნველყოფას აღევდნენ ძალღონეს. მაგრამ სწორედ აქ ელოდათ მათ ყველაზე დიდი დაბრკოლება, რომლის გადაულახავად დასახული მიზნის საკვებით მიღწევა შეუძლებელი იყო. ეს დაბრკოლება იყო სათავადოების არსებული სისტემა.

სათავადოების სისტემა საქართველოს ჩამორჩენილობას ემყარებოდა და თავისი მხრით ამ ჩამორჩენილობას ემსახურებოდა. ამიტომაც საქართველოს აღდგენისათვის ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, „აღდგომისათვის“ ბრძოლა სათავადოების სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას მოითხოვდა. ერეკლე ამ ბრძოლის თავდადებული გმირი იყო.

თეიმურაზმა და ერეკლემ ჯერ კიდევ 1743 წელს შეუტყეს ერთ-ერთს უძლიერეს სათავადოს. ამ დროს აჯანყებულმა არაგველებმა ბეჟან არაგვის ერისთავი მოკლეს. თეიმურაზმა არაგველები მიიმხრო და საერისთავო თავისთვის საკუთრად დაიჭირა.

1744 წელს თეიმურაზმა ქსნისხეველებიც გადმოიბირა და ქსნის საერისთავო გივი ამილახვარს წაართვა.

ასე რომ თეიმურაზისა და ერეკლეს ბატონობა არაგვის საერისთავოს გაუქმებითა და თავადებთან ბრძოლით დაიწყო. ქართლის თავადები

მტრულად უყურებდნენ თეიმურაზსა და ერეკლეს. მათ არ მოსწონდათ ამ მეფეების მოქმედება, თავადების პოლიტიკური უფლებების წინააღმდეგ რომ იყო მიმართული. მათ არ სურდათ ქართლ-კახეთის გაერთიანება, მეფეს რომ აძლიერებდა. თეიმურაზისა და ერეკლეს მოღვაწეობამ საფასურით გამოაშკარავა თავადების ბრძოლის რეაქციული ხასიათი. თავისი თავადური მიზნებისათვის ბრძოლაში ეს რეაქციონერები ერთნაირი ზალისით უკავშირდებოდნენ საქართველოს ყველა მტერს: ყიზილბაშებს, ოსმალებს, ლეკებს და სხვებს.

1747 — 1748 წლებში ქართლის რეაქციონერი თავადების სამეფო კანდიდატი მაჰმადიანი აბდულბეგი იესეს ძე იყო. მწვავე ბრძოლა ერეკლეს გამარჯვებით დასრულდა. 1751 — 1756 წლებში თავადების სასოება აზატ-ხანი იყო. აზატ-ხანს შეხიზნოდნენ აბდულა-ბეგის შვილები, რომელნიც „ქართლის შოვნას“ საქართველოს ამ მოსისხარი მტრის დახმარებით ცდილობდნენ. ამავ ხანებში ქართლის თავადებს თეიმურაზისა და ერეკლეს მოწინააღმდეგე ფალანგები რუსეთშიაც ეგულებოდათ. იქ ხომ ქართლის სამეფო ტახტის „ნამდვილი მემკვიდრეები“, ბაქარის ძმა და შვილები, ისხდნენ; ისინი ქართლში გაბატონებაზე ოცნებობდნენ და თეიმურაზისა და ერეკლეს მოღვაწეობას, რაც გაეწყობოდათ, ხელს უშლიდნენ.

1760-იანი წლებიდან მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ქართლის თავადებს გარედან დახმარების იმედები თითქმის გადაეწურათ: ქერიმ-ხანი ერეკლეს მეგობრობდა, რუსეთიდან დახმარების მოლოდინი აღარ იყო, ოსმალეთიც ეხლა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის საქმეებში აღარ ერეოდა, ხოლო ახლობელი ხანები ერეკლეს ან ემორჩილებოდნენ, ან უსმენდნენ და მის წინააღმდეგ გამოსვლას ვერ ბედავდნენ.

„მარკოზაშვილის დარბაზი“. ამ ახალ პირობებში რეაქციონერ თავადებსაც ბრძოლის ხერხი უნდა შეეცვალათ. რაკი გარედან შეელის იმედი გადაუწყდათ, შინაური მტრები შეთქმულება-ტერორის გზას დაადგნენ, მათ მეფისა და მთელი მისი ოჯახის გაწყვეტა განიზრახეს. ამ საქმეს თავისი ხელმძღვანელი გამოუჩინდა. ეს იყო პაატა ბატონიშვილი, ვახტანგ მეფის უკანონო შვილი. მალე პაატა ბატონიშვილის სადგომი, ვინმე მარკოზაშვილის დარბაზი, შეთქმულების ბუდედ იქცა. 1765 წელს, როცა შეთქმულები უკვე მზად იყვნენ განაზრახის სისრულეში მოსაყვანად, საქმე გასცა სამშვილდელმა გლეხმა დათუნა ფეიქარმა.

მეფემ სწრაფად დააპერიწა შეთქმულების მეთაურები. ერეკლეს კარგად ესმოდა ამ საქმის საზოგადოებრივი აზრი. მან იცოდა, რომ შეთქმულებს სხვა მომხრეებიც ჰყავდათ. მეფემ დარბაზის სახლშია მოიწვია, საქმე გასარჩევად მას გადასცა და თვითონ-კი მოჩივარის როლში გამოვიდა. დარბაზს საქმე განიხილა, დამნაშავეებს ქონება ჩა-

მოართვა და მეფეს ნასისხლად¹ მისცა, შეთქმულების მეთაურები კანონის თანახმად დასაჯეს.

ამ გამარჯვების შემდეგ მეფე კიდევ უფრო გაძლიერდა. „მარკოზანების დარბაზელები“ ფიზიკურ დამარცხებასთან ერთად მორალურადაც დამარცხდნენ. რა თქმა უნდა, რეაქციონერები ამით არ გამქრალან და მათ არც მეფის წინააღმდეგ მოქმედება შეუწყდებოდათ. მაგრამ შექმნილი პირობების შესაფერისად მათ ბრძოლის ხერხი შესცვალეს და ამის შემდეგ მეფის წინააღმდეგ ტერორი აღარ უცდიათ.

ქვეყნის გაერთიანებისა და მეფის ხელისუფლების გაძლიერების გზაზე ერეკლეს ამ დროს სხვა წარმატებებიც ჰქონდა. 1755 წელს მან ყაზახში ხანობა გააუქმა და ეს ქვეყანა სამოურავოდ აქცია. 1765 წლისათვის კი ბორჯაღო-ბაიდარსაც მეფის მოურავები განაგებდნენ.

§ 142. ერეკლეს საგლეხო პოლიტიკა

გარეშე თუ შინაურ მტრებთან ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებათა მიუხედავად ერეკლე მეფე კარგად ხედავდა, რომ საქართველო ჯერ კიდევ სამშვიდობოს არ იყო გასული, რომ ქვეყნის თავისუფალი მომავალი ჯერ კიდევ უზრუნველყოფილი არ იყო. მტრები მოყვრებად არ იყვნენ გადაქცეულნი, ისინი მხოლოდ მიუყუჩებული იყვნენ და ხელსაყრელი ტაროსის მოლოდინში შეტევაზე გადმოსასვლელად ემზადებოდნენ. აუცილებელი იყო ქვეყნის ყოველმხრივი განმტკიცება, რომ მოსალოდნელი განსაცდელი საბედისწერო არ გამხდარიყო.

მაგრამ ქვეყნის განმტკიცება, მისი ეკონომიური და სახელმწიფოებრივი გაძლიერება გლეხთა საკითხის მოგვარების გარეშე შეუძლებელი იყო.

გვიანფეოდალურ საქართველოში გლეხთა საზოგადოებრივი და ქონებრივი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. მებატონე არ სცნობდა ყმა-გლეხის რაიმე უფლებას და როგორც ყმას, ისე მის ნაჭირნახულებსაც თავის სრულ საკუთრებად სთვლიდა.

ბატონისა და ყმის ურთიერთობას მწვავე კლასობრივი ბრძოლის ხასიათი ჰქონდა. ნებითა და სიამტკბილობით ქართველი გლეხი თავის მებატონეს არაფერს უთმობდა. გლეხები თავგამოდებით ებრძოდნენ ბატონების უსამართლობას, ჩიოდნენ მეფესთან და მისგან „განკითხვას“ ითხოვდნენ, ეურჩებოდნენ უმართებულო ბეგარას და იარაღით იცავდნენ თავის უფლებებს. ხოცავდნენ გამხეცებულ მებატონეებს, სტოგებდნენ გაუმაძღარ მძარცველებს, აბრაგად დადიოდნენ ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, „ყაზახობდნენ“, სხვაგან გარბოდნენ. აყრა-გაქცევა

¹ ნ ა ს ს ზ ლ ი — საზღვარი კაცის მოკვლისა თუ მოკვლის განზრახვისათვის.

გლახთა ბრძოლის მეტად ფართოდ გავრცელებული სახე იყო, მაგრამ აყრა საქართველოს ინტენსიურ მხურნეობასთან სრულიად შეუთავსებელი იყო. აყრა გლახის ეკონომიურ განადგურებას ნიშნავდა. აყრილი გლახი, ან ასაყრელად მზადმყოფი ინტენსიურ მხურნეობას (ესე იგი, მიწის გაპატივებასა და მრავალწლიან კულტურებს — მებაღეობას, მევენახეობას, აგრეთვე მეაბრეშუმეობას და სხვ.) ხელს ვერ მოკიდებდა. მისი ზვედრი ღარიბობა და ბოგანობა იყო. აყრილთა, ხიზანთა და ბოგანთა¹ სიმრავლე ცხადად მოწმობდა ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი ცხოვრების სიღატაკს.

ასეთ პირობებში მყოფი გლახობა მტრების წინააღმდეგ ძველებური მხნეობით ვერ იბრძოდა. ლატაკს, დაბეჩავენულს, ნახევრად უიარაღოს, მას თავდაცვის მცირე უნარი შესწევდა, ხოლო მძარცველი მებატონისა და მისი ქონების დაცვის ხალისი გლახს არ ჰქონდა. ქართველ გლახს რომ უცხოელ მტრებთან ბრძოლის უნარი დაბრუნებოდა, მას უნდა დაბრუნებოდა ბატონების მიერ მიტაცებული უფლებები. რომელნიც ყმას მონისაგან განასხვავებდნენ.

ქვეყანა ძალზე დაზარალებული იყო და გლახთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირებული. ისინი გასწყვიტეს ან დაატყვევეს ყიზილბაშებმა, ოსმალებმა, ლეკებმა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ისინი აუტანელმა ბატონყმურმა პირობებმა გადააშენა.

ერეკლეს კარგად ესმოდა ეს გარემოება. იგი ხედავდა, რომ გლახებში მხოლოდ ლეკიანობამ კი არა, არამედ კიდევ უფრო „უსამართლობამ გარეკა საქართველოდან“, როგორც თვითონ გლახები ჩიოდნენ, და მეფეც მთელი რიგი ღონისძიებით ცდილობდა გლახობის გადარჩენას, რადგანაც კარგად ამჩნევდა, რომ საქართველოს დაძაბუნების უმთავრესი მიზეზი „გლახი-კაცის ამოწყვეტა“ იყო.

ერეკლეს საგლახო კანონები მიზნად ისახავდა გლახთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ კანონებით გლახს უნდა დაბრუნებოდა უფლებები, რომლებიც მათ მებატონეებთან ბრძოლაში დიდი ხანია დაკარგეს. მონის მდგომარეობიდან, რომელშიაც გლახი მოქცეულიყო, ის ისევ „ნახევრად-თავისუფალი, ადამიანი“ მდგომარეობას უნდა დაბრუნებოდა.

ერეკლე მეფე ენერგიულად ერეოდა ბატონისა და ყმის დამოკიდებულებაში. იგი როგორც ბატონისაგან, ისე გლახისაგან სასტიკად მოითხოვდა „ბატონ-ყმობის რიგის“ დაცვას, ესე იგი ძველადვე შემუშავებულ საბატონყმო უფლება-მოვალეობათა შესრულებას. ერეკლე ამ საქმეში მებატონეებისადმი დათმობას არ აპირებდა. „რომელიც ამათიღებულება არ არის და არა სდებიათ, იმის გარდა თუ მეტი რამ მოინ-

¹ ხიზანი და ბოგანო მამაპაპეული ადგილიდან აყრილსა და უცხო მხარეში თავშეფარებულ გლახებს ეწოდებოდა.



შეგრული ფეოდალის ოჯახი, XVII ს.

მარტვილის ფრესკა.

დომეთ, ჩვენგან მოსაკითხავი იქნება. ამათ სამართლიანის საქმით მოე-
ქცეთ, თორემ თუ კიდეც ამათ ჩვენთან გიჩივლესთ, იცოდეთ რომ გიწ-
ყენთ“-ო. ასე აფრთხილებდა ერეკლე მებატონეს. რომლის გლეხებიც
მეფესთან ჩიოდნენ „არასამართლიანის საქმით“ ბატონის მიერ თავის
შევიწროებას.

კიდეც უფრო მნიშვნელოვანი ჩანს ერეკლეს ბრძანება თავადისადმი:
„თუ რომ თქვენი მსმუღლიდან გემკვიდრე კაცი აიყარა და წავიდა სადმე,
ერთი კაცი რომ აიყაროს, იცოდეთ, დიად ავად მოგეპყრობით და გარ-
დაგახდევინებთ“-ო. ასეთი ბრძანებით მეფე გლეხთა მოსახლეობისათ-
ვის პასუხისმგებლობას ბატონს აკისრებდა. მკვიდრი ყმების აყრა-გაქ-

ცევის უმთავრესი მიზეზი-კი ბატონების მიერ ყმათა უსაზღვრო ჩაგვრა იყო. სახელმწიფო ავალებდა ბატონს მკვიდრი ყმების უკლებლად დაცვას. ბატონი-კი ამას მხოლოდ მაშინ შესძლებდა, თუ ყმისაგან „მეტს არ მოინდომებდა“, თუ ყმას „უღებს არ დასდებდა“, თუ „ძალასა და უსამართლოს“ არ უზამდა და იმას დასჯერდებოდა, რაც „დებულება იყო“, ესე იგი თუ თავის მძარცველურ მადას საზღვარს დაუდებდა.

ამავე ხანებში ერეკლემ აუკრძალა მებატონეებს გლეხაკის ოჯახის წევრების ცალ-ცალკე გაყიდვა. გამოიცა აგრეთვე კანონი, რომლის თანახმად უცხოეთის ტყვეობიდან თავისი ნებითა და გარჯით შინ დაბრუნებული გლეხი თავისუფლდებოდა ძველი მებატონის ყმობისაგან.

დასასრულ, აღსანიშნავია ერეკლეს დამოკიდებულება ხიზნებისადმი. მეფე ენერგიულად ცდილობდა დაეცვა ისინი მასპინძელ-მებატონეთა ძალმომრეობა-ჩაგვრისაგან.

აღნიშნული ღონისძიებებით ერეკლე ბატონყმობის გაუქმებას მიზნად არ ისახავდა. მეფის მიზანი ბატონყმური დამოკიდებულების მოწესრიგება იყო, რომ ქვეყანას განვითარება-გაძლიერების უნარი დაბრუნებოდა.

შოკლედ, ერეკლეს საგლეხო პოლიტიკა მიმართული იყო აყრილ-დაკარგულთა, ხიზან-ბოგანოთა რიცხვის შემცირებისაყენ და სამშობლოს დამცველ მემკვიდრე გლეხთა, შეძლებულ, გამომღებ მიწის მუშათა გამრავლებისაყენ.

გასაგებია, რომ ერეკლეს ასეთი საგლეხო პოლიტიკა თავადების გულისწყრომასა და წინააღმდეგობას ზრდიდა.

სამაგიეროდ ერეკლე უყვარდა ხალხის ფართო ფენებს, განსაკუთრებით, გლეხობას, რომელიც თავადების წინააღმდეგ მებრძოლ მეფეს თავის მფარველ-მოჭირნახულედ სთვლიდა.

აქედან.

§ 143. დასავლეთი საქართველო მე-18 საუკუნეში

დასავლეთ საქართველოში მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ფეოდალური არეულობა შეუწყვეტლად გრძელდებოდა. სათაჯადოების სისტემა აქ შეუზღუდველად ბატონობდა. მეფის ხელისუფლება უკიდურესად დაცემულიყო. სამეფო-სახასო ქვეყნები, ციხე-სიმაგრეები მთავრებსა და თავადებს მიეტაცნათ. ძლიერდებოდა ოსმალთა გავლენა იმერეთში.

1723 წელს ოსმალებმა ფოთი დაიპყრეს, აქ ფაშა დასვეს და ის ზღვის სანაპიროს მმართველად დანიშნეს, შემუსრეს ძველი რუხის ციხე და ანაკრიის ციხე ააშენეს. ოსმალთა ხელში იყო ამავე დროს ბათოში, ციხისძირი, სოხუმი.

მტრის ასეთი გაძლიერება მეტისმეტად სახიფათო იყო. ოსმალთა ხელში ეს ციხეები ტყვის მსყიდველთა ბუნაგებად იქცნენ. ციხისა და

მის გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობა თანდათან მაჰმადიანად
ბოდა. ოსმალები ამ ციხეებიდან ადვილად ერეოდნენ ფეოდალების ურ-
თიერთობაში და ქვეყნის საბოლოოდ დასაპყრობად თანდათან გზას
იკვლევდნენ.

სოლომონის გამეფება. 1752 წელს იმერეთში ახალგაზრდა სო-
ლომონ ალექსანდრეს ძე გამეფდა. ამ დროს იმერეთში უძლი-
ერესი თავადები იყვნენ ლევან აბაშიძე და როსტომ რაჭის
ერისთავი. ხსენებული თავადები მთავრობას იჩემებდნენ, აბაშ-
იძე — არგვეთისას, ერისთავი — რაჭისას, და ამ ნიადაგზე მათ სასტიკი
მტრობა ჰქონდათ სოლომონის მამასთან — მეფე ალექსანდრესთან. ახალ-
გაზრდა სოლომონი მამის ნაკვალევს გაჰყვა და ამ თავადების დამორჩი-
ლებას ცდილობდა. საერთოდ, სოლომონს ფართო სამოქმედო გეგმა
ჰქონდა: მტკიცე სამეფო ხელისუფლების შექმნა,
დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და ოსმალ-
თა ბატონობის მოსპობა. ამ მხრით სოლომონის მოღვაწეობა
ერეკლესას ჰგავდა.

ბრძოლა ტყვის სყიდვის წინააღმდეგ. სოლომონის მდგომარე-
ობა მეტად მძიმე იყო. სამეფო ქონება დიდხანია თავადებს მიეცანათ
და წვრილი ფეოდალებიც ძლიერი თავადების გავლენის ქვეშ იყვნენ.
საჭირო იყო ყრთხილი და მოხერხებული მოქმედებით ძალების თანდა-
თან შემოკრება. თავისი მოღვაწეობა მეფემ მაჰმადიანობის
გავრცელებისა და ტყვის სყიდვის წინააღმდეგ
ბრძოლით დაიწყო. ორივე უპარესად მტკიცეული საკითხი იყო.
და იმერეთის ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილს აღნიშნულ
მოვლენებთან ბრძოლა საჭირო საქმედ მიაჩნდა. ამიტომ ამ საკითხე-
ბის გარშემო ძალების გაერთიანება ყველაზე უფრო იყო შესაძლებელი.
მეფემ თავის მოღვაწეობას ამით მტკიცე იდეური დასაყრდენი მოუპო-
ვა: ის ქართველობისათვის ბრძოლის მეტაურად გა-
მოდირდა.

**წვრილი ფეოდალების თანდათან შემოკრება, ლაღიანისა
და გურიელის შემოკრება.** მეფემ წვრილი თავადები თანდათან
შემოიკრიბა. ამავე დროს სოლომონმა მოხერხებულად შემოიკრიბა უძ-
ლიერესი ფეოდალები — ოტია და დიანი და მამია გურიე-
ლი. ამით მეფემ მტერი გაიმარტოვა: ერისთავსა და აბაშიძეს ძლიერი
მომხრეები შემოაცალა.

მეფე-მთავრების ეს შეთანხმება ოსმალებს არ ესიამოვნა. მისთვის
განსაკუთრებით უსიამოვნო იყო მეფისა და მისი მომხრეების ბრძოლა
ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. თანდათან სოლომონმა თავის სამეფოში
თითქმის სავსებით მოსპო ეს საშინელი სენი. ახალციხის ფაშამ არა-
ერთგზის შემოუთვალა მეფეს, რათა ტყვის სყიდვა იმერეთში ძველებუ-
რად ნებადართული ყოფილიყო. სოლომონმა ეს მოთხოვნა არ შეასრუ-



სოლომონ პირველი.

მუხეშვი „მეტეხი“.

ლა და ტყვის სყიდვა საერო და საეკლესიო სასჯელით სასტიკად აკრძალა.

ხრესილის ომი. მაშინ ოსმალეთის ზონთქარმა სოლომონის დასჯა ბრძანა. ლევან აბაშიძესა და როსტომ ერისთავს თავისი დრო დაუდგათ. აბაშიძე ახალციხეს გაიწა და მტერს სოლომონისა და მის მომხრეთა წინააღმდეგ იმერეთზე წამოუძღვა. მეფეს დადიანისა და გურიელის რაზმები მოეშველნენ.

დეკემბერში, 1757 წელს, ოსმალთა დიდი ჯარი იმერეთში შემოვიდა. ქვეყნის მოღალატეები თავისი რაზმებით მტერს მიუვიდნენ. ახალგაზრ-

და სოლომონი შესანიშნავი სარდალი და ყოვლად უშიში მეომარი აღმოჩნდა. მან ადვილად შეიტყუა თავის სიმრავლეს მინდობილი ოსმალები მოხერხებულ ადგილას, ოკრიბაში, ხ რ ე ს ი ლ ო ს მ ი ნ დ თ რ ზ ე, და ისე გაბედულად დაესხა მტერს თავს, რომ სულ ერთიანად მოშალა იგი. ოსმალთა სარდლები დაატყვევეს, ან დახოცეს. მათი ჯარის დიდი ნაწილი გაწყდა, მრავალიც ტყვედ იგდეს ხელში. ამ ომში მოკლულ იქნა ლევან აბაშიძე. ხოლო როსტომ რაჭის ერისთავმა და ოსმალთა ჯარის მცირე ნაშთმა თავს გაქცევით უშველეს.

მეფემ აბაშიძის სათავადო საბოლოოდ დაიმორჩილა, ამ სათავადოდან თვითონ ლევან აბაშიძის წილი სამეფო საკუთრებად გამოაცხადა, სხვა აბაშიძეები-კი ფიცით შემოიბრტყია და სააბაშიოს ნაწილი მათ წყალობად მისცა. ასევე ჩამოართვა მეფემ ყმა-მამული სხვა დამნაშავე ფეოდალებსაც. როსტომ ერისთავი ამ ჯერობაზე დაუსჯელი გადარჩა: ფეოდალებმა შემოარიგეს სოლომონს ეს ძლიერი თავადი, რომელმაც მეფეს ერთგულება შეჰფიცა.

ამრიგად, ხრესილის ომის შედეგად მეფე შესამჩნევად გაძლიერდა, მისი ავტორიტეტიც დიდად გაიზარდა.

სოლომონისა და ერეკლეს კავშირი. 1758 წელს იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეებმა ერთმანეთთან სამხედრო კავშირი დასდევს: „რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდესო, ერთმანეთს მივეშველნეთო“. ეს კავშირი ერეკლესა და სოლომონს შორის 1770 წლამდე არ დარღვეულა.

სოლომონის უამდგომი გაქლიერება. მმართველი წყაბის საერთო კრება. ოსმალეთს ხრესილთან დამარცხება ვერ მოენელებინა და იმერეთის მეფის დამორჩილებას დაჟინებით ცდილობდა. 1758 წელს სოლომონ მეფისა და ოსმალთა ჯარებს შორის ორჯერ ომი მოხდა. პირველად ოსმალებმა გაიმარჯვეს, მეორედ-კი ისინი სასტიკად დამარცხდნენ. სოლომონ მეფის სახელი და გავლენა ამით დასავლეთ საქართველოში კიდევ უფრო გაიზარდა.

მეფემ ისარგებლა ამ გამარჯვებით და სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისა და იმერეთის გაერთიანების გზით ახალი ნაბიჯები გადადგა. 1759 წელს, დეკემბერში, სოლომონმა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და საერო ფეოდალების საგანგებო კრება მოიწვია. ეს კრება მთელი თვე გაგრძელდა და მან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო. მსჯელობის საგანი მთელი დასავლეთ საქართველოს საერთო საკითხები იყო.

ამ კრების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დადგენილება იყო ტყვის სყიდვის აკრძალვა დასავლეთ საქართველოში.

1759 წლის კრებაზე სოლომონ მეფე მთელი დასავლეთ საქართველოს საერთო საქმეებში ხელმწიფედ გამოდიოდა, ხოლო მთავ-

რები (დადიანი, გურიელი) და თავადები მისი „მორჩილი და ბრძანების აღმასრულებელი“ იყვნენ. ეს მოვლენა სოლომონ მეფისა და იმდროინდელი ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილის დიდი გამარჯვება იყო.

მთავრები და, კიდევ უფრო, იმერეთის თავადები, გასაგებია, შიშნარევი ეპიკით უცქეროდნენ მეფის ასეთ გაძლიერებას. განსაკუთრებით მოუსვენრად იყო როსტომ რაჭის ერისთავი. მას ამის საბუთიც ჰქონდა. აბაშიძის სახლის დამდაბლების შემდეგ ჯერი ერისთავზე იყო მიმდგარი. ამის პირველი ნიშანი ის იყო, რომ ერისთავის წინააღმდეგ რაჭაში მეფემ ერისთავის მოქიშპე წულუკიძეები დაიხლოვა. ამავე დროს დამდაბლებულ აბაშიძეთა ადგილზე სოლომონმა წერეთლის სახლი წამოსწია.

1763 — 1768 წლებში იმერეთის ხალხი სოლომონ მეფის მეთაურობით გმირულად ებრძოდა ოსმალთა დამპყრობელებს და მათს დამხმარე თავადებს. სოლომონმა არა ერთგზის დაამარცხა ოსმალთა რაზმები, არა ერთი ორგული თავადი დასაჯა. შეუდრეკელი ბრძოლით იმერეთის ხალხმა აიძულა ოსმალეთი ხელი აეღო ქვეყნის საბოლოოდ დამპყრობის განზრახვაზე. მტერმა მეფესთან საზავო მოლაპარაკება დაიწყო. სოლომონმა კარგად იცოდა მტრის ვერაგობა და მასთან ზავის სიმტკიცე არა სწამდა, მეფე შემდგომი ბრძოლისათვის ემზადებოდა და ძლიერ მოკავშირეს ეძებდა.

სოლომონი მიმართავს რუსეთს. იმერეთში კარგად იცოდნენ რუსეთ-ოსმალეთის ძველიდანვე მტრობის ამბავი და სოლომონ მეფეც თავის გეგმას ამაზე აგებდა. 23 ივნისს, 1768 წელს, სოლომონმა საგანგებო ელჩი, მაქსიმე ქუთათელი, გაგზავნა რუსეთს. სოლომონი რუსთა ხელმწიფეს მფარველობას სთხოვდა, სამაგიეროდ რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს დახმარებას აღუთქვამდა მას.

§ 144. რუსეთ-ოსმალეთის ომი 1768 — 1774 წლებში და საქართველო

ომის მონაწილეთა მიზნები და გეგმები. სწორედ ამ დროს რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. ორივე მხარე მტრის ქვეყანაში ან მის მეზობლად მყოფი მცირე ხალხების ამხედრებას ლაშობდა, დაჩაგრულებს უსჯულო მტარვლების ხელიდან გამოხსნას პირდებოდა და აჯანყება-ომისაკენ მოუწოდებდა. რუსეთი ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ქრისტიანი ხალხების მიმხრობას ცდილობდა, ოსმალეთი — ყირიმისა და კავკასიის მუჰამადიანებისას.

რაც შეეხება საქართველოს, სოლომონიცა და ერეკლეც მზად იყვნენ ოსმალეთის წინააღმდეგ ომი დაეწყოთ, მაგრამ ამისათვის მათ აუცილებლად მიაჩნდათ რუსეთიდან ჯარითა და ფულით დახმარების მიღება.

ქართველები ამ საქმეში სრულიად გარკვეული მიზნებით ხელმძღვანელობდნენ. სოლომონს რუსეთის ჯარი თავისი საშინაო და საგარეო გაძლიერებისათვის უნდოდა. რუსთა ძალის შემწეობით მეფე თავადებსა და მთავრებს დაიმორჩილებდა, ოსმალთა მიერ მიტაცებულ ქვეყნებს დაიბრუნებდა და დამპყრობელებს იმერეთიდან საბოლოოდ გააძეევებდა.

ასეთივე დიდი საკითხების გადაჭრას ფიქრობდა ერეკლეც ამ ახალი ძალის დახმარებით.

რუსეთის დახმარებით ერეკლე ოსმალეთის მიერ მიტაცებული მესხეთის შემოერთებას, ქარბელაქნის დაპყრობასა და ქართლ-კახეთში „ლექიანობის“ მოსპობას აპირებდა. ამას გარდა, რაკი საქართველო ამიერიდან რუსეთთან კავშირში იქნებოდა, ეს ოსმალეთისა და ირანის თავდასხმეებისაგან დაიცავდა მას მომავალში.

რუსეთის ჯარის ამიერკავკასიაში შემოსვლა ერეკლესა და მის თანაგამზრახთ ახალ ხანად ეჩვენებოდათ.

რუსეთის მიზანი კი იყო: ოსმალთა წინააღმდეგ ომით ქართველებს მტრის დიდი ძალები უნდა დაებანდებინათ, რომ ამით ომის მთავარ ფრონტზე მტერს ხელი შეშლოდა.

რუსთა ჯარის შემოსვლა საქართველოში. 1769 წელს, ზაფხულის გასულს, რუსთა ჯარი გენერალ ტოტლებენის სარდლობით საქართველოში შემოვიდა.

ტოტლებენი ზნედაცემული კაცი იყო. დიდი საქმისათვის საჭირო მას არც ხალისი გააჩნდა, არც ნიჭი. პირადი გამდიდრება-განდიდება იყო მისი მთავარი საზრუნავი.

საქართველოს მეფეებს ეს გენერალი იმთავითვე ვერ შეეგუა. ტოტლებენს განსაკუთრებით ის არ მოსწონდა, რომ ერეკლესა და სოლომონს საკუთარი მიზნები ჰქონდათ. საქართველოს ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევას ის საჭიროდ არ სთვლიდა და ერეკლე-სოლომონის მხრით უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა.

ერეკლე და სოლომონი-კი ასეთი მორჩილების მოსურნე არ აღმოჩნდნენ. ამიტომ ტოტლებენმა წყალობის თვალთ შეხედა სოლომონ მეფესა და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება-გაძლიერების მტრებს — დადიანსა და გურიელს. ერეკლეს წინააღმდეგაც გენერალმა ქართლის რეაქციონერი თავადები დაიახლოვა — დავით ქსნის ერისთავი, ზაალ ორბელიანი, მაჩაბელი, ამირეჯიბი და სხვები.

ასპინძის ომი. მარტში, 1770 წელს, ერეკლე და ტოტლებენი ახალციხის საფაშოზე სალაშქროდ გაემართნენ. აპრილის შუა რიცხვებში

რუს-ქართველთა ჯარი აწყურის ციხეს შემოადგა. მაგრამ ის იყო ომ-
გაჩაღდა, რომ ტოტლებენი თავისი ჯარით უეცრად უკან გაბრუნდა.

ტოტლებენის საქციელმა ქართველთა ჯარში აღშფოთება, არეუ-
ლვა და შიში გამოიწვია. მტერმა რაკი ეს შეამჩნია, გული მოიცა, ცინი-
დან გამოვიდა და ქართველებს თავს დაესხა. ერეკლემ ჯარის რჩეული
ნაწილი შეახვედრა მტერს და დაზარალებული ის ისევ ციხეში შეერეკა.
მეორე დღეს ერეკლე თავისი ჯარით ასპინძის მიმართულებით წავიდა.
ასპინძას მისულს მას ახალქალაქიდან წამოსული 1500 ოსმალო შემოე-
ყარა. რჩეულ მხედართა რაზმით ერეკლე ფიცხლავ ეკვეთა მტერს,
დაამარცხა ის და უკუაქცია. ამის შემდეგ ნახევარი საათი არ გასული-
ყო, რომ ოთხი ათასი კაცისაგან შემდგარი ლეკ-ოსმალთა რჩეული მხედ-
რობა გამოჩნდა ახალციხის მხრიდან. ერეკლეს ბრწყინვალე სამხედრო
ნიჭმა კიდევ ერთხელ გაიმარჯვა და ოსმალთა ჯარი სასტიკად დამარცხ-
და. თურქებიდან მხოლოდ რამდენიმე ათეულმა კაცმა უშველა თავს გა-
ქცევით. მტერმა სამი ათასამდე მოკლული დაკარგა. სხვები მტკვარში
დაიხრჩვენ ან ტყვედ ჩავარდნენ. ქართველთა ზარალი ფრიად უმნიშე-
ნელო იყო. ეს მოხდა 1770 წლის 20 აპრილს.

ერეკლემ ამ დიდი გამარჯვებით ვერ ისარგებლა. მას დიდად აფიქ-
რებდა ტოტლებენის აწყურიდან წასვლა და ქართლის საქმეები. 29 აპ-
რილს მეფე სასწრაფოდ თბილისს დაბრუნდა.

ტოტლებენი ანანურს მისულიყო და აქ რუსეთიდან ახალ ჯარს
ელოდა.

ტოტლებენის განჯარახვა. ერეკლესა და ტოტლებენს შორის და-
მოკიდებულება საცესებით გაფუჭდა. გენერალს მეფის ტახტიდან ჩამოგ-
დება და საქართველოს დაპყრობა დიდხანია გადაწყვეტილი ჰქონდა.
ეხლა, როცა აწყურიდან წასვლით ვერაფერს მიაღწია, მან ქართლის და-
პყრობის საკითხი რუსთა კორპუსის სამხედრო საბჭოში დასვა და დას-
ტურიც მიიღო. ამ საქმეში ტოტლებენის ერთგული მოკავშირე იყვნენ
ქართლის რეაქციონერი თავადებიც. გენერალმა საქმე დაიწყო: ციხე-
ქალაქების დაშერასა და ხალხის რუსთ ხელმწიფის ერთგულებაზე და-
ფიცებას შეუდგა.

მაგრამ ერეკლეს საპასუხო ენერგიულმა მოქმედებამ ტოტლებენი
შეაშინა და მას განჯარახვაზე ხელი ააღებინა.

ტოტლებენი იმერეთში. ტოტლებენმა მიიღო დამხმარე ძალები და
ეხლა იმერეთს წავიდა. ამასობაში სოლომონ მეფეს ცუცხვათისა და შო-
რაპნის ციხეებიდან ოსმალები გაერეკა, ქუთაისის ქალაქიც დაეპყრო და
ციხეც შეეხუთა. 2 ივლისს ტოტლებენმა ბაღდადის პატარა ციხე წაართვა
ოსმალებს. ამის შემდეგ რუს-იმერელთა ჯარმა, ქუთაისის ციხეც აიღო
ნ აგვისტოს.

მაგრამ ტოტლებენს ვერც სოლომონი გაეწყო და ჩქარა მათ შორის
შეკარა უკმაყოფილება ჩამოვარდა.

ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ტოტლებენი უკვე ფოთს შემოადგა, ბენერალმა განაზრახი ვერ შეასრულა და ციხე ვერ აიღო, ის ძლიერ გამაგრებული აღმოჩნდა. მოკავშირე მთავრებიც — დადიანი, გურიელი, შარვაშიძე — მეტად საეჭვოდ მოქმედებდნენ.

6 თებერვალს ტოტლებენი მოეხსნა ფოთს და ხელცარიელი უკან გაბრუნდა.

ეხლა რუსეთის სამეფო კარიც დარწმუნდა, რომ საქართველოში „ტოტლებენი რუსეთს უფრო სირცხვილს უზვევდა, ვიდრე სახელს“. უფარგისი გენერალი გამოსცვალეს და მის მაგიერ სუხოტინი დანიშნეს.

მაგრამ ვერც სუხოტინმა ისახელა თავი. ის არც თვითონ იცნობდა ადგილობრივ პირობებს, არც სხვებისა სჯეროდა. შუა ზაფხულში სუხოტინმა ფოთს ლაშქრობა დაიწინა.

ფოთის ჰავამ უჩვევეი ხალხი დასცადა: სუხოტინს რეაასამდე კაცი ციებ-ცხელებისაგან დაეხოცა, დანარჩენთა დიდი უმრავლესობა ავადმყოფობისაგან ფეხზე ძლივს იდგა. ოქტომბერში სუხოტინმა ფოთს ალყა მოხსნა.

მეექვსე მაისს რუსეთის მფარველობას. რუსეთის ლაშქრის ორი წლის მოქმედებამ ერეკლეს სარგებლობა ვერ მოუტანა. ყველა ის დიდი მიზანი, რომელთა მიღწევასაც ერეკლე ამ ომის საშუალებით ლაშობდა, მიუღწეველი რჩებოდა. კიდევ უარესი: ერევნის ხანი გამდგარიყო და ოსმალეთის მფარველობის ქვეშ შესულიყო, ქერიმ-ხანიც გაუაფგულდა რუსეთის მხარეზე გადასულ ერეკლეს და ახლო მეზობელი ხანებიც ეკვის თვალთ უცქეროდნენ მას. ლეკები კიდევ უფრო აიშალნენ: ეხლა მათ ოსმალეთი შველოდა. არ ისვენებდნენ შინაური მტრებიც. რეაქციონერი თავადების იმედი ეხლა ალექსანდრე ბატონიშვილი იყო ბაქარის ძე, რომელიც რუსეთიდან წამოსულიყო, ქერიმ-ხანს შეხიზნოდა და მისი დახმარებით აპირებდა ერეკლეს ქართლიდან განდევნას.

ამავე დროს მოკავშირე რუსეთის მთავრობა საქართველოს აღდგენისა და გაძლიერების საქმისადმი გულგრილობას იჩენდა, ხოლო რუსთა ლაშქრის სარდლები ერეკლეს შინაურ მტრებს უფრო ეწყობოდნენ, ვიდრე მას. მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. საგარეო პოლიტიკის გადასინჯვის საკითხი დგებოდა. საჭირო იყო აქტიური მოკავშირე, მაგრამ სამშობლომ მომავლისათვის მეტბრძოლი ქართველობა ირან-ოსმალეთს ვერ აირჩევდა: საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომის“ იდეა ამ მოძალადეების წინააღმდეგ სამსაუკუნოვანი უმაგალითო ბრძოლის იდეა იყო. და ერეკლემ თავის თანამზრახვებთან თათბირის შემდეგ დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. რუსეთი რომ საქართველოს აღდგენა-გაძლიერების საქმეში დაეინტერესებინა, ერეკლემ

რუსეთის მთავრობას საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა შესთავაზა.

1772 წლის მაისში რუსის ჯარი საქართველოდან უკან წაიყვანეს. ერეკლესაც მის წინადადებაზე უარი შემოუთვალეს. პეტერბურგში ანგარიშს უწევდნენ იმ გარემოებას, რომ ქართლ-კახეთზე რუსეთის მფარველობის გამოცხადება ოსმალეთთან ერთად ირანსაც აამოძრავებდა რუსეთის წინააღმდეგ.

ჩხერის ომი. ოსმალეთმა ისარგებლა რუსთა ჯარის წასვლით და იმერეთის ძველებურადვე დაპყრობა სცადა. 1774 წლის იანვარში 4 000 კაცისაგან შემდგარი ოსმალთა ჯარი იმერეთს შემოესია. ამავე დროს ახალციხის ფაშამ სოლომონის წინააღმდეგ დადიანსა და აფხაზთა მთავარს მოუწოდა. ორივე მხრიდან ერთდროულად უნდა დაეკრათ იმერეთისათვის. სოლომონ მეფემ მოკავშირე ერეკლეს შეველა სთხოვა. ერეკლემ მოციქულები გაუგზავნა დადიანს და სოლომონის წინააღმდეგ გამოსვლაზე მას ხელი ააღებინა. ამით იმერეთის მეფეს ხელი გაეხსნა და მან მთელი ძალა ოსმალების წინააღმდეგ მიმართა. ამავე დროს ერეკლემ მოკავშირის დასახმარებლად ჯარი შემოიყარა.

მტერი მიხვდა, რომ ხიფათში გაება და სასწრაფოდ უკან დაბრუნება იწყო. სოლომონმა მტერს განზრახვა შეუტყო და ჩხერის ვიწროებში¹ რჩეულ მეთოფეთა რაზმი ჩაუსაფრა. რ თებერვალს გათენებისას მტერი ვიწროებს მიაღდა, მაგრამ იმერელ მეთოფეთა ძლიერმა ცეცხლმა მას გზა მოუჭრა. გაქირვებულ მტერს სწორედ ამ დროს სოლომონ მეფემ ზურგიდან ხმლით ისე მხნედ დაჰკრა, რომ თურქების წინააღმდეგობა ერთბაშად გასტეხა. 1 000 მოკლული და 600 ტყვე ლეკ-ოსმალთა ადგილზე დარჩა. რაც აქ დააკლდათ თავდამსხმელებს, ის იმერელმა მდეგრებმა შეუთავეს: 1 400 კაცი ჩხერიდან ეახანამდე დაჰარგა გაქცეულმა მტერმა. ძლიერ 700 კაცმა მიაღწია ახალციხეს და ფაშას საზარელი ამბავი მიუტანა.

ქუჩუკ-კაინარჯის ზავი და საქართველო. 10 ივლისს, 1774 წელს, რუსეთ-ოსმალეთს შორის ზავი დაიდო ქუჩუკ-კაინარჯში. საზავო ხელშეკრულების მე-23 მუხლი საქართველოს შეეხებოდა: რუსეთის მთავრობა ამ მუხლით დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის უფლებას სცნობდა იმ პირობით, რომ ოსმალეთი უარს ამბობდა იმერეთის ხარკზე.

1768 — 1774 წლის ომმა სოლომონს თვალსაჩინო წარმატება არგუნა. ოსმალებმა ვერ გამოიყენეს ქუჩუკ-კაინარჯის ზავის ეს მუხლი: სოლომონ მეფე ვერ დაიმორჩილეს, ვერც იმერეთის ციხეები დაიპყრეს. მეფემ სავსებით მოსპო ტყვეთა სყიდვა, მტკიცე ხელით ალაგმა თავადების აღვირახსნილობა. როსტომ რაჭის ერისთავი სოლომონმა ჯერ კიდევ 1769 წელს იგდო ხელთ, დასაჯა იგი და საერისთავოც საკუთრად დაიპყ-

¹ მდ. ჩხერიმელას ხეობაში, თანამედროვე ორჯონიკიძის (ხარაგოულის) რაიონში.

რა. მეფე შესამჩნევად გაძლიერდა, მისი შიში და პატივისცემა დასჩემდა დადიანსა და გურიელსაც. ქვეყანა დამშვიდდა და სწრაფად მოშენებ-
იწყო. ათიოდე წელიწადში მოსახლეობამ თვალსაჩინოდ მოიმატა.

§ 145. მორიგე ჯარი

იმ მარცხს, რომელიც რუსეთ-ოსმალეთის ომში ჩარევამ მოუტანა ქართლ-კახეთს, ერეკლეს ენერგია არ მოუდუნებია. მე-18 საუკუნის 70-იან წლებში ერეკლე მეფე დიდი მხნეობით მოღვაწეობდა ქვეყნის საშინაო თუ საგარეო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოში აქამდისაც კარგად იცოდნენ, ხოლო 1769 — 1771 წლებში რუსთა ჯარის გაცნობით კიდევ უფრო დარწმუნდნენ თავადურ-ფეოდალური ლაშქრის ჩამორჩენილობაში და „რეგულის“, ესე იგი, მოსახლეობიდან გაწვეული მუდმივი ჯარის უპირატესობაში. მაგრამ ქართველი მოღვაწეები იმასაც კარგად ხედავდნენ, რომ იმ დროის საქართველოში ასეთი ჯარის მოწყობა შეუძლებელი იყო. არც მეფეს გააჩნდა ასეთი ლაშქრის იარაღ-სანოვაგითა და ტანისამოსით მომარაგების საშუალება და არც თავადები მისცემდნენ მეფეს თავის ყმებს ამ ლაშქრისათვის.

1773 წლის მიწურულში ერეკლემ დარბაზის სხდომა მოიწვია. მსჯელობა შეეხებოდა ისეთი ჯარის შექმნას, რომელიც ლეკთა ქურდულ თავდასხმებს საბოლოოდ მოსპობდა და ქართველ გლეხკაცობას მშვიდობიანი შრომის საშუალებას მისცემდა. დარბაზმა შეიმუშავა „მორიგის ლაშქრობის განაჩენი“, რომელიც მან „ყველასაგან უკეთესად და უმჯობესად გამოარჩია“, როგორც თვით ამ განაჩენშია ნათქვამი.

მორიგე ლაშქრის რაობა შემდეგი იყო. ქართლ-კახეთის მამაკაცი მოსახლეობა აღწერილ იქნა. ყველა ლაშქრობის შემძლე მამაკაცი მოვალე იყო წელიწადში ერთი თვით ლაშქარში გასულიყო. ლაშქარში მორიგე თავისი ხარჯით მიდიოდა. ამისათვის მეფემ ქართლ-კახეთის მთელი გლეხობა სურსათის გადასახადისაგან¹ გაათავისუფლა. მორიგეს იარაღიც საკუთარი უნდა ჰქონოდა. მორიგე ლაშქარში ხალხის უკლებლად გამოცხადებისათვის სოფლის მებატონე და მოხელე იყვნენ პასუხისმგებელი. ბატონი მოვალე იყო მორიგედ მიმავალი გლეხი მოემარაგებინა, როცა უკანასკნელს საკუთარი საშუალება არ გააჩნდა. მორიგე ლაშქარი ცალკე ერთეულებად იყოფოდა და თითოეულს მეფის მიერ დანიშნული მეთაური უფროსობდა. პირველ ხანებში მორიგეში თვითრად ზეთი ათასი მეომარი გამოდიოდა.

მორიგე ლაშქრის მიზანშეწონილობა, მისი დიდი სარგებლიანობა მალე აშკარა შეიქნა. ლეკების თარეში საგსებით შეწყდა, ქვეყანა ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდა, მიტოვებული სოფლები ისევ მოშენდა, გლეხებ-

¹ „სურსათი“ ეწოდებოდა ყოველწლიურს სახელმწიფო გადასახადს ზორბლეულით.

მა ციხე-გალავნები დასტოვეს, მინდვრად გავიდნენ და მშვიდობიან სოფლის მეურნეობას შეუდგნენ. მორიგე ლაშქრის მთავარი ხელმძღვანელი ერეკლეს ვაჟი ლევან ბატონიშვილი იყო. ახალი ლაშქრის ასეთი სარგებლიანობის მიუხედავად თავადებმა მას შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს: მორიგე ჯარი მეფის ხელისუფლებას აძლიერებდა, ეს-კი თავადებისათვის არ იყო სასურველი.

მორიგე ლაშქარი ბრძანებით არასოდეს არ გაუშქმებიათ, მაგრამ თავადებმა მოახერხეს მისი თანდათან შესუსტება და ბოლოს სავსებით გაქრობა. უდიდესი ზიანი მოუვიდა მორიგე ლაშქარს მისი ხელმძღვანელის, ლევან ბატონიშვილის, მოულოდნელი სიკვდილით (1781 წ.). სხვა ბატონიშვილები აგრე რიგად არ ზრუნავდნენ მორიგე ჯარზე და მალე ეს საქმე ანგარიშ მოხელეების ხელში მათი საკუთარი შემოსავლის წყაროდ იქცა. ქრთამით ესა თუ ის თავადი სულ უფრო და უფრო ადვილად ახერხებდა თავისი ყმებით მორიგეში გასვლისაგან თავის დაღწევას. მორიგეთა რიცხვმა თანდათან იკლო და ბოლოს სულ გაქრა.

მორიგე ჯარის გაუქმება იყო თავადების გამარჯვება და ერეკელე მეფის პოლიტიკის უდიდესი მარცხი.

§ 146. ქართლ-კახეთის სამეფო სამოცდაათიან წლებში

ერეკლეს საბარემო პოლიტიკა მე-18 საუკუნის 70-იან წლებში. მე-18 საუკუნის 70-იან წლებში ახლო აღმოსავლეთში საერთაშორისო მდგომარეობა გართულდა: ირან-ოსმალეთს შორის დამოკიდებულება გამწვავდა, ორივე მხარე საომრად ემზადებოდა.

ასეთ პირობებში ერეკლე მეფის მიმხრობა თითოეული მხარისათვის ძვირფასი იყო. ამიტომ ირანიცა და ოსმალეთიც დაუტკბნენ ქართლ-კახეთის მეფეს, ძვირფას საჩუქრებს უგზავნიდნენ მას და მეგობრობა-კავშირს სთავაზობდნენ. ერეკლემ ოსმალეთი აირჩია. მეფე ფიქრობდა, რომ ოსმალეთი ირანს დაამარცხებდა და ქართლ-კახეთიც სამუდამოდ განთავისუფლებოდა ირანის ბატონობისაგან.

1778 წელს ერეკლეს ოსმალეთის ზონტქრისაგან ძვირფასი საჩუქრები და ელჩი მოუვიდა. შეთანხმება მოხდა. ამიერიდან ქართლ-კახეთი ოსმალეთის მოკავშირედ ითვლებოდა.

ერეკლეს მოლოდინი არ გამართლდა. ირან-ოსმალეთს შორის საქმე ომამდე არ მივიდა, ერეკლესა და ქერიმ-ხანის ურთიერთობა-კი მეტად გამწვავდა. მაგრამ ამ ხანებში (1779 წელს) ქერიმ-ხანი გარდაიცვალა, ირანი ისევ არეულობამ მოიცვა და ირან-საქართველოს ურთიერთობის საკითხის სიმწვავე კარგა ხნით განელდა.

სამთამადნო წარმოების გაზრდა. 1774 წელს ერეკლემ საფუძველი ჩაუყარა სამთამადნო მრეწველობის საქმეს. მეფემ იცოდა, რომ ძვე-

ლად საქართველოში მადნების დამუშავება წარმოებდა, მაგრამ მის დროს საქართველოში მადნის ოსტატი აღარავინ იყო. დიდი გარჯით მეფემ მოახერხა ოსმალეთიდან ბერძენი მადნის მოხელეების გადმოზიდვა. მოსულეებმა ახტალასა და ალავერდში სპილენძისა და ვერცხლის ამოღება-გამოდნობის საქმე გააჩაღეს. მალე უკვე ამ მადნებიდან მეფეს 1 500 კილო წმინდა ვერცხლი და საკმაო სპილენძი შემოსდიოდა.

ამ გზით ერეკლემ შესამჩნევად გაადიდა სამეფო შემოსავალი, რაც სათანადოდ გამოიყენა კიდეც. საჩუქრებით, „ჯამაგირით“ ერეკლემ ლეკთა ბელადები მრავლად გაიერთგულა, ლეკთა რაზმებიც დაიქირავა, სხვები კიდეც მორიგე ლაშქრის შემწეობით ალაგმა და ქვეყანას მშვიდობა მოუპოვა.

საქარხნო-საზაბრიკო წარმოების დანერგვის ცდები აღმო-სავლეთ საქართველოში. არაჩვეულებრივ მრავალმხრივი იყო ერეკლეს სახელმწიფო მოღვაწეობა. საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგების გვერდით მეფე არანაკლებ ზრუნავდა ქვეყნის ეკონომიურ წარმატებაზე. აქ ერეკლეს მოღვაწეობაში სრულიად ახალი რამ ჩანდა.

მეფე ხელს უწყობდა არა მარტო სოფლის მეურნეობის განვითარებას, არამედ მიზნად ისახავდა საქართველოში მრეწველობის გაფართოებასაც. ერეკლე, ერთი მხრით, ხელს უწყობდა აქამდე არსებულ წარმოებათა გაუმჯობესებას და ამავე დროს მრეწველობის ახალი სახეების დანერგვას დაუჩინებლად ცდილობდა. მეფე ზრუნავდა სხვადასხვა სამრეწველო წარმოების ოსტატების შოვნასა და ოსტატთა კადრების აღვლილობრივ შექმნაზე. იგი ცდილობდა დაეარსებინა მაუდის, მინაბროლისა და სარკის წარმოების ქარხნები, მოეწყო შაქრის წარმოება, მოეზიდნა უცხოეთიდან კაპიტალისტ-წამომწყებნი.


მეფის ასეთი საქმიანობის შედეგი იყო სამთამადნო წარმოების გაჩაღება, სამხედრო მრეწველობის გაუმჯობესება. ასევე გაუმჯობესებულ იქნა, ერეკლეს თაოსნობით, ფულის მოჭრის ტექნიკა და სტამბის საქმე.

ვაჭრობის საქმე. გზების დაცვით ლეკთა თავდასხმებისაგან, ვაჭართა დაცვით თავადების მიერ შევიწროებისაგან, ბაჟების მოწესრიგებით ერეკლე ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას.

მე-18 საუკუნეში საქართველოს საგარეო ვაჭრობაში დიდმნიშვნელოვანი ცვლილება ჩაისახა: რამდენიმე საუკუნის წინ დაყრუებული დარიალის სავაჭრო გზა გაიხსნა. ამ გზით საქართველო ეკონომიურად უშუალოდ დაუკავშირდა რუსეთს. რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

საქალაქო ცხოვრების მოწესრიგების ცდები. ვაჭრობა-ხელოსნობისათვის ხელის შეწყობის მიზნით ერეკლემ სათანადო ყურადღება მიაქცია მოქალაქე ვაჭარ-ხელოსანთა უფლებრივ მდგომარეობას. 1770 წელს მეფემ საბოლოოდ დააკანონა ვაჭრებისა და ხელოსნებისათვის ხელსაყრელი საკუთრების ქალაქური წესი: ამიერიდან უშვილოდ გარდაცვალებული მოქალაქის ქონება მეფეს კი არ მიჰქონდა, როგორც ეს ძველად იყო, არამედ ამ მოქალაქის თუნდაც შორეულ მემკვიდრეს რჩებოდა.

ამავე დროს ერეკლე საქალაქო მართვა-გამგეობის მოწესრიგებას ცდილობდა. მის დროს მტკიცედ განსაზღვრულ იქნა ქალაქის მოხელეების — მოურავის, მელიქ-მამასახლისის, ქედხუდების — და აგრეთვე ამქრების უფლება-მოვალეობანი.



„ჭილილა და დამანას“ ხელნაწერის მანიატურა, XVIII ს.

სახელმწიფო წყობილების გადახალისების საკითხი. განსაკუთრებულ სიძნელეს ერეკლესათვის ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობილების გარდაქმნა წარმოადგენდა. შეუდრეკელი ბრძოლით მეფემ გააერთიანა ქართლ-კახეთი, გააუქმა საერისთაო-სახანოები, ერისთავებისა და ზანების მაგიერ დანიშნა თავისი მოხელე-მოურავები, დაიმორჩილა თავნება თავადები, მაგრამ სახელმწიფოებრივი წყობილების გარდაქმნამდე ჯერ კიდევ შორს იყო. საქართველოს სინამდვილე ასეთ გარდაქმნას მეტისმეტად აძნელებდა. მიუხედავად ამისა ქვეყანაში თანდათან მოიფუძნებოდა აზრი სახელმწიფოებრივი წყობილების გარდაქმნის საჭიროების შესახებ და ცხოვრებაშიც საამისო ღონისძიებები თანდათან გზას იკვლევდა. მე-18 საუკუნის 70-იანი წლებისათვის ამ მხრით შესამჩნევი წარმატება ჩანდა. სა-

ხელმწიფოს მმართველობა სხვადასხვა ცენტრალიზებულ დარგებად იქნა დაყოფილი: საგარეო საქმეთა, სახელმწიფო შემოსავლისა და სამხედრო საქმეებისა. ასევე ახალი იყო მსახურულ შიშის შეკრებულობის დაწესებულება, ერეკლემ რომ შემოიღო 1778 წელს: ამიერიდან „ყოველი არზა და საჩივარი მდივანბეგებთან მივიღესო“.

მეფის კალაუფლება და საბჭო. როგორც მეფე, ერეკლე თვითმპყრობელი იყო, ის შეუზღუდველი უფლებით სარგებლობდა. მიუხედავად ამისა, მის დროს საბჭოს („დივანს“) უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერეკლე არც ერთს დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეს ამ საბჭოს დაუკითხავად არ გადაწყვეტდა. საბჭო ორგვარი იყო — დიდი და მცირე. პირველში შედიოდნენ მეფის შვილები, კათალიკოსი და სხვა საეკლესიო და საერო დიდბატონები. აქვე მონაწილეობდნენ სამეფო დიდმოხელენიც. მცირე საბჭო მეფის მიერ შერჩეულ პირთაგან შესდგებოდა. ასეთები იყვნენ მისი ერთგული მრჩეველ-თანამშრომელნი. საქმის ხასიათისა და მნიშვნელობის მიხედვით მეფე ზოგ მათგანს დიდ საბჭოში განიხილავდა, ზოგს კიდეც თავის უახლოეს თანაგამშრაბებთან ერთად შემოშაგებდა.

განათლების საკმე. ერეკლეს მრავალმხრივ მოღვაწეობაში განათლების საკითხს სათანადო ადგილი ექცია. უკვე მე-18 საუკუნის 50-იან წლებშივე განახლდა ვახტანგის გადასახლებისა და ოსმალთა-ყიზილბაშობის შედეგად შეფერხებულ-შეწყვეტილი კულტურული მუშაობა. 1749 წელს თბილისის სტამბა კვლავ ამუშავდა. შემდეგ ამ საქმეში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იქნა შეტანილი. მაგრამ ერეკლეს თაოსნობა განსაკუთრებით სასკოლო საქმეში გამოჩნდა. ერეკლემდე, გვიანფეოდალურ ხანაში, სკოლები კერძო იყო, და სახელმწიფო მათზე საგანგებოდ არ ზრუნავდა. ერეკლეს დროიდან-კი საქართველოში სახელმწიფო სკოლა შემოდიან. 1756 წელს თბილისში ფილოსოფიის სემინარია დააარსდა, ხოლო 1782 წელს მეორე ასეთივე სემინარია თელავშიაც გაიხსნა. ამ სასწავლებელთა გეგმა ასეთივე რუსული სასწავლებლებიდან იყო გადმოტანილი. თბილისისა და თელავის სემინარიებს რექტორები განაგებდნენ. მათ ხელფასი ხაზინიდან ეძლეოდათ.

აღნიშნული სასწავლებლებიდან მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში მთელი წყება განათლებული პირი გამოვიდა, რომელნიც შემდეგში სახელმწიფო ცხოვრების სხვადასხვა დარგში ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ. განათლების საქმის მთავარი ხელმძღვანელი ერეკლეს დროს ანტონ კათალიკოსი იყო. ანტონი თავის დროისათვის ფრიად განათლებული პირი იყო, დიდი ნიჭითა და ენერგიით დაჯილდოებული. ამავე დროს ის აქტიური სახელმწიფო მოღვაწეც იყო და ერეკლეს უახლოესი თანამშრომელი.

ამრიგად, განათლების საქმე ერეკლეს დროს მტკიცედ სახელმწიფოებრივ საფუძველზე დადგა.

**უცხო ქვეყნიდან მოახალშენითა გადმოსახლების ცდე-
ბი.** თავის სახელმწიფო მოღვაწეობაში ერეკლე უდიდეს ყურადღებას აქცევდა მოახალშენითა ქართლ-კახეთში მოზიდვას. საქართველოს შემცირებული მოსახლეობის ხელოვნურად გაზრდა მეფეს აუცილებლად მიაჩნდა. აღარბადაგანიდან, მცირე აზიიდან, ერევნისა თუ განჯა-ყარაბაღის სახანოებიდან და იმიერკავკასიიდან მეფე მოახალშენეებს ეპატიებოდა საქართველოში.

ამ საქმეში ერეკლე დიდ სიძნელეებს ხვდებოდა. მეზობელი სახელმწიფოები, რომელნიც ამ ხანისათვის საქართველოს გარშემო ქვეყნებს დაუფლებოდნენ, დაპყრობილ ხალხებს — სომხებს, იეზიდებს, აისორებს, ყაზარდოელებს საქართველოში გადმოსახლების ნებას არ აძლევდნენ. ამიერიდან ჩრდილოეთ-კავკასიელებს საქართველოს ლაშქარში დაქირავების საშუალებაც არ ჰქონდათ. ასე რომ ერეკლეს მოაქვდა ის ძალა, რომლითაც იგი ხშირად მტრების საწინააღმდეგო შემოსევებს წარმატებით იგერიებდა.

335

აქმონ



თავი XXI

სამართველოს შეერთება რუსეთთან

§ 147. ერაკლე მეორის ხელშეკრულება რუსეთთან

ერაკლეს ურთიერთობა ამიერკავკასიის ხანებთან. მე-18 საუკუნის 80-იან წლებში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ერეკლეს უმთავრეს მებრძოლ გამოვიდა შარვანის მპყრობელი ფათალი-ხანი.



როცა ქერიმ-ხანი გარდაიცვალა და ირანში არეულობა დაიწყო, ფათალი-ხანი ენერგიულად მოქმედდა — მას ყაენობა სურდა. ამისთვის-კი მას ჯერ აღმოსავლეთი ამიერკავკასია უნდა დაემორჩილებინა. ერეკლეს წინააღმდეგ იგი, აჯი-ჩალაბივით, მაჰმადიანი მფლობელების ამხედრებას ცდილობდა. ფათალი-ხანმა ქართლ-კახეთის მეფეს განჯისა და ერევნის ხანები აუჯანყა. სამაგიეროდ, ერეკლე ყარაბაღის ხანს იბრეიმს შეუკავშირდა. მოკავშირეებმა ორგზის დაამარცხეს ფათალი-ხანის ჯარები 1779 წელს და აჯანყებული განჯის ხანიც დაიმორჩილეს. ამავე წელს ერეკლე დიდი ჯარით ერევანზე წავიდა. შეშინებულმა ხანმა პატიება ითხოვა. მეფეს ერევნის სახანოს გაუქმება და ამ ქვეყნის საკუთრად დაპყრობა ჰქონდა გადაწყვეტილი და ამიტომ პატიებას არ აპირებდა. მაგრამ ქართლის საქმეების გართულებამ ერეკლე აიძულა ერევნის ხანის თხოვნა შეეწყნარებინა და სწრაფად თბილისში დაბრუნებულიყო.

ერაკლეს შინაური სიძნელეები. ქართლში ამ დროს მართლაც მძიმე ამბები იყო. ერეკლეს შეთანხმება ოსმალეთთან სოლომონ მეფეს არ მოსწონდა. ეჭვობდა, რომ ქართლ-კახეთის მეფეს ოსმალთა თანხმობით იმერეთის დაპყრობა სურდა. სოლომონთან თანდათან თავი მოიყარეს ერეკლეს უკმაყოფილო თავადებმა. აქვე გაჩნდა ქართლის ტახტის მამიებელი ალექსანდრე ბატონიშვილიც, ბაქარის ძე. სოლომონ მეფემ

საგანგებოდ მოაყვანინა ის ირანიდან.

1779 წელს ალექსანდრე ბატონიშვილმა ისარგებლა ერეკლეს ერევანზე ლაშქრობით და ქართლის თავადებს აჯანყებისაკენ მოუწოდა. მაგრამ

ერევნიდან დაბრუნებულმა მეფემ ენერგიული ღონისძიებით რეაქციონერ თავადებს აჯანყების ხალისი გაუწელა.

ალექსანდრე ბატონიშვილი ამის შემდეგაც არ ისვენებდა. იმერეთიდან ის ფათალი-ხანთან მივიდა და მისი დახმარებით საკმაოდ დიდი ჯარი იზოვნა ქართლ-კახეთზე გამოსალაშქრებლად.

რუსეთს უპლიერდობა ინტერესი ამიერკავკასიისადმი. ამავე დროს ბრძოლა რუსეთსა და ოსმალეთს შორის კიდევ უფრო გამწვავდა. მე-18 საუკუნის განმავლობაში რუსეთმა თანდათან გამოგლიჯა ოსმალეთს ხელიდან ყირიმი, ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნები და 80-იანი წლებისათვის სახელმწიფო საზღვრები თითქმის კავკასიონის ქელს მოაბჯინა. რუსეთის შემდგომი წარმატებისათვის აუცილებელი იყო ამიერკავკასიაში დასაყრდენის გაჩენა.

მეორე მხრით, რუსეთის მეფის კარზე გადაწყვიტეს აგრეთვე კასპიის ზღვის სამხრეთი სანაპიროების ხელში ჩაგდება.

ამ პირობებში ერეკლე და სოლომონი მეტად ძვირფასი გახდნენ რუსეთის მეფისა და მის პოლიტიკოსთა თვალში.

ერეკლე მეორეს საზარმო მოკავშირას. ერეკლე ამ დროს უკვე ოსმალეთზე გულაცრუებული იყო. ხონთქარი და მისი ფაშები არა თუ ხელს არ უწყობდნენ, ხელს უშლიდნენ კიდევაც ქართლ-კახეთის მეფის გაძლიერებას.

მეორე მხრით, ალექსანდრე ბატონიშვილი და ფათალი-ხანი სულ უფრო და უფრო საშიში ხდებოდნენ. ქართლის რეაქციონერი თავადებიც ამით მოსვლას მოუთმენლად ელოდნენ.

სწორედ ამ დროს ერეკლეს დიდი მარცხი მოუვიდა. 1781 წელს მას უეცრად გარდაეცვალა შვილი ლევანი, ნიჭიერი და მხნე ვაჟკაცი, მამის მარჯვენა ხელი, მორიგე ლაშქრის მეთაური. მეფის მოძულე თავადებს სიხარული შეუდგათ.

ასეთი მდგომარეობისდა მიუხედავად ერეკლე მხნეობას არ ჰკარგავდა და ქვეყნის ხსნის ღონეს დაუცხრომლად ეძებდა.

დასავლეთ ევროპასთან დაკავშირების ცდა. 1781 და 1782 წლებში ერეკლემ ევროპის ხელმწიფეებთან კავშირის გაბმა და მათგან დახმარების მიღება სცადა. ასეთი ნივთიერი დახმარებით მეფეს განზრახვა ჰქონდა რამდენიმე პოლკი მხედრობა ევროპულ წესზე გაეწყო, რომ ამით გარეშე და შინაური მტრები საბოლოოდ აელაგმა და ქვეყნის აღმშენებლობას მტკიცე ხელით შესდგომოდა. ერეკლეს ესმოდა, რომ საქართველოს გამოხსნა, გაძლიერება და მისი მომავლის უზრუნველყოფა ქვეყნის ევროპულად გარდაქმნას, მის სამხედრო-ტექნიკურსა და სამეურნეო-სახელმწიფოებრივ დაწინაურებას შეეძლო მხოლოდ. ამიტომაც იყო რომ ერეკლე „ისე არ აფრისაკენ არ მიისწრაფოდა, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისა-

ქენ“, როგორც ამბობს იმ დროებში საქართველოში ნამყოფი რუსი პოლკოვნიკი ბურნაშოვი.

დასავლეთ ევროპის ხელმწიფეებისადმი მიმართვისაგან არაფერია გამოსვლიდა. ამავე დროს ენერგიულად ამოქმედდნენ რუსეთის პოლიტიკის ხელმძღვანელები. ერეკლეს კარზე სტუმრობას მოუხშირეს რუსმა მოხელეებმა, ელჩებმა, მოგზაურებმა. ისინი ურჩევდნენ ერეკლეს ეთხოვნა რუსეთის ხელმწიფის მფარველობა. აიძულებდნენ, რომ ძლიერი მოკავშირის დახმარებით საქართველო ყველა სიძნელეს ადვილად დასძლევდა, მშვიდობასა და კეთილდღეობას ეწეოდა.

საზრთო ჩადილ-ალმოსავლეთ კავკასიიდან. განსაკუთრებით სიძნელეს უქმნიდა ერეკლეს ალექსანდრე ბაქარის ძის საქმიანობა. ფათალი-ხანისა თუ სხვა კავკასიელი მფლობელების შემოსევის მოლოდინში მეფე ყოველ წამს მზად უნდა ყოფილიყო. ქართლის ჯარი ამ საქმისათვის სანდო არ იყო: ალექსანდრეს იქ მრავალი მომხრე ჰყავდა. ამიტომ მეფე იძულებული იყო ლეკთა დიდი ჯარები დაექირავებინა და მუდამ თავისთან ჰყოლოდა. ამ ჯარის ჯამაგირი („სალეკო“) მძიმე ტვირთად აწევბოდა მოსახლეობას და მის უკმაყოფილებას აძლიერებდა.

ალექსანდრე ბატონიშვილის განდევნა დარუბანდიდან და, საერთოდ, იმიერკავკასიიდან მხოლოდ რუსეთს შეეძლო, მაგრამ რუსეთის მთავრობა ამ გარემოებას სწორედ ერეკლეზე ზეგავლენის იარაღად იყენებდა.

საბარეო. ორიენტიზმის საკითხი ერაყელს წინაშე. ამრიგად, მე-18 საუკუნის უკანასკნელ ოცეულ წლებში ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო პოლიტიკა იმიერკავკასიაში გაინასკვა. ერეკლეს წინაშე დიდი ისტორიული მნიშვნელობის საკითხი იდგა. სამი დიდი მეტოქე, ირანი, ოსმალეთი და რუსეთი, იმიერკავკასიას ერთი მეორეს ეცილებოდა. თავისუფლად და დამოუკიდებლად საქართველოს არც ერთი მათგანი არ დასტოვებდა. ირანს, ოსმალეთსა და რუსეთს შორის ერეკლეს უნდა არჩევანი მოეხდინა, იგი ერთ-ერთ მათგანს უნდა შეეკავშირებოდა.

ქართველები დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსეთისა და საქართველოს ინტერესები იმიერკავკასიაში ერთიმეორეს ეთანხმებოდა, რომ, მაშასადამე, რუსეთის მიერ საქართველოს მფარველობა საიმედო და სანდო იქნებოდა. საქართველოს ბედის რუსეთთან დაკავშირებით ერეკლე ირან-ოსმალეთის მოძალადეებისაგან თავისი ქვეყნის სამუდამოდ გამოხსნასა და მის აღდგენას ლაშობდა.

ერეკლე განსახიერება იყო ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლისა სპარს-ოსმალთა მოძალადეთა წინააღმდეგ. დამპყრობელთა მიერ აღმართული ზღუდეების მიუხედავად, საქართველო საუკუნეთა განმავლობაში მაინც ახერხებდა შორეულ ქრისტიანულ ქვეყნებთან კულტურულ კავშირს. მე-18 საუკუნე რუსეთთან დაახლოების ზრდის ხანა იყო. ამ ხნის განმავლობაში თანდათან ირკვეოდა ქართველი ხალხის მომავალი განვითარების გეზი: რუსეთის გზით

ე ვ რ ო პ ა ს თ ა ნ. ასე რომ წარსულიცა და აწმყოც თანხმობით უყარნა ხეზდა ერეკლეს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მან მიიღო. „საქართველოს წინაშე მაშინ ალტერნატივი იდგა — მას შაჰის სპარსეთი ან სულტანის ოსმალეთი დაიპყრობდა, ან იგი უნდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შესულიყო... მეორე პერსპექტივი მაინც უმცირესი ბოროტება იყო“¹.

21 დეკემბერს, 1782 წელს, ერეკლემ, რუსეთის მთავრობის სურვილის თანახმად, რუსეთის მეფის მფარველობა ითხოვა.

ერეკლეს მოთხოვნით, რუსეთის მთავრობამ წინასწარ საქმით დაუმტკიცა მას მეგობრობა. ეკატერინე იმპერატორის ბრძანებით დარუბანდელმა ფათალი-ხანმა ერეკლეს წინააღმდეგ შეყრილი ჯარები დაითხოვა, ხოლო ალექსანდრე ბაქარის ძე აიძულა რუსეთის წასულიყო. ქართლის ტახტის მამიებელი, გზაშივე დააპატიმრეს.

1783 წლის ტრაქტატი. 24 იელისს, 1783 წელს, ც ი ხ ე გ ე ო რ გ ი ე ვ ს კ შ ი (იმიერკავკასიაში) რუსეთ-საქართველოს შორის „მ ე გ ო ბ რ თ ბ ი თ ს პ ი რ ო ბ ა ს“ („ტრაქტატს“) ხელი მოაწერეს. ერეკლე მეფის



რუსეთ-საქართველოს „მეგობრობითი პირობა“ 1783 წლისა.

ერეკლეს ტიტულატურა (ტექსტი): ...„ირაკლი მეორე, წყალობითა ღვთისათა და თქვენას იმპერატორების დიდებულებისა კეთილნებობითა, მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, შემყვიდრე მფლობელი სამცხე საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაქისა, მთავარი შამახისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მმრჩანებელი განჯისა და ერევნისა“.

საქ. მუზეუმის ხელნაწერთა განკ.



ერეკლეს ხელისმოწერა 1783 წლის ტრაქტატზე.

¹ კრებული „К изучению истории“. გვ. 38, 1937 წ.: მთავრობის კომისიის ეიუ-რის დადგენილებიდან.

მხრით აქ იყვნენ იოანე მუხრან-ბატონი და გარსე
პავლე პავლე, ეკატერინე მეფის მხრით—გენერალი პავლე პოტო-
ლომკინი.

6 თვის შემდეგ, ესე იგი, 24 იანვარს, 1784 წელს, ერეკლემ ტრაქტატს
ხელი მოაწერა, და ეს „მეგობრობითი პირობა“ ძალაში შევიდა.

ტრაქტატი ორმხრივ ვალდებულებებს ითვალისწინებდა.

ქართლ-კახეთის მეფე საქვეყნოდ საუკუნოდ უარყოფდა თავის დამო-
კიდებულებას ირანისა თუ სხვა ხელმწიფეთაგან, ამიერიდან ის მხოლოდ
იმპერატორის უზენაეს უფლებას სცნობდა და მის საფარველში შედიოდა.

ქართლ-კახეთის ტახტზე ახლადგამეფებული ამიერიდან რუსეთის იმპე-
რატორს უნდა დაემტკიცებინა.

უცხო სახელმწიფოებთან დიპლომატიურ ურთიერთობასაც ქართლ-
კახეთის მეფე ამიერიდან დამოუკიდებლად არ აწარმოებდა. ყოველ ასეთ
შემთხვევაში ის მოვალე იყო რუსეთის მთავრობის ადგილობრივ მოხე-
ლეს შესთანხმებოდა.

დასასრულ, ქართლ-კახეთის მეფე მოვალე იყო მთელი თავისი სამხედ-
რო ძალით საჭირო დროს რუსეთის მეფის სამსახურზე გამოსულიყო.

თავის მხრით, რუსეთის იმპერატორი ქართლ-კახეთის მეფეს საუკუნო
მფარველობას აღუთქვამდა. ამის ნიშნად იმპერატორი ერეკლეს სამფლო-
ბელოს დაცვას ივალეზდა.

ამიერიდან უცხო ქვეყნების მიმართ რუსეთი და საქართველო ერთი
იყო. იმპერატორი პირობას იძლეოდა, რომ საქართველოს მტერს თავის
მტრად იგულებდა.

იმპერატორი პირობას სდებდა, რომ ერეკლესა და მის ჩამომავლობას
ქართლ-კახეთის ტახტზე უცვალებლად დაიცავდა.

ქვეყნის შინაურ მართვა-გამგეობაში ქართლ-კახეთის მეფე დამოუკიდე-
ბელი იყო. რუსეთი საქართველოს შინაურ საქმეებში არ ერეოდა.

ტრაქტატს ახლდა კერძო (საიდუმლო) პუნქტები. ამათ თანახმად ერეკ-
ლე სოლომონ მეფესთან თანხმობით ყოფნას ივალეზდა, ხოლო უთანხ-
მოების შემთხვევაში ის რუსეთის ხელმწიფეს შუამავლად სცნობდა
და საცილობელ საკითხს მის მსჯავრს ანდობდა.

ქართველთა ჯარის გასამტკიცებლად და საქართველოს დასაცავად რუ-
სეთი საქართველოში მუდმივ სამყოფად ორ ბატალიონს ქვეითა ჯარს
გზავნიდა, ხოლო ომის შემთხვევაში დამატებითი სამხედრო შემწეობის
აღმოჩენას კისრულობდა. იმპერატორი აღუთქმას სდებდა აგრეთვე, რომ
ომისა თუ დაზავების დროს ის ყოველ ღონეს მოიხმარდა, რათა საქარ-
თველოს დაბრუნებოდა ყველა კუთხე და მხარე, რომელნიც მტრებს
ჰქონდათ მისგან მიტაცებული.

ტრაქტატით გათვალისწინებულმა რუსთა ჯარი 1783 წელს, სამ ნოემ-
ბერს, მოვიდა თბილისში, ხოლო 23 იანვარს, 1784 წელს, ერეკლემ რუ-
სეთის იმპერატორისადმი ერთგულების ფიცი მიიღო.

ტრამბაზის პიკველი შედეგები. ქართველები რუსეთთან დადებული ხელშეკრულებას დიდ გეგმებს უკავშირებდნენ. მფარველ-მოკავშირის დახმარებით ლეკებს ადვილად ალაგმავდნენ და უმთავრეს ყურადღებას ქვეყნის შინაურ აღმშენებლობას მიაქცევდნენ. რუსეთ-ოსმალეთს შორის მომავალი ომისას ქართველებს იმედი ჰქონდათ, რომ სამცხე-საათაბაგოს დაიბრუნებდნენ. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში-კი ერეკლე არა მარტო საქართველოდან ჩამოგლეჯილი კაკ-ენისელის შემოერთებას აპირებდა, არამედ მეზობელ შაჰი-შარვანის სახანოებზედაც ხელს იწვდიდა. ქართლ-კახეთის მეფის ასეთ განზრახვებს მფარველ-მოკავშირე მხარს უჭერდა. ერეკლე მეფის მფლობელობაშივე სცნობდა რუსეთი განჯა-ერევნის სახანოებსაც.

ასეთივე ტრამბაზის დადებას რუსეთის მთავრობა სოლომონ იმერეთის მეფესთანაც აპირებდა.

ერეკლეს გადაჭრით დადგომამ რუსეთის მხარეზე და რუსთა ჯარის საქართველოში შემოსვლამ ამიერკავკასია ააფორიაქა. ხანებს შიშის ზარი დაეცათ. ნაძალადევი მორჩილებით ხანები თავის გადარჩენას ცდილობდნენ. დარუბანდის, ყარაბაღისა თუ ხოის ხანები ერთგულებას ეთიციებოდნენ რუსეთს. მორჩილება გააცხადეს დაღისტნის მთავრებმაც.

მაგრამ პირველმა შიშმა ჩქარა გაიარა, და მალე სულ სხვა სინამდვილე გამოჩნდა. მაჰმადიანი ხანები შიშისა და დაბნეულობიდან ოსმალეთმა გამოიყვანა.

რუსეთის პირველი მარცხი ის იყო, რომ იგი იქნეულბული შეიქნა იმერეთის მეფესთან განზრახული ხელშეკრულების დადებაზე უარი ეთქვა. რუსეთის სტამბოლელმა ელჩმა გამოარკვია, რომ ასეთს რასმე ოსმალეთი უომრად არ დასთმობდა. ასე რომ იმერეთის საჯაროდ მფარველობაზე რუსეთმა ძალაუწიებურად ხელი აიღო.

მალე ოსმალეთი ირანის სახანოების მფარველისა და დამრახმველის როლში გამოვიდა. ოსმალეთის აგენტები „სარწმუნოების დასაცავად“ მოუწოდებდნენ მაჰმადიანობას. ფულით, საჩუქრებით, დაპირებებით მათ ადვილად ამოძრავეს ადარბადაგანისა და ამიერკავკასიის ხანები, დაღისტნის მთავრები.

ლექიანოზის განაწილება. ამ დროს ქართლ-კახეთის წინააღმდეგ კვლავ ლეკები წამოიშალნენ. ამ საქმის მთავარ ორგანიზატორად ახალციხის ფაშა გამოვიდა. ფაშამ ახალციხე ლეკების საბუღრად გადააქცია, საიდანაც ავაზაკთა ბრბოები გამუდმებით თავს ესხმოდნენ ქართლის სოფლებს.

ამიერკავკასიისა და ადარბადაგანის ხანები ზოგნი ოსმალთა „სამსახურში“ შევიდნენ, ერეკლეს მტრები გახდნენ და საქართველოზე ლაშქრობას აპირებდნენ. ხანები აყვედრიდნენ ერეკლეს რუსთა შემოყვანას,

აფრთხილებდნენ, ემუქრებოდნენ. უფრო მეტიც: მეფეს გადაუდგენ-
და ხარკი შეუწყვიტეს ჯანჯამ და ერევანმა, თვით ყაზახ-შამშადილს
თათრებიც-კი შფოთავდნენ და მეფეს აღარ ემორჩილებოდნენ.

სამ წელს გრძელდებოდა ლეკთა თარეშები. ქვეყანამ კვლავ დაცლ-
იწყო. მოსახლეობა სახიზარებს უბრუნდებოდა, ვისაც შეეძლო, უცხო-
ეთში გარბოდა. ერეკლე ტრაქტატით გათვალისწინებულ დახმარებას
ითხოვდა მფარველისაგან. ენერგიული დიპლომატიური ზომებით რუ-
სეთი ამოად ცდილობდა აეძულებინა ოსმალეთი ხელი აეღო ქართლ-
კახეთის მიმართ მტრობისაგან.

ომარ-ხანის შემოსევა. 1785 წელს ხუნძახის ბატონი ომარ-
ხანი 20 000 კაცით კახეთის საზღვარს მოადგა. ერეკლე ხელშეკრუ-
ლი იყო: მეფემ ქართლის ჯარი ვერ შემოიყარა, რადგანაც ახალციხის
მხრიდან ლეკ-ოსმალთა შემოსევისა ეშინოდა. კახელებითა და რუსთა
რაზმით, მათი სიმცირის გამო, შებმა ძნელი ჩანდა. ომარ-ხანმა სწრაფად
გამოვლო ყარაია, აიღო ბორჩალოს ციხე, აიარა დებედას ნეოზა, აიღო
ახტალა და მდინეები სულ გააოხრა. ტყვე-ალაფით დატვირთული ხანი
ახალციხეს მივიდა. იქიდან ის მალე საბაშიძოში (ხემო იმერეთი)
ვახანის ციხეს ეწვია, აიღო და დიდძალი ტყვით უკან გაბრუნდა. ერეკლე
იძულებული იყო მორიგებოდა ომარ-ხანს და მისთვის ყოველწლიური
„ჯამაგირი“ 5 000 მანეთი გაეჩინა.

კვლავ საბარჟო ოკრინტაციის საკითხი ქართლ-კახეთში.
ერეკლე განსაკუთრებულ გასაჭირში ჩავარდა. შემოსავალი აღარსაიდან
შემოდოდა, აოხრებული ქვეყანა გადასახადებს ვერ იხდიდა; ერეკლე
იძულებული იყო მოსახლეობა სამი წლით სამეფო გადასახადისაგან გა-
ეთავისუფლებინა. მოხარკეც სამეფოს აღარავინ ჰყავდა. ახტალის მდ-
ნები ამის შემდეგ ორ წელიწადს სულ არ მოქმედებდა, ვაჭრობა დაეცა
და საბაჟო შემოსავალმაც სათანადოდ იკლო. ერეკლე მფარველ-მოკავ-
შირეს ფულს სესხად სთხოვდა, მაგრამ რუსეთის იმპერატორის კარისა-
გან მან ვერაფერი მიიღო.

ამ დროს რუსეთში საქართველოსადმი ინტერესი შენეელა. რუს პო-
ლიტიკოსებს ყოყმანი დასჩემდათ. კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე
ფეხის მოკიდება ძნელი აღმოჩნდა. ოსმალეთის გავლენაც მეტად ძლიე-
რი იყო მთელ კავკასიაში, ხოლო მოკავშირე საქართველო — სუსტი.

ამავე დროს ოსმალეთი ერეკლეს მოუწოდებდა მასთან მეგობრობა-
კავშირი აღედგინა და რუსეთთან კავშირი უარეყო. არზრუმის ფაშა მე-
ფეს მოაგონებდა, თუ როგორი მშვიდობის ეამი ჰქონდა საქართველოს
ოსმალეთთან კეთილშეზოხოლობისას და მიუთითებდა იმ უბედურებაზე,
რომელსაც ქართლი რუსთა მხარეზე დადგომის შემდეგ განიცდიდა.

ასეთ პირობებში საგარეო ორიენტაციის საკითხი საქართველოში შე-
უნელებელი სიმწვავეთ იდგა. ამ საკითხის გარშემო აზრთა დიდი სხვა-
დასხვაობა იყო. ქართველი ფეოდალების პროგრესიული ნაწილი ერეკ-

ლესთან ერთად ისევ რუსეთის მომხრეობას იცავდა. ამ დასს ეკუთვნო-
დნენ აგრეთვე სომეხი დიდვაჟრები და სომეხთა ეკლესიის მოღვაწენი.
სომეხთა ასეთი პოზიცია სომხური სამეფოს აღდგენის რუსულ გეგმას
უკავშირდებოდა. მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ სომეხ ვაჟ-
რებს ამ დროისათვის რუსეთში საკმაოდ ძლიერი ეკონომიური ინტერე-
სები ჰქონდათ ქართველი რეაქციონერები, „მარკოზაშვილის დარბაზე-
ლები“, რუსთ-მოძულე იყვნენ და ეს იმიტომ, რომ ერეკლე რუსეთთან
ერთობას უკავშირებდა ამ რეაქციონერებისათვის არასასურველი ცვლი-
ლებების გატარებას ქართლ-კახეთის სახელმწიფო წყობილებაში. რეაქ-
ციონერებმა მალე საიმედო დასაყრდენი იპოვეს: ერეკლეს მეუღლე,
დედოფალი დარეჯანი, და მისი შვილები. რუსეთ-ოსმალეთის სა-
კითხში დარეჯანი და მისი შვილები ოსმალეთთან მორიგების პოზი-
ციას აღგნენ.

1787 წლის აგვისტოში რუსეთ-ოსმალეთს შორის ახალი ომი დაიწყო.
რუსეთის მთავრობამ თავისი ჯარი საქართველოდან უკან გაიწვია. ერეკ-
ლე ამის შემდეგ ადვილად მოურიგდა აშლილ მეზობლებს. ოსმალეთმაც
შეანელა მტრობა, თუმცა საქართველო-რუსეთის კავშირის საბოლოო
გაწყვეტას ის შემდეგშიც დაჟინებით ცდილობდა.

რეაქციის შემოღება. 1783 — 1795 წლები ქართლ-კახეთში პრო-
გრესული და რეაქციული ძალების მძაფრი ბრძოლის დრო იყო. რუსეთ-
თან კავშირმა იმ ხანებში ერეკლესა და მისი მომხრეების იმედები არ
გამართლა. ქვეყანას გარეშე მტერი გაუმრავლდა, და ერეკლეს სამეფო
ამიერკავკასიაში განმარტოებული აღმოჩნდა. ეს სიძნელე ერეკლეს
შინაურმა მტრებმა მარჯვედ გამოიყენეს. რეაქციონერი თავადებისაგან
ზოგიერთი ახალციხის ფაშასთან გაიქცა, ლეკთა ბრბოების მეგზური
გახდა და მათთან ერთად ქართლის სარბევად წამოვიდა. სხვებმა კიდეც
თვით ქვეყნის შიგნით თავი აიშვეს, მორიგე ლაშქარში აღარ გამოდიოდ-
ნენ, ერეკლეს მიერ გამოცემულ საგლეხო კანონებს არ სცნობდნენ,
ვაჭარ-ხელოსნებს ავიწროებდნენ.

ერეკლეს მრავალი შვილი ჰყავდა. უფროსი, ტახტის მემკვიდრე გიორ-
გი, სხვა დედის შვილი იყო, დანარჩენნი კიდეც დარეჯან დედოფლისანი
იყვნენ. ძმებს შორის უთანხმოება სუფევდა: თითოეულ ბატონიშვილს
თავისი თავადების ჯგუფი ჰყავდა და ხელმწიფობას იჩენებდა. 1791
და 1792 წლები რეაქციის ზეიმი იყო. დარეჯანმა და მისმა შვილებმა
მოხუც მეფეს ორი კანონი გამოგლიჯეს ხელიდან: ტახტის მემკვიდრეო-
ბისა და საუფლისწულოების შესახებ. პირველი კანონით ერეკლემ ტახ-
ტის მემკვიდრეობის წესი შეცვალა. ამიერიდან სამეფო ტახტი მამიდან
შვილზე კი არ უნდა გადასულიყო, არამედ გვარში უფროსს უნდა სჭე-
როდა. ეს კანონი ნახევრად ნატყუარ-ნაძალადევი იყო, და ერეკლემ ხე-
ლის მოწერის უმაღლეს უარყო ის. სამაგიეროდ, დარჩა მეორე კანონი-
თითოეულ უფლისწულს მეფემ 1003 კომლი ყმა მისცა (ასეთი უფლის-

წული 5 იყო), ხოლო მემკვიდრე გიორგის — 4 000 კომლი. ამნაირად, ამდენი შრომითა და ბრძოლით შექმნილი სამეფო ქონება ამიერიდან კიდევ უფრო რეაქციული ფეოდალების ხელში ექცეოდა, ვიდრე ახლაა. ბი იყვნენ. თავის საუფლისწულოებში ბატონიშვილებს თავი ხელშეფეხად მოჰქონდათ. ესენი იქცნენ ამიერიდან თავადური რეაქციის ბურჟუაზიად.

ამერეთ-იმერეთის კავშირი მამალს მეთაურობით. მეორე მხრით, იმავე დროს ისეთი მოვლენაც მოხდა, რომელიც საქართველოს მოწინავე ძალების ზრდას მოწმობდა. ეს იყო ამერეთ-იმერეთის გაერთიანების ცდა.

იმერეთის მეფე სოლომონი 1784 წელს გარდაიცვალა. მას ვაჟი არ ღარჩენია. ტახტის მემკვიდრედ მეფის ძმისწული დავით არჩილის ძე და მეფის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე გამოვიდნენ. მემკვიდრეებს შორის ბოლომოუღებელი ბრძოლა გაიმართა. ამ ბრძოლაში რუსეთ-ოსმალეთისა და ერეკლეს ხელიც ერია. ბოლოს იმერეთის თავადების ერთმა ჯგუფმა ერეკლეს ამერ-იმერეთის ერთ სამეფოდ გაერთიანების წინადადებით მომართა.

იმერეთის წარმომადგენელნი ერეკლესთან მოვიდნენ. მეფემ დარბაზი შეყარა. ბჭობა სამი დღე გაგრძელდა. ერეკლემ ბოლოსდაბოლოს უარყო გაერთიანების წინადადება. ასეთი გადაწყვეტილების სასარგებლოდ მეფეს, სხვათა შორის, ერთი მძიმე საბუთიც ჰქონდა: ერეკლე რუსეთის ხელდებული იყო, იმერეთი-კი ოსმალეთს თავისად მიაჩნდა. ამიტომ ამერეთ-იმერეთის გაერთიანებას ოსმალეთი არ მოითმენდა.

მაინც ამ ცდისაგან კარგად ჩანდა, რომ ამერეთ-იმერეთის გაერთიანების იდეა მშვიდდებოდა.

ამავე დროს ერეკლემ ხელი შეუწყო სოლომონ პირველის ძმისწულის, დავით არჩილის ძის, საბოლოო გამეფებას იმერეთში. იმერეთის ახალგაზრდა მეფე ერეკლეს შვილიშვილი, მისი გაზრდილი და მისივე პოლიტიკის გამტარებელი იყო. დავით არჩილის ძემ გამეფების (1789 წ.) შემდეგ სოლომონ მეორის სახელი მიიღო.

მართალია, გაერთიანება იმეამად შეუძლებელი აღმოჩნდა, მაგრამ მოწინავე ძალებმა მაინც თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს სოლომონ ლიონის ძის ცდით.

ერეკლეს შესანიშნავი თანამოღვაწე, ნიჭიერი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მსაჯული სოლომონ ლიონის ძე ერთი იმ პირთაგანი იყო, რომელთაც ერეკლე გაბედულად აწინაურებდა უგვაროთა წრიდან მათი ჭკუის, ნიჭისა და ერთგულების მიხედვით. ამ დროს სოლომონ ლიონის ძე დიდი გავლენით სარგებლობდა და მისი თაოსნობით იყო რომ ერეკლე მეორესა, ერთი მხრით, ხოლო სოლომონ მეორესა, გრიგოლ დადიანსა და სიმონ გურიელს შორის, მეორე მხრით, 1790 წელს „ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული“ ხელშეკრულება დაიდო. ეს იყო საერ-

საქართველოს
ისტორიის
მუზეუმი

თო მტრის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის პირობა ერეკლეს მეთაურობით. 1793 წელს ამ ხელშეკრულების მონაწილენი საერთო მფარველობას სთხოვდნენ რუსეთის იმპერატორს.

კრწანისის ომი. ამასობაში ირანში მრავალწლოვანი შინაური ომებიდან საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდა ალა-მაჰმად-ხან ყაჯარი.

ალა-მაჰმად-ხანმა ჯერ კიდევ 1786 წელს მოაგონა თავი ერეკლეს: „ქმობისა და სიყვარულის“ სიტყვები შემოუთვალა „გურჯისტანის“ მეფეს. ალა-მაჰმად-ხანი ქართლ-კახეთში ირანის ძველი ბატონობის აღდგენას ცდილობდა. ერეკლესაგან ის რუსეთ-საქართველოს კავშირის გაუქმებასა და ქართლ-კახეთის ირანისადმი დამორჩილებას მოითხოვდა. სამაგიეროდ ხანი დიდ წყალობასა და პატივს პირდებოდა ერეკლეს.

ალა-მაჰმად-ხანის წინადადება ერეკლესათვის ყოვლად მიუღებელი იყო, რადგანაც მეფემ დიდი ხანია საქართველოს მომავალი პროგრესულ ევროპას — რუსეთს სამუდამოდ დაუკავშირა. ამ პირობებში ომი ირანსა და საქართველოს შორის აუცილებელი ჩანდა.

1793 წელს ერეკლემ უკვე იცოდა, რომ ალა-მაჰმად-ხანს საქართველოზე ლაშქრობა გადაწყვეტილი ჰქონდა. აქეთკენ ეპატიებოდნენ შაჰს ქართლ-კახეთის მეფის მეტოქე ხანებიც. ერეკლე რუსეთს ჯარითა და არტილერიით დახმარებას სთხოვდა.

ხელშეკრულების თანახმად რუსეთის მთავრობა მოვალე იყო ერეკლეს დახმარებოდა, მაგრამ მოკავშირე-მფარველის ეს დახმარება არ ჩანდა. მენაპირე-უფროსი გუდოვიჩი ერეკლეს დაუსრულებლად აიძულებდა, მაგრამ ხაქმით არაფერს აკეთებდა.

1795 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში ალა-მაჰმად-ხანის ჯარები შუშასა და ერევანს შემოსდგომოდნენ. ეჩმიაძინის სომეხთა კათალიკოსმა თავი დიდი ქრთამით დაიხსნა. სექტემბრის დამდეგს ალა-მაჰმად-ხანი უკვე თბილისისაკენ წამოვიდა.

მრავალ-ომგადახდილი ერეკლე მოუშზადებელი აღმოჩნდა. საჭირო თადარიგი მან თავის დროზე დაიჭირა, მაგრამ თავადური რეაქცია ქვეყანას ისე მოსდებოდა, რომ 40 000 მეომრის ნაცვლად მეფეს არც 10 000 მოუვიდა. ბატონიშვილებიც-კი საჭიროდ არ თვლიდნენ თავისი უფლისწულოებიდან დაძრულიყვნენ, ზოგი კიდევ სულ მცირე ამაღლით მოდიოდა. „მარკოზაშვილის დარბაზელები“ დაძრწოდნენ სოფლიდან სოფლად, მეფის სახელით ხალხს მტრის წინააღმდეგ ბრძოლის უძიმედობას ატყობინებდნენ და შორს დახიზვნას ურჩევდნენ.

საქართველოს ასაოხრებლად ალა-მაჰმად-ხანმა 35 ათასი კაცი წამოიყვანა. 10 სექტემბერს მტერი თბილისს მოუახლოვდა. ერეკლეს მხოლოდ ხუთი ათასი კაცი ჰყავდა. აქედან სამი ათასი მეომარი სოლომონ მეორის, იმერთა მეფის, მიერ მოყვანილი დამხმარე ჯარი იყო. სიმციხის ძიუხედავად მეფემ ომი გადასწყვიტა. ალა-მაჰმად-ხანმა საქართველოს

27. საქართველოს ისტორია.

ვითარება არ იცოდა და ერეკლესაგან ძლიერ წინააღმდეგობას მოელოდა. 10 სექტემბერს ქართველებმა დაამარცხეს მტრის მოწინავე რაზმი და ის დიდი ზარალით უკუაგდეს. მტერი შეფიქრდა და თავისი საქმის წარმატებაში შეეჭვდა. ამ დროს მოლაპარაკებებმა თბილისიდან მტრის ელჩი გააპარეს. მან მეფის სისუსტე ხანს აცნობა. მტერს იმედი მოეცა და 11 სექტემბერს ერეკლეს გულსრულად შემოუტია. კ რ წ ა ნ ი ს ი ს მ ი ნ - დ ო რ ზ ე, თბილისის კარებთან, გადამწყვეტი ომი მოხდა. მიუხედავად თავგანწირული ბრძოლისა, ქართველები დამარცხდნენ. თვით ერეკლეც ხიფათში ჩავარდა, — მას მტერი გარს შემორტყმოდა, მაგრამ ერეკლეს შეილიშვილის იოანე ბატონიშვილისა და სხვა ერთგულთა თავდადებამ იხსნა მეფე: მებრძოლი მოხუცი გამოიყვანეს ომის ცეცხლიდან. ერეკლე მთიულეთში წავიდა, სოლომონი-კი თავისი ჯარით იმერეთს გადავიდა.

გამარჯვებული ალა-მაჰმად-ხანი თბილისში შემოვიდა. მტერმა ქალაქი გაძარცვა, დასწვა, დაანგრია. ხანი მეფის სასახლეში შევიდა, ჯერ გაძარცვა ის, შემდეგ დაანგრევინა. მისივე ბრძანებით საგანგებოდ დაანგრიეს ზარბაზნების ჩამოსასხმელი ქარხანა, იარაღის საწყობი, აბანოები, ზარაფხანა¹. ამავე დროს ხანმა ქვეყანას მარბიელი რაზმები გაუშია. ერთი ასეთი რაზმი ახტალას ავიდა, იქ ვერცხლისა და სპილენძის ქარხნები, რომელნიც ომარ-ხანის შემდეგ აღედგინა ერეკლეს, გაძარცვა და დაანგრია. აქ სპარსელებმა მრავლად დაატყვევეს მადნის მუშები. მარბიელთა რაზმებმა შიდა-ქართლიც მოითარეშეს გორი-ცხინვალამდე, მაგრამ მოსახლეობა დახიზნულიყო და ბევრი ვერაფერი იშოვეს. არაგვზე მარბიელებს 300 კაცისაგან შემდგარი ხევსურთა რაზმი შეეყარა. ხევსურები ერეკლეს მოწოდებაზე წამოსულიყვნენ, ქართველთა დამარცხება მათ ჯერ არ შეეცყოთ და თბილისში მეფესთან მიდიოდნენ. ხევსურებმა მარბიელთა ეს რაზმი თითქმის სულ გასწყვიტეს.

ვიდრე ალა-მაჰმად-ხანი საქართველოში იყო, მასა და ერეკლეს შორის მოლაპარაკება გაიმართა. ერეკლე, რომელიც ანანურს იდგა, დროს მოგებას ცდილობდა, მტერთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, მაგრამ ამის შესახებ რუსთა მენაპირე-უფროსს გუდოვიჩს ატყობინებდა და მისგან სასწრაფოდ დახმარებას მოითხოვდა. არც ალა-მაჰმად-ხანს სწამდა ერეკლეს გულწრფელობა.

საქართველოში მტერი დიდხანს არ დარჩენილა. ჯერ კიდევ მოლაპარაკება გრძელდებოდა, რომ სექტემბრის მიწურულში ხანი აიყარა და სასწრაფოდ წავიდა.

ალა-მაჰმად-ხანის საქართველოში ლაშქრობამ არა მარტო ზოგიერთი მეზობელი ხანის სიხარული და კმაყოფილება გამოიწვია. სიხარულით ცას ეწია ოსმალეთი. ხონთქარმა ალა-მაჰმად-ხანს საგანგებოდ მიულოცა გამარჯვება და კავშირი შესთავაზა. დიდად კმაყოფილი იყო სათ-

¹ ზარაფხანა — სახელმწიფო დაწესებულება, სადაც ფულს სჭრიდნენ.

რანგეთიც. ხსენებული სახელმწიფოები ამ ფაქტში რუსეთის დამარცხებას ხედავდნენ და ამიერკავკასიიდან თავისი მეტოქის, რუსეთის, საბოლოოდ განსადევნად ალა-მაჰმად-ხანს კვლავ საქართველოში ლაშქრობას ურჩევდნენ.

საქართველოს გასაჭირით სარგებლობა ლეკებმაც მოინდომეს. ლეკთა ბრბოები წამოიშალნენ და ქართლ-კახეთის დაუცველ სოფლებს მოედნენ.

რუსთა ჯარის ლაშქრობა ირანს და ქართლ-კახეთი 1796 წელს.

რუსეთის მთავრობამ თავისი შეცდომა ეხლა დაინახა. მას გასაჭირში მიტოვებული და მტრის პირში მიცემული მოკავშირე ეკარგებოდა, ხოლო საქართველოს დაკარგვით რუსეთი იძულებული გახდებოდა მთელს ახლო აღმოსავლეთში ფეხი ამოეკეთა. ალა-მაჰმად-ხანი თბილისიდან წასული იყო, როცა გუდოვიჩმა პეტერბურგიდან ერეკლესთვის დახმარების აღმოჩენის ნებართვა მიიღო. ორი ათასი კაცისაგან შემდგარი რუსის ჯარი 1795 წლის დეკემბერში საქართველოში შემოვიდა. ამ დროს რუსეთში ერთხელ კიდევ გაცოცხლდა ჩრდილოეთ ირანის დაჰერისა და ინდოეთთან სავაჭრო კავშირის გეგმა, რომელიც პეტრე პირველმა შეადგინა თავის დროზე. საქართველოს დაცვისა და ალა-მაჰმად-ხანის დასჯის საბაბით 1796 წელს, გაზაფხულზე, 30 ათასი კაცისაგან შემდგარი რუსთა ჯარი დარუბანდის გზით ამიერკავკასიაში შემოიჭრა.

ამასობაში ერეკლე ხალხის გამხსნევებას, მოღალატე-მამუფოთებელთა ალაგმევასა და მტრისაგან მოყენებული ზიანის აღდგენას შეუდგა. თბილისმა ნელ-ნელა მოშენება იწყო, აყრილ-დახიზნული სოფლის მოსახლეობაც თავის სახლებს დაუბრუნდა.

1796 წლის გაზაფხულზე მეფე ერეკლემ ბატონიშვილები და ეთი და ალექსანდრე განჯას ჯავად-ხანის წინააღმდეგ გაგზავნა. განჯის მფლობელი ერეკლეს ორგული იყო. ის ალა-მაჰმად-ხანს თბილისზე წამოუძღვა და საქართველოს აოხრების დროს ყიზილბაში მოლაშქრეებისაგან მრავალი ტყვე და დიდი ალაფი შეიძინა. ქართველებმა სამ აპრილს განჯა აიღეს. ჯავად-ხანი ციხეში ჩაიკეტა. ცოტა ხნის შემდეგ ერეკლემ განჯას ჩავიდა. განგრძლივი ალყით შეწუხებულმა ჯავად-ხანმა პატიება ითხოვა. მეფემ განჯას ძველებურად ხარკი დაადო, ათასი ქართველი და სომეხი ტყვე, ჯავად-ხანს რომ შეეძინა ყიზილბაშებისაგან, გაათავისუფლა, ამ ლაშქრობის ხარჯებიც მას აზღვევინა და უკან დაბრუნდა.

ანავე ხანებში მეფემ ერეკლეს საქმეც მოაგვარა. მან იქ ალა-მაჰმად-ხანის მიერ დევნილი მაჰმად-ხანი ისევ გააბატონა და მასაც ძველებურად ხარკი დააკისრა.

რუსთა ჯარმა ზუბოვის სარდლობით აიღო დარუბანდი, ყუბა, ბაქო, სალიანი, შამახია, გავიდა მუდანს და შიგნით ირანში სალაშქროდ ემზადებოდა. პეტერბურგში ირანს ლაშქრობის გეგმასთან ერთად პეტრეს ძველი გეგმის მეორე ნაწილიც მოაგონდათ: ამიერკავკასიაში ძლიერი

ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნა. გეგმის ავტორების აზრით ასეთი სახელმწიფო ერეკლეს სამეფო უნდა ყოფილიყო. უხვ იმედებს აღძვნიდნენ სომხებსაც. ალა-მაჰმად-ხანი დიდ შიშში იყო.

1796 წელს, ნოემბერში, რუსეთის იმპერატორი ეკატერინე გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრემ, პავლე II, ირანს ლაშქრობა მოშალა და ჯარი უკან გაიწვია. ალა-მაჰმად-ხანმა ეს თავის გამარჯვებად გამოაცხადა და კვლავ საქართველოში ლაშქრობა დააპირა.

სახელმწიფოებრივი რეფორმების გატარების ახალი ცდა.

ერეკლე დაეინებით სთხოვდა თავის მფარველ-მოკავშირეს ტრაქტატით ნაგისრი მოვალეობის შესრულებასა და საქართველოს დასაცავად ჯარის დატოვებას. მოკავშირის დაინტერესების მიზნით ერეკლე შზად იყო რუსეთის სასარგებლოდ ახალ პოლიტიკურ დათმობებზე წასულიყო. ამავე დროს ერეკლემ მიიღო ის ერთადერთი გადაწყვეტილება, რომლის განხორციელებას შეეძლო საქართველოს დამოუკიდებლობა ეხსნა. მოხუც მეფეს რუსეთის დახმარებით საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებების ძირითადი რეფორმების გატარება სურდა.

ერეკლე ამ საქმეში მარტო არ იყო. მასთან იყო ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი. იმ დროს ბევრს ესმოდა, თუ რა იყო საქართველოს ამდენი უბედურების მთავარი მიზეზი. კარგად არჩევდნენ ევროპული წესების უპირატესობას და ამ წესების საქართველოში გადმოწერვას ცდილობდნენ. არა ერთი კანონ-პროექტი იწერებოდა მაშინ საქართველოს საზოგადოებრივი, ეკონომიური და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწესრიგების მიზნით. სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა რწმენა, რომ არსებული სახელმწიფო წყობის სიღუბნე უნდა დაძლეულიყო, რომ დღეს თუ არა ხვალ ევროპული წესები უნდა შემოსულიყო, რომ სათავადოებს დღე უნდა დალეოდა.

მაგრამ ჯერ რეაქცია მაგრობდა და პოზიციების ადვილად დათმობას არ აპირებდა.

იმპერატორი პავლე ერეკლეს ვედრებისადმი ყრუ იყო. 1797 წელს რუსეთის მთავრობამ საქართველოდან ჯარი გაიყვანა და მოკავშირე კვლავ გააფთრებული მტრის პირისპირ დააგდო.

ალა-მაჰმად-ხანი ყარაბაღს მოვიდა, მაგრამ საქართველო ახალი აოხრებისაგან მკვლელის დანამ იხსნა: ამავე წლის ივნისში ალა-მაჰმად-ხანი იქვე, ყარაბაღში, მოჰკლეს.

მცირე ხნით ირანში კვლავ არეულობა გამეფდა. შემდეგ ძალა-უფლება ალა-მაჰმად-ხანის ძმისწულმა ბაბა-ხანმა იგდო ხელთ. საქართველოს მიმართ ისიც თავისი ბიძის პოლიტიკას განაგრძობდა.

ქართლ-კახეთში-კი თავადები პარპაშობდნენ, რასაც ძველებური შედეგები სდევდა თან: ლეკთა გამუდმებული თარეში, გლეხთა აყრადკარგვა, ვაჭარ-ხელოსანთა რუსეთს გაქცევა.

ერეკლეს გარდაცვალება. ასეთ გარემოებაში იყო სამეფო, რო-
ცა 11 იანვარს, 1798 წელს, თელავს გარდაიცვალა 80 წლის ერეკლე,
ქვეყნის თავდადებული მოამბე, დიდი სახელმ-
წიფო მოღვაწე, ბრწყინვალე სარდალი და თავის
დროის მოწინავე კაცი. მოხუცებულობის მიუხედავად მისი და-
კარგვა აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო აფორიაქებული ქვეყნისათვის.

ქვემოთ

§ 149. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება

გიორგი მეთორმეტის გამეფება. სამეფო ტახტზე გიორგი
ერეკლეს ძე ავიდა. მისი მდგომარეობა იმთავითვე შეტად მძიმე
იყო. თავისი ურჩი ძმების შემორიგების მიზნით გიორგი მალე იძულებუ-
ლი შეიქნა დამტკიცებინა 1791 წელს დარეჯან დედოფლის თაოსნო-
ბით შედგენილი ტახტის მემკვიდრეობის ის წესი, რომლის უკანონობა
თვით ერეკლემ დაუდასტურა იმავე გიორგის. ძმებს შორის ნდობა არც
ამის შემდეგ დამყარებულა და ერთმანეთის წინააღმდეგ ორივე მხარე
ძალებს იკრებდა.

თავის მცველებად გიორგი მეფემ ლეკთა დიდი რაზმი დაიქირავა. ამ
ჯარის ჯამაგირი მძიმე ტვირთად დააწვა ილაჯ-გაწყვეტილ გლეხობას.
საჭირო ფულის შოვნის მიზნით მეფე სესხსაც მიმართავდა ვაჭრებსა და
თავადებს შორის და, თუ უარს ზედებოდა, მაშინ არც აშკარა იძულებას
ერიდებოდა. ამავე დროს ეს ლეკები მოსახლეობის მშვიდობიანობას
სრულებით არ იცავდნენ. მათი მოძმე ავაზაკების თარეში ქართლის
სოფლებში დიდი ხანია ისე თავაშეხებული არ ყოფილა, როგორც ეხლა.

ლეკთა დაქირავებამ მტრობა-უნდობლობა მეფესა და მის ძმებს შო-
რის კიდევ უფრო გაამწვავა. ბატონიშვილები შიშობდნენ, რომ მეფე
მის მიერვე დამტკიცებულს ტახტის მემკვიდრეობის კანონს შესცვლიდა,
და მართალიც იყვნენ. გიორგი არა მარტო ამ კანონის გაუქმებას, არამედ
სახელმწიფო წყობილები ს შეცვლასაც აპირებ-
და. სათანადო კანონ-პროექტი მისმა შვილმა ა
იოანემ შეადგინა კიდევც.

ლეკთა ამოდენა რაზმის — 1 200 კაცი იყო — ჯამაგირით შენახვა სულ
უფრო და უფრო ძნელი ზედებოდა, ხოლო გართულებული საშინაო
მდგომარეობა მეფეს აიძულებდა დახმარება ეძებნა სხვა ქვეყნებში.

სამეფოს უკანასკნელი წლები. ჯერ კიდევ ერეკლემ უბრძანა
1797 წლის მიწურულში თავის ელჩს გარსევან ჭავჭავაძეს.
რათა მას გადაჭრით დაესვა საკითხი რუსეთის მთავრობის წინაშე, აპი-
რებდა თუ არა რუსეთი ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულე-
ბას. ერეკლე ისე გარდაიცვალა, რომ რუსეთის მთავრობისაგან პასუხი
არ მიუღია. გიორგი მეფემ თავისი ტახტზე ასვლა აცნობა რუსეთის

ხელმწიფეს და მისგან დასტური ითხოვა. რუსეთის მთავრობა ეხლაც დუმილს განაგრძობდა.

1798 წლის ივლისში გიორგი მეფეს ირანის შაჰის სიგელი მოუვიდა. შაჰი გიორგისაგან ირან-საქართველოს ძველი ურთიერთობის აღდგენას მოითხოვდა, სამაგიეროდ დიდ წყალობას პირდებოდა მეფეს. უარისათვის შაჰი ქვეყნის განადგურებით იმუქრებოდა. მეფემ შაჰთან მოლაპარაკება გადასწყვიტა და ამის შესახებ პეტერბურგშიაც შეატყობინა. ცოტა ხნის შემდეგ მეფემ აცნობა თავის ელჩს გარსევან ჭავჭავაძეს, რომ მას გადაწყვეტილი აქვს, თუ რუსეთი არ დაეხმარება, ტრაქტატი დარღვევულად გამოაცხადოს, ელჩი უკან გამოიწვიოს და დაეხმარებაც სხვაგან ეძიოს. ამ დროს მეფეს ოსმალეთთანაც მოლაპარაკება წამოეწყო. მეფის მტკიცე კილომ რუსეთის მთავრობა აამოქმედა. იმპერატორმა პავლემ გიორგი მეფეს წყალობის სიგელი გამოუგზავნა.

იმავლე წლის შემოდგომით გიორგიმ, ტრაქტატის თანახმად, პავლესაგან ტახტზე დამტკიცების ნიშნები, თავისი შვილის დავითის მემკვიდრედ აღიარება და 3 000 კაცისაგან შემდგარი ლაშქარი ითხოვა. რუსეთის მთავრობამ გიორგის თხოვნა დააკმაყოფილა. 1799 წლის აპრილში პავლემ დამტკიცების სიგელი და სათანადო ნიშნები გამოუგზავნა გიორგი მეფეს.

დავით გიორგის ძის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებამ გიორგი მეფის ძმები ააჯანყა. ბატონიშვილები თავის საუფლისწულოებში ჩასხდნენ და მეფის ხელისუფლებას აღარ სცნობდნენ. დარეჯან დედოფალი თბილისში იჯდა და გიორგი მეფისადმი მტრობას დაუღალავად აღვივებდა. ალექსანდრე ბატონიშვილი, ერეკლეს ძე, ირანის შაჰთან გაიქცა. ბაბა-ხანმა დიდი ხალისით იცისრა ერეკლეს შვილების უფლების ცრუ ჭომაგობა და კიდევ უფრო მეტი ენერგიით ცდილობდა ქართლ-კახეთის დამონებას.

რუსთა ჯარი ჯერ კიდევ არ მოსულიყო. შეშინებულმა ავადმყოფმა მეფემ ისევ რუსეთს მიმართა და ტრაქტატის შეცვლა ითხოვა. მეფე რუსეთის მთავრობას უფლებას აძლევდა ქართლ-კახეთის საშინაო საქმეები მოეწესრიგებინა, ოღონდ თავისთვის და თავისი ჩამომავლობისათვის მეფობის შენარჩუნებას მოითხოვდა.

ნოემბრის ბოლოს, 1799 წელს, რუსთა ჯარი გენერალ ლაზარევის სარდლობით საქართველოში შემოვიდა. ლაშქართან ერთად მოვიდა რუსეთის მთავრობის მინისტრი საქართველოს მეფის კარზე — კოვალენსკი.

რუსის ჯარის საქართველოში შემოსვლამ ირანის შაჰი შეაშფოთა. ელჩების პირით შაჰი რუსეთისგან საქართველოს დაცლას მოითხოვდა, თანაც ჯარებს აგროვებდა და ომით იმუქრებოდა. იმპერატორი პავლე ერთხელ კიდევ შეეცაყმანდა, მაგრამ ამ დროს უკვე რუსეთის მთავრობის წრეებში მეტად გაძლიერებულიყო საქართველოს ანექსიის მომხრეთა

დასი. რუსეთ-საქართველოს ხანგრძლივი ურთიერთობის განმავლობაში რუსმა პოლიტიკოსებმა შეისწავლეს საქართველო, კარგად შეათვალეს მისი მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში, გაიცნეს საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები და საქართველოს შეძენას რუსეთისათვის ისინი ეხლა უკვე სიკეთედ სთვლიდნენ.

1800 წლის სექტემბერში რუსეთის მთავრობამ კიდევ ერთი პოლიტიკური გამოგზავნა საქართველოში გენერალ გულისკოვის სარდლობით. გიორგი მეფეს ამის შემდეგ მშვიდი ძილი შეეძლო, მის მემკვიდრეებს-კი მეფობა სიზმარივით უქრებოდათ.

ამავე დროს, საქართველოში აშლილობა და არეულობა არ ნელდებოდა. ბატონიშვილებმა ეხლა გიორგი მეფის წინააღმდეგ ომარ-ხანი, ხუნძახის ბატონი, მოიწვიეს; საქართველოს ამ დაუძინებელ მტერს თან ალექსანდრე ბატონიშვილიც, ერეკლეს ძე, მოჰყვებოდა. ამავე წლის ნოემბერში რუს-ქართველთა მხედრობამ დაამარცხა ომარ-ხანის ლაშქარი ნიხრას (ივრის პირზე) და ქვეყანა საშინელი აოხრებისაგან იხსნა.

1783 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე ქართლ-კახეთი თანდათან ეცემოდა. იშვიათად განუცდია აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ასეთი ხანა: თითქოს მთელი მსოფლიო მტრად აუტყდა მცირე ქვეყანას; საგარეო მტრები შინაურ მტრებს, რეაქციონერ თავადებს, დაუკავშირდნენ და ამ ძლიერმა კავშირმა ქართველი საზოგადოების ჯერ კიდევ სუსტი მოწინავე ძალები დროებით დაამარცხა.

გიორგი მეფე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, რომ რუსეთის მთავრობას მეფის სიკვდილის მოლოდინში უკვე მიეღო გადაწყვეტილება ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და ქვეყნის რუსეთთან შეერთების შესახებ. ეს იყო 22 დეკემბერს, 1800 წელს. ექვსი დღის შემდეგ გიორგი მეფე გარდაიცვალა. ადგილობრივი რუსის ჯარის სარდალს კარგა ხანია საიდუმლო განკარგულება ჰქონდა მიღებული, რათა დავით ბატონიშვილის მეფედ გამოცხადება არ დაეშვა. მაგრამ ამასობაში იმპერატორი პავლე I გარდაიცვალა (11/III 1801 წ.) და საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხის მოგვარება წილად ხვდა იმპერატორ ალექსანდრე პირველს, რომელმაც 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და ქვეყნის რუსეთთან შეერთება საბოლოოდ გააფორმა.

საქართველო მეფის რუსეთის კოლონიად იქცა. რა თქმა უნდა, ეს იყო ბოროტება, რომელსაც ქართველი ხალხი დაუღალავად ებრძოდა, ვიდრე მან, დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად, თავისუფლება არ მოიპოვა. მაგრამ იმ ისტორიულ პირობებში ეს იყო მაინც უმცირესი ბოროტება: სამი მოქიშვე სახელმწიფოდან (რუსეთი, ირანი, ოსმალეთი) მხოლოდ

რუსეთი, საქართველოსათვის მაზლობელი რელიგიითა და კულტურით, იყო ის ერთადერთი პროგრესული ძალა, რომელსაც შეეძლო საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანება და ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა.

საქართველოს ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა უცხო, მტრული გარემოცვის გარღვევით დასრულდა და ქართველი ხალხი, რუსეთის მეშვეობით, კვლავ და საბოლოოდ დაუბრუნდა ევროპული განვითარების გზას.

ძველი წელთაღრიცხვით

- XVIII ს. ძველი ხეთის სამეფოს ძლიერების პერიოდი.
 XVII—XV სს. მიტანის სამეფოს ძლიერების პერიოდი.
 XIV—XIII სს. ახალი ხეთის სამეფოს ძლიერების პერიოდი.
 1278 წ. ხეთის მეფის ხატუშშილ მესამის ხელშეკრულება თარაონთან.
 XIV—XI სს. თრიალეთის მაღალი კულტურული ცენტრი.
 XI—VIII სს. აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ-ქართული ბრინჯაოს კულტურის აყვავების პერიოდი.
 XI—IX სს. სუბარული ტომების ბრძოლა ასურეთთან.
 IX—VIII სს. ურარტუს სამეფოს ძლიერების პერიოდი.
 VI ს. პირველი ცნობების გაჩენა ბერძნულ მწერლობაში იბერიისა და კოლხეთის სამეფოების შესახებ.
 190 წ. ახლო ხანები, სომხური სამეფოების წარმოშობა.
 65 წ. რომაული გავლენის დამყარება ამიერკავკასიაში.

ახალი წელთაღრიცხვით

- 69—79 წწ. კოლხეთისა და პონტოს ტომების დიდი აჯანყება რომაელების წინააღმდეგ ანიკეტის მეთაურობით.
 I—II სს. ქართლის (იბერიის) სამეფოს გაძლიერება.
 298 წ. ნიზიბინის ზავი.
 337 წ. ახლო. ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება ქართლში.
 368 წ. ორმეფობა ქართლში.
 IV ს. ლაზიკის სამეფოს წარმოქმნა.
 456 წ. რომაელების დამარცხება ლაზების მიერ.
 V ს. მეორე ნახევარი. ვახტანგ გორგასლის მეფობა ქართლში.
 484 წ. დიდი ბრძოლის დაწყება სპარსელების წინააღმდეგ ვახტანგ გორგასლის მიერ.
 523 წ. მეფობის გაუქმება ქართლში სპარსელების მიერ.
 523 წ. ლაზიკის მეფის წათეს გაქრისტიანება.
 532 წ. „საუკუნო ზავი“.
 542—562 წწ. დიდი ომი ლაზიკაში.
 562 წ. დარას ზავი.
 572 წ. ქართლისა და სომხეთის აჯანყება სპარსელების წინააღმდეგ.
 575 წ. სპარსელების გაძევება სეანეთიდან.
 VI ს. დამლევი. ქართლის საერისმთავროს წარმოქმნა.
 607 წ. განხეთქილება ქართლისა და სომხეთის ეკლესიებს შორის.
 627 წ. თბილისის აღება ჰერაკლე კეისრის მიერ.
 654 წ. ქართლის ერისმთავრის პირველი ხელშეკრულება არაბებთან.
 VII ს. დამლევი. არაბების დამკვიდრება თბილისში.
 697 წ. ლაზიკის პატრიკიოზის სერგის აჯანყება ბიზანტიელების წინააღმდეგ. არაბები ეგრისში.
 736—738 წწ. მურვან ყრუს ლაშქრობა საქართველოში.
 VIII ს. მეორე ნახევარი. კახეთის სამთავროს წარმოქმნა.

- VIII ს. მიწურული. აფხაზთა სამეფოს წარმოქმნა.
IX ს. დამდეგი. ერისმთავრობის მოსპობა ქართლში.
IX ს. დამდეგი. ტაო-კლარჯეთის სამთავროს წარმოქმნა.
853 წ. ბულა თურქის ლაშქრობა საქართველოში.
888 წ. ადარნასე ბაგრატიონის მიერ ქართველთა მეფის ტიტულის მიღება.
914 წ. აბულ-კასიმის შემოსევა საქართველოში.
951 წ. გ. მერჩულის თხზულების დაწერის თარიღი.
979 წ. დავით III-ის, კურაპალატის, ჯარები ამარცხებენ ბარდა სკლიაროსს.
975—1014 წწ. ბაგრატ III-ის მეფობა.
1001 წ. დავით III-ის, კურაპალატის, გარდაცვალება.
1010 წ. კახეთ-ჰერეთის პირველი შემოერთება.
1014—1027 წწ. გიორგი I-ის მეფობა.
1021—1023 წწ. საქართველო-ბიზანტიის ომი.
1027—1072 წწ. ბაგრატ IV-ის მეფობა.
1045 წ. ქ. ანისის პირველი ალება.
1046 წ. ქ. თბილისის პირველი ალება.
1065 წ. სელჩუკიან თურქების პირველი შემოსევა საქართველოში.
1072—1089 წწ. გიორგი II-ის მეფობა.
1080 წ. დიდი თურქობა. გიორგი II კისრულობს თურქების ხარკს.
1089—1125 წწ. დავით IV-ის, აღმაშენებლის, მეფობა.
1103 წ. რუს-ურბნისის საეკლესიო კრება.
1110—1118 წწ. დავით აღმაშენებლის წარმატებითი ბრძოლები თურქების წინააღმდეგ.
1118 წ. მუღმივი ჯარის შექმნა ყიფჩაყთაგან.
1121 წ. თურქთა დიდი ჯარის დამარცხება დავითის მიერ დიდგორის ომში.
1122 წ. თბილისის ალება.
1123 წ. თურქების სულტანის დამარცხება შამაზიასთან და შარვანის შემოერთება.
1123 წ. თურქების განდევნა სომხეთიდან და სომხეთის შემოერთება.
1125—1156 წწ. დემეტრე I-ის მეფობა.
1156—1184 წწ. გიორგი III-ის მეფობა.
1162 წ. ქ. დვინის ალება.
1167 წ. ქ. დარუბანდის ალება.
1177 წ. დემნას აჯანყება.
1178 წ. თამარის გამოცხადება თანამოსაყდრედ (თანამმართველად).
1184—1213 წწ. თამარის მეფობა.
1185 წ. დიდებულთა გაფიცვა და ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა.
1195 წ. შამქორის ომი.
XII ს. დამდეგი. „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის დრო.
1204 წ. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს დაპყრობა ქართველთა ჯარების მიერ და ტაო-პიზონის სამეფოს დაარსება.
1204 წ. თურქთა დიდი ჯარის დამარცხება ქართველების მიერ ბასიანის ომში.
1206 წ. ქ. კარის (ყარსის) ალება.
1207 წ. ლაშა გიორგის გამოცხადება თანამოსაყდრედ.
1208—9 წწ. ქ. არტემის ალება.
1210 წ. ლაშქრობა ირანში.
1213—1222 წწ. ლაშა გიორგის მეფობა.
1220 წ. პირველი ბრძოლა მონღოლებთან.
1222—1245 წწ. რუსუდანის მეფობა.
1225—1230 წწ. ზვარახმელთა ბატონობა აღმოს. საქართველოში.



- 1230 წ. დავით რუსუდანის ძის გამოცხადება თანამოსაყდრედ.
1235—1240 წწ. აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ.
1247 წ. დავით მეექვსისა და დავით მეშვიდის საქართველოს მეფეებად დანიშვნა მონღოლთა მიერ.
1254 წ. დიდი აღწერა მონღოლთა სახელმწიფოში.
1259—1260 წწ. აჯანყება მონღოლთა წინააღმდეგ საქართველოში.
1266 წ. სამცხის გადაქცევა ულუსიანად.
1270 წ. დავით ულუს გარდაცვალება.
1264—1266 წწ. დავით ნარინის აქტიური დიპლომატიური ურთიერთობა ეგვიპტესთან.
1282 წ. დავით ნარინი იპყრობს ტრაპიზონის სამეფოს დიდ ნაწილს.
1271—1289 წწ. დემეტრე II-ის, თავდადებულის, მეფობა.
1293 წ. დავით ნარინის გარდაცვალება.
1298—1314 წწ. მრავალმეფიანობა.
1314—1346 წწ. გიორგი V-ის, ბრწყინვალის, მეფობა.
1341 წ. ანა-ხუტლუს გამეფება ტრაპიზონში ქართველთა ჯარის დახმარებით.
1360 წ. ბაგრატ V-ის გამეფება.
1386—1403 წწ. თემურ-ლენგის შემოსევა საქართველოში.
1407 წ. გიორგი VII-ის მოკვლა თურქმანებთან ბრძოლაში.
1411 წ. კონსტანტინე I-ის მოკვლა თურქმანებთან ბრძოლაში.
1412—1443 წწ. ალექსანდრე I-ის მეფობა.
1453 წ. კონსტანტინოპოლის აღება თურქ-ოსმალთა მიერ.
1459—1460 წწ. გიორგი VIII-ის მოლაპარაკება ევროპის სახელმწიფოებთან საერთო ომის შესახებ ოსმალეების წინააღმდეგ.
1466 წ. ბაგრატის გამეფება ქართლში და გიორგი VIII-ის გადასვლა კახეთში. საქართველოს სამეფოს რღვევის დასაწყისი.
1477 წ. თბილისის აღება უზუნ-ჰასანის მიერ.
1492—1496 წწ. კონსტანტინე II-ის ელჩები ეგვიპტისა და ესპანეთის მთავრობებთან.
1510 წ. ოსმალთა პირველი შემოსევა დას. საქართველოში.
1534—1558 წწ. ლუარსაბ I-ის მეფობა ქართლში.
1541—1553 წწ. შაჰ-თამაზის შემოსევები ქართლში.
1543 წ. ქარაღაქის ომი.
1545 წ. სოხოისტას ომი.
1551 წ. არტანუჯის დაპყრობა ოსმალთა მიერ.
1555 წ. ირან-ოსმალეთის შეთანხმება საქართველოს ურთიერთმოწოდების გავლენის სფეროებად გავლენის შესახებ.
1558 წ. გარიის ომი და ლუარსაბ მეფის მოკვლა.
1558—1600 წწ. სიმონ I-ის მეფობა ქართლში.
1568 წ. მოსკოვის მეფე ივანე IV სამხედრო დახმარებას უწყევს კახეთის მეფე ლევანს.
1578 წ. სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა და ქართლის დაპყრობა ოსმალთა მიერ.
1590 წ. ირან-ოსმალეთის შეთანხმება ამიერკავკასიის ცნობის შესახებ ოსმალეთის საკუთრებად.
1598—1600 წწ. სიმონ მეფის ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ.
1585—1587 წწ. ელჩების გაცვლა მოსკოვსა და კახეთს შორის და ხელშეკრულების დადება.
1606—1648 წწ. თეიმურაზ I-ის მეფობის წლები.
1609 წ. ოსმალთა ჯარის დამარცხება გიორგი სააკაძის მიერ ქვიშხეთის ბრძოლაში.
1614 წ. შაჰ-აბასის პირველი შემოსევა კახეთში.

- 1616 წ. კახეთის აოხრება.
- 1618 წ. ქართველი ელჩები მოსკოვსა და დას. ევროპაში დაბმარების საძიებლად ირანის წინააღმდეგ.
- 1622 წ. ლუარსაბ II-ის მოკვლა ტყვეობაში ირანს.
- 1623 წ. სპარსელთა ჯარის გაწყვეტა მარტყოფში გიორგი სააკაძის მიერ.
- 1624 წ. მარაბდის ომი.
- 1624 წ. ქეთევან დედოფლის მოკვლა ტყვეობაში ირანს.
- 1626 წ. ბახალეთის ომი. გიორგი სააკაძის დამარცხება.
- 1632—1658 წწ. როსტომის მეფობა ქართლში.
- 1647—1713 წწ. არჩილის ცხოვრება.
- 1658 წ. მუხრან-ბატონების გამეფება ქართლში.
- 1658—1725 წწ. სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრება.
- 1659 წ. კახეთის აჯანყება და თურქმანების გაწყვეტა.
- 1663 წ. თეიმურაზ I-ის გარდაცვალება ტყვეობაში.
- 1703—1724 წწ. ვახტანგ VI-ის გამგეობისა და მეფობის წლები ქართლში.
- 1705 წ. დავით გურამიშვილის დაბადება.
- 1709 წ. სტამბის გახსნა თბილისში.
- 1713 წ. საბა ორბელიანის ელჩობა ევროპაში.
- 1720 წ. პეტრე პირველისა და ვახტანგ VI-ის შეთანხმება.
- 1724 წ. ვახტანგ VI-ისა და მისი ამაღლის გადახვეწა რუსეთს.
- 1723—1735 წწ. ოსმალთა ბატონობა ქართლ-კახეთში.
- 1735—1747 წწ. სპარსელთა ბატონობა ქართლ-კახეთში.
- 1733—1744 წწ. თეიმურაზ II-ის მეფობა კახეთში.
- 1744 წ. თეიმურაზ II-ის გამეფება ქართლში და ერეკლე II-ისა კახეთში.
- 1748—1750 წწ. ერეკლის, განჯისა და ნახჭევანის სახანოების გადაქცევა საქართველოს მონარქე ქვეყნებად.
- 1751 წ. ახატ-ხანის დამარცხება ერევნის ახლო.
- 1752—1784 წწ. სოლომონ I-ის მეფობა იმერეთში.
- 1754 წ. ხუნძახის ბატონის დამარცხება მკადისჯვართან.
- 1755 წ. ხუნძახის ბატონის დამარცხება ყვარელთან.
- 1757 წ. ხრესილის ომი.
- 1758 წ. ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის ხელშეკრულება კავშირის შესახებ.
- 1759 წ. დას. საქართველოს ხელმძღვანელი წარების კრება.
- 1760 წ. თეიმურაზ II-ის გამგზავრება რუსეთს.
- 1762—1798 წწ. ერეკლე II—ქართლ-კახეთის მეფე.
- 1768—1774 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომი.
- 1770 წ. ერეკლე II-ის გამარჯვება ასპინძასთან.
- 1774 წ. სოლომონ I-ის გამარჯვება ჩხერში.
- 1774 წ. „მორიგე ჯარის“ დაარსება ქართლ-კახეთში.
- 1781—1782 წწ. ერეკლეს მოლაპარაკება დას. ევროპის სახელმწიფოებთან.
- 1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატი (მეგობრობითი ხელშეკრულება რუსეთსა და საქართველოს შორის).
- 1785 წ. ომარ-ხანის შემოსევა.
- 1790 წ. საქართველოს მეფე-მთავართა ხელშეკრულება კავშირისა და ერთიგობადმარების შესახებ.
- 1795 წ. კრწანისის ომი და თბილისის აოხრება ალა-მაჰმად-ხანის მიერ.
- 1798—1800 წწ. გიორგი XII-ის მეფობა.
- 1801 წ. იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთების შესახებ რუსეთთან.

ს ა რ ო ვ ი

წინასიტყვაობა პირველი გამოცემისათვის.....	83-
წინასიტყვაობა მე-2 გამოცემისათვის.....	4
შესავალი	5
§ 1. პირველყოფილი საზოგადოება საქართველოს ტერიტორიაზე.....	5
§ 2. პირველყოფილ-თემური წყობილება ქართულ ტომებში.....	9
§ 3. პირველყოფილ-თემური წყობილების დარღვევა. საზოგადოებრივი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა	17
§ 4. ქართულ ტომთა წარმოშობა. ხეთურ-იბერიული გვარტომობის ხალხები.....	19

თ ა ვ ი I

საბარტველო-კამკასია ბრინჯაოსა და აღრინდელ
რკინის ხანაში

§ 5. ბრინჯაოს ხანა საქართველოში.....	26
§ 6. ხეთურ-სუბარული სახელმწიფოები პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში, ძვ. წ.	35

თ ა ვ ი II

ანტიკური ხანის მოწათმშობლოებური სახელმწიფოები
საბარტველოში

§ 7. საქართველოს მეზობელი ქვეყნები მე-7 და მე-6 საუკუნეებში, ძვ. წ.	41
§ 8. ბერძნული ახალშენები შავი ზღვის სანაპიროზე.....	43
§ 9. ძველი ბერძნული ცნობები საქართველოს შესახებ.....	44
§ 10. იბერიისა და კოლხეთის სამეფოების წარმოშობა.....	52
§ 11. იბერია-კოლხეთი და აქემენიდების ჯამეფო.....	56
§ 12. საქართველო და მისი მეზობლები ელინისტურ ხანაში.....	58
§ 13. რომის დაპყრობითი ომები აღმოსავლეთში.....	64
§ 14. რომაელები საქართველოში	66
§ 15. საქართველოს სამეურნეო მდგომარეობა პირველი საუკუნის დამდეგს, ძვ. წ. .	68

§ 16. საზოგადოებრივი წყობილება საქართველოში პირველი საუკუნის დამდეგს, ძვ. წ.	73
§ 17. საქართველო-რომის ურთიერთობა	76
§ 18. ბრძოლა რომაელების წინააღმდეგ კოლხეთში	78
§ 19. ქართლის (იბერიის) სამეფოს გაძლიერება პირველსა და მეორე საუკუნეებში, ახ. წ.	79
§ 20. კოლხეთი მეორე საუკუნეში, ახ. წ.	82
§ 21. ახალი სპარსული სამეფოს წარმოშობა. ბრძოლა რომაელებსა და სპარსელებს შორის	83

თ ა ვ ი III

ადრინდელ-ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში

§ 22. ფეოდალური წყობილების წარმოშობა	85
§ 23. ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო სარწმუნოებად ქართლში	88
§ 24. ქართული მწიგნობრობა	91
§ 25. ძველი ქართული წარმართული სარწმუნოება და თქმულებები	93
§ 26. ლაზიკის სამეფოს წარმოშობა	98
§ 27. ქართლი და სპარსეთი მე-4 საუკუნის დამდეგსა და მე-5 საუკუნის დამდეგს.	102
§ 28. ქართლი მე-5 საუკუნეში	104
§ 29. სპარსელების სარწმუნოებრივი პოლიტიკა ქართლში	105
§ 30. ებტანგ გორგასალი. ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ	107
§ 31. ქართლი სპარსელების ბატონობის ქვეშ	110
§ 32. ფარისი მე-6 საუკუნის დამდეგს. ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება ფარისში	111
§ 33. „საუკუნო ზავი“ და მისი შედეგები	113
§ 34. ომის დაწყება ფარისში. ომის მიზეზები	114
§ 35. სპარსელების ნამდვილი განზრახვის გამოაშკარავება. ომის გაფართოება	116
§ 36. მდგომარეობა აბაზგიაში	118
§ 37. პეტრას აღება მოკავშირეების მიერ. გუბაზ მეფის მოკვლა	120
§ 38. სახალხო კრება ფარისში და ბჭობა ორიენტაციის საკითხის შესახებ	121
§ 39. მისიიონერების აჯანყება. სპარსელების საბოლოო დამარცხება ფარისში	122

თ ა ვ ი IV

ფეოდალიზმის განვითარება საქართველოში

§ 40. ქართლის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის	125
§ 41. ქართლის საერისმთავროს დაარსება	126
§ 42. კულტურა და იდეოლოგია მეოთხე-მეექვსე საუკუნეებში	128
§ 43. ამიერკავკასიის მეზობელი ქვეყნები მე-7 საუკუნეში	133
§ 44. საქართველო მე-7 საუკუნის პირველ ნახევარში	135

არაბობა საქართველოში



§ 45. არაბების შემოსევა საქართველოში	138
§ 46. ბრძოლა არაბების წინააღმდეგ ქართლში	140
§ 47. არაბთა ბატონობა ქართლში	140

თ ა ზ ი VI

ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის

§ 48. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოშობა საქართველოში	145
§ 49. თბილისის ამირას განდგომა ხალიფასაგან და თბილისის საამიროს და- წინება	147
§ 50. საზოგადოებრივი კლასები და მათი ბრძოლა მე-7—მე-9 საუკუნეებში	148
§ 51. სამთავროების გაერთიანების ეკონომიური პირობები	149
§ 52. სამთავროების ბრძოლა პირველობისათვის	153
§ 53. მეფეთა-მეფე დავით მესამე, კურაპალატი	155
§ 54. კულტურული ვითარება მე-8—მე-10 საუკუნეებში	158

თ ა ზ ი VII

საქართველოს გაერთიანება

§ 55. ბაგრატ მესამის მეფობა	161
§ 56. ომი ბიზანტიასთან	164
§ 57. ბაგრატ მეოთხის მეფობა	166
§ 58. თურქების გაძლიერება და მისი შედეგები საქართველოსათვის	169
§ 59. საქართველოს კულტურული ვითარება მე-11 საუკუნეში	171

თ ა ზ ი VIII

საქართველოს სამეფოს გაძლიერება

§ 60. საქართველოს საზოგადოებრივი წყობილება მე-11—მე-12 საუკუნეებში	176
§ 61. დავით აღმაშენებელი	177
§ 62. ქართული ფეოდალური მონარქიის განვითარება დავით III-ის დროიდან დავით IV-მდე	188
§ 63. დავით IV-ის მემკვიდრენი	196

§ 64. თამარის გამეფება. ბრძოლა სამეფო კარზე.....	201
§ 65. ბრძოლა საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების შესაცვლელად.....	202
§ 66. შინაური მდგომარეობა თამარის მეფობის დასაწყისში.....	204
§ 67. საგარეო ომები თამარის მეფობაში.....	205
§ 68. შინაგანი ვითარება თამარის მეფობაში. მთიელების აჯანყება.....	208
§ 69. ლაშა გიორგის (გიორგი ჭეოთხის) მეფობა.....	211
§ 70. საქართველოს სამეურნეო მდგომარეობა მე-12 საუკუნეში.....	214
§ 71. ქართული ფეოდალური მონარქია მე-12 საუკუნეში.....	216
§ 72. საქართველოს კულტურული ვითარება მე-12 საუკუნეში.....	224

თ ა ვ ი X

მონღოლების შემოსევა

§ 73. რუსუდანის გამეფება. ბრძოლა ხვარაზმელებთან.....	232
§ 74. ხვარაზმელები საქართველოში.....	234
§ 75. აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა მონღოლების მიერ.....	235

თ ა ვ ი XI

მონღოლთა ბატონობა საქართველოში

§ 76. მონღოლები.....	241
§ 77. მონღოლური მმართველობის თავდაპირველი წესი საქართველოში.....	242
§ 78. კოხტასთაისის შეთქმულება. ცოტნე დადიანის გმირობა.....	243
§ 79. საქართველოს სამეფო ტახტის შემკვიდრეობის საკითხი.....	244
§ 80. საქართველო თათართა უღელ ქვეშ.....	246
§ 81. მესტუმრე ჯიქური.....	248
§ 82. საქართველოს მდგომარეობა ილხანების ბატონობის ქვეშ.....	249
§ 83. თათართა წინააღმდეგ აჯანყება საქართველოში.....	250
§ 84. ურთიერთობა ულუ დაეითსა და დაეით ნარინს შორის დასავლეთ საქარ- თველოში.....	251
§ 85. ულუ დაეითის შეთანხმება მონღოლებთან.....	252
§ 86. ბრძოლა საეკლესიო მამულების გამო.....	254
§ 87. სამცხის გამოყოფა საქართველოს სამეფოდან და ულუსიანად გადაქცევა.....	255
§ 88. ბრძოლის განახლება ჩრდილოეთის ულუსსა და ირანის ილხანებს შორის და მისი ანარეკლი საქართველოში.....	255
§ 89. დაეით ნარინის საგარეო ურთიერთობანი.....	256
§ 90. დემეტრე მეორის გამეფება აღმოსავლეთ საქართველოში. სადუნ მანკაბერდელი.....	257
§ 91. აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა დემეტრე მეორის მეფობაში.....	259

§ 92. შინაური ბრძოლა ილბანების სახელმწიფოში. დემეტრე მეორის სიკვდილით დასჯა	260
§ 93. ვახტანგ მეორის, ნარინ დავითის ძის, მეფობა აღმოსავლეთ საქართველოში	263
§ 94. საქართველოს მდგომარეობა მე-13 საუკუნის დამლევს	263
§ 95. ყაზან ყაენი და დემეტრე მეორის შვილები	264
§ 96. სამცხის მდგომარეობა	266
§ 97. ვახტანგ მესამის მეფობა (1302—1308 წ.)	268
§ 98. შინაური მდგომარეობა საქართველოში მე-14 საუკუნის დამდეგს	269

თ ა ვ ი XII

საპარტყმლოს სამეფოს მთლიანობის აღდგენა

§ 99. გიორგი მეხუთის, ბრწყინვალის, მეფობა	271
§ 100. საქართველოს სამეფოს საერთაშორისო მნიშვნელობის აღდგენა	273

თ ა ვ ი XIII

თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში

§ 101. გიორგი ბრწყინვალის მეგვიდრეები	276
§ 102. თემურ-ლენგის პირველი შემოსევა საქართველოში	277
§ 103. საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის თემურის წინააღმდეგ . .	278
§ 104. ზაფის დადგენა თემურ-ლენგსა და საქართველოს შორის	282
§ 105. საქართველო თემურ-ლენგის შემოსევების შემდეგ	283

თ ა ვ ი XIV

საპარტყმლო მე-15 საუკუნეში. სამეფოს დაშლა

§ 106. ალექსანდრე პირველის მეფობა	286
§ 107. საქართველოს სამეფოს რღვევის პირველი ნიშნები	288
§ 108. ახალი საერთაშორისო მდგომარეობა	290
§ 109. შინაური ზავის ჩაშლა საქართველოში	293
§ 110. საქართველოს დაყოფა ცალკე სამეფოებად	293
§ 111. ცვლილებები საზოგადოებრივ ურთიერთობაში	298

თ ა ვ ი XV

პარტყმლი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის მე-16 საუკუნეში

§ 112. საქართველოს მესობელი სახელმწიფოები მე-16 საუკუნეში	300
§ 113. ბატონყმობა	301
§ 114. ქართლი მე-16 საუკუნის დამდეგს	304
28. საქართველოს ისტორია.	433

§ 115. ლუარსაბ პირველის მეფობა ქართლში	308
§ 116. სიმონ პირველის მეფობა ქართლში	310
§ 117. კახეთი მე-16 საუკუნეში	314
§ 118. დასავლეთი საქართველო მე-16 საუკუნეში	319
§ 119. სამცხე-საათაბაგო მე-16 საუკუნეში	320
§ 120. ირან-ოსმალეთის მეორე ომი და საქართველო	324
§ 121. სამცხე-საათაბაგო მე-16 საუკუნის მიწურულს	326
§ 122. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მე-16 საუკუნის მიწურულს	326

თ ა ვ ი XVI

ქართვალთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის მე-17 საუკუნის პირველ მემთხედში

§ 123. ირან-ოსმალეთის ომის განახლება	328
§ 124. ქართლ-კახეთის მეფეთა კავშირი და შაჰ-აბასი	329
§ 125. გიორგი სააკაძე	331
§ 126. აჯანყება კახეთში. კახეთის აზნაურება	334
§ 127. ქართლ-კახეთი 1616—1622 წლებში	339
§ 128. გიორგი სააკაძის აჯანყება	341
§ 129. მარაბდის ომის შემდეგ. სააკაძის დამარცხება	344

თ ა ვ ი XVII

ირანისა და ოსმალეთის ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ

§ 130. როსტომის მეფობა	349
§ 131. კახეთის აჯანყება 1659 წელს	350
§ 132. თეიმურაზის პოლიტიკის საბოლოო დამარცხება	353
§ 133. დასავლეთი საქართველო მე-17 საუკუნეში	354

თ ა ვ ი XVIII

ბრძოლა ქართლ-კახეთის განთავისუფლებისათვის

§ 134. ქართლი მე-17 საუკუნის დამლევს	359
§ 135. ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობა	363
§ 136. კახეთი მე-17 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში	371

თ ა ვ ი XIX

ირან-ოსმალეთ-რუსეთის ომი და საქართველო მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში

§ 137. ვახტანგ მეექვსისა და პეტრე პირველის ურთიერთობა	374
§ 138. ძნელზედობა მე-18 საუკუნის მეორე მეოთხედში	377

თ ა ვ ი XX

საპარტამენტო მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში



81

§ 139. თეიმურაზისა და ერეკლეს ბრძოლა პირველობისათვის ამიერკავკასიაში	380
§ 140. ლეკიანობა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში	383
§ 141. ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება. ბრძოლა სათავადოების წინააღმდეგ	387
§ 142. ერეკლეს საგლეხო პოლიტიკა	390
§ 143. დასავლეთი საქართველო მე-18 საუკუნეში	393
§ 144. რუსეთ-ოსმალეთის ომი 1768—1774 წლებში და საქართველო	397
§ 145. მორიგე ჯარი	402
§ 146. ქართლ-კახეთის სამეფო სამოცდაათიან წლებში	403

თ ა ვ ი XXI

საპარტამენტოს შემართება რუსეთთან

§ 147. ერეკლე მეორის ხელშეკრულება რუსეთთან	408
§ 148. ტრაქტატიდან ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე	413
§ 149. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება	421
უმნიშვნელოვანესი თარიღების ტაბულა	425



რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი

კორექტორი ე. ზუბიაშვილი

კონტრ.-კორექტორი ც. ჩხეიძე

გამომშვები ნ. კაკუშაძე

გადაეცა წარმობას 13/XII-49 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/VI-50 წ. უფ. 04712.
ანაწყოების ზომა 6,5×10,5. ქაღალდის ზომა 60×92. სასტამბო ფორმათა რაოდენობა
27,25. სააქტორო ფორმათა რაოდენობა 27. საადრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა
რაოდენობა 27,75. ტირაჟი 10.000. შეგე. № 1527.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქპოლიგრაფგამომცემ-
ლობის“ ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат Печати «Грузполиграфиздата» при Совете Министров
Грузинской ССР, Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.



Д. Геронимович, С. Д. Динашва, С. Д. Динашва

ИСТОРИЯ ГРУЗИИ ЧАСТЬ I

Под редакцией С. Д. Динашва
(На грузинском языке)

Издательство «Свободная пресса» СССР

Тбилиси — 1954